ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი

ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია

მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები

შრომების კრებული

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი

ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია

მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები

შრომების კრებული

6 თებერვალი, 2023
თბილისი, საქართველო

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023

ISBN 978-9941-36-111-1 (pdf)

კონფერენციის სარედაქციო კოლეგია:

გიორგი ღაღანიძე - თსუ პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე;
ვლადიმერ პაპავა - თსუ პროფესორი, აკადემიკოსი;
ავთანდილ სილაგაძე - თსუ პროფესორი, აკადემიკოსი,
ელგუჯა მექვაბიშვილი - თსუ პროფესორი, თსუ თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი“ მთავარი რედაქტორი;
რევაზ გოგოხია - ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესიკკ მთავარი რედაქტორის მოადგილე;
რამაზ აბესაძე - ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი;
იური ანანიაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი;
თეიმურაზ ბერიძე - თსუ პროფესორი;
სიმონ გელაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი;
რევაზ გველესიანი - თსუ პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი;
ნუგზარ თოდუა - თსუ პროფესორი, მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი;
ირაკლი კოვზანაძე - თსუ პროფესორი, ფინანსების და საბანკო საქმის კათედრის ხელმძღვანელი;
დავით ნარმანია - თსუ პროფესორი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი;
ლევან საბაური - თსუ პროფესორი, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი;
დემურ სიჭინავა - თსუ პროფესორი, ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ხელმძღვანელი;
მირიან ტუხაშვილი - თსუ პროფესორი, მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი;
თემურ შენგელია - თსუ პროფესორი, საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი;
ეთერ ხარაიშვილი - თსუ პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი;
იოსებ ხელაშვილი - თსუ პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი;
მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
მარინა ჩავლეიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
მერაბ ხოხობაია - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
მერაბ ხოხობაია - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;
ლალი ჩიკვილაძე - თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ლობჟანიძე - თსუ ასისტენტ პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
უჩა გოგრიჭიანი - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
აკაკი მიქაბერიძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერი;
ზვიად სიგუა - თსუ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
დავით ნერგაძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ბონდო კაკუბავა - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
რუსუდან მაისურაძე - თსუ დოქტორანტი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნინო აბესაძე, ნინო დოხტურიშვილი, ღვინის ტურიზმის განვითარების ტენდენციები კახეთის რეგიონში 11
Nino Abesadze, Nino Dokhturishvili, Development Trends of Wine Tourism in Kakheti Region 11

ოთარ აბესაძე, სისხლის სამართლის დამნაშავეთა სტატისტიკური მახასიათებლები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე 18
Otar Abesadze, Statistical Characteristics of Criminal Offenders in Georgia at the Modern Stage 18

ნინო ადამია, მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში და მათი ხელშეწყობის ინსტიტუტები და პროგრამები 25
Nino Adamia, Small and Medium Business in Georgia and its Institutions and Promotion Programs ..... .25

ნანა ასლამაზიშვილი, მოწინავე ტექნოლოგიები, როგორც ეკონომიკის ფუნქციონირების მთავარი გენერატორი პოსტკოვიდურ რეალობაში 32
Nana Aslamazishvili, Frontier Technologies as the Main Driver of the Post-COVID Economy 32

გივი ბედიანაშვილი, პოსტპანდემიური პერიოდის მაკროსისტემური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები 41
Givi Bedianashvili, Macrosystem Socio-Economic Challenges of the Post-Pandemic Period 41

ხათუნა ბერიშვილი, მცირე ბიზნესის ანტიკრიზისულ რეგულირების პროცესში სცენარული ტექნოლოგიების გამოყენება 47
Khatuna Berishvili, Using of Scenario Technologies in the Process of Anti-Crisis Regulation of Small Business 47

თეიმურაზ ბერიძე, საკუთრებისა და მართვის ურთიერთობის საკითხები (კვლევის ამოსავალი წერტილები) 54
Teimuraz Beridze, Ownership and Management Relationship Issues (Research Core Points) 54

დავით გავარდაშვილი, დროის მენეჯმენტის აქტუალობა თანამედროვე მსოფლიოში 59
Davit Gavardashvili, Relevance of Time Management in the Modern World 59

ბერდია გათენაძე, საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები 65
Berdia Gatenadze, Economic Challenges of Georgia 65

სიმონ გელაშვილი, თეონა ხაბეიშვილი, ბიზნესის სფეროში შრომის ანაზღურების სტატისტიკური ტენდენციები საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების ჭრილში ძირითადი შინაარსი 72
Simon Gelashvili, Teona Khabeishvili, Statistical Trends of Labor Compensation in the Field of Business in terms of Administrative Regions of Georgia 72

რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი, ევროკავშირის ახალი მიდგომა ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართ 79
Revaz Gvelesiani, Irina Gogorishvili, The European Union's New Approach To Industrial Policy 79

თამარ გვენეტაძე, COVID 19-პანდემიის მიერ წარმოქმნილი ცვლილებების გავლენა მომხმარებლის ქცევაზე და კომუნიკაციის სტრატეგიის მნიშვნელობა 89
Tamar Gvenetadze, Impact of the Changes Caused by the COVID-19 Pandemic on Consumer Behavior and the Importance of Communication Strategy 89

ნინო გრიგოლაია, ცირა მიქატაძე, ფირმა და ციფრული ეკონომიკა 93
Nino Grigolaia, Tsira Mikatadze, The Firm and the Digital Economy 93

ამბროსი გრიშიკაშვილი, ლია პიტიურიშვილი, ნელი სესაძე, COVID-19 პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე 97
Ambrosi Grishikashvili, Lia pitiurishvili, Neli Sesadze, The Impact of the COVID-19 Pandemic on the World Economy 97

გულნაზ ერქომაიშვილი, შრომის უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში 102
Gulnaz Erkomaishvili, Economic Policy to Promote Occupational Safety in Georgia 102

შოთა ვეშაპიძე, აკადემიური კონკურსის საფრთხეების შესახებ 108
Shota Veshapidze About the Dangers of Academic Competition 108

ნუგზარ თოდუა, მათე ივანიაძე, სწრაფი კვების ბაზარზე ონლაინმომხმარებელთა ქცევის ცვლილება პოსტპანდემიურ პირობებში 115
Nugzar Todua, Mate Ivaniadze, Changes of Online Consumer Behavior in the Fast Food Market in Post-Pandemic Conditions 115

ნია თოდუა, სოციალური მედია მარკეტინგის გამოწვევები ჯანდაცვის ინდუსტრიაში 121
Nia Todua, Challenges of Social Media Marketing in the Healthcare Industry 121

ლია თოთლაძე, მამუკა ხუსკივაძე, ურბანიზაცია მდგრადი განვითარების მიზნებში. ქალაქების ზომის მოდელირების საკითხისათვის 126
Lia Totladze, Mamuka Khuskivadze, Urbanization in Sustainable Development Goals. Modeling the size of cities 126

ნაზირა კაკულია, თამთა მესხორაძე, ინსტიტუციური ცვლილებებისა და ინსტიტუციური მდგრადობის საკითხები 132
Nazira is Kakulia, Tamta Meskhoradze, Issues of Institutional Persistence and Institutional Changes 132

გიგა კიკორია, ზეზვა სანიკიძე, უმაღლესი განათლებისა და დასაქმების ბაზრის კავშირი პოსტპანდემიურ პერიოდში საქართველოსა და პოლონეთის მაგალითებზე 132
Giga Kikoria, Zezva Sanikidze, The Relationship between Higher Education and the Employment Market in the post-Pandemic Period on the Examples of Georgia and Poland 132

თეა ლაზარაშვილი, ინოვაციური განვითარების თანამედროვე გამოწვევები 144
Tea Lazarashvili, Contemporary Challenges of Innovative Development 144

თამარ ლაზარიაშვილი, ფერმერულ მეურნეობათა ეკონომიკური გამოწვევები პანდემიის შემდგომ პერიოდში 152
Tamar Lazariashvili, Economic Challenges Facing Farms in the Post-Pandemic Era 152

მარინა მაისურაძე, მარიამ ვარდიაშვილი, საგარანტიო მომსახურების აღრიცხვის საკითხები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორსო სტანდარტების მიხედვით 157
Marina Maisuradze, Mariam Vardiashvili, Warranty Service Accounting Issues according to International Financial Reporting Standards 157

ელგუჯა მექვაბიშვილი, „ახალი ფინანსური რეალობის“ (სისტემის) შესაძლებლობები და გამოწვევები პოსტპანდემიურ პერიოდში 163
Elguja Mekvabishvili, Opportunities and Challenges of the “New Financial Reality” in Post-Pandemic Conditions 163

მარინე მინდორაშვილი, ლია ძებისაური, ბიზნეს სტატისტიკა პრეპანდემიურ და პანდემიის პერიოდებში: საქართველო და ევროკავშირი 172
Marine Mindorashvili, Lia Dzebisauri, Business Statistics in the Pre-Pandemic and Pandemic Periods: Georgia and the European Union 172

ნინო მიქელაძე, ფისკალური კონსოლიდაციის აუცილებლობა და არსებული გამოწვევები საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში 178
Nino Mikeladze, The Necessity of Fiscal Consolidation and Current Challenges in Georgia in Post Pandemic Period 178

ნინო მიქიაშვილი, სიღარიბის გლობალური მიზეზები და მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნების გამოწვევები 184
Nino Mikiashvili, Global Causes of Poverty and Challenges for Small Open Economies 184

ია ნაცვლიშვილი, ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაცია-ხელშემწყობი ფაქტორები და ბარიერები 190
Natsvlishvili Ia, Circular Business Model Innovation- Supporting Factors and Barriers 190

ვლადიმერ პაპავა, რეტროეკონომიკის ზომბირების საფრთხის შესახებ 197
Vladimer Papava, On the Threat of Zombification of the Retroeconomy 197

ლევან საბაური, ნადეჟდა კვატაშიძე, ანჟელი ხორავა, ზეინაბ გოგრიჭიანი, პოსტპანდემიური პერიოდის ცვლილებების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში 203
Levan Sabauri, Nadezhda Kvatashidze, Anzheli Khorava, Zeinab Gogrichiani, Reflection of Post-pandemic Changes in Financial Statements 203

უშანგი სამადაშვილი, ქალთა როლი საქართველოს ეკონომიკის ინკლიუზიურ ზრდაში 210
Ushangi Samadashvili, The Role of Women in the Inclusive Growth of Georgian Economy 210

რუსუდან სირბილაძე, საქართველოს ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში 221
Rusudan Sirbiladze, Georgian Economy in Post-Pandemic Period 221

ნანა სრესელი, ნინო ჩავლეშვილი, შეფასებითი მაჩვენებლები და მათი გავლენა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სანდოობაზე 227
Nana Sresel, Nino Chavleshvili, Evaluative Indicators and their Impact on the Reliability of Financial Statement Information 227

ნინო ტალიკაძე, ევროკავშირის ბაზარზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის მდგომარეობა 235
Nino Talikadze, Competitiveness of Georgian Agro-food Products in the European Union market 235

მირიან ტუხაშვილი, მარიამ ციბაძე, მეორე მსოფლიო ომამდელი საბჭოთა პერიოდი საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიულ მოძრაობაში 243
Mirian Tukhashvili, Mariam Tsibadze, The Soviet period before the Second World War in the territorial movement of the population of Georgia 243

ირმა ტყემალაძე, შრომის ბაზრის რეგულირების მაკროეკონომიკური ასპექტები საქართველოში 247
Irma Tkemaladze, Macroeconomic Aspects of Labor Market Regulation 247

გიორგი ღაღანიძე, ბადრი რამიშვილი, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესების გზები საქართველოს სამთავრობო სექტორში 255
Giorgi Gaganidze, Badri Ramishvili, Ways to Improve Strategic Decision Making in the Georgian Government Sector 255

მედეა შაფათავა, რეტროეკონომიკისა და კომბინირებული სისტემურობის მიდგომის შესახებ 265
Medea Shapatava, About Retroeconomics and Combined Systematic Approach 265

მზია შელია, საქართველოს სტუდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის კვლევის სათავეებთან 266
Mzia Shelia, At the Beginning of the Research of the Socio-demographic Group of Students of Georgia 266

თეიმურაზ შენგელია, პოსტპანდემიური პერიოდის გლობალური ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების პერსპექტივები 271
Teimuraz Shengelia, Development Prospects of Post-pandemic Global Economy and Business 271

ლია ჩარექიშვილი, როგორ ვიყენებთ დროს - დროის გამოყენების ზოგიერთი მაჩვენებელის შესახებ საქართველოში 277
Lia Charekishvili, How We Use Time - About Some Indicators of Time Use in Georgia 277

ანა ჩეჩელაშვილი, შიდა აუდიტის როლი და მნიშვნელობა პოსტპანდემიურ პერიოდში 283
Ana Chechelashvili, The role and significance of Internal Audit function in post COVID-19 pandemic period 283

მიხეილ ჩიკვილაძე, კოვიდ - 19 პოსტ-პანდემიური პერიოდის ეკონომიკის აღდგენის (ფაქტორები) პერსპექტივები 289
Mikheil Chikviladze, Prospects (factors) for Post-Pandemic Period Economic Recovery 289

მალხაზ ჩიქობავა, მზარდი სახელმწიფო ვალი, როგორც მოსალოდნელი გლობალური რეცესიის მთავარი ფაქტორი 294
Malkhaz Chikobava, Growing Public Debt as the Main Factor in the Expected Global Recession 294

მურმან ცარციძე, ნათელა ლაცაბიძე, შრომის ბაზარი და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ცვლილების ტენდეციები, საქართველოში თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში 303
Murman Tsartsidze, Natela Latsabidze, Labour Market and Trends Labour Demand Changes in Georgia in the Conditions of the Modern Global Crisis 303

იზოლდა ჭილაძე, საქართველოში საწარმოთა ფინანსური რისკების ტენდენციები Covid 19-ის შემდგომ პერიოდში 314
Izolda Chiladze, Trends in Financial Risks of Enterprises in Georgia in the Post-Covid 19 Period 314

ლალი ხიხაძე, პოსტპანდემიური პერიოდის გამოწვევები და თანმდევი გლობალური რეცესიის ფონზე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები 321
Lali Khikhadze, The Challenges of the Post-Pandemic Period and the Development Trends of the World Economy against the Background of the Accompanying Global Recession 321

მერაბ ხმალაძე, მაია გიორგობიანი, ქეთევან ჩიტალაძე, პოსტსაბჭოთა საქართველოს თვითუზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის პროდუქციით 330
Merab Khmaladze, Maia Giorgobiani, Ketevan Chitaladze, Self-sufficiency of Post-Soviet Georgia with Agricultural Products.....330

ნიკო ხუციშვილი, ტურიზმის ინდუსტრია საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში 335
Niko Khutsishvili, Tourism Industry in Georgia in the Post-pandemic Period.....335

ჩარიტა ჯაში, ეკატერინე უროტაძე, დიდი მონაცემების განვითარების ტენდენციები თანამედროვე ინდუსტრიებში 343
Charita Jashi, Ekaterine Urotadze, Development Trends of Big Data in Modern Industries.....343

მარიამ ჯიბუტი, გიული ქეშელაშვილი, ტექნოლოგიური შესაძლებლობები: წარსული გამოცდილება და მიმდინარე გამოწვევები 350
Mariam Jibuti, Giuli Keshelashvili, Technological Opportunities: Past Experiences and Current Challenges.....350

მერაბ ჯიქია, ცალკეული სტატისტიკური მეთოდის გამოყენების ნაკლოვანებები და უპირატესობები მმართველობით აღრიცხვაში 355
Merab Jikia, Disadvantages and Advantages of using a Separate Statistical Method in Management Accounting 355

ქრისტინა ჯღანჯღავა, პოსტკოვიდ-19 პანდემიის გლობალური ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე 365
Kristina Jganjgava, The Global Impact of the Post-Covid-19 Pandemic on socio-Economic Outcomes 365

ნინო აბესაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო დოხტურიშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ღვინის ტურიზმის განვითარების ტენდენციები კახეთის რეგიონში

ღვინის ტურიზმი საკმაოდ პოპულარულია საქართველოში, თუმცა ცალკეული რეგიონის მიხედვით სურათი დიფერენცირებულია. ტრადიციულად კახეთის რეგიონი უპირობო ლიდერია ბაზრის ამ სეგმენტზე. ნაშრომში გამოკვეთილია ღვინის ტურიზმის წინაშე არსებული გამოწვევები, იდენტიფიცირებულია პრობლემები და შესაბამისად დასახულია მათი გადაჭრის გზები. ჩატარებული კვლევის შედეგების სტატისტიკური მეთოდებით გაანალიზების საფუძველზე გამოვლენილია კახეთის რეგიონში ღვინის ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები, განსაზღვრულია მოთხოვნადი და მიმზიდველი ლოკაციები, შესწავლილია ვიზიტორთა გეოგრაფიული სტრუქტურა, გაანალიზებულია ხარჯების სტრუქტურა და სხვ.

ღვინის ტურიზმის მომხმარებელთა და ღვინის კომპანიებისა და მარნების მფლობელთა შერჩევითი გამოკვლევის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები და რეკომენდაციები საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ღვინის ტურიზმის პოპულარიზაციას, რასაც მოჰყვება გაზრდილი ტურისტული ნაკადები.

საკვანძო სიტყვები: *ღვინის ტურიზმი, კახეთის რეგიონი, ტენდენცია, ანალიზი,მეთოდი.*

ღვინის ტურიზმი უკანასკნელ წლებში საქართველოში სწრაფად განვითარებად სეგმენტად ჩამოყალიდა, რაზეც მეტყველებს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა, მარნების მომრავლება, ტურისტული ნაკადების ზრდა და ა.შ. ღვინის ტურიზმის მიმართ გაზრდილმა ინტერესმა გააჩინა მისი საფუძვლიანი გამოკვლევის ახალი მოთხოვნები. უდავოა, რომ როგორც სხვა, ტურიზმის სფეროშიც მიმდინარე მოვლენების შესაფასებლად, ტენდენციების გამოვლენისა და სტატისტიკური კანონზომიერებების დასადგენად აუცილებელია ობიექტური ინფორმაცია, რაც ტურიზმის სტატისტიკური აღრიცხვის საერთაშორისო მეთოდოლოგიის სრულყოფილ ადაპტაციასა და პრაქტიკულ რეალიზაციას მოითხოვს ადგილზე. (აბესაძე, 2021) დღეს არსებული ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში ხორციელდება ტურისტული პოტენციალის ზუსტი გაანგარიშება მთელი თავისი მოსალოდნელი შედეგებითა და პროგნოზებით. ინფორმაციის ძირითად წყაროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები და შერჩევითი კვლევები წარმოადგენს. შერჩევითი გამოკვლევის ჩატარება ბაზრის ამ სეგმენტზე საინტერესო შედეგებს უზრუნველყოფს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე ტურიზმის ზეგავლენის განსაზღვრის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბების წინაპირობას ქმნის. გარდა ამისა ღვინის ტურიზმის სტატისტიკის ინფორმაციის სრულყოფის მნიშვნელოვან წყაროს კახეთის რეგიონის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები წარმოადგენს.

ღვინის ტურიზმი საკმაოდ პოპულარულია საქართველოში, მაგრამ ცალკეული რეგიონების მიხედვით სურათი დიფერენცირებულია. მართალია სხვა რეგიონებშიც მაგალითად, აჭარაში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და გურიაში და ა. შ. ვხვდებით ღვინის მრავალფეროვან ტურებს, მაგრამ ტრადიციულად კახეთის რეგიონი უპირობო ლიდერია ბაზრის ამ სეგმენტზე, კახეთს აქვს ის წინაპირობები, რაც ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის უმთავრესია: ღვინის ისტორია, წარმოების უნიკალური ტექნოლოგია, ვაზის ჯიშების სიმრავლე, ბუნებრივი პირობები და სხვ. (ხარბედია, 2018) მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქვევრის ღვინის დაყენების მეთოდი შევიდა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში (https://ich.unesco.org/en/RL/ancient-georgian-traditional-qvevri-wine-making-method-00870).

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ღვინის ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა კახეთის რეგიონში. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, თავმორა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.

კახეთის რეგიონი ვიზიტორებს მრავალფეროვან და საინტერესო ტურებს სთავაზობს. ტურისტებს საშუალება ეძლევათ ეწვიონ ღვინის მსხვილ და მცირე კომპანიებს, მარნებს, დაათვალიერონ ვენახები და მონაწილეობა მიიღონ რთველში, გაეცნონ ფოლკროლს, ადგილობრივ ტრადიციებს და სხვ. გარდა ამისა, შესაძლებელია ვენახში ქორწილის გადახდა, ვენახების თავზე საჰაერო ბურთით ფრენა, ასევე, გლეხებთან ერთად ყურძნის კრეფა, ცხენებით ჯირითი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ კახეთში აშენდა ბევრი ახალი მარანი, რესტავრაცია ჩაუტარდა ბევრ ისეთ ისტორიულ მარანს, რომელიც ქვეყნის საგანძურს წარმოადგენს და ტურისტებისთვის მიმზიდველია, დღეს კახეთის რეგიონში არსებობს ისეთი მარნებიც, რომლებიც ფართო ასორტიმენტს სთავაზობენ მომხმარებლებს. ღვინის დეგუსტაციის გარდა, ბევრ მათგანს შეუძლია საკმაოდ მრავალფეროვანი საკვების, განთავსების საშუალებების და სხვა დამატებითი მომსახურების შეთავაზება (მაგ, ველოსიპედით გასეირნება, ცხენით ჯირითი, აუზი, ბარი და სხვ.). ასეთი მარნებია: „თელიანი ველინ, „ტყუპების ღვინის მარანი“, „შატო მერე“, „შუხმან ვაინს ჯორჯია“, „მეღვინეობა ხარება“ და სხვა.

დღევანდელი მდგომარეობით კახეთის რეგიონში ღვინის მწარმოებელი 262 აქტიური ეკონომიკური სუბიექტია, საიდანაც ყველაზე მეტი, 85 თელავის, 65 გურჯაანის, 48 ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარეონს.[1] მაგრამ ყველა ბიზნეს სუბიექტი როდია ჩართული ტურისტულ ბიზნესში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრისა და ღვინის კლუბთან ერთად განხორციელებული პროექტით „ღვინის გზა“ იდენტიფიცირებულ იქნა ყველა იმ კომპანიის, მცირე საწარმოს და ოჯახური მარნების აღრიცხვა, რომლებიც მზად იყვნენ ტურისტების მისაღებად. ტურისტთა მიღებისათვის ობიექტების მზაობის დადგენა ხდებოდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: მოწესრიგებული და სუფთა მარანი; მომსახურების აუცილებელი ინფრასტრუქტურა; ღვინის ტურიზმში მონაწილეობის სურვილი; ხარისხიანი ღვინის წარმოების შესაძლებლობა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროექტის რეალიზაციით დაიწყო საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარება. კახეთში მარნებისა და ღვინის კომპანიების მომრავლება წინა წლებთან შედარებით, მიუთითებს კერძო სექტორის დაინტერესებასა და უფრო მეტ ჩართულობაზე.

დღესდღეობით, ამ პროექტში გაწევრიანებულია მთელი საქართველოს მაშტაბით 352 ობიექტი, რომელთა შორის ყველაზე მეტი, 190, (54%) კახეთის რეგიონში მდებარეობს.

ღვინის ტურები კახეთში მიმზიდველია როგორც საერთაშორისო ისე შიდა ვიზიტორებისათვის. 2021 წელს შიდა ვიზიტორთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 31%-ით გაიზარდა. საყურადღებოა, რომ პანდემიის პერიოდში, როდესაც ტურიზმი შოკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, კახეთში შიდა ტურისტული ნაკადების მატება შეინიშნებოდა. 2020 წელს წინა წელთან შედარებით 3%-ით, ხოლო 2018 წელთან შედარებით 14%-ით გაიზარდა შიდა ტურისტების რაოდენობა. ზოგადად, 2015-2021 წლებში კახეთში ვიზიტორების რაოდენობა საშუალოდ ყოველწლიურად 5%-ით იზრდებოდა. (საშუალო წლიური ზრდის ტემპი იყო 105%). შესაბამისად იზრდებოდა ვიზიტორებში კახეთის ვიზიტორების წილის მაჩვენებელი.

[1] ბიზნეს რეგისტრი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი. www.geostat.ge

დიაგრამა 1.

შიდა ვიზიტორების რაოდენობა კახეთის რეგიონში



წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თ. გ.)

რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტორებს, 2020-2021 წელს, პანდემიის გამო რაოდენობრივი მახასიათებლები მნისვნელოვნად შემცირდა ხოლო 2015-2019 წლებში საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა 138% შეადგინა.

დიაგრამა 2.



წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თ. გ.)

როგორც კვლევამ აჩვენა მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე მონახულებადს, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმის დროს წარმოადგენსდა თელავი, ყვარელი, სიღნაღი და ლაგოდეხი. კახეთის საინფორმაციო ცენტრების მონაცემებით ტურისტები ძირითადად რუსეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან სტუმრობენ. აღსანიშნავია, რომ ღვინის ტურიზმის პაკეტების მომხმარებლები 2015 წლამდე ძირითადად საერთაშორისო ვიზიტორები იყვნენ. (Abesadze, 2021) მათი დაინტერესება კი მეტწილად სამუზეუმო კომპლექსების დათვალიერებით, ქართული ღვინის დაგემოვნებით და მარნების ნახვით შემოიფარგლება. შიდა ვიზიტორები მოგზაურობისას სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობდნენ. როგორც დიაგრამიდან 3 ჩანს, დინამიკაში იზრდებოდა ადგილობრივი სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნების აქტივობები. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2021 წელს დაფიქსირდამ როდესაც შიდა ვიზიტორების 38% დააგემოვნა ღვინო.

დიაგრამა 3.

შიდა ვიზიტორების მიერ ადგილობრივი სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნების განხორციელებული აქტივობა



წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თ. გ.)

ღვინის დაგემოვნების აქტივობით გამოირჩევა საერთაშორისო ვიზიტორებიც. თუმცა, ეს აქტივობები უფრო ინტენსიური იყო 2019 წლამდე. რადგან 2020-2021 წლებში პანდემიამ მძიმე გავლენას მოახდინა ღვინის ტურიზმზე.

რა გავლენა მოახდინა კახეთში ღვინის ტურიზმის განვითარებაზე პანდემიამ? ამ საკითხების გასაანალიზებლად მოვახდინეთ ღვინის კომპანიებისა და საოჯახო მარნების შერჩევითი გამოკვლევა, რისთვისაც გამოვიყენეთ Google Drive-ის აპლიკაცია და ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირი ინტერვიუირება. ცხადია, მანამდე შერჩეულ იქნა კვლევის დიზაინი. ღვინის ტურის მომხმარებლების კითხვარი შედგებოდა 18 კითხვისგან და გამოპასუხების მაჩვენებელი იყო 244. ხოლო ღვინის კომპანიების/მარნების გამოკითხვის კითხვარი შედგებოდა 16 კითხვისგან და მოპასუხე იყო მხოლოდ 18 კომპანია/მარანი. მომხმარებელთა კვლევისას უფრო აქტიურები აღმოჩნდნენ ქალბატონები(76.1%) და 25-დან 44 წლამდე ასაკის, (70,6%) და შემდეგ 55-64 წლის ასაკის მოსხლეობა(22 %).

რესპონდენტებისათვის კახეთის რეგიონის ყველაზე მიმზიდველ ლოკაციებს წარმოადგენდა თელავი, რომელსაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ესტუმრა გამოკითხულთა 44,3%, საგარეჯოს(17,1%), ყვარელს (12,9%), სიღნაღს (11,4%) და ა.შ.

რესპონდენტების 30,6% მოინახულა თელავის ღვინის მარანი, 8,3%-მა ყვარლის მევენახეობა „ხარება“, 9,7% სტუმრობდა ყვარლის „ქინძმარაულის მარანს“, 4,2% წინანდლის მამულს, 2,8%-ყვარლის ედემს, 2,8% თელავის „როსტომაანთ მარანს“, 6,9% სტუმრობდა გურჯაანის „ინატრეს“ და სხვ.

ღვინის ტურებზე მოთხოვნის კიდევ უფრო გაზრდის იმედს იძლევა ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილი იყო ტურით და 97,5% -მა განაცხადა რომ ის ისევ მიიღებდა მონაწილეობას ღვინის ტურში.

საინტერესო იყო რამდენს ხარჯავენ ვიზიტორები ღვინის ტურში მონაწილეობისას? კვლევაში მონაწილეთა 15,3%-მა ღვინის ტურის დროს საშუალოდ დახარჯა 50 ლარამდე, 51-100 ლარამდე 37,5%-მა, 27,8%-მა 101-150 ლარამდე, ხოლო 19,4%-მა 150 ლარზე მეტი. როგორც ჩანს დანახარჯების მოდალური ინტერვალი 51-100 ლარამდეა. (დოხტურიშვილი, 2022)

გაწეული ხარჯების ზემოაღნიშნული ინტერვალების პირობებში გავარკვიეთ რა მომსახურებით ისარგებლეს ვიზიტორებმა. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა 28,9% მონაწილეობა მიიღო ღვინის დეგუსტაციაში, თითქმის 35,5%-მა დაათვალიერა ადგილობრივი ღირსშესანიშნაობები, 31,6%-მა დაათვალიერა ვენახები, 31,6% გაეცნო ღვინის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს. ღვინის მარნებისათვის პანდემიის გამო არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოკითხულ რესპონდენტთა 61,6%-ს მიაჩნია, რომ ღვინის ტუ-

რების პოპულარიზაციისათვის და მოთხოვნის ზრდისთვის შიდა ტურიზმის დროს მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა და სარეკლამო სამუშაოები, 39,4%-ის აზრით გადამწყვეტი ფაქტორია ხელმისაწვდომი ფასი, ხოლო 37,4% თვლის, რომ მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემო და მომსახურების ხარისხი.

რაც შეეხება ღვინის მარნების მფლობელთა გამოკვლევას, გამომდინარე იქიდან, მათი უმრავლესობა მამაკაცია, ამიტომ აქტიურები იყვნენ მამაკაცები, (83%), ისინი ძირითადად 45-64 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან (66%), ყველა მათგანს აქვს უმაღლესი განათლება. გამოკითხული კომპანია/მარნების 66,7% 6 წელზე მეტია რაც ტურისტულ ბაზარზე მოღვაწეობს, 33,3% 3-5 წლამდე სტაჟს ითვლის. გამოკითხული მარნის მფლობელების 16,7%-მა განაცხადა, რომ COVID-19 გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მათ ბიზნესს, ფაქტიურად დარჩნენ შემოსავლის გარეშე, 33,3%-მა შემოსავლის ნახევარი დაკარგა, ხოლო 50% -მა განაცხადა რომ მათ ბიზნესზე პანდემიას ზეგავლენა არ მოუხდენია. გამოკითხულთა 50% თვლის, რომ მთავარი პრობლემა არის მოთხოვნის შემცირება, 33,3% ფინანსების ნაკლებობას ასახელებს, 16,7% კი გაზრდილ ხარჯებს. ამის ნათელი დადასტურებაა ვიზიტებისას ვიზიტორთა რაოდენობის მაჩვენებლები. გამოკითხული ღვინის მარნების 33,3% პანდემიის დროს მოემსახურა მხოლოდ 50-მდე ვიზიტორს, 33,3%-კი 200-ზე მეტს. საგრძნობლად გაზრდილია მათი რაოდენობა 2021 წლისათვის. კახეთში ღვინის ტურის ვიზიტორების 100%-მა დააგემოვნა ღვინო, 92,3% -მა დაათვალიერა ვენახები და მარანი, 84,6%-მა მონაწილეობა მიიღო რთველში, 92,3%-მა ისარგებლა კვებითი მომსახურებით, ხოლო განთავსების საშუალებით ისარგებლა 53,8%-მა. კვლევის შედეგებით, ღვინის მარნებს ძირითადად სტუმრობდნენ უცხოელი ტურისტები. როგორც აღმოჩნდა საერთაშორისო ტურისტებიდან უკანასკნელ წლებში 50% იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, ხოლო 16,7% - 16,7% ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან. ტურის საშუალო ღირებულება კაცზე მერყეობს 50-100 ლარამდე კვლევაში მონაწილე ღვინის მარნების 60%-ში, ხოლო 20% -სათვის ფასი უფრო მაღალია და მერყეობს 150-250 ლარის ფარგლებში. კომპანიების ხელმძრვანელების 100% თვლის რომ ღვინის ტურიზმის ბიზნესის გააქტიურება შიდა ტურიზმით შესაძლებელია. რესპონდენტების 33,3%-მა აღნიშნა, რომ მათი ბიზნესის შემოსავლიანობაზე ტურების დროს ვიზიტორთა მიერ ღვინის ადგილზე შეძენა დიდ გავლენას ახდენდა, 33,3%- მა მიუთითა რომ საერთოდ არ ახდენდა შემოსავალზე გავლენას, 33,3%-ის აზრით გავლენა უმნიშვნელო იყო. სოჯახო მარნის მფლობელები თვლიან, რომ უფრო მნიშვნელოვანია რესურსების თანაბარი განაწილება ღვინის წარმოებასა და ტურიზმის გააქტიურებაზე (85,7%), 14,3% სწორედ მიიჩნევს რესურსების მიმართვას ღვინის წარმოების შენარჩუნებაზე. 28,6%-ის აზრით ღვინის ტურიზმისათვის მხარდაჭერა უნდა გააქტიურდეს შიდა ტურიზმისათვის მხარდაჭერით, 57,1% თვლის რომ საჭიროა ღვინის გაყიდვის ორგანიზაციის ხელშეწყობა, და 14,3% აღნიშნავს, რომ აუცილებელია ტრენინგები პერსონალის გადამზადებისთვის. ღვინის კომპანიებისა და საოჯახო მარნებისათვის მნიშვნელოვანია ღვინის გაყიდვების ხელშეწყობის ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზება. ამისათვის, რესპონდენტებოს ნახევარი 83,3%, მიიჩნევს, რომ საჭიროა ღვინის ცნობადობისა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა და 16,7% უპირატესობას ფასების სუბსიდირებას ანიჭებს.

დასკვნა

როგორც კვლევამ აჩვენა, ღვინის ტურიზმი კახეთში მიმზიდველია როგორც საერთაშორისო ისე შიდა ვიზიტორებისათვის; ქვეყანაში ტურისტულ ბაზარზე ოპერირებადი ღვინის კომპანიებისა და მარნების დიდი ნაწილი 54% ,(169) კახეთში მდებარეობს; კახეთში საერთაშორისო ვიზიტორებიდან ძირითადად რუსეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან სტუმრობენ; საერთშორისო ტურისტების დაინტერესება მეტწილად სამუზეუმო კომპლექსების დათვალიერებით, ქართული ღვინის დაგემოვნებით და მარნების

ნახვით შემოიფარგლება; იზრდება საერთაშორისო ტურისტების ქვეყანაში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა. თუმცა როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა კახეთში ღვინის ტურიზმით ვიზიტისას უპირატესად ერთღიანი ტურები სჭარბობს და შესაბამისად მცირეა კახეთში დარჩენის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი; საერთაშორისო ვიზიტორები უფრო მეტს ხარჯავენ კახეთში ვიზიტისას, ვიდრე შიდა ტურიზმის დროს საქართველოს რეზიდენტები; შიდა ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯების საშუალო სიდიდე 100 ლარია, მაშინ როდესაც საერთაშორისო ვიზიტორების -160 ლარი; ყველაზე მოთხოვნად ლოკაციას თელავი, საგარეჯო, გურჯაანისა და ყვარლის მუნიციპალიტეტები წარმოადგენს; ყველაზე მონახულებადი და მიმზიდველია როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი ვიზიტორებისთვის თელავის ღვინის მარანი, ყვარლის მეღვინეობა ხარება, ყვარლის ქინძმარაულის მარანი, წინანდლის მამული, გურჯაანის ინატრე და ა. შ. კახეთში ღვინის ტურიზმის პოპულარიზაციის გაზრდის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს რესპონდენტების აზრით მოსახლეობის ინფორმაციულობის გაზრდა წარმოადგენს; მნიშვნელოვანია ტურისტული ნაკადების ზრდის შესაბამისი სრულფასოვანი, დეტალური სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება. რადგან ღვინის ტურიზმის სტატისტიკის ძირითადი ინდიკატორები თამამად შეიძლება მივიჩნიოთ კახეთში ღვინის ტურიზმის აღმავლობის მთვარ კატალიზატორად.

ლიტერატურა

1. აბესაძე, ნ. აბესაძე,ო. ქინქლაძე რ, ჩიტალაზ ქ. (2021). ტურიზმის სტატისტიკა: მეთოდოლოგია და პრაქტიკა. თბილისი.
2. ბაკურაძე, ნ. ვაწაძე,ი. (n.d.). ღვინის ტურიზმი, სალექციო კურსი. 2020.
3. დოხტურიშვილი, ნ. (2022). ღვინის ტურისტული პაკეტის მომხმარებელთა და ღვინის კომპანიების, მარნების გამოკვლევა.
4. (n.d.). Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
5. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*. (n.d.).
6. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*. (n.d.).
7. ხარბედია, მ. (2018). „ღვინის მეგზური“, პრაქტიკული სახელმძღვანელო.
8. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ. საქართველოს პარლამენტის უწყებები 13-14 (45-46/13), 12/04/1997
9. ქართული ღვინის ასოციაცია http://gwa.ge/
10. ღვინის ეროვნული სააგენტო https://wine.gov.ge/
11. Abesadze, N. R. (2021). Impact Of Digital Technologies On The Development Of Wine Tourism In Georgia. . (pp. 16-23). Brno: Brno University of Technology.
12. Kharaishvili,E., Wine Market and Competitive Models of Diversification of the Viticulture-Winemaking Industry in Georgia . Monograph. 2017
13. *https://ich.unesco.org/en/RL/ancient-georgian-traditional-qvevri-wine-making-method-00870*. (n.d.)

Nino Abesadze
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nino Dokhturishvili
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Development Trends of Wine Tourism in Kakheti Region

SUMMARY

Wine tourism is quite popular in Georgia, but the picture is differentiated according to individual regions. But traditionally the Kakheti region is the unconditional leader in this segment of the

market. The paper highlights the challenges facing wine tourism, identifies the problems, and accordingly sets out the ways to solve them. Based on the analysis of the results of the conducted research with statistical methods, the main trends of the development of wine tourism in the Kakheti region have been identified, the sought-after and attractive locations have been determined, the geographic structure of visitors has been studied, the cost structure has been analyzed, etc.

Conclusions and recommendations based on a selective survey of wine tourism consumers and owners of wine companies and wineries will ultimately ensure the promotion of wine tourism both in the country and abroad, resulting in increased tourist flows.

As research has shown, wine tourism in Kakheti is attractive to both international and domestic visitors; 54% (169) of wine companies and wineries operating on the tourist market in the country are located in Kakheti; International visitors to Kakheti mainly come from Russia, Germany, Poland and Baltic countries; The interest of international tourists is mostly limited to visiting museum complexes, tasting Georgian wine and visiting wineries; The average length of stay of international tourists in the country is increasing. However, as our research has shown, when visiting Kakheti with wine tourism, one-day tours predominate, and therefore the average length of stay in Kakheti is small; International visitors spend more when visiting Kakheti than Georgian residents during domestic tourism; The average amount of expenses incurred by domestic visitors is 100 GEL, while international visitors - 160 GEL; Telavi, Sagarejo, Gurjaani and Kvareli municipalities are the most sought after locations; The most visited and attractive for both international and local visitors are Telavi wine cellar, Khareba Winery of Kvareli, Kindzmarauli Winery of Kvareli, Tsinandli Manor, Inatre of Gurjaani, etc. Sh. According to the respondents, one of the main indicators of increasing the promotion of wine tourism in Kakheti is increasing the awareness of the population; It is important to calculate full-fledged, detailed statistical indicators corresponding to the growth of tourist flows. Because the main indicators of wine tourism statistics can be considered as the main catalyst for the rise of wine tourism in Kakheti.

Key words: wine tourism, Kakheti region, trend, analysis, method.

ოთარ აბესაძე
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი(სეუ),
კავკასიის უნივერსიტეტი

სისხლის სამართლის დამნაშავეთა სტატისტიკური მახასიათებლები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე

ნაშრომში განხილულია საქართველოში კრიმინოგენური სიტუაციის სტატისტიკური ტენდენციები, გამოვლენილია სისხლის სამართლის დანაშაულის ზრდის მახასიათებლები დანაშაულის სახეობების მიხედვით, გაანალიზებულია მათი დინამიკა სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნის მიხედვით, განხილულია პატიმართა ოაოდენობის მაჩვენებლები, დახასიათებულია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებების დინამიკა, გამოვლენილია დანაშაულების მიხედვით მათი თავისუფლების აღკვეთაში გამოკვეთილი ტენდენციები. გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *დანაშაული, ბრალდებული, მსჯავრდებული, არასრულწლოვანი, ანალიზი.*

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, დემოკრატიული პროცესების განვითარების კვალდაკვალ საზოგადოების ყურადღების ცენტრში სულ უფრო ინტენსიურად ხვდება საქართველოში კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება და გენდერული თანასწორობის პრობლემა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სახეზეა დანაშაულის გამოვლენის გაზრდილი ფაქტები, რაც გამწვავებულ სოციალურ ფონზე საზოგადოების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე უარყოფითი ეფექტის მატარებელია. ბოლო პერიოდში რეგისტრირებულ დანაშაულებებში მომრავლდა ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები, რაც ჩვენი აზრით იმის მიზეზიცაა, რომ შეიცვალა ქალების დამოკიდებულება ძალადობასთან მიმართებით, შეიცვალა მათი მსოფლმხედველობა, ისინი გახდნენ უფრო გახსნილები, მოეხსნათ კომპლექსები ძალადობის ფაქტების გახმაურებაზე, რაც უდაოდ შესაბამისი საკანონმდებლო აქტებითა და მსგავსი პროცესების სამართლებრივი რეგულირებითაა განპირობებული. ქალთა მიმართ ძალადობა და არც მისი შედეგები ქალების ფიზიკურ, ფსიქიკურ და რეპროდუქციული ჯანმრთელობაზე, არ არის ახალი ფენომენი. (Abesadze, 2019) შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, IDFI აანალიზებს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკას. COVID 19 პანდემიის გამო IDFI-მ შეაფასა რეგისტრირებულ დანაშაულზე პანდემიის გავლენა, რადგან შექმნილი სიტუაცია შეიცავდა კრიმინოგენური მდგომარეობის გაურესების რისკებს. ამის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები იყო: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომაროების გაურესება, მოსახლეობის დამძიმებული სოციალური ფონი, სამუშაო ადგილების მასიური შემცირება და ა.შ. ეს ყველაფერი აჩენდა დანაშაულის მატების რეალურ საფუძვლებს. ამასთან, 2020 წელს, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით პანდემიასთან ბრძოლის სპეციფიკა, უამრავი ადამიანის პოტენციურ მოძალადესთან ერთ სივრცეში იზოლირებას განაპირობებდა. თუმცა, 2020 წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებდა, რომ პანდემიასთან ბრძოლის სპეციფიკა, წარმოადგენდა დანაშაულთან ბრძოლისთვის დამატებით მექანიზმს და დანაშაულის ჩადენისათვის მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს. მაგალითად, საგანგებო მდგომარეობის შემოღება, კომენდატის საათი, ხალხმრავალი ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა და ა.შ. წარმოადგენდა დანაშაულის შემაკავებელ მნიშვნელოვან ფაქტორს, რამაც ხელი შეუწყო 2020 წელს დანაშაულის მაჩვენებლის შემცირებას. (https://idfi.ge/ge/registered_crime_statistics_in_2021). იმ პირობებში როდესაც დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის მოძალადის ქცევის მიზეზად ხშირად სტრესული სიტუაცია ან ეკონომიკური ფონი სახელდება, საზოგადოებაში დამძიმებული ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარების ფონზე, საფიქრებელია, რომ მიუხედავად არსებული კლების ტემპებისა, საკმაოდ რეალური შეიძლება გახდეს დანაშაულის ზრდის მოლოდინები.

ნაშრომის ძირთად მიზანს წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულის სტატისტიკური მახასიათებლების გაანალიზება თანამედროვე ეტაპზე, დანაშაულის ძირითადი ტენდენციებისა და კანონზომიერებების გამოვლენა.

დღეს ვითარება ისეთია, რომ მიუხედავად დანაშაულის ზრდის ტემპების შემცირებისა, კრიმინოგენური ვითარება ქვეყანაში არც თუ სახარბიელოა.

დიაგრამა1. სისხლის სამართლის დანაშაულის რაოდენობის დინამიკა 2015-2021 წ.წ.



წყარო: (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika, 2022)

როგორც დიაგრამიდან ჩანს, კრიმინოგენური სიტუაციით ყველაზე მწვავედ გვევლინება 2019 წელი, როდესაც წინა წელთან შედარებით რეგისტრირებულ დანაშაულებებში 9,8%-იანი მატება დაფიქსირდა. თუმცა, ყველაზე სწრაფად დანაშაულმა იმატა 2018 წელს, როდესაც მისი რიცხვი გაუტოლდა 58412 და მატების ტემპმა 53.9% შეადგინა. პანდემიის პერიოდი აღმოჩნდა კრიმინოგენურად უფრო მშვიდი, რომლის დროსაც დანაშაულის კლების ტემპი მერყეობდა 0.4%-სა და 11.7%-ს შორის. აღსანიშნავია, რომ ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველოში მაღალია რეგისტრირებული დანაშაულებები საკუთრების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ, ჯანმრთელობის, ოჯახისა და არასრულწლოვნების წინააღმდეგ ჩადენილი. მარტო 2022 წლის სამი კვარტლის მონაცემებით 15622 საკუთრების წინააღმდეგ გამოვლენილი დანაშაულის ფაქტი დაფიქსირდა, რაც უკვე აჭარბებს 2017 წლის მაჩვენებელს. თუმცა, 2019 წელთან შედარებით შემცირების ტენდენცია შეინიშნება. 2021 წლის მონაცემებით ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ დანაშაული წინა წელთან შედარებით 9.3%-ით გაიზარდა, სამოხელეო დანაშაული 11.3%-ით, დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ 6.2%-ით, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ 16.1%-ით.

დიაგრამა 2. რეგისტრირებული დანაშაულისა და მსჯავრდებულების რაოდენობა 2015-2021 წლებში, ათასი



წყარო: CITATION htt227 \l 1079 (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika, 2022)

ბუნებრივია, დანაშაულის რაოდენობაში გამოკვეთილი ტენდენციები ძირითადად ემთხვევა მსჯავრდებულების რაოდენობის ტენდენციებს. 2021 წლის მიხედვით 19.4%-ით გაიზარდა მსჯავრდებულთა რაოდენობა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანს ბრალი დაუდასტურდა 2021 წელს, აქ შეიძლება იყოს წინა წელს დაფიქსირებულ დანაშაულზე დამდგარი განაჩენით უკვე მსჯავრდებულებიც. ყველაზე მეტი მსჯავრდებული ქვეყანაში 2019 წელს იყო დაფიქსირებული.

დიფერენცირებულია დანაშაულის სახეების მიხედვით მსჯავრდებულთა რაოდენობა. ყველაზე მეტი 2021 წლის მონაცემებით სასჯელს იხდის ქურდობის (19.6%) და ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების ბრალდებით მსჯავრდებულები (8.1%)

აღსანიშნავია, რომ ქურდობის მაჩვენებელი თითქმის გაუტოლდა 2015 წლის მაჩვენებელს. განსაკუთრებით გაიზარდა მისი რიცხვი პანდემიის პერიოდში, 2020-2021 წლებში. იზრდება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების, დამამძიმებელ გარემოებაში განზარახ მკვლელობის, გაუპატიურების მუხლით მსჯავრდებულთა რაოდენობა. მართალია მცირედ, მაგრამ მაინც მცირდება ყაჩაღობისა და ძარცვის მუხლით მსჯავრდებულთა რაოდენობა.

დიაგრამა 3. მსჯავრდებულთა განაწილება სქესობრივი ნიშნის მიხედვით.



წყარო: CITATION Placeholder4 \l 1079 (ქალი და კაცი საქართველოში, 2021)

მსჯავრდებულთა შორის უპირატესად მამაკაცები არიან, რომელთა შორის სჭარობს 30-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის მსჯავრდებულები, მათი ხვედრითი წილის დიაპაზონი მერყეობს 51%-53%-ს შორის. დანარჩენ ასაკობრივი ჯგუფის მსჯავრდებულების წილის მაჩვენებელი თითქმის თანაბარია.(იხ. დიაგრამა)

დიაგრამა 4. მსჯავრდებლების განაწილება ასაკის მიხედვით.



წყარო: CITATION htt227 \l 1079 (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika, 2022)

2019 წლამდე იზრდებოდა არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რაოდენობა, რომელთა შორის 27-32% დიფერენცირებულად წლების მიხედვით ექვემდებარებოდა თავისუფლების აღკვეთას და სასჯელს იხდიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტებში.

დიაგრამა 5. არასრულოვანი მსჯავრდებულების დინამიკა 2015-2021 წლებში



წყარო:საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებში წლების განმავლობაში სჭარბობს ქურდობა. ასე მაგალითად, 2021 წელს 109 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთა შორის 7 ჩაიდინა გოგონამ, 102 ვაჟმა. ამ მუხლით გასამართლებულ 28 არასრულწლოვანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. თავისუფლების აღკვეთის პირობებში არასწრულწლოვანები სასჯელს იხდიან განზრახ მკვლელობის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების და ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების მუხლით ჩადენილი დანაშაულებების გამო. პანდემიის დროს შემცირდა, მაგრამ 2021 წელს ისევ გაიზარდა ტრეფიკინგის მუხლით ჩადენილი დანაშაულებების რაოდენობა, რომელთა შორის მხოლოდ 35% იქნა გახსნილი.

დიაგრამა 6. ტრეფიკინგის მუხლით ჩადენილი დანაშაულებების რაოდენობა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ყველა დანაშაულებების მიხედვით სასჯელაღსულების დაწესებულებებში სასჯელს იხდის 9203 ადამიანი, მათ შორის 301, ანუ 3.3% ქალი. პატიმართა შორის 99.5% სრულწლოვანია და 0.5% არასრულწლოვანი.

ცხრილი 1. პატიმრების განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით.

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
პატიმრები, სულ	**9,716**	**9,334**	**9,280**	**9,575**	**9,740**	**9,143**	**9,203**
ქალი	309	265	258	331	398	333	301
კაცი	9,407	9,069	9,022	9,244	9,342	8,810	8,902
სრულწლოვანი პატიმრები	9,681	9,318	9,248	9,531	9,693	9,087	9,155
ქალი	309	264	258	331	396	328	299
კაცი	9,372	9,054	8,990	9,200	9,297	8,759	8,856
არასრულწლოვანი პატიმრები	35	16	32	44	47	56	48
ქალი	-	1	-	-	2	5	2
კაცი	35	15	32	44	45	51	46

წყარო: CITATION Placeholder4 \l 1079 (ქალი და კაცი საქართველოში, 2021)

სამწუხაროდ, ბოლო წლებში არასრულწლოვან პატიმართა შორის გაჩნდნენ გოგონები. როგორც ცხრილიდან ჩანს 2019-2021 წლებში არასრულწოვან პატიმრებში 2 , ხოლო 2020 წელს 5 გოგონა ფიქსირდება.

მაღალია ოჯახური ძალადობის ფაქტების მაჩვენებელი ქვეყანაში. სამწუხაროდ ქალები ისევ არიან ძალადობის მსხვერპლნი, ვინაიდან მოძალადეთა შორის 83% მამაკაცია. ყველაზე მეტი ძალადობის ფაქტი თბილისის მერე გამოვლინდა ქვემო ქართლში, იმერეთში, აჭარასა და კახეთში. 2019-2020 წლებში თითქმის არ შეცვლილა შემაკავებელი ორდერების რაოდენობრივი მაჩვენებლები, მაგრამ 2021 წელს 9%-ითაა შემცირებული. 97%-ის შემთხვევაში შემაკავებელ ორდერში მონაწილე პირი არის მამაკაცი.

დიაგრამა 8. მოძლადეთა დინამიკა 2015-2021 წლებში



წყარო: CITATION Placeholder4 \l 1079 (ქალი და კაცი საქართველოში, 2021) www.geostst.ge

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში კრიმინოგენური სიტუაციით ყველაზე მწვავე წელი იყო 2019 წელი; ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველოში მაღალია რეგისტრირებული დანაშაულებები საკუთრების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ, ჯანმრთელობის, ოჯახისა და არასრულწლოვნების წინააღმდეგ ჩადენილი; დანაშაულის რაოდენობაში გამოკვეთილი ტენდენციები ძირითადად ემთხვევა მსჯავრდებულების რაოდენობის ტენდენციებს; დიდია ქურდობის (19.6%) და ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების ბრალდებით მსჯავრდებულების (8.1%) რაოდენობა; მსჯავრდებულთა შორის უპირატესად მამაკაცები არიან, რომელთა შორის სჭარობს 30-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის მსჯავრდებულები, მათი ხვედრითი წილის დიაპაზონი მერყეობს 51%-53%-ს შორის; 2019 წლამდე იზრდებოდა არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რაოდენობა, რომელთა შორის 27-32% დიფერენცირე-

ბულად წლების მიხედვით ექვემდებარებოდა თავისუფლების აღკვეთას და სასჯელს იხდიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტებში; თავისუფლების აღკვეთის პირობებში არასწრულწლოვანები სასჯელს იხდიან განზრახ მკვლელობის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების და ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების მუხლით ჩადენილი დანაშაულებების გამო; პანდემიის დროს შემცირდა, მაგრამ 2021 წელს ისევ გაიზარდა ტრეფიკინგის მუხლით ჩადენილი დანაშაულებების რაოდენობა, რომელთა შორის მხოლოდ 35% იქნა გახსნილი; ყველა დანაშაულებების მიხედვით სასჯელაღსულების დაწესებულებებში სასჯელს იხდის 9203 ადამიანი, მათ შორის 301, ანუ 3.3% ქალი. პატიმართა შორის 99.5% სრულწლოვანია და 0.5% არასრულწლოვანი; ისევ მაღალია ქალთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის მაჩვენებლები.

ლიტერატურა

1. BIBLIOGRAPHY *https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika*. (2022). Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
2. *https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika*. (2022). Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
3. Abesadze, N. P. (2019). VIOLENCE AGAINST WOMEN: STEREOTYPED OR. *CONTEMPORARY ISSUES IN BUSINESS, MANAGEMENT AND ECONOMICS ENGINEERING'2019.* Vilnius, Lithuania : Vilnius Gediminas Technical University ,.
4. *http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Gender%20Statistics__crime/07-Number_of_issued_restrictive_orders.px/table/tableViewLayout2/?rxid=e686f2c8-d173-4319-86b8-8ab17b8cf76d*. (n.d.). Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
5. *https://idfi.ge/ge/registered_crime_statistics_in_2021*. (n.d.).
6. *https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika*. (n.d.). Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
7. UN Women. (2018). *ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017.*
8. *ქალი და კაცი საქართველოში, 2021.* (n.d.). Retrieved from www.geostst.ge.
9. ჯავახიშვილი, ნ., & ჩიტიშვილი, მ. (2010). *ქალთა მიმართ ოახში ძალადობის საკითხების ეროვნულ კვლევა საქართველოში.* თბილისი: ეისითი.

Otar Abesadze
Associate Professor, Academic Doctor of Economics
National University of Georgia (SEU), Caucasus University

Statistical Characteristics of Criminal Offenders in Georgia at the Modern Stage

SUMMARY

The paper discusses the statistical trends of the criminogenic situation in Georgia, identifies the characteristics of crime growth according to the types of crimes, analyzes their dynamics according to gender and age, discusses the indicators of the number of prisoners, characterizes the dynamics of crimes committed by minors, and identifies the trends in their imprisonment according to crimes.

In conclusion, it can be said that in recent years, 2019 was the most acute year in terms of the criminogenic situation. In the last eight years, registered crimes against property, human rights and freedom, crimes against health, family and minors have been high in Georgia.

The trends in the number of crimes generally coincide with the trends in the number of convictions. There is a large number of people convicted of theft (19.6%) and illegal drug production, pro-

duction, purchase, storage, transportation, forwarding or possession of drugs (8.1%); Among the convicts, there are mainly men, among whom there is a majority of convicts in the age group of 30-49 years, their share ranges from 51% to 53%. Until 2019, the number of juvenile convicts was increasing, among whom 27-32% were subject to imprisonment and were serving sentences in correctional departments. Under conditions of imprisonment, minors are serving sentences for intentional murder, intentional grievous bodily harm, and illegal drug manufacturing, production, purchase, storage, transportation, transportation, or crimes committed under the key article. It decreased during the pandemic, but in 2021 the number of crimes committed under the article of trafficking increased again, between which only 35% were solved. According to all crimes, 9,203 people, including 301 or 3.3% women, are serving sentences in penitentiary institutions. Among the prisoners, 99.5% are adults and 0.5% are minors.

ნინო ადამია
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში და მათი ხელშეწყობის ინსტიტუტები და პროგრამები

მცირე და საშუალო ბიზნესი არის სეგმენტი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე, დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ინოვაციების გააქტიურებაზე. მცირე და საშუალო ბიზნესი უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპი დიდწილად დამოკიდებულია ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების ეფექტურობის ხარისხზე. სტატია ეძღვნება მცირე და საშუალო ბიზნესის განხილვას. ნაშრომის შესავალი ნაწილი ეთმობა მცირე და საშუალო ბიზნესს და მის როლს ქვეყნის ეკონომიკაში. შემდეგ ნაწილში გაანალიზებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის დეკლარირებული მონაცემები ბიზნესის ფორმების მიხედვით ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, როგორიცაა: დასაქმებულთა რაოდენობა, დაქირავებულთა რაოდენობა, დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. ძირითად ნაწილში განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ინსტიტუტები და პროგრამები. ბოლო ნაწილში წარმოდგენილია ავტორის დასკვნები მოცემულ საკითხზე.

საკვანძო სიტყვები: *მცირე და საშუალო ბიზნესი, ბიზნესსექტორი, მეწარმეობა, მხარდამჭერი ინსტიტუტები და პროგრამები*

მცირე და საშუალო საწარმოები (SME) მსოფლიოში აღიარებულია გლობალური ეკონომიკური ზრდის კატალიზატორებად. ეკონომიკაში მათი მრავალმხრივი წვლილის გამო მცირე და საშუალო ბიზნესი განიხილება სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ძირითად მამოძრავებელ ფაქტორად. ეს სექტორი ქმნის მნიშვნელოვან შემოსავალსა და სამუშაო ადგილებს, იძლევა შესაძლებლობებს შესაბამისი ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვისთვის, არის ინოვაციების ძირითადი წყარო (Shiu & Walker, 2007).

აღნიშნული სექტორი დომინირებს გლობალურ ბიზნესში, წარმოადგენს მსოფლიოში ბიზნესის 95%-ზე მეტს და უზრუნველყოფს კერძო სექტორის სამუშაო ადგილების 60%-ზე მეტის შექმნას. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოები უზრუნველყოფენ მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 64 პროცენტს და დასაქმების 62 პროცენტს (Ayagari et al., 2007). განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი ბიზნესსექტორის 90%-ზე მეტს წარმოადგენს, მაგრამ მისი წილი მშპ-ში არის დაბალი (20%-ზე ნაკლები). საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა წილი მოქმედ საწარმოთა 99.7%-ს უტოლდება, რაც ნათლად წარმოაჩენს მათ მნიშვნელობას, როგორც ეკონომიკური, ასევე, სოციალური თვალსაზრისით. მცირე და საშუალო საწარმოების დასაქმებულთა წილი 65%-ს, ხოლო მათი წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში 59%-ს უტოლდება. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია.

საწარმოთა სტატისტიკურ მაჩვენებელთა დინამიკური ანალიზი საქართველოში
დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით

წელი	სულ (კაცი)	მსხვილი	საშუალო	მცირე
2015	626,739	198,586	137,171	290,982
2016	666,790	217,800	142,447	306,543
2017	708,165	233,589	145,463	329,112
2018	734,215	243,318	160,095	330,803
2019	756,852	265,184	152,516	339,152
2020	703,874	261,710	152,458	289,706
2021	744,256	284,181	146,950	313,125
2022 I	673,616	286,662	137,934	249,020
2022 II	695,229	293,051	140,160	262,018
2022 III	723,341	305,468	162,688	255,185

წყარო: საქსტატი

როგორც ჩანს ცხრილიდან, 2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა მსხვილ, საშუალო და მცირე ზომის საწარმოებში. აქედან საშუალოდ 67 % საწარმოებში დასაქმებულების მოდის მცირე და საშუალო საწარმოებზე. 2020 წელს კი შეინიშნება კლება, განსაკუთრებით მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის (15%-ით წინა წელთან შედარებით). აღნიშნული იყო გამოწვეული მსოფლიო პანდემიის გავლენით (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

დაქირავებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით

წელი	სულ (კაცი)	მსხვილი	საშუალო	მცირე
2015	584,484	198,449	136,619	249,416
2016	620,069	217,686	142,120	260,263
2017	652,439	233,246	144,990	274,203
2018	679,453	243,185	159,299	276,969
2019	702,015	265,081	152,249	284,685
2020	656,267	261,547	152,205	242,515
2021	688,053	284,145	146,841	257,068
2022 I	637,114	286,589	137,667	212,858
2022 II	656,713	292,987	139,818	223,907
2022 III	683,091	304,350	162,397	216,345

წყარო: საქსტატი

თუ განვიხილავთ 2015 წლიდან 2022 წლის ჩათვლით პერიოდს, დაქირავებულთა რაოდენობის მიხედვით შეიმჩნევა ზრდადი ტენდენცია მსხვილ, საშუალო და მცირე ზომის საწარმოებში. პანდემიის შედეგად, 2022 წელს დაქირავებულთა რაოდენობა შემცირდა 3534 კაცით მსხვილ, 44-ით საშუალო, 42170-ით მცირე საწარმოში. მაგრამ მცირე საწარმოებში კლება

2018-2019 წლებშიც აღინიშნებოდა. რაც შეეხება 2022 წელს, დაქირავებულთა რაოდენობა კვლავ იზრდება როგორც მსხვილ, ასევე საშუალო და მცირე ზომის საწარმოებში.

დიაგრამა 1

დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება საწარმოთა ზომის მიხედვით



საქართველოს სტატისტიკის მონაცემების მიხედვით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2015-2022 წლებში ყოველწლიურად იზრდება. პანდემიის პერიოდშიც კი აღინიშნება ზრდადი ტენდენცია: 2020 წელს 2019 წელთან შედარებით ხელფასი გაიზარდა 19.6 ლარით მსხვილ საწარმოებში, 2.8-ით საშუალო და 98.1-ით მცირე საწარმოებში. 2021 წელს 2020 წელთან მიმართებით კი შრომის ანაზღაურება გაიზარდა თითქმის 15 %-ით მსხვილ, 14 %-ით საშუალო და 2 %-ით მცირე საწარმოებში (იხ. დიაგრამა 1).

ცხრილი 2

ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით (მლნ ლარი)

წელი	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე
2015	56,984.8	24,671.6	13,294.6	19,018.7
2016	64,081.8	28,256.3	14,039.1	21,786.4
2017	71,740.1	32,201.1	16,568.3	22,970.7
2018	86,625.1	42,902.7	18,543.2	25,179.1
2019	109,024.3	60,504.6	21,065.5	27,454.2
2020	114,348.5	66,694.6	20,484.6	27,169.3
2021	150,414.9	98,245.9	24,350.3	27,818.7
2022 I	38,564.3	25,592.6	5,820.0	7,151.7
2022 II	41,663.9	25,606.5	7,276.0	8,781.4
2022 III	47,538.1	29,340.3	7,849.6	10,348.1

წყარო: საქსტატი

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2015-2019 წლების პერიოდში ბრუნვა იზრდება სამივე სახის საწარმოებში. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით ბრუნვა შემცირდა 580.9 საშუალო და 284.9

მლნ ლარით მცირე საწარმოებში, მაგრამ 36066.4 მლნ ლარით გაიზარდა მსხვილ ბიზნესში. საბოლოოდ ბრუნვა გაიზარდა მთლიანად ბიზნესსექტორში. 2022 წლის სამივე კვარტლის მიხედვით ზრდადი ტენდენცია შეიმჩნევა (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 3

პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომის მიხედვით

წელი	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე
2015	29,993.9	12,520.0	7,873.5	9,600.4
2016	34,156.9	14,201.5	8,573.9	11,381.4
2017	38,206.8	15,594.7	9,719.2	12,892.9
2018	41,649.2	16,843.5	11,082.5	13,723.3
2019	47,494.7	19,765.9	12,535.6	15,193.3
2020	46,227.3	18,642.2	12,542.3	15,042.8
2021	57,613.8	26,989.0	14,085.7	16,539.1
2022 I	14,088.7	6,918.3	3,293.6	3,876.8
2022 II	16,479.8	7,912.1	3,872.0	4,695.6
2022 III	18,886.9	8,670.9	4,522.2	5,693.8

წყარო: საქსტატი

პროდუქციის გამოშვების მონაცემებიდან ჩანს, რომ 2015-2019 წლებში მაჩვენებლები იზრდება მთელ ბიზნესსექტორში. 2020 წელს კი კლებადი ტენდენცია შეიმჩნევა მსხვილ და მცირე საწარმოებში, ხოლო საშუალო ბიზნესში სტაბილურად ზრდადია. შემცირება გამოიწვია პანდემიის დასაწყისში გატარებულმა მკაცრმა შეზღუდვებმა. რეგულაციების შემსუბუქების შედეგად, 2022 წელს გამოშვება გაიზარდა მთლიანად ბიზნესსექტორში (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში საწარმოთა ზომების მიხედვით

წელი	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე
2016	1,653,993.4	1,136,006.0	327,582.2	190,405.2
2017	1,990,526.5	1,165,698.4	378,799.4	446,028.7
2018	1,351,529.7	855,660.1	-12,536.5	508,406.1
2019	1,352,181.7	773,314.5	336,420.9	242,446.3
2020	589,798.1	564,619.0	-22,413.9	47,593.0
2021	1,241,821.7	722,473.2	104,553.2	414,795.2
2022 I	576,896.0	451,757.9	32,980.7	92,157.5
2022 II	353,424.4	209,640.3	38,982.8	104,801.3
2022 III	745,257.4	458,013.9	-13,903.4	301,146.9

წყარო: საქსტატი

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების კლებადი ტენდენცია გამოიკვეთა 2017-2020 წლებში მსხვილ და საშუალო ბიზნესში. 2019 წელს 2018 წელთან შედარებით მცირე ბიზნესში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები შემცირდა 52%-ით, ხოლო 2020 წელს წინა წელთან მიმართე-

ბით 80%-ით. 2020 წელს ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა მთლიანად ბიზნესსექტორში. 2022 წლის წინასწარი მონაცემებით არაერთგვაროვანი ტენდენცია შეიმჩნევა (იხ. ცხრილი 4).

PwC-ის მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით "Follow-up Survey of Georgian Business in the face of Covid-19 Pandemic", გამოკითხული ბიზნესის უმრავლესობის აზრით, ერთობლივი მოთხოვნის შემცირება არის პანდემიის ყველაზე სერიოზული უარყოფითი ეფექტი ყველა სექტორისთვის. გამოკითხული კომპანიების 68% აცხადებს, რომ 2020 წლის მაისის შემდგომ მისი შემოსავლები სულ მცირე განახევრდა. სექტორულ ჭრილში, ყველაზე დიდი დარტყმა მიადგა სასტუმროებისა და რესტორნების სექტორს (განახევრებულ შემოსავლებზე საუბრობს კომპანიების 84%), რასაც მოყვება სოფლის მეურნეობა (განახევრებული შემოსავლები კომპანიების 59%-ში), მშენებლობა (კომპანიების 36%) და ვაჭრობა (კომპანიების 34%). მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ გამოკითხული კომპანიების 75%-მა განაახლა საქმიანობა შეზღუდვების მოხსნის შემდეგ.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები და პროგრამები

საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პირველი სტრატეგია (2016-2020 წწ) და შესაბამისი სამოქმედო გეგმა შემუშავდა ევროკავშირის მხარდაჭერით და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასა (OECD) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) აქტიური თანამშრომლობით. სტრატეგიის განხორციელების ბოლო წელი დაემთხვა კოვიდ-19-ის გლობალურ პანდემიას და მისგან გამოწვეულ კრიზისს, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე, ზიანი მიაყენა ბიზნესის საქიანობას, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. შედეგად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემდგომი, 2021-2025 წლების სტრატეგია მიზნად ისახავს პანდემიამდე არსებული დადებითი ტენდენციების აღდგენას და მცირე და საშუალო მეწარმეობის შემდგომი განვითარების ხელშეწყობას. მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის განვითარების შემდგომი სტრატეგიული ხედვის არსებობის აქტუალურობას აძლიერებს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება (რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)), რომლის კონტექსტშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ DCFTA-ის მოთხოვნების დაკმაყოფილება [1]. პროექტი „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში" ნიადაგს ამზადებს მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისთვის საქართველოში და ხელს უწყობს საშუალო და მცირე მეწარმეების ინფორმირებულობის ამაღლებას DCFTA-ს შესახებ [5].

მეწარმეთა მხარდამჭერი ინსტიტუდიდან გამორჩეულია აწარმოე საქართველოში, რომელიც შეიქმნა 2014 წელს და მისი მიზანია კერძო სექტორის კონკურენტიანობის ზრდა, ექსპორტის ზრდის მხარდაჭერა და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების წახალისება. ინსტიტუტს გააჩნია სამი მიმართულება. ბიზნესის განვითარების მიმართულება მოიცავს საქართველოში მეწარმეობის განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის პროგრამას „აწარმოე საქართველოში". პროგრამა ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას; შესაძლებლობას აძლევს მეწარმეებს განავითარონ სასტუმრო ბიზნესი და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები; უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას; მოიცავს მიკრო და მცირე გრანტების პროგრამას, რომლის მიზანია მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა. ასევე, მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო

სააგენტომ საქართველოში განსაკუთრებით დაზარალებული ინდუსტრიების ხელშეწყობის მიზნით შეიმუშავა ახალი პროგრამები. სააგენტოს ექსპორტის მიმართულება მუდმივად ახდენს მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების იდენტიფიცირებას და მათ მხარდაჭერას [1].

სააგენტოს ორგანიზებით და თანადაფინანსებით ქართველი ექსპორტიორები ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენებსა და სხვა ექსპორტის მასტიმულირებელ ღონისძიებებში. მაგალითად გამოდგება Gulfood 2021 გამოფენაში ქართული ფირმების მონაწილეობა.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერი ძირითადი სახელმწიფო უწყებაა. სააგენტოს მიზნებია: ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია, ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების (R&D) სტიმულირება, მათი კომერციალიზაციისა და გამოყენების ხელშეწყობა, ინოვაციური დამწყები კომპანიების შექმნის და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა.

ასევე, საქართველოში ფუნქციონირებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი რამდენიმე ასოციაცია: სავაჭრო სამრეწველო პალატა, რომლის მიზანია ბიზნესებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ბიზნეს სუბიექტების პროფესიული განათლების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა, საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება; საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, რომლის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესების დაცვა და კონსალტინგი, მცირე და საშუალო ბიზნესის მხრიდან აქტიური კომუნიკაციის დამყარება სახელმწიფო სტრუქტურებთან, საფინანსო ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; დამსაქმებელთა ასოციაცია, რომელიც უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გაწევას მეწარმეებისთვის და ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას სამეწარმეო ცოდნის, სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის.

დასკვნა

მცირე და საშუალო ბიზნესი არის საბაზრო ურთიერთობების საფუძველი, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. აღნიშნული სექტორი არის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი გზა. როგორც სტატისტიკური მასალებიდან ჩანს, 2022 წელს მთლიანად ბიზნესსექტორი დაზარალდა პანდემიის პირობებში. მცირე და საშუალო მეწარმეები უძულებულნი გახდნენ შეემცირებინათ დასაქმებულთა რაოდენობა. ერთობლივი მოთხოვნის შემცირების გამო მცირე და საშუალო ბიზნესსექტორმა შეამცირა პროდუქციის გამოშვება, რაც აისახა ბრუნვის მაჩვენებელზეც. ზოგიერთ საწარმოს მკაცრი რეგულაციების გამო მოუწია საქმიანობის შეჩერება ან შეწყვეტა.

აღსანიშნავია მთავრობის მიერ ჩატარებული რეფორმები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული პროგრამა არის „აწარმოე საქართველოში“. მსგავსი პროგრამების დახმარებით მცირე და საშუალო მეწარმეებს ეძლევათ განვითარების საშუალება, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

ზოგადი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. განსაკუთრებით მდგომარეობა გაუარესდა პანდემიის დროს. ამიტომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია მიზნად ისახავს პანდემიამდე არსებული დადებითი ტენდენციების აღდგენას და მცირე და საშუალო მეწარმეობის შემდგომი განვითარების ხელშეწყობას.

ლიტერატურა

1. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია. http://www.moesd.gov.ge/uploads/files/2017/ek__politika/strategia_2021_2025/mcire_da_sashualo_mecarmeobis_strategia_2021_2025.pdf ბოლო ნახვა 29.01.2023
2. საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva ბოლო ნახვა 29.01.2023
3. Ayyagari, M., Asli, D., & Maksimovic, V. (2007). Firm Innovation in emerging markets. *World Bank Policy Research Paper 4157*. Washington: The World Bank.
4. Shiu, E., & Walker, D. (2007). New product market visioning in small enterprises. *Journal of Small Business and Enterprise Development,* 14(1) 81-92.
5. http://www.dcfta.gov.ge/ge/international
6. http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1412290223091a66.pdf

Nino Adamia
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Small and Medium Business in Georgia and its Institutions and Promotion Programs

SUMMARY

Small and medium business is a segment that has a significant impact on the development of the national economy, the growth of the competitiveness of the industry and the activation of innovation. Small and medium-sized businesses provide jobs and improve the welfare of the population. Accordingly, the pace of economic growth largely depends on the quality of functioning of small and medium-sized enterprises in the country. The article is devoted to the discussion of small and medium-sized businesses. The introductory part of the work is devoted to small and medium-sized businesses and their role in the country's economy. The next part analyzes the declared data of the State Statistics Service of Georgia on business forms on such economic indicators as: the number of employees, the number of employees, the average monthly salary of employees, trade turnover, output, direct foreign deliveries. investments. As can be seen from the statistical materials, in 2022 the entire business sector was affected by the pandemic. Small and medium enterprises were forced to reduce the number of employees. Due to the decrease in aggregate demand, the sector of small and medium businesses reduced the output of products, which was also reflected in the turnover rate. Some enterprises have had to suspend or cease operations due to strict regulations. The main part discusses institutions and programs for the development of small and medium-sized businesses. It is worth noting the reforms carried out by the government in order to promote small and medium-sized businesses. One of the outstanding and successful programs is ~Produce in Georgia~. With the help of similar programs, small and medium-sized entrepreneurs are given the opportunity to develop, which positively affects the economic growth of the country. Despite the improvement of the general business environment, in terms of small and medium entrepreneurship development, Georgia faces the same challenges as in many developing countries. The situation worsened during the pandemic. Therefore, the 2021-2025 strategy for the development of small and medium entrepreneurship aims to restore the positive trends that existed before the pandemic and to promote the further development of small and medium entrepreneurship. The last part presents the author's conclusions on this issue.

ნანა ასლამაზიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოწინავე ტექნოლოგიები, როგორც ეკონომიკის ფუნქციონირების მთავარი გენერატორი პოსტკოვიდურ რეალობაში

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ COVID-19-მა ხალიკალუჩად შეცვალა ათვლის წერტილი ადამიანთა საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. ამასთან, მან „გააფრთხილა“ საზოგადოება, რომ „მოდუნების“ ხანა წარსულს ჩაბარდა და თუ მას სტაბილურობა სურს იგი მუდმივად მზადყოფნაში უნდა სხვადასხვა ტიპის კრიზისისთვის. ეს უკანასკნელი კი, დიდი აღბათობით, უკვე ნაკლებად გულისხმობს აქამდე ნაცნობ სცენარებს. როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტის ბალიოლის კოლეჯის მკვლევარი და წიგნის „მსოფლიო სამუშაოს გარეშე“ ავტორი დანიელ სუსსკინდი წერს: „ბევრი პრობლემა, რომელსაც ჩვენ შევხვდებით მომდევნო ათწლეულის განმავლობაში, უბრალოდ იქნება უფრო ექსტრემალური ვერსიები იმ პრობლემებისა, რომლებსაც უკვე ვაწყდებით დღეს“ (Susskind et al, 2020).

იმისათვის, რათა ამიერიდან უკვე „განსხვავებული“ მსოფლიო უკეთესი იყოს, ვიდრე აქამდე, ძალიან ბევრი პრობლემა ფუნდამენტურ განხილვასა და შეფასებას, შესაბამისად კი - დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკისთვის, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა, ადაპტაცია და გამოყენებაა.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოს ეკონომიკის ტექნოლოგიური მზაობის ხარისხის შესწავლა და მისი შედარება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებთან, ერთი მხრივ, და ბალტიის ქვეყნებთან და პოლონეთთან, მეორე მხრივ.

საკვანძო სიტყვები: *მოწინავე ტექნოლოგიებისთვის მზადყოფნის ინდექსი, მოწინავე ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური პროგრესი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, COVID-19.*

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელსაც COVID-19-მა განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა მიანიჭა მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა და მათი გამოყენებაა. მეტიც: პანდემიამ გააფართოვა ციფრული ქცევების არეალი და მასშტაბები და ფართოდ შეეხო ისეთ სფეროებს, რომლებშიც მანამდე ნაკლებად გამოიყენებოდა (დისტანციური მუშაობა და სწავლება, ტელე-მედიცინა და მიწოდების სხვა არხები და ა.შ). შესაბამისად, დასაქმებულთა გარკვეული ნაწილი მოწყვლადი აღმოჩნდა შრომის ახალ პირობებთან მიმართებაში, ზოგს მოუწია პროფესიის შეცვლა, არა მარტო ტექნოლოგიური, არამედ ჯანდაცვის უსაფრთხოებიდან გამომდინარე. ყოველივე ამან გაამწვავა და გააქტიურა კონკურენცია შრომის ბაზარზე და ეს პოსტკოვიდური პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

მსოფლიო და ცალკეული ეკონომიკებისათვის სერიოზული გამოწვევაა მიწოდების ჯაჭვების რღვევა და მათი თანამედროვე არქიტექტურის ფორმირების ამოცანა (Aslamazishvili, 2022). დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ითამაშებს ეკონომიკების მზადყოფნა სწორედ მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის, ადაპტაციისა და გამოყენებისათვის.

მოწინავე ტექნოლოგიები წარმოადგენს ერთადერთ სწორ გზას პროდუქტიულობის გასაზრდელად. დაწყებული გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან პროდუქტიულობა განუხრელად იზრდებოდა და გლობალური მასშტაბით ზრდამ შეადგინა 21.2 ათასიდან 37.8 ათასი აშშ დოლარი ერთ მომუშავეზე. აბსოლუტურ გამოსახულებაში დიდი ზრდა დაფიქსირდა განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა შეფარდებით გამოსახულებაში, ზრდა მეტი იყო საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნებში: 12.7 ათასიდან 35.9 ათას აშშ დოლარამდე (UNCTAD, 2021).

ტექნოლოგიური პროგრესი აუცილებელია მდგრადი განვითარებისთვის, მაგრამ ასევე შეუძლია გააღრმავოს უთანასწორობა ან შექმნას ახალი (UNCTAD, 2021). სად ვართ ჩვენ და რა

გამოწვევების წინაშე ვიმყოფებით ამ თვალსაზრისით? სწორედ ამ კითხვებს ეხმიანება წინამდებარე სტატია.

ტექნოლოგიური პროგრესი მდგრადი განვითარებისთვის: საქართველოს პოზიციონირება.

2015 წელს, როდესაც ხელი მოეწერა მსოფლოში აქამდე არსებულთა შორის ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ დღის წესრიგს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ 2030 წლამდე, ამ უკანასკნელის მიღწევის მთავარ საშუალებად აღიარებულ იქნა ტექნოლოგიები (ESCAP, 2018).

ტექნოლოგიების განვითარების უკანასკნელი ტენდენციებით თუ ვიმსჯელებთ, ეჭვგარეშეა, რომ ეკონომიკების მდგრადი განვითარებისთვის მათ ალტერნატივა არ გააჩნიათ. თუმცა, მათი განვითარების დონეებს შორის უთანაბრობას ასევე შეუძლია გააღრმაოს უთანაბრობა ქვეყნებს შორის. პანდემიამ ნათელი გახადა, რომ მოწინავე ტექნოლოგიებმა დიდი როლი ითამაშა დაავადების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ყველასათვის არა არის ისინი ხელმისაწვდომი. ეს უკანასკნელი კი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

სტატიაში ჩვენ გავაანალიზეთ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მიერ გამოქვეყნებული მოწინავე ტექნოლოგიებისათვის მზადყოფნის ინდექსი, რომელიც მოწოდებულია შეისწავლოს მოწინავე ტექნოლოგიების გავრცელების დონე მსოფლიოში და დაანახოს ქვეყნებს, რომ ამ მიმართულებით სვლის გარეშე შეუძლებელია მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა.

მოწინავე ტექნოლოგიებისათვის მზადყოფნის ინდექსი წარმოადგენს კომპოზიტიურ ინდიკატორს, აგებულს ხუთი ინდექსის, კერძოდ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, უნარების, R&D საქმიანობის, საწარმოო აქტივობისა და ფინანსებზე წვდომის ინდექსების საფუძველზე (იხ. ჩანართი 1). UNCTAD-ის ბოლო კვლევის თანახმად, მოწინავე ტექნოლოგიებისათვის მზადყოფნის დონის მიხედვით ქვეყნების პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება: (1) აშშ - ინდექსი 1.00, (2) შვეიცარია - 0.97, (3) გაერთიანებული სამეფო - 0.96, (4) შვედეთი - 0.96, (5) სინგაპური - 0.95, (6) ნიდერლანდები - 0.95, (7) კორეის რესპუბლიკა - 0.93, (8) ირლანდია - 0.92, (9) გერმანია - 0.92, (10) დანია - 0.92.

სტატიაში ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ საქართველოს მონაცემების შედარებაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან, ერთი მხრივ და, ბალტიის ქვეყნებთან და პოლონეთთან, მეორე მხრივ (იხ. დიაგრამები 1-12).

მოწინავე ტექნოლოგიებისათვის მზადყოფნის საერთო ინდექსის მიხედვით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები თითქმის 2-ჯერ და მეტად ჩამორჩებიან ზემოთ აღნიშნული ათეულის ქვეყნებს. თუმცა, მათ შორისაც არის სერიოზული განსხვავებები. კერძოდ, საქართველო (ინდექსი 0.44 2019 წელს) გარკვეულად უსწრებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და მოლდოვას, მაშინ, როცა მკვეთრად ჩამორჩება უკრაინასა და ბელარუსს (0.56 და 0.53, შესაბამისად).

ჩანახთი 1.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდექსი - ახასიათებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, ხელმისაწვდომს მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის, ადაპტაციისა და გამოყენებისათვის; მოიცავს ინტერნეტ-მომხმარებლებს (პროცენტულად მოსახლეობასთან) და ჩამოტვირთვის საშუალო სისწრაფეს.

უნარების ინდექსი - ახასიათებს მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის, ადაპტაციისა და გამოყენებისათვის საჭირო უნარებს; გაანგარიშება ეყრდნობა სწავლებისათვის განკუთვნილი მოსალოდნელი წლებისა და მაღალკვალიფიციური დასაქმების (პროცენტულად დასაქმებულ მოსახლეობასთან) მაჩვენებელებს.

R&D საქმიანობის ინდექსი - ახასიათებს, თუ რამდენად ხელმისაწვდომია R&D შესაძ-ლებლობები მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის, ადაპტაციისა და გამოყე-ნებისათვის; გაანგარიშება ეყრდნობა მოწინავე ტექნოლოგიების სფეროში პუბლი-კაციების რაოდენობისა (SCOPUS-ის ბაზიდან) და შეტანილი პატენტების რაოდენობის მაჩვენებლებს.

საწარმოო აქტივობის ინდექსი - ახასიათებს საწარმოო აქტივობის დონის შესაბა-მისობას მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის, ადაპტაციისა და გამოყენებისადმი; გაანგარიშება ეყრდნობა მაღალტექნოლოგიური საქონლის ექსპორტისა (პროცენ-ტულად საქონლის ექსპორტის მთლიან რაოდენობასთან) და ციფრული მიწოდების მომსახურების ექსპორტის (პროცენტულად მომსახურების ექსპორტის მთლიან რაოდენობასთან) მაჩვენებლებს.

ფინანსებზე წვდომის ინდექსი - ახასიათებს კერძო სექტორის წვდომას ფინანსებზე; გაანგარიშება ეყრდნობა კერძო სექტორის ადგილობრივი დაკრედიტების შესახებ მონაცემებს (პროცენტულად მთლიან შიდა პროდუქტთან).

წყარო: https://unctadstat.unctad.org/wds/TableViewer/tableView.aspx?ReportId=227701

განსხვავება განსაკუთრებით თვალშისაცემია ბალტიის ქვეყნებთან და პოლონეთთან შედარებით (დიაგრამა 2), რომელთათვისაც ეს ინდექსი თითქმის თანაბარია (0.65 ლატვიისა და ლიეტუვასთვის, ესტონეთი 0.72 და პოლონეთი 0.73).

ჩანართი 2.













წყარო: https://unctadstat.unctad.org/wds/TableViewer/tableView.aspx?ReportId=227701

ჩანართი 2 (გაგრძელება).



დიაგრამა 7. R&D ინდექსი: აღმოსავლეთპარტნიორობის ქვეყნები, 2008-2019



დიაგრამა 8. R&D ინდექსი: ბალტიის ქვეყნები და პოლონეთი, 2008-2019



დიაგრამა 9. საწარმოო აქტივობის ინდექსი: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, 2008-2019



დიაგრამა 10. საწარმოო აქტივობის ინდექსი: ბალტიის ქვეყნები და პოლონეთი, 2008-2019



დიაგრამა 11. ფინანსებზე წვდომის ინდექსი: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, 2008-2019



დიაგრამა 12. ფინანსებზე წვდომის ინდექსი: ბალტიის ქვეყნები და პოლონეთი, 2008-2019

თითქმის ანალოგიური თანაფარდობაა ქვეყნებს შორის მოწინავე ტექნოლოგიებისათვის მზადყოფნის ინდექსის შემადგენელი ყველა ინდექსის მიხედვით, გარდა ფინანსებზე წვდომის ინდექსისა, რომლითაც საქართველო (0.70) უსწრებს შერჩეული ქვეყნებიდან ყველას, გარდა ესტონეთისა (დიაგრამები 11 და 12). გარდა ამისა, ეს ინდექსი ზრდის ტენდენციით ხასიათდება 2016 წლიდან მხოლოდ საქართველოსა და სომხეთში, მაშინ როცა დანარჩენ შერჩეულ ქვეყნებში დაახლოებით ერთ დონეზე რჩება, ან მცირდება კიდეც.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შემთხვევაში ფინანსებზე წვდომის ინდექსის (რომლის გაანგარიშება ეყრდნობა კერძო სექტორის ადგილობრივი დაკრედიტების მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობას) შედარებით მაღალი დონე ნაკლებად არის შესაბამისობაში მოწინავე ტექნოლოგიებისათვის მზადყოფნის საერთო ინდექსის დანარჩენი

კომპონენტების ინდექსების დონესთან. მაგალითად, საქართველოში ფინანსების ხელმისაწვდომობა არ არის კორელაციაში კვლევებისა და შემუშავების (R&D) სისტემის დაფინანსებასთან, რაზედაც ქვემოთ მოტანილი მონაცემებიც მეტყველებს.

მოწინავე ტექნოლოგიებისათვის მზადყოფნის საერთო ინდექსის კომპონენტებიდან ყველაზე დრამატულია კვლევებისა და შემუშავების (R&D) ინდექსის დონე საქართველოში (დიაგრამები 7 და 8). 2008-2019 წლებში იგი მხოლოდ 0.10-დან 0.18-მდე გაიზარდა და შერჩეული ქვეყნებიდან უსწრებს მხოლოდ სომხეთს (0.15).

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეროვნული კვლევისა და შემუშავების (R&D) სისტემების ევროკავშირის კვლევით სივრცესთან (ERA) დაახლოება, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ინიციატივის (2008) ფარგლებში, ამ ქვეყნების ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთი მიმართულებაა. შესაბამის ამოცანებსაც, ერთი შეხედვით, დიდი ყურადღებაც ექცევა ამ ქვეყნების ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებში. თუმცა, ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა დანახარჯები კვლევასა და შემუშავებაზე (R&D) მშპ-სთან მიმართებაში, ჯერ კიდევ შორსაა სასურველისაგან, რაზედაც ქვემოთ მოტანილი ცხრილის მონაცემები მეტყველებს:

ცხრილი 1

დანახარჯები კვლევასა და შემუშავებაზე (R&D) მშპ-სთან მიმართებაში, 2021

ქვეყანა	R&D-ზე დანახარჯები მშპ-სთან,%	ქვეყანა	R&D-ზე დანახარჯები მშპ-სთან,%
მსოფლიო	2.63	მოლდოვა	0.23
ევროკავშირი	2.32	უკრაინა	0.41
საქართველო	0.30	ესტონეთი	1.79
აზერბაიჯანი	0.22	ლატვია	0.71
სომხეთი	0.21	ლიეტუვა	1.16
ბელარუსი	0.55	პოლონეთი	1.39

წყარო: https://data.worldbank.org/indicator/GB.XPD.RSDV.GD.ZS?name_desc=true&view=chart

შესაბამისად, UNCTAD-ის მონაცემები საქართველოს შესახებ, ამ მაჩვენებლის მიხედვით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს (დიაგრამები 7 და 8). აღნიშნულის მიზეზები ჩვენს ქვეყანაში უამრავია, რის შედეგადაც კვლევასთან და შემუშავებასთან (R&D) დაკავშირებული პოლიტიკა ქვეყანაში დღემდე გაურკვეველია . უნდა აღინიშნოს, რომ კვლევისა და შემუშავების (R&D) სფეროს რეფორმირების საქართველოს მაგალითი, როგორც უარყოფითი გამოცდილება, შესულია ევროკომისიის მიერ ინიცირებული *პოლიტიკის მხარდაჭერის მექანიზმი* (Policy Support Facility; PSF), სომხეთის მისიის ანგარიშში (Shatberashvili et al, 2021). ეჭვგარეშეა რომ, თუ საქართველოს კვლევისა და შემუშავების (R&D) სისტემა გააგრძელებს დღეისათვის სახეზე არსებული ტრაექტორიით სვლას, კატასტროფა გარდუვალი იქნება.

ქვეყნის კვლევისა და შემუშავების (R&D) სისტემის ჩამორჩენილობა მკვეთრ უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოო აქტივობის დონის მაჩვენებლებზე (დიაგრამები 9 და 10). შესაბამისი ინდექსის მიხედვით საქართველო (0.45) უსწრებს მხოლოდ სომხეთსა (0.38) და აზერბაიჯანს (0.15). ამ ინდექსის შემადგენელი კომპონენტების - მაღალტექნოლოგიური საქონლის ექსპორტისა (პროცენტულად საქონლის ექსპორტის მთლიან მოცულობასთან) და ციფრული მომსახურების ექსპორტის (პროცენტულად მომსახურების ექსპორტის მთლიან მოცულობასთან) მაჩვენებლებით საქართველოს ყველაზე უარესი მაჩვენებლები აქვს. მაგალითად, სამრეწველო ექსპორტში მაღალტექნოლოგიური საქონლის ექსპორტის წილი 2021 წლის მონაცემებით 1.6 პროცენტს შეადგენდა (დიაგრამა 13), რაც კიდევ უფრო დაბალი იყო პანდემიამდელი პერიოდის ასევე დაბალ მაჩვენებელთან შედარებით (2.6 პროცენტი - 2019 წელს). ანალოგიური

მდგომარეობა შეინიშნება ციფრული მომსახურების ექსპორტის სფეროში - ყველაზე უარესი მდგომარეობა შერჩეულ ქვეყნებს შორის (დიაგრამა 14).

ჩანართი 3.





წყარო: https://data.worldbank.org/indicator/TX.VAL.TECH.MF.ZS
https://unctadstat.unctad.org/wds/TableViewer/tableView.aspx

კვლევისა და შემუშავების (R&D) სისტემის ჩამორჩენილობა და, შესაბამისად, საწარმოო აქტივობის დონის დაბალი მაჩვენებლები დიდწილად განპირობებულია მწირი დაფინანსებითა და პროფესიული და საწარმოო უნარების დაბალი დონით. ნიშანდობლივია, რომ უნარების ინდექსი (რომელიც ეყრდნობა სწავლებისათვის განკუთვნილი მოსალოდნელი წლებისა და მაღალკვალიფიციური დასაქმების მაჩვენებელებს) 2008-2019 წლებში ხასიათდებოდა კლების ტენდენციით ყველა შერჩეული ქვეყნის მიხედვით (დიაგრამები 5 და 6). კვლევები უჩვენებს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობისა დ ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ეს განპირობებულია არა მარტო განათლების ხარისხის მკვეთრი ვარდნით, არამედ აგრეთვე „ტვინების გადინებით“ ((Shatberashvili et al, 2021).

დასკვნები და რეკომენდაციები.

ეკონომისტები თანხმდებიან მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის, ადაპტირებისა და გამოყენების აუცილებლობაზე პოსტკოვიდური პერიოდში, როგორც ამ უკანასკნელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევაზე.

მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოში, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის, ადაპტირებისა და გამოყენების დონე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ ქვეყნების განვითარებაზე და, სავარაუდოა, რომ ამ ეკონომიკების განვითარების დღეისათვის არსებული დონე და ტენდენციები მეტწილად ილუზორულია. აღნიშნული პრობლემის მოგვარების გაჭიანურებით უფრო მწვავდება არსებული ჩამორჩენილობა და იკარგება და ქრება ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი - ადამიანური კაპიტალი. ის ფაქტი, რომ ამ ტენდენციას, უკვე სამ ათეულ წელზე მეტია რაც შეუქცევადი ხასიათი აქვს (გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან), მეტყველებს იმაზე, რომ პრობლემა კატასტროფულად მძიმეა და მის გამოსწორებას ათეული წლები დასჭირდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია პოლიტიკის დროულად და კომპლექსურად ფოკუსირება, პოსტკოვიდური პერიოდის სხვა პრიორიტეტულ ღონისძიებებ-

თან ერთად, ეროვნული ეკონომიკის მოწინავე ტექნოლოგიებისათვის მზადყოფნის საერთო ინდექსისა და მისი კომპონენტების გაუმჯობესებაზე. ამისათვის კი აუცილებელია „... ამბიციური რეკონსტრუქციის გეგმების შემუშავება ...“ (Susskind et al, 2020) და განხორციელება მთელი რიგი მიმართულებით, რათა დაძლეულ იქნას პოსტკოვიდური პერიოდის გამოწვევები.

ლიტერატურა

1. Aslamazishvili, N. (2022). Pandemic and Statistical Perspectives of Rethinking Supply Chains Strategies. Proceedings of the International Scientific Conference Dedicated to the Establishment of the Tbilisi State University and the 100th Anniversary of The Faculty of Economics and Business: "COVID 19 Pandemic and Economics". 8 February, 2022. Tbilisi. https://www.researchgate.net/publication/358466052_pandemia_da_mitsodebis_jachvebis_strategiebis_akhleburi_gaazrebis_statistikuri_perspektivebi_-_Pandemic_and_Statistical_Perspectives_of_Rethinking_Supply_Chains_Strategies
2. ESCAP (2018). Frontier Technologies for Sustainable Development in Asia and the Pacific. UN ESCAP.
3. Susskind, D., Manyika, J., Saldanha, J., Burrow, Sh., Rebelo, S., Bremmer, I. (2020). Life Post-Covid-19. Finance & Development. IMF. https://www.imf.org/en/Publications/fandd/issues/2020/06/how-will-the-world-be-different-after-COVID-19
4. UNCTAD (2022). Handbook of Statistics. United Nations. Geneva. https://unctad.org/system/files/official-document/tdstat47_en.pdf
5. UNCTAD (2021). Technology and Innovation Report. United Nations. Geneva. https://unctad.org/page/technology-and-innovation-report-2021
6. Shatberashvili O., Nochvai V., Porsescu S., Aslamazishvili N., Gagnidze I.,Ivanchenko K., Chilingaryan K., and Pogosyan G. (2021). Enhancing EaP-EU cooperation in R&I through comparative analyses of EaP national research systems. EaP Civil Society Forum. https://www.researchgate.net/publication/351528067_Enhancing-Fin-10-7-1 [accessed Jan 20 2023].
7. UNCTADStat. https://unctadstat.unctad.org/wds/TableViewer/tableView.aspx?ReportId=227701
8. https://data.worldbank.org/

Nana Aslamazishvili
Doctor of Economics, Invited Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Frontier Technologies as the Main Driver of the Post-COVID Economy

SUMMARY

Needless to say, that today COVID-19 has become a turning point in almost in all spheres of human activity. At the same time, he “warned” our society that the era of “relaxation” has passed and if it wants stability, it must be constantly ready for new various kind of crisis. And the latter, most likely, implies less familiar scenarios. Many economists agreed, that the problems we will face in the next decade will simply be more extreme versions of those that we already confront today.

In order for the “different” world to become better than the former one, many problems must be fundamentally discussed and evaluated, and therefore immediately resolved. One of these problems, which is critical for our economy, is the implementation, adaptation and use of frontier technologies.

Indeed, in 2015, when the world signed up to the most ambitious agenda ever agreed – the 2030 Agenda for Sustainable Development – frontier technologies was heralded as a key means of implementation for their achievement.

In the paper, we analyzed the index of readiness for frontier technologies published by the United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD), which aims to study the level of diffu-

sion of frontier technologies in the world and show countries that without moving in this direction, it is impossible to achieve sustainable development goals, or overcome the post-Covid challenges. We focused on comparing the data of Georgia with the similar data of the Eastern Partnership countries, on the one hand, and with the Baltic countries and Poland, on the other hand.

Data analysis revealed that the level of implementation, adapting and use of frontier technologies in the Eastern Partnership countries, including Georgia, does not stand up to criticism, cannot influence the development of these countries, and it is likely that the current level and development trends of these economies in largely illusory. By delaying the solution of the mentioned problem, the existing backwardness is aggravated and the most important resource – human capital – is lost and disappears. The fact that this trend has been irreversible for more than three decades (since the 90s of the last century) shows that the problem is catastrophically critical and it will take decades to achieve desirable results.

Thus, it is very important to timely and multifaceted policy focus, along with other priority measures of the post-Covid period, on improving the overall index of readiness for frontier technologies of the national economy and its components. And for this, it is necessary to develop ambitious reconstruction plans and implement them in a number of directions in order to overcome the challenges of the post-Covid period.
Keywords: Frontier technologies readiness index, Frontier technologies, Technological progress, Easter Partnership countries, COVID-19.

გივი ბედიანაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოსტპანდემიური პერიოდის მაკროსისტემური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები

ნაშრომში გაანალიზებულია პოსტპანდემიური პერიოდის მაკროსისტემური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. განხილულია კლიმატის ცვლილების გაუკვეველობის ზრდასთან დაკავშირებული გამოწვევები. გაანალიზებულია კლიმატის ცვლილების პრობლემის ნეგატიური ზეგავლენა ეკონომურ ზრდაზე. გამომდინარე მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნებიდან, გამოყოფილია კლიმატის პოლიტიკისა და ეკონომიკური ზრდის უთანხმობების სწორი განსაზღვრის დიდი მნიშვნელობა. დიგიტალიზაციის, როგორც ერთ-ერთი პოსტპანდემიური გამოწვევის საპასუხოდ, აღნიშნულია მომავლის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანისეული კაპიტალის განვითარების აქტუალობა. ზრდადი გაუკვეველობის მოლოდინებიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია სტრესის ფაქტორი, რომელიც არსებით უარყოფით გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ხაზგასმულია სწავლა-სწავლების პროცესში გაუკვეველობასთან დამოკიდებულების კულტურული ფასეულობების დონეზე გარდაქმნის შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები: *პოსტპანდემიური პერიოდი, მაკროსისტემური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები*

მნიშვნელოვანი შოკი იყო მსოფლიოს ქვეყნებისთვის COVID-19-ის პანდემია, რომელიც შეეხო ყოველი ქვეყნის ეკონომიკას და საზოგადოების ყველა სფეროს. მსოფლიო არ იყო მზად ამისთვის, რაც აისახა კორონომიკურ კრიზისში (Papava, 2020).

COVID-19-ის პანდემიამ საქართველოს, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებს, მძიმე დარტყმა მიაყენა. მობილობის შეზღუდვამ, საერთაშორისო ტურისტების ჩამოსვლის მოულოდნელმა შეჩერებამ და სუსტმა საგარეო მოთხოვნამ პანდემიის პერიოდში შესამჩნევი ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია. სიღარიბის მაჩვენებელი დაახლოებით 5.4 პროცენტული ერთეულით გაიზარდა. სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის დაკარგვა განსაკუთრებით მწვავე პრობლემა აღმოჩნდა. ფისკალურმა დეფიციტმა და სახელმწიფო ვალმა დადგენილ ზღვარს გადააჭარბა, ფისკალურ და საგარეო სავაჭრო ბალანსზე კრიზისის ზეწოლის პირობებში (The World Bank, 2022).

COVID-19-ის პანდემიის მიმდინარეობის გასული პერიოდის ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე მსოფლიო, გლობალური ეკონომიკა და ეროვნული ეკონომიკები ხასიათდებიან მთელი რიგი თავისებურებებით. მსოფლიო ეკონომიკის კონტექსტით COVID-19-ის გავრცელებამ აქტუალური გახდა, პირველ რიგში, ისეთი სისტემური და მაკროეკონიმიკური მდგენელები, როგორიცაა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის დონე, შოკების შედეგად ეკონომიკის ვარდნის სიღრმე და პოსტკრიზისული აღდგენის სპეციფიკა, კორონავირუსული და სხვა გარე შოკები, კორონომიკური საგადასახადო რეგულიაციები, სხვა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები (ბედიანაშვილი, 2021).

პოსტპანდემიური გამოწვევების განხილვისას აუცილებელია თანამედროვე გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებების გათვალისწინება. თუ პანდემიის პერიოდი გამოირჩეოდა ტურბულენტური გლობალიზაციით, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყების და რუსეთის მიმართ დასავლეთის სანქციების გამო, მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ტრანსფორმაციის პროცესი დაიწყო, გლობალიზაციის პროცესებმა მიიღო ახალი კონფრონტაციული ხასიათი (Papava, 2022a; Papava, 2022b), რაც პანდემიიდან, იმედია, გამოსვლის განმავლობაში და, სავარაუდოდ, პოსტპანდემიურ პერიოდშიც შენარჩუნდება. თუმცა, გლობალიზაციის პროცესი თანამედროვე პირობებში შეიძლება გაანალიზდეს სხვადასხვა

ნიშნით (Papava, 2022a; Papava, 2022b; Papava, 2022c; Silagadze, 2022; Bedianashvili, 2022c; Robertson, 1985; Veshapidze & Karchava, 2022; Veshapidze et al, 2021).

პოსტპანდემიური პერიოდისთვის მოსალოდნელია მთელი რიგი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები (Acemoglu et al, 2022; Papava, 2022a; Bedianashvili, 2022), რომელთაგან განსაკუთრებით გამოსაყოფია კლიმატის ცვლილება (Pisu et al. 2022; Bedianashvili, 2022a), უთანასწორობის პრობლემა (Angelov & Waldenström, 2021), დიგიტალიზაცია (Benzell et al, 2021; Bedianashvili, 2021a).

კონფრონტაციული გლობალიიზაციის ეტაპზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ის, რომ მსოფლიო ცივილიზაცია მკაფიოდ გამოირჩევა გაურკვევლობის განსაკუთრებით მაღალი ხარისხით, რასაც განაპირობებენ საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესები, რომლებიც თავისი მოქმედების არეალით სცილდებიან საკუთრივ კონკრეტული ერთი სფეროს საზღვრებს და უკვე ხშირ შემთხვევაში არიან სხვა სფეროებში მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კრიზისული შოკური ეფექტების გამომწვევი მიზეზი (Bedianashvili, 2021). ამასთან ერთად, უნდა გამოიყოს გაურკვევლობის ზრდაზე მოქმედი სხადასხვა ფაქტორი (დიაგრამა 1. გაურკვევლობის ფაქტორები. წყარო: Ahir et al, 2023, VoxEU blog for details on keywords included for each category):

დიაგრამა 1



გაურკვევლობის ზრდის მიმართებით განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს კლიმატის ცვლილების პრობლემა, რამაც უდავოდ მიიღო გლობალური ფორმა. ამასთან ერთად, კლიმატის გლობალური ცვლილება განსაკუთრებულ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ყოველი ქვეყნის მთლიან სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე (Bedianashvili, 2022a). საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნები, კლიმატის გლობალური ცვლილების უარყოფით ეფექტებს ყოველწლირად განიცდის, ხოლო მისი უარყოფითი ზეგავლენა უშუალოდ ეკონომიკასა და ადამიანების ცხოვრების ხარისხზე სულ უფრო მეტად იზრდება.

თუ განვიხილავთ ეკონომიკური ზრდის ფენომენს (ეკონომიკური ზრდის მოდელების შესახებ, იხ., მაგალითად: Acemoglu, 2002; Agarwal, 2022; Aghion, & Howitt, 2009; Bedianashvili, 2022c; BonHoKoo & Perkins, 1995; Greiner & Semmler, 2008; Hendrik Van den Berg, 2017; Hess, 2013; Kakulia, 2017; Konya, 2018; Papava, 2012; Papava, 2018; Papava, 2019; Rodrick, 2013; Ros, 2013; Sengupta, 2011; Weil, 2012; ლაზარაშვილი, 2020; ჩიქობავა, 2012) კლიმატის ცვლილების გამოწვევების ფორმატში, უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა თვით ეკონომიკურ ზრდაზე (დიაგრამა 2. მოსახელეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის („მთლიანი სა-

მამულო პროდუქტი“ როგორც GDP-ის ქართულენოვანი თარგმანის შესახებ, იხილეთ: პაპავა & სილაგაძე 2019) ზარალი (%) ტემპერატურის მატებით (გრადუსი ცელსიუსის სკალით). წყარო: Kahn et al, 2019).

დიაგრამა 2



თანამედროვე გამოწვევების პირობებში აქტუალურია კლიმატის პოლიტიკისა და ეკონომიკური ზრდის ურთერთმიმართების სწორი განსაზღვრა, გამომდინარე მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნებიდან. ამასთან, მდგრადი განვითარება უნდა გულისხმობდეს ეკონომიკის, სოციალური სფეროსა და ბუნებრივი გარემოს სისტემურ მდგრადობას, მწვანე ეკონომიკის (Abesadze, 2019; Bedianashvili, 2019; The World Bank, 2012; ხუსკივაძე, 2021) და მწვანე ზრდის კონცეფციის ფორმატში.

დიგიტალიზაცია, პოსტპანდემიური პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს როგორც ციფრული ტექნოლოგიების ათვისებას ეკონომიკურ პროცესებში და საზოგადოების საქმიანობის სხვა სფეროებში, ისე ადამიანისეული კაპიტალის შემდგომ განვითარებას, თანამედროვე და მომავლის მოთხოვნებზე ორიენტაციით (Bedianashvili et al, 2021a; Bedianashvili et al, 2021b; Bichia, 2020; Shelia & Tukhashvili, 2021; Tsartsidze & Latsabidze, 2021; თოთლაძე და სხვ., 2022; ტყემალაძე, 2021).

გაურკვევლობის ზრდის გამოწვევებიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია სტრესის ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ფრიად საყურადღებოა, რომ სტრესის მაღალმა დონემ შეიძლება საზიანო გავლენა მოახდინოს არა მარტო მეხსიერებასა და ემოციურ კონტროლზე, არამედ კოგნიტურ უნარზეც (Porcelli & Delgado, 2017; Syed, 2022). რაც შეეხება გაურკვევლობის დაძლევას, ტვინი იყენებს სამ პროცესს გაურკვევლობის დასაძლევად, როგორიცაა: ყურადღება, სწავლა და შეჩვევა (Petersa et al, 2017). სწორედ სწავლა-სწავლების პროცესშია შესაძლებელი გაურკვევლობის მიმართ დამოკიდებულების კულტურული ფასეულობების დონეზე გარდაქმნა (Bedianashvili, 2022c).

ლიტერატურა

1. ბედიანაშვილი, გ. (2021). *კოვიდ-19-ის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები და ეკონომიკური განუზღვრელობის გამოწვევები. VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. 34-38.
2. თოთლაძე, ლ., ხუსკივაძე, მ., ვეშაპური, გ . (2022). ადამიანისეული კაპიტალის როლი ინოვაციური აქტივობის დეტერმინანტების ფორმირებაში. *ეკონომიკა, ბიზნესი და ადმინისტრირება*, II, 71-80.
3. ლაზარაშვილი, თ. (2020). ეკონომიკური ზრდის „მწვანე“ დაფინანსება: კონცეფციები და პრობლემები. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 9, 53-56. https://doi.org/10.35945/gb.2020.09.006
4. პაპავა ვ., სილაგაძე ა., (2019). ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – "Gross Domestic Product"-ის ქართული სახელწოდების შესახებ. *ეკონომიკა და ბიზნესი.* 2019 (1), 180-182.
5. ტყემალაძე, ი. (2021). ქოვორქინგი, როგორც მუშაობის ახალი დიზაინი დასაქმების ხელშეწყობისათვის. *ეკონომისტი*. XVII (4), 94-105.
6. ჩიქობავა, მ. (2012). კონვერგენციის შსაძლებლობები ნეოკლასიკური და ენდოგენური ზრდის მოდელების მიხედვით. *ეკონომიკა და ბიზნესი.* 4, 11.
7. ხუსკივაძე, მ. (2021). COVID-19 პანდემიის ეკოლოგიური შედეგები. *ეკონომისტი*. 1, 34-42.
8. Abesadze, R. (2019). "Green" and "Circular" Economy: Essence and Modern Challenges. *International Journal of New Economics and Social Sciences.* 2(10), 329-345.
9. Acemoglu, D. (2022). Confronting the challenges of the post-Covid world. Prospects of the Global Economy after Covid-19. Centre for Economic Policy Research, London, EC1V 0DX, 7-38.
10. Acemoglu, D. (2002). *Introduction to Modern Economic Growth*. Department of Economics, Massachusetts Institute of Technology.
11. Agarwal, P. (February 25, 2022). Economic Growth. *Intelligent Economist.*
12. Aghion, P. & Howitt, P. (2009). *The economics of Growth.* Cambridge, Massachusetts London, England.
13. Ahir, H., Bloom, N., & Furceri, D. (2023). Global Economic Uncertainty Remains Elevated, Weighing on Growth. https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2023/01/26/global-economic-uncertainty-remains-elevated-weighing-on-growth.
14. Angelov, N. & Waldenström, D. (2021). COVID-19 and Income Inequality: Evidence from Monthly Population Registers. *IFN Working Paper* No. 1396. Stockholm: Research Institute of Industrial Economics (IFN).
15. Baker, S., Bloom, N. & S. J. Davis, S., J. (2016). Measuring Economic Policy Uncertainty. *Quarterly Journal of Economics*. 131, 1593–1636.
16. Bedianashvili, G. (2021). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences,* 15(2), 191-197.
17. Bedianashvili, G., Bichia, Q., & Natsvlishvili, E. (2021a). Development of Entrepreneurial Activity, Labor Market and Modern Challenges of Higher Education. Globalization and Business. 12, 21-31. (In Georgian). https://doi.org/10.35945/ gb.2021.12.002.
18. Bedianashvili, G. Aleshchenko, L., Archvadze, J., et al (2021b). *Strategies of Socio-Economic Development and Mechanisms of Their Implementation in the Conditions of Economic Uncertainty and Globalization Changes*. Editors: Yurii Kirilov; Givi Bedianashvili; Ganna Zhosan; Quji Bichia. Kherson, Tbilisi.
19. Bedianashvili, G. (2022a). Climate Change Uncertainties and Economic Growth. *The Innovative Development of an Economy: World Experience and Perspectives*. At Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of Economics. 29-36 (In Georgian).
20. Bedianashvili, G. (2022b). The COVID-19 Pandemic, Globalization and the Socio-Economic System of the Country (Macro Aspect). Materials of International Scientific Conference: *Covid 19 Pandemic and Economics*. Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business. 38-42.
21. Bedianashvili, G. (2022c). Determinants of Economic Growth and Development in Conditions of the Modern Challenges of Globalization. *Economics, Business, and Administration*. II, 42-52 (In Georgian).
22. Benzell, S., Kotlikoff, L. J., Lagarda, G., Ye, V., Y. (September 2021). Simulating Endogenous Global Automation. NBER Working Paper No. w29220, http://dx.doi.org/10.2139/ssrn.3922494
23. Bichia, Q., (2020). Accelerated Automation and the Ecosystem of Adaption to the Changes. Globalization and Business, 10. 233-242. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.030.
24. BonHoKoo & Dwight H. Perkins (Eds). (1995). *Social Capability and Long-Term Economic Growth*. Korea Development Institute.

25. Botshekan, MH, Takaloo, A., Soureh, RH, Abdollahi Poor MS (2022). Global Economic Policy Uncertainty and Non-Performing Loans in Iranian Banks: Dynamic Correlation using the DCC-GARCH Approach. *Journal of Money and Economy*. 16 (2), 187-212. doi: 10.29252/jme.16.2.187.
26. Greiner, A. & Semmler, W. (2008). *The Global Environment, Natural Resources, and Economic Growth*. Oxford University Press, Inc., publishes works that further.
27. Hendrik Van den Berg (2017). *Economic Growth and Development*. World Scientific Publishing Co. Pte. Ltd.
28. Hess, P., N. (2013). *Economic Growth and Sustainable Development*. Routledge is an imprint of the Taylor &Francis Group, an Informa business.
29. Kakulia, N. (2017). The Characteristics of Transformation of Institutional Changes and Georgia. *Journal of Economics and Management Engineering*. 1(5), 1159-1161.
30. Konya, I. (2018). *Economic Growth in Small Open Economies. Lessons from the Visegrad Countries.* Centre for Economic and Regional Studies Budapest, Hungary.
31. Matthew E. Kahn, Kamiar Mohaddes, Ryan N. C. Ng, M. Hashem Pesaran, Mehdi Raissi & Jui-Chung Yang (2019). *Long-Term Macroeconomic Effects of Climate Change: A Cross-Country Analysis*. International Monetary Fund.
32. Obstfeld, M (eds), Prospects of the Global Economy after Covid-19, CEPR Press, London. https://cepr.org/chapters/international-financial-system-after-covid-19
33. O'Rourke, K. H., &. Williamson, J. G. (2002). When did globalization begin? *European Review of Economic History*, 6, 23-50.
34. Papava V. (2020). Coronomic Crisis: When the Economy is a Hostage to Medicine. Eurasia Review.
35. Papava, V. (2012). Economic Growth in the Central Caucaso-Asian Countries Adjusted for the Catch-Up Effect. *CENTRAL ASIA AND THE CAUCASUS.* 13(4), 120-128.
36. Papava, V. (2018). Catching Up and Catch-Up Effect: Economic Growth in Post-Communist Europe (Lessons from the European Union and the Eastern Partnership States). *European Journal of Economic Studies*, 7(2), 109-125.
37. Papava, Vladimer. (2022a). "Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization." *Eurasia Review*, May 23. https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I
38. Papava V. (2022b). On Sanctionomics and the Externalities of Economic Sanctions. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.* 16(2), 142-149.
39. Papava, V. (2022c). On the Functional Types of Globalization. Materials of VII International Scientific Conference: *Challenges of Globalization in Economics and Business*. Tbilisi, Georgia. 368-373.
40. Petersa, A., McEwenb, M.,S. & Friston, K. (2017). *Uncertainty and stress:* Why it causes diseases and how it is mastered by the brain. *Progress in Neurobiology. 156, 164-188.*
41. Pisu, M., Johansson, A., Levin, I., D'Arcangelo, F. M. (February 14, 2022). A Framework to Decarbonize the Economy. https://cepr.org/voxeu/columns/framework-decarbonise-economy
42. Porcelli, A. J., & Delgado, M. R. (April 14, 2017). Stress and Decision Making: Effects on Valuation, Learning, and Risk-taking. Curr Opin Behav Sci., 33-39. doi: 10.1016/j.cobeha.2016.11.015. PMID: 28044144; PMCID: PMC5201132.
43. Robertson, R. (1985). The relativization of society: Modern religion and globalization. In: Shepherd, William C. and Robbins, Thomas (eds) New Religious Movements and the Law. New York: Crossroads Books.
44. Rodrick, D. (2013). The Past, Present, and Future of Economic Growth.
45. Ros, J. (2013). *Rethinking Economic Development, Growth, and Institutions*. Oxford University Press.
46. Sengupta, J. (2011). *Understanding Economic Growth: Modern Theory and Experience.* Springer New York Dordrecht Heidelberg London.
47. Shelia, M., Tukhashvili, M. (2021). Employed Students in Georgia: Experience and Problems. *European Proceedings of Social and Behavioral Sciences*. 2261-2271. DOI: 10.15405/epsbs.2021.09.02.253.
48. Silagadze, A. (2022). Contemporary Global Economic Trends: Transitional Economies during Covid-Depression. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.* 16(3), 130-135.
49. Syed, I. (January 26, 2022). Decision-making under stress. https://www.thenews.com.pk/print/928126-decision-making-under-stress.
50. Tsartsidze, M., Latsabidze, N., (2021). Labour Market and Peculiarities of Informal Employment in the Context of the Global Pandemic. Globalization and Business. 12, 123-132. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.017.

51. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *16*(4).
52. Veshapidze, S., Zubiasvhili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and new Opportunities for Georgia. *Globalization & Business*, *12*, 32-36.
53. Weil, David, N. (2012). *Economic Growth*. New York: Pearson.
54. The World Bank (2022). Georgia's Economy Unlikely to Recover to Pre-COVID Levels Until Late 2022
55. The World Bank (2022). Inclusive Green Growth. The Pathway to Sustainable Development Washington

Givi Bedianashvili
Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Macrosystem Socio-Economic Challenges of the Post-Pandemic Period

SUMMARY

The macrosystemic socio-economic challenges of the post-pandemic period in the context of modern globalization are presented. The challenges associated with the increasing uncertainty of climate change are discussed. The negative impact of the climate change problem on economic growth is analyzed. In response to digitalization, as one of the post-pandemic challenges, the importance of developing human capital focused on the requirements of the future is noted. in connection with the expectations of increasing uncertainty, one should consider the stress factor, which has a significant negative impact on the decision-making process.
Keywords: post-pandemic period, macrosystem socio-economic challenges.

ხათუნა ბერიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მცირე ბიზნესის ანტიკრიზისულ რეგულირების პროცესში სცენარული ტექნოლოგიების გამოყენება

მცირე კომპანიები ცდილობენ შეინარჩუნონ არსებობისა და განვითარების შესაძლებლობები არა მხოლოდ კრიზისის პერიოდში, არამედ მის შემდეგაც. მცირე ბიზნესის გრძელვადიან ხედვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა პოსტკრიზისული განვითარების უზრუნველყოფისთვის, მაშინ, როდესაც მოკლევადიან პერიოდში გადამწყვეტია კრიზისის შედეგების განჭვრეტა და სწორი მართვა.

ბოლო წლებში მცირე საწარმოების განვითარებისთვის აქტიურად გამოიყენება გრძელვადიანი ხედვის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება - სცენარული დაგეგმვა, რომლის მთავარი ინსტრუმენტი სცენარული ანალიზია, რომელიც გამოიყენება ტურბულენტურ გარემოში, გაურკვევლობის მაღალი დონის მქონე პროცესების სტრატეგიული რეგულირების მიზნით. სცენარის ანალიზი არის მაკროეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ტექნოლოგიური გარემოს მონიტორინგის სისტემური გზა.

საკვანძო სიტყვები: *პოსტპანდემიური რეგულირება, მცირე ბიზნესი, სცენარული ტექნოლოგია, სცენარული დაგეგმვა, პროგნოზირება, Covid-19 პანდემია.*

„სცენარისა“ და „სცენარული მიდგომის“ ცნებებთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის არსებობს განსხვავებული შეხედულებანი. თუმცა, საერთო კონსენსუსი არსებობს ამ საკითხთან მიმართებით. სცენარების აგება მიზნად ისახავს ორი ძირითადი პრობლემის გადაჭრას: პირველი, მცირე ბიზნესის განვითარების საკვანძო მიმართულებების გამოვლენას და ამ საფუძველზე მისი განვითარების დინამიკის თვისობრივად განსხვავებული ვარიანტების შემუშავებას და მეორე, თითოეული ვარიანტის ყოვლისმომცველ ანალიზს, შეფასებას და შედეგების შესწავლას.

ისტორიული თვალსაზრისით, სცენარები მცირე კომპანიების მომავალი განვითარების პროგნოზების ალტერნატივად ჩამოყალიბდა. როგორც წესი, პროგნოზი ადგენს მცირე ორგანიზაციის მომავალი განვითარების ერთადერთ ტრაექტორიას, რომელიც ხშირად ევრისტიკულია. სცენარის შემუშავების საფუძველზე განისაზღვრება კონკრეტული მცირე ორგანიზაციისთვის გარე გარემოსთან ადაპტირებული, მომავალი განვითარების არგუმენტირებული ვარიანტები [Линдгрен, Бандхольд 2012. с.15]. აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა შორის არ არის მიღწეული კონსენსუსი „სცენარის“ და „სცენარული დაგეგმვის“ ცნებებთან მიმართებით. სცენარული ანალიზის მეთოდოლოგიის ავტორი - პ. შვარცი, მას განსაზღვრავს, როგორც მომავალში, საქმიანობის შესაძლო პირობების შესახებ არსებული იდეების გამარტივების ინსტრუმენტს, რომლითაც მიიღება სწორი გადაწყვეტილება. დ. ლინდგრენი თვლის, რომ სცენარის დაგეგმვა არის „სტრატეგიული დაგეგმვის ელემენტი, რომელიც დაფუძნებულია გაურკვევლობათა მართვის მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე“ [Линдгрен, Бандхольд 2012. с.32]. მ. პორტერი აღნიშნავს, რომ სცენარები არის „თანმიმდევრული შეხედულებათა სისტემა იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება იყოს კომპანიის მომავალი“ ა. ბოგრეოისის აზრით, სცენარები არის გარემოს ანალიზის საშუალება, სადაც კონცენტრირებულია მრავალი მნიშვნელოვანი, უფრო მეტიც, გავლენიანი ტენდენციები და მოვლენები [Bourgeois, 1998, P. 58].

ზემოთ აღნიშნული განმარტებებიდან ჩანს, რომ არსებობს არსებითი განსხვავება სცენარებსა და ეკონომიკურ პროგნოზებს შორის. სცენარი არის დოკუმენტი, რომელიც აღწერს იმ კრიზისულ სიტუაციას, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდეს მცირე კომპანია და ამ პირობებ-

ში მის სამოქმედო გეგმას და ამდენად, გაურკვევლობის პირობებში ის ეფექტიანი საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტი ხდება.

სცენარების შექმნის მთავარი ინსტრუმენტი სცენარული ანალიზია, რომლის მიზანია იმ მოვლენების თანმიმდევრული, დეტალური აღწერა, რის საფუძველზეც შეიძლება მივიდეთ მცირე ბიზნესის განვითარების სასურველ ვარიანტამდე [Лаева Т. с.60]. სტრატეგიული მართვის პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით, ეს მეთოდი გამოიყენება სწრაფად ცვალებად, მაღალი გაურკვევლობის მქონე გარემოში.

სცენარის დაგეგმვის კონცეფცია 1964 წელს დააფუძნა ი. ბერგერმა. 1980 წელს, თავიანთ კვლევებში, ა. ბელმა, გ. მურხოფერმა და ხ. კინმა დაასაბუთეს სტრატეგიული დაგეგმვის პირობებში სცენარების გამოყენების აუცილებლობა. ეკონომიკური პერსპექტივის განჭვრეტის მიზნით სცენარების გამოყენების შესაძლებლობანი ასახულია ამ პრობლემისადმი მ. პორტერის მიდგომებში 1980-იანი წლების ბოლოს, ამ კვლევების საფუძველზე, სპეციალისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მცირე კომპანიების სტრატეგიების შემუშავებაში მნიშვნელოვანი იყო გაურკვევლობისა და გარე გარემოს ცვალებადობის ფაქტორების გათვალისწინება [Линдгрен, Бандхольд. გვ.83].

ტრადიციული და სცენარული დაგეგმვის მეთოდები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ცხადია, რომ სცენარული დაგეგმვა მცირე ბიზნესის ორგანიზაციებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ დაუკავშირონ თავიანთი განვითარების საშუალო და გრძელვადიანი განვითარების ვარიანტები სტრატეგიულ გეგმებს. მაღალი გაურკვევლობის დროს აუცილებელია სტრატეგიული აზროვნება, რომელიც აერთიანებს მცირე კომპანიების განვითარების სცენარებსა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდებს. მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი, რომ მცირე საწარმოებმა გადალახონ ტურბულენტურ გარემოში წარმოქმნილი სირთულეები და ეფექტიანად გამოიყენონ ახლად წარმოშობილი შესაძლებლობები.

სცენარული დაგეგმვის და ორგანიზაციის ოპტიმალური სტრატეგიის არჩევის პროცესის შესახებ კვლევები ჩაატარეს მ. პორტერმა და ს. შნაარსმა. როგორც სწორად შენიშნავს მ. პორტერი: „სცენარების კოორდინაცია სტრატეგიასთან შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე გზით, ამასთან, სტრატეგიის აგება მხოლოდ ერთ სცენარზე დაყრდნობით სარისკოა“. მისი აზრით, სტრატეგიის არჩევის ხუთი ძირითადი მიდგომა არსებობს [Дятловская 2012. с.37]:

1) მივყვეთ სავარაუდო სცენარს;
2) მივყვეთ საუკეთესო სცენარს;
3) წავიდეთ კომპრომისზე;
4) დავრჩეთ მოქნილი;
5) მოვახდინოთ ზემოქმედება სცენარის შედეგებზე.

ამა თუ იმ მიდგომის არჩევა ინდივიდუალურია და დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ირჩევს სტრატეგიას. შესაძლებელია რამდენიმე მიდგომის კომბინაცია.

ამჟამად, მეცნიერულ კვლევებში დადგენილია სცენარული დაგეგმვის რამდენიმე ძირითად მიდგომა, ისეთები, როგორიცაა: გლობალური ბიზნეს ქსელის (GBN), SAMI Consulting-ის, SRI Consulting Business Intelligence-ის, TAIDA-ს, STRATX-ის, French School-ის, Futures Group-ის და სხვა. მცირე ბიზნესში სცენარული დაგეგმვის მეთოდებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე [Аакер,2012], შესაძლებელი გახდა მოგვეხდინა სცენარული დაგეგმვის ძირითადი ეტაპების სისტემატიზაცია და იმ პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც ითვალისწინებენ თითოეული ეტაპის განხორციელების სპეციფიკას (იხ. ნახაზი 1).

ნახაზი № 1

სცენარის დაგეგმვის ძირითადი ეტაპები



განვიხილოთ უფრო დეტალურად სცენარის დაგეგმვის ეტაპები.

სცენარული დაგეგმვის მეთოდოლოგიის პირველი ეტაპია „საწარმოს არსებული ბიზნესგარემოსა და არსებული ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი“, რომელიც მოიცავს სცენარების საზღვრებისა და ფოკუსის დადგენას. სცენარული მიდგომის წარმატებისთვის უმნიშვნელოვანესია ცენტრალური საკითხების იდენტიფიცირება. ისეთების როგორიცაა: უნდა დავიწყოთ თუ არა ახალი ტიპის ბიზნეს საქმიანობა? უნდა შევიძინოთ ახალი ბიზნესი თუ ავითვისოთ ახალი პროდუქტის ხაზი? უნდა ჩავდოთ თუ არა ინვესტიციები წარმოების მოდერნიზაციაში? ამ ტიპის საკითხების გააზრების პროცესში მათგან ირჩევენ ყველაზე მნიშვნელოვანს, რის საფუძველზეც ყველა სცენარისათვის შესაძლებელია გარკვეული ზღვრების დადგენა. ამ ეტაპზე უნდა გაანალიზდეს:

- კაპიტალის სტრუქტურის ანალიზი;
- ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი;
- ფინანსური ანგარიშგების სისტემის ანალიზი;
- მომგებიანობის კოეფიციენტების ანალიზი;
- ლიკვიდურობის მაჩვენებლების ანალიზი;
- აქტივების ბრუნვის მაჩვენებლების ანალიზი (სხვადასხვა სახის);
- კრედიტუნარიანობის მაჩვენებლების ანალიზი;
- საწარმოს განვითარების სტრატეგიის ანალიზი და ა.შ. [Schoemaker 2012. 213, გვ.98].

სცენარის დაგეგმვის მეორე ეტაპია: „შიდა და გარე ბიზნესგარემოს ძირითადი ფაქტორების იდენტიფიკაცია და კლასტერიზაცია“. ამ ეტაპზე ხდება მცირე ორგანიზაციის გარე და შიდა გარემოს იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავენ მის წარმატებას ან წარუმატებლობას. ამ ეტაპზე შესაძლებელია პირველ ეტაპზე შეგროვებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება [Bradley Hoyt. 2001, გვ.111] :

- კორელაციის ანალიზი;

- რეგრესიული ანალიზი;
- სიხშირის ანალიზი;
- კლასტერული ანალიზი;
- ფაქტორული ანალიზი;
- მიზნების ხის აგება და სხვა.

სცენარის დაგეგმვის მე-3 ეტაპია „სცენარების წინასწარი შემუშავების მიზნით, ხელმისაწვდომი ინფორმაციის ანალიზი“. არსებობს სცენარების შედგენის რამდენიმე მეთოდი. ისინი პირობითად იყოფა: ინდუქციურად და დედუქციურად. ინდუქციურებს შორის ყველაზე ცნობილია „მომავლის მოდიფიკაციის“ მეთოდი. მისი განხორციელებისთვის პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე საკვანძო კითხვას [Mercer გვ.92]:

ა) რომელია ის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბიზნესზე?

ბ) რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ მოვლენებს?

გ) გარემოებათა რა ჯაჭვმა შეიძლება გამოიწვიოს ასეთი მოვლენები?

ამ კითხვებზე პასუხების საფუძველზე, შესაძლებელია მომავლის იმ სქემების შედგენა, რომლებიც განსაზღვრავენ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას. [Mercer, გვ.94]. ამის შემდეგ ტარდება ანალიზი, რომელიც განიხილავს შესაძლო ვერსიებს. დედუქციური მეთოდები მოიცავს სცენარის მატრიცების აგებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით. უმარტივესი და ყველაზე პოპულარულია GBU და BEAR ტექნიკა. GBU მეთოდში გამოიყოფა: ყველაზე სასურველი („კარგი“), არასასურველი („ცუდი“) და საფრთხის მატარებელი („საშიში“) სცენარები. BEAR მეთოდის ფარგლებში, სცენარები ფოკუსირდება (ეკონომიკაზე, დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე, სამომხმარებლო მოთხოვნაზე და ა.შ.) [Godet 2012., გვ.75].

სცენარის დაგეგმვის მეოთხე ეტაპია: „სცენარების აგება, შევსება და გაწმენდა“. ამ ეტაპზე სცენარების კონსტრუქცია ივსება, გადაიქცევა რეალისტურ, ლოგიკურ, მომავალზე ორიენტირებულად. ამ ეტაპის განხორციელების პრაქტიკული ინსტრუმენტები დეტალური ანალიზი წარმოდგენილია ნაშრომში [Jay, გვ.186].

სცენარული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მეხუთე ეტაპია: „მცირე ბიზნესის განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა“. მცირე კომპანიის საქმიანობაზე მოქმედი გარე და შიდა ფაქტორების ანალიზის, ასევე მეზო- და მაკროეკონომიკური ეკოსისტემის ცვლილების საფუძველზე შედგენილი სცენარების გათვალისწინებით, მუშავდება კომპანიის განვითარების სტრატეგიები. ამ ეტაპზე შესაძლებელია სტრატეგიული ანალიზის დამატებითი ინსტრუმენტების: BCG, ADL, GE- McKinsey მატრიცების გამოყენება.

სცენარული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მეექვსე ეტაპია: „სცენარების ინტეგრაცია დაგეგმილ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში“. [Godet Michel, გვ.82]:

სცენარის დაგეგმვის პროცედურის ჩატარების მეთოდოლოგიის მე-7 ეტაპია:

„სცენარების შესრულების მონიტორინგისა და დაგეგმილი სტრატეგიული გადაწყვეტილებების ინდიკატორების შემუშავება“ [Дятловская 2012, გვ.121]. აშკარაა, რომ რეალური მოვლენების განვითარებასთან ერთად, სასურველია, რაც შეიძლება ადრე გაირკვეს, ყველა ჩამოთვლილიდან, რომელი სცენარი აღმოჩნდა უფრო ახლოს ბიზნესრეალობასთან. ამ მიზნით აუცილებელია ინდიკატორების შემუშავება და მონიტორინგი.

ამდენად, სცენარების შედგენის ტექნოლოგია არის ის ინსტრუმენტი, რომელიც თან ახლავს ადამიანის აზროვნების გრძელვადიან ლოგიკას. კრიზისის სისტემატიზებული ხედვა, უმნიშვნელოვანესია მის დასაძლევად. როგორც წესი ასეთი ხედვა ეყრდნობა ემპირიულ გამოცდილებას. ეკონომიკურ და სოციალურ ლიტერატურაში მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ გამოცდილების გათვალისწინება. მაგალითად, მეცნიერებმა ვ. ლიუ-მ და ნ. ჩანგმა [Liu., Zhang 2018, pp. 77-100]. დაადგინეს, რომ მენეჯერების გამოცდილება არ ეხმარება მათ კრიზისების დაძლევაში, მათ ნაშრომში დასაბუთებულია,

რომ გამოცდილება სასარგებლოა მაღალი გაურკვევლობის სიტუაციასთან გამკლავების პროცესში. მაგრამ ს. სარასვატი [Sarasvathy, 2001 pp. 243-263] ასაბუთებს, რომ სამეწარმეო გამოცდილება ხელს უწყობს ეფექტიან აზროვნებასა და გადაწყვეტილებების მიღებას.

სიტუაციის ადეკვატური აღქმა, აგრეთვე ეფექტიანი ანალიზი და განსჯა, ხელს უწყობს ალტერნატიული სცენარების ფორმირების საფუძველზე, გაურკვეველი სიტუაციების დაძლევას. გაურკვევლობაზე დაფუძნებული სცენარები მცირე ბიზნესის განვითარების ალტერნატიული ვარიანტებია და ამ გაგებით ისინი უფრო ფართო შესაძლებლობის მქონეა, ვიდრე ეკონომიკური პროგნოზები.

Covid 19-ის პირობებში მცირე ბიზნესის სცენარის ფორმირებისთვის, შემოთავაზებულია მცირე ბიზნესის პერსპექტიული სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოდგენილია (# 2 ცხრილში)

ცხრილი 2

პანდემიური კრიზისის შესაბამისი სამოქმედო გეგმა

	პანდემიის საწყისი ეტაპი	პირველი აღდგენა	შემდეგი ეტაპები	ახალი შესაძლებლობები
მიზანი	პერსონალის და ფუნქციონირების შენარჩუნება	მომგებიანობის შენარჩუნება	პერსონალის შემცირება	კრიზისამდელი სტრატეგიის რეალიზაცია
მომხმარებლები	მომსახურების სისტემის შენარჩუნება	კრიზისული კლიენტების შენარჩუნება	.....	.....
ღირებული წინადადება	ახალი პროექტების გადავადება, გაციფრულების გაგრძელება	ახალი ტექნოლოგიების განვითარება	ინოვაციური პროექტების შეწყვეტა	გაციფრულების და კრიზისამდელი სტრატეგიის შეთანაწყობა
ღირებული წინადადება	შიდავაჭრობაზე ფოკუსირება	.....	სერვისული კონტაქტები	ვირტუალური ურთიერთქმედების ზრდა
შესაძლებლობები	ელექტრონული ვაჭრობა	.....	.....	მომავლის პროგნოზირება

ასეთი მიდგომა იძლევა შესაძლებლობას, განვსაზღვროთ კონკრეტული ბიზნესისთვის მომავლის ხედვა. ცხრილის გასამარტივებლად მასზე არ არის მითითებული შესაძლო მესამე, მეოთხე და ა.შ. პანდემიის ტალღები, სეზონური ეპიდემიების ჩათვლით. კრიზისის პერიოდების მიხედვით დინამიკა განსხვავდება კრიზისის კლასიკური კონცეფციისგან, ვინაიდან ამ კრიზისის მიზეზი არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალურ- ეკონომიკური შედეგებია.

ამის შემდეგ, ანტიკრიზისულ ქცევის სცენარებში ვახდენთ სისტემატიზებული შესაძლო მოქმედებების ინტეგრირებას Covid 19 კრიზისის პირობებში ს. ტორგრენისა და თ.ა. უილიამსის-ს ნაშრომში გაკეთებული დაშვებების მიხედვით [Thorgren., Williams, 2020]. ეს დაშვებებია:

1. ინვესტიციების დაზოგვა;
2. რეგულარული მუშაკების ნაწილის განთავისუფლება;

3. სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების შემცირება;
4. კონტრაქტზე მყოფი მუშაკების შემცირება;
5. საწარმოო ხარჯების შემცირება;
6. შეთანხმებული კონტრაქტების ახალი პირობების დადგენა;
7. მარაგების შემცირების კონტროლი;
8. მხოლოდ შემოსავალზე ორიენტირებული საქმიანობის წარმოება;
9. გადარჩენაზე ორიენტირებული აქტივობების წარმოება;
10. საინოვაციო აქტივობის შემცირება;
11. ნასესხები სახსრების მოზიდვა;
12. სესხების გადავადება.

პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით შესაძლებელია ზემოთ წარმოდგენილი სიის კონკრეტიზაცია და დეტალიზაცია, ამასთან ზედმეტი დეტალიზაცია, იწვევს სცენარის არჩევის გართულებას. ამასთან ერთად, არსებული სიის განზოგადება აუცილებელია სცენარის შემუშავებისა და მოქმედებების ნაკრების პრაქტიკული ფორმირების პროცესში.

სცენარები, როგორც წესი, გრძელვადიანი ინსტრუმენტებია ბიზნესის განვითარების, მდგრადობისა და გამძლეობის შესაქმნელად. ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში სცენარულ მიდგომას ვიყენებთ მოკლევადიანი მიზნებისთვისაც, კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნის მიზნით.

დასკვნა

სცენარები მცირე კომპანიების მომავალი განვითარების პროგნოზების ალტერნატივად ჩამოყალიბდა. როგორც წესი, პროგნოზი ადგენს მცირე ორგანიზაციის მომავალი განვითარების ერთადერთ ტრაექტორიას, რომელიც ხშირად ევრისტიკულია. სცენარის შემუშავების საფუძველზე განისაზღვრება კონკრეტული მცირე ორგანიზაციისთვის გარე გარემოსთან ადაპტირებული მომავალი განვითარების არგუმენტირებული ვარიანტები.

მცირე ბიზნესში სცენარული დაგეგმვის მეთოდებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა მოგვეხდინა სცენარული დაგეგმვის ძირითადი ეტაპების სისტემატიზაცია და იმ პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც ითვალისწინებენ თითოეული ეტაპის განხორციელების სპეციფიკას.

ჩვენს მიერ შემუშავებული სცენარული მიდგომა მოკლევადიანი მიზნებისთვის, კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნის მიზნით, პრაქტიკული ხასიათის მატარებელია.

ლიტერატურა

1. ბერიშვილი ხ. „სოციალური პასუხისმგებლობა და კომპანიის გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული მიდგომები“. თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ კონფერენცია „თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური პრობლემები“ . 2020
2. შენგელია თ. „გლობალური ეკონომიკის რეცესია და საქართველოს პოსტვირუსული განვითარება“. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი № 1, 2020
3. შენგელია თ. „კორონავირუსის მსოფლიო გეოგრაფია და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები. III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“. თბ., 2020
4. Berishvili Kh. 2020. Implementation of the concept of business social responsibility in the political systems of social democracy. World economy and international economic relations Volume
5. Berishvili Kh. Formalized-crosscultural analysis of the mental features of social groups.

6. p.37. 2018 World economy and international economic relations. International scientific collection. Kiev-Tbilisi-Chisinau.
7. Berishvili Kh. https://scholar.google.com/citations?view_op=view_citation&hl=en&user=oUrCDxIAAAAJ&citation_for_view=oUrCDxIAAAAJ:qjMakFHDy7sC Identification of Integration Processes in Conditions Economic Turbulence and their Use in Development of the Countries with Small Economy ; ECOFORUM [Volume 6, Issue 2(11), 2017. pp.108-115
8. Bourgeois L. J. Strategic management from concept to implemention, University of Virginia, Darden Graduate School of business, 1998
9. Bradley Hoyt. Beyond scenarios: strategy alternatives using strategy options. Global Business Network. June/July, 2001
10. Godet Michel. Creating Futures: Scenario Planning as a Strategic Management Tool, Economica, 2012.,
11. Liu W., Zhang N, Firm age, experience, and access to finance count? S performance after the global financial crisis // Journal of volutionary Economics, 2018, vol. 28, no. 1,
12. Mercer D. Scenarios made easy, Long Range Planning. — Vol. 28. — № 4. 2014.
13. Schoemaker Paul J.H. Multiple Scenario Development: its conceptual and behavioral foundation // Strategic Management Journal. — Vol. 14. — № 3. 2012.
14. Jay Ogilvy, Peter Schwartz, Plotting Your Scenarios. Global Business Network. December, 2011
15. Shengelia T. 2020. The post-coronavirus economy of the world and Georgia. // Economic and Business № 12
16. Shengelia T. 2014. Tendencies of The Capital International Movement and Its Influence on the Economy of the Sovereign State. International Journal of Science, Technology and Medicine 6 (1),
17. Shengelia T. 2017. The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system
18. Sarasvathy S. . Causation and effectuation: Toward a theoretical shift from economic inevitability to entrepreneurial contingency // cademy of anagement Review, 2001, vol. 26(2)
19. Thorgren S., Williams T. . Staying alive during an unfolding crisis:// Journal of Business Venturing Insights, 2020, vol. 14,.
20. Аакер Д.А. Стратегическое рыночное управление. — СПб: Питер, 2012 - 189с.
21. Матс Линдгрен, Ханс Бандхольд. Сценарное планирование: связь между будущим и стратегией/[Пер. с англ. И. Ильиной].-М.:ЗАО «Олимп- Бизнес», 2012.-256 с
22. Лаева Т. В. Сценарный анализ как основа стратегического планОирования в
23. организации // «Менеджмент в России и за рубежом», №2, 2013. –168 с
24. Дятловская И. С. Когнитивные модели создания стратегии при использовании сценарного подхода. / Дятловская И. С. // Журнал «Стратегии», №6 , 2012. – 196с

Khatuna Berishvili
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Using of Scenario Technologies in the Process of Anti-Crisis Regulation of Small Business

SUMMARY

The scenarios were formed as an alternative to the forecasts of the future development of small companies. As a rule, the forecast establishes the only trajectory of the future development of a small organization, that is often heuristic. Based on the development of the scenario, argumentative options for future development adapted to the external environment for a specific small organization are determined.

A system of analyzing more scientific literature on the methods of scenario planning in small business can be the basic phasing of paid scenario planning and the development of practical plans that determine the fact that determine the specifics. Primary developed snarul approach short-term goals, crisis location

The scenario approach developed by us for short-term goals, in order to find a way out of a crisis situation, is a practical nature.

თეიმურაზ ბერიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საკუთრებისა და მართვის ურთიერთობის საკითხები (კვლევის ამოსავალი წერტილები)

სტატიაში განხილულია საკუთრების საკითხები, მისი იურიდიული და ეკონომიკური ასპექტი, საკუთრებითი ურთიერთობების და მართვის ურთიერთკავშირი. იურიდიული ასპექტი არის ვინმეს (სუბიექტის) მიერ საკუთრების ფორმალური ფლობა, ეკონომიკური ასპექტი არის შემოსავლის (მოგების) მიღება საკუთრებით სარგებლობის შედეგად. ქონებრივ ურთიერთობებში აქცენტი კეთდება საკუთრების დომინანტურ ფორმაზე, მისი მრავალფეროვნების ე.წ. „ფორმულისგან" განსხვავებით (სადაც ყველა ფორმა თანაბარმნიშვნელოვანია). კერძო საკუთრება (გამოვლინების სხვადასხვა ფორმით) კაპიტალიზმში; საზოგადოებრივი (სახელმწიფო, ოგოოც გამოვლინების ფორმა) საკუთრება სოციალიზმში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკუთრებითი ურთიერთობების და მართვის ურთიერთკავშირს, ეკონომიკური ობიექტის მფლობელისა და მმართველის (მენეჯერის) ფუნქციების გამიჯვნას, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია თანამედროვე ეკონომიკებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *საკუთრება; საკუთრებითი ურთიერთობები; მართვა; ეფექტიანობა; სახელმწიფო ეკონომიკაში; კორონომიკა.*

JEL: K 11; O 11; O 43; P 1; P 2

წინამდებარე სტატიაში ავტორი ცდილობს გააანალიზოს საკუთრებითი ურთიერთობები ეკონომიკის მართვასთან ურთიერთკავშირში (მაკრო-მიკროეკონომიკური ასპექტი). რა თქმა უნდა, ერთ პუბლიკაციაში, მითუმეტეს სტატიაში, შეუძლებელია ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გაშუქება. ამიტომ, ჩვენ შემოვიფარგლებით ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხით და ვუწოდებთ მათ კვლევის ამოსავალ წერტილებს.

პირველი. საკუთრება (property) და საკუთრებითი ურთიერთობები (property relations) ყოველთვის იპყრობდა ადამიანის გონებას და საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრავდა ადამიანების ქმედებებს. ჩვენ ვიცით, მაგალითად, არისტოტელეს მიერ მოცემული საკუთრების განსაზღვრება. იგი აიგივებდა საკუთრებას ქონებასთან და წერდა: „...ქონებას ვუწოდებთ ყველაფერს, რომლის ღირებულებაც ფულით იზომება" [1] (Аристотель. Соч., т.4. М., 1984. стр.121). იგი ხსნიდა საკუთრებითი ურთიერთობის არსს გამოყენების და ფლობის ცნებებით. არისტოტელეს აზრით: „გამოყენება აშკარად არის ქონების ხარჯვა და გაცემა, ხოლო შეძენა და დაზოგვა არის ფლობა..." (ibid.). აღსანიშნავია, რომ ეს სოციალური კატეგორია და საკუთრების კატეგორიული ანალიზის დასაწყისი მე-17 საუკუნით თარიღდება. გამოჩენილმა განმანათლებელმა ვოლტერმა, რომელიც აბსოლუტური მონარქიის მომხრე იყო, შეისწავლა ეს ფენომენი სახელმწიფო მართვის კონტექსტში. ამრიგად, ეს პრობლემა ახალი არ არის, თანამედროვე დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში კი გამოიყენება ტერმინი management, რომელიც რამდენადმე ვიწროა, ვინაიდან ის არ მოიცავს ისეთ ფენებს, როგორიცაა საკუთრება და მისი გამოხატვის სამართლებრივი ფორმები. არ შეიძლება არ დაეთანხმო ეკონომისტს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, რომელიც მართებულად თვლის, რომ „მენეჯერი არის სპეციალიზებული დისციპლინის - მენეჯმენტის - კატეგორია (ანუ მიკრო დონე), ხოლო „მართვა" არის სახელმწიფოს მართვასთან, მთლიანად ეკონომიკის მართვასთან დაკავშირებული კატეგორია (ანუ მაკრო დონე)". არ შეიძლება არ დაეთანხმო გერმანელ მკვლევარს ერიხ რაინერტს, რომ „ტერმინი „მართვა" ნიშნავს „სახელმწიფოს" და „მთავრობას" [2].

მეორე. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა სწრაფვა ცალკეული სამეცნიერო დისციპლინებში მიღებული ცოდნის სინთეზისკენ. საკუთრება თავისი არსით და შინაარსით არის ინტერდისციპლინარული (interdisciplinary) და წარმოადგენს ეკონომიკურ და იურიდიულ მეცნიერებათა შესწავლის საგანს (ზოგადად მეცნიერების განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე, კერძოდ კი სოციალური მეცნიერების, რამდენიმე მონათესავე მეცნიერების კვეთა იძლევა ნაყოფიერ სამეცნიერო შედეგებს). რა განსხვავებაა ამ ორი სოციალური მეცნიერების მიერ ამ კატეგორიის ანალიზის მიდგომებში? რა არის ზოგადად საკუთრების ანალიზის სპეციფიკა? იურიდიული მეცნიერების თვალსაზრისით, საკუთრება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ამა თუ იმ საგნის ამა თუ იმ სუბიექტისადმი კუთვნილებას, რაც იურიდიულად არის დაფიქსირებული დოკუმენტით (აქტით). ასევე გამოიყენება კონსტრუქცია „მითვისება - დასაკუთრება - განკარგვა - გამოყენება“, რომელსაც უფრო მეტად იურიდიული დატვირთვა აქვს. ეკონომიკური მეცნიერების თვალსაზრისით საკუთრება, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ურთიერთობებს, რომელთა შედეგად იქმნება მატერიალური სიკეთე, რომელმაც უნდა მოიტანოს შემოსავალი (მოგება). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქონებამ თავისი ფუნქციონირების პროცესში უნდა გამოიღოს მატერიალური სარგებელი და გამოიმუშაოს შემოსავალი (მოგება). ეს თვალსაზრისი გამოთქვა ცნობილმა ეკონომისტმა და სოციოლოგმა ლუდვიგ ფონ მიზესმა [3]. [შევნიშნავთ, რომ საკუთრების ეკონომიკური ასპექტი ყველაზე ახლოს არის დაფინანსების ისლამურ პრინციპებთან - ბაზრებზე არ არის ობლიგაციები, ისინი ჩანაცვლებულია აქციებით, მონაწილეობის სერტიფიკატებით, ურთიერთდახმარების ფონდების წილებით - შემოსავლის გადახდა მოგების წილის სახით აღიარებულია, როგორც დაფინანსების ისლამური ფორმა, რადგან ის აღიარებს მის უპირატესობას იურიდიულ ასპექტზე, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ისლამური ბანკინგი ფართოდ არის გავრცელებული რამდენიმე ქვეყანაში].]

ინტერდისციპლინური კვლევის კარგი მაგალითია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომისტებისა და იურისტების პუბლიკაცია „რბილი სამართლის“ გავლენა კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე (ინტერდისციპლინური კვლევა), სადაც კორპორაციული მართვის თეორიული კონცეფციების ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება და წინადადებები ამ ტიპის მმართველობის გასაუმჯობესებლად საქართველოში (კერძოდ, საბანკო სექტორში) [4]. რბილი სამართლის გამოყენების შემთხვევაში მთავარი შედეგია მოლაპარაკების გზით კომპრომისის მიღწევა, როცა საქმე არ აღწევს საარბიტრაჟო სასამართლომდე.

მესამე. საკუთრების განსაკუთრებული ასპექტია მისი „მრავალფეროვნება“ (diversity). ეგრეთ წოდებული „პერესტროიკის“ გარიჟრაჟზე ეს ფორმულა საკმაოდ პოპულარული და ამავე დროს გარკვეულწილად ბუნდოვანი იყო: საკუთრების ყველა ფორმა თანაბარმნიშვნელოვნად იყო აღიარებული და ეს იყო წარმოდგენილი, როგორც თეორიული ეკონომიკური აზროვნების თითქმის მიღწევა. აქ, როგორც მეჩვენება, ღირს კოოპერატიული საკუთრების გახსენება, რომელიც წარმოდგენილი იყო საკუთრების სხვა ფორმების თითქმის ლოკომოტივად. და ამის შედეგი გახდა იმდროინდელი სახელმწიფო ქონების გაფლანგვა, წარმოების ეფექტიანობის კიდევ უფრო დაქვეითება. საკუთრებითი ურთიერთობების განვითარების ლოგიკა გვკარნახობს, რომ დომინანტი შეიძლება იყოს საკუთრების მხოლოდ ერთი ფორმა, რომლის გარშემოც შენდება საკუთრების სხვა ფორმები: კაპიტალიზმში - კერძო საკუთრება, რომელიც რეალიზდება სხვადასხვა ფორმით (ინდივიდუალური, ჯგუფური, სააქციო), სოციალიზმი - საერთო სახალხო საკუთრება, რომელიც რეალიზდება სახელმწიფო საკუთრების ფორმით. საკუთრების დომინანტური ფორმის ეროზია იწვევს ეკონომიკური პოლიტიკის მერყეობას. აღსანიშნავია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ეკონომიკისა და სამართლის დარგში ვლადიმერ შკრედოვის სამეცნიერო კვლევა (მარქსისტული თვალსაზრისის ფარგლებში), რომელმაც აღნიშნა, რომ მრავალი ეკონომისტი და იურისტი

ვერ განასხვავებს ეკონომიკური ურთიერთობების ეკონომიკურ შინაარსს და სამართლებრივ ფორმას) [5].

მეოთხე. საკუთრების მნიშვნელოვანი ასპექტია მისი ფორმის ურთიერთობა მისი ფუნქციონირების ეფექტურობასთან. საკუთრების არც ერთი ფორმა ავტომატურად არ იწვევს წარმოების ეფექტურობის ზრდას და მთლიანად ეკონომიკის ეფექტურობას. ამის ნათელი მაგალითია პრივატიზაციის შემდგომი პერიოდი პოსტსაბჭოთა სივრცეში (მათ შორის, საქართველოში). პრივატიზაცია (როგორც რეფორმის ერთ-ერთი ელემენტი) განხორციელდა, მაგრამ ეკონომიკის ეფექტურობა არასაკმარისია. აუცილებელია შესაბამისი - ფორმალური და არაფორმალური - ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც საკუთრების ამა თუ იმ ფორმის პოტენციალის რეალიზების საშუალებას მისცემენ. (და აქ მივდივართ საკუთრების ეკონომიკურ-სამართლებრივ ასპექტამდე (რომელსაც ზემოთ შევეხეთ), ანუ სახელმწიფო საკუთრება თითქოს „არავისია“, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით ის სახელმწიფოს ეკუთვნის, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით საკუთრების გამოყენების შედეგები ნაწილდება და მოიხმარება მწარმოებლებს შორის. აქ აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკური პოლიტიკის თეორია ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა [6]. აქ უნდა ხაზი გაესვას არაეკონომიკური ფაქტორების გავლენის მნიშვნელობას ეკონომიკის განვითარებაზე. ეკონომიკას განავითარებს როგორც ომი (მაგალითად, რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად - როგორ მკრეხელურადაც არ უნდა ჟღერდეს - ქვეყანამ მიიღო ნაწილობრივ ფინანსური დახმარება, ნაწილობრივ სესხი დაბალი საპროცენტო განაკვეთით), ასევე კორონავირუსი (კორონა ვირუსული დაავადება - COVID-19) მომავალში შესაძლებელს გახდის მედიცინისა და ეკონომიკის განვითარებას) [7].

მეხუთე. აქ აუცილებელია აღვნიშნოთ სახელმწიფოს (მთავრობის) როლი [აქ ჩვენ ვიყენებთ სახელმწიფოსა და მთავრობის ცნებებს, როგორც სინონიმებს, თუმცა იურისტები მათ გამიჯნავენ, პირველ შემთხვევაში იგულისხმება სახელმწიფოში შემავალი ყველა ინსტიტუტი - თავად მთავრობა, საკონსტიტუციო სასამართლო, ყველა დონის სასამართლოები და ა.შ.] ეკონომიკაში, რომელსაც აქვს მდოვრე განვითარება, ამ როლის ხან გაძლიერება, ხან დასუსტება, არსებული სიტუაციის მიხედვით. არ შეიძლება არ დაეთანხმო პროფესორ ე. მექვაბიშვილს, რომ „თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის, ისე წარმატებული პოსტკრიზისული განვითარების უზრუნველსაყოფის თვალსაზრისით“ [8]. სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეტაპზე გამოიხატებოდა კორონავირუსთან დაპირისპირებაში. კორონომიკის ეკონომიკური მიზეზი, ჩემი აზრით, არის გარკვეული ჯაჭვის (chains) რღვევა წარმოებას (მიწოდებას) და მოხმარებას (მოთხოვნას) შორის, ანუ მიწოდების ეკონომიკის (supply-side economics) გარკვეული კორელაციის რღვევა მოთხოვნის ეკონომიკასთან (demand-side economics). მიწოდება დამოკიდებულია მთავრობის მხრიდან ეკონომიკის რეალური სექტორის, ბიზნესის მხარდაჭერაზე. ეს არის საგადასახადო პოლიტიკა, საგადასახადო ბაზის დაზუსტება (საწარმოების და გადამხდელთა რაოდენობა), საგადასახადო ტვირთის (tax burden) ოპტიმიზაცია, შიდა და გარე ინვესტიციები. მოთხოვნა (გადახდისუნარიანი) დამოკიდებულია შემოსავლის (განკარგვადი შემოსავლის) დონეზე, აქ კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფიზიკური პირების დაბეგვრა, რაც არ უნდა წარმოადგენდეს მძიმე ტვირთს მოსახლეობისთვის. და შესაბამისად, „კორონომიკით“-ით გამოწვეულ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა უნდა ვეძიოთ როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების სტიმულირების გზებზე. ანუ სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი შინაარსი უნდა იყოს ზემოაღნიშნული მხარეების სტიმულირება.

როგორ იმოქმედებს კრიზისი და პანდემია ეკონომიკის პერსპექტიულ სექტორებზე (ინფორმაციული ტექნოლოგიები, ცოდნის ეკონომიკა და ა.შ.)? ჯერ ერთი, უნდა გავმიჯნოთ ტერმინები ეკონომიკური კრიზისი და პანდემიით გამოწვეული კრიზისი (თუმცა დღეს ისინი ურთიერთკავშირშია). კლასიკურ ეკონომიკურ კრიზისებს სხვა მიზეზები აქვს - ჭარბი წარმოება,

არასაკმარისი წარმოება; ფინანსური კრიზისი - გადასახადების აკრეფის და, შესაბამისად, სავალო ვალდებულებების შეუსრულებლობის პრობლემა; საბანკო კრიზისი - დეპოზიტარების მიმართ სავალო ვალდებულებების შეუსრულებლობა. მეორეც, დარღვეულია ჯაჭვი წარმოებასა და მოხმარებას შორის, ამ კავშირის აღდგენას დასჭირდება გარკვეული დრო - ბაზრების შესწავლა, მყიდველების (მომხმარებლების) რაოდენობის ჩათვლით, ანუ გადახდისუნარიანი მოსახლეობის, ანუ ბაზრებზე მოთხოვნის არსებობა (კეინზის მიხედვით). ხოლო მოსახლეობის გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე (და, პირველ რიგში, განკარგვად შემოსავალზე(disposable income)), რაც დამოკიდებულია ეკონომიკის ზრდა-განვითარებაზე (სიღარიბის დონის და ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევა, რომელიც საქართველოში მთლიანაი სამამულო პროდუქტის (მსპ)-ს 22-23 პროცენტია, შედარებისთვის, უკანასკნელი განვითარებულ ქვეყნებში ის მერყეობს დაახლოებით 4 პროცენტიდან აშშ-ში 18 პროცენტამდე იტალიაში).

მეექვსე. საკუთრება და კონკურენცია (კონკურენტული წესრიგი ეკონომიკაში, ვალტერ ოიკენის ტერმინოლოგიით). ძნელია არ დაეთანხმო ვალტერ ოიკენს, რომ როდესაც სვამთ კითხვას: „აუცილებელია თუ არა კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე კონკურენტული წესრიგის განსახორციელებლად, აუცილებელია დადებითი პასუხის გაცემა“ [9]. აქ ჩნდება კითხვა: რა პრევალირებს - საკუთრების ფორმა თუ კონკურენცია (კონკურენტული წესრიგი) ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის? სიმართლე გითხრათ, ცოტა ხნის წინ მეგონა, რომ კონკურენტული წესრიგი დომინანტურია, რამდენადაც ბევრი მაგალითია, როცა პრივატიზებული საწარმოები არ ფუნქციონირებენ ეფექტიანად. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ დავრწმუნდი ამოსავალი საკითხი საკუთრებაა. და აქ მნიშვნელოვანია თავად მეთოდოლოგიური მიდგომა - პირველადია საკუთრებითი ურთიერთობები, შემდეგ კი მათი განხორციელების ორგანიზაციული ფორმები (ამ შემთხვევაში, კონკურენტული წესრიგი).

შეჯამება. სტატიაში განხილულია საკუთრების არსი და მისი გამოვლინების ფორმები. ნაჩვენებია საკუთრებითი ურთიერთობების იურიდიული და ეკონომიკური ასპექტების გამოყოფის მნიშვნელობა. პირველი გულისხმობს ამა თუ იმ ობიექტის იურიდიული დოკუმენტით (აქტით) რეგისტრირებას, ხოლო, მეორე გულისხმობს უპირველეს ყოვლისა ურთიერთობებს, რომელთა შედეგად იქმნება მატერიალური დოვლათი, მომსახურება და მოაქვს შემოსავალი (მოგება). საკუთრებითი ურთიერთობების მნიშვნლოვანი ასპექტია - მათი მრავალფეროვნება (ინდივიდუალური, ჯგუფური, კოლექტიური, კორპორატიული), მაგრამ ამ სისტემაში არის დომინირებადი ფორმა (კერძო - კაპიტალიზმის დროს, საერთო (რომელიც ვლინდება სახელმწიფო საკუთრების სახით) - სოციალიზმის დროს).

განხილულია საკუთრებითი ურთიერთობების და მართვის ურთიერთკავშირი. ხაზგასმულია, რომ თანამედროვე ეკონომიკებში მესაკუთრის და მმართველის (მენეჯერის ფუნქცია განცალკევებულია), რაც ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას ხელს უწყობს.

განსაკუთრებულად აღნიშნულია სახელმწიფოს როლის გაძლიერებაზე ეკონომიკაში კრიზისულ პერიოდებში (მაგალითად, კორონავირუსის (COVID -19) პერიოდში.

ლიტერატურა

1. Аристотель. Соч., т.4. М., 1984. с.121;
2. რაინერტი ერიკ ს. როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად. მთარგმნელები: ტატო ხუნდაძე, ივანე აბრამაშვილი. საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი. თბილისი. 2019. გვ. 385;
3. Мизес, Людвиг фон. Социализм. Экономический и социологический анализ. - М.: „ Galaxy”. 1994 с.29-32;
4. „რბილი სამართლის“ გავლენა კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე (ინტერდისციპლინური კვლევა). თეიმურაზ ბერიძე, ირაკლი ბურდული, გიორგი მახარობლიშვილი, ანა ხარაიშვილი, დავით სიხარულიძე, ვასილ კიკუტაძე, ნინო ლობჟანიძე. თბილისი. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. 2018;

5. Шкредов В. П. Метод исследования собственности в „Капитале“ К.Маркса. – М.: Изд-во Моск. ун-та.1973. – 262 с.;
6. Беридзе Т.А. Экономические основы суверенитета: новые аспекты взаимодействия экономики и политики. Тбилиси. Изд-во „Сиахле“. 1995. с.160-187;
7. Vladimer Papava, Vakhtang Charaia. The Coronomic Crisis and Challenges for the Georgian Economy. 2020, GFSIS, Expert Opinion, No.136. p.15. https://www.academia edu/42679791/The_Coronomic Crisis_and_Some_Challenges_for_the_Georgian Economy?email_work_card=view-paper
8. მექვაბიშვილი ე. გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი. 2018. გვ. 259;
9. Ойкен Вальтер. Москва. Издательская группа „Прогресс“ „Универс“. 1995. - с.355.

Teimuraz Beridze
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ownership and Management Relationship Issues (Research Core Points)

SUMMARY

The property (property relations) had always occupied the minds of people and determined their actions for centuries. This phenomenon is interdisciplinary and represents the subject of economic and legal disciplines. From the point of view of law (jurisprudence), property in the first place means the ownership of an object by a particular subject, which is fixed through a legal document (act). The construction of “appropriation-possession-disposal-use”, which has more legal weight is also in use. From the standpoint of economic science, ownership is primarily relationships, a result in which the material welfare is created which should provide income (profit). A particular aspect of property is its “diversity”. The logic of the development of property relations dictates that the dominant can be only one form of property, around which there are built other forms of property (under capitalism – private property, which is implemented by means of various forms (stock, group, individual), under socialism – nationwide, which is implemented through the form of state property. An important aspect of the analysis of property is the correlation of its form with the efficiency of its functioning. The none of the forms of property don’t automatically lead to the increase in production efficiency and effectiveness of economy in general.

The Interaction between Economics & Politics is stressed as well. The special role of government in the economy is emphasized (particularly in the process combating with COVID-19).

დავით გავარდაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დროის მენეჯმენტის აქტუალობა თანამედროვე მსოფლიოში

დღესდღეობით, თანამედროვე პროცესებმა ნათლად დაგვანახა, თუ რაოდენ საჭიროა ფეხი ავუწყოთ დროის მსვლელობას. ცხოვრების ჩქარი ტემპის პირობებში მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებები ორგანიზაციის შიგნით თუ პირად ცხოვრებაში დროულად იყოს მიღებული, შესაბამისად საჭიროა, რომ ადამიანებმა დროის მართვის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, გაანალიზონ თუ რა პრობლემები არსებობს და ეცადონ, რომ გადაჭრან ეს პრობლემები. კოვიდ პანდემიამ კიდე უფრო ნათელი გახადა თუ რამდენად ძვირფასია ჩვენს ხელთ არსებული დრო. მისი სწორი გამოყენება, პრიორიტეტების ზუსტი დაადგება და განაწილება ერთი-ორად ამსუბუქებს ადამიანთა ცხოვრებას და ხელს უწყობს დასახული მიზნის მიღწევას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დროის მენეჯმენტის უგულებელყოფა დამღუპველია ორგორც პიროვნებისთვის, ასევე ორგანიზაციებისათვის.

სტატია ეხება დროის მენეჯმენტის აქტუალობას, მასთან დაკავშირებულ სირთულეებს და მათი გაჭრის გზებს. ასევე, სტატიაში განხილულია სხვადასხვა მეცნიერების მიერ შემოთავაზებული დროის მართვის ეფექტური გზები და ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელია დროის უფრო ეფექტიანი გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: *დროის მენეჯმენტი, პიროორიტეტიზაცია, პარეტოს პრინციპი - 80/20.*

დროის მართვასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა შედარებით ახალი თემაა, თუმცა მეტად საინტერესო და სასარგებლო ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც დროის ნაკლებობას განიცდის. ზოგიერთი ადამიანი ამბობს, რომ ტერმინი „დროის მართვა“ არ არის სწორი და ჩვენ არ შეგვიძლია ვმართოთ დრო, ჩვენ უბრალოდ მოვლენებს ვმართავთ, რომლებიც დროზეა დამოკიდებული. თუმცა თუ დავფიქრდებით და დავაკვირდებით ჩვენს მიერ დროის გამოყენების პროცესს, შევამჩნევთ რომ ნამდვილად შეგვიძლია დროის მართვა. მთავარი საკითხი მდგომარეობს იმაში თუ რამდენად პროდუქტიულად ვმართავთ მას. დროის მენეჯმენტი საშუალებას გვაძლევს, რომ არ ვფლანგოთ დრო, განსაკუთრებით მაშინ როდესაც საქმე ეხება დასახული მიზნის მიღწევას. შესაბამისად, წარმატებული ადამიანები და მენეჯერებიც აქტიურად მიმართავენ დროის მართვის სხვადასხვა გზებს და ხელს უწყობენ მის დანერგვას კომპანიებში. ზოგჯერ მომუშავეები ვერ ახერხებენ საქმის დასრულებას და შედეგად რჩებათ მუდმივი დაუსრულებელი საქმეები, რაც საბოლოო ჯამში ინდივიდის ფსიქიკაზე აისახება და აფერხებს მის პროდუქტიულობას. ამიტომ აუცილებელია დროის იმგვარი დაგეგმვა, რომ ამან ხელი შეუწყოს სამუშაო პროცესსა თუ სხვა ტიპის საქმიანობას.

დროის მენეჯმენტის მნიშვნელობა

საზოგადოების ხელთ არსებული რესურსები შეზღუდულია, ამიტომ საჭიროა რომ ეს შეზღუდული რესურსები ეფექტიანად იყოს განაწილებული და გამოყენებული მაქსიმალური შედეგის მისაღწევად. თუმცა, ხშირად ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ყველაზე ფასეული და შეზღუდული რესურსი არის დრო. დრო - ეს არის რესურსი, რომელსაც ყველა ადამიანი თანაბრად ფლობს, ეს არის აუნაზღაურებელი რესურსი. მას უკან ვერ დავაბრუნებთ, ამიტომაც საჭიროა რომ ადამიანმა ისწავლოს მისი ოპტიმალური გამოყენება. გარდა ამისა, ყველა ადამიანს აქვს გარკვეული მიზანი, რომლის მიღწევაც სურს და ამისათვის ყველაფერს აკეთებს, მოიძიებს საჭირო რესურსებს, მაგრამ აღმოაჩენს რომ ამას აზრი არ აქვს, ვინაიდან არ აქვს

საკმარისი დრო მიზნის მისაღწევად. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა ადამიანმა გაითავისოს დროის მნიშვნელობა და ისწავლოს მისი რაციონალური გამოყენება.

ეკონომიკა განიხილავს დროის რესურსს ეკონომიკური მოგების გაანგარიშებისას. მისი ერთ-ერთი პრინციპია ის, რომ ადამიანები ალტერნატივების წინაშე დგანან და ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას რაციონალურმა ადამიანმა უნდა გაითვალსიწინოს საკუთარი დროის ალტერნატიული დანახარჯი. თუმცა ხშირად სრულიად საწინააღმდეგო სურათს ვიღებთ. ადამიანები იშვიათად თუ ფიქრობენ დროის სწორ განაწილებასა და გამოყენებაზე. ხშირ შემთხვევაში გვიჭირს კიდეც საქმისთვის დროის გამონახვა, მანამ სანამ ამ საქმის დასრულების ვადას არ მივუახლოვდებით. ყოველდღიურად იზრდება უმკაყოფილება იმის გამო, რომ ვერ ვასწრებთ საჭირო საქმეების დასრულებას და ეს შექმნილი დისკომფორტი დასვენების საშუალებას არ გვაძლევს. ეს იმაზე მიუთითებს რომ ჩვენთვის ყველაზე ძვირადღირებულ რესურს - დროს ვერ ვმართავთ.

ზოგადად დროის მენეჯმენტი შეიძლება განისაზღვროს როგორც პროცესი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გარკვეული ამოცანებისა და მიზნების მიღწევა. დროის მართვის პრობლემები უამრავ ადამიანსა თუ ორგანიზაციას აწუხებს. ორგანიზაციების შემთხვევაში ხელმძღვანელები ღიად აფიქსირებენ, რომ სუსტი დროის მენეჯმენტის პირობებში, ორგანიზაცია განწირულია, ვინაიდან სამუშაო ვერ შესრულდება დროულად და ეს თავისთავად აისახება კომპანიის იმიჯზე უარყოფითად. ასევე, ღიადვე აფიქსირებენ რომ ამ პრობლემის მოგვარებისათვის ცდილობენ, თანამშრომლები დაატრენინგონ და შეასწავლონ დროის მართვის ტექნიკა.

დროის მართვის პროცესში უამრავი სირთულე არსებობს. მაგალითად, ასეთი სირთულე შეიძლება იყოს ისიც, რომ წინასწარ არ განისაზღვრა შესასრულებელ საქმეთა ჩამონათვალი, სამუშაოს შესრულების პროცესში არ გამოიყო კონკრეტული დრო, არ მოხდა დელეგირება და ა.შ. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ დრო ფუჭად იკარგება.

დროის მართვის ეფექტური მეთოდები

დროის მენეჯმენტის მთავარი ფუნქცია დაგეგმვაა, რომელიც აუცილებლად უნდა ექვემდებარებოდეს განხორციელებას. ამაში იგულისხმება მიზნების მისაღწევად მომზადება და დროის სწორად განაწილება. სწორად განსაზღვრული დროის მენეჯმენტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნების ნაყოფიერებასა და მოტივაციაზე. იგი გვეეხმარება სტრესული სიტუაციიდან თავის დაღწევაში. დროის მენეჯმენტში მნიშვნელოვანია მიზნების, პრიორიტეტების გამოყოფა და განსახორციელებელი ქმედებების განსაზღვრა კონკრეტულ დროში. ეფექტური დროის მენეჯმენტი არის ერთგვარი ინვესტიცია, რომელიც საბოლოო ჯამში სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს. დღევანდელი რეალობის ფონზე, სადაც სამუშაო პროცესი კიდევ უფრო დაჩქარებული ტემპით მმდინარეობს, საჭიროა რომ თითოეულმა ადამიანმა გაითავისოს დროის მართვის მეთოდები, ვინაიდან ის შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ დროული გადაწყვეტილება მნიშვნელოვან და ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებს შორის.

დროის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს ყოველდღიური გეგმების შედგენა და შესასრულებელი საქმეების დალაგება ორი კრიტერიუმის მიხედვით.

საქმის მნიშვნელობა

საქმის შესრულების დროულობა

ამ შემთხვევაში გამოიყენება ე.წ. ეიზენჰაუერის მატრიცა. მატრიცის მიხედვით „ა“ კატეგორიას მიეკუთვნება მნიშვნელოვანი და სასწრაფო საქმეები, „ბ“ კატეგორიას მნიშვნელოვანი, მაგრამ არასასწრაფო, „გ“ კატეგორიას უმნიშვნელო და არასასწრაფო, „დ“ კატეგორიას კი უმნიშვნელო, მაგრამ სასწრაფო საქმეები. ადამიანთა უმრავლესობა პირველად აკეთებს

იმ საქმეებს, რაც „ა კატეგორიაშია“ მოთავსებული, ბოლოს იმ საქმეებს, რომელიც „გ“ კატეგორიაშია. მაგრამ საინტერესოა თუ რომელს ენიჭება უპირატესობა დარჩენილი ორი კატეგორიიდან. მნიშვნელოვანსა და არასასწრაფოს თუ უმნიშვენლოს და სასწრაფოს? ხშირად არჩევანი უმნიშვნელო და სასწარფოზე კეთდება და მნიშვნელოვანი და არასასწრაფო საქმეების გადადება ხდება მოგვიანებით და საბოლოოდ ეს გადავიწყებით მთავრდება. CITATION htt \l 1079 (Eisenhower Matrix)

პიროვნული დროის დაგეგმვაში იყენებენ ასევე პარეტოს პრინციპს ანუ 80/20. ამ პრიცნიპის მიხედვით შეიძლება საქმეები დავყოთ კატეგორიებად და პირველად შევასრულოთ ისინი, რომლებიც გვაძლევენ ძირითადი შედეგის 80%-ს. დროსთან მიმართებაში კი პარეტოს პირნციპი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: მნიშვნელოვან პრობლემებზე დახარუჯული დროის 20%, იძლევა საშედეგო მაჩვენებლის 80%-ს, ხოლო მეორეხარისხოვან პრობლემებზე დახარჯული დროის 80% გვაძლევს საშედეგო მაჩვენებლის 20%-ს. პარეტოს პრინციპის მიხედვით,

ადამიანებმა უნდა ამოარჩიონ და შეასრულონ პირველად ის საქმეები, რომლებიც შედეგის 80%-ს მოგვცმეს.

არ უნდა მოვინდომოთ ყველა მიმართულებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა, უმჯობესია ორიენტაცია ავიღოთ მხოლოდ რამდენიმეზე.

არსებობს დროის მართვის უფრო მარტივი მეთოდიც, რომელსაც „ალპის“ მეთოდი ეწოდება. ამ მეთოდის მიხედვით:

შესასრულებელი საქმეები ლაგდება პრიორიტეტების მიხედვით

განისაზღვრება თითოეული საქმის შესრულების დრო

ხდება რაღაცა სიდიდის დროის დარეზერვება

მიიღება გადაწყვეტილება ზოგიერთი საქმის დელეგირებაზე

ხორციელდება შესრულებული საქმის კონტროლი

მუშავდება ღონისძიებები საქმის შესრულებაში დროის ეკონომიის მიმართულებით. CITATION 16 \p 296 \l 1079 (ხარხელი & მორჩილაძე, 2016, p. 296)

მნიშვნელოვანია ასევე ბრაიან ტრეისის ABCDE მეთოდი, რომელიც გულისხმობს, რომ ყოველი დღის დასაწყისში შესასრულებელი საქმეები დავალაგოთ შემდეგი პრიორიტეტულობით.

„A” საქმე, რომელიც აუცილებლად უნდა გავაკეთოთ, რადგან ის მნიშვნელონაია. თუ „A“კატეგორიის საქმეები ბევრია, მაშინ შესაძლებელია მათი დალაგებაც პრიორიტეტულობის მიხედვით. A1, A2, A3 ....

„B“ საქმე, რომელიც უნდა გავაკეთოთ მას შემდეგ რაც „A“ საქმეს დავასრულებთ

„C“ საქმე, რომელიც კარგი იქნება რომ გავაკეთოთ, მაგრამ ის არაა ისე მნიშვნელოვანი როგორც „A“ და „B“

„D“ საქმე, რომლის დელეგირებაც შეგვიძლია

„E“ საქმე, რომელიც არაა სასწრაფო და მნიშვნელოვანი, მაგრამ გარკვეული დროის დათმობას მოითხოვს CITATION Tra10 \p 248 \l 1033 (Trace, 2010, p. 248)

ამგვარი პრიორიტეტულობა შესაძლებლობას გვაძლევს, დავზოგოთ დრო და მოვასწროთ მეტი, ნაკლებ დროში.

დროის მართვის 10 საფეხურიან სტრატეგიას გვთავაზობენ ჩაპმენი (Sue W. Champam) და რუფიურდი (Michael Rupured).

დროის ხარჯვის ანალიზი - ეს გულისხმობს პერიოდულად განვლილი დროში გაკეთებული საქმეების შეფასებას, რაც შესაძლებლობას გვაძლევს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შევიტანოთ

შესრულებული საქმის დალაგება პრიორიტეტების მიხედვით

ამოცანების დასახვა - მნიშვნელოვანია დროში განვსაზღვროთ რის გაკეთებას ვაპირებთ

ორგანიზებულობა - თუ ორგანიზებულები არ ვართ, ყველაფერს აზრი ეკარგება

დაგეგმვა - აუცილებელია არა მხოლოდ მიმდინარე საქმეების დაგეგმვა, არამედ იმის განსაზღვრაც თუ რა გვინდა მომავალში, დროის გარკვეულ პერიოდში.

დახმარება - მივიღოთ სხვებისგან დახმარება, ეს დაზოგავს ჩვენ დროს

არ გადადოთ საქმე

თავი ავარიდოთ დროის „შთანმთქმელებს“

მოვერიდოთ ერთდროულად ბევრი ფუნქციის შესრულებას

ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით CITATION Cha \l 1033 (Chapman & Rupured, 2008)

ამგვარად, დროის სწორი განაწილებისთვის არსებობს სხვადასხვა გზები, რომელთაგან თითოეული ფოკუსირებულია იმაზე, რომ შესაძლებელი გახდეს პრიორიტეტების სწორი გადანაწილება, შესასრულებელ საქმეთა დროში გაწერა და საბოლოო ჯამში დასახულ მიზნამდე მიღწევა.

პიროვნული დროის მართვასთან დაკავშირებული კვლევის ანალიზი

კვლევის მიზნებისთვის გამოკითხულ იქნა სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანი. ანკეტა შედგებოდა დახურული კითხვისაგან, რომელთაგანაც ზოგიერთ შეკითხვაზე შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის გაცემა.

როგორც დიაგრამა გვიჩვენებს, რესპოდენტთა 61,3% თვლის რომ დროის დეფიციტი ხშირად აქვთ, 25,28 %-ს მიაჩნია, რომ იშვიათად გრძნობენ დროის უკმარისობას, 9,7% მიიჩნევს, რომ დროის დეფიციტი ყოველთვის აქვს, ხოლო მცირე ნაწილი - 3,2 % არასდროს არ გრძნობს დროის დეფიციტს.

შესაძლებელია, რომ დროის დეფიციტი დღის გეგმის არ ქონით იყოს გამოწვეული, შესაბამისად შემდეგი კითხვის მიზანსაც ეს წარმოადგენდა, რომ გაგვეგო რესპოდენტები გეგმავენ თუ არა სამუშო დღეს. როგორც აღმოჩნდა, რესპოდენტთა უმრავლესობა 60,2% ხანდახან გეგმავს სამუშაო დღეს, 25,8 ყოველთვის, ხოლო 14 % არასდროს არ გეგმავს სამუშაო დღეს.

გეგმის არ ქონის სხვადასხვა მიზეზი არსებობს, როგორც ჩანს უმრავლესობა (47%) სამუშაო დღეს არ გეგმავს იმიტომ, რომ არ აქვს დრო დაგეგმვისათვის, 29% თვლის რომ არ გეგმავს იმიტომ რომ იცის რა უნდა გააკეთოს და გეგმის შედგენა საჭირო არ არის, 23 % კი თვლის რომ გეგმა არ იმუშავებს.

როგორც წესი შესასრულებელი საქმეების დალაგება პრიორიტეტების მიხედვით არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი დროის მართვის პროცესში. ამაზე მეტყველებს გამოკითხულთა პროცენტული განაწილებაც, რომლის მიხედვითაც უმრავლესობა 74,2% დროის მართვისათვის შესასრულებელ საქმეებს პრიორიტეტების მიხედვით ყოველთვის ალაგებს. რესპოდენტთა 12,9% - ზოგჯერ ალაგებს, ასევე 12,9% არ ალაგებს პრიორიტეტების მიხდვით.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრირიტეტულობა შეიძლება განვსაზღვროთ მნიშვნელობისა და დროულობის მიხედვით. როგორც ასეთი, პირველ რიგში სრულდება მნიშვნელოვანი და სასწრაფო საქმეები, ბოლოს კი უმნიშვნელო და არასასწრაფო, მაგრამ საინტერესოა რომელს მიანიჭებდნენ რესპოდენტები უპირატესობას დარჩენილი ორი ვარიანტიდან, სწორედ ამიტომაც შემდეგი კითხვაც ამას ეხმიანებოდა. როგორც აღმოჩნდა 63,4%-ისთვის პრიორიტეტულია უმნიშვნელო, მაგრამ სასწრაფო საქმეები, ხოლო 36.6%-ისთვის მნიშნელოვანი, მაგრამ არასასწრაფო.

დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დროის სწორად გამოყენებას გადამწყვეტი როლი აქვს წარმატების მიღწევაში. ნათლად ჩანს, რომ დროის არასწორი მართვა აფერხებს როგორ პიროვნულ ასევე ორგანიზაციულ განვითარებას. ამიტომ საჭიროა, თითოეულმა ადამიანმა გააცნობიეროს, რომ დრო არის რესურსი რომელიც სწორად უნდა გამოვიყენოთ. ვინაიდან დროის მართვის იდეალური სისტემა არ არსებობს რომელიც ყველას და ყველაფერს მოერგება, ამიტომ უმჯობესია თუ სხვადასხვა მეთოდებს ერთდროულად გამოვიყენებთ. ამ პროცესში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს შემდეგი რეკომენდაციები:

1. მომავალი დღის ზუსტი გეგმა უნდა ჩამოყალიბდეს წინა საღამოს - ვიცოდეთ , როგორ და რაში იხარჯება დრო.
2. დავსახოთ პრიორიტებები - პრიორიტებების განსაზღვრისათვის ერთ-ერთი გზაა ჩამოვწეროთ შესასრულებელი საქმეების სია.
3. გავხდეთ ორგანიზებულნი - უწესრიგობა დროის ცუდად მართვის შედეგია.
4. მივყვეთ განრიგს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა.
5. შეამცირეთ სტრესი გამოწვეული დროის უკმარისობით.
6. დაგეგმეთ მცირე ამოცანები.
7. ნუ გადავდებთ საქმეს. ეცადეთ რომ ყველაზე დიდი და რთული საქმე დაყოთ მცირე ნაწილებად და ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდეთ მიზანს.
8. ვმართოთ გარე ფაქტორები - „დროის შთანმთქმელები“ - სატელეფონო ზარები, შეხვედრები, სტუმრები.
9. მოვერიდოთ მრავალი დავალების ერთად გაკეთებას.

ამდენად, წარმატების გზაზე მსვლელობისას აუციელებელია დროსი სწორი ორგანიზება. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი გრძნობდეს დროს და აკონტროლებდეს მას, ეს კი შეცვლის მის ცხოვრებას, იქნება უფრო კმაყოფილი საკუთარი პიროვნებითა და შესრულებული საქმეებით.

ლიტერატურა

1. ხარხელი, მ., & მორჩილაძე, გ. (2016). * დროის მენეჯმენტი.* თბილისი.
2. BIBLIOGRAPHY Chapman, S. W., & Rupured, M. (2008). *Time Management: 10 strategies for better time management.*
3. *Eisenhower Matrix*. (б.д.). Получено из https://www.productplan.com: https://www.productplan.com/glossary/eisenhower-matrix/
4. Trace, B. (2010). *Goals.* San Francisco,, USA: Berrett-Koehler Publishers.

Davit Gavardashvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Relevance of Time Management in the Modern World

SUMMARY

Nowadays, modern processes have clearly shown us ho much we need to keep pace with the passage of time. In the conditions of the fast pace of life, it is important that decisions within the organization and in personal life are made on time, therefore it is necessary that people pay special attention to the issues of time management, analyze what problems exist and try to solve these problems. The covid pandemic has made it even more clear how precious the time we have is. Its correct use, accurate sorting and distribution of priorities make people's lives easier and helps to achieve

the set goal. Accordingly, it can be said that neglecting time management is disastrous for both individuals and organizations.

The article deals with the relevance of time management, related difficulties and ways to solve them. Also, the article discusses the effective ways of managing time proposed by various scientists and makes recommendations that can be used more effectively.

Keywords: Tima management, Prioritization, Pareto principle – 80/20.

ბერდია გათენაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები

სტატია შეისწავლის საქართველოს ეკონომიკურ გამოწვევებს კოვიდ-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში. სტატიაში ნაჩვენებია, რომ პანდემიის, ომის, სანქციების შემდეგ მსოფლიოში ჩამოყალიბდა კონფრონტაციული გლობალიზაცია, სადაც აუცილებელი გახდა დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირისპირების მიუხედავად ქვეყნების მხრიდან გარკვეულ დათმობებზე წასვლა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ამის შემდეგ კი ადგილი ექნება „უკეთეს“ გლობალიზაციას, სადაც აქცენტი გაკეთებული იქნება ენერგეტიკულ, სასურსათო და მიწოდების გლობალური ჯაჭვების მდგრადი ქსელის უსაფრთხოებაზე. იქედან გამომდინარე, რომ საქართველო წარმოადგენს ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანას, აქვს საგარეო სავაჭრო უთიერთობები მსოფლიოსთან, მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროცესში ჩართულობა და იმ ეკონომიკური პერსპექტივების აღმოჩენა-გამოყენება, რასაც შექმნილი ვითარება გვთავაზობს. ამისათვის კი პირველ რიგში აუცილებელია ვიფიქროთ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე და იმ პირებზე ვინც ამას ქმნიან. ამას კი მივყავართ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკამდე და ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს არსებობამდე.

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, კონფრონტაციული გლობალიზაცია, ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭო.*

პანდემიამ, შემდეგ ომმა და სანქციებმა განაპირობა საუბრები დეგლობალიზაციის დაწყების შესახებ. რეალურად კი ადგილი აქვს ჰიპერგლობალიზაციის დასრულებას, რომელსაც მოჰყვა ტურბულენტური გლობალიზაცია (პანდემიის პერიოდში), ეს გაგრძელდა კონფრონტაციული გლობალიზაციით (ომის დაწყების შემდეგ, რომელიც მიმდინარეობს დღემდე) და როდესაც დასრულდება ომი, დაიწყება „უკეთესი“ გლობალიზაცია (Rodrick, 2022).

კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში, ვხედავთ თუ რა ხდება მსოფლიოში. პანდემიის თითქმის დასრულების შემდეგ დაიწყო რუსეთ-უკრაინის ომი, რასაც მოჰყვა დასავლეთის მხრიდან სანქციების დაწესება რუსეთის მიმართ, ხოლო რუსეთის მხრიდან ცივი ომის ელემენტების გამოყენება: სასურსათო და ენერგეტიკული ომები. ამ ვითარებაში ნათლად გამოჩნდა, რომ დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები არ არის ყოვლისმომცველი და აკრძალვების მიუხედავად თავიდანვე ადგილი ჰქონდა ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელებას ფარული გზებით. აღნიშნული ქმედება რა თქმა უნდა დღეს უფრო ღიად ჩანს და ვხედავთ თუ როგორ აგრძელებენ ოპერირებას ევროპული კომპანიები რუსეთის ბაზარზე (Yale University, 2023).

აქედან გამომდინარე, საქართველოს მიდგომა ეკონომიკური თვალსაზრისით უნდა იყოს მხოლოდ ქვეყნის ინტერესებზე მიმართული, ყოველგვარი გარე ზემოქმედება და ზეგავლენა უნდა იქნეს უგულებელყოფილი.

საქართველოს ეკონომიკური გამოწვევებია: ენერგეტიკა, სურსათი, მიწოდების ჯაჭვები, სატრანსპორტო და ეკონომიკური ჰაბის როლი, საგარეო ვაჭრობა, ინფლაცია, ვალუტის გაცვლითი კურსი, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება და ა.შ..

აღნიშნული გამოწვევებიდან განვიხილოთ საგარეო ვაჭრობა:

დიაგრამა 1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ვხედავთ იზრდება იმპორტის მაჩვენებელი და იზრდება ექსპორტიც, სავაჭრო სალდო ასევე ზრდადია. ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნისთვის, რადგან იმპორტზე დამოკიდებულება კავშირშია სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებთან და საფრთხეს უქმნის ვალუტის კურსს, ინფლაციას და ა.შ..

ასევე, მნიშვნელოვანია ინფლაციის მაჩვენებელი, პანდემიის შემდეგ ინფლაციამ ორნიშნა რიცხვს მიაღწია და გადასცდა კიდეც, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტია და საჭიროა მისი მოთოკვა. ამისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს მის ხელთ არსებულ ინსტურმენტებს, მან უკვე რამდენჯერმე გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ინფლაციის მოსათოკად (კოვზანაძე, 2022). მართალია, მსოფლიოში არსებული ინფლაცია არ არის მოთხოვნის ზრდით გამოწვეული, რისი ინსტრუმენტებიც ეროვნულ ბანკს გააჩნია, მაგრამ სხვა რა უნდა ქნას, მთელს მსოფლიოში არსებული სისტემა ესეა მოწყობილი, რომ ცენტრალური ბანკების მთავარი სამიზნე ინფლაციაა და მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევის შედეგად გამოწვეულ ინფლაციასაც ასე ებრძვის. მაგრამ, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოთხოვნის ზრდასაც აქვს ადგილი და რომ არა სებ-ის ეს პოლიტიკა, ინფლაცია უფრო მაღალი გვექნებოდა.

რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, ამ მაჩვენებელმა 10 პროცენტიან ნიშნულს გადააჭარბა 2022 წელს, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ინფლაციის შედეგადად გამოწვეული უარყოფითი ეფექტები. ასევე, ლარის გაცვლითი კურსი, რომელიც პანდემიის დროს გაუფასურდა, მაგრამ ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში საკმაოდ გამყარდა, მიზეზი კი ის დადებითი ექსტერნალიებია, რაც მოჰყვა რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან გადმოსულ კაპიტალს და ხალხის შემოსვლას. ტურისტული ნაკადი 2019 წელთან შედარებით თითქმის 2-ჯერ გაზრდილია და შეადგენს 932 000 კაცს 3 კვარტალის მონაცემებით. საიდანაც დაახლოებით 23 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა (იხ. დიაგრამა 2). ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულადი გზავნილები, 2019 წელთან შედარებით 2022 წელს დაახლოებით 133 პროცენტიანი ზრდაა (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 2



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 3



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

სატრანსპორტო როლი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოსთვის. დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებულმა დაპირისპირებამ ეს გარემოება გააქტიურა, რადგან აზიის დაკავშირება დასავლეთთან ხდებოდა რუსეთის გავლით, ხოლო ეხლა ეს გზა ჩაკეტილია და ალტერნატიული ვარიანტი სწორედ, რომ საქართველოზე გადის. აუცილებელია ეს შესაძლებლობა გამოყენებულ იქნეს არამხოლოდ სატრანსპორტო ფუნქციით, არამედ სატრანსპორტო ეკონომიკური ფუნქციით, რაც გულისხმობს საქართველოში გამავალი ტვირთების გადამუშავებას და დამატებული ღრებულების შექმნას (პაპავა, 2023).

ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში უნდა აისახოს ისეთ დოკუმენტში როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, ამისათვის აუცილებელია მისი არსებობა, ეკონომიკური გუნდის შექმნა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება გამოცდილი ექსპერტებით-ეკონომისტებით. როგორები უნდა იყვნენ ასეთი ექსპერტები? ამასთან დაკავშირებით გავეცნოთ ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას:

ცნობილი ფილოსოფოსი ისაია ბერლინი ექსპერტების კლასიფიცირებას ახდენს 2 კატეგორიად: ზღარბებად და მელიებად.

ზღარბები - პრობლემას უყურებენ ერთი მხრიდან და შესაბამისად ახდენენ მასზე რეაგირებას. მაგალითად, მათ აქვთ თვისება: საფრთხის მოახლოებისას თავს იცავს მის სხეულზე არსებული ეკლებით, რომელსაც იყენებს თავის დასაცავად. მას ამის მეტი თავდაცვის საშუალება არ გააჩნია. ეს მეთოდი გარანტირებულად უზრუნველყოფს მის დაცვას.

მელიები - თავდაცვის რამდენიმე ხერხს ფლობენ, სიტუაციიდან გამომდინარე.

ანუ, ამ ორი ცხოველის ქცევას შორის მნიშნვნელოვანი განსხვავებაა: ზღარბები ერთი კუთხიდან აკვირდებიან და აღიქვამენ სამყაროს, ხოლო მელიები სხვადასხვა კუთხით უყურებენ და შესაბამისად ქცევაც ასეთი აქვთ.

ზემოთაღნიშნული შეხედულების ინტერპრეტაციით შეგვიძლია ავხსნათ დღევანდელ მსოფლიოში საქართველოს გადარჩენის და გაძლიერების საკითხი. უნდა ვიყოთ ზღარბები თუ უნდა ვიყოთ მელიები??? რომელი ტიპის ექსპერტების შეხედულებებია გასათვალისწინებელი და რომელი ტიპის ექსპერტები გვჭირდება დღეს???

ეს საკითხი კიდევ შეიძლება განვავრცოთ შემდეგი კუთხით:

ფართო სპეციალიზაციის მქონე ადამიანი წარმოადგენს მელიას, ხოლო კონკრეტული სპეციალობის წარმოადგენს ზღარბს.

საუკეთესო ექსპერტები არიან მელიები (ბერლინის კლასიფიკაციით), თვითკრიტიკულები, თავიანთ მოსაზრებებს ხშირად ცვლიან გარემო პირობების შესაბამისად. ისინი საკმაოდ მოკრძალებულები არიან და ფრთხილად აკეთებენ ექსპერტულ პროგნოზებს.

ხოლო ზღარბები იქცევიან როგორ? მათ აკვთ ერთი იდეა და ცდილობენ ყველაფერი მოარგონ მას.მათი შეხედულებების საწინააღმდეგო აზრბის მიუხედავად უჭირთ მარტივად შეიცვალონ აზრი. სწორედ ამიტომ ისინი ხშირად ამრუდებენ რეალობას, რადგან რეალობას არგებენ მათ იდეებს და არა პირიქით. ამასთან დაკავშირებით ერთი იგავი მახსენდება:

„ბერძნულ მითოლოგიაში არსებობდა ავაზაკი პროკრუსტესი. მას სამფლობელო მთის წვერზე ჰქონდა. ის გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით და განსაკუთრებული მიდგომა ჰქონდა მათ მიმართ: მას შემდეგ რაც კარგად გაუმასპინძლდებოდა, დასაძინებლად მიჰყავდა ისინი და თავის განსაკუთრებულ საწოლში ათავსებდა, მისი სურვილი იყო სტუმარს თავი კომფორტულად ეგრძნო, სწორედ ამიტომ თუ სტუმარი მაღალი იყო, მას ფეხებს კვეთდა საწოლის ზომაზე, ხოლო თუ დაბალი იყო მათ სპეციალური მოწყობილობით ჭიმავდა“.

ეს იგავი ზუსტად ასახავს ზღარბი ექსპერტების ქცევას, როცა ისინი ცდილობენ რეალობა დაამახინჯონ და მოარგონ თავიან შეხედულებებს. ამ გზით კი რეალობას უბრალოდ დროებით ვფარავთ.

მელიები კი აცნობიერებენ სამყაროს არაპროგნოზირებადობას და შესაძლებლობებს არ უშვებენ ხელიდან. ისინი იცვლიან შეხედულებებს გარემოს ცვლილების შესაბამისად.

ასე, რომ ის გამოწვევები რაც საქართველოს ეკონომიკას აქვს მაღალი ინფლაციის, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს, ვალუტის კურსის მერყეობის და სხვა კუთხით გამოწვეულია როგორც საგარეო, ისე საშინაო ფაქტორებით. მის გადასაჭრელად კი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საგარეო ფაქტორებიდან: ომი, ენერგომატარებლების ფასი, ცენტრალური ბანკების პოლიტიკა და ჩინეთის ეკონომიკური ზრდა (კოვზანაძე, 2022). რაც შეეხება საშინა ფაქტორებს: მნიშვნელოვანია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, ეროვნული ბანკის პოლიტიკა, ასევე ინფრასტრუქტურული და ენერგოპროექტებისგანხორციელება და სახელმწიფო საწარმოების რეფორმა (კოვზანაძე, 2022).

ზემოთ აღწერილი სიტუაცია ნათლად ასახავს იმას, თუ რა სჭირდება საქართველოს ეკონომიკას იმისათვის, რომ მოცემულ ტურბულენტურ და კონფრონტაციულ გარემოში მაქსიმალურად მივიღოთ სარგებელი, რათა მომზადებული შევხვდეთ მომავალ გამოწვევებს. ურთიერთობა შევინარჩუნოთ როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან და არ ავურიოთ ერთმანეთში პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებები, უნდა მოვიქცეთ როგორც რციონალური ადამიანები, ყოველგვარი ემოციების გარეშე. ამისათვის კი აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება, ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს არსებობა (პაპავა ვ., 2019), რომელიც დაკომპლექტებული იქნება ისაია ბერლინის კლასიფიკაციით - „მელიებით“...

ლიტერატურა

1. BBC. (2022). What Sanctions are being Imposed on Russia over Ukraine Invasion? *BBC*, September 30. Retrieved from https://www.bbc.com/news/world-europe-60125659
2. Bugriy, M. (2022). The Oil War: Facing EU Embargo, Russia Targeted Ukraine's Supplies. *Eurasia Review,* May 20. Retrieved from https://www.eurasiareview.com/20052022-the-oil-war-facing-eu-embargorussia-targeted-ukraines-supplies-analysis/
3. Euronews. (2023). More than 550 global companies are still doing business in Russia. Many are European. Euronews, January 20. Retrieved from https://www.euronews.com/my-europe/2023/01/20/more-than-550-global-companies-are-still-doing-business-in-russia-many-are-european?
4. Farrer, M. (2022). Ukraine War has Stoked Global Food Crisis that Could Last Years, Says UN. *The Guardian,* May 19. Retrieved from https://www.theguardian.com/world/2022/may/19/ukraine-war-hasstoked-global-food-crisis-that-could-last-years-says-un
5. Isaiah B., (1953). *The Hedgehog and the Fox.* UK, Weidenfeld & Nicolson
6. Papava, V. (2021). On Pseudo De-Globalization, Silk Road of Global Value Chains and Role of Georgia. *Eurasia Review,* October 18. Retrieved from https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-deglobalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia-oped/
7. Papava, V. (2022). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23. Retrieved from https://www.eurasiareview.com/23052022- pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/
8. Rodrik, D. (2022). A Better Globalization Might Rise from Hyper-Globalization's Ashes. *Project Syndicate,* May 9. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/after-hyperglobalizationnational-interests-open-economy-by-dani-rodrik-2022-05

Berdia Gatenadze
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Economic Challenges of Georgia

SUMMARY

The article examines Georgia's economic challenges in the post-Covid-19 pandemic period. The article shows that after the pandemic, war, and sanctions, a confrontational globalization was formed in the world, where, despite the political and economic conflict between the West and Russia, it became necessary for countries to make certain concessions based on national interests.

Due to the fact that Georgia is a country with an open economy, it has foreign trade relations with the world, it is important to be involved in the mentioned process and to discover and use the economic prospects that the current situation offers. For this, first of all, it is necessary to think about the country's economic policy and the people who create it. This leads to the country's economic policy and the existence of the Economic Advisory Council.

Keywords: *Economics of Georgia, economic policy, confrontational globalization, council of economic advisers.*

სიმონ გელაშვილი
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეონა ხაბეიშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის სფეროში შრომის ანაზღურების სტატისტიკური ტენდენციები საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების ჭრილში

სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონებშიბიზნეს სექტორშიშრომის ანაზღაურების შედარებითი სტატისტიკური ანალიზი(მათ შორის Covid-19 პანდემიის პერიოდისათვის). სტატიის მიზანია სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით შეფასდესპანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკის მიმართ საშუალო ხელფასის ელასტიურობა და გაანალიზდეს მისი გავლენა საშუალო ხელფასის სიდიდის ცვლილების რეგიონულ ტენდენციებზე.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგენილი და შეფასებულია Covid-19 პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში ქვეყნის ადმინისტრაციულ რეგიონებშიგამოვლენილი თავისებურებები და შეცვლილი ტენდენციები, გაანალიზებულია საშუალო ხელფასის ცვლილების ტენდენციების მიმართულებები 2010-2021 წლების ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

სტატიაში ფართოდაა გამოყენებული მრავალი სტატისტიკური მეთოდი, როგორიცაა: შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის მაჩვენებლები, ასევე ლორენცის მწკრივებისა და მონაცემთა პრეზენტირების მეთოდები. მათი საშუალებით გაანგარიშებული მრავალი მაჩვენებელი წარმოდგენილია ჯგუფური და კომბინაციური ცხრილების, ასევე დიაგრამებისა და გრაფიკების ფორმით.

შედარებითი სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე დადგენილია ის რეგიონები, სადაც მაღალი და დაბალი შრომის ანაზღაურების მაჩვენებლებია და ასევე მათ შორის უთანაბრობის აბსოლუტური სიდიდე. შესაბამისად, წარმოდგენილია რეგიონების 3 ჯგუფი შრომის ანაზღაურების დაბალი, საშუალო და მაღალი მაჩვენებლებით.

საკვანძო სიტყვები: *შრომის ანაზღაურება, ბიზნეს სექტორი, სტატისტიკური ანალიზი, ვარიაციის დიაპაზონი, ადმინისტრაციული რეგიონი.*

ზოგადად, შრომის ანაზღაურების რაოდენობრივი ანალიზი, მათ შორის რეგიონულ ჭრილში, მუდმივად აქტუალური პრობლემაა. შრომის საშუალო ანაზღაურების სიდიდე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რომელიც ახასიათებს რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონეს. აღნიშნული მაჩვენებლის საფუძველზე შესაძლებელია შეფასდეს ასევე სოციალური მდგომარეობაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. გარკვეული ზომით, შრომის საშუალო ანაზღაურების მაჩვენებლით შესაძლებელია სამუშაო ძალის პოტენციალის გამოყენების განსაზღვრაც. ყოველივე ეს განაპირობებს ამ სფეროში შრომის საშუალო ანაზღაურების სტატისტიკური ანალიზის საჭიროებას, რაც გულისხმობს სხვადასხვა ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორით, მათ შორის COVID-19 პანდემიით გამოწვეული ცვლილებების გამოვლენას. ასევე, მნიშვნელოვანია შეფასდეს პანდემიის დროს შექმნილი ფორს-მაჟორული სიტუაციებით განპირობებული აქტივობების გავლენა პანდემიამდე არსებულ ტენდენციებსა და სახელფასო მაჩვენებლებზე [3].

კომპლექსური სტატისტიკური ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს ლოგიკური კავშირები ბიზნესის მხრიდან შრომის ღირებულების შეფასებაში ცვლილებებსა და პანდემიით გამოწვეულ ეფექტებს შორის, როგორც ტერიტორიულ, ისე სხვა ნიშნების მიხედვით.

წარმოდგენილ ნაშრომში სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით შეფასებულია მთლიანად ბიზნესის სფეროს საშუალო ანაზღაურება ქვეყნის ცალკეული ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით და გამოვლენილია ის რეგიონები, სადაც შრომის ანაზღაურებაში

გარკვეული უთანაბრობა ფიქსირდება, იდენტიფიცირებულია პანდემიის შემდგომ არსებული ძირითადი გამოწვევები და ტენდენციები.

ძირითადი შინაარსი

რეგიონებს შორის დაქირავებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების თანაბარზომიერი განაწილება ქვეყნის მდგრადი და სტაბილური განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი პირობაა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2010-2021 წლების პერიოდში შრომის ანაზღაურების მაჩვენებლები განსხვავებულია საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით [6]. უფრო დეტალური ანალიზისათვის მოვიტანოთ შემდეგი ცხრილი:

ცხრილი 1. საშუალო ხელფასი რეგიონულ ჭრილში, ლარი

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
თბილისი	697,5	728,6	828,3	876,9	920,1	1006,7	1065,1	1167,6	1247,8	1315,5	1348,1	1505,8
აჭარის ა. რ.	441,4	477,8	536,7	577,3	644,9	821,5	845,4	848,5	928,7	1019,0	995,6	1080,6
იმერეთი	370,7	435,4	481,0	489,3	505,1	604,6	619,3	698,0	726,4	769,6	929,5	1045,9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	343,2	259,8	300,1	351,5	391,6	414,5	475,3	509,6	524,0	631,5	738,8	726,8
გურია	264,8	276,4	264,4	327,8	397,0	641,1	517,2	596,1	717,8	672,2	708,1	763,4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	443,7	436,4	527,4	587,0	605,2	644,7	662,5	758,2	892,2	897,8	1018,7	977,5
კახეთი	355,1	323,2	384,0	447,7	460,3	521,8	561,8	593,9	711,7	760,8	832,7	901,1
ქვემო ქართლი	571,5	547,5	663,0	679,6	690,2	779,2	763,8	817,3	866,3	911,9	1111,2	1181,6
სამცხე-ჯავახეთი	350,8	372,1	441,3	591,4	587,5	573,9	626,6	664,7	704,2	781,5	963,1	962,4
შიდა ქართლი	332,5	361,2	436,1	421,2	464,8	511,3	553,5	564,4	678,8	720,7	751,3	861,9
მცხეთა-მთიანეთი	518,4	608,0	574,1	775,0	814,9	890,3	914,2	950,0	947,3	1055,1	1275,4	1296,0

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

როგორც ზემოთმოცემული ცხრილიდან ჩანს, 2021 წელს 2010 წელთან შედარებით საშუალო ხელფასის აბსოლუტური მაჩვენებლის ზრდა დამახასიათებელია საქართველოს ყველა რეგიონისათვის, რაც პოზიტიური ტენდენციაა.

მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში, საშუალო ხელფასის უწყვეტი ზრდის ტენდენცია შეინიშნება ყველა რეგიონში, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის გარდა. 2010 წელს

ყველაზე მაღალი საშუალო ანაზღაურება დაფიქსირდა თბილისში - 697 ლარის, შემდეგ კი ქვემო ქართლში - 571,5 ლარის ოდენობით. 2021 წელს სიტუაცია შეიცვალა და თბილისის შემდეგ მეორე ადგილზე გადაინაცვლა მცხეთა-მთიანეთის რეგიონმა, სადაც ერთ-ერთი მაღალი საშუალო ანაზღაურება დაფიქსირდა.

2016 და 2019 წლებში საშუალო ხელფასის უწყვეტი ზრდის ტენდენცია გურიის რეგიონში

დაირღვა, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მაჩვენებლით გურიამ მეთერთმეტე პოზიციიდან მეექვსე პოზიციაზე გადაინაცვლა, 2018 წლის საშუალო ხელფასის ოდენობით კი რეგიონი მეშვიდე ადგილს იკავებდა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის.

თუ მხოლოდ კორონაპანდემიის პერიოდის მაჩვენებლებს დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ აღნიშნულ პერიოდში საშუალო ხელფასის მაჩვენებლით აჭარის რეგიონმა მესამე პოზიციიდან 2020 წელს მეხუთე, ხოლო 2021 წელს მეოთხე პოზიციაზე გადაინაცვლა. ამ პერიოდში ყველზე დაბალი საშუალო ხელფასი გურიის რეგიონში დაფიქსირდა. რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმს, რეგიონმა 2019-21 წლების პერიოდში მდგომარეობა 2 პოზიციით გაიუმჯობესა. ამ მიმართულებით, კორონაპანდემიის პერიოდი ყველაზე მეტად აჭარისა და გურიის რეგიონებს შეეხო, მაგრამ გურიისგან განსხვავებით, აჭარამ მოახერხა პანდემიურ პირობებთან ადაპტაცია და თანდათან უბრუნდება პანდემიამდელი პერიოდის მაჩვენებლებს [2].

საბოლოო ჯამში, საშუალო ხელფასების რეგიონულ ჭრილში შეფასებისას შეიძლება ითქვას, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლები, უმეტეს შემთხვევაში ყოველწლიურად იზრდება. საბაზისო, 2010 წელთან შედარებით კი საშუალო ხელფასი ყველა რეგიონში 2-ჯერ და მეტად არის გაზრდილი.

ცხრილი 2. საშუალო ხელფასის ვარიაციის დიაპაზონი, ლარი

2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
432.7	468.8	563.9	549.1	528.5	592.2	589.8	658	723.8	684	640	557.3

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ, საქსტატის პირველადი მონაცემების საფუძველზე.

საშუალო ხელფასის რეგიონულ ჭრილში ანალიზისას, მნიშვნელოვანია შევაფასოთ საანგარიშო პერიოდში ხელფასის ცვლილების დინამიკა. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ვარიაციის დიაპაზონის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს მონაცემთა დროით მწკრივში მაქსიმალურ და მინიმალურ სიდიდეებს შორის სხვაობას. ამ შემთხვევაში ეს არის საშუალო ხელფასის სიდიდის ცვლილების არე. აქ საინტერესოა, რომ 2020-2021 წლებში საშუალო ხელფასებს შორის ვარიაციის დიაპაზონი შემცირდა, რაც განსხვავდება პანდემიამდე არსებული მდგომარეობისაგან.

2015-2021 წლებში ვარიაციის დიაპაზონი ყველაზე დაბალი 2021 წელს იყო; მთლიან საანალიზო პერიოდში კი (2010-2021 წლები) ვარიაციის დიაპაზონი ყველაზე მაღალი 2018 წელს იყო - 291,1 ლარი. 2021 წელს 2018 წელთან შედარებით, ანალოგიური მაჩვენებელი 166,5 ლარით შემცირდა. ეს ნიშნავს იმას, რომ კორონაპანდემიის პირობებში შეინიშნებოდა რეგიონებს შორის საშუალო ხელფასის უთანაბრობის შემცირების ტენდენცია, რაც დადებითი ფაქტია. ზოგადად, 2010-2012 წლებში ვარიაციის დიაპაზონი უწყვეტად იზრდებოდა, შემდგომ წლებში კი ტენდენციას ცვალებადი ხასიათი აქვს.

ზოგადი შეფასების სახით, შეიძლება დავასკვნათ, რომ რეგიონებს შორის საშუალო ხელფასების არათანაბარზომიერი განაწილების პრობლემა მუდმივად დგას, თუმცა, ზოგიერთ რეგიონს შორის შეინიშნება უთანაბრობის შემცირების პოზიტიური დინამიკა.

ჩატარებული ანალიზის შედეგად, ხელფასის სიდიდის მიხედვით, ადმინისტრაციული რეგიონები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

- რეგიონები დაბალი საშუალო ხელფასით - ხელფასის ოდენობა ბიზნეს სფეროში საშუალო სახელფასო მაჩვენებლის 50-70%-ია;
- რეგიონები საშუალო ხელფასის სიდიდით - ხელფასის ოდენობა ბიზნეს სფეროში საშუალო სახელფასო მაჩვენებლის 71-80%-ია;
- რეგიონები მაღალი საშუალო ხელფასით - ხელფასის ოდენობა ბიზნეს სფეროში საშუალო სახელფასო მაჩვენებლის 80%-ზე მეტია.

  რეგიონების დაჯგუფების შედეგების საფუძველზე შევადგინოთ შემდეგი ცხრილი:

ცხრილი 3. საქართველოს რეგიონების დაჯგუფება ხელფასის სიდიდის მიხედვით (2021 წლის მონაცემების საფუძველზე)

I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი
რეგიონები დაბალი საშუალო ხელფასით	**რეგიონები საშუალო ხელფასის სიდიდით**	**რეგიონები მაღალი საშუალო ხელფასით**
კახეთი	აჭარის ა. რ.	თბილისი
შიდა ქართლი	იმერეთი	მცხეთა-მთიანეთი
გურია	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო	

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ.

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, 2021 წელს ქვეყნის საშუალო ხელფასზე მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ სამ რეგიონში დაფიქსირდა, ხოლო დაბალი და საშუალო შემოსავლები კი თანაბარი რაოდენობის რეგიონებში, ანუ ოთხ-ოთხში.

2021 წლის მდგომარეობით ყველაზე დაბალი შემოსავალი შესაბამისად, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის, შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში ფიქსირდება. საშუალო ხელფასის მაჩვენებლით შუალედურ პოზიციებს იკავებენ აჭარის, იმერეთის, სამცხე ჯავახეთისა და სამეგრელოს რეგიონები. მაღალი საშუალო ხელფასის მქონე რეგიონად კი, ჩვენ მიერ შემოღებული კრიტერიუმით, თბილისის გარდა მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები შეიძლება ჩავთვალოთ.

საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონებში საშუალო ხელფასის სტატისტიკურ ანალიზში დაგვეხმარება ჯაჭვური მატების ტემპის მაჩვენებელი. როგორც ვლინდება, საანალიზო პერიოდის განმავლობაში თბილისისა და იმერეთის რეგიონები უწყვეტი ზრდის მაჩვენებლით ხასიათდება, ხოლო რაც შეეხება კორონაპანდემიის პერიოდს, ბოლო სამ წელიწადში დადებითი ჯაჭვური აბსოლუტური მატება დაფიქსირდა ყველა რეგიონში, გარდა აჭარისა და გურიის რეგიონებისა. 2018-2021 წლის მატების ტემპის მაჩვენებლები ილუსტრირებულია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

გრაფიკი 1. ჯაჭვური მატების ტემპი რეგიონულ ჭრილში



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორთა მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2020-21 წლებში 2019 წელთან შედარებით, თითქმის ყველა რეგიონის მიხედვით შეინიშნებოდა საშუალო ხელფასის მატების ტემპის მნიშვნელოვანი ზრდა. თუმცა, ამას არ გამოუწვევია საშუალო ხელფასის აბსოლუტური სიდიდის მნიშვნელოვანი მატება.

საინტერესო ინდიკატორია ზრდის ტემპის მაჩვენებელიც, რომელიც დაახლოებით იგივე სურათს გვიხატავს. თუ შევადარებთ 2021 წლის ზრდის ტემპებს 2018 წლის და მანამდე არსებულ მაჩვენებლებთან, აღმოჩნდება, რომ ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და კახეთის რეგიონებში დაფიქსირდა. ამ ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში მნიშვნელოვნად შემცირდება რეგიონებს შორის საშუალო ხელფასის სიდიდეში არსებული უთანაბრობა, რაც მისასალმებელია.

გრაფიკი 2. ზრდის ტემპი 2019, 2021 წელს 2018 წელთან შედარებით



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორთა მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

თუ 2010-2021 წლებში საშუალო ხელფასის მაჩვენებლებს რეგიონების შედარებითი ანალიზის კუთხით დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში, საშუალო ხელფასების აბსოლუტურ სიდიდეებს შორის მკვეთრი უთანაბრობა ფიქსირდებოდა, მაშინ როდესაც, მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება რეგიონებს შორის საშუალო ანაზღაურების მატების ტემპებში და ისინი თითქმის ერთნაირია.

ზემოთ წარმოდგენილ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული ტენდენციების მიმართულებები ძირითადად მიყვება ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ვექტორს და მკვეთრი ცვლილებები რეგიონებს შორის უთანაბრობის შესამცირებლად, ჯერ-ჯერობით არ შეინიშება [3].

ზოგადად ბიზნესის სფეროში რეგიონების მიხედვით საშუალო ხელფასის მაჩვენებელთა ცვლილებებში შევამჩნევთ საინტერესო ტენდენციას, რაც იმაში ვლინდება, რომ ბოლო წლებში, საწყის საანალიზო პერიოდთან (2010 წელი) შედარებით, შეინიშნება საშუალო კვადრატული, ანუ სტანდარტული გადახრის შემცირების ტენდენცია, ანუ: თუ 2019 წლამდე სტანდარტული გადახრა იყო მზარდი, 2019 წლის შემდეგ ეს ტენდენცია შეიცვალა, რაც ბიზნესის სფეროსთვის საშუალო ანაზღაურების თანაბარზომიერი განაწილების მიმართულებით დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

გრაფიკი 3. სტანდარტული გადახრა 2010, 2015, 2019-2021 წლები



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორთა მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით შრომის საშუალო ანაზღაურების ცვლილების მიმართულებით მკვეთრი უარყოფითი ტენდენცია არ შეინიშნება. პირიქით, შესამჩნევია რეგიონებს შორის შრომის ანაზღაურების სიდიდეში არსებული დისპროპორციის შემცირების ტენდენცია, რაც სასურველი ფაქტია.

დასკვნა

Covid-19 პანდემიის პირობებში, საქართველოს ბიზნეს სექტორში, რეგიონულ ჭრილში შრომის ანაზღაურების სტატისტიკური ანალიზის შედეგად საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა, კერძოდ:

- კოვიდ პანდემიამდე, ისევე, როგორც პანდემიის შემდგომ პერიოდში, არ დაფიქსირებულა საშუალო ხელფასის შემცირება ქვეყნის არცერთ რეგიონში;
- პანდემიამდე და პანდემიის შემდგომ პერიოდში დაფიქსირდა საშუალო ხელფასის არათანაბარზომიერი განაწილება ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით;

- პანდემიის შემდგომ პერიოდში საშუალო ხელფასის მატების ტემპი, სხვა პერიოდებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც მეტწილად პანდემიის პირობებში ბიზნესის წარმატებული ადაპტაციის შედეგია;
- კორონაპანდემიის შემდეგ შეინიშნება საქართველოს რეგიონებს შორის საშუალო ხელფასის სიდიდეში უთანაბრობის შემცირება, რაც დადებითი პროცესია;
- საშუალო ხელფასის მაჩვენებელი შედარებით მაღალია ზოგიერთ რეგიონში, ვიდრე ეს ფიქსირდება მთლიანად ქვეყანაში, თუმცა, ამ რეგიონების რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა.

საბოლოოდ, ჩატარებული სტატისტიკური ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ Covid-19 პანდემიის პირობებში ბიზნეს სექტორმა მოახერხა საშუალო ხელფასის აბსოლუტური მაჩვენებლის უწყვეტი ზრდის ტენდენციის შენარჩუნებარეგიონულ ჭრილში. მნიშვნელოვანია ასევე, რომ პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების დონეზე შეინიშნება საშუალო ხელფასის მაჩვენებლის დაახლოვება, რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს შრომისა და ადამიანური კაპიტალის გადანაწილებისა და ხელმისაწვდომობის ტენდენციებზე, ისევე, როგორც რეგიონის მწარმოებლურობასა და შემდგომ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. მიუხედავად რეგიონებს შორის შრომის ანაზღაურებაში უთანაბრობის შემცირების ტენდენციისა, ეს საკითხი ჯერ ისევ პრობლემად რჩება

ლიტერატურა

1. გელაშვილი ს., თოდრაძე გ. დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tsu.ge/assets/media/files/7/conf.%20V2020.pdf
2. გელაშვილი ს., ოქრუაშვილი მ., შრომის ანაზღაურების გენდერული დისპროპორცია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tsu.ge/assets/media/files/7/conf.%20V2020.pdf
3. გელაშვილი ს., ხაბეიშვილი თ. ბიზნესის სფეროში შრომის ანაზღურების მაჩვენებელთა სექტორული სტატისტიკური ანალიზი. VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", თსუ, თბილისი, 2022. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://-www.tsu.ge/assets/media/files/48/konferenciebi/Globalizaciis-Krebuli-2022.pdf
4. „საქართველოში თანაბარი ანაზღაურების მიმოხილვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიის დანერგვის მოდელების შეფასება". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://iset-pi.ge/ka/publications/-research-reports
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ხელფასების მაჩვენებლები. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/ khelfasebi
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ბიზნესის სტატისტიკა [მონაცემთა ბაზები].
7. ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/media/32249/BS_%E1%83%9B%E1%83%94% E1%83%97%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf
8. ბიზნეს სექტორი საქართველოში 2021, 2020, 2019. ხელმისაწვდომია ბმულზე:
9. https://www.geostat.ge/ka/single-categories/105/biznes-seqtori-sakartveloshi

Simon Gelashvili
Professor, Doctor of Economic Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Teona Khabeishvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Statistical Trends of Labor Compensation in the Field of Business in terms of Administrative Regions of Georgia

SUMMARY

The article presents a comparative statistical analysis of wages in the business sector in the administrative regions of Georgia (including for the period of the Covid-19 pandemic). The purpose of the article is to use statistical methods to estimate the elasticity of the average salary to the economic shock caused by the pandemic and to analyze its impact on the regional trends of the average salary change.

Based on the comparative analysis, the peculiarities and changed trends in the administrative regions of the country before and during the pandemic have been established and evaluated the directions of the average salary changes have been analyzed based on the official statistical data of 2010-2021.

Many statistical methods are widely used in the article, such as: relative, average and variance indicators, as well as time series and data presentation methods. Many indicators calculated through them are presented in the form of group and combination tables, as well as diagrams and graphs.

On the basis of comparative statistical analysis, the regions with high and low wage rates and also the absolute magnitude of inequality between them are established. Accordingly, 3 groups of regions with low, medium and high indicators of labor remuneration are presented.

Keywords: labor compensation, business sector, statistical analysis, range of variation, administrative region.

რევაზ გველესიანი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირინა გოგორიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ევროკავშირის ახალი მიდგომა ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართ

ევროკავშირში ყოველთვის ესმოდათ, რომ მათი დღევანდელი კეთილდღეობა ეფუძნება რეგიონის უნარს შექმნას და დაეუფლოს სამრეწველო ინოვაციებს, როგორც ძირითად ფაქტორს ეკონომიკური ზრდისა და სოციალური პროგრესის უზრუნველსაყოფად. დღეს ინდუსტრიული ინოვაციები ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მთავარი მამოძრავებელია. ისინი აჩქარებენ ეკონომიკურ ზრდას, ქმნიან ახალ და უფრო მიმზიდველ სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფენ სოციალურ მობილურობას, ხელს უშლიან ნეგატიურ კლიმატურ ცვლილებებს და აუმჯობესებენ ცხოვრების ხარისხს. ამასთან, იცვლება თავად ინდუსტრიული ინოვაციების ხასიათი. მათი სასიცოცხლო ციკლი მკვეთრად მცირდება. სირთულე იზრდება სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიების დაახლოების შედეგად. სამრეწველო ინოვაციებიდან მიღებული მოგების კონცენტრაცია ხდება მსოფლიო ბაზარზე დომინანტური ცალკეული კომპანიების ხელში, რომლებმაც მოახერხეს ინოვაციების შექმნისა და განაწილების მონოპოლიზება მათი უნიკალური თვისებების გამოყენების გამო. ინოვაციები სულ უფრო მეტად ფოკუსირდება მომხმარებელზე, რომელიც ეძებს არა პროდუქტს ან მომსახურებას, არამედ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტას. ის დღეს მოქმედებს როგორც პროგრესის ინიციატორი და შემქმნელი და არა როგორც მიღწეულის მომხმარებელი. მეცნიერთა კვლევები ცხადყოფს, რომ თანამედროვე სამრეწველო ინოვაციები ხასიათდება შედარებით დაბალი საოპერაციო ხარჯებით ტრადიციულთან შედარებით.

საკვანძო სიტყვები: *ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკა, გლობალური წესრიგი, სტრუქტურული რეფორმები, ციფრული ინოვაციები, წრიული ეკონომიკა.*

ეს ნაშრომი მიზნად ისახავს მიმოიხილოს წარსულში ყველაზე აქტუალური სამრეწველო პოლიტიკის ინტერვენციები, რომლებიც ხდებოდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ისევე როგორც ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში. ევროპული სამრეწველო ინოვაციების 2017 წლის მონაცემებით, სამხრეთ კორეა, კანადა, ავსტრალია, იაპონია, აშშ და ევროკავშირის ქვეყნები, ერთად აღებული, არიან აბსოლუტური ლიდერები განვითარების საერთო ინდექსის კლებადობით. ევროკავშირი, რომელიც ავსებს ლიდერთა ხუთეულს და ჩამორჩება კანადასჰ და ავსტრალიას, (რომლებიც ადრე მას ჩამორჩებოდნენ), შესამჩნევად უსწრებს ჩინეთს, ბრაზილიას და, განსაკუთრებით, ინდოეთსჰ და რუსეთს. უფრო მეტიც, სამხრეთ კორეა და ჩინეთი უფრო დაშორდა ევროკავშირს.

საკუთარი „ციფრული“ ინფრასტრუქტურის შექმნის საკმაოდ ადრეული და წარმატებული მცდელობის მიუხედავად, ევროპამ ვერ შეძლო პლატფორმის ეკონომიკის მიერ წამოჭრილი „ციფრული ინოვაციების“ ტალღის განვითარება. ამის შედეგი იყო ახალი ათასწლეულის დასაწყისში ევროპის ტექნოლოგიური ჩემპიონების არარსებობა ეკონომიკის „ციფრულ“ სექტორში. მათი ადგილი მნიშვნელოვანი დომინირებით დაიკავეს ამერიკულმა და ჩინურმა ინოვაციურმა კომპანიებმა, რომლებიც აქტიურად გარდაქმნიან ეკონომიკას მრეწველობასა და შრომის ბაზარს (Beñat Bilbao-Osorio and Eva Rückert, 2018). (1)

სამრეწველო ინოვაციების არსებული მდგომარეობა

ევროკავშირი აგრძელებს მსოფლიო ეკონომიკაში წამყვანი პოზიციის შენარჩუნებას კვლევისა და განვითარებისთვის სახელმწიფო ხარჯების და მეცნიერ მუშაკთა რაოდენობის მიხედვით. ის არის ლიდერთა შორის, თუმცა არა ლიდერი სამეცნიერო პროდუქციის წარმოებაში. ისინი შეადგენს დაახლოებით 23% (და 20%) სახელმწიფო (და კერძო) ინვესტიციების მსოფლიო მოცულობის კვლევასა და განვითარებაში, ხოლო აშშ-სა და ჩინეთში შეადგენს 21% (და 28%) და 16% (და 24%), შესაბამისად. (Kathleen Burkhardt; Richard Deiss and Diana Senczyszyn, 2018).(2)

აშშ-სთან შედარებით, ევროპა საგრძნობლად ჩამორჩება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ინვესტიციების მოცულობით, რაც ზღუდავს მის შესაძლებლობებს განახორციელოს ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, გააუმჯობესოს განათლების სისტემა და გააფართოვოს ზოგადად ეკონომიკური კომპეტენციები.

ეს ხდება ევროპაში ეკონომიკურ აგენტებს შორის ცოდნის შედარებით სუსტ გადაცემასთან ერთად. მაშინაც კი, თუ მისი ზრდა დროთა განმავლობაში შეინიშნება, მას ხელს უშლის მათ შორის ჯვარედინი ინვესტიციების ნაკლებობა რაც ვლინდება აშშ-სთან შედარებით ჩამორჩენის ტენდენციაში.

მიუხედავად დადებითი დინამიკისა, ღია ხელმისაწვდომობის პუბლიკაციების წილი, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გავრცელებას, კვლავ დაბალია ევროპაში (30%), ვიდრე აშშ-ში (35%). კიდევ უფრო დიდი ჩამორჩენა შეინიშნება კერძო და საჯარო სექტორების ერთობლივი პუბლიკაციების რაოდენობაში, რაც ასახავს მათ შორის თანამშრომლობის ხარისხს - 30 პუბლიკაცია მილიონ მოსახლეზე ევროპაში, აშშ-ში 63,4-ის წინააღმდეგ. მიუხედავად ძლიერი კონკურენტული პოზიციებისა ეკონომიკის უამრავ ინოვაციურ სექტორში, როგორიცაა კვანტური გამოთვლები და ტელეკომუნიკაციები, ევროპა ჩამორჩება ისეთი ახალი ტექნოლოგიური სფეროების განვითარებაში, როგორიცაა: დიდი მონაცემები (Big Data) და სამრეწველო ნივთების ინტერნეტი (Internet of Things). ევროპა ჩამორჩება აშშ-სა და იაპონიას კერძო ბიზნესის მეცნიერებათა ინტენსიურ სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, სადაც დასაქმებულია სამუშაო ძალის დაახლოებით 14%, ხოლო აშშ-სა და იაპონიაში - 16-17%. საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტიც, რომ ევროპა ჩამორჩება აშშ-ს, იაპონიას, სამხრეთ კორეას და თუნდაც ჩინეთს კვლევისა და განვითარების (R&D) დანახარჯებით და მათი განხორციელების ეფექტიანობით. ეს განსხვავება ზოგიერთ ინდიკატორში მნიშვნელოვნად იზრდება. იგი არ აძლევს ევროპას საშუალებას, შეამციროს არსებული გარღვევა, მათ შორის, ინვესტიციების უკმარისობა არამატერიალურ აქტივებში. კერძო სექტორის სამეცნიერო კვლევებში (R&D) ხარჯების ინტენსივობის დინამიკამ, მიუხედავად 2007-2012 წლების ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის არახელსაყრელი პერიოდისა, ევროპაში აჩვენა დამაკმაყოფილებელი მონაცემი 2,5% წელიწადში. თუმცა, მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი შემცირდა 0,5%-მდე და მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე აშშ-ში (2%) და ჩინეთში (3%). ევროპაში საქონლისა და შრომის ბაზარზე უფრო დაძაბული მდგომარეობა, შეერთებულ შტატებთან და ეკონომიკურად განვითარებულ სხვა ქვეყნებთან შედარებით, ზღუდავს ევროპის შესაძლებლობას ეფექტიანად გადაანაწილოს რესურსები ინოვაციური აქტივობის გასაზრდელად. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD-ის) თანახმად, ესპანეთში 16%-დან, იტალიაში კი 19%-მდე ფულადი კაპიტალის მთლიანი ოდენობა მიმართულია დაბალი ეფექტიანობის მქონე კომპანიებზე, სახელწოდებით „ზომბი ფირმები“. (3)

შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ კავშირი კონკურენტუნარიანობასა და ინოვაციურ საქმიანობას შორის ყოველთვის არ არის პირდაპირი, ევროპის კონკურენტუნარიანი შესაძლებლობები მუდმივად დაბალია, ვიდრე აშშ-ის. ეს ვითარება კვლავ შენარჩუნებულია ევრო-

კავშირის რიგ ქვეყნებში სტრუქტურული რეფორმების განხორციელების მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად (თუმცა ბოლო წლებში მან დაკარგა ყოფილი დინამიკა). ევროპული ბაზარი კვლავაც რჩება ფრაგმენტული, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ციფრული ტექნოლოგიები, კაპიტალის ან მომსახურების მიწოდება, რაც ზღუდავს კომპანიების უნარს წარმოებისა და ინოვაციების სწრაფ გავრცელებაში.

ევროპაში დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის მკვეთრ გაუმჯობესებასთან ერთად (ფინანსური კრიზისის ყველაზე უარეს პერიოდებთან შედარებით), სარისკო (ვენჩურული) კაპიტალის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით მზარდი მეწარმეობისთვის, რჩება მნიშვნელოვნად შეზღუდულიჰდა არ შეედრება მსგავს სიტუაციას აშშ-ში. მაგალითად, ბოლო შეფასებები აჩვენებს, რომ ევროპაში 2017 წლის დეკემბრისთვის არსებობდა 26 კერძო კომპანია, რომელთა აქტივები აღემატებოდა 1 მილიარდ დოლარს, ხოლო აშშ-სა და ჩინეთში იყო 109 და 59, შესაბამისად. (4)

ევროკავშირში, სამეწარმეო და ინოვაციური პოტენციალი, მისი სტრუქტურული რესტრუქტურიზაცია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მიმართულებით, რომელსაც შეუძლია შეინარჩუნოს პროდუქტიულობის მაღალი დონე და ინვესტიციები არამატერიალურ აქტივებში, საკმარისად სწრაფად არ ვითარდება. http://sg-sofia.com.ua/innovazionnoe-obnovlenie-ekonomiki-eu \l "3" 2000 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში მეცნიერულად ინტენსიური საქმიანობის ხვედრითი წონის ზრდა ე.წ.ევროპულ ეკონომიკაში დამატებული ღირებულების მთლიანი რაოდენობა 0,5%-ზე ნაკლები იყო. შედეგად, ამ სექტორებში 2015 წელს ევროპაში დამატებული ღირებულების 50%-ზე ნაკლები იწარმოებოდა, ხოლო აშშ-ში და სამხრეთ კორეაში ეს წილი უფრო მაღალი იყო. ინდუსტრიის სფეროს, სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების მდგომარეობის ანალიზის წარმოდგენილი შედეგები განზოგადებულია მთლიანად ევროპისთვის. ისინი ფარავს მნიშვნელოვან ეროვნულ განსხვავებებს, მაგალითად, ეკონომიკური ზრდის, ინვესტიციებისა და წარმოების სასურველი ტემპების მხარდაჭერის პოტენციალის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, ევროპის არსებული ცნობილი დაყოფა ჩრდილოეთ და სამხრეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთად დღეს კიდევ უფრო ელასტიკური ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განიხილება საინვესტიციო შესაძლებლობები, როდესაც ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ მოახერხა საზღვრის ხაზამდე მისვლა, ზოგმა კი არა.

ამრიგად, სლოვაკეთმა, ბულგარეთმა, პოლონეთმა და ჩეხეთმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზარდეს ინვესტიციების ინტენსივობა R&D-ში. ამ ქვეყნებმა შესაბამისი მაჩვენებლით ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელსაც კი მიაღწიეს. მეორე მხრივ, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა: რუმინეთი, პორტუგალია და ესპანეთი აქ აუტსაიდერები აღმოჩნდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით მაღალი სპეციფიკური ხარჯები კვლევისა და განვითარებისთვის (R&D-ში) ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, პოლონეთში, მიღწეული იქნა ეროვნული სახელმწიფო ინვესტიციებისა და ევროკავშირის ბიუჯეტის სახსრების წყალობით. ეს აჩენს ეჭვებს ასეთი ინვესტიციების გრძელვადიანი მდგრადობის შესახებ. ეს განსხვავებები ხშირად უფრო მკაფიოდ ვლინდება არა სამრეწველო ინოვაციების სფეროში, არამედ სამეცნიერო კვლევისა და ტექნოლოგიების განვითარების პარამეტრებში. თუ გავითვალისწინებთ, მაგალითად, მოწინავე სამეცნიერო კვლევების სფეროს, აქ რეგიონული ლიდერები არიან **გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები, დანია და ბელგია,** ხოლო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ევროპის წამყვანი ქვეყნების სიის ბოლოში არიან მოქცეული ყველაზე ციტირებული პუბლიკაციების მიხედვით. ეს მოწმობს მათი ეროვნული სამრეწველო-ინოვაციური სისტემების დაბალ ეფექტიანობას (ინდუსტრიაში განხორციელებული ინვესტიციების ტრანსფორმაციის კუთხით, აგრეთვე R&D-ში, ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში). ევროპას არ შეუძლია წააგოს ან საერთოდ დაკარგოს რბოლის ინტენსივობა ინდუსტრიული განვითარების მოწინავე ტექნოლოგიებისთვის, რომლებიც კრიტიკული იქნება 21-ე საუკუნეში. ამჟამად, საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვით 20 საუკეთესო ტექნოლოგიურ კომპანიას შორის მხოლოდ ერთი ევროპული კომპანიაა (ასეთი კომპანიები

ძირითადად აშშ-დან და აზიიდანაა). მიუხედავად იმისა, რომ ევროპა ჯერ კიდევ შედარებით კარგ ფორმაშია მწვანე ტექნოლოგიების კომპანიებს შორის უმსხვილესებში ყოფნის თვალსაზრისით იგი აშშ-სა და ჩინეთს ბევრად ჩამორჩება. უკვე ცხადია, რომ აშშ, ჩინეთი და ინდოეთი მიწოდებათა ჯაჭვის განვითარების შედეგად მისი მთავარი კონკურენტები არიან. აშშ აშკარად დომინირებს ზოგადად თვითმართვადი მანქანებისა და ICT-ების ბაზარზე, ისევე როგორც ჩინეთი ელექტრომობილების ბატარეის ბაზარზე და ტაივანი ნახევარგამტარების ბაზარზე (თუმცა გამოშვების რაოდენობაში დომინირება არ ნიშნავს ხარისხობრივ მაჩვენებლებში დომინირებას). Unicorn-ის სტარტაპების თვალსაზრისით (ინოვაციური კერძო კომპანიები 1 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულებით) ტოპ 100-დან მხოლოდ ოთხი მოდის ევროკავშირის 27 ქვეყნიდან, ყველაზე დიდი კი მხოლოდ 58-ე ადგილზეა. (5)

საერთაშორისო რეიტინგებში ევროპელი გიგანტების არარსებობამ ევროპელ მეწარმეებს, პოლიტიკოსებსა და მეცნიერებს დაანახა ევროპაში მსხვილი ჩემპიონების შექმნის აუცილებლობა. ისინი თვლიან, რომ ეს ხელს შეუწყობს ჩინეთისა და აშშ-ის მხრიდან გაჩაღებულ კონკურენციასთან გამკლავებას. ევროკომისიის უარმა 2019 წლის თებერვალში კომპანიების Alstom-Siemens-ის შემოთავაზებულ შერწყმაზე, განაახლა ეს დებატები ფრანკო-გერმანული „მანიფესტით“, რომელიც ასახავს ევროკავშირის კონკურენციის წესების პოტენციურ რეფორმას, რაც გააადვილებს ევროპული მეგაკომპანიების შექმნას. თუმცა, უფრო დიდი კომპანიების შექმნა-შერწყმის ხელშეწყობა სულაც არ იწვევს უფრო ინოვაციური კომპანიების გაჩენას, რომლებსაც შეუძლია კონკურენცია გლობალურ დონეზე. ფაქტობრივად, ბაზარზე დომინირებადი უფრო დიდი ფირმები მიდრეკილია მაქსიმალურად გაზარდონ მოგება ამ პოზიციის ექსპლუატაციის გზით, ხოლო შედარებით შეამცირონ ინვესტიციები სამრეწველო ინოვაციებსა და შრომით რესურსებში. 2019 წლის მარტში, ევროპულმა საბჭომ მიიწვია ევროკომისია, წარმოედგინა ახალი „სარწმუნო ინდუსტრიული პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემს ევროკავშირს დარჩეს ინდუსტრიულ ძალად“. საპასუხოდ, ევროევროკომისიამ წარმოადგინა ახალი ინდუსტრიული სტრატეგია 2020 ევროპისთვის რომელიც Covid-19 პანდემიის ფონზე 2018 წლის მაისში მიღებული დოკუმენტის განახლებული და შევსებული ვარიანტი იყო. ამასთან დაკავშირებით ურსულა ფონ დერ ლაიენმა ხაზგასმით აღნიშნა „ევროპულ ტექნოლოგიურ სუვერენიტეტში ინვესტირების მნიშვნელობაზე“ და მოუწოდა „გაორმაგებულიყო ძალისხმევა, რათა ჩამოყალიბდეს ციფრული ტრანსფორმაცია ევროპული წესებისა და ღირებულებების შესაბამისად“. როგორც შემდგომში რუსეთის უკრაინაზე აგრესიის მოვლენებმა გვიჩვენეს ეს ტრანსფორმაცია არ განხორციელდა. იგი დღეს ევროპისთვის საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს.

მწვანე გარიგებასთან ერთად, ფონ დერ ლაიენის ევროკომისიამ დაიწყო იმის განხილვა, თუ როგორ უნდა მიეღო ინდუსტრიული განვითარების სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს ევროკავშირის კონკურენტუნარიანობას და მხარს დაუჭერს კომისიის მიერ მინიჭებულ „გეოპოლიტიკურ“ როლს სტრატეგიული ავტონომიის გაძლიერებით. 2020 წლის მარტში, როდესაც COVID-19 პანდემია უკვე დომინირებდა საჯარო დებატებში, ევროკომისიამ მიიღო **კომუნიკე „ევროპის ახალი ინდუსტრიული სტრატეგიის შესახებ**“. ამ დოკუმენტში ევროკომისიამ აღნიშნა, რომ „ორმაგი გარდამავალი“ (მწვანე და ციფრული) განვითარების მიმართულებები იყო უნიკალური შესაძლებლობა ევროკავშირისთვის „დაემტკიცებინა თავისი ხმა, შეენარჩუნებინა თავისი ღირებულებები და ებრძოლა თანაბარი „თამაშის წესების პირობებისთვის“. კომუნიკეში ასევე ნათქვამია, რომ „ევროპის ინდუსტრიული სტრატეგია უნდა ასახავდეს ევროპულ ღირებულებებს და სოციალური ბაზრის ტრადიციებს“ (ევროპის კომისია, 2020, 1), რაც ითარგმნება როგორც ინდუსტრიული პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია **კონკურენციაზე და ღია ბაზრებზე,** ვიდრე პროტექციონიზმის განახლებაზე ან მნიშვნელოვანი მოცულობის სუბსიდიებზე. ევროპის ღირებულებები და ტრადიციები, რა თქმა უნდა, არ სრულდება კონკურენციის პრინციპების საფუძვლებზე. ისინი (კონკურენციის პირობებთან

ერთად) ვრცელდება ინოვაციებზე, კონტრაქტებზე, კორპორაციულ მმართველობასა და ფინანსებზე, ასევე მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) გაძლიერებაზე და ფუნდამენტურ დაცვაზე. ევროკომისია მართებულად ამტკიცებდა, რომ მრეწველობამ უნდა შეასრულოს წამყვანი როლი 2050 წლისთვის კლიმატის ნეიტრალიტეტის მიღწევაში ევროკავშირის დასახმარებლად. ამ პროცესში ჩართულია ყველა ღირებულებათა ჯაჭვი, მათ შორის არსებული და სხვა, რომლებიც ამოქმედდება პროაქტიური პოლიტიკით, რომელიც მიზნად ისახავს წამყვანი ბაზრების გაძლიერებას. კომუნიკეს ძირითადი საყრდენი მოიცავდა ევროკავშირის სპეციალიზაციის გაძლიერების შესახებ ქმედებებს შემდეგ სფეროებში:

- კრიტიკულ ციფრულ ტექნოლოგიებში, როგორიცაა 6G, ხელოვნური ინტელექტი და მეტამონაცემების ანალიტიკა;
- ერთიანი ბაზრის გაღრმავება მცირე და საშუალო ბიზნესზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვით;
- კონკურენციის წესების შეცვლა, მათ შორის სახელმწიფო დახმარების შესახებ;
- წრიულ ეკონომიკაზე გადასვლა;
- ინოვაციების გაძლიერება, მათ *შორის* ევროპული ინოვაციების საბჭოს კონსოლიდირებით, ხელახალი ამუშავებით და საჯარო-კერძო პარტნიორობის გამოყენებით, რათა დაეხმაროს ინდუსტრიას განავითაროს ტექნოლოგიები მათი მიზნების მისაღწევად;
- ევროპული ინდუსტრიისთვის ხელმისაწვდომი უნარების ამაღლება; და
- ინვესტიციებისა და ინოვაციების დაფინანსება.

კომუნიკე ასევე შეეხო ევროკავშირის ინდუსტრიული სტრატეგიის გარე განზომილებას, რომ ამბიციური მიზნები - მდგრადობის, კლიმატის ნეიტრალიტეტის და თუნდაც სოციალური პოლიტიკის თვალსაზრისით - ვერ იქნება მიღწეული, თუ ევროპა არ იმოქმედებს სხვა ქვეყნებთან თანაბარი პირობების დამყარების საფუძველზე. ძირითადი ინიციატივები მოიცავს ევროკავშირის ინდუსტრიული ბაზის უფრო ღრმა განვითარებას ისეთ სტრატეგიულ სფეროებში, როგორიცაა:

- კრიტიკული ციფრული ტექნოლოგიები;
- თავდაცვა და სივრცე;
- ფარმაცევტული პროდუქტები;
- სამართლებრივი და მარეგულირებელი ზომების მიღება გლობალური კონკურენციის აღსადგენად, მათ შორის:

ა) უცხოური ინვესტიციების სკრინინგის მექანიზმი;
ბ) ნახშირბადის შემცველობის სიდიდის კორექტირების გადასახადის ამოქმედება; და
გ) საბაჟო კონტროლის გაძლიერება.

კომუნიკე ასევე მოიცავდა მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია მმართველობასთან. თუმცა, არ იყო საკმარისი სიცხადე იმის შესახებ, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი სამრეწველო სტრატეგიის განხორციელება. ევროკომისიამ გამოაცხადა რამდენიმე პრიორიტეტი, მათ შორის:

- ფოკუსირება სამრეწველო ეკოსისტემებზე (სექტორების 14 კლასტერი და ღირებულების ჯაჭვები);
- მრავალმხრივი სამრეწველო ფორუმის დაწყება, რომლის ამოცანაა დაეხმაროს კომისიას ინდუსტრიული სტრატეგიის განხორციელებაზე თვალყურის დევნებაში და ეკოსისტემებზე მუშაობის განვითარებაში; და
- სამრეწველო ალიანსების ინსტრუმენტის მხარდაჭერა, რომელიც უკვე, გავრცელებული ინფორმაციით, მომგებიანი აღმოჩნდა ისეთ სფეროებში, როგორიცაა მზის ბატარეები, პლასტმასი, მიკროელექტრონიკა და წყალბადი.

თუმცა, ამ ფონზე, კომუნიკემ ვერ ჩამოაყალიბა საფუძვლები მმართველობითი ღონისძიებების სრული ნაკრებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ერთდროულად თანმიმდევრულობას სტრატეგიაში გათვალისწინებული რამდენიმე ქმედებასა და მკაფიო, გაზომვადი და თანმიმდევრული ზემოქმედების მიღწევას შორის. ყველაზე თვალსაჩინო ხარვეზი იყო განვითარების (პროგრესის) მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორების ნაკლებობის საკითხი, რომელიც მალე, სწრაფად იქნა განხილული ინდუსტრიული ჯგუფებისა და ასოციაციების მიერ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. მაგრამ ამის გარდა, მმართველობის სხვა ისეთი გამოწვევები დარჩა გადაუჭრელი როგორიცაა:

- ევროკავშირის კანონმდებლობა, რომელიც შექმნილია „მწვანე გარიგებითა“ და სამრეწველო სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად, უნდა დაიხვეწოს უკეთესი რეგულირების დღის წესრიგის გადახედვის გზით;
- კორპორაციული მმართველობის რეფორმის გატარება სისტემური ტრანსფორმაციის გასაძლიერებლად. მას უნდა აეხსნა, თუ როგორ მოხდება პროგრესის კონცეპტუალიზაცია და გაზომვა „ეკოსისტემის“ ანალიზის ერთეულად მიღებისას. და ბოლოს ეკოსისტემების შეჯერება ინდუსტრიის აქტორთა მრავალრიცხოვან გაერთიანებებთან და კლასტერებთან, რომლებიც გამოიყენება ევროკავშირის პოლიტიკის იმავე ან სხვა სფეროებში (მაგ. მონაცემთა სივრცეები, სტრატეგიული ღირებულებების ჯაჭვები, ალიანსები, საერთო ევროპული ინტერესების მნიშვნელოვანი პროექტები, პარტნიორობები, მისიები, ცოდნისა და ინოვაციების საზოგადოებები. კვლევითი ინფრასტრუქტურები).

ზოგიერთ ამ პრობლემას ევროკომისია სავარაუდოდ გადაწყვეტდა კომუნიკეს მიღების შემდგომ თვეებში.ჰთუმცა, უფრო სერიოზულმა მოვლენებმა გავლენა მოახდინა ევროკომისიის დღის წესრიგზე: COVID-19 პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის ომმა მართლაც გამოიწვია დრამატული ეკონომიკური ვარდნა და წარუშლელი კვალი დატოვა ევროკავშირის დღის წესრიგის მომავალზე.

რამ გამოიწვია სტრატეგიის გადახედვა ევროკავშირში

მიუხედავად ევროკავშირის ლიდერების ბოლოდროინდელი ოპტიმიზმის აღდგენისა, ევროკავშირის პროგნოზები უფრო უარესია, ვიდრე შეერთებული შტატებისა და ჩინეთისთვის, რომლებიც, როგორც ჩანს, ორიენტირებულია კრიზისიდან ადრე თავის დაღწევასა და ასევე მდგრად ზრდაზე საშუალოვადიან პერსპექტივაში. ეს პერსპექტივები ასახავს იმ მძიმე ბრძოლას, რომელსაც ევროკავშირი წააწყდება გლობალურ წესრიგში თავისი გეოპოლიტიკური როლის დასაცავად.ზოგიერთი ხაზს უსვამს ხარვეზების (ნაწიბურების) საფრთხეს, ანუ პანდემიისა და შემდგომში ომის გრძელვადიან გავლენას მრავალი ქვეყნის ეკონომიკაზე.-მეორეს მხრივ, კრიზისი ასევე დააჩქარებს ცვლილებას, რამაც შეიძლება გააუმჯობესოს პროდუქტიულობის ზრდა. „ხარვეზების (ნაწიბურების)“ თავიდან აცილების გასაღები ცვლილებების სარგებლის მიღებისას, როგორც ჩანს, არის ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა. ცხადია, ეს დიდწილად განპირობებულია ევროპის ცენტრალური ბანკისა და ფინანსური ზედამხედველობის ორგანოების გადამწყვეტი ქმედებებით (CHRISTOPHER W. CALLAHAN AND JUSTIN S. MANKIN, 2022). (6)

როდესაც საქმე ეხება კონკრეტულ ინდუსტრიებს, COVID-19 პანდემიის თავისებურება არის მისი უკიდურესად მრავალფეროვანი გავლენა სექტორებში და შიგნით, როგორც ეს აჩვენა ბოლო კვლევამ (Jan Maarten DE VET, Daniel NIGOHOSYAN, Jorge NÚÑEZ FERRER, Ann-Kristin GROSS, Silvia KUEHL, and Michael FLICKENSCHILD, 2021).ისეთი ინდუსტრიები, როგორიცაა ქიმიკატები, მშენებლობა და სურსათისა და სასმელების სექტორი, სავარაუდოდ განიცდიან ე.წ. V-

ის ფორმის აღდგენას კრიზისიდან; ხოლო საავტომობილო და ტექსტილის მრეწველობა სავარაუდოდ ადრე აღდგენის გზაზე იქნება. ყველაზე ცუდი ზემოქმედება შეიძლება მოხდეს ისეთ სექტორებზე, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ადამიანთა კონტაქტსა და ურთიერთქმედებებზე, როგორიცაა კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიები. ასეთი ბნელი პერსპექტივის წინაშე ევროკავშირს აქვს მორალური და პოლიტიკური იმპერატივი, მიუახლოვდეს აღდგენას ღრმა ეკონომიკური ტრანსფორმაციის გამოწვევით და გადაიტანოს თავისი მოქმედების მთელი მიმართულება გამძლეობისა და მდგრადობისკენ. (7)

ახალ კომუნიკეში ევროკომისია (2021) კიდევ ერთხელ ადასტურებს 2020 წლის მარტის კომუნიკეთი განსაზღვრულ პრიორიტეტებს და მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მიღებულ ზომებს ერთიანი ბაზრის მდგრადობის გაზრდის მიზნით, მათ შორის: საგარეო სუბსიდიების შესახებ მომავალ რეგულაციაზე მუშაობის დაჩქარებაზე; ერთიანი ბაზრის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის მიღება მომავალი კრიზისების შემთხვევაში ადამიანთა, საქონლისა და სერვისების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად; მომსახურების დირექტივის განხორციელების გასაუმჯობესებლად ქმედებების განხორციელება; პროდუქციის ბაზრის ზედამხედველობის გაძლიერება კომპეტენტური ეროვნული ორგანოების მხარდაჭერით; მნიშვნელოვანი ინვესტიციების მობილიზება მცირე და საშუალო ბიზნესის წასახალისებლად; მხარდაჭერა „მდგრადობის მრჩეველებისგან“, დავების გადაწყვეტის ალტერნატიული სქემები და ზომები გადახდისუნარიანობის რისკების მოსაგვარებლად. ერთიანი ბაზრის დაცვისა და გაფართოების გარდა, კომუნიკე აცნობებს ევროპის სტრატეგიული დამოკიდებულებებისა და „უკუდამოკიდებულებების“ საფუძვლიანი შედგენისა და ანალიზის შედეგებს, ასახავს 137 პროდუქტს „სენსიტიურ ეკოსისტემებში“, რომლებზეც ევროკავშირი დიდად არის დამოკიდებული და აჩვენებს სისუსტეებს ენერგეტიკულ მრეწველობაში, ჯანმრთელობასა და მოწინავე ტექნოლოგიებში. თუმცა ეს 137 პროდუქტი მთლიანი იმპორტის მხოლოდ მცირე წილს (6%) წარმოადგენს. ევროკომისია წარმოგიდგენთ ექვს სიღრმისეულ მიმოხილვას სტრატეგიულ სფეროებზე, მაგ. ნედლეულზე, მზის ბატარეებზე, აქტიურ ფარმაცევტულ ინგრედიენტებზე, წყალბადზე, ნახევარგამტარებზე და ღრუბელზე და ბოლო ტექნოლოგიებზე. მდგრადობის მიზანი მიიღწევა აგრეთვე საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვების დივერსიფიკაციისა და საერთაშორისო პარტნიორობისა და ალიანსების განხორციელების გზით, განსაკუთრებით პროცესორებსა და ნახევარგამტარების ტექნოლოგიებზე. მთლიანობაში, კომუნიკე გვიჩვენებს ერთგულებას ერთიანი ბაზრის დაცვისა და ევროპის ინდუსტრიაში კონკურენტუნარიანობის, პროდუქტიულობისა და გამძლეობის ხელშეწყობისადმი. ამავე დროს, მისი ამბიცია არ მიდის იქამდე, რომ გააცნობიეროს სისტემური ცვლილება, რომელიც კომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა გამოიწვია მწვანე გარიგებასთან დაკავშირებით. მმართველობის მხრივ, 2021 წლის თებერვალში დაწყებულმა ინდუსტრიულმა ფორუმმა, როგორც ჩანს, ვერ მოიპოვა ის მხარდაჭერა, რომელიც, მოიპოვა კომუნიკეს მიღების წინ. შეუძლია თუ არა ევროკავშირს განახორციელოს ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართ ახალი მიდგომა? ევროკომისიამ უნდა გამოასწოროს ინდუსტრიული სტრატეგიის განახლების შესახებ ბოლო კომუნიკეს ამბიციის ნაკლებობა შემდეგი თამამი ნაბიჯების გადადგმით:

პირველ რიგში, ევროკომისიამ უნდა მიიღოს სრულფასოვანი სტრატეგია **„ჩრდილოეთის ვარსკვლავით“**, ანუ მისია, რომელიც უნდა შესრულდეს მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში და დაადგინოს ვადები, არა მხოლოდ კონკრეტული ინიციატივების წამოწყებისთვის, არამედ კონკრეტული მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, ევროკომისიამ უნდა განსაზღვროს **კონკრეტული ინდიკატორები,** მმართველობის ჩარჩო და საგანგებო გეგმა იმ შემთხვევაში, თუ პროგრესი ზოგიერთი მიზნის მისაღწევად დროთა განმავლობაში არასაკმარისია. რაც შეეხება ინდიკატორებს, ტრადიციულად ფოკუსირება **მიწოდების მხარეზე** ხდება;

მეორე, „ჩრდილოეთის ვარსკვლავის“ არჩევისას, ევროკომისიამ უნდა მოიცვას (დახვეწილი ვერსია) ინდუსტრია 5.0 პარადიგმა, რომელიც ამჟამად ვითარდება მისი კვლევისა და ინოვაციების გენერალური დირექტორატის მიერ. ეს ასევე ნიშნავს იმის აღიარებას, რომ Industry 5.0 პარადიგმა თავისთავად არ იძლევა სრულ გეგმას ინდუსტრიული ტრანსფორმაცი-

ისთვის, რადგან ის არ არის ორიენტირებული მდგრადობაზე და მუშაკთა კეთილდღეობის ამაღლებაზე. Industry 5.0 მიდგომას აქვს შესაძლებლობა პოტენციურად შეუთავსოს სამრეწველო პოლიტიკის ძალისხმევა ევროკავშირის საერთო დღის წესრიგს, შეამციროს ტრადიციული გამიჯვნა სახელმწიფოსა და ბაზარს შორის და დააკისროს როგორც მთავრობებს, ისე კერძო სექტორს ერთობლივი პასუხისმგებლობა, რომელიც მიაღწევს წინსვლას ადამიანზე ორიენტირებული ინდუსტრიის შექმნით და მდგრადობის ხელშეწყობით ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პერსპექტივით;

მესამე, ევროკავშირმა მტკიცედ უნდა დატოვოს კაპიტალიზმის არამდგრადი ფორმები, რომლებიც აქციონერთა პრიმატს მოითხოვს. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, ამერიკული „ბიზნეს- მრგვალი მაგიდის“ და სხვათა შორის BlackRock-ის აღმასრულებელი დირექტორის ხმამაღალი განცხადებების შემდეგ, პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ღიად განაცხადა, რომ „დაემთავრებინა აქციონერთა კაპიტალიზმის ეპოქა“ (Plender, J., 2021). ახალი ევროპული საწარმოს მოდელი აშკარად უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობის, გამძლეობისა და მდგრადობის პრინციპებს (Kalff, D., 2021). მხოლოდ ამ გზით, ინდუსტრია შეიძლება გახდეს „ორმაგი გადასვლის“ ნამდვილი ძრავა. უფრო კონკრეტულად: ინდუსტრია 5.0-ის მდგრადობის საყრდენი მოითხოვს გაძლიერებულ კორპორაციულ ორიენტაციას წრიული ეკონომიკისკენ, კლიმატზე ზემოქმედების შერბილებასა და ღირებულების სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფას ღირებულებათა ჯაჭვებზე; (8), (9)

მეოთხე, საჭიროა ევროკავშირის დონეზე ინდუსტრიის მხარდასაჭერად წამოწყებული მრავალი ინიციატივის კონსოლიდაცია და გამარტივება. მინიმუმ, ევროკომისია უნდა შეეცადოს შეათანხმოს სექტორის, ეკოსისტემისა და მონაცემთა სივრცის ცნებები, რათა შესაძლებელი იყოს უფრო კოორდინირებული მიდგომა საშუალო და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. ყოველივე ამის შემდეგ, ძალიან ძნელი წარმოსადგენია წარმატებული ციფრული ტრანსფორმაცია მთავარ ეკოსისტემებში მონაცემთა მართვის სტრატეგიის გარეშე, რომელიც შეესაბამება საჭიროებებს, აქტორებსა და იმავე ეკოსისტემებში მოქმედი ღირებულებების ჯაჭვებს;

მეხუთე, მნიშვნელოვანია ევროკავშირის შემდგომი განვითარების „გამოყენება“, როგორც „საუკუნეში ერთხელ“ შესაძლებლობა ევროპის ინდუსტრიის აღდგენისა და გადაკეთების მიზნით. უპრეცედენტო რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია წევრი ქვეყნებისთვის „უკეთესად აღსადგენად“, პრეზიდენტ ბაიდენის სიტყვებით, უნდა იქნას გამოყენებული თანმიმდევრულად და ეფექტიანად, რათა თავიდან იქნას აცილებული ზემოაღნიშნული პრობლემები. სისტემის ცვლილება ვერ იქნება მიღწეული, თუ ევროპა ორ განსხვავებულ რიტმზე მიდის, ერთი ევროკავშირში და მეორე ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, აღდგენისა და მდგრადობის ეროვნული გეგმების შემოწმებას, შეფასებასა და განხორციელებას მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს და გამოიყენებულ იქნას სრულიად ახალი ინსტრუმენტები და არა მემკვიდრეობითი (ძალისხმევასა და ენთუზიაზმზე დაფუძნებული). უნარების შერწყმა, როგორიცაა სტრატეგიული შორსმჭვრეტელობა, ცოდნა რეგიონული სპეციალიზაციის შესახებ და პანევროპული ინდუსტრიული ტრანსფორმაციის გზების განსაზღვრა, რომელსაც ძირითადი შედეგები ექნება წევრი ქვეყნების დღის წესრიგში. სამწუხაროდ, არსებული ეროვნული გეგმების პირველი ანალიზი ცხადყოფს, რომ წევრმა ქვეყნებმა პრიორიტეტი მიანიჭეს ზომებს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკისა და საზოგადოების „დასაცავად“, რითაც შერბილდება პანდემიის მოკლევადიანი შედეგები და არ მოხდება ცვლილებების წინაპირობების შექმნა. დე ვეტი და სხვ. (2021) აღნიშნავენ, რომ „ზომების უმეტესობა შედგებოდა ჰორიზონტალური დამხმარე ინსტრუმენტებისგან წინასწარ განსაზღვრული ფოკუსის გარეშე“; ისინი ასევე აღნიშნავენ შესაძლო დაბნეულობას, რომელიც წარმოიქმნება ეროვნული მთავრობებისთვის მიცემული მიზნების სიმრავლით, მათ შორისაა მდგრადობა და შესაბამისობა ქვეყნის სპეციფიკურ რეკომენდაციებთან.

დასკვნა

ევროკავშირის წარმატებული განვითარება და კონკურენტუნარიანობის გაძლიერება არჩეულ მიზნებსა და მათი მიღწევისათვის ეფექტიან ინსტრუმენტთა ნაკრების შერჩევაზეა დამოკიდებული რაც ნაციონალური ინტერესების დაახლოვებაზეა დამოკიდებული და თანხვედრის სფეროთა გაფართოებას გულისხმობს;

შესაფერისი ინდიკატორების არჩევასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კორპორაციული საქმიანობის თვალყურის დევნება და წახალისება ფინანსური ინდიკატორებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის გზით, სავარაუდოდ, ხელს უშლის სისტემის ტრანსფორმაციის მცდელობას ინდუსტრია 5.0-ის მიმართულებით. პროგრესი ეხება შედეგებსა და ზემოქმედებას, ევროკავშირის ინსტიტუტები უნდა იყოს ადეკვატურად აღჭურვილი ამ ზემოქმედების ადგილზე შესაფასებლად და მიიღონ ზომები, როდესაც მონაცემები აჩვენებს არასაკმარის პროგრესს;

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ფონზე, ევროკომისიამ უნდა შეიმუშაოს **არტიკულირებული და ყოვლისმომცველი ინდიკატორები,** რომლებიც ასახავს მრეწველობა 5.0-ზე გადასვლის ეკონომიკურ, სოციალურ, გარემოსდაცვით და მმართველობი საყრდენებს, რომლებიც ორიენტირებულია:

- კეთილდღეობაზე (და ამგვარად, მსპ-ს მიმართ ალტერნატიულ ზომებზე);
- გამძლეობაზე (როგორც შემდგომი დამუშავება ერთობლივი კვლევითი ცენტრის მიერ მიღებული ცვლილებათა ნუსხისა); და
- მდგრადობაზე.

აღსანიშნავია, რომ უფრო დიდი კოორდინაცია სულაც არ ნიშნავს უფრო დიდ ცენტრალიზაციას. პანდემიამ გვიჩვენა დეცენტრალიზებული მმართველობის ზრდა, როგორც მდგრადი მრავალ ინდუსტრიულ გარემოში. კერძოდ, გადაწყვეტილების მიღებისა და ღირებულების განაწილების დეცენტრალიზაცია კომპლექსურ ღირებულებათა ჯაჭვებში, ისევე როგორც უფრო დეცენტრალიზებული მმართველობის მიღება ციფრულ ეკოსისტემაში (მაგ., ზღვრული გამოთვლების საშუალებით) წარმოადგენს ევროკავშირის მთავარ ახალ საზღვრებს კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებისთვის;

კოორდინაცია, ეფექტურობა, გამძლეობა და მდგრადობა დეცენტრალიზებული მმართველობის მიდგომებში ასევე ხდება არსებითი გზა ყველა იმ ინდუსტრიის სექტორის გასაძლიერებლად, რომლებსაც დაჩქარებული, ციფრული ტრანსფორმაციის დროს მათ მიერ გამომუშავებულ ღირებულებაზე კონტროლის დაკარგვა ემუქრება. სწორედ ეს არის კონკრეტული რისკი რამდენიმე „ეკოსისტემაში“.

ლიტერატურა

1. Beñat Bilbao-Osorio and Eva Rückert, (2018). SCIENCE, RESEARCH AND INNOVATION PERFORMANCE OF THE EU 2018 (a). გვ.22-76;
2. Strengthening the foundations for Europe's future. file:///C:/Users/home/Downloads/science%20research%20and%20innovation%20performance%20of%20the-KI0118198ENN.pdf
3. Kathleen Burkhardt; Richard Deiss and Diana Senczyszyn, (2018). SCIENCE, RESEARCH AND INNOVATION PERFORMANCE OF THE EU 2018 (b). Strengthening the foundations for Europe's future. გვ.86-96;
4. file:///C:/Users/home/Downloads/science%20research%20and%20innovation%20performance%20of%20the-KI0118198ENN.pdf
5. Müge Adalet McGowan, Dan Andrews and Valentine Millot, (2017). THE WALKING DEAD? ZOMBIE FIRMS AND PRODUCTIVITY PERFORMANCE IN OECD COUNTRIES. ECONOMICS DEPARTMENT WORKING PAPERS No. 1372; https://www.oecd.org/economy/growth/The-Walking-Dead-Zombie-Firms-and-Productivity-Performance-in-OECD-Countries.pdf

6. Sara Amoroso, Nicola Grassano and Alexander Tübke, (2018). European Commission, DG Joint Research Centre. Productivity and the role of intangibles: focus on the world's largest R&D investors; file:///C:/Users/home/Downloads/science%20research%20and%20innovation%20performance%20of%20the-KI0118198ENN.pdf
7. The Comprehensive Unicorn Startup List for 2022. In partnership with Pitchbook;
8. https://www.hubspot.com/startups/unicorn-startups
9. The Comprehensive Unicorn Startup List for 2022. In partnership with Pitchbook;
10. https://www.hubspot.com/startups/unicorn-startups
11. CHRISTOPHER W. CALLAHAN HTTPS AND JUSTIN S. MANKIN, (2022). Globally unequal effect of extreme heat on economic growth; https://www.science.org/doi/10.1126/sciadv.add3726
12. Jan Maarten DE VET, Daniel NIGOHOSYAN, Jorge NÚÑEZ FERRER, Ann-Kristin GROSS, Silvia KUEHL, and Michael FLICKENSCHILD, (2021). Impacts of the COVID-19 pandemic on EU industries;
13. https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document/IPOL_STU(2021)662903
14. John Plender, (2021). Where is the oil price headed? Financial Times. https://www.ft.com/john-plender
15. Donald Kalff, (2021). Enterprise Models and the EU agenda. http://aei.pitt.edu/103319/1/PI2021-02_Enterprise-Models-and-the-EU-agenda.pdf

Revaz Gvelesiani
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Irina Gogorishvili
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The European Union's New Approach To Industrial Policy

SUMMARY

The EU has always understood that its current prosperity is based on the ability of a regional association to create and master industrial innovations as a key factor in ensuring economic growth and social progress. Today, industrial innovation is the main driver of economic and social prosperity. They accelerate economic growth, create new and more attractive jobs, provide social mobility, prevent negative climate change and improve the quality of life. At the same time, the very nature of industrial innovation is changing. Their life cycle is drastically reduced. Complexity is increasing as a result of the convergence of different types of technologies. Profits from industrial innovations are concentrated in the hands of individual companies that dominate the world market, which have managed to monopolize their creation and distribution through the use of their unique properties. Innovations are increasingly focused on the buyer, who is looking not for a product or service, but for a solution to his specific problem. He acts today as the initiator and creator of progress, and not as a consumer of what has been achieved. Research scientists show that modern industrial innovations are characterized by relatively low operating costs compared to traditional ones.

Key words: EU industrial policy, global order, structural reforms, digital innovation, circular economy.

თამარ გვენეტაძე
ეკონომიკის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

COVID 19-პანდემიის მიერ წარმოქმნილი ცვლილებების გავლენა მომხმარებლის ქცევაზე და კომუნიკაციის სტრატეგიის მნიშვნელობა

ცნობილია, რომ მომხმარებლების ქცევა მუდმივად იცვლება და კომპანიებმა უნდა მოახერხონ სიახლეებთან ადაპტირება და მოთხოვის შექმნასთან ერთად მიწოდების უზრუნველყოფა. COVID-19 პანდემიის შედეგად გამოწვეული მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური კრიზისის შედეგად წარმოქმნილი შიში და შეშფოთება აშკარად მოქმედებს როგორც სოციალურ ქცევაზე ზოგადად, აგრეთვე ყიდვით ქცევაზეც. მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ინფორმირებისა და კომუნიკაციის ეფექტიანი გზების პოვნა, ვინაიდან მომხმარებლებს მიეწოდოთ უახლესი და უაღრესად ზუსტი ინფორმაცია, რისი მეშვეობითაც მათ გადაწყვეტილების მიღება გაუადვილდებათ. კომუნიკაცია აუცილებელია როგორც რისკისა და გაურკვევლობის პირობებში ინტერესის დასაკმაყოფილებლად, ასევე მომხმარებლისთვის საუკეთესო ალტერნატივის შერჩევის გადაწყვეტილების წარმართვისთვის.

კომუნიკაციის პროცესის დროს გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა, გავრცელებული ინფორმაციის ხარისხი, გადაცემის არხები, წყაროს სანდოობა, აგრეთვე მიმღებების მიერ ინფორმაციის აღქმის სტრუქტურა.

საკვანძო სიტყვები: *COVID-19 პანდემია, მომხმარებლის ქცევა, AIDA მოდელი, მომხმარებელთან კომუნიკაცია.*

COVID-19 პანდემიის შედეგად წარმოქმნილმა ცვლილებებმა გააოცა მთელი მსოფლიო. შეიქმნა ტურბულენტური ბიზნეს გარემო, რომელშიც გარემო ფაქტორების გამო ცვლილებები იმდენად მოულოდნელი და არაპროგნოზირებადი აღმოჩნდა, რომ კომპანიების ფუნქციონირებისათვის ახალი გზების მოძიება გახდა საჭირო.

ქცევის თვალსაზრისით, მოსახლეობის რეაგირება იყო დიდი გამოწვევა მთელ მსოფლიოში, პირდაპირპროპორციული COVID-19 პანდემიის ზემოქმედებით ეფექტების გამოვლინებაზე.

ჩვენი პლანეტის მოსახლეობას ინფექციური დაავადებების მთელ რიგ ეპიდემიასა თუ პანდემიასთან მოუწია გამკლავება. კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს პანდემიად 1918 წ. ესპანური გრიპი ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ 100 წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით ამჟამინდელ ეპოქაში ტექნოლოგიური განვითარების სხვა დონესთან გვაქვს საქმე, როდესაც საქმე ეხება ადამიანების ქცევას, მოსახლეობის რეაქციებს დაწყებული შიშიდან პანიკამდე იკვეთება, რომ დროის განმავლობაში ადამიანური რეაქციები რადიკალურად არ შეცვლილა. ესპანური გრიპის მსგავსად, ამჟამინდელმა COVID-19 პანდემიამაც კაცობრიობა მიიყვანა უმთავრესი გამოწვევის ზღვარზე, რაც ადამიანურ რეაქციებთან გამკლავებას გულისხმობს.

ამ ფონზე, პანდემიის დროს ინდივიდის ქცევის შესახებ ძალიან მცირე მონაცემების ქონა და ეფექტიანი კომუნიკაციის სტრატეგიების პოვნა კომპანიებისათვის გამოწვევას წარმოადგენს. მოსახლეობის შესაძლო რეაქციები და ქცევა გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. COVID-19-ის პირობებში შეიცვალა ინდივიდების ქცევა განურჩევლად სოციალური კლასისა, სტატუსისა თუ ცხოვრების დონისა.

არსებულ პირობებში მნიშვნელოვანია მომხმარებელთან კომუნიკაციის დამყარება.

AIDA (Attention, Interest, Desire, Action) მოდელის თანახმად იმისათვის, რომ მოხდეს კომპანიის მხრიდან გაგზავნილი კომუნიკაციის აღქმა მნიშვნელოვანია მომხმარებელმა შეტყო-

ბინებას მიაქციოს ყურადღება, გაუჩნდეს ინტერესი და შეძენის სურვილი ხოლო, მოქმედება კი ყიდვითი ქცევით გამოიხატოს (Courtland, L. Bovee & John V. Thill 2016).

აღნიშნული მოდელის გამოყენება აქტუალობას ინარჩუნებს COVID-19 პანდემიის პირობებშიც და მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში კომუნიკაციის გამგზავნი მოახერხებს შეტყობინების მიმღებამდე სასურველი ინფორმაციის მიწოდებას იმ ფორმით, რომ მოხდება მომხმარებლის ყოყმანთან გამკლავება.

ფიგურა 1: Courtland, L. Bovee & John, V. Thill (2016). Business in Action (8th ed.). PEARSON



ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მომხმარებელთა ქცევა ფუნდამენტურად იცვლება ეკონომიკური კრიზისის დაწყებისთანავე და ხდება ბევრად რაციონალური, უფრო ეკონომიური, მაგრამ აგრეთვე უფრო მოთხოვნადი მომხმარებელთა მოლოდინების თვალსაზრისით. მომხმარებლები ადვილად ვერ ხარჯავენ თავიანთ შემოსავლებს თუ დარწმუნებულები არ არიან, რომ მათი მოლოდინები გამართლდება. მომხმარებლები ახდენენ ყველა შესაძენი საქონლის თუ მომსახურების გაანალიზებას სარგებლობის მიხედვით, ვინაიდან თავიდან აიცილონ შესყიდვები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ რეალურ საჭიროებას. COVID-19 პანდემიის დროს ყიდვასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენების თავიდან ასაცილებლად შეიძლება ასევე „რაციონალური მოლოდინის“ დოქტრინის პრინციპების გათვალისწინება. (Silagadze A., Atanelishvili T., Silagadze N. (2010).

სამომხმარებლო ქცევის შესწავლა ყოველთვის იყო მრავალი მკვლევარის ინტერესის სფერო, რადგან იმის გაგება და მოლოდინი, თუ როგორ შეიძლება კრიზისის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ცოდნა გამოყენებული იქნას სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების დროს პროფესიონალებისთვის წარმოადგენს საჭიროებას, ვინაიდან მოხერხდეს მომხმარებლების მოლოდინების შეცნოდა და დაკმაყოფილება (Nistorescu, T. & Puiu, S., 2009).

მრავალი ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და კულტურული ფაქტორების მოქმედების შედეგად (Drakopoulos, S. 2008), სამომხმარებლო ქცევის ანალიზი სცილდება ერთიანი მიდგომის საზღვრებს, იმის გათვალისწინებით, რომ გარე გავლენები იწვევს ქცევის ცვლილებებს საზოგადოების ფარგლებში, რაც ამ საკითხისადმი გლობალურ მიდგომას გულისხმობს. (Chaudhuri, A., 2006)

მომხმარებელთა ქცევა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც უწყვეტი გადაწყვეტილების მიღების პროცესი საქონლისა და მომსახურების ძიებასთან, შეფასებასთან, შეძენასთან, გამოყენებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებით.

მომხმარებლები, როგორც წესი, ცდილობენ შეიძინონ საქონელი და მომსახურება, რომლებიც მათ მაქსიმალურ სარგებელს სთავაზობს, რითაც ცდილობენ მიიღონ მეტი სიხა-

რული და კმაყოფილება პროდუქტებისა თუ მომსახურების გამოყენებისას ან მოხმარებისას (Samuleson, P.A., Nordhaus, W.D. 2000).

შესყიდვის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული რისკი იზრდება მყიდველის გამოცდილების ნაკლებობასთან ერთად, შეძენის მნიშვნელობა, შესაბამისად პროდუქტის ან მომსახურების შესაძენად დაბანდებული თანხის ოდენობა, პირდაპირ კავშირშია მომხმარებლის გადაწყვეტილებასთან. მნიშვნელოვანია მომხმარებელს ქონდეს წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე. (Catoiu, L. & Teodorescu, N. 2004)

ჩვეულებრივ, რაც უფრო ძვირია პროდუქტი, მით უფრო მაღალია მომხმარებლის მიერ აღქმული რისკის ხარისხი. გარკვეული ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, არსებობს რისკების ხუთი კატეგორია (Solomon, M. 2004):

ფულადი რისკი ეხება შემოსავალს და კეთილდღეობას. ამ ტიპის რისკს უფრო მაღალი ღირებულების პროდუქტები შეიცავენ და შედარებით დაბალშემოსავლიანი მომხმარებლები არიან ყველაზე მეტად მოწყვლადი.

ფუნქციონალური რისკი ეხება იმას თუ რამდენად შეესაბამება პროდუქტის ფუნქციური შესრულება მომხმარებლის საჭიროებებს.

ფიზიკური რისკი ეხება ჯანმრთელობას, ფიზიკურ ძალასა და სიცოცხლისუნარიანობას. ელექტრო პროდუქტები, მანქანები, მედიკამენტები, სამედიცინო მკურნალობა, საკვები და სხვ. შეიცავს ამ სახის რისკს.

სოციალური რისკი გულისხმობს თავდაჯერებულობას და თვითშეფასებას. მომხმარებლები, რომლებიც თავს დაუცველად გრძნობენ, ექვემდებარებიან ამ ტიპის რისკს ისეთი პროდუქტების შეძენისას, როგორიცაა ტანსაცმელი, სამკაულები, სახლები, მანქანები.

ფსიქოლოგიური რისკი მოიცავს კონკრეტულ ჯგუფში გაწევრიანების და გარკვეული სტატუსის მიღების სურვილს. მომხმარებლები, რომლებიც არ არიან აფილირებულნი რომელიმე კონკრეტულ ჯგუფთან, ექვემდებარებიან ამ რისკს ძვირადღირებული საქონლის ან მომსახურების შეძენისას.

კრიზისის დროს კომპანიები ამცირებენ კომუნიკაციასთან და რეკლამირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (Deleersnyder, B. და სხვ. 2009). ამრიგად, კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების დროს მაქსიმალური სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან მოხდეს მომხმარებლების მხრიდან პოზიტიური უკუკავშირის მიღება და მომხმარებლების აღქმაში არსებულ პოტენციურ რისკებთან გამკლავება.

დასკვნა და რეკომენდაციები. მომხმარებლის მიერ დროთა განმავლობაში გამოვლენილი ნებისმიერი ტიპის კრიზისის შედეგად აღქმულმა რისკებმა და მიმდინარე COVID-19 პანდემიის მიერ წარმოქმნილმა რისკებმა უკიდურესად მოკლე პერიოდში გამოიწვია მომხმარებლების დამოკიდებულების და ქცევის ცვლილებები. ცვლილებები აგრეთვე ეხება საქონლისა თუ მომსახურების შეძენას. ყველა სექტორი, მეტ-ნაკლებად, დაზარალდა მიმდინარე მსოფლიო ჯანდაცვის კრიზისით.

მომხმარებელთა მსყიდველთუნარიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ცვლილებები თვალსაჩინო იყო საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესებული შეზღუდვების ფონზეც, როდესაც მომხმარებლებს დაბრკოლებები ხვდებოდათ პროდუქციის შეძენისას.

აგრეთვე მერყეობდა მომხმარებელთა ლოიალობა კონკრეტული ბრენდის მიმართ, რიგ პროდუქტებთან დაკავშირებით როგორც ონლაინ, ასევე პირადად შეძენის დროს გარკვეული ბრენდის პროდუქციის არახელსაყრელობიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 პანდემიის შედეგად მომხმარებლის ქცევაში გამოწვეული ცვლილებები უკვე სახეზეა ცხადია, რომ მომავალშიც საქმე გვექნება მომხმარებელთა ქცევის რადიკალურ ცვლილებებთან და გასათვალისწინებელია, რომ ეს ცვლილებები ხანგრძლივი იქნება. ამრიგად, მნიშვნელოვანია კომუნიკაციის სტრატეგიის შერჩევის დროს

გათვალისწინებული იქნას ცვლილებების არსებობა და მოხდეს მომხმარებლების ინტერესებზე მორგება.

ლიტერატურა

1. Catoiu, L., Teodorescu, N. (2004), Comportamentul consumatorului, Uranus Publishing House, Bucharest.
2. Chaudhuri, A. (2006), Emotion and Reason in Consumer Behaviour, Butterworth
3. Heinemann, London.
4. Courtland, L. Bovee & John, V. Thill (2016). Business in Action (8th ed.). PEARSON
5. Deleersnyder, B., Dekimpe, M. G., Steenkamp, J.-B. E. M., & Leefang, P. S. H. (2009). The role of national culture in advertising's sensitivity to business cycles: An investigation across continents. Journal of Marketing Research, 46(5), 623–636
6. Drakopoulos, S. (2008), The paradox of happiness: towards an alternative explanation Journal of Happiness Studies, Volume 9, No. 2, pp.303-315.
7. Nistorescu, T. , Puiu, S. (2009), Marketing strategies used in crisis - case study, MPRA Paper 17743, University Library of Munich, Germany.
8. Samuleson, P.A., Nordhaus, W.D.,(2000), Ekonomia 2, Bratislava in Valaskova, K., Kliestik, T .,(2015), Behavioural reactions of consumers to economic recession, Verslas: Teorija ir praktika / Business: Theory and Practice, Issn 1648-0627 / elssn 1822-4202.
9. Silagadze A., Atanelishvili T., Silagadze N. (2010). Economic Doctrines. Georgian National Academy of Sciences. Tbilisi. (In Georgian).
10. Solomon, M. (2004), Consumer Behavior Buying, Having and Being, New Jersey Prentice Hall

Tamar Gvenetadze
Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Impact of the Changes Caused by the COVID-19 Pandemic on Consumer Behavior and the Importance of Communication Strategy

SUMMARY

It is a well known fact that consumer behavior is constantly changing and companies need to be able to adapt to innovations and ensure supply according to the demand. The fears and anxieties of the current economic and social crisis caused by the COVID-19 pandemic clearly affect both social behavior in general and buying behavior as well. It is important to find effective ways of informing and communicating with consumers, as it provides customers the latest and highly accurate information that will help them while making decisions. It will be easier for customers to make purchasing decisions if they will be provided with the needed information of an accurate kind. Communication is essential both to satisfy interest in times of risk and uncertainty such as COVID-19, and to unable the decision making process and empower customers to select the best possible alternative.

Factors such as the quality of the information disseminated, the channels of transmission, the reliability of the source, as well as the structure of the perception of information by the recipients should be taken into account during the communication process.

The benefit of the AIDA communication model in times of crisis situations like COVID-19 is important since it helps companies to establish superior communication with the target segment.

Key words: COVID-19 pandemic, consumer behavior, AIDA model, customer communication

ნინო გრიგოლაია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
აღტე უნივერსიტეტი

ცირა მიქატაძე
ეკონომიკის დოქტორი

ფირმა და ციფრული ეკონომიკა

ინოვაციები სულ უფრო მეტად მნიშნელოვანია, როგორც ეკონომიკური კრიზისების დაძლევის, მდგრადი განვითარების და ფირმის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების იარაღი, რომლის საშუალებით საზოგადოება ესწრაფვის მეუნრნეობის მოწყობას ინოვაციური ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი უდავოდ არის ციფრული ეკონომიკა და მასში ფუნქციონირებადი ფირმა.

ნაშრომში განხილულია ეკონომიკის გაციფრულების არსი, მამოძრავებელი ძალები, რისკები, ასევე გაანალიზებულია ჩა კეთდება ამ მიმართულებით საქართველოში, როგორია პრობლემები და მათი გადაჭრის საკითხები.

თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში ჩაისახა და იშვა ახალი ეკონომიკა, რომელსაც სპეციალისტები მოიხსენიებენ როგორც ინოვაციურ ეკონომიკას. მსოფლიო ბანკის მიხედვით „ინოვაცია“ გულისხმობს ახალ ტექნოლოგიებსა და მეთოდებს, რომელთაც საზოგადოებისათვის გარკვეული სარგებლის მოტანა შეუძლიათ (6).

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ შეცვალა სამყარო, შეიქმნა ახალი რეალობა, რომლის შეჩერება შეუძლებელია. ეკონომიკის გაციფრულება (digitaliviation) საყოველთაო გარდაუვალ პროცესად იქცა, რომელიც განსაზღვრავს გლობალურ ბაზრებს, კომპანიების განვითარებას და ქვეყნის წარმატების ორიენტირად მიიჩნევა, იცვლება მომხმარებელთა სურვილები და შესაძლებლობები.

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებულ ეკონომიკას ციფრულ ეკონომიკას უწოდებენ. რომელიც დაკავშირებულია ელექტრონულ ბიზნესთან და ელექტრონულ კომერციასთან, შესაბამისად საქონლის და მომსახურების წარმოებასა და რეალიზაციასთან ციფრული ტექნოლოგიები არამარტო საქმიანობის მძლავრი ინსტრუმენტია, არამედ ახალი შესაძლებლობების წარმომშობი გარემოს შემქმნელია.

2021 წლის ევროკომისიის მონაცემები ყოველდღიურად 315 მლნ. ევროპელი მოიხმარს ინტერნეტს, ევროპის ციფრული ბაზრის 42 % ეროვნულ ონლაინ-სერვისებს უკავია, 54 % კი-აშშ-ში დაფუძნებულ ონლაინ-სერვისებს, ევროკავშირის საზღვართაშორისო (Cvoss-bovrdwc-commerce) ონლაინ სერვისების წილი ამ ბაზრის 4%-ია (2).

ციფრული ეკონომიკა მოიცავს არამარტო ინტერნეტ-ვაჭრობას, არამედ კომპიუტერულ ქლაუდ -სისტემებს, სოციალურ მედიას, მობილურ ვებსერვისებს და სხვა.

ციფრული ეკონომიკის ნაწილი მშპ-ში სისტემატურად მატულობს-ევროკავშირში იგი 5,7%-ია,იაპონიასა და ინდოეთში -5,6%, ჩინეთში 6,9%, აშშ-ში-7%, კორეის რესპუბლიკაში-9%.

ციფრული ეკონომიკის განვითარებამ ზოგიერთ სფეროზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ტურიზმის მსოფლიო საბჭოს ((WTTTC) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად ტურიზმის სექტორი 3,9%-ით გაიზარდა (2).

ციფრული ეკონომიკის განვითარების ბაზისს ქმნის ელექტროინფრასტრუქტურა (ინტერნეტი, პროგრამული უზრუნველყოფა), ელექტრობიზნესი (ელექტრონული ეკონომიკური საქმიანობა) და ელექტრობიზნესი (ინტერნეტით საქონლის დისტრიბუცია), ხოლო მისი მამოძრავებელი ძალებია-ციფრული მონაცემები და ციფრული პლათფორმები(4).

ციფრული მონაცემები სწრაფად იზრდება, ციფრული პლატფორმები, როგორც შუამავლები დიდი მოცულობის მონაცემებზე ხელმისაწვდომლობას ზრდიან და მხარეებს ეკონომიკური ურთიერთობის საშუალებას აძლევენ ონლაინ რეჟიმში, ინფორმაციის ასიმეტრიულობას და ტრანზაქციულ ხარჯებს ამცირებენ.

ციფრული პლატფორმები მრავალგვარია:

- ოპერაციული (მხარეთა შორის ელექტრო ოპერაციებს ახორციელებს) და ინოვაციური (ქმნიან დანართებს და პროგრამულ უზრუნველყოფას) სერვისზე ორიენტირებული;
- პლატფორმები სხვა პლატფორმებისთვის (მაგ.Google ceound peatsovrm);
- რითეილერი (საცალო -სავაჭრო, amazon, ebay);
- მედიატორი (hinhedin);
- ინდუსტრიული პროექტების და მომსახურების (amazon-busines);
- სარეკლამო, ღრუბლოვანი (Amazon veb.servius);
- სამრეწველო პროდუქციის;
- ყაირათიანი (Uver ტაქსების ქსელის უმსხვილესი კომპანია).

კომპანიის კონკურენტენარიანობა უფრო მეტად განისაზღვრება იდეებისა და ინოვაციური ციფრული ტექნოლოგიების ფლობით, დასაქმებულთა ცოდნით და კრეატიული უნარებით, მენეჯერებს მარტივად შეუძლიათ განცხადების განთავსება დასაქმების საიტზე, მნიშვნელოვნად იზრდება ფირმების მიერ შეთავაზებული პროდუქციის (მომსახურების) ნაირგვაროვნებაში სასურველის მიგნების და შეძენის შასაძლებლობები.

ციფრული ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებული იქნას ღირებულების შექმნის ყველა ეტაპზე-წარმოების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ლოჯისტიკის და კლიენტებთან ურთიერთობის პროცესში.

დიდ მნიშვნელობას იძენს ციფრული მარკეტინგი, რომლის უპირატესობები აშკარაა - დაბალი დანახარჯები, განთავსების ფორმების მრალფეროვნება, გაზომვადობა, სისწრაფე. მის განვითარებას ხელი შეუწყო სოციალური ქსელების პოპულარიზაციამ, სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმამ (Facebook, instagram, linfedin, Twitter, yutube) facebook-ზე რეკლამას ბევრი ბიზნესი მომგებიანად თვლის, მისი მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებულობის გამო. საქართველოშიც იყენებენ ციფრულ მარკეტინგს, რაც ქართულ ბიზნესს აძლევს საშუალებას კონტრაქტი იქონიონ მიზნობრივ აუდიტორიასთან და სხვადასხვა სტრატეგიით აიმაღლონ იმიჯი, გახდნენ კონკურენტუნარიანი.

პოპულარულობით სარგებლობს მობილური აპლიკაციები (lisabon map,londonpass, francebillet), ასევე ქართული Expago (მობილური აპლიკაცია მოგზაურობისათვის). ციფრული მარკეტინგის როლი სულ უფრო იზრდება მომხმარებლის სოციალურ მედიაში ჩართულობის და ინტერნეტის მომხმარებლის ზრდის კვალობაზე.

მსოფლიო ბანკს ციფრული ეკონომიკის დადებით მხარეებად მიაჩნია:

- საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა;
- კომპანიების კონკურეტუნარიანობის ამაღლება;
- წარმოების ხარჯების შემცირება;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- სოციალური უთანასწორობის დაძლევა(6).

მეცნიერები თვლიან, რომ გაციფრულების სოციალურ ეკონომიკური შედეგები შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა გავლენებით:

- შემოსავლების დონეებს შორის უთანასწორობაზე (მაღალკვალიფიციური მუშაკები ჩაანაცვლებენ დაბალანაზღაურებად მუშაკებს);

- სიღარიბესა და უმუშევრობაზე (პირდაპირი მიზეზშედეგობრივი კავშირი არაა დადგენილი, მაგრამ მიიჩნევენ სიღარიბის დაძლევის ერთერთ საშუალებად);

- საქონლისა და მომსახურების ფასებზე (ინფლაციურ პროცესებზე გაციფრულება ვლინდება: საქონლის და მომსახურების ფასებზე პირდაპირი გავლენით, რომელიც უკუპროპორციულია);

- კონკურენციით და ბაზრის სტრუქტურის ცვლილებებით (ორმხრივია - მცირე ფირმები ნაკლები დანახარჯებით კონკურენციას ამწვავებენ და ფასს ამცირებენ, დომინირებადი ფირმები კი დიდი შესაძლებლობების გამო ხარჯებს ამცირებენ კონკურენციას იგებენ და ფასებიც იზრდება.

- საგარეო ვაჭრობაზე (მცირდება ბაზარზე შეღწევის ბარიერები და ტრანზაქციული ხარჯები; ციფრული ტექნოლოგიები გლობალური საწარმოო-გასაღების ჯაჭვს ახალი პროდუქტებით ამარაგებენ) (4).

ციფრული ეკონომიკის განვითარების მრავალი სიკეთის მეშვეობით მომხმარებლები დიდ უპირატესობას იღებენ: ფირმებისგან საქონელს მათთვის ხელსაყრელ პირობებსა და დროში იძენენ; სახელმწიფო სერვისებით სარგებლობენ; ჩნდება ახალი პროფესიები.

აღსანიშნავია ის რისკები, რომელიც თან ახლავს ციფრულ ტრანფორმაციას დადებით მხარეებთან ერთად, ესენია:

- ტექნოლოგიური რისკები (დაბალგანვითარებული ქვეყნები სულ უფრო მეტად გახდებიან დამოკიდებული მძლავრ კომპანიებზე, წარმოების ტექნოლოგიური ჯაჭვის არასრულყოფილი გაციფრულების შედეგი შეიძლება უარყოფითი აღმოჩნდეს).

- ეკოლოგიური რისკები (ელექტროენერგიის ხარჯების ზრდა, ბლოკჩეინის ტექნოლოგია-ენერგოხარჯიანია), ტექნიკის ექსპლოატაციის შემდგომი გადამუშავების ეკოლოგიური ზიანი);

- პოლიტიკური რისკები (ძლიერდება მმართველობის დეცენტრალიზაცია და ვერტიკალური რეგულაციები სუსტება);

- სოციალურ-ეკონომიკური რისკები (შემცირდება სამუშაო ადგილები დაბალი და საშუალო კვალიფიკაციის მუშაკთათვის, გაიზრდება უმუშევრობა მოწყვლად ფენებში);

- იზრდება კიბერდამნაშავეთა მოქმედების არეალი (1).

Covid-19 პანდემიამ დაამუხრუჭა რა ეკონომიკის ფუნქციონირება და საზოგადოებრივი ცხოვრება, ადამიანები სამუშაოს გარეშე დატოვა, გაიზარდა ციფრული ტექნოლოგიების მასშტაბები, წარმოიშვა ახალი გამოწვევები. მაგალითად, დაზარალებული ტურიზმის სექტორის რეაბილიტაციის ყველაზე ეფექტიანი გზა ციფრულ სამყაროსთან ინტეგრაცია აღმოჩნდა. შეიქმნა Onlain Travel Agency(OTA) პლატფორმა, სადაც მომხმარებელს - მოგზაურობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სერვისის დაჯავშნა და შეძენა შეუძლია ინტერნეტით. ბაზარზე არსებულმა მოთხოვნამ პირდაპირ შეუწყო ხელი OTA-ს შექმნას და მალევე გახდა პოპულარული და შუამავალი სასტუმროებს და მომხმარებელს შორის, პანდემიით გამოწვეული პრობლემების დაძლევაში კინო ინდუსტრიისთვისაც დიდი დახმარება აღმოჩნდა ასპარეზზე გამოსული ე.წ. Svod (Subscvviption video on demend) კომპანიები, როგორიცაა ნეტფლიქსი, ჰულუ, ამაზონი)

ბოლო ათი წელია ქვეყანაში არსებული ინოვაციების დონე გლობალური ინდექსით იზომება (Gii), რომლის მიხედვით საქართველოს მდგომარეობა ბოლო წლებში უმჯობესდება, მაგრამ ზემოთ აღნიშული კომპონენტების მიხედვით 127 ქვეყანას შორის 10 ადგილზეა (მიუხედავად იმისა, რომ Gii -ის მიხედვით რეგიონის მასშტაბით პირველ ადგილს იკავებს).

საქართველო, როგორც ევროკავშირის ასოცირებული ქვეყანა ჩართულია ციფრული ბაზრების ჰარმონიზების პროექტში, ახორციელებს ამ პროექტის პრიორიტეტულად განსაზღვრულ სფეროებში ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჩვენს დაახლოებას და გარკვეული მიღწევებიც აქვს ამ მიმართებით.

2020 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია მომზადდა ევროკავშირის ციფრილი ბაზრების პროექტის HDM (EUYDIgital)-ის ფარგლებში მსოფლიო ბანკის დახმარებით. სტრატეგიის მიზანია ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის განვითარების მიზნით ევროკავშირის და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი პოლიტიკის გატარება.

აღსანიშნავია, ციფრული ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. 2021 წლის მონაცემებით დარეგისტრირებულია 847 ათასზე მეტი საწარმო, მაგრამ საქსტატის კვლევის მიხედვით (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში) ის საწარმოები, რომლებიც იყენებენ ვებ-გვერდს განისაზღვრა-13,4%-ით, რაც აშკარად მცირე მაჩვენებელია. ამასთან საწარმოები იყენებენ სოციალური მედიის ისეთ სახეებს, როგორიცაა (Facebook,Linfedin,) 31,1%, ხოლო 67,9% საერთოდ არ იყენებს სოციალური მედიის საშუალებებს.

ჩვენს ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია მაღალკვალიფიციური კადრები. მაგ. დიდი ბრიტანეთში -სპეციალისტების რაოდენობა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 4%-ს შეადგენს, აშშ-ში -24%-ს, ამ მიმართულებითაც მნიშნელოვანი ჩამორჩენა გვაქვს ამიტომ აუცილებელია კადრების მომზადება და მათი რაოდენობის გაზრდა.

ციფრული ეკონომიკის განვითარებით მიღწევა:

- შრომის ნაყოფიერების ამაღლება და ეკონომიკურიზრდა;
- ვაჭრობის მასშტაბების გაფართოება;
- კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის გადიდება;
- მომსახურების ხარისხის ამაღლება.

საქართველოს როგორც პატარა ქვეყანას გაცილებით მეტი ძალისხმევა ესაჭიროება რომ ფეხი აუწყოს თანამედროვე ცვლილებებს და გლობალიზაციის ტალღამ არ შთანთქას არსებული პოტენციალი, არამედ გამოიყენოს არსებული გამოწვევები და განვითარდეს როგორც „აზიური ვეფხვები“, ამისათვის კი აუცილებელია ცოდნის ამაღლება, ინფრასტრუქტურის გამართვა, მეტი აქტოვობები ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების გაზრდისათვის, ფირმების მიერ ინფორმაციის გამოყენება და ცოდნაზე დაყრდნობით ფასეულობების შექმნა, რომ გადარჩნენ კონკურენტულ ბრძოლაში.

ლიტერატურა

1. ჯოლია გ., განათლება და დასაქმება ციფრულ „გარემოში“, თბ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2021 წ.
2. ფირმის ეკონომიკა. რიდერი. პირველი ელექტრონული გამოცემა შემდგენლები ნინო ლობჟანიძე, ეთერ გიგაური, ალექსანდრე შარაშენიძე, თბ. 2021 წ.
3. ენუქიძე ნ., ბატიაშვილი მ., ციფრული ეკონომიკა, კრიზისიდან გამოსვლის ინოვაციური გზა ელ. რესურსი.
4. http ,,forbes-ge/neus/1007/cifruli ekonomika %3A-krizisidan gamosvlis inovaciuri gza
5. Word unversmentment report 2017. Unversntment and thi digital ekonomu. UNCTAD.
6. економика в зпоху цифровои тгансформациию сворник тезисов выстурлений М М Г У, 2019
7. Wordbank.ovg /bistream/handle/ 1086/23347/21 067/Rusum.pdf.
8. Абрскин А.С ., (2019) економическое развитие в цифровую епоху М издателскйй дом Дело, 2019
9. Игиатова И., Ю образовани в цифровую ероху РФУ, 2019

Nino Grigolaia
Doctor of Economics, Professor
Alte University

Tsira Mikatadze
Doctor of Economics

The Firm and the Digital Economy

SUMMARY

Innovation is increasingly important as a tool for overcoming economic crises, sustainable development and maintaining the viability of the firm through which society strives to organize its economy. One of the main components of the innovative economy is undoubtedly the digital economy and the firm operating in it.

The article discusses the essence of digitization of the economy, driving forces and diverse risks. The article also analyzes what is being done in this direction in Georgia, what kind of problems exist and what are the ways to solve them.

ამბროსი გრიშიკაშვილი
ეკონომიკის დოქტორი

ლია პიტიურიშვილი
ეკონომიკის დოქტორი
სეუ პროფესორი

ნელი სესაძე
ეკონომიკის დოქტორი
სეუ პროფესორი

COVID-19 პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე

COVID-19-ის პანდემიამ უდიდესი გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო პოლიტიკაზე. გლობალური და ეროვნული ეკონომიკა, სოციალური სფერო და კულტურაც პანდემიური პროცესების ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა. პანდემიის გლობალურმა ზემოქმედებამ განაპირობა თანამედროვე სამყაროს განვითარების პერსპექტივების გადაფასება. პანდემიამ ყველაზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა განვითარებად ეკონომიკებზე. განვითარებულმა ქვეყნების მიერ გაწეულმა დახმარებამ მათ საშუალება მისცა შეემცირებინათ პანდემიის ნეგატიური გავლენა. თუმცა, გლობალური ეკონომიკის აღდგენის პროცესი კვლავ არათანაბრად მიმდინარეობს.

საკვანძო სიტყვები: *COVID-19, მსოფლიო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო ეკონომიკა.*

ბუნებრივი კატაკლიზმები, განსაკუთრებით ეპიდემიები ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებაზე, ეკონომიკაზე და ლაკმუსის ქაღალდივით ავლენენ იმ მანკიერებებს, რომლითაც ის მანამდეც ხასიათდებოდა, მაგრამ მას ფარული ხასიათი ჰქონდა.

ამ პროცესმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა აქსიომა, რომ 21 საუკუნეშიც კი კაცობრიობისათვის უმთავრეს ღირებულებად უსაფრთხოება იქცა და მისი გულისათვის კაცობრიობა არც კი დაფიქრდება, ისე გაწირავს ცივილიზაციის სხვა მრავალ ღირებულებასა და სიკეთეს.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო წარმოება გლობალურად ვითარდებოდა. შედეგად უფრო ინტენსიური ხდებოდა სახელმწიფოებს შორის ურთიერთკავშირი. ეროვნული მეურნეობები გლობალური ეკონომიკის მონაწილეებად იქცნენ. მსოფლიოში თითქმის აღარ დარჩა ქვეყანა, რომელიც იზოლირებულად, ამ პროცესების მიღმა დარჩენილიყო.

იმავდროულად, არსებობდა სახელმწიფოთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც ბუნებრივ სიმდიდრეების უზარმაზარ რაოდენობას ფლობდა (მაგალითად, რუსეთი და ა.შ.), მაშინ, როდესაც ბევრ სხვა სახელმწიფოს ის არ გააჩნდა (მაგალითად, იაპონია და სხვ.). მსოფლიო ეკონომიკის შედარებით თანაბარი განვითარება მოითხოვდა ამ მხრივ ყველა ქვეყნისა თუ ხალხის მდგომარეობის მეტ-ნაკლებად გამოთანაბრებას.

ამიტომ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მოგონებული იქნა კორონა ვირუსი.

მაინც რა შეიძლება ყოფილიყო მისი მოგონების უმთავრესი მიზეზები?

აი, მაგალითად, მსოფლიოში წელიწადში დაახლოებით 600-650 ათასი ბავშვი შიმშილისაგან იღუპება. მოსახლეობის დიდი ნაწილი ეწირება დაავადებებს. ეს ბევრით განსხვავდება პანდემიისაგან?!

მსოფლიო ბანკმა (მბ) ჯერ კიდევ 2000 წელს შექმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელთაც უნდა გამოეკვლიათ პანდემიის შესაძლებლობა და მსოფლიო ლიდერებისათვის მიეცათ რეკომენდაცია, თუ რა უნდა გაეკეთებინათ მასთან გასამკლავებლად. მას შემდეგ მბ ყოველ წელს ამზადებს მოხსენებებს, გაფრთხილებით, რომ ეპიდემიის საშიშროება იზრდება, ხოლო მრავალი ქვეყანა ამისათვის მზად არ არის.

ექსპერტთა დასკვნები იმას ემყარება, რომ თუმცა ბოლო ხანებში მედიცინა ძალზე მაღალ დონეზე ავიდა, მაგრამ ის მაინც ჩამორჩებოდა ისეთ გლობალურ მოვლენებს, როგორიცაა ავიატრანსპორტის განვითარება, საერთაშორისო ტურიზმისა და ვაჭრობის წინსვლა.

გარდა ამისა, თანამედროვე ტექნოლოგიებს შეუძლიათ ისეთი საშიში მიკროორგანიზმების შექმნა, რომელთაც ხელეწიფებათ ადამიანის დასნებოვნება. ანუ ადგილი ექნება ადამიანის მიერ მეორე ადამიანის დაავადებას. და მხოლოდ მცირე რიცხვს ქვეყნებისას აქვთ ამ მომაკვდინებელი ინფექციისაგან თავდაცვის საშუალება.

განვითარებული ქვეყნები სწრაფად გარდაქმნიან თავიანთ ქვეყნის ეკონომიკას, გაზრდიან მის რობოტიზაციას. შედეგად კიდევ უფრო დაირღვევა ბალანსი ქვეყნებს შორის, გაფართოვდება მათ ეკონომიკებს შორის არსებული დისბალანსი. კიდევ უფრო გაჩანაგდება სუსტი ქვეყნის ეკონომიკა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, რადიკალური ცვლილებები განსაკუთრებით შეეხო სამედიცინო დარგს. ამიტომ ურჩევდნენ ტრამპის მრჩევლები მოკავშირეებს სამედიცინო სახის წარმოების ქვეყანაში დაბრუნებას.

ამის გამო გერმანიას ეშინოდა, რომ ტრამპის ადმინისტრაციაც მიმართავდა ამ მეთოდს და ტრანსნაციონალური კომპანიების კუთვნილი გერმანული კომპანიების მიერ შემუშავებულ ვაქცინას სრულად შეისყიდიდა. ამიტომ შეიმუშავა გერმანიამ ამის საწინააღმდეგო ღონისძიებები. ამერიკულ კომპანიებს სამედიცინო მოწყობილობების აშშ წაღება აუკრძალა ასევე ჩინეთმაც, როდესაც მათ წარმოება ამერიკაში გადაიტანეს.

პანდემიამ გამოავლინა მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის სისტემების ნაკლოვანი მხარეები. ცხადია, ყოველივე ეს გლობალურ ცვლილებებს, რყევებს გამოიწვევს მსოფლიო პოლიტიკაში. როდესაც საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა დადგა საფრთხის წინაშე, მთავრობებმა აღვირი ამოსდეს საკუთარ ეკონომიკებს, თუნდაც ამას მათ მეზობელ ქვეყნებში, პარტნიორებისათვის, ზოგადად მსოფლიო ეკონომიკისათვის სერიოზული სირთულეები შეექმნა.

ასეთ პირობებში მხოლოდ ის ქვეყნები შეძლებენ შეინარჩუნონ თავისი პოზიცია და გადარჩნენ, რომელთაც საკმარისი ეკონომიკური სიძლიერე გააჩნია. მაგრამ განა რამდენია მსოფლიოში ასეთი ქვეყანა?!

შექმნილ ვითარებაში მსოფლიოში სხვა პრობლემას წარმოადგენს საზოგადოებაში დიდი ქონებრივი უთანასწორობა. საზოგადოების ძალზე მცირე ნაწილისათვის, რომელთაც აქვთ საკმარისი მატერიალური მარაგები ან შეუძლიათ მისი დაგროვება, ცხოვრობენ ფეშენებელურ სახლებში და შეუძლიათ დისტანციური მუშაობა, პანდემია მათ დიდ პრობლემას ვერ შეუქმნის. სამაგიეროდ დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდება საზოგადოების მეორე, უდიდესი ნაწილი. შედეგად, სახელმწიფოები და ხალხები, რომელთაც აქვთ კარგი სასტარტო პოზიცია ამ მიმართულებით, გაუძლებენ ამ გამოწვევას;

შექმნილ პირობებში უდიდეს როლს თამაშობს ტელემედიცინა, ისევე, როგორც აფთიაქები, რომელთაც შეუძლიათ პაციენტს სახლში მიუტანონ წამალი. ბევრ ქვეყანაში რობოტები აწვდიან პაციენტებს საკვებსა და მედიკამენტებს პალატაში, უზომავენ ტემპერატურას.

პანდემიამ ცხადყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - საზოგადოება მეტი ნდობით აღივსო სახელმწიფო ორგანოების მიმართ, რადგან ასეთი განუჭვრეტელი ვითარება ხალხში ნდობას მხოლოდ ოფიციალური მონაცემების მიმართ აღძრავს.

კაცობრიობის განვითარების ამჟამინდელი ეტაპის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიების სრულყოფა და ტოტალური კონტროლის დამყარება პლანეტის მოსახლეობაზე. ტელეფონისა და ხელოვნური ინტელექტის წყალობით ხელისუფლებას შეუძლია აკონტროლოს ხალხის მოძრაობა და დასნეულებულ ადამიანთან კონტაქტის შესაძლებლობა.

ასევე შემუშავებულია პიროვნების განმსაზღვრელი სისტემა სახის დასკანერების მეოხებით, თუნდაც რომ მას ნიღაბი ეკეთოს. სატელეფონო და სოციალური ქსელების ოპერატო-

რები ხელისუფლებას გადასცემენ ინფორმაციას დასნებოვნებული ადამიანის შესახებ, აცნობებენ მისი გადაადგილების მარშრუტს. პანდემია ამ ტექნოლოგიების გამოსაცდელი ველი გახდა.

ამრიგად, მსოფლიო ოპერაცია „პანდემიამ“ კაცობრიობა დაახლოვა და ხელი შეუწყო მის გადასვლას ელექტრონულ დემოკრატიაზე, უსაფრთხო გამჭვირვალე არჩევნების ჩათვლით. თანამედროვე ტექნოლოგია უკვე საშუალებას იძლევა ადამიანი ყოელდღიური კონტროლის ქვეშ მოექცეს. დანიაში მიღებულია კანონი, რომელიც ხალხის „ჩიპირების“ შესაძლებლობას იძლევა. ჩიპი კანის ქვეშ შეჰყავთ.

ყოველივე ამის შედეგად, პიროვნება (სახელმწიფო), რომელსაც აქვს ჩვენი პერსონალური ინფორმაციის მიღების ბერკეტები, შეუძლია განსაზღვროს ჩვენი რეაქციაც პოლიტიკაზე, რეკლამაზე, შედეგად მართოს ჩვენი ემოცია და სრულად გვაკონტროლოს.

როგორც ჩანს, კაცობრიობის წინაშე დადგა დილემა: მან უნდა აირჩიოს ან კონფინდენციალობა, ან ჯანმრთელობა. მათ შორის ძალზე მყიფე ზოლია. სამხ. კორეის, სინგაპურისა და ტაივანის მაგალითზე ჩვენ ვხედავთ საზოგადოების საკმაოდ მყარ კავშირს საინფორმაციო ტექნოლოგიების სახელმწიფოსთან.

კაცობრიობის წინაშე მდგარი მეორე ამოცანაა განისაზღროს, რა უფრო ხელსაყრელია მისთვის - გაერთიანება, კონსოლიდაცია და პრობლემებთან ერთად ბრძოლა თუ განცალკევება, პრობლემებთან მარტო დარჩენა. ჯერჯერობით ისე ჩანს, თითქოს ქვეყნები იზოლაციის გზა ირჩევენ. პანდემიამ ეს პროცესი დააჩქარა. მაგალითად, კორონას გამოჩენის პირველ ეტაპზე ჩინელებმა და სხვა აზიური წარმოშობის ხალხმა, ეს განსაკუთრებით იგრძნეს. მათ მიმართ დანარჩენ ხალხებს ერთგვარი მიუღებლობის გრძნობა გაუჩნდათ. მაგრამ როგორც კი პანდემიამ ევროპასა და ამერიკაში გადაინაცვლა, ახლა ევროპელები და ამერიკელები გახდნენ მიუღებლები დანარჩენ კონტინენტებზე. მაგალითად, ჩინეთში მოითხოვეს საზღვრების დაკეტვა ამერიკელებისა და ევროპელებისათვის.

ყველა ქვეყანა ჩაება ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მოსაპოვებელ ბრძოლაში; ეს ეროვნული უსაფრთხოების საკითხი გახდა. ქვეყანა, რომელსაც ეს ვაქცინა ჰქონდა, შეეძლო მისი გამოყენება სხვა ქვეყნებზე ზემოქმედების მოსახდენად, ან, კიდევ უფრო უარესი, მისი ასიმილიზაციისათვის.

სახელმწიფოები გადავიდნენ დეკლარირებული გლობალიზაციისა და მსოფლიო მასშტაბის სოლიდარობიდან თავისი ქვეყნის პრიორიტეტული ინტერესების გატარებაზე. ყოველივე ამან კი ძალზე უარყოფითად იმოქმედა მსოფლიო წესრიგზე.

ამან ათქმევინა სერბიის პრეზიდენტ ალექსანდრე ვუჩიჩს: „ახლა არა მსურს პოლიტიკური დასკვნების გაკეთება, მაგრამ ჩვენ კარგად დავინახეთ, რომ არ არსებობს საერთაშორისო და ევროპული სოლიდარობა, ეს ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზე გადატანილი ზღაპრები იყო“.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამ მართვადი კრიზისის (იგულისხმება ძირითადად კორონავირუსი) ავტორებმა მიზნად დაისახეს მისი საშუალებით ეკონომიკაში, ეკოლოგიაში და სხვა სფეროებში მრავალი დაგროვილი პრობლემის გადაწყვეტა. ასევე ისეთი გრანდიოზული ამოცანის გადაწყვეტა, როგორიცაა „ბუნებრივი შერჩევა“.

ასეთ პირობებში კაცობრიობას დარჩენია ორი არჩევანი:

- მან არჩევანი უნდა გააკეთოს ტოტალურ კონტროლსა და თავისუფლებას შორის;
- გააკეთოს არჩევანი ნაციონალიზმსა და დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხის თანაბარუფლებიანობას შორის.

ცხადია, ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, თუ სამეურნეო თვალსაზრისით ვინ იზარალა და ვინ იხეირა პანდემიის შედეგად, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, ყველაზე მეტი სარგებელი ალბათ, ჩინეთმა ნახა. ჩინელების სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა კრიზისის პერიოდში შეიძლება გამოითქვას ჩინელი აკადემიკოსის ხან ჟიანის სიტყვებით: „ჩვენ შეგვიძლია ეს კრიზისი

შესაძლებლობად გადავაქციოთ - ჩვენ შეგვიძლია გავზარდოთ დამოკიდებულება და მივიღოთ ნდობა მსოფლიოს ქვეყნებისა ბრენდი - „დამზადებულია ჩინეთში“ მიმართ“.

თანამედროვეობა ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ახალი მსოფლიო წესრიგის შემდგომი ეტაპი. კორონავირუსმა შეცვალა მსოფლიო პოლიტიკის არსებული პრიორიტეტები. მაგალითად, ევროკავშირი გეგმავს ახალი კანონების პაკეტის მიღებას, რომლის ძალითაც კავშირის ქვეყნების ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორები დაცული იქნება უცხოური ინვესტიციებისაგან.

მეცნიერთა აზრით, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგი ძალზე დიდი იქნება. ამას კიდევ უფრო ზრდის კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები. პანიკა ძირს დასცემს საერთაშორისო ვაჭრობას და გააღრმავებს ეკონომიკურ კრიზისს. მსოფლიოსათვის პანდემიით მიყენებული ზარალის გამოთვლა ძალზე ძნელი იქნება. თუმცა ზოგიერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მოშველიებით გარკვეული დასკვნის გაკეთება შეგვიძლია.

მაგალითად, თუ 2008 წელს დიდი ოცეულის დავალიანება მთლიანი მშპ-ს 200% შეადგენდა, წელს ეს მაჩვენებელი 2-ჯერ და მეტადაა გაზრდილი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიო თითქმის კატასტროფის პირას დგას. ამის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, ყველა ქვეყანა თავის პრობლემების გადაჭრით დაკავდება და იზოლაციონიზმის პოლიტიკა კიდევ უფრო გაღრმავდება. სოციალური კოლაპსისა და ეკონომიკური ზარალის გათვალისწინებით გაძლიერდება ნაციონალიზმი და დიდი ქვეყნების ურთიერთდაპირისპირება.

ასეთი ღრმა კრიზისის კიდევ ერთი შედეგი ის იქნება, რომ დიდი ფინანსური დანაკარგის მქონე კომპანიებს გაუჩნდებათ ძველი მსოფლიო ეკონომიკის მოდელისადმი უნდობლობა. ეს კი გამოიწვევს მსოფლიო კაპიტალიზმის ახალ ეტაპზე გადასვლას, რომლის პირობებშიც მიწოდების სუბიექტები „სახლთან“ ახლოს იქნებიან. მათი აზრით, ეს უფრო სტაბილურს გახდის ნედლეულითა და მასალებით მათ მომარაგებას. ეს სისტემა მართალია შემოსავლებს შეამცირებს, მაგრამ, სამაგიეროდ, სისტემას მყარს გახდის. მრავალი წლის განმავლობაში სახელმწიფოების უმრავლესობა „თავის თავში ჩაიკეტება“ და საკუთარი პრობლემებით დაკავდება, თვითკმარ სახელმწიფოდ გადაქცევას შეეცდება.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, კოვიდ 19 დააჩქარებს სამეურნეო აქტიურობის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადასვლას, შეცვლის ასევე უკვე დაწყებულ ამერიკაცენტრისტულ გლობალიზაციას და ალბათ, ახლა ჩინურცენტრისტულს გლობალიზაციას მივიღებთ.

ასევე მოსალოდნელია, რომ გახშირდეს კონფლიქტები მეზობელ ქვეყნებს შორის, დაიკეტოს საზღვრები, გაძლიერდეს პროტექციონისტური პოლიტიკა.

ბევრი ქვეყანა ვერ შეძლებს პანდემიის შედეგების აღმოფხვრას, განსაკუთრებით ეკონომიკაში და შესაძლებელია კოლაფსის მდგომარეობაში აღმოჩნდეს. რაც უფრო გაგრძელდება კრიზისი და რაც უფრო დიდხანს გასტანს ადამიანების, განსაკუთრებით, სამუშაო ძალის, საქონლისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, მით უფრო გაძლიერდება სახელმწიფოს პროტექციონისტური პოლიტიკა.

როგორც ბრუკინგსკის ინსტიტუტის პრეზიდენტი აცხადებს: „როგორც ამას ყოველთვის ჰქონდა ადგილი, ისტორიას კორონავირუსის „გამარჯვებულები“ დაწერენ. ყოველი ქვეყანა და საზოგადოების ყოველი წევრი შეეჯახება ამ კრიზისის შედეგებს. ამიტომ ის ქვეყნები, რომლებიც პანდემიას შედარებით ადვილად გადაიტანენ, გამოაცხადებენ თავიანთ „გამარჯვებას“ იმ ქვეყნებზე, რომელთათვისაც პანდემიის შედეგები განსაკუთრებით დამანგრეველი აღმოჩნდა. ბევრი ქვეყნისთვის ეს იქნება დემოკრატიის უდიდესი ტრიუმფი, სხვებისთვის კი ავტორიტეტული მმართველობის „ღირსების“ დემონსტრაცია“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პანდემია გააძლიერებს ეროვნული სახელმწიფოების ტოტალურ კონტროლს მოსახლეობაზე და ნაციონალისტურ განწყობებს, სახელმწი-

ფო ასევე გააქტიურებს თავის კონტროლსა და ჩარევას ეკონომიკასა და საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში. ეს კი „დააპატარავებს“ და გააღარიბებს მსოფლიოს, ეს უკანასკნელი გახდება უფრო აგრესიული, დაიწყება სეპარატისტული მოძრაობები, ეროვნული და სამოქალაქო კონფლიქტები.

ლიტერატურა

1. პაპავა ვ. კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html
2. World Economic Situation Prospects United Nations New York, 2021
3. https://www.un.org/development/desa/dpad/wpcontent/uploads/sites/45/WESP2021_FullReport.pdf
4. TRADE AND DEVELOPMENT REPORT 2020. FROM GLOBAL PANDEMIC TO PROSPERITY FOR ALL: AVOIDING ANOTHER LOST DECADE. UNITED NATIONS CONFERENCE ON TRADE AND DEVELOPMENT
5. https://unctad.org/system/files/official-document/tdr2020_en.pdf
6. Sergey S. Zhiltsov, COVID-19 Pandemic: Global Reset of Political and Economic Fostering(In Russ.).
7. file:///C:/Users/user/Downloads/319-548-1-SM.pd
8. https://cyberleninka.ru/article/n/vliyanie-pandemii-koronavirusa-covid-19-na-mirovuyu-ekonomiku/viewer
9. Stiglitz JE, Shiller JR, Gopinath G, Reinhart MC, Posen A, Prasad E, Tooze A, D'Andrea TL and Mahbubani K (2020) How the economy will look after the coronavirus pandemic. Foreign Policy (online, 15 April 2020) How the Economy Will Look After the Coronavirus Pandemic (foreignpolicy.com)
10. კოვიდ 19 პანდემია მისი გავლენა საქართველოსა და მსოფლიოზე
11. https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/eprc-gmf-geozs-1.pdf

Ambrosi Grishikashvili
Doctor of Economics

Lia pitiurishvili
Professor
Georgian National University SEU

Neli Sesadze
Professor
Georgian National University SEU

The Impact of the COVID-19 Pandemic on the World Economy

SUMMARY

The COVID-19 pandemic has had a profound impact on international relations and world politics. The global and national economies, social sphere and culture were influenced by the pandemic. The global pandemic impact has led to a reassessment of the future development of the modern world. The COVID-19 pandemic has adversely affected the development of the global economy, which faced various challenges. Developing economies were most stricken by the pandemic. In turn, the industrialized states were able to channel significant aid, which allowed them to smooth the negative impact of the pandemic. However, the global economic recovery has been uneven as a cosequence of political decisions, states' economic capacities in certain regions.

Keywords: COVID-19, international politics, international relations, global economy.

გულნაზ ერქომაიშვილი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შრომის უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

ნაშრომში განხილულია საქართველოში შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული მდგომარეობა. აღნიშნულია, რომ ეთდგით უმნიშვნელოვანეს გამოწვევას სწორედ დასაქმების ადგილებზე შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში შრომის უსაფრთხოების საკითხი ადამიანების სიცოცხლეს ეხება. სწორედ ამიტომ, ამ მიმართულებას დიდ ყურადღებას უნდა უთმობდნენ როგორც დასაქმებულები, ისე დამსაქმებლები. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოებსა და ოფისებში მომხდარ შემთხვევებზე პასუხისმგებლობა დაქირავებულებსაც ეკისრებათ, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაში გადამწყვეტ როლს მაინც კომპანია თამაშობს. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი კი, მისი საყოველთაოდ აღიარებული ფუნქციების მნიშვნელობიდან და მასზე დაკისრებული ამოცანების ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომითი უფლებების დაცვისა თუ შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კანონმდებლობასთან შესაბამისობის გარანტირების პროცესში.

კვლევის მიზანია, საქართველოში არსებული შრომის უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება და მისი ეფექტიანი განხორციელების გზების ძიება.

შრომის უსაფრთხოების სფეროში გამოვლენილი გამოწვევებისა და საზღვარგარეთული გამოცდილების საფუძველზე შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *შრომის უსაფრთხოება, შრომის უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკა, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის განმახორციელებელი ინსტიტუტები.*

მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ, პოლიტიკურ, ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ ცვლილებებთან ერთად ვითარდება შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა. ნებისმიერ ადამიანს უნდა შეეძლოს შრომა ღირსეულ და უსაფრთხო პირობებში. შრომის უსაფრთხოება ქმნის ნორმალურ სამუშაო პირობებს და აყალიბებს ორგანიზაციულ კულტურას, რომლისთვისაც უსაფრთხო შრომის გარემო და პირობები პრიორიტეტულია.

ჯერ კიდევ 1919 წელს, ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმომწერმა ქვეყნებმა (29 ქვეყანა) ნათლად დაინახეს შრომის მძიმე პირობები, რომლებსაც მსოფლიო შესაძლოა დიდ მღელვარებამდე მიეყვანა. ამ ტენდენციის თავიდან ასაცილებლად დააფუძნეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც შეიმუშავა შრომის ნორმათა სისტემა. მისი მიზანი იყო ეკონომიკური პროგრესი განუყრელად ყოფილიყო დაკავშირებული ყველა ადამიანისთვის სოციალურ სამართლიანობასთან. ორგანიზაციის მიერ მიღებული პირველი კონვენციები ეხებოდა ისეთ პრობლემურ საკითხებს, როგორიცაა სამუშაო საათები, ქალთა სამუშაო პირობები და ბავშვთა შრომა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აგრძელებს სტანდარტების დადგენას და აკონტროლებს წევრი ქვეყნების მიერ მათი შესრულების პროცესს. მას კვლავ განმსაზღვრელი ადგილი უკავია შრომის საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებაში [Alcock A, 1971].

შრომის უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას საინტერესოა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, კერძოდ, ლატვიის მაგალითის განხილვა, რამდენადაც იგი მეტ-ნაკლებად მსგავსი პოლიტიკური და დემოგრაფიული კულტურის მქონე ქვეყანაა.

შრომის უსაფრთხოების სისტემა ლატვიაში ბოლო წლების განმავლობაში დიდი გარდაქმნების პირობებში ყალიბდებოდა [ოვსიანიკოვა, არაბიძე, 2019]. შემუშავდა ფუნდამენტურად განსხვავებული კანონმდებლობა, მოხდა ახალი მოთხოვნების იმპლემენტირება ეროვ-

ნულ კანონმდებლობაში, გამოყენებულ იქნა პროფესიული განათლებისა და სწავლების თანამედროვე პრინციპები და სხვ. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ცვლილებამ გამოიწვია საწარმო/დაწესებულებების დონეზე შიდა უსაფრთხოების სისტემების ცვლილების აუცილებლობა და მისი თანამედროვე სტანდარტებზე მორგება. სწორედ ამ პერიოდში ვითარდება პრევენციული მიდგომა, რომელიც ეფუძნება საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასების პრინციპებს. ლატვიაში ახალი კანონმდებლობის შემუშავება და მიღება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ბიზნესისთვის. შრომის უსაფრთხოება არ წარმოადგენდა ადვილად ადაპტირებად სიახლეს კომპანიებისათვის და მისი მიღებისთვის 10-15 წლიანი შუალედიც კი გახდა საჭირო. შრომის უსაფრთოებისათვის ლატვიაში გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები: შემუშავდა ნორმატიული აქტები შრომის უსაფრთოხების დაცვის მიზნით; შესაძლებლობის ფარგლებში ამაღლდა დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერება შრომის უსაფრთხოების საკითხებში; ყველა შესაბამისი სამთავრობო უწყება ჩაერთო ევროკავშირის მოთხოვნების ჰარმონიზაციის პროცესში; დასაქმებულებს გაეწიათ კონსულტირება და საჯარო ინფორმაციის გავრცელებით უზრუნველყოფილ იქნა შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის აღიარება იმისათვის, რომ მიეღწიათ ბიზნესთან თანამშრომლობა შრომის უსაფრთხოების სფეროში. ლატვიის მთავრობამ ჩამოაყალიბა საკონსულტაციო საბჭო, რომლის მთავარ მიზნად განისაზღვრა შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება.

დღეს საქართველოშიც ერთდერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას დასაქმების ადგილებზე შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ყოველ წელს მზარდია საწარმოო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რიცხვი. 2011-2018 წლებში სამუშაო ადგილებზე გარდაიცვალა 376, ხოლო დაშავდა 1081 დასაქმებული. 2021 წელს გარდაიცვალა 10 და დაშავდა 11 ადამიანი[www.moh.gov.ge/ka]. ვერ მოიძებნა 2020-2022 წლების მონაცემები, რამდენადაც ამ პერიოდში აღინიშნებოდა პანდემია და საწარმოთა დიდი ნაწილი დახურული იყო.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ამ მიმართულებით ვერ უზრუნველყოფს უბედური შემთხვევების სრულყოფილი აღრიცხვის წარმოებას. წარმოდგენილი სტატისტიკა ეფუძნება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს და შესაბამისად, მოიცავს მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომელზეც გამოძიება დაიწყო. აქედან გამომდინარე, მასში არ ხვდება უამრავი საწარმოო შემთხვევა, რომელიც არ გახმაურდა და სამუშაო ადგილებს არ გასცდა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის გარკვეული გარიგებების თუ სხვადასხვა მიზეზებიდან (დაშინება, შანტაჟი) გამომდინარე, რის გამოც დასაქმებულებმა დუმილი არჩიეს. ამას გარდა, აღნიშნულ სტატისტიკაში არ ფიგურირებს პროფესიული დაავადებების შედეგად დაშავებული და გარდაცვლილი დასაქმებულები და ასევე ისინი, რომელთა გარდაცვალებაც საწარმოო ტრავმ(ებ)ის შედეგად არა მყისიერად, არამედ მოგვიანებით დადგა.

2006 წლიდან ქვეყანაში ფაქტობრივად გაუქმდა შრომის კანონმდებლობა და მოიშალა შრომის ბაზრის მარეგულირებელი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, მათ შორის გაუქმდა შრომის ინსპექცია. შრომის ინსპექციის გაუქმების ერთდერთ მიზეზად მისი კორუფციული ბუნება დასახელდა, თუმცა სახელმწიფოს მის რეფორმირებაზე ან სხვა უფრო ეფექტური, ალტერნატიული მექანიზმით ჩანაცვლებაზე წლების მანძილზე არ უზრუნია.

შრომის უსაფრთხოების საკითხებს არ შეხებია არც შრომის კოდექსში 2013 წელს შესული ცვლილებები და დამატებები.

2015 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომლის ძირითადი მისიაა საქართველოში სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა,

დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები და მიმართულებებია:

ა) კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემოწმების მიზნით;

ბ) სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის მიზნით. დისკრიმინაციული შემთხვევებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლა, აღრიცხვა და რეკომენდაციების შემუშავება;

გ) ზედამხედველობის განხორციელება შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის მიზნით;

დ) დეპარტამენტის დასახული მიზნის მისაღწევად შრომის კანონდებლობისა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა;

ე) საქართველოს კანონდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქალაქეთა განცხადებების, წერილების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გახშირებულმა უბედურმა შემთხვევებმა ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა შრომის უსაფრთხოების ახალი კანონმდებლობის ფორმირების პროცესში და დააჩქარა შრომის უსაფრთხოების კანონის მიღება.

2018 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომლის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომელიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

კანონის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია მოახდინოს მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების საქმიანობათა რეგისტრაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაექვემდებარება ფინანსურ სანქციას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებითობის შემთხვევაში 2000 ლარით. ამავე კანონით, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე. ამ მიზნით მან უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, განახორციელოს შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა, უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარება, სახანძრო უსაფრთხოება და საჭიროების შემთხვევაში ევაკუაცია დასაქმების ადგილებში.

2019 წლის 19 თებერვალს კანონში შევიდა ცვლილება, კერძოდ მოქმედების სფერო გაფართოვდა, რაც გამომდინარეობს კანონში დამატებული ჩანაწერიდან: „კანონი ვრცელდება შრომის უსაფრთხოების სფეროში ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე, მათ შორის, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ შრომით ურთიერთობებზე''.

2022 წლის 1 ივლისს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. რეგლამენტით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნები ვრცელდება დასრულებულ/ექსპლოატაციაში მიღებულ შენობა--ნაგებობებში განთავსებულ სამუშაო სივრცეზე. მასში მოცემულია ზოგადი მოთხოვნები სამუშაო სივრცისადმი, დასაქმებულთა ინფორმირება და კონსულტირება, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნები.

ხშირ შემთხვევაში შრომის უსაფრთხოების საკითხი ადამიანების სიცოცხლეს ეხება. სწორედ ამიტომ, ამ მიმართულებას დიდ ყურადღებას უნდა უთმობდნენ როგორც დასაქმებულები, ისე დამსაქმებლები. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოებსა და ოფისებში მომხდარ შემთხვევებზე პასუხისმგებლობა დაქირავებულებსაც ეკისრებათ, უსაფრთხო სამუშაო გარე-

მოს შექმნაში გადამწყვეტ როლს მაინც კომპანია თამაშობს. საუკეთესო შემთხვევაა, როდესაც შრომის უსაფრთხოების წესების დადგენასა და დაცვისას კომპანიები და თანამშრომლები შეთანხმებულად მოქმედებენ.

2018 წლიდან თითქმის ყველა ორგანიზაციას ევალება ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი /მენეჯერი/, რომლის მოვალეობაა: შრომის უსაფრთხოების რისკების თავიდან აცილების გეგმის შემუშავება; ინციდენტების გამომწვევი ძირითადი მიზეზების ანალიზი და პრევენციული ზომების გატარება; სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში კრიზისული სიტუაციების მართვა; საწარმოო პროცესის უსაფრთხოება; თანამშრომლების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და პირველადი დახმარების აღმოჩენა; გარემოსდაცვითი ღონისძიებების მართვა და გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ნარჩენების მართვა და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესების პროექტების მომზადება; ობიექტებზე გასვლა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე დანერგილი სახელმძღვანელო პრინციპების რეალობაში განხორციელების შემოწმება და სხვ.

კანონის მიხედვით, თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით.

აღსანიშნავია შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, რომელიც ხელს შეუწყობს დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ცნობიერების ამაღლებას, ტექნიკური უნარების განვითარებას შრომის უსაფრთხოების საკითხებში, კერძოდ:

- EU TWINNING Project - ევროკაშირის პროექტი - ევროკავშირის დაძმობილების ინსტრუმენტი (TWINNING FICHE) 2019-2022 წლებისთვის განხორციელებელი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის დახმარებით შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო უწყებებთან და სოციალურ პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობით მოცემული პერიოდისთვის ტრანსპოზიციის მიზნით დამუშავდა ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ევროდირექტივები;
- SOCIEUX+ - (ევროკავშირის მხარდაჭერის პროექტი სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მიმართულებით) დეპარტამენტი 2019 წლიდან ტექნიკური მხარდაჭერის პროექტში ჩაერთო, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მოქმედ ბიზნეს გაერთიანებებისა და სავაჭრო პალატებისთვის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლება. ასევე შრომის ინსპექტორებისთვის ტექნიკური უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- აპლიკაცია „მშენებლობის უსაფრთხოება“. აღნიშნული აპლიკაცია - BG BAUSTEINE-ის ქართული ანალოგია, რომელიც შექმნილია სამშენებლო ინდუსტრიაში უბედური შემთხვევის დაზღვევასა და პრევენციაზე უფლებამოსილი სადაზღვევო ინსტიტუტის (Berufsgenossenschaft der Bauwirtschaft / BG BAU) მიერ და წარმოადგენს ე.წ. ნოუ ჰაუს, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ გერმანულ ენაზე. GIZ-თან თანამშრომლობის ფარგლებში მოხდა აპლიკაციის ქართულ ენაზე თარგმნა, რაც ხელს შეუწყობს, საქართველოში როგორც შრომის ინსპექტორების, ისე დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების მენეჯერების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას, გაუმჯობესებს პრაქტიკაში საკანონმდებლო ნორმების დანერგვას, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას და შრომის კულტურის ჩამოყალიბებას.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებობს შემდეგი გამოწვევები:

- დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ცნობიერების დაბალი დონე;
- აღნიშნულ საკითხებზე ლიტერატურის ნაკლებობა;
- დამწყები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისთვის რთულია პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა;

- კომპანიები ცდილობენ ზედაპირულად დანერგონ შრომის უსაფრთხოების სისტემა, რომ თავიდან აიცილონ ჯარიმები;
- შრომის უსაფრთხოების ინსპექციას არ ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (ინსპექტორი), რომ ყველა ორგანიზაცია ძირფესვიანად შეამოწმოს;
- კომპანიებს უჭირთ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების მოძებნა, აქაც კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობაა.

აუცილებელია:

- დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
- ყველა შესაბამისი სამთავრობო უწყება ჩაერთოს ევროკავშირის მოთხოვნების ჰარმონიზაციის პროცესში;
- მოხდეს ბიზნესთან თანამშრომლობა შრომის უსაფრთხოების სფეროში; ბიზნესი ზედაპირულად არ უნდა ნერგავდეს შრომის უსაფრთხოების სისტემას, მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან აიცილონ ჯარიმები;
- შეიქმნას ტრენინგ ცენტრები, სადაც მოამზადებენ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებს. ამ პოზიციაზე დიდი ვაკანსიებია, კადრები კი ნაკლებია, ზოგიერთი სპეციალისტი 2-3 ადგილზე მუშაობს;
- შრომის პირობების მაკონტროლებელ ორგანოს აუცილებელია გააჩნდეს კოორდინაცია და თანამშრომლობა სხვა მაკონტროლებელ ორგანოებსა თუ ამ საქმეში ჩართულ ინსტიტუტებთან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შრომის ინსპექციას უნდა შეეძლოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან მიიღოს მისთვის ყველა სასურველი ინფორმაცია (მონაცემი), რაც მას ხელს შეუწყობს შემოწმების პროცესის გაუმჯობესებაში;
- ჩამოყალიბდეს საკონსულტაციო საბჭო, რომლის მთავარი მიზანი იქნება შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება;
- სახელმწიფო დონეზე შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირება ეფუძნება გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ სამთავრობო დონეზე და გამორიცხავს სხვადასხვა დაინტერესებული ინსტიტუციების პროცესში ჩართვას, რაც ქმნის უარყოფითი შედეგების დადგომის წინაპირობას. კრიტიკულად მნიშვნელოვანია პოლიტიკის ფორმირების პროცესი იყოს ღია სფეროში ჩართული პირებისა და ორგანიზაციებისათვის.

ლიტერატურა

1. ოვსიანიკოვა ნ., არაბიძე ი., შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირება ლატვიაში, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XI, N1 2019.
2. ოვსიანიკოვა ნ., არაბიძე ი., ძირითადი თეორიები სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების გამომწვევ მიზეზებზე, ჟ. „ხელისუფლება და საზოგადოება“ თბილისი, საქართველო, 3(51)2019
3. საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ. თბილისი, 2018
4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, 2020.
5. Alcock, A. History of the International Labour Organization (London, 1971)
6. http://www.ilo.org" www.ilo.org International Labour Organization/შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია)
7. https://www.moh.gov.ge/ka/news/ ბოლო ნახვა 20.01.2023/
8. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5512758?publication=0&fbclid=IwAR2Y1Fb3T5EDd1yTpMbn4UW2-NmkENxVhTNuBPiIRtIItSdcHgK4epUZ4wM

Gulnaz Erkomaishvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Economic Policy to Promote Occupational Safety in Georgia

SUMMARY

The paper discusses the current situation in the field of occupational safety in Georgia. It is mentioned that one of the main challenges is to provide safe working conditions at the workplaces. In many cases, occupational safety affects people's lives. That is why both employees and employers should pay a lot of attention to this direction. Even though employees in companies and offices are responsible for accidents, the company still plays a crucial role in creating a safe working environment. The Labor Inspectorate plays an important role in ensuring compliance with legislation on labor rights and other issues related to labor activity, due to the importance of its commonly recognized functions and the nature of the tasks entrusted to it.

The aim of the study is to evaluate the state occupational safety policy in Georgia and to search for ways of its effective implementation.

Based on the identified challenges in the area of occupational safety and experiences abroad, recommendations for the implementation of economic policy measures to promote occupational safety were developed.

Keywords: Occupational safety, state policy on occupational safety, institutions implementing occupational safety policy.

შოთა ვეშაპიძე
ასოციირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური კონკურსის საფრთხეების შესახებ

ამ სტატიის კვლევის მიზანს შეადგენს აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ღია წესით ჩატარების დაცვა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. კვლევის საგანია აკადემიური თანამდებობების დასაკავებელ კონკურსებში მონაწილეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. კვლევის ობიექტია გარკვეული საკანონმდებლო ნორმების ფაქტური განხორციელების პროცესში წარმოშობილი საფრთხეები და მისი გამომწვევი მიზეზები. კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის, სინთეზის, ანალოგიის მეთოდები, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ აკადემიური კონკურსების გამოწვევები, ფაქტური საფრთხეები და მისი დაძლევის სამართლიანი გზები. იმისთვის რომ აკადემიურმა პერსონალმა თავისი საქმიანობა დაცულად და ეფექტიანად განახორციელოს, აუცილებელია შრომის თავისუფლების დაცვა. მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური კონკურსების ჩატარებისას თავი დავაღწიოთ დისკრიმინაციის, მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის და სხვა საფრთხეებს, ან მოვახდინოთ მათი პრევენცია.

საკვანძო სიტყვები: *შრომის თავისუფლება, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან შეუსაბამობა, დისკრიმინაცია, მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის საფრთხეები.*

ეკონომიკური უსაფრთხოება მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომელიც განაპირობებს ქვეყნის სოციალურდპოლიტიკურ სტაბილურობას, სახელმწიფოს სუვერენიტეტს და პიროვნების დაცვას როგორც გარე, ასევე შიგა საფრთხეებისგან. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პიროვნების ეკონომიკურ უსაფრთხოებას, ადამიანს, მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვას. ადამიანის პიროვნება, ერთდროულად, უსაფრთხოების სუბიექტიც არის და ობიექტიც. პიროვნების ეკონომიკური უსაფრთხოება მძლავრ ბიძგს ანუ სტიმულს ანიჭებს სოციალურ განვითარებას და პიროვნების სოციალურ ხელშეუხებლობას. იმისთვის რომ ადამიანმა თავისი საქმიანობა დაცულად და ეფექტიანად განახორციელოს, აუცილებელია კერძო საკუთრების, სამეწარმეო საქმიანობის და შრომის თავისუფლების დაცვა.

შრომის თავისუფლების დაცვა, უმაღლესი განათლების სფეროში აკადემიური პერსონალის საქმიანობის ეფექტიანი განხორციელების, მათი, ასევე რა თქმა უნდა სტუდენტთა უფლებების დაცვის აუცილებელი პირობაა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული უფლებების დაცვას, ზოგჯერ მრავალი გარემოება უშლის ხელს. ერთდერთი დიდი საფრთხე არის ასაკობრივი დისკრიმინაცია.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 და მე–3 პუნქტების მიხედვით, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეული იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან თავისუფლდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ. გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით. ეს შეზღუდვა არ არსებობს კერძო უმაღლესი სასწავლებლებისთვის.

საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან შეუსაბამობას, კერძო და საჯარო სწავლების პროცესისადმი განსხვავებულ, არაერთნაირ მიდგომას რომ თავი დავანებოთ (ამ საკითხზე ქვემოთ ვისაუბრებთ), აღნიშნული მიდგომა არ არის ეფექტიანი და სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვის შესაძლებლობას აფერხებს. კერძოდ:

1. ყველა პროფესორ-მასწავლებელს, საშუალოდ 4–5 წელში ერთხელ უწევს კონკურსის გავლა, დაკავებული თანამდებობის შენარჩუნების ან სხვა თანამდებობაზე გადასვლისათვის. აღნიშნული კონკურსის გავლისას მოწმდება კონკურსანტის უნარები რამდენად ეფექტიანად შეუძლია დაკისრებული მოვალეობების შესაბამისად წარმართოს სწავლების პროცესი.
2. ამასთან, წლებთან ერთად პროფესორ-მასწავლებელი აგროვებს გამოცდილებას, ეცნობა სიახლეებს, კითხულობს საგანთან დაკავშირებული ამათუ იმ მასალას, ლიტერატურას და იღრმავებს ცოდნას იმ საგანში, რომელშიც კითხულობს ლექციას. შესაბამისად, უფრო და უფრო შინაარსობრივ და საინტერესო ხასიათს იძენს ლექცია.
3. დროის გასვლასთან ერთად, პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების მიღების შედეგად, პროფესორ-მასწავლებელი იძენს ლექციის წარმართვისათვის და სტუდენტის დაინტერესებისათვის საჭირო დამატებით უნარებს, რაც შესაბამისად აისახება ლექციის წაკითხვის ხარისხის ზრდაზე.
4. წლებთან ერთად, ცხოვრებისეული გამოცდილების ზრდა საშუალებას აძლევს ლექტორს მეტად პრაქტიკულ ჭრილში განიხილოს ესა თუ ეს თეორიული საკითხი და ცხოვრებისეულ, პრაქტიკულ ჭრილში დაანახოს სტუდენტს ესა თუ ის თეორიული საკითხი - უკეთ მოამზადოს სტუდენტი იმ ცხოვრებისეულ, პრაქტიკულ გამოწვევებზე ადეკვატურად რეაგირებისათვის, რომელიც შეიძლება შეხვდეს კარიერულ თუ პირად ცხოვრებაში.
5. წლების გასვლასთან ერთად დაგროვილი გამოცდილება საშულებას აძლევს პროფესორს ეფექტიანად დაეხმაროს მომავალი თაობის პროფესორ-მასწავლებლებს. გაუზიაროს წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნა და მოახდინოს „ახალბედა“ პროფესორ-მასწავლებლების სწრაფი პროფესიული ზრდა და ა.შ.

უამრავი მაგალითის, არგუმენტის მოყვანა შეიძლება თუ რატომ მოქმედებს დრო დადებითად ნორმალური ლექტორის განვითარებაზე და როგორ შეიძლება წაადგეს ის სტუდენტს როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებაში ისე მის პრაქტიკულ ცხოვრებაში. გამოცდილი ლექტორის მიზანი ხომ მომავალი თაობის მომზადებაა ისე რომ ეფექტიანად მოხდეს მათთვის გადაცემული ცოდნის გამოყენება როგორც ქვეყნის სასიკეთოდ ისე პირადად სტუდენტისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშული კარგად ესმით ამერიკისა და ევროპის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში და ყველანაირად ცდილობენ, მიუხედავად საპენსიო ასაკის მიღწევისა, აკადემიური პერსონალი, რომელთაც აქვთ სასწავლო პროცესის სწორად და ეფექტიანად წარმართვის უნარი, შეუნარჩუნონ ინსტიტუტს. კარგად ესმით რაოდენ ფასდაუდებელი სამსახური შეიძლება გაუწიოს გამოცდილმა ლექტორმა მომავალ თაობებს. ამ რეგიონების უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს ასაკობრივი ზღვარი რომელიც ლექტორს აიძულებს პენსიაზე გასვლას. ასეთი შეზღუდვა სხვა ქვეყნებში და მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც არაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამომდინარე იქიდან, რომ პერიოდულად ლექტორს მაინც უწევს კონკურსის გავლა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმაღლეს სასწავლებლებში გაუქმდეს ასაკობრივი ზღვარი - საკონკურსო კომისია ისედაც შეაფასებს პროფესორის უნარებს კონკურის გავლისას.

შევეხოთ სამართლებრივ ნორმათა კოლიზიას. მისი ანალიზისთვის ჯერ მოვიყვანთ ამონაწერს კანონიდან: „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მუხლი 36. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები 1. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. 2. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ. 3. ამ მუხლის მე-2 პუნ-

ქტისგან გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით“.

პრაქტიკულად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლესი სასწავლებლების წესდებებში, აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით, არ არსებობს ჩანაწერები რაიმე ნათლად გამოკვეთილი კრიტერიუმების მიხედვით. ეს არის მნიშვნელოვანი გამოწვევა.

ცივილიზებული გამოცდილების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ასაკობრივი შეზღუდვა არაა დაწესებული აშშდში, ევროკავშირში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვაში, ევროპის სხვა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ასაკობრივი საკითხი უაღრესად სენსიტიური საკითხია დაუშვებელია ასაკის გამო კონკურსში მონაწილეობის უფლების წართმევა. მთავარია რომ აკადემიური თანამდებობის დაკავება მოხდეს მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

კონკურსში მონაწილეობის თავისუფლება განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 21–ე და 23–ე მუხლების შესაბამისი პუნქტებით, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე–6 მუხლით, ევროპის სოციალური ქარტიის პირველი მუხლით, საქართველოს კონცტიტუცით (მე–11 მუხლის პირველი პუნქტი, მუხლი 26), საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“. ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი, აკანონებს, რომ შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. ძალზე მნიშვნელოვანია ასევე, რომ შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

ახლა მოვიყვანთ ამონაწერს სხვა კანონიდან: „საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსის მუხლი 2-3. შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

მუხლი 4. შრომითი დისკრიმინაციის ცნება 1. ამ კანონის მიზნებისთვის დისკრიმინაცია არის განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრი-

ვი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას. 2. ამ კანონის მიზნებისთვის პირდაპირია დისკრიმინაცია, როდესაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო პირის მიმართ ხორციელდება არათანაბარი მოპყრობა სხვა პირთან შედარებით, რომელიც იმავე ან მსგავს მდგომარეობაში არის, იყო ან შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ხელსაყრელი მოპყრობის ობიექტი. 3. ამ კანონის მიზნებისთვის ირიბია დისკრიმინაცია, როდესაც ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო პირს სხვა პირთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ობიექტურად არის გამართლებული კანონიერი მიზნით და გამოყენებული საშუალებები ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი და თანაზომიერია. 4. დამსაქმებელი ვალდებულია ქალი და მამაკაცი დასაქმებულების მიერ თანაბარი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოს მათთვის თანაბარი შრომის ანაზღაურების გადახდა.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში, რომელიც არაორგანული კანონია, არსებული სამართლებრივი ნორმა, რომლის თანახმად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეული იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლდებოდა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ – ზოგადი ხასიათისაა და ფართო ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. შედეგად, იქმნება მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის საფრთხეები.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, აღნიშნული წესიდან გამონაკლისის დაშვების უფლება აქვს უნივერსიტეტების აკადემიურ და ფაკულტეტების საბჭოებს (შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე შესაძლებელია დაშვებულ იქნას 65 წელს გადაცილებული პროფესორის საქმიანობის გაგრძელება) რაც კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის პროცესს. იზრდება ალბათობა, რომ:

- უნივერსიტეტების ფაკულტეტების აკადემიური საბჭოებმა ყოველგვარი ობიექტური კრიტერიუმების შემუშავების, დაწესების გარეშე მიიღონ ამა თუ იმ პირის საქმიანობის გაგრძელების გადაწყვეტილება;
- შეიმუშაონ კრიტერიუმები არაობიექტურად და კრიტერიუმები მოარგონ ამა თუ იმ პირს პერსონალურად;
- ისარგებლონ ორმაგი სტანდარტებით და აკადემიური პერსონალის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის უფლება, ორმაგი სტანდარტების გამოყენებით, შერჩევით, უსამართლოდ ჩამოართვან თავიანთთვის არასასურველ კანდიდატებს, რაც არის ირიბი, ანუ ფაქტობრივი, ასაკობრივი დისკრიმინაცია.

ასევე, დასაზუსტებელია, მაშინ, როცა პროფესორი, პერიოდულად გადის კონკურსს საქმიანობის გაგრძელებისა თუ დაკავებული თანამდებობის შენარჩუნების/სხვა თანამდებობზე გადასვლისათვის, რატომ ხდება აუცილებელი, პროცესში ასაკობრივი ნიშნით, ჩაერთოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისა თუ სხვადასხვა ფაკულტეტების აკადემიური საბჭოები, რომლებმაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, 65 წლის ასაკს მიღწეული აკადემიური თანამდებობის დაკავებისთვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება რომელ 65 წლის ასაკს მიღწეულ მსურველს მისცენ და რომელს არ მისცენ. პროფესორი თუ არ შეესაბამება თანამდებობისთვის განკუთვნილ მოთხოვნებს, ამას შესარჩევი (საკონკურსო) კომისიაც დაადგენს ყოველგვარი დამატებითი საბჭოებისა თუ სხვადასხვა კომისიების შექმნის გარე-

შე. რატომ უნდა იქნეს შერჩევა შეფასების სისტემა დამძიმებული დამატებითი არაეფექტიანი ბიუროკრატიული მექანიზმებით დასაზუსტებელია.

დასკვნა

იმისთვის რომ აკადემიურმა პერსონალმა თავისი საქმიანობა დაცულად და ეფექტიანად განახორციელოს, აუცილებელია შრომის თავისუფლების დაცვა. მიუღებლად მიგვაჩნია, რომ რაც დაშვებულია ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლების შესაბამისი პუნქტებით, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლით, ევროპის სოციალური ქარტიის პირველი მუხლით რის უფლებასაც საქართველოს კონსტიტუცია (მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, მუხლი 26), იძლევა და განამტკიცებს საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი, იმას გვართმევს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი. შედეგად, აკადემიური პერსონალის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის უფლება ასაკის გამო იზღუდება და იქმნება ირიბი დისკრიმინაციის, მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის და სხვა საფრთხეები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განათლების სიტემის ეფექტიანობის გაზრდის, საკადრო სისტემის სრულყოფის, სტუდენტისათვის კვალიფიციური პედაგოგების მიერ სწავლების მაქსიმალურად ხელშეწყობისა და ქათული საგანმანათლებლო კანონმდებლობის ევროპული განათლების სისტემის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შევიდეს ცვლილებები: გაუქმდეს ასაკობრივი ზღვარი, 36-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებული იქნეს კანონიდან. შედეგად, თავიდან იქნება აცილებული ასაკობრივი დისკრიმინაცია, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის უფლება უპირობოდ მიეცემა 65 წელს მიღწეულ პირს, აღსდგება მათი შრომის უფლება, აცილებული იქნება ორმაგი სტანდარტების გამოყენების, შერჩევითობის შემთხვევები, აღსდგება სამართლიანობა. ამ ცვლილების განხორციელებას შეიძლება საკმაო დრო დასჭირდეს. მანამდე კი, აკადემიური კონკურსებსის ჩატარებისას, აუცილებელია, რომ ასაკობრივი დისკრიმინაციის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირდეს, ასეთი ფაქტები მთლიანად უნდა გამოირიცხოს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ამით შესაძლებელი გახდება, აკადემიური კონკურსების ჩატარებისას თავი დავაღწიოთ დისკრიმინაციის, მანიპულირების, ფავორიტიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციის და სხვა საფრთხეებს, ან მოვახდინოთ მათი პრევენცია. აღნიშნულის მიღწევას ფასდაუდებელი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ლიტერატურა

1. Bedianashvili, G., Bichia, Q., & Natsvlishvili, E. (2021). Development of Entrepreneurial Activity, Labor Market and Modern Challenges of Higher Education. *Globalization and Business*. 12, 21-31. (In Georgian). https://doi.org/10.35945/ gb.2021.12.002
2. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business. (1).* 40-46. (In Georgian).
3. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business*, *(1).* 35-39. (In Georgian).
4. Menshikov, V., Bedianashvili, G., Ruza. O., & Kokin, I. (2021). https://www.researchgate.net/publication/354583083_MobilityMobility in the context of entrepreneurial potential of students under the conditions of the COVID-19 pandemic (Latvia, Georgia) . *ENTREPRENEURSHIP AND SUSTAINABILITY ISSUES*. 9(1), 574-589. https://doi.org/ http://dx.doi.org/10.9770/jesi.2021.9.1(36) \t "_blank" 10.9770/jesi.2021.9.1(36)
5. Mgeladze, L. (2017). The Challenges Georgia Faces in The Fight Against Corruption, Journal Business-Engineering, 2017, #4, pp. 20-25

6. Mgeladze, L. (2018). Public Service Challenges and Ways of Solving Them, “World of Lawyers“ Tbilisi, Book, pp. 2567.
7. Mgeladze, L. (2019). National Currency in Georgia, an instrument that impedes or facilitates economic development, Journal The New Economist, #3-4, pp. 7-20
8. Mgeladze, L. (2021). Development Plan of The Country and Some OF Its Aspectsasp, DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202120, #3-4(62-63), Vol. 16, Issue 3, pp. 20-32
9. Papava, V. (2013). *Economic reforms in post-communist Georgia: twenty years after*. Nova Science Publishers, Incorporated.
10. Papava, V. (2020). Becoming European: Challenges for Georgia in the Twenty-First Century. iUniverse.
11. Shengelia, T. (2018). Social capital of dominant ethnic groups and its impact on business.
12. Shengelia, T. (2019). Research methodology and the impact of social entrepreneurship on the solution of social problems in Georgia.
13. Sichinava, A., Chikava, M., Veshapidze, S., Sekhniashvili, D., & Pailodze, N. (2013). Realities of internationalization of higher education in Georgia.
14. Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2022). Covid Depression and Search for a New Paradigm. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *16*(1).
15. Shatberashvili O., Nochvai V., Porsescu S., Aslamazishvili N., Gagnidze I., Ivanchenko K., Chilingaryan K., and Pogosyan G. (2021). Enhancing EaP-EU cooperation in R&I through comparative analyses of EaP national research systems. EaP Civil Society Forum ISBN 978-9941-8-3043-3
16. Veshapidze, S. (2017). THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. *Sciences of Europe*, (13-4), 14-18.
17. Veshapidze, S., Chiabrishvili, K., Zubiashvili, T., & Zoidze, G. (2021). On the relationship between education and economic security. *Ecoforum Journal*, *10*(3).
18. Veshapidze, S., & Zoidze, G., & Berishvili K. (2021). The economic determinant of the education system. Sciences of Europe, (81-2), 6–12. DOI: https://doi.org/10.24412/3162-2364-2021-81-2-6-12
19. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia. The New Economist, 16(2), 1–1. DOI: https://doi.org/10.36962/NEC6102202133
20. Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and New Opportunities for Georgia. Globalization and Business. 12, 32-36. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003
21. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS. - International Scientific Collection - Vol. 5.* Kyiv – CUL. " https://doi.org/10.5281/zenodo.5807500 .
22. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. DOI: https://doi.org/10.5281/zenodo.6373197
23. Veshapidze S., Otinashvili R., Gvarutsidze A., Abuselidze G., Zoidze G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. Entrepreneurship, 10 (2), 22-32 DOI: 10.37708/ep.swu.v10i2.2
24. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4).
25. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022). The Modern Economy and Values. *Cambridge Scholars Publishing. P. 125.*
26. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022). TRANSFORMATION OF ECONOMIC POLICY PRIORITIES UNDER COVID-19. *Three Seas Economic Journal*, *3*(2), 35-43.

Shota Veshapidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

About the Dangers of Academic Competition

SUMMARY

The purpose of this article's research is to protect the conduct of open manner for the competition for academic positions, which must comply with the principles of transparency, equality and fair competition. The subject of the research is ensuring the protection of the rights of the participants in the competitions to holding academic positions. The object of the research is the dangers arising in the process of actual implementation of certain legal norms and their causes. In the research process, the methods of comparative analysis, synthesis, and analogy are used, which will allow us to reveal the challenges of academic competitions, real dangers and fair ways to overcome them. In order for the academic staff to carry out their activities safely and effectively, it is necessary to protect the freedom of labor. It is important to avoid or prevent discrimination, manipulation, favoritism, nepotism, corruption and other dangers when conducting academic competitions.

Key words: Freedom of labor, non-compliance with international legal norms, discrimination, threats of manipulation, favoritism, nepotism, corruption.

ნუგზარ თოდუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მათე ივანიაძე
დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სწრაფი კვების ბაზარზე ონლაინმომხმარებელთა ქცევის ცვლილება პოსტპანდემიურ პირობებში

სტატიაში განხილულია სწრაფი კვების პროდუქტებისა და მომსახურების ონლაინმომხმარებელთა ქცევის თავისებურებები პოსტპანდემიურ პირობებში. გამოკვეთილია ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც COVID-19-ის პანდემიის შემდგომ შეინიშნება. ნაშრომში აღწერილია პანდემიის პირობებში სწრაფი კვების ბაზარზე მომხდარი ცვლილებები და გაანალიზებულია ელექტრონული კომერციის ვებ-გვერდების გაზრდილი როლი ამ სფეროში დასაქმებული ორგანიზაციების მართვაში. ნაჩვენებია ონლაინმომხმარებელთა ქცევაზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც პოსტპანდემიურ პერიოდში გავლენას ახდენენ მყიდველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე. სტატიაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ პანდემიის შემდგომ ეტაპზე ადამიანები უფრო აქტიურად იძენენ სწრაფი კვების პროდუქტებსა და მომსახურებას ელექტრონული საშუალებებით. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია ამ მიმართულებით მოწინავე კომპანიების მიერ შერჩეული ციფრული მარკეტინგის სტრატეგიები.

საკვანძო სიტყვები: *სწრაფი კვების ინდუსტრია, მომხმარებელთა ქცევა, ელექტრონული კომერცია, ციფრული მარკეტინგი, კოვიდ-19-ის პანდემია.*

თანამედროვე ბიზნესსამყარო უამრავი გამოწვევის წინაშეა, რაც სხვადასხვა ტიპის საქონლისა და მომსახურების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულებას ცვლის. ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფად განვითარება ორგანიზაციებს ახალ რეალობასთან ადაპტირებას აიძულებს. ამასთან, COVID-19-ის პანდემიამ ამ პროცესს შეუქცევადი სახე მისცა და თანამედროვე ბიზნესში სრულიად ახალი რეალობა წარმოშვა (Sorrentino et al., 2022). კერძოდ, პანდემიის პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ონლაინშოპინგი, ხოლო აღნიშნული ცვლილება განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ყოველდღიური მოხმარებისა და საკვებ პროდუქტებთან მიმართებაში (Juniar & Uci, 2021). კვლევები ცხადყოფს, რომ ასეთ პირობებში უნაღდო ანგარიშსწორებების წილი საგრძნობლად გაიზარდა, ინტერნეტისა და სოციალური მედიის პლატფორმები კი საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიღების მძლავრ საშუალებებად იქცა (Caminiti, 2021; Wisniewski et al., 2021; World Bank, 2022; Coskun et al., 2022). მართალია, ბოლო ხანებში მეცნიერებმა აქტიურად დაიწყეს ციფრული პლატფორმების შესწავლა და იმ ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც მომხმარებლის მიერ ონლაინყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს (Bucko et al., 2018), მაგრამ ამ საკითხებით განსაკუთრებული დაინტერესება კოვიდპანდემიის გავრცელების შედეგად დაიწყო (Nguyen et al., 2021; Ma et al., 2022; Jun et al., 2022). ასეთი ფაქტორების ჩამონათვალში უფასო მიტანის სერვისი, რომელსაც მომხმარებელთა უმეტესობა ირჩევს, ერთპიროვნულად ლიდერობს (Statista, 2023).

ბიზნესპროცესებში გაზრდილი როლისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ელექტრონული კომერციის პლატფორმების სამომხმარებლო ქცევაზე გავლენის შესწავლით უამრავი მკვლევარია დაინტერესებული (Abir et al., 2020; Daroch et al., 2021; Matin et al., 2022; Morales, 2021; Tran, 2021; Sudhakaran, 2022; Todua et al., 2021; Todua & Gogitidze, 2021; Todua & Gogitidze, 2022). თუმცა, უშუალოდ, სწრაფი კვების ინდუსტრიაში ონლაინმომსახურების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულება საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანია Covid-19-ის პანდემიის შე-

დეგად სწრაფი კვების ინდუსტრიაში ონლაინმომხმარებელთა ქცევის ცვლილებების ანალიზი და მიმდინარე ტენდენციების შესწავლა. კვლევაში გამოყენებულია გამოქვეყნებული ლიტერატურული წყაროებისა და მეორადი მონაცემების ანალიზი.

ლიტერატურის მიმოხილვა. უამრავი კვლევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ინდივიდის პიროვნული მახასიათებლები გავლენას ახდენს მისი ქცევის ფორმირებაზე. მკვლევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პიროვნების მახასიათებლებზე დაკვირვებით მისი ქცევითი განზრახვების წინასწარ ამოცნობა სავსებით შესაძლებელია (McCrae & Costa, 1987). კერძოდ, კეთილსინდისიერება, გახსნილობა და ემოციური სტაბილურობა დაკავშირებულია იძულებით, იმპულსურ ყიდვასთან და უტილიტარულ შოპინგთან (Maison, 2019). ამასთან, მომხმარებლები, როდესაც კრიზისის წინაშე აღმოჩნდებიან, ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ფრთხილობენ და მოხმარებას ამცირებენ (Ang et al., 2020). პანდემიის პირობებში ინდივიდების ქცევა იცვლება, ვინაიდან ისინი გრძნობენ ისეთ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგს, როგორიცაა უმუშევრობის ზრდა (Sharma & Sonwalkar, 2013). კვლევები გვიჩვენებს, რომ Covid-19-ის პანდემიის გამო შექმნილმა მდგომარეობამ დიდი გავლენა მოახდინა მომხმარებელთა ქცევაზე (Gu et al., 2021; Jashi & Urotadze, 2022). მაგალითად, კომპანია Nielsen-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით დგინდება, რომ Covid-19-ის პანდემიის გავრცელებამ მყიდველობით ქცევასთან დაკავშირებული დანახარჯების ცვლილება გამოიწვია (Nielsen, 2020). ასევე, კვლევებით დასტურდება, რომ შეცვლილ რეალობაში აღმოჩენილი მოხმარებელი სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების მიმართ დამოკიდებულებას იცვლის. კერძოდ, გაურკვევლობის პირობებში ადამიანებისთვის პრიორიტეტულად იქცა აუცილებელი საჭიროების პროდუქტები, შესაბამისად, შემცირდა ფუფუნების საგნების შესყიდვები (Roggeveen & Sethuraman, 2020).

მკვლევრები აქტიურად განიხილავენ მომხმარებელთა ქცევის ცვლილების საკითხს. მათ ნაწილი თვლის, რომ პანდემიის პერიოდში მყიდველის მენტალიტეტსა და ქცევაში მომხადარი ცვლილებები პოსტპანდემიურ პერიოდშიც შენარჩუნდება. ეს განსაკუთრებით შეეხება ონლაინყიდვის მიმართ დამოკიდებულებას, რომელიც Covid-19-ის გავრცელების პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა (Veeragandham et al., 2020).

პანდემიის პირობებში დაწესებულმა შეზღუდვებმა საგრძნობლად დააზარალა სწრაფი კვებისა და სარესტორნო ბიზნესში მოქმედი ორგანიზაციები. ახალ რეალობასთან ადაპტირებისა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისთვის, მათ აქტიურად დაიწყეს ფიქრი მომხმარებლისათვის ინოვაციური და გამორჩეული მომსახურების შეთავაზებაზე, ხოლო საკვების ონლაინშეძენა და მიწოდება (OFD – Online Food Delivery) მომხმარებლებთან ურთიერთობის უალტერნატივო საშუალებად გადაიქცა (Alalwan, 2020). მაგალითად, ჩეხეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით, საკვებ პროდუქტებთან მიმართებაში მომხმარებელთა მასობრივი გადინება არ ყოფილა, თუმცა, გამოკითხულდა 40%-მა დაიწყო ელექტრონული საშუალებების გამოყენება უფრო მეტად, ვიდრე პანდემიამდე პერიოდში (Svajdova, 2021).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ შეზღუდვების პირობებში ადამიანები ყველაზე მეტად სწრაფი კვების პროდუქტების ონლაინშეძენით ინტერესდებიან. დალჰაუზის უნივერსიტეტში (კანადა) ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, სარესტორნო ბიზნეს სექტორის ონლაინმომხმარებელთა 33.1%-მა ყველაზე აქტიურად, სწორედ, სწრაფი კვების პროდუქტები შეიძინა (Charlebois et al., 2021).

ელექტრონულად საკვების შეძენა და მიწოდება სწრაფი კვების რესტორნებისთვის სიახლე როდია (Kimes, 2011), თუმცა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, მასზე გაზრდილი მოთხოვნა კომპანიებს აიძულებს, თავიანთი სერვისის პოპულარიზებისათვის ახალი გზები ეძებონ. ონლაინმიწოდების სერვისის გამართული მუშაობისათვის სარესტორნო ინდუსტრია ცდილობს, შეკვეთების მართვა გაუმჯობესოს, რათა მომხმარებლებს თავიანთი შეკვეთების დეტალების შესახებ ინფორმაცია ჰქონდეთ. გარდა ამისა, კვლევებით დასტურდება, რომ ონლაინმიწოდების სწორი დაგეგმვა პროდუქტიულობას და მოქნილობას ზრდის და მომხმარებ-

ლებთან ურთიერთობა ახალ, უფრო საინტერესო ეტაპზე გადაჰყავს (Maingi & Obonyo, 2022). Covid-19-ის პანდემიის ფონზე, მომხმარებლები საკვების ონლაინმიწოდებას ახალი პერსპექტივიდან განიხილავენ. ისეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმების გარდა, როგორიცაა კომფორტი, სიმარტივე და მოხერხებულობა, ისინი ეძებენ ახალ გამოცდილებებს (Brewer & Sebby, 2021). სწრაფი კვების რესტორნები კი ცდილობენ, თავიანთი ინოვაციური იდეები მომხმარებლებისთვის საუკეთესო გამოცდილების დაგროვებისკენ მიმართონ (Gavilan et al., 2021). ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პანდემიის პირობებში მომხმარებელთა შეხედულებები შეიცვალა. კომპანია WWD-ის კვლევის თანახმად, შექმნილმა სიტუაციამ სოციალიზაციის არსებული ნორმები გარკვეულწილად შეცვალა. კერძოდ, გამოკითხულთა 67% ფიქრობს, რომ მეგობრებთან დროის გატარება უმჯობესია სახლში, ვიდრე ბარებსა და რესტორნებში, ხოლო 65%, პოსტპანდემიურ პერიოდში სარესტორნო სივრცეში ადგილზე საკვების მირთმევას, სახლში გამოძახების ონლაინმომსახურებით სარგებლობას ამჯობინებს (Pastore, 2020). შიშისა და სიფრთხილის ფაქტორებიდან გამომდინარე, ონლაინშეკვეთის განთავსებისა და ადგილზე მიწოდების სერვისი იმისთვის გამოიყენება, რომ მომხმარებლებმა სასურველი პროდუქტი და მომსახურება უსაფრთხო, მათთვის ნაცნობ გარემოში მიიღონ (Ali et al., 2020; Tao et al., 2022).

კომპანია Statista-ს მონაცემების მიხედვით, პანდემიის დაწყების პირველივე ეტაპზე სწრაფი კვების პროდუქტებისა და მომსახურების ონლაინშეკვეთების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (Statista, 2022). კერძოდ, მსოფლიოს მასშტაბით ელექტრონულად გამოძახებისა და მიტანის სერვისით სარგებლობის მაჩვენებლები 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, 45.5% გაიზარდა, ხოლო 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, 23.3%-იანი ზრდა დაფიქსირდა (Statista, 2023). ასევე, მნიშვნელოვანია ისიც აღინიშნოს, რომ მკვლევრები მომდევნო წლებში უფრო ნელი ტემპით, თუმცა, ზრდის მაჩვენებლების შენარჩუნებას ვარაუდობენ (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. სწრაფი კვების პროდუქტებისა და მომსახურების ონლაინმიწოდების მაჩვენებლების დინამიკა 2019-2023 წლებში (%)



წყარო: Statista (2022)

გარდა ამისა, გამოიკვეთა იმ აპლიკაციებზე დამოკიდებულება, რომლებსაც მომხმარებლები, პოსტპადემიურ პერიოდში საკვები პროდუქტების ონლაინშეძენისათვის, ყველაზე აქტიურად იყენებენ. კვლევები ცხადყოფს, რომ პლატფორმებისადმი ერთგულებას ყველაზე მეტად კარგი სამომხმარებლო გამოცდილება განაპირობებს, რომელიც ინდივიდებმა პანდემიის ეტაპზე დააგროვეს და, რაც მთავარია, ეს აპლიკაციები სთავაზობენ რესტორნების მფლობელებს ონლაინშეკვეთისა და მიწოდების ინსტრუმენტებს მათი ზრდისა და წარმატების მუდმივი კონტროლისთვის (Toast, 2023).

მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისთვის სწრაფი კვების კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს პოსტპანდემიურ პერიოდში მომხმარებელთა ახალი მოთხოვნილებების გამოვლენა და მათზე მორგებული მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება. ამ პროცესში ორგანიზაციები აღმოჩდნენ შემდეგი რეალობის წინაშე: დაელოდონ სიტუაციის ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნებას ან კრიზისის პირობებში გადარჩენისთვის საჭირო ცვლილებებზე იმუშაონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ბიზნესი გაკოტრების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს (Reddy et al., 2022). ამას მეტწილად ის ფაქტორი განაპირობს, რომ სწრაფ და მოხერხებულ მიწოდებასთან ერთად, კომპანიების მთავარ საზრუნავს მომხმარებელთა კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა წარმოადგენს. მსოფლიოს მასშტაბით, სწრაფი კვების კომპანიების უმრავლესობას აქვს საკუთარი Drive-Tru (ავტომობილებიდან საკების მიღების სერვისი) და ონლაინმიწოდების აპლიკაცია, რომელიც კომფორტს და კლიენტის დროის დაზოგვას უზრუნველყოფს (Reddy et al., 2022).

დასკვნები. ლიტერატურული მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ სწრაფი კვების პროდუქტებისა და მომსახურების ონლაინმომხმარებელთა ქცევა COVID-19-ის პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა. მეორადი ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ COVID-19-ის პირობებში მიღებული გამოცდილება პოსტპანდემიურ ეტაპზე მომხმარებელთა ქცევაში კვლავ აისახება. აშკარაა, რომ სწრაფი კვების ონლაინმიწოდების მიმართულებით ინტერნეტმომხმარებელთა წილი, მთლიან რაოდენობასთან მიმართებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამიტომ პოტენციური კლიენტების მოზიდვისა და შენარჩუნებისათვის საჭიროა ახალი მეთოდების შემუშავება. სწრაფი კვების საწარმოების მიერ ციფრული მარკეტინგის ეფექტიანი სტრატეგიების ფორმირება ხელს შეუწყობს ამ სფეროში დასაქმებულებს, ელექტრონულ სივრცეში გადანაცვლებულ მომხმარებლებთან უფრო მეტად მრავალმხრივი და ხელსაყრელი კავშირები დაამყარონ. ამასთან, სწრაფი კვების ინდუსტრიაში, მომხმარებლებთან ურთიერთობის პროცესში, ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების დანერგვა და გამოყენება სასიცოცხლოდ აუცილებელია. პროდუქტისა და მომსახურების ციფრული საშუალებებით შეთავაზება, ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების გამარტივების გარდა, პოსტპანდემიურ პირობებში მომხმარებლებისთვის გარკვეულ კომფორტთან ასოცირდება. ამიტომ ონლაინმარკეტინგული საშუალებების გამოყენება შეუქცევად ხასიათს იძენს, რომელიც მზარდ ტენდენციებს მომავალშიც შეინარჩუნებს.

ლიტერატურა

1. Abir, T., Husain, T., Waliullah, S. S. A., Yazdani, D. M. N., Salahin, K. F., & Rahman, M. A. (2020). Consumer buying behavior towards e-commerce: A survey study of consumers at a selected online shopping site in Dhaka, Bangladesh. *Open Journal of Business and Management*, *8*(6), 2716-2728.
2. Alalwan, A. A. (2020). Mobile food ordering apps: An empirical study of the factors affecting customer e-satisfaction and continued intention to reuse. *International Journal of Information Management*, *50*, 28-44.
3. Ali, S., Khalid, N., Javed, H. M. U., & Islam, D. M. Z. (2020). Consumer adoption of online food delivery ordering (OFDO) services in Pakistan: The impact of the COVID-19 pandemic situation. *Journal of Open Innovation: Technology, Market, and Complexity*, *7*(1), 10.
4. Ang, S. H., Leong, S. M., & Kotler, P. (2000). The Asian apocalypse: crisis marketing for consumers and businesses. *Long Range Planning*, *33*(1), 97-119.
5. Brewer, P., & Sebby, A. G. (2021). The effect of online restaurant menus on consumers' purchase intentions during the COVID-19 pandemic. *International Journal of Hospitality Management*, *94*, 102777.
6. Bucko, J., Kakalejčík, L., & Ferencová, M. (2018). Online shopping: Factors that affect consumer purchasing behaviour. *Cogent Business & Management*, *5*(1), 1535751.
7. Caminiti, S. (2021). Digital payments soared during the pandemic and are here to stay. *CNBC.* Available from: https://www.cnbc.com/2021/08/17/digital-payments-soared-during-the-pandemic-and-are-here-to-stay.html (Accessed January 27, 2023).
8. Charlebois, S., Juhasz, M., & Music, J. (2021). Supply chain responsiveness to a (post)-pandemic grocery and food service E-commerce economy: An exploratory Canadian case study. *Businesses*, *1*(2), 72-90.

9. Coskun, M., Saygili, E., & Karahan, M. O. (2022). Exploring Online Payment System Adoption Factors in the Age of COVID-19—Evidence from the Turkish Banking Industry. *International Journal of Financial Studies*, *10*(2), 39.
10. Daroch, B., Nagrath, G., & Gupta, A. (2021). A study on factors limiting online shopping behaviour of consumers. *Rajagiri Management Journal*, *15*(1), 39-52.
11. Gavilan, D., Balderas-Cejudo, A., Fernández-Lores, S., & Martinez-Navarro, G. (2021). Innovation in online food delivery: Learnings from COVID-19. *International journal of gastronomy and food science*, *24*, 100330.
12. Gu, S., Ślusarczyk, B., Hajizada, S., Kovalyova, I., & Sakhbieva, A. (2021). Impact of the covid-19 pandemic on online consumer purchasing behavior. *Journal of Theoretical and Applied Electronic Commerce Research*, *16*(6), 2263-2281.
13. Jashi, Ch., & Urotadze, E. (2022). Impact of social marketing for changing behavior during the COVID – 19 Pandemic. In *Proceedings of the International Scientific Conference „Covid-19 Pandemic and Economics"*, Tbilisi, pp. 469-476.
14. Jun, K., Yoon, B., Lee, S., & Lee, D. S. (2022). Factors influencing customer decisions to use online food delivery service during the COVID-19 pandemic. *Foods*, *11*(1), 64.
15. Juniar, A. M., & Uci, J. (2021). Belanja Online di Masa Pandemi Covid-19: Studi Kasus Ibu-ibu Rumah Tangga di Kota Makassar. *Emik, 4*(1), 37–51.
16. Kimes, S. E. (2011). The current state of online food ordering in the US restaurant industry. Cornell Hospitality Reports, 11(17).
17. Ma, W., Gan, C., Vatsa, P., Yang, W., & Zheng, H. (2022). Factors affecting online shopping frequency: lessons from New Zealand. *SN Business & Economics*, *2*(6), 41.
18. Maingi, K. M., & Obonyo, G. O. (2022). Service Delivery Digitalization as a Tool for COVID-19 Recovery in Fast-Food Restaurants in Nairobi, Kenya. *Journal of Hospitality and Tourism, 2*(2), 1-23.
19. Maison, D. (2019). The psychological perspective in financial behaviour. *The Psychology of Financial Consumer Behavior*, 1-49.
20. Matin, A., Khoshtaria, T., & Todua, N. (2021). The Impact of Social Media Influencers on Brand Awareness, Image and Trust in their Sponsored Content: An Empirical Study from Georgian Social Media Users. *International Journal of Marketing, Communication and New Media, 10*(18), 88-114.
21. McCrae, R. R., & Costa, P. T. (1987). Validation of the five-factor model of personality across instruments and observers. *Journal of personality and social psychology*, *52*(1), 81.
22. Morales, M. (2021). Post-pandemic consumer behavior towards e-commerce and retail stores in United States. *Revista Venezolana de Gerencia*, *26*(6), 47-64.
23. Nguyen, M. H., Armoogum, J., & Nguyen Thi, B. (2021). Factors affecting the growth of e-shopping over the COVID-19 era in Hanoi, Vietnam. *Sustainability*, *13*(16), 9205.
24. Nielsen (2020). *Key Consumer Behaviour Thresholds Identified as the Coronavirus Outbreak Evolves*. Available from: https://nielseniq.com/global/en/insights/analysis/2020/key-consumer-behavior-thresholds-identified-as-the-coronavirus-outbreak-evolves-2/ (Accessed January 27, 2023)
25. Pastore, A. (2020). Reports Predict Consumer Behavior in a Post-COVOD-19 World. *WWD Busines News.* Available from: https://wwd.com/business-news/business-features/consumer-behavior-reports-predict-a-post-covid-world-1203562275/ (Accessed January 27, 2023)
26. Reddy, L. S., Ranjith, P. V., Shan, K. S., Qi, L. X., San, K. P., Ying, L. Y., ... & Rani, K. (2022). A Study of Changes in McDonald's Consumer Behaviour during Pandemic. *Asia Pacific Journal of Management and Education (APJME)*, *5*(3), 103-117.
27. Roggeveen, A. L., & Sethuraman, R. (2020). How the COVID-19 pandemic may change the world of retailing. *Journal of retailing*, *96*(2), 169-171.
28. Sharma, V., & Sonwalkar, J. (2013). Does consumer buying behavior change during economic crisis?. *International Journal of Economics & Business Administration, 1*(2), 33-48.
29. Sorrentino, A., Leone, D., & Caporuscio, A. (2022). Changes in the post-covid-19 consumers' behaviors and lifestyle in italy. A disaster management perspective. *Italian Journal of Marketing*, *2022*(1), 87-106.
30. Statista (2022). *Online Food Delivery – Worldwide.* Available from: https://www.statista.com/outlook/dmo/online-food-delivery/worldwide (Accessed January 27, 2023)
31. Statista (2023). *Leading reasons among internet users for purchasing a product when shopping online worldwide in 2020.* Available from: https://www.statista.com/statistics/1231069/leading-reasons-for-buying-products-when-shopping-online/ (Accessed January 27, 2023)
32. Sudhakaran, N. (2022). Consumer buying behaviour towards e-commerce during COVID-19. *International Journal on Global Business Management & Research*, *11*(1), 83-89.
33. Svajdova, L. (2021). Consumer Behaviour during Pandemic of COVID-19. *Journal of International Business Research and Marketing, 6(3), 34-37.*
34. Tao, H., Sun, X., Liu, X., Tian, J., & Zhang, D. (2022). The impact of consumer purchase behavior changes on the business model design of consumer services companies over the course of COVID-19. *Frontiers in Psychology*, *13*.
35. Toast (2023). *Best Food Delivery Apps: Top 10 Food Delivery Apps (2023).* Available from: https://pos.toasttab.com/blog/best-food-delivery-apps (Accessed January 27, 2023)

36. Todua, N., & Gogitidze, N. (2021). Features of the Use of Digital Marketing in the Banking Sector. *The New Economist, 16*(3/4), 7-15.
37. Todua, N., & Gogitidze, N. (2022). Marketing aspects of the use of digital technologies in Georgian banks. In *Proceedings of the 7th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business"*, Tbilisi, pp. 196-202.
38. Todua, N., Urotadze, E., Khoshtaria, T., & Matin, A. (2021). Impact of Smart Tourism Technologies on Tourists Intention to Travel (Case of Georgia). In *Proceedings of the AIRSI2021 International Conference „Technology 4.0 in Tourism, Services & Marketing"*, University of Zaragoza (Spain), pp. 220-225.
39. Tran, L. T. T. (2021). Managing the effectiveness of e-commerce platforms in a pandemic. *Journal of Retailing and Consumer Services*, *58*, 102287.
40. Veeragandham, M., Patnaik, N., Tiruvaipati, R., & Guruprasad, M. (2020). Consumer buying behaviour towards e-commerce during COVID-19. *International Journal of Research in Engineering, Science and Management*, *3*(9), 78-82.
41. Wisniewski, T. P., Polasik, M., Kotkowski, R., & Moro, A. (2021). Switching from cash to cashless payments during the COVID-19 pandemic and beyond. Available at SSRN 3794790.
42. World Bank (2022). COVID-19 drives global surge in use of digital payments. Available from: https://www.worldbank.org/en/news/press-release/2022/06/29/covid-19-drives-global-surge-in-use-of-digital-payments (Accessed January 27, 2023).

Nugzar Todua
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mate Ivaniadze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Changes of Online Consumer Behavior in the Fast Food Market in Post-Pandemic Conditions

SUMMARY

The article discusses the characteristics of online consumer behavior of fast food services and products in post-pandemic conditions. The main trends observed in the post-Covid-19 pandemic period are highlighted. Changes in the fast food market under conditions of uncertainty are shown and the increased role of e-commerce websites in the activities of organizations operating in this direction is analyzed. Based on the above, various factors affecting the behavior of online consumers are shown, which in the post-pandemic period influence their purchase decision-making process. The article emphasizes the fact that in the post-pandemic stage, people will more actively purchase fast food products and services through electronic means. That is why the digital marketing strategies selected by leading companies in this direction are discussed in the paper.

Keywords: Fast food industry, consumer behavior, e-commerce, digital marketing, covid-19 pandemic.

ნია თოდუა
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალური მედია მარკეტინგის გამოწვევები ჯანდაცვის ინდუსტრიაში

ნაშრომში შესწავლილია სოციალური მედიის როლი ჯანდაცვაში. ნაჩვენებია ის ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშე დღეისათვის დგანან ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ჯანდაცვაში ციფრული მარკეტინგული ტექნოლოგიების ათვისებაზე. ჩამოყალიბებულია სოციალური მედია მარკეტინგის თანამედროვე ხედვა და სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებები ჯანდაცვაში სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენების შესახებ. ლიტერატურული მასალების გაანალიზების შედეგად აღწერილია პოსტკოვიდის პერიოდში სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენების თავისებურებები, ჯანდაცვაში მომხმარებელთა ქცევის ცვლილების გათვალისწინებით. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ჯანდაცვაში სოციალური მედია მარკეტინგული სტრატეგიების აქტიური გამოყენება ხელს შეუწყობს სამედიცინო მომსახურების სფეროში COVID-19-ის პანდემიის შედეგად წარმოქმნილი სიძნელეების დაძლევას.

საკვანძო სიტყვები: *ჯანდაცვა, ციფრული მედია, სოციალური მედია მარკეტინგი, მომხმარებელთა ქცევის ცვლილება, COVID-19-ის პანდემია.*

სოციალური მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჯანდაცვის ინდუსტრიაში (Moorhead et al., 2013). უკანასკნელ ხანებში ჯანდაცვის სპეციალისტებისა და პროვაიდერების, აგრეთვე პაციენტების მიერ სოციალური მედიის გამოყენება საგრნობლად გაიზარდა (Kordzadeh, 2016). ჯანდაცვის სპეციალისტები სოციალურ მედიას იყენებენ კოლეგებთან პროფესიული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ინფორმაციის გაზიარებისათვის (Rolls et al., 2016). ჯანდაცვის პროვაიდერები კი სოციალურ მედიას მიმართავენ თავიანთი ორგანიზაციების პრომოციისათვის, აგრეთვე არსებულ და პოტენციურ კლიენტებთან მტკიცე ურთიერთობების დამყარებისა და საკუთარი ბრენდის ცნობადობის ასამაღლებლად (McCann and Barlow, 2015). რაც შეეხება პაციენტებს, ისინი სოციალური მედიის მეშვეობით ღებულობენ ინფორმაციებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (Ventola, 2014). შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედიის გამოყენება ჯანდაცვაში მეტად აქტუალურია, განსაკუთრებით, მომხმარებელთა ქცევის თვალსაზრისით (Abuhashesh, 2021). მართალია, საქართველოში ციფრული მარკეტინგის ცალკეული საკითხების გარშემო შესრულებულია გარკვეული სამუშაოები (Todua & Jashi, 2018: Todua, 2019; Todua & Gogitidze, 2021), მაგრამ, საკითხის მნიშვნელობის მიუხედავად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯანდაცვაში სოციალური მედია მარკეტინგის შესახებ ნაშრომები მწირია. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის მიზანია ჯანდაცვაში სოციალური მედია მარკეტინგის შესახებ კონცეპტუალური შეხედულებების გაანალიზება, განსაკუთრებით, კოვიდპანდემიის კონტექსტში.

ლიტერატურის მიმოხილვა. თანამედროვე ეტაპზე ჯანდაცვის სფეროს ორგანიზაციები მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან. უწინარეს ყოვლისა, სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში მომხმარებლები პასიური მდგომარეობიდან აქტიურ მონაწილეებად გადადიან (Danaher & Gallan, 2016; Osei-Frimpong, 2017). ისინი სულ უფრო ხშირად იყენებენ ციფრულ აპლიკაციებს და სხვადასხვა ტექნოლოგიებს, რომლებიც ეხმარება მათ, უშუალოდ ჩაერთონ საკუთარი ჯანმრთელობის დაცვაში. შესაბამისად, ჯანდაცვის ორგანიზაციები ცდილობენ, დროს არ ჩამორჩნენ და სრულყონ სამედიცინო მომსახურების მიწოდების ხერხები, რომელშიც მარკეტინგულ მიდგომებს განსაკუთრებული როლი ენიჭება. მკვლევარები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ჯანდაცვის სფეროში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, სწორედ, მარკეტინგული უნარებია (Anderson et al., 2018). ამიტომ სამედიცინო მომსახურების მიმ-

წოდებლები სულ უფრო ხშირად იყენებენ პაციენტზე ორიენტირებულ მიდგომებს (Crie & Chebat, 2013). თავის მხრივ, თანამედროვე პაციენტები, სამედიცინო მომსახურების შესახებ გათვითცნობიერებისა და სასურველი ინფორმაციის მისაღებად, ძირითადად, მიმართავენ ინტერნეტს. ეს კი ჯანდაცვის ინდუსტრიაში ციფრული მარკეტინგის მნიშვნელობას ზრდის. Google-ის მონაცემების მიხედვით, პაციენტების 77%, ექიმთან ვიზიტამდე ეცნობა საძიებო სისტემებს, ხოლო პაციენტების მესამედი იყენებს სოციალური მედიის პლატფორმებს, რათა გაიგოს ექიმისა და მისი მომსახურების შესახებ (Geekschip, 2020). შესაბამისად, ციფრული მარკეტინგული მომსახურება უზრუნველყოფს ღიაობის მაღალ დონეს, რაც ტრადიციული მარკეტინგით შეუძლებელია.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ სოციალური მედია მრავალი სამედიცინო ორგანიზაციის მარკეტინგული და კომუნიკაციური სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. სოციალური მედიის გამოყენება ჯანდაცვის სისტემებს უამრავ შესაძლებლობებს აძლევს. იგი ეხმარება ჯანდაცვის ორგანიზაციებს და ექიმებს, პაციენტებთან ჩამოაყალიბონ ურთიერთობები, ღიად გაუზიარონ მათ თავიანთი მოსაზრებები და მათგან უკუკავშირები მიიღონ, ასევე განიმტკიცონ მომხმარებელთა ნდობა და გააძლიერონ თავიანთი ბრენდების მიმზიდველობა. პაციენტებთან ონლაინ კომუნიკაციებით საავადმყოფოები და ექიმები ქმნიან პოზიტიური ურთიერთობების ფუნდამენტს. გარდა ამისა, სოციალური მედია პლატფორმების მეშვეობით მიზნობრივ აუდიტორიაზე ზუსტად ორიენტირებული რეკლამები ეხმარება ჯანდაცვის ორგანიზაციებს პაციენტებთან ინდივიდუალურ მუშაობაში. ამიტომაც არის, რომ აშშ-ში არსებული საავადმყოფოების 94%-ს აქვს აქტიური გვერდები Facebook-ში, ხოლო სულ უფრო მეტი რაოდენობა ხსნის თავის სოციალურ გვერდებს ისეთ პლატფორმებზე, როგორიცაა Twitter და Instagram (Griffis et al., 2014). მომხმარებლები აქტიურად იყენებენ ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად. კერძოდ, http://pewresearch.org/ Pew Research Center-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, აშშ-ში ინტერნეტ მომხმარებელთა 70% ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას ონლაინ ეძებს (Zhou et al., 2018). ძირითადი მოტივები, რომლებიც მომხმარებლებს ჯანდაცვის კონტექსტში სოციალური ქსელების გამოყენებისაკენ უბიძგებენ, არის შემდეგი: ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და სიმპტომების შესახებ ცოდნის ამაღლება და საკუთარი აზრების გამოხატვა; ავადმყოფობის მკურნალობის შესახებ სხვებისათვის გამოცდილების გაზიარება; ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან ან ანალოგიური პრობლემების მქონე სხვა პაციენტებთან რჩევების (კონსულტაციების) მიღება (Antheunis et al., 2013; Li et al., 2018). აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური ქსელების მომხმარებელთა 60%, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ექიმების პოსტებს უფრო მეტად ენდობა (Chen et al., 2018). აქვე უნდა შევნიშნოთ ის ფაქტიც, რომ დღეისათვის ექიმებს, თავიანთი გადატვირთული სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, სულ უფრო ცოტა დრო რჩებათ იმისათვის, რომ სოციალურ მედიაში რელევანტური პოსტები გამოაქვეყნონ. ამიტომ მარკეტოლოგები ეხმარებიან ექიმებს, რომ მათ სოციალურ ქსელებში რეგულარულად განათავსონ ორიგინალური და ხარისხიანი კონტენტის მქონე მესიჯები. როგორც ვხედავთ, სოციალური მედია, მისი გონივრული გამოყენებისას, შეიძლება გახდეს ჯანდაცვის სისტემის განვითარების, აგრეთვე პაციენტებზე ზრუნვის, მათი გათვითცნობიერების ამაღლების და ჯანდაცვის პროგრამების პრომოუშენის ხელშემწყობი ინსტრუმენტი. სოციალურ მედიას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ თანმხლები რისკებიც, რომლებიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების დაცვას და ინფორმაციის სიზუსტეს (Alshakhs & Alanzi, 2018).

სოციალური მედია ცვლის მომხმარებლებთან ჯანდაცვის ორგანიზაციებისა და ექიმების ურთიერთობის ხასიათს და სისწრაფეს. დღეისათვის ექიმებისა და პაციენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა იყენებს სოციალურ მედიას ჯანდაცვისა და დაავადებების შესახებ ცოდნის ასამაღლებლად. თავის მხრივ, სოციალური მედიის გამოყენება საკმაოდ ეფექტიანია ჯანდაც-

ვის შესახებ მომხმარებელთა გათვითცნობიერებისა და შესაბამისი ქცევის ცვლილებისათვის (Korda & Itani, 2013). სოციალურ მედიაში აქტიურად ჩართულ საავადმყოფოებს და ექიმებს შეუძლიათ, დროულად დააფიქსირონ და გადაჭრან პაციენტების პრობლემები, რაც მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ლოიალურობის ზრდას განაპირობებს (Himanshu, 2013).

ინტერნეტსივრცეში ინოვაციების დანერგვა ხელს უწყობს ჯანდაცვის ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას. სოციალური მედია მარკეტინგის გავლენით, მომხმარებელთა წვდომა ციფრული ჯანდაცვის ინსტრუმენტებთან სულ უფრო ფართოვდება. ამის ნათელ მაგალითია ტელემედიცინა, რომელიც ციფრული ჯანდაცვის ინსტრუმენტების სფეროში ბოლოდროინდელ მიღწევას წარმოადგენს. იგი უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების პროვაიდერებსა და მომხმარებლებს შორის ინფორმაციის გაცვლას ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას კომპიუტერის, სმარტფონის ან პლანშეტის მეშვეობით (Swan et al., 2019).

თანამედროვე სამყაროში ჯანდაცვის მომხმარებელთა უპირატესობები იცვლება. COVID-19-ის პანდემიამ გავლენა მოახდინა ჯანდაცვასთან დაკავშირებულ სამომხმარებლო ქცევაზე. ადამიანებს აწუხებთ თავიანთ შემოსავლებზე და ჯანმრთელობაზე პანდემიის გავლენა და ეკონომიურად იქცევიან. საკონსულტაციო კომპანია Pwc–ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, აშშ-ის მომხმარებელთა 32%-მა უკვე შეამცირა დანახარჯები ჯანდაცვასთან მიმართებით (PwC's Health Research Institute, 2020). ამიტომ ჯანდაცვის პროვაიდერები იყენებენ ახალ მარკეტინგულ მიდგომებს, რათა პოტენციური მომხმარებლები უკეთ მოიზიდონ და შეინარჩუნონ.

ჯანდაცვის ინდუსტრია დიდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა COVID-19-ის პანდემიის გავლენით. კოვიდპანდემიამ დამანგრეველი გავლენა მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე და მის ცალკეულ დარგებზე. საგრძნობლად შეიცვალა ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ გამოყენებული მარკეტინგული სტრატეგიები და ისინი, ტრადიციულ მარკეტინგულ მიდგომებთან ერთად, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე გადავიდნენ (Khiong, 2022). კოვიდპანდემიის გავლენით ადამიანების უმეტესობა სამედიცინო დაწესებულებებს ნაკლებად სტუმრობდა, რამაც მათი შემოსავლები მნიშვნელოვნად შეამცირა (Al-Weshah et al., 2021). პანდემიის გავლენით ჯანდაცვაში ციფრული მარკეტინგის გამოყენების სფერო სულ უფრო ფართოვდება, ხოლო სამედიცინო დაწესებულებებში პირდაპირ სტუმრობასთან ერთად, ტელესამედიცინო მომსახურების სფეროც იზრდება, შესაბამისად, ამ მიმართებით შემოსავლებიც თანდათან მატულობს (Pasaribu et al., 2022).

დასკვნა

ციფრული მარკეტინგული ტექნოლოგიები უდიდეს გავლენას ახდენს ჯანდაცვის სფეროში მომხმარებელთა ჩართულობაზე, რაც განაპირობებს სამედიცინო დაწესებულებების ეფექტიანობის ამაღლებას. COVID-19-პანდემიამ ციფრული მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება მნიშვნელოვნად გააუმჯობესა, რამაც თავისი ზრდის ტენდენციები პოსტპანდემიურ პერიოდშიც შეინარჩუნა. სოციალური მედია მარკეტინგული სტრატეგიები სამედიცინო დაწესებულებებს ეხმარება ახალი პაციენტების მოზიდვაში, მათი გათვითცნობიერების ამაღლებასა და სტიმულირებაში. სოციალური მედია მარკეტინგის რეალიზაცია ასევე ხელს უწყობს ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს, სწორი ორიენტაცია მოახდინონ ბაზარზე და დასახულ მიზნებს წარმატებით მიაღწიონ.

ლიტერატურა

1. Abuhashesh, M. Y., Al-Dmour, H., Masa'deh, R. E., Salman, A., Al-Dmour, R., Boguszewicz-Kreft, M., & AlAmaireh, Q. N. (2021). The role of social media in raising public health awareness during the pandemic COVID-19: an International Comparative Study. *Informatics* , 8, 80 .

2. Alshakhs, F., & Alanzi, T. (2018). The evolving role of social media in health-care delivery measuring the perception of health-care professionals in Eastern Saudi Arabia. *Journal of Multidisciplinary Healthcare, 11*, 473–479.
3. Al-Weshah, G. A., Kakeesh, D. F., & Al-Ma'aitah, N. A. (2021). Digital marketing strategies and international patients' satisfaction: an empirical study in Jordanian health service industry. *Studies of Applied Economics, 39*(7), 90-99.
4. Anderson, S.T., Nasr, L., & Rayburn, S.W. (2018). Transformative service research and service design: synergistic effects in healthcare. *Service Industries Journal*, *38*(1-2), 99-113.
5. Antheunis, M. L., Tates, K., & Nieboer, T. E. (2013). Patients' and health professionals' use of social media in health care: Motives, barriers and expectations. *Patient Education and Counseling*, *92*(3), 426–431.
6. Chen, Y.Y., Li, C.M., Liang, J.C., & Tsai, C.C. (2018). Health Information Obtained From the Internet and Changes in Medical Decision Making: Questionnaire Development and Cross-Sectional Survey. *Journal of Medical Internet Research, 20*(2), *e47.*
7. Crie, D., & Chebat, J.-C. (2013). Health marketing: toward an integrative perspective. *Journal of Business Research*, *66*(1), 123-126.
8. Danaher, T.S., &d Gallan, A.S. (2016). Service research in healthcare: positively impacting lives. *Journal of Service Research*, *19*(4), 433-437.
9. Geekschip (2020). How Digital Marketing is Impact on Healthcare Industry. Available at: https://www.geekschip.com/blog/digital-marketing-for-healthcare-industry/# Accessed January 27, 2023.
10. Griffis, H.M., Kilaru, A.S., Werner, R.M., Asch. D.A., Hershey, J.C., Hill, S., Ha, Y.P., Sellers, A., Mahoney, K., & Merchant, R.M. (2014). Use of Social Media Across US Hospitals: Descriptive Analysis of Adoption and Utilization. *Journal of Medical Internet Research*, *16*(11), e264.
11. Himanshu, S. (2013). The Evolving Role of Social Media in Healthcare. Available at: https://www.socialmediatoday.com/news/the-evolving-role-of-social-media-in-healthcare/461503/ Accessed January 27, 2023.
12. Khiong, K. (2022). Impact and Challenges of Digital Marketing in Healthcare Industries during Digital Era and Covid-19 Pandemic. *Journal of Industrial Engineering & Management Research, 3*(5), 112-118.
13. Korda, H., & Itani, Z. (2013). Harnessing Social Media for Health Promotion and Behavior Change. *Health Promotion Practice, 14*(1), 15-23.
14. Kordzadeh, N. (2016). Social media in health care. In: *Contemporary Consumer Health Informatics* (pp. 101-123). Springer, Cham.
15. Li, Y., Wang, X., Lin, X., & Hajli, M. (2018). Seeking and sharing health information on social media: A net valence model and cross-cultural comparison. *Technological Forecasting and Social Change*, *126*, 28–40.
16. McCann, M., & Barlow, A. (2015). Use and measurement of social media for SMEs. *Journal of small business and enterprise development*. *22*(2), 273-287.
17. Moorhead, S. A., Hazlett, D. E., Harrison, L., Carroll, J. K., Irwin, A., & Hoving, C. (2013). A new dimension of health care: systematic review of the uses, benefits, and limitations of social media for health communication. *Journal of medical Internet research*, *15*(4), e85.
18. Osei-Frimpong, K. (2017). Patient participatory behaviours in healthcare service delivery. *Journal of Service Theory and Practice*, *27*(2), 453-474.
19. Pasaribu, S. B., Novitasari, D., Goestjahjanti, F. S., & Hendratono, T. (2022). The impact and challenges of digital marketing in the health care industry during the digital era and the COVID-19 pandemic. Frontiers in Public Health, 10.
20. PwC's Health Research Institute (2020). The COVID-19 pandemic is influencing consumer health behavior. Are the changes here to stay? Available at: https://www.pwc.com/us/en/library/covid-19/covid-19-consumer-behavior.html Accessed January 27, 2023.
21. Rolls, K., Hansen, M., Jackson, D., & Elliott, D. (2016). How health care professionals use social media to create virtual communities: an integrative review. *Journal of medical Internet research*, *18*(6), e166.
22. https://www.emerald.com/insight/search?q=Eric%20L.%20Swan" \o "Eric L. Swan" Swan, E.L. , https://www.emerald.com/insight/search?q=Andrew%20J.%20Dahl" \o "Andrew J. Dahl Dahl, A.J. , & " Peltier, J.W. (2019). Health-care marketing in an omni-channel environment: Exploring telemedicine and other digital touchpoints. https://www.emerald.com/insight/publication/issn/2040-7122 Journal of Research in Interactive Marketing , 13(4), 602-618.
23. Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. Globalization and Business, 7, 39-48.
24. Todua, N., & Gogitidze, N. (2021). Features of the Use of Digital Marketing in the Banking Sector. The New Economist,16 (3/4), 7-15.
25. Todua, N., & Jashi, C. (2018). Influence of social marketing on the behavior of Georgian consumers regarding healthy nutrition. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 12(2), 183-190.
26. Ventola, C. L. (2014). Social media and health care professionals: benefits, risks, and best practices. Pharmacy and therapeutics, 39(7), 491-520.
27. Zhou, L., Zhang, D., Yang, C. C., & Wang, Y. (2018). Harnessing social media for health information management. Electronic Commerce Research and Applications, 27, 139–151.

Nia Todua
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Challenges of Social Media Marketing in the Healthcare Industry

SUMMARY

The paper examines the role of social media in healthcare. It shows the main challenges that the representatives of the health sector are facing today. The main focus was on the adoption of digital marketing technologies in healthcare. The modern vision of social media marketing and the opinions of various scientists about the use of social media marketing in health care are formulated. As a result of the analysis of literary materials, the features of the use of social media marketing in the post-covid period are described, taking into account the change in the behavior of consumers in healthcare. The paper shows that the active use of social media marketing strategies in health care will help to overcome the difficulties caused by the pandemic of COVID-19 in the field of medical services.

Keywords: Healthcare, Digital Media, Social Media Marketing, Consumer Behavior Change, COVID-19 Pandemic.

ლია თოთლაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მამუკა ხუსკივაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ურბანიზაცია მდგრადი განვითარების მიზნებში. ქალაქების ზომის მოდელირების საკითხისათვის

თანამედროვე სამყარო უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. პოსტპანდემიურ გამოწვევებს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომის გამო წარმოქმნილი გლობალური ხასიათის ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ლოჯისტიკური და სხვა სახის პრობლემები. ამ ჭეშმარიტებაში, ცხადია ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს მდგრადი განვითარების შესაბამისი ტემპები, იზრუნოს მაკროეკონომიკურ გარემოზე. urბანიზაცია, როგორც ფენომენი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების მიზნებში. იგი მრავალმხრივი მოვლენაა და ცალსახად მისი შეფასება შეუძლებელია.

ნაშრომში განხილულია urბანიზაციის, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის არსი და მისი კავშირი ქვეყნის განვითარების ინდიკატორებთან. ანალიზირებულია urბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები. ემპირიულ ასპექტში კი განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის როგორ ასპექტებს და განხილულია ზიფის კანონი ქალაქების სიდიდესთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი განვითარების მიზნები, urბანიზაცია, მოდელირება, ზიფის კანონი;*

თანამედროვე ეპოქაში urბანიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს სოციალურ ტრანსფორმაციას და უშუალო კავშირშია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პროცესებთან (Liddle, B. 2017). უნდა აღინიშნოს, რომ ეს კავშირი და შესაბამისად დამოკიდებულება არ არის ცალმხრივი. მიზეზ-შედეგობრივი კავშირები შესაძლოა სხვადასხვა მიმართულების აღმოჩნდეს. ერთი მხრივ, ქვეყნის განვითარება განაპირობებს urბანულ პროცესებს, მეორე მხრივ კი urბანიზაცია გავლენას ახდენს შემოსავლების განაწილებაზე, სამართლიანობაზე, ეკოლოგიაზე და ზოგადად ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან მახასიათებლებზე.

urბანიზაცია, როგორც ფენომენი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების ნათლად და ცხადად განსაზღვრულ მიზნებში (SGI). მდგრადი განვითარების კონცეფცია განსაკუთრებული აქტუალური გახდა ბოლო ათწლეულებში. მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი და შეთანხმება, აგრეთვე მრავალი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია მოიცავს დებულებას მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, რაც ითვალისწინებს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური განვითარების აქტივიზაციას, რათა თაობებიდან თაობებამდე არ დაქვეითდეს ადამიანების ცხოვრების ხარისხი. მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობის შესაფასებლად გაეროს მიერ „XXI საუკუნის დღის წესრიგი“ მეთოდიკის შესაბამისად, გაიანგარიშება კრიტერიუმები და ინდიკატორები მდგრადი განვითარების ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპეტების შესაფასებლად. ესაა თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები, რომელთა მნიშვნელობების მიხედვითაც შესაძლებელია შეფასდეს თუ რამდენად აქტიურად უწყობენ ხელს მთავრობები შიდა შესაძლებლობებს და გლობალური საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფას. მდგრადი განვითარება მოითხოვს ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარების კოორდინაციას.

რამ განაპირობა მდგრადი განვითარების მიზნებში ურბანიზაციის ფაქტორის აქტივაცია?

ურბანიზაცია გულისხმობს ადამიანთა პოპულაციების კონცენტრაციას ცალკეულ ადგილებში, როდესაც ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი იზრდება ქვეყნის მთელს მოსახლეობაში. ეს კონცენტრაცია იწვევს მიწის ტრანსფორმაციას საცხოვრებელი, კომერციული, სამრეწველო და სატრანსპორტო მიზნებისთვის. იგი მოიცავდეს მჭიდროდ დასახლებულ ცენტრებს, ასევე მათ მიმდებარე პერიფერიულ უბნებსა ან გარეუბნებს. ურბანიზაციის შედეგად მიღებული დადებითი ეფექტების გარდა, სწრაფმა ურბანიზაციამ და ინდუსტრიალიზაციამ, გამოკვეთა ისეთი სოციალური პრობლემები, როგორიცაა უთანასწორობა და დისბალანსი რაც სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. ამან საფრთხე შეუქმნა მდგრადი განვითარებას განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სწორედ ამიტომ ეს საკითხი დიდ ყურადღებას იმსახურებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, მსოფლიოში არსებული ტენდენციაა რომ მე-20 საუკუნის შუახანებიდან იზრდება ქალაქის მოსახლეობა, განსაკუთრებით სწრაფად დაიწყო ზრდა განვითარებადი ქვეყნების ქალაქებმა. განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში ეს გამოწვეული იყო როგორც მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატებით, ასევე ამ ქვეყნებში მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარებით, რის შემდგომაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქში გადასახლდა. გაეროს პროგრამის, „ჰაბიტატის“, კვლევის თანახმად, 2030 წლისათვის მხოფლიო მოსახლეობის 60% ქალაქად იცხოვრებს. მსოფლიო მოსახლეობის 55% ქალაქად ცხოვრობს, ვარაუდობენ, რომ 2050 წლისათვის მათი რაოდენობა 68%-მდე გაიზრდება, ანუ 2050 წლისათვის მსოფლიო ქალაქთა მოსახლეობას 2,5 მილიონი ადამიანი დაემატება.

მსოფლიოს ეკონომიკური ისტორია გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური პროგრესი და ურბანიზაციის პროცესი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთხელისშემწყობი მოვლენებია.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ურბანიზაცია შემოსავლების მზარდ დონესა და სოციალური ინდიკატორების გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული (სოციალური ინდიკატორები მოიცავს სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, განათლების დონეს, ინფრასტრუქტურას, სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობასა და სხვა). ურბანული ქვეყნები, შემოსავლების უფრო მაღალი დონით, ძლიერი ინსტუტიტებითა და სტაბილური ეკონომიკით გამოირჩევა, და ამავდროულად სტაბილურობა განაპირობებს იმას, რომ მათ შეუძლიათ გაუძლონ მსოფლიო ეკონომიკურ რყევებსაც.

საკმაოდაა კვლევები, რომლებშიც ემპირიულად დასტურდება დამოკიდებულება ქალაქის მოსახლეობის წილის ზრდასა და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებულ შემოსავლის ზრდას შორის. იკვეთება დადებითი კორელაცია ამ ორ მაჩვენებელს შორის. ზოგადად, ურბანიზაცია, ცივილიზაცია და ეკონომიკური ზრდა როგორც ურთიერთხელშემწყობი ფაქტორებია.

ურბანიზაცია მრავალმხრივი მოვლენაა და შეუძლებელია მისი გაზომვა ერთი კონკრეტული მაჩვენებლის მიხედვით. განვითარებადი ქვეყნების საქალაქო არეალში მოსახლეობის დიდი რაოდენობა და მათი ზრდა არ შეიძლება შეფასდეს როგორც ცალსახად დადებითი მოვლენა. ქალაქებში დაბალია შობადობის მაჩვენებელი, რაც ამა თუ იმ ქვეყნის დემოგრაფიულ სურათზე აისახება.

ამ კონტექსტში საინტერესოა ჩინეთის მაგალითი, სადაც განვითარების მაღალი ტემპისა და ახალი ტიპის ურბანიზაციის შედეგად გაიზარდა უთანასწორობა ქალაქსა და სოფელს შორის. ბოლოდროინდელი ფაქტები აჩვენებს, რომ ეს სწრაფი ზრდა არ არის მდგრადი. მაგალითად, ჩინეთის საოცარ ეკონომიკურ ზრდას თან ახლდა სოფლისა და ქალაქების მაცხოვრებლებს შორის შემოსავლის უთანასწორობის პრობლემები და ეკო გარემოს დეგრადაცია (Li He, Xiaoling Zhang 2022). როგორ შეიძლება მიღწეული იქნება გონივრული და ოპტიმალური დამოკიდებულება ურბანიზაციასა და ქალაქ-სოფელს შორის თანასწორობას შორის. ეს არის კრიტიკული საკითხი განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების და მათ

შორის საქართველოსთვისაც. ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ განვითარებასთან. პროცესი ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია გავლენას ახდენს შემოსავლების განაწილებაზე, რაც იწვევს შემოსავლების უთანასწორობას.

ზემოთაღნიშნულს უკავშირდება ურბანული განვითარების და ურბანული მდგრადობის შესახებ ლიტერატურის შესამჩნევი ზრდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაეროს მიერ მდგრადი განვითარების მიზნებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ურბანიზაციის თემამ.

ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ მზარდი შემოსავლების უთანასწორობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას და გამოიწვიოს სოციალური არასტაბილურობა (Alesina & Perotti, 1996; Lu & Chen, 2006; Cheong & Wu, 2014; და სხვები, 2019).

კუზნეცის ჰიპოთეზა თავდაპირველად ემპირიული დაკვირვებებიდან და გამოკვლევებიდან გამომდინარეობდა და შემდგომში, კუზნეცის მრუდით ურბანიზაციასა და ურბანულ სოფლის უთანასწორობას შორის გამოვლენილი დამოკიდებულება არაერთი ემპირიული კვლევით დადასტურდა ურბანიზაცია-უთანასწორობის არაწრფივი კავშირი. ურბანიზაციას ცხადია შეუძლია გამოიწვიოს უთანასწორობა, ვინაიდან შემოსავლები ურბანულ დასახლებებში უფრო მაღალია, ვიდრე არაურბანულში. არაერთი ემპირიული კვლევა ადასტურებს ურბანიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას. რა თქმა უნდა კავშირი არაწრფივია. ურბანიზაცია აქვს პოტენციალი მოახდინოს ეკონომიკური ზრდის აქსელერაცია და ეს პოტენციალი ცხადია თავის მხრივ დამოკიდებულია ინსტიტუციურ გარემოსა და შესაბამის ინფრასტრუქტურაზე.

მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდა კი ზრდის სიკვდილიანობისა და დაავადებების განვითარების რისკებს. ეკოლოგიური მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად. ეკოლოგიურ სურათს ამძიმებს არა მხოლოდ ჰაერის ხარისხის გაუარესება გამონაბოლქვისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით, არამედ სწრაფი განაშენიანება გავლენას ახდენს და იმატებს წყალდიდობების, შტორმების, მეწყერების და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების ალბათობა.

ურბანიზაცია ეხება ქალაქების ფიზიკურ, ადამიანურ და ეკონომიკურ განვითარებას. იგი მოიცავს ხალხისა და სოციალური აქტივობების კონცენტრაციას, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით. ურბანიზაციის ხარისხი განპირობებულია როგორც მოსახლეობის ბუნებრივი ზრდით და მიგრაციით, ასევე ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ცვლილებებით, რაც ადამიანებს უბიძგებს მიგრაციისკენ ურბანულ რაიონებში, რომლებსაც აქვთ დასაქმების შესაძლებლობები. ურბანიზაციის დონის შეფასებისათვის ფართოდ გავრცელებული მიდგომის მიხედვით გამოიყენება შემდეგი ფორმულა (Bloom et al. 2010):

$$Urban_t = \frac{PU_t}{PU_t + PR_t}$$

სადაც QUOTE - აღნიშნულია ურბანიზაციის დონე, QUOTE და QUOTE გამოხატავს შესაბამისად ურბანულ და არაურბანულ მოსახლეობის რიცხოვნობას.

როგორც აღვნიშნეთ, გლობალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ქალაქთა ზრდის რეგულირება წარმოადგენს. ურბანიზაციის არეალებში მოსახლეობის რიცხოვნობის უპრეცედენტო ზრდის მართვა რგანვითარებულ ქვეყნებშიც კი პრობლემატური გახდა. რატომ არის საჭირო ამ პროცესის გონივრულ ჩარჩოებში მოქცევა?

სირთულეა განისაზღვროს რამდენი უნდა იყოს ქალაქის მოსახლეობა, ანუ როგორი უნდა იყოს მოსახლეობის კონცენტრაციის დასაშვები ზღვარი. რა თქმა უნდა ასევე რთულია განისაზღვროს ოპტიმალური პროპორცია ქალაქსა და სოფელს შორის, ურბანიზაციის ხარისხი, ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის და აგლომერაციების ხარისხი.

უაღრესად საინტერესოა ზიფის (https://en.wikipedia.org/wiki/George_Kingsley_Zipf) სამეცნიერო საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება, ქალაქების ზომის განსაზღვრისათვის კანონით გამოყენების შესახებ. ზიფი ინგლისელი ლინგვისტი, რომელმაც ემპირიული დაკვირვების საფუძველზე გამოავლინა კანონზომიერი დამოკიდებულება ლინგვისტიკაში. შემდგომში საკმაოდ წარმატებითაც ზიფის კანონი გამოყენებულ იქნა ეკონომიკაშიც. კანონი არაერთ ემპირიულ კვლევაში დადასტურდა კიდეც. Zipf-ის კანონი ქალაქებისთვის არის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ემპირიული გამოხატულებაა ეკონომიკაში, და ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში.

დღეისათვის ითვლება რომ Zipf-ის კანონი უნივერსალურია ქალაქებისთვის, მკვლევარები ფართოდ იყენებენ ამ კანონს, როგორც სახელმძღვანელოს ურბანული სისტემების გასაგებად. თავდაპირველად მეცნიერის ფ. აუერბახის (F. Auerbach) მიერ ემპირიული კვლევების შედეგად გამოვლინდა რომ ქალაქების ზომის განაწილება შეესაბამებოდა პარეტოს განაწილებას.

ვ. პარეტო შემოსავლების დიფერენციაციის საკითხის კვლევისას მივიდა დასკვნამდე რომ: მოსახლეობის 20% ფლობს სიმდიდრის 80%-ს, ხოლო მოსახლეობის 80% კი მხოლოდ სიმდიდრის 20%-ს. განაწილებას ანალიტიკურად შემდეგი სახე აქვს:

$$y(x) = A\,x^{-\alpha} \qquad (1)$$

მისი ეკვივალენტური ფორმა:

$$\log(y) = \log(A) - \alpha\,\log(x) \qquad (2)$$

სადაც x არის მოსახლეობის ზომა, y არის x-ზე დიდი ქალაქების რაოდენობა, A და α კი მუდმივები.

ფ. აუერბახმა წამოაყენა ჰიპოთეზა „ქალაქის ზომის ქვეყნის ან რეგიონის დონეზე მის რანგთან ემპირიული დამოკიდებულების შესახებ“. სწორედ ამ ჰიპოთეზის საფუძველზე იქნა შემოთავაზებული ზიფის კანონით ცნობილი ტერმინი (ანუ ზიფის განაწილება წარმოადგენს პარეტოს განაწილების კერძო შემთხვევას, როდესაც პარეტოს ინდექსი α 1-ის ტოლია). რაც უფრო მაღალია პარეტოს ინდექსი, მით უფრო თანაბრად არის განაწილებული ქალაქის სისტემა. ინდიკატორის დაბალი მნიშვნელობებით, ქალაქების სისტემა არათანაბარია. ექსტრემალურ შემთხვევებში, როდესაც ექსპონენტა მიდრეკილია უსასრულობისკენ, ქალაქის სისტემა ერთგვაროვანია, ქალაქები ერთი და იგივე ზომისაა. თუ მაჩვენებელი ნულის ტოლია, მაშინ მთელი მოსახლეობა კონცენტრირებულია ერთ ქალაქში. ზიფის კანონის არსი შემდეგში მდგომარეობს: თუ მოვახდენთ ქალაქების რანჟირებას მოსახლეობის რიცხოვნობის კლების მიხედვით, ორი ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის თანაფარდობა მათი რანგების თანაფარდობის უკუპროპორციული იქნებან. უფრო ზოგადად, Zipf-ის მიხედვით, თუ განვიხილავთ ქალაქების სისტემას, უდიდესი ქალაქი დაახლოებით ორჯერ აღემატება სიდიდით მეორე ქალაქს, სამჯერ აღემატება სიდიდით მესამე ქალაქს და ა.შ. აღნიშნული ფორმულირების ფორმალიზაცია კი შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

$$y(x) = A\,x^{-1} \qquad (3)$$

ზიფის კანონის ტესტირება არაერთი შერჩევის საფუძველზე განხორციელდა და ემპირიულად დადასტურდა კიდეც აშშ-სა და ჩინეთში პ. კრუგმანის, კ. გაბაიკსის, ი. იოანიდესის და ოვერმანის და სხვა მეცნიერთა მიერ.

ზიფის კანონის ვიზუალიზაციისთვის X ღერძზე განვათავსოთ შესაბამისი ქალაქი (ქალაქის ზომა, რომელიც გამოხატულია მოსახლეობის რიცხოვნობით), Y ხოლო ღერძზე კი ქალაქის რანგი (უკვე განხორციელებული რანჟირებული სიის მიხედვით). ნახაზი #1-ზე კი მოცე-

მულია კრისტელის, ბატისა და პიეტრონელოს მიერ განხორციელებული ემპირიული კვლევის გრაფიკული დადასტურება

ნახ. #1 მსოფლიო **61** ქალაქის ზომის განაწილება ზიფის კანონის შესაბამისად



წყარო: Cristelli, M., Batty, M. & Pietronero, L. (2012)

პოლ კრუგმანის მიერ (კრუგმანი, 1996) აშშ 135 მეტროპოლიტენის საფუძველზე განხორციელებულ კვლევითაც დადასტურდა ჰიპოთეზა და ამ შემთხვევაში განტოლებას ჰქონდა შემდეგი სახე:

$$Ln\ rank = 10.53 - 1.005\ Ln\ Size, \qquad (4)$$

სადაც დამოკიდებულ ცვლადად განხილულია ქალაქის რანგის ნატურალური ლოგარითმი, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადი კი წარმოადგენს შესაბამისი ქალაქის ზომის ნატურალურ ლოგარითმს. აღნიშნული განტოლება (დამოკიდებულება შერჩევის საფუძველზე) გამოხატავს ზიფის კანონს.

დასკვნა

ურბანიზაციის, როგორც მოვლენის მნიშვნელობაზე მეტყველებს ფაქტი, რომ მდგრადი განვითარების მიზნებში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ურბანიზაცია შემოსავლების მზარდ დონესა და სოციალური ინდიკაროტების გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული. ურბანული ქვეყნები გამოირჩევიან შემოსავლების უფრო მაღალი დონით, ძლიერი ინსტიტუტებითა და სტაბილური ეკონომიკით და მათ აქვთ უნარი, გაუძლონ მსოფლიო ეკონომიკურ რყევებს.

ამავდროულად, გლობალურ პრობლემათა შორის უმწვავეს პრობლემას ქალაქთა ზრდის რეგულირება წარმოადგენს. პრობლემის აქტუალობა განპირობებულია ურბანიზაციის როგორც ფენომენის მრავალმხრივობით. მას დადებით ეფექტებთან ერთად თან ახლავს ნეგატიური გავლენაც, რაც უმთავრესად უკავშირდება ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებას - მოსახლეობის სიმჭიდროვის ხარისხის ზრდა იწვევს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას, დაავადებათა ზრდას და ა.შ.

აუცილებელია შესწავლილ იქნეს ქალაქის მოსახლეობის ზრდის მიზეზები. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ თანამედროვე რეალობაში ქალაქის მოსახლეობის ზრდა უკავშირდება არა მხოლოდ ქვეყნის მოსახლეობის სოფლიდან ქალაქში მიგრაციულ

პროცესებს, არამედ მიგრანტთა შემოდინებას (ეს საკითხი აქტუალური გახდა საქართველოსთვისაც რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ).

ლიტერატურა

1. Cristelli, M., Batty, M. & Pietronero, L. (2012). There is More than a Power Law in Zipf. Sci Rep 2, 812 . https://doi.org/10.1038/srep00812
2. Li He, Xiaoling Zhang (2022). The distribution effect of urbanization: Theoretical deduction and evidence from China. Habitat International. 123. doi.org/10.1016/j.habitatint.2022.102544;
3. Xavier Gabaix (1999). Zipf's Law for Cities: An Explanation. The Quarterly Journal of Economics, Oxford University Press. Vol. 114, No. 3, pp. 739-767;
4. Liddle, B. (2017). The Urbanization, Development, Environment, and Inequality Nexus: Stylized Facts and Empirical Relationships. ADBI Working Paper 788. Tokyo. https://www.adb.org/publications/urbanizationdevelopment-environment-and-inequality-nexus;
5. Nguyen Minh Ha, Nguyen Dang Le, Pham Trung-Kien (2019). The Impact of Urbanization on Income Inequality: A Study in Vietnam. J. Risk Financial Management, 12, 146; doi:10.3390/jrfm12030146;
6. Totladze L., Khuskivadze M, Veshapeli G. (2022). THE ROLE OF HUMAN CAPITAL IN THE FORMATION OF DETERMINANTS OF INNOVATION ACTIVITY. ECONOMICS, BUSINESS AND ADMINISTRATION, [S.l.], n. II, p. 71-80, ISSN 2720-8249. Available at: http://www.sciencejournals.ge/index.php/bu/article/view/302 ;
7. Totladze L., Khuskivadze M. (2022). ადამიანკაპიტალის გაზომვის კონცეპტუალური ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #3. ISSN 1987-5789, ESSN2587-5426;
8. Totladze L., Khuskivadze M. (2022). The Impact of Human Capital and Innovation Determinants on Economic Growth: Evidence from Georgia. International Journal of Business & Management Studies. ISSN 2694-1430 (Print), 2694-1449 (Online) Volume 03; Issue no 09: September, p. 28-33 https://doi.org/10.56734/ijbms.v3n9a4;
9. Totladze L. (2020) Government Expenditure on Education and R&D as a Factor of Human Capital and it's Impact on Economic Growth. საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. „ეკონომისტი“, 2020, #2. ISSN 1987-6890 https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.02.TOTLADZE .

Lia Totladze
Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mamuka Khuskivadze
Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Urbanization in Sustainable Development Goals. Modeling the size of cities

SUMMARY

The modern world is facing huge challenges. To post-pandemic issues were added global humanitarian, economic, logistical, and other problems caused by the Russia-Ukraine war. In this context, it is vital for all countries to maintain appropriate rate of sustainable development to protect the macroeconomic environment. The phenomenon of urbanization maintains a special place in sustainable development goals.

The paper discusses the concept of urbanization as a social transformation and its connection to the country's development indicators. It also explains the Zipf's law for cities. The positive and negative effects of urbanization are analyzed.

Keywords: Sustainable development goals, Urbanization, Modeling, Ziff's law.

ნაზირა კაკულია
ასოცირებული პროფესორი ეკონომიკის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამთა მესხორაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინსტიტუციური ცვლილებებისა და ინსტიტუციური მდგრადობის საკითხები

ინსტიტუციური ცვლილებებისა და ინსტიტუციური მდგრადობის საკითხი ინსტიტუციური ეკონომიკის ერთ-ერთი აქტუალური ნაწილია. ინსტიტუციური ცვლილებები ახალ გამოწვევებთან ადაპტირებას ისახავს მიზნად. ხოლო რაც შეეხება ინსტიტუტების მდგრადობას, იგი მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების წასახალისებლად. თუმცა, აქვე აღსანიშნია, რომ არსებობს ინსტიტუტები, რომლებიც მდგრადობით ხასიათდება, კერძოდ, ფეხს ვეღარ უწყობს ცვლილებებსა და ეკონომიკურ განვითარებას. ნაშრომში გაანალიზებულია ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან ინსტიტუციურ ცვლილებას, იძლევა ბიძგს ინერციისკენ და ამცირებს სისტემური განვითარების პოტენციალს.

საკვანძო სიტყვები: *ინსტიტუციური ცვლილებები, ინსტიტუციური მდგრადობა, ინსტიტუციური უძრაობა, ინსტიტუციური მდგრადობის მექანიზმები*

დღეს მეცნიერებისა და მკვლევარების უდიდესი ნაწილი ინსტიტუტების მნიშვნელოვნებაზე ერთხმად თანხმდება, რადგან სწორედ ისინი განსაზღვრავენ გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას [Acemoglu et al., 2001, Rodrik et al., 2004]. თუმცა, სამწუხაროდ, ზრდის ხელშემწყობი ინსტიტუტების მსგავსად, ზრდის შემაფერხებელი ინსტიტუტები ნარჩუნდება დროთა განმავლობაში. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, თუ რა იწვევს ინსტიტუტების შენარჩუნებას, მდგრადობას [Wallis 2010].

ზოგადად, ინსტიტუტები შედარებით მდგრადი უნდა იყოს, რათა ხელი შეუწყოს წესრიგის შექმნას და, შესაბამისად, წაახალისოს ეკონომიკური განვითარება. მაგალითად, კანონის უზენაესობას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს. ამრიგად, მისი სტაბილურობა ნამდვილად უპირატესობას წარმოადგენს, ვიდრე ნაკლს. თუმცა, არსებობს ზოგიერთი ინსტიტუტი, რომელიც, ასევე, ინარჩუნებს მდგრადობას დროთა განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ფეხს ვეღარ უწყობს და არ შეესაბამება ეკონომიკურ განვითარებას. ცვლილებების მიმართ ასეთი ინსტიტუტების გადაჭარბებულმა წინააღმდეგობამ შეიძლება, შეამციროს სისტემური მოქნილობა და, შესაბამისად, ქვეყნების განვითარების პოტენციალი. მრავალმა ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, რომ არაეფექტიან ინსტიტუტებს მდგრადობის მტკიცე ტენდენცია ახასიათებთ. მაგალითად, არათანაბარი გენდერული ნორმები [Alesina, *et al.* 2003] გრძელვადიან ინერციას ავლენენ, კანონების, ტექნოლოგიებისა და სოფლის მეურნეობის ბაზრის სტრუქტურებში მიმდინარე ცვლილების მიუხედავად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა, გაანალიზდეს, რომელი ფაქტორები უშლის ხელს ინსტიტუციურ ცვლილებას, იძლევა ბიძგს ინერციისკენ და ამცირებს სისტემური განვითარების პოტენციალს.

ინსტიტუციური მდგრადობისა და ინსტიტუციური ცვლილებების საკითხი ინსტიტუციური ეკონომიკის ერთ-ერთი აქტუალური ნაწილია. ისტორიის მოცულობითი ლიტერატურის საგანს წარმოადგენსა ამერიკის ინსტიტუციური მდგრადობისა და ცვლილებების თავისებურებები. მონობის წრიული ისტორიის იგივე მახასიათებლები სხვა ისტორიულ ეპიზოდს არ ახასიათებს. კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის მიმდინარეობის ძირითად მიზეზს მონობის საკითხი წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ 1862 წლიდან აღნიშნული მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებს რეკონსტრუქციის პერიოდი მოჰყვა,

რა დროსაც, შავკანიანებმა მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ წარმატებას მიაღწიეს, იგი ხანმოკლე აღმოჩნდა, მალე ისევ დაიწყო მონობის ეპოქის მრავალი ეკონომიკური პრაქტიკის ხელახლა შემოღება. კერძოდ, შავკანიანების შესაძლებლობები დაბალი ხარისხით, მათი შრომა კი დაბალი ანაზღაურებით ფასდებოდა [Wiener, Jonathan M. 1978]. აღნიშნული გადაიზარდა რასობრივ დისკრიმინაციაში, რომელშიც შავკანიანებისთვის პოლიტიკური უფლების სრულად შეზღუდვასთან იყო შერწყმული [Woodward, 1955; Wright, 2013].

ინსტიტუციური მდგრადობის უმარტივესი ფორმა არის ე.წ. „ინსტიტუციური უძრაობა" (institutional stasis). აღნიშნული უცვლელ ინსტიტუციურ წონასწორობას წარმოადგენს: ინსტიტუციური წყობა, რომლითაც დავიწყეთ, მუდმივად იგივეა, არ იცვლება. იგი გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით, რომელთაგან ყველაზე მთავარი არის მდგომარეობა, როდესაც ძალაუფლება წარმოშობს ძალაუფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯგუფები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ამჟამინდელ ინსტიტუტებზე, მათგან იღებენ სარგებელს და, შესაბამისად, თავიანთ ძალაუფლებას ამ ინსტიტუტების შესანარჩუნებლად იყენებენ, მომავალში მათზე საკუთარი ძალაუფლების ხელახლა გავრცელების მიზნით [Papava, V. 1997].

რეალურად, ინსტიტუციურ მდგრადობას ინსტიტუციური უძრაობის გარდა კიდევ სხვა უამრავი ფორმა აქვს. პირველ რიგში, შესაძლო შეუსაბამობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობებს შორის. ვინც ფლობს ძალაუფლებას, არსებული ინსტიტუციური მდგომარეობის შენარჩუნება სურს [Kakulia, Zhghenti, 2019]. მაგალითად, არანაირი ნიშანი არ არსებობდა იმისა, რომ საბჭოთა კავშირი რღვევას დაიწყებდა და სრულად დაინგრეოდა სამ წელიწადში. კომუნისტურ პარტიას ჰქონდა საკმარისი პოლიტიკური კონტროლი და იძულებითი ძალაუფლება იმისთვის, რომ ყველაფერი უცვლელად შეენარჩუნებინა. თუმცა, საკმარისად ძლიერმა ამომრჩეველმა მხარი დაუჭირა რეფორმის პროცესს [Roland, 1991].

პოლიტიკურად მძლავრმა ჯგუფებმა შეიძლება თავი შეიკავონ ინსტიტუციური ცვლილებებისგან, შემდგომი ინსტიტუციური დინამიკის შიშით. აღნიშნული იდეა ლიტერატურაში არაერთი მკაფიო ფორმით გაჩნდა. აჩემოღლუ და რობინსონი [Acemoglu, Daron, James A Robinson, 2006 ა] ამტკიცებენ, რომ რასაც ისინი „პოლიტიკურად დამარცხებულის ეფექტს" უწოდებენ (პოლიტიკური ძალაუფლების დაკარგვის შიში) ხშირად შეიძლება იყოს ინსტიტუციური რეფორმის წინააღმდეგ ძალის პარალიზება, თუნდაც ასეთ რეფორმას შეეძლოს ეკონომიკური სარგებლის მოტანა და სამხედრო ძალების გაუმჯობესებაც კი. აჩემოღლუ, ეგოროვი და სონინი [Acemoglu, Daron, Georgy Egorov, Konstantin Sonin, 2012] გვთავაზობენ „მოლიპული ფერდობების" ზოგად თეორიას. ავტორების ჩარჩო სტრატეგიული სტაბილურობისა და მისი შედეგების მარტივად გააზრების საშუალებას იძლევა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს რეფორმების პროცესი საბჭოთა კავშირში. რეფორმატორების გეგმას წარმოადგენდა პოლიტიკური ცვლილებების შეზღუდვა, სანაცვლოდ კი, კომუნისტური სისტემის პირობებში, ეკონომიკის მოდერნიზაცია და რესურსების განაწილების გაუმჯობესება. თუმცა, რეფორმის მიმდინარეობის პროცესში, იგი ბევრად უფრო შორს და სწრაფად წავიდა წინ, ვიდრე კომუნისტ რეფორმატორებს სურდათ ან წარმოედგინათ [Fisher, Stanley, 1994; Treisman, 2011]. თუ საბჭოთა კავშირისა და მისი პოლიტიკური სისტემის შენარჩუნება რეფორმატორებისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა, მათ ადრეული რეფორმების, თუნდაც სარგებლის მომტანი ყოფილიყო, სტრატეგიულად დაბლოკვის მიზეზი ექნებოდათ, რადგან ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი მოლიპულ ფერდობზე. მართლაც, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ბევრი ავტოკრატი ლიდერი, მაგალითად, აზერბაიჯანი, ბელორუსია, თურქმენეთი, უზბეკეთი ერიდებოდა ღრმა ეკონომიკური რეფორმების გატარებას, შესაძლოა რუსეთის გამოცდილების გათვალისწინებით.

კიდევ ერთ საინტერესო გარემოებას, რამაც შეიძლება ინსტიტუციურ მდგრადობას შეუწყოს ხელი, არასათანადო კოორდინაცია წარმოადგენს. კერძოდ, ინსტიტუციური ცვლილე-

ბის, რომელიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს მრავალი მოქალაქისთვის, განხორციელება, მოითხოვს ჯგუფებს შორის გარკვეული ნდობისა და კოორდინაციის არსებობას. განსაკუთრებით კი საჭიროა ნდობა შემდეგში: არვინ შეეცდება პროცესის გაჩერებას. აღნიშნული იწვევს მრავლობით წონასწორობას: როდესაც ნდობა არ არსებობს, ინსტიტუციური ცვლილებების პროცესი შესაძლოა არასდროს დასრულდეს, რაც ქმნის ინსტიტუციური სტაგნაციის ფორმას. თუ სხვადასხვა ჯგუფები ენდობიან ერთმანეთს, მათ შორის ძალაუფლების განაწილებით, უკეთესი ინსტიტუციური წყობა, ასევე, წონასწორობა, მიიღწევა [Kakulia, N., Lazarashvili, T. (2019)].

აჩემოღლუმ, ეგოროვმა და სონინმა [Acemoglu, Daron, Georgy Egorov, Konstantin Sonin, 2020) წარმოადგინეს მარტივი კონცეპტუალური ჩარჩო იმის გასარკვევად, თუ რატომ ინარჩუნებენ მდგრადობას/იცვლება ინსტიტუტები. შეიმუშავეს დინამიკური თამაშის თეორიის მოდელი, რომლის მიხედვითაც, ინსტიტუციური ცვლილება შეიძლება მოხდეს შიდა დინამიკის, ეკონომიკური გარემოს შოკების ან სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების ძალაუფლების მიზეზით.

აღსანიშნავია, რომ ემპირიული ლიტერატურა ყურადღებას ამახვილებს სამ ძირითად ფაქტორზე, რომელიც გავლენას ახდენს ინსტიტუტების მდგრადობაზე. ესენია: კულტურა, გეოგრაფია ან ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა და ისტორია.

ცხრილი 1. ინსტიტუციური მდგრადობის მექანიზმები და არხები

ინსტიტუციური მდგრადობის მექანიზმები	***ინსტიტუციური მდგრადობის არხები***	***წყარო***
გეოგრაფია ან ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა	ეკონომიკური უთანასწორობა პოლიტიკური უთანასწორობა	Engerman and sokoloff (1997) Acemoglu *et al.* (2001)
კულტურა	ზოგადი ნდობა კულტურული ტექნოლოგიები ინდივიდუალიზმის უპირატესობა	Guiso *et al.* (2009) Jellema (2010) Gorodnichenko and Roland (2011)
ისტორია	შრომის კოდექსები და პრაქტიკა სამართლებრივი ჩარჩო სოციალურ-პოლიტიკური გარიყულობა ზოგადი ნდობა და ზნეობა	Nunn (2008, 2009a); Dell (2010) La porta *et al.* (1998, 2008) Acemoglu *et al.* (2006) Mahoney (2003) Tabellini (2008a)

გეოგრაფიული ცვლადები ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობენ ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში. აჩემოღლუს [Acemoglu *et al.* 2001; 2002], ასევე, ენგერმენის და სოკოლოვის კვლევებზე [Engerman & Sokoloff, 1997, 2002] დაყრდნობით, ისინი ნაწილობრივ განაპირობებენ პოლიტიკური, ეკონომიკური უთანასწორობისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის განსხვავებებს. შეერთებული შტატებისა და კანადის მაგალითზე, ისინი ამტკიცებენ რომ მოსახლეო-

ბის შემადგენლობა, კლიმატი, ნიადაგი და მკვიდრი მოსახლეობა მნიშვნელოვნად ხსნის სიმდიდრის, ადამიანური კაპიტალისა და დეცენტრალიზებული პოლიტიკური ძალაუფლების შედარებით განაწილებას ლათინური ამერიკის განვითარების გამოცდილებასთან შედარებით. საქსი და უორნერი [Sachs, J. Warner, 2001] ახსენებენ ტერმინს „ბუნებრივი რესურსების წყევლა“, რაც აღნიშნავს იმას, რომ ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნები უფრო ნელა იზრდებიან, ვიდრე რესურსებით ღარიბი ქვეყნები. მათი შეფასებით, საშუალო მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, 1970-1990 წლებში, უარყოფით კავშირშია ბუნებრივი რესურსების სიმრავლის ცვლადებთან. ავტორების განმარტებით, ეს წყევლა შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ რესურსებით მდიდარი ქვეყნები არიან მდიდარი ეკონომიკები და, ამრიგად, ისინი მიდრეკილნი არიან იმისკენ, რომ ხელიდან გაუშვან ექსპორტზე ორიენტირებული ზრდის შესაძლებლობები. [Diamond, 1997] და [Gallup, Sachs, 1999], ასევე, კვლევებით ასკვნიან, რომ ღარიბი რეგიონები ძირითადად სანაპიროდან მოშორებულ ადგილას იმყოფებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უწევთ დიდი სატრანსპორტო ხარჯების გაღება საერთაშორისო ვაჭრობისთვის, ისევე როგორც ტროპიკულ რეგიონებში მაცხოვრებელ მოსახლეობას, სადაც დაავადებების ტვირთი მაღალია.

სამეცნიერო ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ეყრდნობა კულტურულ განსხვავებებს ერის განვითარების მაღალი ან დაბალი დონის ასახსნელად [Gorodnichenko, Roland 2011; Jellema 2010; Landes 2006; Spolaore და Wacziarg 2009]. როცა კულტურა განმტკიცებულია რწმენით, ზნეობრივი ნორმებითა და ღირებულებებით, იგი ეკონომიკური გადაწყვეტილებების უმეტესობას განსაზღვრავს [Fernandes 2010; Guiso et al. 2006], განაპირობებს ჩვენს ვალდებულებას, დავემორჩილოთ კანონს [Licht et al. 2007], ან გვიბიძგებს კორუფციულ ქცევაში ჩართვისკენ [Fishman, Miguel 2007]. თანამედროვე ლიტერატურა გვთავაზობს დამაჯერებელ მტკიცებულებას, რომ გარკვეული არხებით და გზებით რწმენა, ზნეობრივი ნორმები და ფასეულობები გავლენას ახდენენ ინსტიტუციურ წყობაზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია [Guiso, *et al.* 2009], რომელმაც დაასკვნა, რომ კულტურის გავლენამ განაპირობა ევროპაში ვაჭრობის ინტენსივობა ნდობაზე მისი ზემოქმედების საშულებით. [Spolaore, Wacziarg, 2009] კვლევის შედეგად ადგენენ, რომ გენეტიკური და კულტურული თვალსაზრისით მჭიდროდ დაკავშირებული საზოგადოებები, ძირითად შემთხვევაში, იზიარებენ ღირებულებებსა და ცოდნას. აღნიშნულის საპირისპიროდ, გენეტიკური კავშირის არმქონე საზოგადოებებს ბარიერები ექმნებათ საერთო ღირებულებების მიღებაში.

ნაშრომების მზარდი რაოდენობა, ასევე, მიუთითებს იმაზე, რომ უამრავი ქვეყნის განვითარების გზა განსაზღვრა მთავარმა ისტორიულმა ეპიზოდებმა. [Grier, 1999]-ის მიხედვით, ამის საუკეთესო მაგალითია კოლონიზაცია, რომელიც დადებით კორელაციაშია თანამედროვე ეკონომიკურ ზრდასთან, ყოფილი კოლონიების მაგალითზე. კოლონიური ძალაუფლება გავლენას ახდენდა კოლონიზებული ქვეყნების განვითარებაზე, როგორც [Bertocchi and Canova, 2002] წარმოადგენენ თავიან კვლევაში, რომელიც შეისწავლის მეოცე საუკუნის ევროპული კოლონიზაციის ზემოქმედებას აფრიკის ეკონომიკურ წყობაზე. კერძოდ, ავტორები ასკვნიან, რომ საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს მიერ მართული აფრიკული კოლონიები უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპებით გამოირჩევიან, ვიდრე ბელგიური და პორტუგალიური მმართველობის ქვეშ მყოფნი. ნორტისა და უეინგასტის [North & Weingast, 1989] მიხედვით, ასეთი კიდევ ორი დასამახსოვრებელი ეპიზოდია: „სახელოვანი რევოლუცია“ მე-17 საუკუნის ბრიტანეთში, რომლის შედეგადაც გაიზარდა პარლამენტის ფუნქციები, აბსოლუტური მონარქია შეიცვალა კონსტიტუციური მონარქიით და „საფრანგეთის რევოლუცია“, რომლის წყალობითაც ქვეყანაში ძველი მონარქიული რეჟიმი დაემხო და „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა“ გამოცხადდა. რევოლუციამ, ასევე, საფრანგეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში მონარქიული მმართველობა შეცვალა რესპუბლიკურით, სადაც ხალხს საბოლოოდ

უფრო მეტი უფლება და თავისუფლება მიეცა, აღნიშნული ცვლილებები კი აისახა მდგრად ეკონომიკურ ზრდაში.

დასკვნები და რეკომენდაციები. როგორც საკითხის ანალიზიდან გამოვლინდა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ინსტიტუტების მდგრადობას განაპირობებს სამი მნიშვნელოვანი მექანიზმი: გეოგრაფია, კულტურა და ისტორია. ასევე, ინსტიტუციური მდგრადობის უმარტივესი ფორმა არის „ინსტიტუციური უძრაობა", რომელიც გულისხმობს, რომ არსებული ინსტიტუტების შენარჩუნება გამოწვეულია იმით, რომ „ძალაუფლება წარმოშობს ძალაუფლებას". ეს კი იმას ნიშნავს, რომ არსებული ინსტიტუტები ამჟამად ძლიერ ჯგუფებს დომინირების გაგრძელების საშუალებას აძლევს, რათა, ამ ჯგუფებმა, თავის მხრივ, აირჩიონ აღნიშნული ინსტიტუტების შენარჩუნება. თუმცა, საბოლოო ჯამში, ყველა ავტორი თანხმდება იმაზე, რომ მიუხედავად ასეთი მაგალითების არსებობისა, ინსტიტუციური უძრაობა არის იშვიათი; ინსტიტუტების უმეტესობა მუდმივ ცვლილებას განიცდის. ინსტიტუციური ცვლილებები კი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია.

ლიტერატურა

1. Acemoglu, Daron, Georgy Egorov and Konstantin Sonin. 2021. "Institutional change and institutional Persistence." NBER Working Paper No. 27852
2. Acemoglu, Daron and James A Robinson. 2001. "A Theory of Political Transitions." American Economic Review 91(4):938–963.
3. Acemoglu, Daron and James A Robinson. 2006b. Economic Origins of Dictatorship and Democracy. Cambridge University Press.
4. Acemoglu, Daron and James A Robinson. 2001. "A Theory of Political Transitions." American Economic Review 91(4):938–963.
5. Acemoglu, Daron and James A. Robinson. 2012. Why Nations Fail: The Origins of Power, Prosperity, and Poverty. New York: Crown Publishers.
6. Bertocchi, G. and Canova, F. (2002) "Did Colonization Matter for Growth: An Empirical Exploration into the Historical causes of Africa's Underdevelopment" European Economic Review. 46, 1851-1871.
7. Diamond, J. (1997) Arms, Germs and Steel. W. W. Norton.
8. Engerman, S. and Sokoloff, K. (1997) "Factor Endowments, Institutions and Differential Paths of Growth among New World Economies: A View from Economic Historians of the United States", in S. Haber, Ed. How Latin America Fell Behind: Essays on the Economic Histories of Brazil and Mexico. Standford University Press.
9. Engerman, S. and Sokoloff, K. (2005) "The Evolution of Suffrage Institutions in the New World" Journal of Economic History. 65, 891-921.
10. Fernandez, R. (2010) "Does Culture Matter?" Working Paper, Department of Economics, New York University.
11. Fischer, Stanley. 1994. Russia and the Soviet Union Then and Now. University of Chicago Press pp. 221–258.
12. Fishman, R. and Miguel E. (2007) "Corruption, Norms, and Legal Enforcement: Evidence from Diplomatic Parking Tickets" Journal of Political Economy. 115, 1020-1048.
13. Gallup, J. and Sachs, J. (1999) "Geography and Economic Development". Working Paper N1, Center for International Development.
14. Grier, R. (1999) "Colonial Legacies and Economic Growth" Public Choice. 98, 317-335.
15. Guiso, L; Sapienza, P and Zingales: L. (2006) "Does Culture Affect Economic Outcomes?" Journal of Economic Perspectives. 20, 23-48.
16. Guiso, L; Sapienza, P and Zingales: L. (2009) "Cultural Biases in Economic Exchange" Quarterly Journal of Economics. 124, 1095-1131.
17. Jellema, J. 92010) "Culture and Development" Mimeo.
18. Landes, D. (2006) "Why Europe and the West? Why Not China?" Journal of Economic Perspectives. 20, 3-22.
19. Licht, A; Goldschmidt, C; nd Schwarts, S. (2007) "Culture Rules: The Foundations of the Rule of Law and other Norms of Governance" Journal of Comparative Economics. 35, 659-688.
20. Mahoney, James. 2000. "Path dependence in historical sociology." Theory and society 29(4):507–548.
21. Papava, V. On the Shadow Political Economy of the Post-Communist Transformation. An Institutional Analysis. Problems of Economic Transition, Vol. 40, No. 6, 1997 (co-author N.Khaduri).
22. Kakulia, N., Lazarashvili, T. (2019). Institutional transformation and its challenges in Georgia. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, The collection of The 4th International Scientific-Practical Conference Materials, 173-178 (In Georgian).

23. Kakulia, Nazira & Zhghenti, Tsotne. (2019). Institutional-Determinants-of-Economic-Growth-in-Georgia-and-in-Other-Post-Communist-Economies. World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Economics and Management Engineering Vol:13, No:5, 2019
24. Roland, Gerard. 1991. "The Political Economy of Transition in the Soviet Union." European Economy 49:197–216.
25. Sachs, J (2003) 'Institutions Don't Rule: Direct Effects of Geography on Per Capita Income" NBER Working Paper N 9490.
26. Sachs, J and Andrew Warner; 2001. 'The curse of natural resources". European Economic Review, 2001, vol. 45, issue 4-6, 827-838.
27. Spolare, E. and Wacziarg, R. (2009) "The Diffusion of Development" Quarterly Journal of Economics. 124, 469-529.
28. Treisman, Daniel. 2011. The Return: Russia's Journey from Gorbachev to Medvedev. Free Press.
29. Thelen, Kathleen. 1999. "Historical institutionalism in comparative politics." Annual review of political science 2(1):369–404.
30. Wallis, J. (2010) "Persistence and Change: The Evolution of Douglass C. North" Mimeo.
31. Wiener, Jonathan M. 1978. Social Origins of the New South: Alabama, 1860-1885. Louisiana State University Press.
32. Woodward, C. Vann. 1955. The Strange Career of Jim Crow. Oxford University Press.
33. Wright, Gavin. 2013. Sharing the Prize. Harvard University Press.

Nazira is Kakulia
Associate Professor, Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamta Meskhoradze
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Issues of Institutional Persistence and Institutional Changes

SUMMARY

The issue of institutional persistence and institutional changes is one of the relevant parts of institutional economics. Institutional changes aim to adapt new challenges. Herewith, as for the persistence of institutions, it is important to encourage economic development. However, we should note that the institutions, which persist over time, in particular, can no longer support changes and economic development. The paper analyzes the factors that prevent institutional change, give a push to inertia and reduce the potential of systemic development.

Analysis of the issue revealed that among other factors, three important mechanisms determine the sustainability of institutions. These are - geography, culture and history. In addition, the simplest form of institutional stability is ~institutional stasis,~ which implies that the maintenance of existing institutions is because ~power begets power.~ This means that existing institutions currently allow powerful groups to continue to dominate, so that those groups in turn may choose to maintain those institutions. However, ultimately, all authors agree that despite such examples, institutional stasis is rare; most institutions are constantly changing, and institutional change is an integral part of the economic development.

გიგა კიკორია
მოწვეული დოქტორი, ეკონომიკის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზეზვა სანიკიძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი განათლებისა და დასაქმების ბაზრის კავშირი პოსტპანდემიურ პერიოდში საქართველოსა და პოლონეთის მაგალითებზე

ნაშრომის მიზანია დააკვირდეს და აღწეროს ბაკალავრიატის სტუდენტები, რომლებიც შედიან შრომის ბაზარზე საქართველოსა და პოლონეთში და შეავსოს დიტერატურაში არსებული ნაკლოვანებები. კვლევა იყენებს სტრუქტურირებულ და თვითადმინისტრირებად ონლაინ კითხვარს. კვლევის პერიოდში, 2022 წლის ივნისის თვეში, პოლონეთის ბიდგოშის უნივერსიტეტის მენეჯმენტის ფაკულტეტის პოპულაცია 900 აქტიური სტუდენტით იყო წარმოდგენილი, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის - 4460-ით. კრამერის V იქნა გამოყენებული სხვადასხვა ცვლადებს შორის ასოციაციური კავშირის შესამოწმებლად. კითხვარი შეესაბამება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიას. ეს არის პოლონეთისა და საქართველოს მონაცემების ანალიზის ერთ-ერთი პირველი მცდელობა და აქცენტი ბაკალავრიატის სტუდენტებზეა გაკეთებული. სტატიის მიზანია განსაზღვროს არის თუ არა კავშირი კონკრეტულ ცვლადებს შორის. ავტორები თვლიან, რომ ეს ნაშრომი გარკვეულწილად მიიქცევს გადაწყვეტილების მიმღებთა ყურადღებას და უბიძგებს მათ მოქმედებისკენ. კვლევამ გვიჩვენა, რომ ორი განსხვავებული ქვეყნის შედეგები არც ისე შორს არის ერთმანეთისგან, როგორც ეს იყო ნავარაუდევი. თუმცა, ქართული და პოლონური განათლების სისტემა განსხვავდება შრომის ბაზართან დაკავშირების თვალსაზრისით. კვლევა შეიძლება გამოიყენონ მარეგულირებელმა ორგანოებმა, მკვლევარებმა, მეცნიერებმა, საჯარო დაწესებულებებმა და ადგილობრივმა მთავრობებმა. კვლევა მოიცავს ჯროის მოკლე მონაკვეთს და მონაცემთა მცირე შერჩევას. კვლევის კიდევ ერთი შეზღუდვაა პოლონეთისა და საქართველოს განათლების სისტემის განსხვავებულობა. ასევე, ელ.ფოსტის გამოკითხვის გამოყენება, რომელსაც ახასიათებს დაბალი გამოპასუხების მაჩვენებელი.

საკვანძო სიტყვები: *შრომის ბაზარი, დასაქმება, სტუდენტები, საქართველო, პოლონეთი*

სწავლის დასაქმებასთან დაკავშირება ერთგვარ დილემას წარმოადგენს, რომელიც დიდი ხანია არსებობს. თუმცა, დღემდე არაა კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მივუდგეთ პრობლემას: როგორც თანამედროვე ფენომენს, თუ გამოწვევას, რომელიც უნდა გადაიჭრას. უნივერსიტეტები თავიანთ წარმატებას აფასებენ სტუდენტების დასწრების, რიცხოვნობისა და კურსდამთავრებულების საფუძველზე და არა იმით, თუ რას სწავლობენ რეალურად სტუდენტები CITATION Jar22 \l 1033 (Janio, Cywiński, Marek, & al., 2022) . სტუდენტების შეხედულებების შესწავლა მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ თემაზე სრული პასუხის გასაცემად.

საქართველოში შრომის ბაზარი ნაკლებად მოქმედებს განათლების ბაზარზე კურსდამთავრებულებისთვის სამუშაო ადგილების სიმცირის გამო CITATION Nin17 \l 1033 (Durglishvili, 2017) . მთავარ პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობის მაღალი დონე უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებში CITATION DAV22 \l 1033 (Narmania, Kharkheli, Vardiashvili, & Makasarishvili, 2022). საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ძირითადად გათვალისწინებულია სამი ფაქტორი: დაწესებულების პრესტიჟი, სპეციალობა და პირადი მიდრეკილება/ინტერესი. საინტერესოა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კანდიდატების 5%-ზე ნაკლები მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს დასაქმების შანსებს CITATION Nat13 \l 1033 (Andguladze, Bregvadze, & Apkhazava, 2013) . სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ქართველ სტუდენტებში ჩატარებული კვლევის შედეგად

დადგინდა, რომ კვლევის მონაწილეთა 15%-ისთვის უმაღლესი განათლების მიღება იყო მთავარი მოტივაცია (განსაკუთრებული ინტერესის გარეშე), 14%-მა გაითვალისწინა ოჯახის წევრების რჩევა, ხოლო 13%-ის აზრით, არჩეული საბაკალავრო პროგრამა უკეთეს შესაძლებლობას იძლევა CITATION Placeholder5 \l 1033 (Amashukeli, Lezhava, & Chitashvili, 2022).

პოლონეთში, უმაღლეს განათლებაზე მსჯელობისას, სტუდენტების დასაქმებას ნაკლები ყურადღება ეთმობა, თუმცა ეს არის მთავარი საკითხი, როდესაც საქმე ეხება უნივერსიტეტის დიპლომსა და შრომის ბაზარს შორის კავშირს CITATION Tom20 \l 1033 (Zając, 2020). გამოკითხვის თანახმად, სრულ განაკვეთზე სტუდენტების დასაქმების მთავარ მოტივაცის ფულის გამომუშავება წარმოადგენს (Ostoj, 2016). პოლონეთში სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სტუდენტები უმაღლეს განათლებას სამუშაოს უთავსებენ. ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სტუდენტების გადაწყვეტილებაზე რომ იმუშაონ უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, ლიტერატურაში ნაკლები ყურადღება ეთმობა CITATION Fra22 \l 1033 (Lessky & Unger, 2022).

პოლონეთის შრომის ბაზარმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. სტუდენტები თანხმდებიან სამუშაოს, რომელსაც სთავაზობენ იმ იმედით, რომ მიღებული პროფესიული გამოცდილება დაეხმარება იპოვონ ისეთი სამსახური, რომელიც შეესაბამება მათ პროფესიას CITATION Jol14 \l 1033 (Lenart, 2014). პოლონეთში, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დასაქმების ოფისებში ვიზიტი არასაკმარისია საინტერესო სამუშაო შეთავაზების უზრუნველსაყოფად. კვლევის მიხედვით, ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის კურსდამთავრებულების იშვიათად სთავაზობენ სასურველ სამსახურს. კანდიდატების შერჩევის საშუალებას სტაჟირება და ნახევარ განაკვეთზე მუშაობა წარმოადგენს CITATION Mon12 \l 1079 (Jakubiak, 2012).

იმის გამო, რომ განათლების სისტემა მუდმივად ვითარდება და მონაცემები მოძველებულია, საჭიროა ახალი კვლევები. სტატიის მიზანია დაადგინოს არის თუ არა კავშირი კონკრეტულ ცვლადებს შორის, როდესაც საქმე ეხება აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების დასაქმებას. შესაბამისად, სტატია ავსებს ლიტერატურაში არსებულ ნაკლოვანებებს ამ მიმართულებით.

ანალიზი შემოიფარგლება საქართველოსა და პოლონეთის უნივერსიტეტების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებით, ხოლო კვლევა ეფუძნება ავტორის გამოკითხვის შედეგად შეგროვებულ მონაცემებს. ეს ქვეყნები განსხვავდებიან ზომით, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონით, სწავლის საფასურითა და კულტურით, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ სტუდენტების დასაქმება და დავაკავშიროთ კონკრეტული ცვლადები. ემპირიული კვლევა ჩატარდა პოლონეთის ბიდგოშის უნივერსიტეტის მენეჯმენტის ფაკულტეტზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

კვლევის ჰიპოთეზები

ჩვენ დავუშვით ჰიპოთეზები, რათა გვეჩვენებინა, თუ როგორ არის ასოციაციურად დაკავშირებული განათლების სფერო საქართველოსა და პოლონეთში შრომის ბაზართან. ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ კვლევის ირგვლივ არსებული ჰიპოთეზები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ:

H1: პროფესიით დასაქმებულების ნამუშევარი საათები ქვეყნებს შორის არ განსხვავდება;

H2: პროფესიით დასაქმებულების ანაზღაურება ქვეყნებს შორის არ განსხვავდება;

H3: ნამუშევარი საათები ანაზღაურების მიხედვით ქვეყნებს შორის არ განსხვავდება.

გამოკითხვისა და კვლევის მონაცემები

ჩვენი სამიზნე აუდიტორია აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები იყვნენ. მონაცემები შეგროვდა ონლაინ კითხვარის გამოყენებით, რომელიც შეესაბამება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიას. მოხდა კითხვარის მოდიფიკაცია და Google forms-ის მეშვეობით ის ორ ენაზე იქნა მიწოდებული - ქართულად და პოლონურად. ბიდგოშის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მენეჯმენტის ფაკულტეტის 900 აქტიურ სტუდენტს ელექტრონული ფოსტით გაეგზავნა ონლაინ კითხვარი, რომელიც ღია იყო 2022 წლის 24 ივნისიდან მომდევნო 2 კვირის განმავლობაში. შედეგად მივიღეთ 318 სრულად შევსებული ონლაინ კითხვარი. შესაბამისად, გამოპასუხების დონემ შეადგინა 35.3%, რაც შეიძლება ჩაითვალოს კარგად, რადგან ონლაინ გამოკითხვებს, როგორც წესი, აქვს დაბალი გამოხმაურების მაჩვენებელი CITATION Nar171 \l 1033 (Malhotra, Nunan, & Birks, 2017) . იგივე კითხვარი, ქართულ ენაზე, ელექტრონული ფოსტით გაეგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 4460 აქტიურ სტუდენტს. კითხვარი აქტიური იყო 2022 წლის 1 ივლისიდან მომდევნო 2 კვირის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მივიღეთ 538 სრულად შევსებული კითხვარი. გამოპახუსების მაჩვენებელმა ამ შემთხვევაში 12.1% შეადგინა, რაც ტიპიური მაჩვენებელია ონლაინ კითხვარისთვის. ჩვენ ვამჯობინეთ, რომ კითხვარი გაგვეგზავნა მთლიანი პოპულაციისთვის, შერჩევის გაკეთებასთან შედარებით, რადგან ძირითად პრობლემას გამოპასუხების მაჩვენებელი წარმოადგენს. შედეგად მივიღეთ პასუხების საკმარისი რაოდენობა.

ჩვენი კვლევის მიზნებისთვის, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს შევეკითხეთ ასრულებდნენ თუ არა ისინი რაიმე სამუშაოს ბოლო 12 თვის თუნდაც ერთი საათის განმავლობაში. კითხვები იყო ასევე იმის შესახებ, დასაქმებულები იყვნენ თუ არა ანაზღაურებად სამსახურში, ჰქონდათ თუ არა საკუთარი ბიზნესი, სისტემატურად მონაწილეობდნენ თუ არა შინამეურნეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის. ერთ-ერთ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში ამ პირს მივიჩნევთ დასაქმებულად. მონაცემები ქვეყნების მიხედვით შეჯამებულია ქვემოთ ცხრილში 1.

ცხრ. 1. მონაცემთა მახასიათებლები

	პოლონეთი	**საქართველო**
შერჩევის ჩარჩო	900 აქტიური სტუდენტი	4460 აქტიური სტუდენტი
მეთოდი	ონლაინ (email)	ონლაინ (email)
გამოპასუხების დონე	35.3%	12.1%
პერიოდი	ივნისი-ივლისი, 2022	ივნისი-ივლისი, 2022
მნიშვნელოვნება, α	0.05	0.05

წყარო: ეს და მომდევნო ცხრილი ავტორების გამოთვლებს ეფუძნება.

კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები

კვლევის მონაცემები გავაანალიზეთ ორივე ქვეყნის მიხედვით. ნულოვანი ჰიპოთეზის ტესტირება მოვახდინეთ მნიშვნელოვნების 5%-იანი დონისთვის. ცვლადებს შორის ასოციაციური კავშირის დასადგენად გამოვიყენეთ კრამერის V კოეფიციენტი, რომლის ფორმულაც მოცემულია ქვემოთ:

$$V = \sqrt{\frac{\chi^2 / n}{\min(r-1),(c-1)}}$$

სადაც n - შერჩევის მთლიანი ზომაა;

r - სტრიქონების რაოდენობა;

c – სვეტების რაოდენობა.

V მერყეობს 0-დან 1-მდე. V-ის დიდი მნიშვნელობა მხოლოდ ასოციაციის მაღალ ხარისხზე მიუთითებს CITATION Nar171 \l 1033 (Malhotra, Nunan, & Birks, 2017) . ეს არ გვიჩვენებს იმას, თუ როგორ არის დაკავშირებული ცვლადები ერთმანეთთან.

ცხრ. 2 ცვლადებს შორის კავშირის ანალიზის შედეგები

	საქართველო	*პოლონეთი*	*საქართველო*	*პოლონეთი*	*საქ.*	*პოლ.*
ჰიპოთეზები	***ნულოვანი***	***ნულოვანი***	***Cramer's V***	***Cramer's V***	***Sig.***	***Sig.***
H1	*უარყოფილია*	*მართებულია*	*0.106*	*0.093*	0.036	0.45
H2	*მართებულია*	*უარყოფილია*	*0.065*	*0.283*	0.200	0.023
H3	*უარყოფილია*	*უარყოფილია*	*0.299*	*0.458*	0.000	0.000

H1 ჰიპოთეზა უარყოფილია საქართველოს შემთხვევაში და მართებულია პოლონეთის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ სამუშაო საათები და პროფესიით დასაქმება მნიშვნელოვანია საქართველოში და არა პოლონეთში. საქართველოს შემთხვევაში პროფესიით დასაქმება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამუშაო საათებზე, ხოლო პოლონეთში ეს ურთიერთობა სუსტია. შრომის ბაზრის თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ პოლონეთთან შედარებით საქართველოს პოზიტიური ტენდენცია აქვს სამუშაო საათების მხრივ, რადგან არის პირდაპირი კავშირი სამუშაო საათებსა და პროფესიით დასაქმებას შორის (კრამერის V = 0,106 საქართველოს შემთხვევაში, ხოლო პოლონეთისთვის - 0,093).

H2 ჰიპოთეზა დადასტურდა საქართველოსთვის, მაგრამ არა პოლონეთის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ საქართველოსთვის კავშირი არ არის პროფესიით დასაქმებასა და ანაზღაურებას შორის, ხოლო პოლონეთისთვის ეს ასოციაციურად დაკავშირებულია. (კრამერის V = 0,065 საქართველოსთვის და 0,283 პოლონეთისთვის). ეს ტენდენცია აჩვენებს, რომ ანაზღაურების თვალსაზრისით, განათლების სისტემა უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლონეთის შრომის ბაზართან, საქართველოსთან შედარებით.

H3 ჰიპოთეზის შემთხვევაშიც სუსტი კავშირი დაფიქსირდა სამუშაო საათებსა და ანაზღაურებას შორის. ორივე ქვეყნის შემთხვევაში ჰიპოთეზა უარყოფილია, რაც ნიშნავს, რომ ნამუშევარი საათების მიხედვით ხელფასები განსხვავებულია. თუმცა, პოლონეთის შემთხვევაში, კავშირი უფრო ძლიერია (Cramer's V = 0.458), რაც ნიშნავს, რომ გრძელვადიან დასაქმებულებს უხდიან შედარებით მეტ ანაზღაურებას, ვიდრე საქართველოში (Cramer's V = 0.299).

დასკვნები და რეკომენდაციები

სტატიის მიზანი იყო გვეჩვენებინა, თუ როგორ განსხვავდება ქართული და პოლონური განათლების სისტემა შრომის ბაზართან კავშირის თვალსაზრისით.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, მაგრამ ამ ცვლილებების გამომწვევი ფაქტორები უფრო მეტად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში უნდა ვეძებოთ, ვიდრე შრომის ბაზარზე. საქართველოში, საჯარო განათლების სისტემაში, სოციალური ზეწოლა კვლავ მაღალია, შესაბამისად, შრომის ბაზარი ნაკლებ გავლენას ახდენს განათლების ბაზარზე.

პოლონეთში მზარდი მოთხოვნაა უმაღლეს განათლებაზე, მაგრამ, ისევე როგორც საქართველოში, აკადემიური წოდებების მქონე სტუდენტების დიდმა რაოდენობამ შეამცირა ხარისხი და მიმზიდველობა დამსაქმებლების თვალში.

პოლონეთში უნივერსიტეტების უმეტესობამ შეამცირა მიღების წინაპირობები და სწავლის საფასური, რათა უფრო მიმზიდველი და ხელმისაწვდომი გამხდარიყო სტუდენტებისთვის. იგივე ეფექტი ჰქონდა იმ ფაქტს, რომ სწავლის გადასახადი უნივერსიტეტში არ გაზრდილა, მაშინ როცა ფასების ზოგად მატებას ჰქონდა ადგილი.

ჩვენი კვლევის ჰიპოთეზებმა აჩვენა, რომ პროფესიით დასაქმებულების სამუშაო საათები მნიშვნელოვანია საქართველოში და არა პოლონეთში. მეორე ჰიპოთეზა საქართველოს შემთხვევაში დადასტურდა, ხოლო პოლონეთისთვის - არა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს შემთხვევაში წრფივი კავშირი არ არის პროფესიით დასაქმებასა და ანაზღაურებას შორის, ხოლო პოლონეთისთვის ეს ასოციაციურად არის დაკავშირებული. მესამე ჰიპოთეზა უარყოფილია, რაც ნიშნავს, რომ ნამუშევარ საათებსა და ანაზღაურებას შორის კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ორივე ქვეყანაში.

აუცილებელია უნივერსიტეტებსა და შრომის ბაზარს შორის ურთიერთობის გაღრმავება და ისეთი პლატფორმების დანერგვა, რომელიც უფრო მოსახერხებელი იქნება თანამედროვე გამოწვევებისთვის შესაბამისი უნარების შესაძენად. უნივერსიტეტი არ უნდა იყოს მონოლითური ორგანიზაცია, არამედ უნდა იცვლებოდეს ზოგადი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე. ეს ყველაფერი საშუალებას მისცემს მას შეინარჩუნოს და განავითაროს საზოგადოების დამოკიდებულება. უცვლელად სისტემამ შეიძლება გარკვეული დროით იარსებოს, მაგრამ, თანამედროვე განვითარების სწრაფი ტემპის გამო, შესაძლოა, უნივერსიტეტში, როგორც ინსტიტუციაში, ამას რევოლუცია მოჰყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საუნივერსიტეტო განათლება შეიძლება გახდეს დრომოჭმული სისტემა.

ლიტერატურა

1. BIBLIOGRAPHY Amashukeli, M., Lezhava, D., & Chitashvili, M. (2022). *Higher education in Georgia and self-assessment of graduates' competencies.* Tbilisi: Center for social sciences.
2. Andguladze, N., Bregvadze, T., & Apkhazava, R. (2013). *Impact of Higher Education on the formation of workforce.* Tbilisi: The International Institute for Education Policy, Planning and Management.
3. Durglishvili, N. (2017). Labour market perspectives for the university graduates in Georgia. *International Economics Letters*, 1-6.
4. Jakubiak, M. (2012). Expectations of students of economics towards the labour market. *Zeszyty Naukowe WSEI seria: EKONOMIA*, 265-288.
5. Janio, J., Cywiński, A., Marek, L., & al., e. (2022). Most Frequently Asked Questions About Student Learning Outcomes in Poland. *The New Educational Review*, 92-101.
6. Lenart, J. (2014). Student and employment. History and the present. *Przegląd Pedagogiczny*, 117-129.
7. Lessky, F., & Unger, M. (2022). Working long hours while studying: a higher risk for First-in-Family students and students of particular fields of study? *European journal for higher education*, 1-20.
8. Malhotra, N. K., Nunan, D., & Birks, D. F. (2017). *Marketing research: an applied approach.* Harlow: Pearson Education Limited.

9. Narmania, D., Kharkheli, M., Vardiashvili, N., & Makasarishvili, M. (2022). The role, problems and challenges of higher education in Georgia. *International Journal of Teaching and Education*, 34-64.
10. Zając, T. (2020). Student employment in Poland: evidence from the Polish Graduate Tracking System. *Higher Education in Russia and Beyond*, 25-28.

Giga Kikoria
Invited Lecturer, Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Zezva Sanikidze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Relationship between Higher Education and the Employment Market in the post-Pandemic Period on the Examples of Georgia and Poland

SUMMARY

The purpose of this paper is to observe and describe undergraduate students entering the labour market in Poland and in Georgia and fill the gaps in the literature. The study uses a structured and self-administered online questionnaire. The population of the University of Bydgoszcz in Poland was 900 active students, and the students of Tbilisi State University - 4460. Cramer's V is used to check the association between different variables. The questionnaire is in line with the International Labour Organization and the National Statistics Office of Georgia methodology. This is one of the first attempts to analyse data from Poland and Georgia and focuses on undergraduate students. The article aims to determine whether there is an association between specific variables. The authors believe that this paper will gain some attention from policymakers and can allow Governments to take action. The study shows us that the results of two different countries are not as far apart as it would have to be supposed, but Georgian and Polish education system differ toward connection to the labour market. The study can be used by regulators, researchers, scientists, public institutions and Governments. The study uses a short period to collect the data and a small sample. Another limitation of the study is the non-coincidence of the Education System in Poland and Georgia. Also, the limitation that may arise is the use of Email surveys that have several limitations, primarily being that they can appear dry and uninteresting.

Key words: Labour Market, Employment, Students, Poland, Georgia

თეა ლაზარაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის
დირექტორის მოადგილე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

ინოვაციური განვითარების თანამედროვე გამოწვევები

ინოვაციური განვითარება აუცილებელია გამოწვევა გახდა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების სახელმწიფო მხარდაჭერა ძალიან აქტუალურია. უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ინოვაციური განვითარების ზოგადი მახასიათებლები, მათ შორის ცოდნისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი, განვითარებული ინოვაციური ინფრასტრუქტურის არსებობა. საინოვაციო საქმიანობის სახელმწიფო სტიმულირება და მხარდაჭერა, ხელსაყრელი საინოვაციო გარემოს შექმნა, მსხვილი კორპორაციებისა და მცირე ფირმების ქსელის არსებობა, ინოვაციური მეწარმეობა.

სტატიაში განხილულია განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ინოვაციური განვითარების კუთხით და სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმები და მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციური განვითარება, სამეცნიერო საქმიანობა, თანამედროვე ტექნოლოგიები.*

მთელი რიგი ინდუსტრიული ქვეყნების დადებითი გამოცდილება მოწმობს ინოვაციების გადამწყვეტ როლზე ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდაში. ისრაელმა, სამხრეთ კორეამ და სხვა სახელმწიფოებმა არასაკმარისი ხელსაყრელი ეკონომიკური კლიმატისა, ტრადიციული სოციალური ინსტიტუტების წინააღმდეგობისა და ბუნებრივი რესურსების სიმცირის მიუხედავად მიაღწიეს მნიშვნელოვან პროგრესს. ამ ქვეყნების გამოცდილება საინტერესოა იმით, რომ მათ მიერ ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენება წარმატებული აღმოჩნდა, არასრულყოფილ ბაზარის პირობებში და კონსერვატიულ სახეწლმწიფო მმართველობაში. ისრაელი, რომელმაც წარმატებით განახორციელა ვენჩურული ინდუსტრიის პროგრამები მაღალტექნოლოგიური კომპანიების მხარდასაჭერად, „სამხედრო-აგრარული“ ეკონომიკის მქონე ქვეყნიდან გადაიქცა გლობალურ „ახალი ეკონომიკის“ ერთ-ერთ ცენტრად. სამხრეთ კორეამ, მსოფლიო ეკონომიკის ცვალებად პირობებთან, მოქნილი ადაბტირებული ინდუსტრიული პოლიტიკის შედეგად სწრაფად გადალახა 1998-1999 წლების ფინანსური კრიზისის შედეგები და დაუბრუნდა მდგრადი ზრდის ტრაექტორიას.

მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, ინოვაციურ რელსებზე წარმოების გადასაყვანად და მაღალი ტექნოლოგიების ასათვისებლად პირობების შექმნას. ასეთი ტექნოლოგიების გლობალური ბაზარი ახლა 2,5 ტრილიონ დოლარად ფასდება წელიწადში. მათგან შეერთებული შტატების წილი იკავებს 39%, იაპონიის - 30%, გერმანიის - 16%, დანარჩენი მსოფლიოს წილი 15%-ია.

მსოფლიოში მეცნიერებისა და მრეწველობის სახელმწიფო სექტორს შორის ურთიერთქმედების სხვადასხვა მოდელები არსებობს და, შესაბამისად, განსხვავებულია ინოვაციების დანერგვის გზებიც. ერთ-ერთი მათგანია ხელისუფლების აქტიური ჩარევა ინოვაციურ პროცესებში [3]. ასეთი ჩარევა არ უნდა განიხილებოდეს როგორც ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებისა ან საინოვაციო საქმიანობის მიმართ სახელმწიფოს პირდაპირი მხარდაჭერის მასშტაბის მნიშვნელოვნად გაზრდის მცდელობა. საუბარია ინოვაციურ პროცესებში სახელმწიფო მონაწილეობის ისეთ მეთოდებზე, რომლებმაც უნდა შეუქმნან უშუალოდ ბიზნესს ინოვაციებისადმი სტიმული. ამ მხრივ საინტერესოა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების წარმატებული გამოცდილება ინოვაციის სტიმულირების და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდის პოლიტიკის ფორმირებაში.

დასავლეთში სახელმწიფოს ჩარევა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ეროვნული კონკურენტუნარიანობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველ-

ყოფისათვის. დასავლეთის ქვეყნების სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელოვანი წინსვლა აიხსნება არა იმით, რომ მათი ინდივიდუალური ინიციატივა უფრი ძლიერია, არამედ იმით, რომ ისინი უფრო ეფექტურად უჭერენ მას მხარს [3]. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა ინდუსტრიულ ქვეყნებში მიმართულია ინოვაციური პროცესების სტიმულირებისათვის კეთილსასურველი ეკონომიკური კლიმატის შექმნისაკენ და დამაკავშირებელი რგოლია მეცნიერებასა და წარმოებას შორის. სახელმწიფოს გავლენა ინოვაციების სფეროში შეიძლება დაიყოს პირდაპირ და არაპირდაპირ ზომებად. თანაფარდობა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობით და სახელმწიფო რეგულირების არჩეული კონცეფციით.

1980-იანი წლებიდან მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მონაწილეობა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მხარდაჭერაში განვითარებული ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახდა.

ამავდროულად, შეინიშნება ორი ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციის წარმოშობა: ერთი მხრივ, ეს არის ცენტრალიზებული რეგულირების გაძლიერება და, ამავდროულად, სახსრების ცენტრალიზებული ინვესტირება; მეორე მხრივ კი – კერძო სექტორის გამოცოცხლება და ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო დაფინანსების მოცულობების შემცირება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩილეს გამოცდილება. სადაც, ეკონომიკური ზრდის მთავარი წყარო ბუნებრივი რესურსების გამოყენებაა და ქვეყანამ ყველაზე სისტემურად გამოიყენა ინოვაციების სტიმულირების მოდელი ე.წ. „განვითარების ინსტიტუტები“. ჩილეში განვითარების ინსტიტუტები ფუნქციონირებენ სეგმენტირებული ეროვნული ინოვაციური სისტემების პირობებში. აგრეთვე, ჩილე გამოირჩევა ინოვაციების შინაგანი და გარე წყაროების შეხამებით.

ზოგადად, მსოფლიო პრაქტიკაში ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისთვის შემდეგი სახის საგადასახადო შეღავათები გამოიყენება [4]:

- კვლევითი და საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის უზრუნველყოფა, ანუ საგადასახადო გადასახადის გადავადება ინოვაციური მიზნებისათვის მოგებიდან მიღებული ხარჯების ნაწილში:
- გადასახადის შემცირება საინოვაციო ხარჯების ზრდაზე;
- „საგადასახადო არდადეგები“ ინოვაციური პროექტების გაყიდვებიდან მიღებული მოგებისთვის რამდენიმე წლის განმავლობაში;
- იურიდიული და ფიზიკური პირების დივიდენდების შეღავათიანი დაბეგვრა რომლებიც მიღებულია ინოვაციური ორგანიზაციების აქციებიდან;
- საგადასახადო განაკვეთების შემცირება მოგებაზე, რომელიც მიმართულია შეკვეთილ და ერთობლივ სკსსს-ზე;
- შეღავათების მიწოდების კავშირი შესასრულებელი პროექტების პრიორიტეტების გათვალისწინებით;
- პატენტების, ლიცენზიების, ნოუ-ჰაუს და სხვა არამატერიალური აქტივების გამოყენების შედეგად მიღებული მოგების შეღავათიანი დაბეგვრა;
- დასაბეგრი შემოსავლის შემცირება უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებსა და სხვა ინოვაციურ ორგანიზაციებზე გადაცემული აღჭურვილობის ღირებულების ოდენობით;
- დასაბეგრი შემოსავლიდან საქველმოქმედო ფონდებში შენატანების გამოქვითვა, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ინოვაციების დაფინანსებასთან;
- ინოვაციური ორგანიზაციის მოგების ნაწილის ჩარიცხვა სპეციალურ ანგარიშებზე შემდგომი შეღავათიანი დაბეგვრით ინოვაციური მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში.

უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე ინოვაციური ბიზნესი ძალიან დინამიურია და შედარებით მცირე ინვესტიციებს მოითხოვს. განვითარებულ ქვეყნებში სწორედ მცირე ბიზნესი, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციების დაახლოებით ნახევარს. დანახარჯების ერთეულზე, ინოვაციების რაოდენობა მცირე ფირმებში ოთხჯერ მეტია ვიდრე საშუალო ფირ-

მებში და 24-ჯერ მაღალია, ვიდრე დიდ ფირმებში. ამის გარდა, მცირე ფირმები ინოვაციებს 3-ჯერ უფრო სწრაფად ითვისებენ .

აშშ-ის ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანახმად, სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე მცირე ბიზნესის როლი სკსსს-ში გაიზარდა. მცირე და საშუალო ზომის ფირმებმა (500 თანამშრომელზე ნაკლები) აწარმოეს დაახლოებით 2,5-ჯერ მეტ ინოვაცია თითო თანამშრომელზე ან დახარჯულ დოლარზე ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ვიდრე მსხვილმა კორპორაციებმა (10000-ზე მეტი თანამშრომელი) [4].

1980-იან წლებში აშშ-ში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უფრო მეტ განვითარებას ღებულობდნენ სხვადასხვა სახის სამეცნიერო საწარმოო კომპლექსები, ინოვაციური ცენტრები, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკები, მაღალტექნოლოგიური ინკუბატორები და ა.შ. მათი მთავარი ამოცანაა უზრუნველყონ მრავალფეროვანი სერვისები და შექმნან ყველაზე ხელსაყრელი პირობები ინოვაციური საწარმოებისთვის, მოწინავე დარგების განვითარების სტიმულირება, ინოვაციის პროცესის დაჩქარება, პერსპექტიული სამეცნიერო იდეებისა და აღმოჩენების პრაქტიკული განხორციელება. ეს მიიღწევა უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და ახალი მეცნიერებატევადი ცენტრების ძალების გაერთიანებით.

„ინკუბატორები“ ქმნიან საჭირო ინფრასტრუქტურას მცირე ინოვაციური საწარმოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. როგორც წესი, ასეთი საწარმოები ორიენტირებულია დიდი ქალაქების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და იქმნებიან მათ ირგვლივ. ძალიან ხშირად, ტექნოპარკების სტრუქტურების საქმიანობის რეგიონული ორიენტაცია წარმატებით ერწყმის დარგობრივს.

ბევრი ასეთი კომპლექსი გაჩნდა ძირითადი უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების გარშემო და მათ დაქვემდებარებაში არიან. ახალ საწარმოებს ხშირად თავად მეცნიერები და პროფესიონალები ქმნიან, უნივერსიტეტების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, ფინანსური ინსტიტუტების, სავაჭრო-სამრეწველო პალატების და კერძო ბიზნესის დახმარებითა და მონაწილეობით. ზოგიერთ შემთხვევაში, უნივერსიტეტები მათ მიერ კონტროლირებადი ფონდებით დებენ სახსრებს ვენჩურულ საწარმოებში, რათა გამოიყენონ მათ ლაბორატორიებში შემუშავებული ტექნოლოგიები. ამ ფონდებში მეცნიერებიც მონაწილეობენ. ამ კომპლექსების ფარგლებში წარმატებით მოქმედ საწარმოებში ინოვაციების დანერგვის ვადა მცირდება საშუალო პერიოდთან შედარებით 2-3-ჯერ.

ასეთი ფორმების საქმიანობის მხარდაჭერა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1953 წლიდან სპეციალური მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის მეშვეობით ხორციელდება. 1978 წლიდან ტარდება ფედერალური საინოვაციო პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც ეროვნული სამეცნიერო ფონდი აფინანსებდა ინდივიდუალური გამოგონების პროგრამას მცირე ბიზნესს ეროვნული საჭიროებებისათვის. გერმანიაში მოქმედებს ორი სახელმწიფო ორგანო: კვლევებისა და ტექნოლოგიების სამინისტრო და ეკონომიკის სამინისტრო, რომლებიც ეწევიან მცირე და საშუალო ზომის ფირმების ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობას. კვლევებისა და ტექნოლოგიების სამინისტროს მხრიდან ეს არის სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების ფინანსური მხარდაჭერის პირდაპირი ხერხები. ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან ეს არის დახმარება სხვადასხვა ინდუსტრიული და კვლევითი ასოციაციების მეშვეობით.

კანადაში მცირე ინოვაციურ ბიზნესს მხარს უჭერენ: მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტრო, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო და კვლევითი ეროვნული საბჭო. საფრანგეთში 1978 წლიდან ფუნქციონირებს მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო სამდივნო, რომლის ერთ-ერთი საქმიანობაა მცირე და საშუალო საწარმოების საინოვაციო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა. იაპონიაში მსგავსი სამუშაოები 1950-იანი წლებიდან ტარდება ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მცირე და საშუალო საწარმოთა სააგენტოს დახმარებით. დიდ ბრიტანეთში მცირე ბიზნესის ინოვაციური საქმიანობა ხორციელდება მრეწველობის სამინისტროს მეშვეობით. 3-5 წლის განმავლობაში ტექნოპოლისები და

ტექნოლოგიური პარკები „ზრდიან“ 10 ან მეტ მცირე ინოვაციურ საწარმოს, უზრუნველყოფენ რა მათ ლიზინგის პირობებში ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკით, მოწყობილობებით, სატრანსპორტო საშუალებებით, შენობებით, აგრეთვე საჭირო საბუღალტრო, საკონსალტინგო მომსახურებას, დახმარებას ერთობლივი სკსსს კვლევების ჩატარებაში, კადრების მომზადებაში და ერთობლივი ვენჩურული ფირმების შექმნაში [2].

მცირე ფირმების ინვესტირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აშშ-ის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომელიც ინოვაციურ ფირმებს, არა მხოლოდ სესხებს, არამედ მათ გრანტებს აძლევს (უსასყიდლო მიზნობრივი სუბსიდიები). ასეთი ფონდის კიდევ ერთი მაგალითია აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს საინვესტიციო ფონდი, რომელიც აფინანსებს როგორც მცირე ფირმების მიერ განხორციელებულ ინდივიდუალურ კვლევით პროექტებს, ასევე სუბსიდირებს ცალკეულ გამომგონებლებს. ფონდი ხაზს უსვამს თავის არაკომერციულ ორიენტაციას იმით, რომ უპირატესობას ანიჭებს ისეთ შემუშავებებს, რომელსაც აქვს „მარცხის მაღალი რისკი“ [4].

ინოვაციურ ბიზნესზე სახელმწიფო გავლენის „პირდაპირი“ ზომების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ზომებს, რომლებიც ხელს უწყობენ სამრეწველო კორპორაციებს შორის თანამშრომლობას სკსსს-ის სფეროში და უნივერსიტეტებსა და მრეწველობას შორის. შეერთებულ შტატებში 1984 წელს, საინოვაციო საქმიანობის განვითარების მიზნით, მიღებულ იქნა „კანონი კვლევისა და განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

ფუნდამენტური კვლევების კონცენტრაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეიმჩნევა არა მხოლოდ შეერთებულ შტატებში. იაპონიაში ფუნდამენტური კვლევის წილი საუნივერსიტეტო სკსსს-ში 55%-ზე მეტია, გერმანიაში დაახლოებით 60%-ს, ხოლო საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში, შესაბამისად, 90 და 95%-ს.

სახელმწიფო დანახარჯების მაღალი ხვედრითი წილი სკსსს დაფინანსებაზე დამახასიათებელია არა მხოლოდ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისთვის, არამედ ე.წ. საშუალო და მცირე ქვეყნებისთვისაც: ავსტრალიაში - 46,9%; დანიაში - 51,1%; საბერძნეთში - 73,7%; ნორვეგიაში - 46%; პორტუგალიაში - 62,1% [1].

წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს ახასიათებთ სამეცნიერო საქმიანობის მკაფიო დაყოფა ფუნდამენტურ კვლევებად, გამოყენებით კვლევებად და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებად. სტატისტიკური ანგარიშგება, როგორც წესი, ასახავს სკსსს-ის ხარჯებს და მათი დაფინანსების წყაროებს მკაცრად ამ სამ სფეროში. აქვე აღვნიშნავთ შემდეგ ფაქტს: აშშ-ს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესრულებული სამუშაოს ძირითადი ნაწილი ფუნდამენტური კვლევებია. სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის ამ მიმართულებით აშკარად ვლინდება მისი პერსპექტიული მიმართულება და ინტერესი სამრეწველო ინოვაციების სამეცნიერო სიახლის მიმართ.

კონსორციუმების, საინჟინრო ცენტრების, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკების და სხვა პერსპექტიული ფორმირებების შექმნა, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ რთულ ინოვაციურ იდეებს, არის ასეთი იდეების სახელმწიფო მხარდაჭერის ეფექტურობის ნათელი მაგალითი, რომლის წყალობითაც სხვადასხვა ორგანიზაციები აცნობიერებენ ინოვაციური ციკლის ერთობლივი განხორციელების აუცილებლობას და ნამდვილად გრძნობენ ამ სამუშაოს უპირატესობას. სახელმწიფო მხარდაჭერა ასეთი ორგანიზაციული წარმონაქმნების შესაქმნელად ხორციელდება ინდუსტრიულ ქვეყნებში სხვადასხვა სამთავრობო უწყებების სპეციალური პროგრამების სახით. აშშ-ში ეს არის ენერგეტიკის დეპარტამენტისა და ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნქციები.

სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის არაპირდაპირი მეთოდები მიზნად ისახავს თავად ინოვაციური პროცესების სტიმულირებას და ამავე დროს ინოვაციური საქმიანობისთვის ხელსაყრელი ზოგადი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კლიმატის შექმნას [3].

არაპირდაპირი საინოვაციო პოლიტიკის ერთ-ერთი მეთოდია საგადასახადო და ამორტიზაციის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია. ამ სახელმწიფო ინსტრუმენტის მნიშვნელობა

აღიარებულია თითქმის ყველა ინდუსტრიულ ქვეყანაში, რომელთაგან თითოეული ეძებს მოგების დაბეგვრის საკუთარ ოპტიმალურ მოდელს.

ინდუსტრიულ ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ისეთი არაპირდაპირი მეთოდები, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები, დაჩქარებული ცვეთა, საინვესტიციო ფასდაკლებები, შეღავათიანი დაკრედიტება და ა.შ. სახელმწიფოს არაპირდაპირი გავლენა სარგებლის საშუალებით უფრო მეტად დამახასიათებელია ტექნიკურად განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოებისთვის. სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის სტიმულირების ეს მეთოდი აქტიურად გამოიყენება როგორც კორპორაციებისთვის ხელსაყრელი საინვესტიციო ორიენტაციის შესაქმნელად, ასევე მათი დანახარჯების გაზრდის მიზნით სამეცნიერო და ტექნიკურ განვითარებაზე, მათი შედეგების წარმოებაში დანერგვაზე.

საწარმოო კაპიტალდაბანდებების სტიმულირების მიზნით გამოიყენება საგადასახადო შეღავათები, ასევე დაჩქარებული ამორტიზაცია. საინვესტიციო წახალისება ყველაზე ხშირად წარმოდგენილია საინვესტიციო საგადასახადო შეღავათების სახით, რომელიც გამოიქვითება ფირმის (საწარმოს) მოგებაზე დარიცხული გადასახადის ოდენობიდან.

საინვესტიციო ფასდაკლებების თანდათანობით შემოღება დაიწყო 1940-იან წლებში ინგლისში, შემდეგ, 1962 წლიდან, აშშ-ში და მოგვიანებით – იაპონიაში, კანადაში და სხვა ქვეყნებში და შემორჩენილია დღემდე. უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ტექნოლოგიაში ინვესტიციისას საგადასახადო შეღავათის მიღების უფლება, მხოლოდ მისი ექსპლუატაციაში შესვლის წელს მოდის და არა შეძენისას, რაც ასტიმულირებს მის სწრაფ დანერგვას. ეს მიდგომა დიდ ინტერესს იწვევს. ამჟამად აშშ ინარჩუნებს ფასდაკლებებს ინვესტიციებზე, ძირითადად ენერგიის დაზოგვის მიზნით, ე.ი. ფასდაკლებები ხელს უწყობს ახალი, იაფი ტიპის ენერგიის გამოყენებას, ასევე ენერგეტიკულ სექტორში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას.

თითოეულ ქვეყანაში ფასდაკლებებს აქვს საკუთარი მახასიათებლები. მაგალითად, იაპონიაში ფასდაკლება ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო ლაბორატორიების ტექნიკურ აღჭურვილობაზე ახალი ტექნოლოგიების, რობოტიკის, ელექტროტექნიკის და ა.შ. კვლევებისა და განვითარებისთვის.

დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში ფართოდ გამოიყენება დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდი, ე.ი. ტექნოლოგიურად მოწინავე დარგებში გამოყენებული ტექნოლოგიებისთვის, განსაკუთრებით კი სკსსს-ის გატარებისათვის, მაღალი ცვეთის განაკვეთების შემოღება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ზოგიერთ კომპანიას უფლება აქვს ჩამოწეროს უახლესი ტექნიკის სრული ღირებულება ექსპლუატაციის პირველ წელს.

კომპანიების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით, კანონმდებლობა იძლევა ფირმების დასაბეგრი შემოსავლიდან მიმდინარე ხარჯების გამოქვითვის საშუალებას სკსსს-ზე. ასეთი ფასდაკლება ხელს უწყობს ფირმების მხრიდან სკსსს-ზე ხარჯების ზრდას და ასევე წინასწარ განსაზღვრავს ამ ხარჯების აღრიცხვის სიზუსტეს, რაც ასევე არ შეინიშნება ჩვენი მეცნიერების მენეჯმენტის სფეროში.

გაუმჯობესების ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნებით ეკონომიკის მართვის სრულყოფის სხვადასხვა მეთოდებისა და ფორმების მიუხედავად, სათანადო და დროული ყურადღება უნდა მიექცეს საინოვაციო საქმიანობის მართვას, მისი აქტივიზაციის პრობლემებს და სწორი სტრატეგიის არჩევას. იაპონია არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ მიიყვანა დროულად მიღებულმა ინოვაციური სტრატეგიამ ქვეყანა აშკარა წარმატებამდე. მან აჩვენა ინტენსიური სამეცნიერო -ტექნიკური განვითარების უაღრესად ეფექტური მოდელი მიზნობრივი ინოვაციური პოლიტიკის ხარჯზე, რომელიც დაფუძნებულია იმპორტირებული ტექნოლოგიების შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, იაპონიაში სკსსს-ის საქმიანობა აღიქმებოდა, როგორც ტექნიკა-ტექნოლოგიური ინოვაციების პროცესის ორგანული ნაწილი, ხოლო ტექნოლოგიის შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება ისეთივე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, როგორც კაპიტალდაბანდება, ან ბაზრის სამუშაო ძალა და ორგანიზაცია.

საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო (MFTI) მთავარ როლს ასრულებს იაპონიის მრეწველობის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში, სამრეწველო სკსსს შემუშავებასა და მათ დანერგვაში. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი ახორციელებს სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის კონკრეტული მიმართულებების განხორციელებაზე კონტროლის ფუნქციებს. იაპონიის ინდუსტრიული ტექნოლოგიების ასოციაცია ასრულებს ლიცენზიების ექსპორტსა და იმპორტს. შემუშავებულია ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, ხდება გამოყენებითი კვლევების სტიმულირება და ლიცენზიების შესყიდვები საზღვარგარეთ. სამეცნიერო- ტექნიკური პროგრამების განხორციელებისას ძირითადი აქცენტი კეთდება მსხვილ კორპორაციებზე. ეროვნული თავდაცვის სამმართველოს როლი უმნიშვნელოა.

იაპონიის სახელმწიფო პოლიტიკა მიზნად ისახავს ქვეყანა გადააქციოს ლიცენზიების იმპორტიორიდან ექსპორტიორ ქვეყნად. იაპონიის გრძელვადიანი მიზანია ქვეყანა „იმიტატორიდან“ და „ნოვატორიდან“ გადაიქცეს ტექნოლოგიების შემქმნელად.

პრიორიტეტული მიმართულებებია – საინფორმაციო სისტემები, მექანოტრონიკა, ბიოტექნოლოგიები, ახალი მასალები. იაპონიის მრეწველობისა და საგარეო ვაჭრობის საერთო და დარგობრივი განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისას, საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს გააჩნია შესაბამისი სახსრებისა და მეთოდების არსენალი ამ სტრატეგიის განსახორციელებლად. ექსპორტის წარმოებისა და ექსპორტის განვითარებაზე ზემოქმედების ტრადიციული ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდების გარდა, როგორიცაა შეღავათიანი დაკრედიტება და ექსპორტის დაზღვევა, ექსპორტიორების ნაწილობრივი გათავისუფლება გადასახადებისაგან, პირდაპირი სუბსიდირება, სახელმწიფო კომპლექსური დახმარება ექსპორტიორებისთვის, დახმარება მათთვის საყოფაცხოვრებო საქმიანობაში და ა.შ. იაპონიის სამთავრობო უწყებები ფართოდ იყენებენ არაპირდაპირ მეთოდებსაც. მათ შეიძლება მივაკუთვნოდ შემდეგი:

1) კერძო ბანკების მიერ მოწოდებული ფინანსური რესურსების მიზნობრივი განაწილება და მათი კონცენტრაცია პრიორიტეტულ სექტორებში;
2) საწარმოების დახმარება მოწინავე უცხოური ტექნოლოგიების შეძენაში;
3) საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო და ტექნიკური გაცვლის კონტროლი [4].

მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის იაპონური მოდელი მოიცავს სრულიად ახალი ქალაქების - ტექნოპოლისების მშენებლობას, კონცენტრირებულია სკსსს-ზე და მეცნიერებატევად და მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიულ წარმოებაზე. ტექნოპოლისების შექმნის პროექტი, იაპონიის მთავრობის „ექვსმიზნიანი“ პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებაა იაპონიის მიერ ძლიერი ტექნოლოგიური ლიდერის პოზიციის დასაპყრობად.

ზოგადად, სახელმწიფოს მიერ ინოვაციური საქმიანობის წახალისების სისტემაში პირდაპირი ფორმები შეხამებულია ინოვაციური პროცესის ფინანსური მხარდაჭერის არაპირდაპირ ფორმებთან (საგადასახადო შეღავათები, შეღავათიანი სესხები, ფასდაკლებები, ამორტიზაციის ჩამოწერა).

შესაძლებელია გამოვყოთ დასავლური ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების შემდეგი ძირითადი ფორმები:

1. პირდაპირი დაფინანსება, რომელიც აღწევს ღირებულების 50%-ს ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შექმნაზე (აშშ, საფრანგეთი და სხვ.);
2. სესხების გაცემა, მათ შორის პროცენტის გადახდის გარეშე (შვედეთი);
3. სუბსიდიები (პრაქტიკულად ყველა ქვეყანა);
4. ფონდების შექმნა ინოვაციების დანერგვისათვის, შესაძლებელი რისკის გათვალისწინებით (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები);

5. უსასყიდლო სესხები, რომლებიც აღწევენ ინოვაციების დანერგვაზე გაწეული ხარჯების 50%-ს (გერმანია);
6. სახელმწიფო გადასახადის შემცირება ინდივიდუალურ გამოგონებებზე (ავსტრია, გერმანია, აშშ და სხვ.);
7. გადასახდელების გადახდის გადავადება ან მათგან გათავისუფლება, თუ გამოგონება ეხება ენერგიის დაზოგვას (ავსტრია);
8. ინდივიდუალური გამომგონებლების შეკვეთებზე უფასო საქმისწარმოების შემოღება, პატენტ რწმუნებულების უფასო მომსახურება, გადასახადების გადახდისგან გათავისუფლება (ნიდერლანდები, გერმანია) [6].

აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში სპეციალური კანონმდებლობა ინოვაციური საქმიანობის დაბეგვრისა არ არსებობს. თუმცა, გადასახადების, ფასდაკლებების, შეღავათების მარეგულირებელი მუხლები გათვალისწინებულია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ, ტექნოლოგიების გადაცემის შესახებ, მცირე ბიზნესის წახალისებისა და არაკომერციული ორგანიზაციების მხარდაჭერის შესახებ კანონებში.

ყველა ინდუსტრიულ ქვეყანაში სახელმწიფო ორგანოების მიერ ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების ყველა განხილული მრავალფეროვანი ფორმებისა და მეთოდებისა, მათ გააჩნიათ საერთო მახასიათებელი, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ საინოვაციო პოლიტიკა, როგორც სახელმწიფო რეგულირების სისტემის თავისებური ელემენტი.

ინდუსტრიული ქვეყნების საინოვაციო პოლიტიკის საერთო მახასიათებლებია:

1. საინოვაციო პოლიტიკის შეთანხმება სახელმწიფო პოლიტიკის ყველა სახესთან მთლიანად;
2. ხელშეწყობის არეალი;
3. ინოვაციური პროცესის თავისებურებების გათვალისწინება: მისი ციკლურობის, ეტაპობრიობის, სავარაუდო ბუნების, მაღალი ხარისხის რისკის და ა.შ.

მთლიანობაში, მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების საინოვაციო პოლიტიკა მიზნად ისახავს ინოვაციისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური კლიმატის შექმნას.

საქართველოში ტექნოლოგიური განვითარება და შესაბამისად ინოვაციები ძალიან მწირეა. საკმაოდ დაბალია მცირე და საშუალო ბიზნესს შორის ინოვაციური საქმიანობა. ბოლო ლებში კვლევა-განვითარებაზე გაწეული ხარჯები მხოლოდ 3%-ს შეადგენს, ახალი გაუმჯობესებული პროდუქტი თუ სერვისი კი მხოლოდ 8,1%-ს აქვს დანერგილი. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოში 2014 წელს შეიქმნა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის საწყისი ბიუჯეტი 25 მილიონი ლარი იყო. ამ სააგენტოს საქმიანობის შედეგად ბევრი დადებითი ნაბიჯი იქნა გადაგმული, თუმცა ინოვაციის გლობალური ინდექსის 2020 წლის შედეგების მიხედვით კონკრეტულ სფეროებში ჯერ კიდევ ძალიან დაბალია ინოვაციური განვითარების დონე.

დასკვნა

ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დღევანდელ ეტაპზე დგას უცხოური გამოცდილებისა და მისი შემოქმედებითი განვითარების შესწავლა, რათა ნებისმიერ კონკრეტულ მომენტში მიღწეულ იქნას მაქსიმალური ეფექტიანობა. ამ ამოცანის გადაწყვეტა უნდა მიმდინარეობდეს ჩვენი ეკონომიკის პირობებისა და მახასიათებლების ღრმა „სწავლებით“, რომელთა გათვალისწინების გარეშეც შეუძლებელია უცხოური გამოცდილების მექანიკური გადმოტანის გამორიცხვა.

ახლად ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მთელი რიგი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად შეიძლება დაედოს ეკონომიკური სისტემების ინოვაციური აქტივობების გაზრდის ინსტიტუციურ მექანიზმს.

1. სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთშემავსებელი მონაწილეობა ინოვაციურ პროცესებში.
2. ინოვაციური რისკების გაზიარება სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის.
3. სახელმწიფო მხარდაჭერის დეცენტრალიზებული არხების გამოყენება ინოვაციური აქტივობისთვის.
4. განვითარების ინსტიტუტების საქმიანობის ღიაობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.
5. ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის ნატურალიზაცია.
6. საწარმოთა ქსელების მხარდაჭერა.

ლიტერატურა

1. Балабанова Н.В. Мировой опыт государственного регулирования инновационных процессов. 2012. https://cyberleninka.ru/article/n/mirovoy-opyt-gosudarstvennogoregulirovaniya-innovatsionnyh-protsessov/viewer
2. Богачев Ю.С., Киселев В.Н. Механизмы стимулирования, под держки и развития инновационной деятельности. ж. „Экономика и управление“. 3, 2015.
3. Воронецкая Л. Г. Зарубежный опыт стимулирования инновационного предпринимательства. https://www.researchgate.net/publication/335928177 175
4. Жигайло В.В. Зарубежный опыт развития инновационной деятельности. https://cyberleninka.ru/article/n/zarubezhnyy-opyt-razvitiya-innovatsionnoy-deyatelnosti
5. Климова Н.В., Ларина Н.В. Зарубежный опыт стимулирования инновационной деятельности в промышленном секторе. Журнал- Фундаментальные исследования. – 2014. – № 6 (часть 7) – С. 1442-1446.
6. Текенов У.А., Дауренбекова А.Н., Текенов А.У. Зарубежный опыт регулирования инновационных процессов и его адаптация в условиях казахстанской экономики. ж. Вестник КазЭУ. Алматы. 2016.
7. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, 2016. https://www.oecd.org/eurasia/competitivenessprogramme/eastern-partners/Georgia_GEO%20(2).pdf 7. საქართველო ინოვაციების გლობალურ ინდექსში. IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. https://idfi.ge/ge/georgia_in_the_global_innovation_index

Tea Lazarashvili
Academic Doctor of Economics,
TSU Paata Gugushvili Institute of Economics
Deputy director, chief scientific specialist

Contemporary Challenges of Innovative Development

SUMMARY

Innovative development has become a necessary challenge in the conditions of modern globalization. In developed countries, state support for stimulating innovative activities is very relevant. The experience of foreign countries allows us to determine the general characteristics of innovative development, including the role of knowledge and information technology, the existence of a developed innovative infrastructure, state stimulation and support of innovative activities, creation of a favorable innovation environment, existence of a network of large corporations and small forms, innovative entrepreneurship.

The article discusses the experience of developed countries in terms of innovative development and the forms and methods of state support.

Key words: innovative development, scientific activity, modern technologies.

თამარ ლაზარიაშვილი
ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფერმერულ მეურნეობათა ეკონომიკური გამოწვევები პანდემიის შემდგომ პერიოდში

აგრარული სექტორი ოდითგანვე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში. სტატიაში შესწავლილია ფერმერული მეურნეობები საქართველოში, გამოვლენილია ამ სფეროში არსებული პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ფერმერული მეურნეობის განვითარებას. შეფასებულია რისკების შემცირების გზები, დადგენილია ფერმერთა დახმარების პროგრამებით კმაყოფილების დონის ამაღლების გზები.

გაკეთებულია დასკვნა, რომ ფერმერული მეურნეობების ეკონომიკური გამოწვევების განხორციელება შეუძლებელია აგროკრედიტის სისტემის ფორმირების, საჯარო მომსახურების სტრუქტურების შექმნის, ერთიანი ბაზრის დაუცველობის, ასევე, ეფექტიანი საგადასახადო, სადაზღვევო, საფინანსო, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების გარეშე. ფერმერულ მეურნეობებში დახმარების პროგრამების ამოქმედება გაზრდის საფინანსო ინსტიტუტების ინტერესსა და ნდობას, ფერმერისათვის ხელმისაწვდომი გახდება ფინანსური რესურსები, რაც ხელს შეუწყობს ფერმერულ მეურნეობათა სტაბილურ განვითარებას.

ფერმერულ მეურნეობათა ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *ფერმერული მეურნეობები, აგროსასურსათო პროდუქტი, ეკონომიკური გამოწვევები, აგროპროგრამა.*

საქართველოში ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და განვითარების მაგისტრალური და სტრატეგიული მიმართულებაა, მით უმეტეს, რომ ასეთი მეურნეობები მიწის რაციონალური გამოყენების საკმაოდ ეფექტიანი ფორმაა. აღნიშნულს მცირემიწიანი საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია ისიც რომ ფერმერული მეურნეობები ყოველთვის ეყრდნობა არა მარტო დაქირავებულ მუშაკებს, არამედ იყენებს სამუშაო ძალის შიგა რესურსულ პოტენციალსაც. ამასთან ფერმერების უმრავლესობა თავის სამუშო ადგილზე ცხოვრობს, შესაბამისად ძალიან ძნელია ერთმანეთისგან შრომისა და არასამუშაო დროს შორის მკვეთრი მიჯნის გავლება. ფერმერული მეურნეობების მიზნობრივი და ეფექტიანი განვითარება, აგრარული რეფორმის შესაბამისად და აგროსერვისის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დგება ისეთი მეურნეობების შექმნის საკითხი, რომლებიც შეძლებენ სასურსათო წარმოების სფეროში ეფექტიან ფუნქციონირებას. საქართველოს სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ დარგებს განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. დარგის განვითარების ტრადიციები, ამ სფეროში მოსახლეობის ცოდნა და გამოცდილება, ასევე, ქართული აგროსასურსათო პროდუქტებისა და სამზარეულოს ცნობადობა, აგროსასურსათო სექტორის ისტორიულ-ეკონომიკური საფუძვლები, ზრდის გამოკვლეული დარგების განვითარების შესაძლებლობებს (Natsvlishvili I., Kharaishvili E., Lazariashvili T., 2019).

Covid-19-ის გავრცელებამ და მისმა შედეგებმა კიდევ ერთხელ აჩვენა სასურსათო სექტორის სიძლიერის და შენარჩუნების მნიშვნელობა. საჭიროა აქცენტის გაკეთება იმ დარგების განვითრებაზე, რომლებსაც აქვთ პოტენციალი ჩაანაცვლოს იმპორტირებული პროდუქცია (ლაზარიაშვილი თ., 2022).

თუმცა, დღეს საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში დაბალია მწარმოებლურობის დონე. ფერმერების დაბალი მწარმოებლურობა განპირობებულია მათ მიერ მარკეტინგული უნარისა და ცოდნის არქონითაც. ფერმერებს ხელი არ მიუწვდებათ საჭირო სამეცნიერო და ინოვაციურ ინფორმაციაზე. ამ სფეროში ნაკლებია მარკეტინგისა და მენეჯმენტის გამოცდილება, არ ხდება რისკების სრულყოფილად შეფასება. ფერმერულ მეურნეობებში საინვენსტიციო პროექტების

რეალიზაციისას ადეკვატურად უნდა გავითვალისწინოთ ის რისკები, რომლებიც თან ახლავს საქმიანობის ამ სფეროს და რეალურად არსებობენ. ფერმერული მეურნეობების განვითარების ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად განიხილავენ იაფ, გრძელვადიან და ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსებზე წვდომის გაზრდას. პრობლემის მოგვარების მთავარ გზად კი მიჩნეულია ინოვაციებზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის მოდელის შექმნა. ცხადია, ეს, თავის მხრივ, დიდ როლს შესარულებს ფერმერული მეურნეობების განვითარებაში. მნიშვნელოვანია ინოვაციური განვითარებისა და მწარმოებლურობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენაც (Kharaishvili E., 2020). ასევე, აუცილებელია ფერმერებისათვის თანამედროვე ინოვაციური მარკეტინგული სტარტეგიების შემუშავებაში ჩართულობის გაზრდა და მონაწილეობის გააქტიურება (Kharaishvili E., Gechbaia B., Mushkudiani Z., 2019). ფერმერულ მეურნეობათა წინაშე სხვა ეკონომიკური გამოწვევებიც არსებობს, მათ შორის უნდა განვიხილოთ: სავარგულების განსახელმწიფოებრიობა, მეურნეობათა გაციფრულება და სხვა; თანამედროვე გამოწვევების ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაკოტრების პრობლემის გადაჭრა. პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა ფერმერულ მეურნეობათა დახმარების პროგრამების ამოქმედება. პროგრამები წარმოადგენს მასტიმულირებელ ძალას ადგილობრივი ფერმერებისათვის შექმნან კოოპერატივი, ისევე როგორც საერთაშორისო პროგრამების საგრანტო კომპონენტები. შესაძლოა ასეთი სარგებლის მიღების მიზნით გაერთიანება არ იყოს საუკეთესო მეთოდი კოოპერირების ხელშეწყობისათვის, თუმცა, მნიშვნელოვანია, გახორციელდეს პროგრამების კონკრეტულ ინდიკატორებზე დაფუძნებული გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარება, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც არარსებული გამოწვევები, ასევეგანისაზღვრება სტრატეგიული მიზნები. აღსანიშნავია, რომ ფერმერებს ხშირად უჭირთ საერთაშორისო და სახელმწიფო პროგრამების გარჩევა (AYEG, 2017). ამასთან, ხშირად ვერ ახდენენ კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი სხვა სახელმწიფო პროგრამების განსხვავებას. ეს სავარაუდოდ გამოწვეულია იმ ფაქტორით, რომ ყველა მხარის მიერ შეთავსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას ისინი იღებენ ადგილობრივი საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურებიდან. რა თქმა უნდა, ეს გარემოება, თავისთავად, განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა, რიგ შემთხვევებში თუნდაც დამოკიდებულებებისა და სწორი შეფასებებისათვის, უკეთესი იქნებოდა თუ ფერმერებს უფრო ნათელი წარმოდგენა ექნებათ რომელი ინიციატივა რომელი სააგენტოს მიერ ხორციელდება. ამ თვალსაზრით იკვეთება მნიშვნელოვანი შესაძლებლობაც. დღის წესრიგში უნდა დადგეს აღნიშნული სამსახურების გაძლიერება როგორც ადამიანისეული რესურსების რაოდენობის, ასევე, მიწოდებული სერვისებისა და ინფორმაციის ხარისხის ამაღლების კუთხით. განვითარებული ფერმერული მეურნეობები უზრუნველყოფს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებას. ეს უკანასკნელი საკითხი კომპლექსურია და მრავალი მომიჯნავე საკითხის გადაჭრასთან არის დაკავშირებული. ამასთან, ფერმერული მურნეობების განვითარებისა და მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის მისაღწევად დიდი როლი ენიჭება აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრებზე არსებული კონკურენციის გამოწვევების შესწავლას (Kharaishvili E., Gechbaia B., Mamuladze G., 2018).

მსხვილი ფერმერული მეურნეობების ფინანსური სიძლიერე ამარტივებს თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობას. მათთვის უფრო მომგებიანია მეურნეობის ავტომატიზაცია და მიწის დასამუშავებლად თუ მოსავლის ასაღებად საჭირო მოწყობილობების საზღვარგარეთ შესყიდვაც არ წარმოადგენს მნიშვნლოვან დაბრკოლებას. შესაბამისად, მსხვილი მეურნეობები ახერხებენ მასშტაბიდან სარგებლის მიღებას, კულტივირების ახალი ტექნოლოგიების ათვისებას და მეურნეობის უკეთესი პრაქტიკის დანერგვას, რაც განაპირობებს მათ კონკურენტულ უპირატესობას მცირე თუ მიკრო მეურნეობებთან შედარებით (საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, 2020).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში საექსპორტო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაა, ამავდროულად, მნიშვნელოვანია უკვე ათვისებულ

ბაზარზე პოზიციების აღდგენა და თავისთავად, ახალი ბაზრების მოძიებაც. ქართულმა სასოფლოსამეურნეო პროდუქციამ პოპულარობა, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი, უცხოეთში უნდა მოიპოვოს (Erkomaishvili G., Kobalava M., Lazariashvili T., Saghareishvili M., 2017).

საქართველოსთვის არსებული სასურსათო ბაზრებიდან აღსანიშნავია ღვინის უალკოჰოლო და სპირტიანი სასმელების ბაზარი, ეს პროდუქცია შედის სხვადასხვა ქვეყანაში: საფრანგეთი, ნიდერლანდები, ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, ასევე უნდა გამოვყოთ დსთ-ს ქვეყნები: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი და სომხეთი. ასევე, საქართველოსთვის მნიშნელოვანია თხილის და კაკალის წარმოება, რომლის ექსპორტიც შემდეგ ქვეყნებში ხდება :გერმანია, იტალია, ჩეხეთი, ესპანეთი, უკრაინა და რუსეთი.

2020 წლის მონაცემებით საქართველოდან ექსპორტირებულია 942,2 მლნ აშშ დოლარის აგროსასურსათო პროდუქცია, ეს მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელს აღემატება 6%-ით. ყველაზე დიდი პროცენტული წილი ექსპორტირებული საქონლისა არის ღვინო - 22%, ასევეა, სპირტიანი სასმელებიც - 14%, ქვეყნისათვის დიდი სიმდიდრეა ასევე, მინერალური წყალი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს და ექსპორტირებული საქონლის 12%-ს სწორედ ის იკავებს. რაც შეეხება სიგარეტს, მას მხოლოდ 3% უჭირავს. 2020 წელს ამ პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა 92 ქვეყანაში და საკმაოდ წარმატებულად, რადგან წინა წლის მონაცემებთან შედარებით 10% არის გაზრდილი ექსპორტის მოცულობა CITATION Placeholder3 \l 1079 (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2021) .

სოფლის მეურნეობა გამოწვევებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე დარგია, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ერთობლივი ძალისხმევა და მხარდაჭერა მომხმარებლების, მწარმოებლების, ფერმერების, მეცნიერებისა თუ სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა, მაინც აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი წვლილის შეტანა სახელმწიფოს შეუძლია. საქართველოს მცირე ბაზარი აქვს, მოსახლეობის ნახევარი კი საქართველოში სოფლად ცხოვრობს, თუმცა, მისი წილი მშპ-ში მაინც მცირეა და შიდა მოთხოვნასაც ვერ აკმაყოფილებს (შეყელაშვილი მ., 2022).

ერთ-ერთი გამოწვევაა კერძო სექტორიდან ინიციატივების ნაკლებობა. ფერმერებს არ გააჩნიათ მოტივაცია იმისა, რომ პროდუქცია გაიტანონ ევროპულ ბაზარზე, შესაბამისად, არ ფიქრობენ დანერგონ ევროპული სტანდარტები საკუთარ წარმოებაში, ეს კი თავისთავად, ხელის შემშლელი ფაქტორია (ლაბარტყავა თ., 2018).

მორიგი გამოწვევაა ცოდნისა და პროფესიონალიზმის ნაკლებობა, აგროსასურსათო სფეროში ბოლო პერიოდში უამრავი სიახლე დაინერგა, ხდება წარმოება ახლებური ტექნოლოგიებით, ამის ფონზე კი საქართველო ჩამორჩება განვითარების ტემპებს, რადგან არ ხდება ფერმერების გადამზადება და საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ეს ყველაფერი კი მნიშნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესში. ფერმერების უმეტესობა ორიენტირებულია მოკლევადიან პერიოდზე, რაც სამომავლოდ ხელს შეუშლის ამ ბიზნესის განვითარებას. საჭიროა ფერმერების დაინტერესება გრძელვადიან პერსპექტივებზე, რადგან აგროსასურსათო ბიზნესი სწრაფად მზარდია და დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკისთვის. სასურსათო კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ გზად ფერმერული მეურნეობების განვითარება მიგვაჩნია, ამ ეტაპზე მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ჩამოყალიბებისათვის ეკონომიკური, სოციალური, თუ სამართლებრივი საფუძვლების შექმნას სახელმწიფოებრვი მნიშვნელობა ენიჭება. მნიშვნელოვანია კოოპერატივების შექმნაც. ფერმერებს და კოოპერატივებს შორის ურთიერთობა ნებაყოფლობით, ხელშეკრულების საფუძველზე ყალიბდება. იგი ერთიანი, უწყვეტი კონვეირული ტექნოლოგიით ხორციელდება და ყოველმხრივ უზრუნველყოფს მის მონაწილე ყველა სუბიექტის მაღალრენტაბელური განვითარების ხელშეწყობას. ამ ურთიერთობის პირობებში ფერმერები სრულად ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას და ამასთან შენარჩუნებულია მათი მატერიალური დაინტერესების მაღალი ხარისხი.

ამრიგად, ფერმერული მეურნეობის განვითარებას დიდი პოტენციალი აქვს. დარგის განვითარების ტრადიციები, ამ სფეროში მოსახლეობის ცოდნა და გამოცდილება, ასევე, ქართული აგროსასურსათო სექტორის ისტორიულ-ეკონომიკური საფუძვლები, ზრდის ფერმერული მეურნეობების განვითარების შესაძლებლობებს.

ლიტერატურა

1. ლაბარტყავა თ. (2018), "საქართველოში GLOBALG.A.P.-ის დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევები". https://www.globalgap.org/export/sites/default/.content/.galleries/Pictures/TOUR2018/TOUR_2018_Georgia_Presentations/6-Challenges-T.Labartkava.pdf
2. ლაზარიაშვილი თ. (2022), „აგროსასურსათო წარმოების განვითარების შესაძლებლობები პოსტ-პანდემიურ პირობებში". IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები", 9 სექტემბერი, გორი
3. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია (2020), „აგრარული მეურნეობა, გამოწვევები და შესაძლებლობები", თბილისი, გვ.11
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2021)
5. საქსტატი (2020), სოფლის მეურნეობა. ლინკი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/-196/soflis-meurneoba
6. შეყლაშვილი მ. (2022), „აგრობიზნესი ,საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი", ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა", ლინკი: https://geoeconomics.ge/?p=14428&fbclid=IwAR3oAK57NaEt52MTWCRDuhcTjd5thss_wE_3zV8xBGwB2eTCzG_h0oKISV8
7. AYEG (2017), "საქართველოში ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება ფერმერთა საჭიროებების ჭრილში". ლინკი: http://www.economists.ge/storage/uploads/publication/171218034712c435.pdf
8. Erkomaishvili G., Kobalava M., Lazariashvili T., Saghareishvili M. (2017), 'Consumer Market of Agricultural Products andAgricultural Policy in Georgia', International Journal of Economics and Management Engineering. Vol:11, No:10, 2017. Barcelona, Spain, 2017, Waset.org 19th Interntional Conference on Economics, Business and Marketing Management. Barcelona, Spain, October, pp. 30-31
9. Natsvlishvili I., Kharaishvili E., Lazariashvili T. (2019), 'Impact of agro tourism on economic development of related sectors in the context of sustainable well-being (case of Georgia)'. Int. J. Markets and Business Systems
10. Kharaishvili E., Gechbaia B., Mamuladze G. (2018). 'Vegetable Market: Competitive Advantages Of Georgian Product And Competition Challenges. Innovative Marketing', 14(3), 8-16. doi: http://dx.doi.org/10.21511/im.14(3)
11. Kharaishvili E., Gechbaia B., Mushkudiani Z. (2019). The trends of producing agro-food products and export innovative marketing strategy in Georgia. Economics. Ecology. Socium, N3(3), 1-10. Retrieved from https://ees-journal.com/index.php/journal/article/view/107
12. Kharaishvili, E. (2020). Innovations for Increasing Productivity in Agriculture and Ensuring Food Security (the case of Georgia). Стратегічні імперативи сучасного менеджменту: Зб. Матеріалів V, Міжнародної науково-практичної конференції

Tamar Lazariashvili
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Economic Challenges Facing Farms in the Post-Pandemic Era

SUMMARY

Agriculture has always played an important role in feeding the country's population. The article examines farms in Georgia and identifies problems in this area that prevent the development of agriculture. Opportunities to reduce risk were assessed, ways to increase satisfaction with farmer support programs were identified.

It is concluded that the implementation of the economic challenges of agricultural holdings is impossible without the formation of the agricultural credit system, the creation of public service structures, the uncertainty of the national market, as well as the development and implementation of an effective tax, insurance, financial system , and investment policy . The implementation of aid programs in agriculture will increase the interest and confidence of financial institutions, farmers will be provided with financial resources that will contribute to the stable development of farms.

Based on the analysis of companies, conclusions are drawn about the problems in this area and recommendations for their solution are given.

მარინა მაისურაძე
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ ვარდიაშვილი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგარანტიო მომსახურების აღრიცხვის საკითხები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორსო სტანდარტების მიხედვით

კომპლექსური პროდუქციის (ტრანსპორტი, აღჭურვილობა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა) მწარმოებლები მყიდველებს თავიანთ პროდუქციას გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხარისხის გარანტიით აწვდიან. გარდა ამისა, მწარმოებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი პროდუქციის დამატებითი ტექნიკური მომსახურება. ორივე შემთხვევაში გამყიდველი იღებს ვალდებულებას შეაკეთოს ან შეცვალოს დეფექტური პროდუქტი. ეს არის გამყიდველის საგარანტიო ვალდებულებები გაყიდულ საქონელთან მიმართებაში. სტატიაში წარმოდგენილია აღნიშნული საგარანტიო ვალდებულებების აღრიცხვის საკითხები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: *საგარანტიო ვალდებულებები, ხარისხის გარანტია, მარწმუნებლის გარანტია, სერვისის ტიპის გარანტია.*

ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“, შემოღებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ამონაგების აღიარების წესი გრძელვადიან პერიოდში სამუშაოს მიმდინარეობისას. (მ. ვარდიაშვილი, მ. მაისურაძე, ხ. ჩიტაძე, 2022)

„ფასს 15 სხვადასხვა კონტრაქტებისთვის უნივერსალური კრიტერიუმების შემოტანით, უფრო ფართოდ განიხილავს და მეტად აკონკრეტებს ამონაგების აღიარების და შეფასების ყველა შესაძლო ვარიანტს“, რომელიც არსებულ სტანდარტებთან შედარებით უფრო ზუსტი და თანმიმდევრულია. (Vardiashvili Maisuradze, 2017)

ფასს 15-ის მიხედვით მნიშვნელოვნად შეიცვალა ამონაგების აღიარების წესი. ისეთი კონტრაქტებიდან, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა შესრულდეს, ამონაგების შეფასება და აღიარება, დამოკიდებულია შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხარისხზე. (Sabauri, Vardiashvili, Maisuradze 2022)

საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს გარკვეულ ხარვეზს,(გაუმართაობას). ასეთ შემთხვევაში გამყიდველის (მწარმოებლის) ვალდებულებები (გარანტია) პროდუქციის (საქონლის, მომსახურების) გაუმართაობის აღმოსაფხვრელად შეიძლება განისაზღვროს კანონმდებლობით ან მყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულებით. ასეთი სახის გარანტია აფართოებს გამყიდველის ვალდებულებებს პროდუქციის მყიდველზე კონტროლის გადაცემის გარეშე, გარანტია შეიძლება შედიოდეს მთლიან შესყიდვის ფასში ან ცალკე შეძენილი იყოს როგორც არასავალდებულო პროდუქტი. მყიდველი მოითხოვს მისგან მზადყოფნას შეაკეთოს ან შეცვალოს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გარანტირებული პროდუქტი. მოცემულ შემთხვევაში შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხარისხის შეფასება არის ამონაგების აღიარების საფუძველი. (Sabauri, Vardiashvili, Maisuradze 2022)

საგარანტიო მომსახურების აღრიცხვის საკითხები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორსო სტანდარტების მიხედვით

მიუხედავად იმისა, რომ გარანტიის ბუნება შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დარგების ან მომსახურების სახეების და კონტრაქტის მიხედვით, აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს-ის მიხედვით არსებობს ორი ტიპის საგარანტიო ვალდებულება:

- პირველი - ისეთი საგარანტიო ვალდებულებებია, რომლითაც მიმწოდებლები (მწარმოებლები) პირდებიან მყიდველს, რომ მიწოდებული პროდუქტი **რეალიზაციის** დროს დეფექტებისგან თავისუფალი იქნება. სინამდვილეში, ეს არის მყიდველის დაზღვევა საწარმოო დეფექტისგან. თუმცა, ამ დაპირებით მიმწოდებელი მყიდველს არანაირ დამატებით მომსახურებას არ უწევს. მწარმოებელი კომპანია იღებს ვალდებულებას გამოასწოროს პროდუქციის ხარვეზი, რომელიც წარმოების პროცესში წარმოიქმნა, მაგრამ აღმოჩენილი იქნა პროდუქტის გაყიდვის შემდეგ. საწარმომ ამ ტიპის გარანტია უნდა აღრიცხოს ბასს 37 - ის - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების“ შესაბამისად. თუ გარანტია ან გარანტიის ნაწილი არ წარმოადგენს მომსახურების გაწევას იმის დასაზღვევად, რომ გადაცემული საქონელი აკმაყოფილებს წინასწარ შეთანხმებულ სპეციფიკაციებს, ამ ტიპის გარანტიისთვის გამოიყენება ტერმინი „მარწმუნების ტიპის გარანტია“.

მაგალითად, კომპანია ყიდის საწარმოო აღჭურვილობას ექვსთვიანი საგარანტიო ვადით. გარანტიის პირობების თანახმად, კომპანია ვალდებულია გამოასწოროს, აღმოჩენილი წარმოების ხარვეზები შეკეთებით ან შეცვლით, მიწოდების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში. აღჭურვილობის ერთი ერთეულის ღირებულება 30,000 ლარია. წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი დეფექტების გამოსასწორებლად მას 1,000 ლარი დაუჯდება.

ბასს 37-ის გამოყენებით, გამყიდველი კომპანია წინასწარ აფასებს შესაძლო ხარჯებს, რომლებიც წარმოიქმნება წარმოების დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში და მას აღიარებს ხარჯად, რაც შეეხება გაყიდვიდან მიღებულ ყველა შემოსავალს აღიარებს დაუყოვნებლივ, აღჭურვილობის გაყიდვის მთელი მოგება (მარჟა) ფორმირდება პროდუქციის გაყიდვის დროს.

აღჭურვილობის შეკეთების ან გამოცვლის ხარჯები ჩამოიწერება პირობითი ვალდებულებიდან მათი გაწევის დროს, ხოლო თუ ფაქტიურად გაწეული ხარჯები აღემატება შექმნილი პირობითი ვალდებულების (რეზერვის) თანხას, მაშინ ზედმეტი თანხა აღიარდება ხარჯად.

განუსაზღვრელობებისადმი, რომლებიც თან ახლავს ანარიცხად ასაღიარებელ თანხას, სხვადასხვა პირობის გათვალისწინებით, არსებობს განსხვავებული სახის მიდგომა. როდესაც შესაფასებელი ანარიცხი მოიცავს მუხლების დიდ რაოდენობას, ვალდებულება ფასდება ყველა შესაძლო შედეგისა და მათი ალბათობების შეწონვით. შეფასების აღნიშნულ სტატისტიკურ მეთოდს ეწოდება „მათემატიკური ლოდინი“. აქედან გამომდინარე, ანარიცხის ოდენობა განსხვავებული იქნება იმისდა მიხედვით, თუ რა არის მოცემული თანხის დაკარგვის ალბათობა, მაგალითად 60% ან 90%. როდესაც არსებობს შესაძლო შედეგების უწყვეტი დიაპაზონი და ყოველი შედეგის მიღების ალბათობა თანაბარია, გამოიყენება აღნიშნული დიაპაზონის შუა წერტილი. (ბასს 37, მ.39)

ცალკეული ვალდებულების შეფასებისას, ყველაზე მოსალოდნელი შედეგი შესაძლოა წარმოადგენდეს ვალდებულების საუკეთესო შეფასებას. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც კი, საწარმო განიხილავს სხვა შესაძლო შედეგებს. თუ სხვა შესაძლო შედეგები, უმეტესწილად, მეტია ან მცირეა ყველაზე მოსალოდნელ შედეგზე, საუკეთესო შეფასება იქნება უმეტესი ან უმცირესი თანხა. მაგალითად, თუ საწარმო ვალდებულია გამოასწოროს მომხმარებლისათვის აშენებული ქარხნის მნიშვნელოვანი წუნი, ამ ვალდებულების შეფასების ყველაზე მოსალოდნელი შედეგი იქნება 1,000 ფულადი ერთეული, რომელიც საჭიროა პირველი მცდელობით წუნის აღმოფხვრისათვის, მაგრამ ანარიცხის აღიარება მოხდება გაცილებით მეტი თანხით იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დამატებითი სამუშაოების ჩატარების საჭიროების მნიშვნელოვანი ალბათობა.(ბასს 37,მ 40)

მეორე ტიპის გარანტია ისეთი გარანტიაა, როდესაც გამყიდველი გარანტიას იძლევა, რომ ის შეაკეთებს პროდუქტს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუ მისი გამოყენების დროს მოხდება პროდუქტის გაუმართაობა. ამ შემთხვევაში გარანტია წარმოშობს შესასრულე-

ბელ ცალკეულ ვალდებულებას, ამიტომ ამ ტიპის გარანტიის აღრიცხვისთვის გამოყენებული უნდა იქნას ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“. ამ ტიპის გარანტიისთვის გამოიყენება ტერმინი „service-type warranty“ – „სერვისის ტიპის გარანტია“.

თუ გარანტია ან გარანტიის ნაწილი, უზრუნველყოფს მომხმარებელს დამატებითი მომსახურებით, რაც დაკავშირებულია იმის რწმუნებასთან, რომ გადაცემული საქონელი აკმაყოფილებს წინასწარ შეთანხმებულ სპეციფიკაციებს, მაშინ დაპირებული მომსახურება წარმოადგენს შესასრულებელი ვალდებულების ნაწილს. გამომდინარე აქედან, საწარმომ უნდა გადაანაწილოს და მიაკუთვნოს გარიგების ფასი საქონელზე და მომსახურებაზე. თუ საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ორივე ტიპის გარანტიას, დაზღვევის და მომსახურების გაწევის ტიპის გარანტიებს, მაგრამ არ შეუძლია განცალკევებულად მათი გონივრულად აღრიცხვა, მაშინ საწარმომ ორივე ტიპის გარანტია უნდა განიხილოს როგორც ერთი ვალდებულება და აღრიცხოს შესაბამისად.

პროდუქტის მყიდველისთვის გადაცემის შემდეგ, გამყიდველს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს საგარანტიო მომსახურება (ანუ მზად იყოს პროდუქტის შეკეთების ან გამოცვლისთვის). ხარისხის უზრუნველყოფისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, მოვლენა, რომელზეც დამოკიდებულია რესურსების საბოლოო გადინება, არის მომავალი მოვლენა, დაზიანება მოხდა გაყიდვის შემდეგ.

თუ მომხმარებელს არ გააჩნია გარანტიის ცალკე შეძენის უფლება, საწარმომ გარანტია უნდა ასახოს ბასს 37-ის - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ - შესაბამისად, ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც დაპირებული გარანტია, ან დაპირებული გარანტიის ნაწილი, მომხმარებელს გარკვეული მომსახურებითაც უზრუნველყოფს, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფს რწმუნებით იმის შესახებ, რომ პროდუქტი შეთანხმებულ სპეციფიკაციებს შეესაბამება. (ფასს 15, ბ30)

მაგალითად, კომპანია ყიდის სამრეწველო სამაცივრო აღჭურვილობას. მიწოდების ხელშეკრულებასთან ერთად კომპანია მყიდველს სთავაზობს ტექნიკურ მომსახურებას. მომსახურების ხელშეკრულების პირობების მიხედვით, კომპანია ვალდებულია, მიწოდების დღიდან ორი წლის განმავლობაში შეაკეთოს დაზიანებული (დეფექტური) აღჭურვილობა ან შეცვალოს ანალოგიურით. აღჭურვილობის ღირებულება 40,000 ლარია, აღჭურვილობის ღირებულება ტექნიკური მომსახურებით 45,000 ლარი. მომხმარებელს შეუძლია დადოს ცალკე ტექნიკური მომსახურების ხელშეკრულება 5,000 ლარია.

თუ მომხმარებელს გარანტიის ცალკე შეძენის უფლება აქვს (მაგალითად, იმის გამო, რომ გარანტიის ფასი ცალკე დგინდება, ან გარანტიის პირობების შეთანხმება ინდივიდუალურად ხდება), გარანტია განსხვავებულ მომსახურებად მიიჩნევა, რადგან საწარმო მომხმარებელს მომსახურების გაწევასაც ჰპირდება ისეთი პროდუქციის გადაცემასთან ერთად, რომელსაც ხელშეკრულებაში აღწერილი ფუნქციური მახასიათებლები გააჩნია. ასეთ სიტუაციაში, საწარმომ დაპირებული გარანტია ფასს 15-ის (22-30-პუნქტების) შესაბამისად ცალკე უნდა ასახოს, როგორც შესასრულებელი ვალდებულება და გარიგების ფასის ნაწილი მიაკუთვნოს ამგვარ შესასრულებელ ვალდებულებას. (პ73-86-ე)

აღჭურვილობის გაყიდვის დროს უნდა აღიარდეს:

- ✓ ფულადი საშუალებები ან დებიტორული დავალეანება 45,000 ლარი;
- ✓ მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება 5,000 ლარი;
- ✓ გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი 40,000 ლარი.

შემდგომ, ამისა, ორი წლის განმავლობაში აღიარებული იქნება შემოსავალი ტექნიკური მომსახურების გაწევიდან. მაგალითად, პირველი წლისთვის, 2,500 ლარი შემოსავალი იქნება აღიარებული.

ამრიგად, (მაგალითი 1-ისგან განსხვავებით), ამ შემთხვევაში, გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი აღიარებულია არა გაყიდვის დროს, არამედ მომავალ პერიოდებში. შესაბამისად, გაყიდვიდან მიღებული მოგების (მარჟა) ნაწილი ასევე აისახება მომავალ პერიოდებში.

გავრცელებული პრაქტიკაა, როდესაც საწარმო (ხელშეკრულების, საკანონმდებლო აქტების, ან საწარმოს მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) გარანტიას გასცემს გაყიდულ პროდუქციასთან დაკავშირებით (საქონელი იქნება ეს თუ მომსახურება). გარანტიის ხასიათი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დარგებისა და ხელშეკრულებების სპეციფიკის მიხედვით. ზოგიერთი სახის გარანტია მომხმარებელს უზრუნველყოფს რწმუნებით, რომ მოცემული პროდუქტი ისე იმუშავებს, როგორც მხარეებს ჰქონდათ განსაზღვრული, რადგან შეესაბამება შეთანხმებულ სპეციფიკაციებს. სხვა გარანტიების შემთხვევაში, საწარმო ზემოაღნიშნული რწმუნების გარდა იმის თაობაზე, რომ პროდუქტი შეთანხმებულ სპეციფიკაციებს შეესაბამება, მომხმარებელს გარკვეულ მომსახურებასაც უწევს. (ფასს 15,პ ბ 28)

თუ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა ცალკე შეიძინოს გარანტია, მაშინ გარანტია წარმოადგენს განცალკევებულ მომსახურებას, რადგან საწარმო მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების გაწევას კონტრაქტით განსაზღვრულ ფუნქციონალურ პროდუქტზე დამატებით.

თუ გარანტია, ან გარანტიის ნაწილი ითვალისწინებს მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევასაც, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფს რწმუნებით იმის შესახებ, რომ პროდუქტი შეთანხმებულ სპეციფიკაციებს შეესაბამება, დაპირებული მომსახურება მიიჩნევა შესასრულებელ ვალდებულებად. ამგვარად, საწარმომ გარიგების ფასი უნდა გაანაწილოს პროდუქტზეც და მომსახურებაზეც. თუ საწარმო მომხმარებელს ჰპირდება როგორც რწმუნების (შესაბამისობის) ტიპის გარანტიას, ასევე მომსახურების ტიპის გარანტიას, მაგრამ დასაბუთებული საფუძვლით არ შეუძლია მათი ცალ-ცალკე აღრიცხვა, საწარმომ ორივე გარანტია ერთად უნდა ასახოს, როგორც ერთი შესასრულებელი ვალდებულება.

საწარმოში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ ოპერაციებს, რომელშიც აუცილებელია გამოიყენოთ როგორც ბასს 37, ასევე ფასს 15.

მაგალითად, კომპანია აწარმოებს და ყიდის კომპიუტერებს, რომლებსაც გააჩნიათ 90-დღიანი ხარისხის გარანტია. კომპანია ასევე სთავაზობს არასავალდებულო გაფართოებული მომსახურების გეგმას, რომლის მიხედვითაც იგი შეაკეთებს ან შეცვლის ნებისმიერ დეფექტურ ნაწილს 90-დღიანი გარანტიის ვადის ამოწურვიდან სამი წლის განმავლობაში. ვინაიდან გაფართოებული მომსახურების გეგმა ცალკე იყიდება, ეს ცალკე სერვისია.

ერთი კომპიუტერის გაყიდვისა და გაფართოებული გარანტიის ტრანზაქციის ჯამური ფასია 4,000 ლარი, ამავდროულად კომპიუტერის ცალკე გაყიდვისა და გაფართოებული გარანტიის ფასი შესაბამისად 3,500 და 500 ლარია. კომპიუტერის დამზადების ღირებულებაა 2,200 ლარი. კომპანიის გამოცდილებიდან გამომდინარე, კომპანია თვლის, რომ 90-დღიანი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილი დეფექტების გამოსასწორებლად დაუჯდება 100 ლარი.

ამ შემთხვევაში, ფასს 15-ის ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, გამოყენებისას, საწარმო აუცილებელად აღიარებს:

- ✓ ფულად სახსრებს ან სავაჭრო მოთხოვნები - 4,000 ლარი;
- ✓ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება — 500 ლარი;
- ✓ შემოსავალი რეალიზაციიდან - 3,500 ლარი.

ამავდროულად, აუცილებელია ბასს 37-ის შესაბამისად აღიარდეს საგარანტიო მომსახურების ხარჯები და საგარანტიო ვალდებულება (რეზერვი) 100 ლარი.

ვთქვათ, მომხმარებელმა წარუდგინა საგარანტიო პრეტენზია 300 ლარის ოდენობით. კომპანიამ უნდა გააანალიზოს თითოეული პრეტენზია, რათა დადგინდეს, თუ რა სახის გარანტიას ეხება მოთხოვნა. სარემონტო ხარჯები მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად 90-დღიანი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში დაიფარება საგარანტიო ვალდებულებიდან (რეზერვი), რაც 100 ლარს შეადგენს.

მომხმარებელთა პრეტენზიების ნაწილი, რომელთა შეკეთება და სათადარიგო ნაწილების ღირებულება 200 ლარია, დაფარულია „გაფართოებული სერვისის“ (ანუ საგარანტიო მომსახურება) გეგმით.

როდესაც საწარმო აანალიზებს, გარანტია მომხმარებელს გარკვეული მომსახურებითაც უზრუნველყოფს თუ არა, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფს რწმუნებით იმის შესახებ, რომ პროდუქტი შეთანხმებულ სპეციფიკაციებს შეესაბამება, მან უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

ა) გარანტიის გაცემა მოითხოვება თუ არა კანონმდებლობით - როდესაც საწარმოს კანონმდებლობა ავალდებულებს გარანტიის გაცემას, ამგვარი კანონმდებლობის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ დაპირებული გარანტია არ არის შესასრულებელი ვალდებულება, რადგან ამგვარი მოთხოვნები, საზოგადოდ, წუნდებული პროდუქციის შეძენისგან მომხმარებლების დასაცავად გამოიყენება;

ბ) საგარანტიო პერიოდის ხანგრძლივობა - რაც უფრო ხანგრძლივია საგარანტიო პერიოდი, უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ დაპირებული გარანტია შესასრულებელი ვალდებულება იქნება, რადგან უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ საწარმო მომხმარებელს მომსახურებასაც უწევს იმასთან ერთად, რომ უზრუნველყოფს მას რწმუნებით იმის შესახებ, რომ პროდუქცია შეთანხმებულ სპეციფიკაციებს შეესაბამება;

გ) სამუშაოს ხასიათი, რომლის განხორციელებასაც საწარმო მომხმარებელს ჰპირდება - როდესაც აუცილებელია, საწარმომ გარკვეული სამუშაო შეასრულოს იმისათვის, რომ მომხმარებელი უზრუნველყოს რწმუნებით იმის თაობაზე, რომ პროდუქცია შეთანხმებულ სპეციფიკაციებს შეესაბამება (მაგალითად, წუნდებული პროდუქციის დაბრუნების ტრანსპორტირების მომსახურება), მაშინ ამგვარი სამუშაო, სავარაუდოდ, არ წარმოქმნის შესასრულებელ ვალდებულებას. (ფასს 15)

ლიტერატურა

1. მაისურაძე მ., ვარდიაშვილი მ. (2016). ამონაგებთან დაკავშირებული კონტრაქტების აღრიცხვის საკითხები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; http://eprints.tsu.ge/988/
2. კვატაშიძე ნ., გოგრიჭიანი ზ. (2016). შემოსავლების აღიარების ახალი მოდელი - ფასს 15 ამონაგები კონტრაქტებიდან, http://eprints.tsu.ge/932/
3. ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ (2020)
4. https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/604
5. ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“, (2020) https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/580
6. ვარდიაშვილი მ. მაისურაძე მ. ჩიტაძე ხ. ფასს 15-ის გავლენის ანალიზი სამშენებლო კონტრაქტებიდან ამონაგების აღიარებაზე (2022) https://tsu.ge/assets/media/files/7/
7. Vardiashvili M., Maisuradze M. (2017) ON RECOGNITION AND MEASUREMENT OF THE REVENUES ACCORDING TO IFRS 15; https://www.researchgate.net/publication /319644520
8. Kvatashidze, N., Gogrichiani, Z., (2016) შემოსავლების აღიარების ახალი მოდელი - ფასს 15 ამონაგები კონტრაქტებიდან New model of revenues recognition - IFRS 15 revenue from contracts with customers; http://eprints.tsu.ge/932
9. Sabauri l., Vardiashvili M., Maisuradze M.(2022) Methods for Measurement of Progress of Performance Obligation under IFRS 15; Ecoforum; http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/issue/view/31
10. IFRS 15 for the construction industry – Multiple contracts that should be combined; (2018) https://www.bdo.com
11. Сресели Н., Сресели Р. НОВЫЙ СТАНДАРТ ПРИЗНАНИЯ ДОХОДОВ – ИЗМЕНЕНИЯ,ВЫЗОВЫ, НОВШЕСТВА; 2016. pp 148-154, https://www.researchgate.net/publication/321105489

Marina Maisuradze
Associate Professor
Ivane avakhishvili Tbilisi State University

Mariam Vardiashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Warranty Service Accounting Issues according to International Financial Reporting Standards

SUMMARY

Thus, in order to account quality guarantee during the **sale** of the supplied product, enterprises shall use IAS 37 – " Provisions, Contingent Liabilities and Contingent Assets", while in order to eliminate defects arising during **use**, IFRS 15 "Revenue from Contracts with Customers" shall be used.

ელგუჯა მექვაბიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ახალი ფინანსური რეალობის“ (სისტემის) შესაძლებლობები და გამოწვევები პოსტპანდემიურ პერიოდში

სტატიაში განხილულია პოსტპანდემიური პერიოდის ეკონომიკაში ჩამოყალიბებული „ახალი ფინანსური ხელობა“(სისტემა). აღნიშნულია, რომ იგი წარმოადგენს როგორც კორონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისული განვითარების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე ხელგრძელების მექანიზმს, ისე პოსტინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკაში განხორციელებული სიღრმისეული სტრუქტურული ძვრების ლოგიკურ შედეგს. დახასიათებულია „ახალი ფინანსური ხელობის“ შემადგენელი ელემენტები: სახელმწიფოს დავალიანებისა და შესაბამისად ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა, ჭარბი ფულადი ემისია და დაბალი საპროცენტო განაკვეთები. „ახალი ფინანსური ხელობის“ თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლის სახით წარმოდგენილია თანამედროვე მონეტარული თეორია (MMT) და ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ოთივე ამ ფენომენის წინა პლანზე წამოწევა მოასწავებს მნიშვნელოვან ცვლილებას ეკონომიკური თეორიის პარადიგმაში გადასვლას ნეოლიბერალურ-ნეოკლასიკური თეორიიდან განახლებულ კეინზიანურ თეორიაზე. დახასიათებულია ახალ ფინანსურ ხელობასთან დაკავშირებული ისეთი საფრთხეები, როგორიცაა ინფლაციის ზრდა და „დიდი სახელმწიფოს“ დოქტრინის აღორძინების შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები: *ახალი ფინანსური ხელობა, თანამედროვე მონეტარული თეორია (MMT), დაბალი საპროცენტო განაკვეთები, ინფლაცია, „დიდი სახელმწიფოს“ დოქტრინა.*

2022 წელი ისტორიაში ჩაიწერება კოვიდ 19 პანდემიაზე გლობალური შეტევის თარიღად. თუმცა კორონავირუსი არ გამქრალა, მაგრამ ფაქტია, რომ ის უკვე ვეღარ ახდენს ისეთ დამანგრეველ ზემოქმედებას მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკებზე, როგორც ეს ხდებოდა პანდემიის ყველაზე მწვავე ფაზებში. მსოფლიო ეკონომიკა პანდემიიდან მიყენებულ „ჭრილობებს იშუშებს“, ზარალი კი მართლაც კოლოსალურია, აჭარბებს რა „დიდი დეპრესიითა“ და „დიდი რეცესიით“ გამოწვეულ დანაკარგებს. ასე მაგალითად, 2020 წელს მსოფლიო ეკონომიკის დანაკარგებმა შეადგინა 5,8 ტრლნი აშშ დოლარი, რაც შეადგენს გლობალური მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) 9,7%-ს, იმავე წელს მსოფლიო ეკონომიკა შემცირდა 3,0%-ით, მათ შორის: ევროკავშირის ეკონომიკა 7,5%-ით, იაპონიისა - 5.25%-ით, აშშ-ის -5,9%-ით, კანადის - 6.2%-ით, დიდი ბრიტანეთის - 6,5%-ით, გერმანიის- 7,0%-ით, საფრანგეთის-7,2%-ით, ესპანეთის-8,0%-ით, იტალიის-9,1%-ით. (არჩვაძე ი.2020)

ამჟამად დღის წესრიგშია როგორც კრიზისის მძიმე შედეგების დაძლევის, ისე პოსტპანდემიურ პერიოდში ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების ამოცანა, რომელიც უნდა დაემყაროს არსებული რეალობის ღრმა ანალიზს და პერსპექტიულ ხედვებს. წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ფენომენის კვლევას, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „ახალ ფინანსურ რელობას“ (სისტემას) უწოდებენ. მართალია, იგი პანდემიური კრიზისისა და პოსტპანდემიურ პერიოდში უშუალოდ არ წარმოშობილა, მაგრამ განვითარდა და კვლავწარმოებადი ხასიათი მიიღო, რომელსაც გააჩნია პოზიტიური პოტენციალიც და მასთან ერთად სერიოზული საფრთხის მატარებელიცაა როგორც ცალკეული ქვეყნის, ისე მთლიანად გლობალური ეკონომიკისთვის.

„ახალი ფინანსური რელობა“ - ეკონომიკისფინანსებიზაციის კანონზომიერი შედეგი

„ახალი ფინანსური რეალობის“ წარმოქმნა იმ პროცესების ლოგიკური შედეგია, რომლებიც 1970-იანი წლებიდან განვითარდა პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა აშშ-ის ეკონომიკაში. აქ იგულისხმება ეკონომიკის ძირეული სტრუქტურული გარდაქმნები,

კერძოდ, ფინანსური სექტორის გიგანტური გაფართოება და მისი გადაქცევა ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად. ამ მოვლენამ მიიღო ეკონომიკის ფინანსებიზაციის სახელწოდება (მექვაბიშვილი, ე. 2018) მისთვის ნიშანდობლივია ჭარბი ლიკვიდურობა და მისგან გამომდინარე „იაფი ფულის“ ადვილად ტრანსფორმირება „იაფ კრედიტად“, რასაც შედეგად მოჰყვა ე.წ. „ვალების დაგროვებაზე“ დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის მოდელის - (Originate-and-Ditribute Leanding model – ODLM) ჩამოყალიბება.

ფინანსებიზაცია ასევე ხასიათდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების - დერივატივების ფეთქებადი ზრდით , სეკურიტიზაციით და კომპანიებში „ლევერიჯი“-ს ანუ საკრედიტო მხარის (აქტივების საერთო მოცულობაში ნასესხები სახსრების ხვედრითი წილის) დაგრძელებით. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ODLM-ს ახასიათებს მაღალი ხარისხის რისკები და უაღრესად დიდი მოწყვლადობა ფინანსური კრიზისების მიმართ.

„ახალი ფინანსური რეალობა“ მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანპირობებულ სამ ელემენტს:

ა. მთავრობათა ვალდებულებების სწრაფად ზრდის შედეგად მუდმივად პროგრესირებად საბიუჯეტო დეფიციტს;

ბ. ცენტრალური ბანკების მიერ განხორციელებულ მზარდ ემისიას;

გ. დაბალ და ზოგიერთ შემთხვევაში უარყოფით საპროცენტო განაკვეთებს.

ჩამოთვლილთაგან პირველი ელემენტის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, პოსტკრიზისული პერიოდის საჭიროებებმა და კორონომიკურმა კრიზისმა.

2007-2009 წლების კრიზისის საწყის ეტაპზე, როგორც ცნობილია, აშშ-ს ხელისუფლებამ (პირველ რიგში მონეტარულმა - ფედის სახით) პროცესებში ჩაურევლობის პოლიტიკა აირჩია, რომლის ყველაზე აშკარა მაგალითი იყო Lehman Brothers-ის გაკოტრება. შემდგომში მოვლენების განვითარებამ აჩვენა ამ პოლიტიკის სიმცდარე, რის გამოც იგი დიამეტრულად შეიცვალა. დაიწყო აქტიური ანტიკრიზისული ღონისძიებები. მთავრობის მხრიდან მწვავე პრობლემების წინაშე მდგარი ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების დახმარება განხორციელდა როგორც „რბილი ნაციონალიზაციით“ ანუ კომპანიების წილში სახელმწიფოს შესვლით, ისე კაპიტალიზაციით, რომლის სამი მეთოდი იქნა გამოყენებული: ა)სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი ფინანსური დახმარება; ბ) სახელმწიფოს მიერ ე.წ. „ტოქსიკური აქტივების“ შეძენა და გ) სახელმწიფოს მიერ მსხვილი და ფინანსურად მდგრადი ბანკების მიერ პრობლემური ბანკების აქტივების არასაბაზრო ნომინალური ღირებულებით შესყიდვის წახალისება. სახელმწიფო ასევე მნიშვნელოვნად დაეხმარა მცირე ბიზნესს როგორც საგადასახადო შეღავათებით, ისე პირდაპირი ფულადი დახმარებებით. ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც საოჯახო მეურნეობები. კერძოდ, 117 მილიონმა საოჯახო მეურნეობამ აშშ-ში დახმარება მიიღო ასეთი პროპორციით: 600 დოლარი ოჯახის ყოველ მოწიფულ წევრზე, 1200 დოლარი ოჯახურ წყვილზე და 300 დოლარი ოჯახში თითოეულ ბავშვზე. ეს გაკეთდა პირველ რიგში ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების მიზნით, რაც სრულიად გასაგებია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აშშ-ში ეკონომიკის ზრდის 80% სწორედ ერთობლივი მოთხოვნის გადიდებაზე მოდიოდა.ფინანსური კრიზისის მხოლოდ საწყის ეტაპზე მთავრობამ უპრეცედენტო ფინანსური ინტერვენცია განახორციელა ეკონომიკაში, რომელმაც ამ ქვეყნის მსპ-ს დაახლოებით 5% შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა „დიდი დეპრესიის“ პერიოდში ფ.დ. რუზველტის მიერ განხორციელებული „ახალი კურსის“ ფარგლებში გამოყოფილ სახსრებს, - იმჟამინდელი მსპ-ს დაახლოებით 2%-ს (მექვაბიშვილი , ე. 2018). საბიუჯეტო დაფინანსების გიგანტური ზრდის ახალი ეტაპი უკავშირდება კოვიდ19 პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლას. ასე მაგალითად, აშშ-ს ადმინისტრაციამ ამ მიზნით ბიუჯეტიდან გამოყო დაახლოებით 2,3 ტრლნ დოლარი, რაც ამ ქვეყნის მსპ-ს დაახლოებით 11% იყო და ფაქტობრივად 2,5-ჯერ აღემატებოდა გლობალური ფინანსური კრიზისის დროს გამოყოფილ თანხას (არჩვაძე, ი.

2020). მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მიეცა ერთჯერადი დახმარება 1200 აშშ დოლარის ოდენობით, რასაც დაემატა 500 დოლარი ოჯახში თითოეულ ბავშვზე. გარდა ამისა, უმუშევრებმა მთავრობიდან ოთხი თვის მანძილზე დამატებით მიიღეს 600 დოლარი, რაც ორჯერ აღემატებოდა აშშ-ში უმუშევრებზე დახმარების საშუალო მაჩვენებელს (იგივე წყარო). ანალოგიური ზომები მიიღეს მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, ავსტრალიაში კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების საერთო რეოდენობამ შეადგინა ამ ქვეყნის მსპ-ს 9,7%, კანადაში -6,0 %, იაპონიაში -4,9%, გაერთიანებულ სამეფოში -2,5%, ჩეხეთში -2%, საქართველოში დაახლოებით 7,8%, რაც აბსოლუტურ გამოსახულებაში უტოლდება 3,9 მლრდ ლარს (არჩვაძე, ი. 2020).

ფულის ემისიის ზრდა იყო გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომ პერიოდში განხორციელებული პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნა კრიზისით გამოწვეული მწვავე, პრობლემების დასაძლევად. ამ მიზნით, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ფედი) დაიწყო ე.წ. „რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკა“ (Quantitiv Easing-QE), რომელიც გულისხმობდა ცენტრალური ბანკის რესურსების აქტიურ გამოყენებას კერძო ფინანსური აქტივების შესაძენად. პირველ ეტაპზე გამოიყო 1,7 ტრლნ აშშ დოლარი კომერციული ბანკებიდან სახელმწიფო იპოთეკური სტრუქტურების- Fannie Mae და Friedie Mac ფასიანი ქაღალდების შესყიდვაზე. 2011 წლის შუა პერიოდიდან დაიწყო QE-ს მეორე ეტაპი, ანუ ფედის მიერ აშშ ფინანსთა სამინისტროს სავალო ვალდებულებების (სახელმწიფო ობლიგაციების) შესყიდვა 600 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით. 2012 წლის აგვისტოში ფედმა კიდევ ერთხელ გამოჰყო 85 მლრდ დოლარი აქტივების შესასყიდად (მექვაბიშვილი, ე. 2018) 2014 წელს ფედმა გადაწყვიტა რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკის შეწყვეტა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროგრამამ, მისი საკმაოდ ფართო კრიტიკის მიუხედავად, შეასრულა პოზიტიური როლი-ხელი შეუწყო კრიზისისგან დაზარალებული ამერიკის ეკონომიკის გამოცოცხლებას და დასაქმების გაზრდას.

რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკამ ახალი სიცოცხლე შეიძინა კოვიდ19 პანდემიის დროს. 2021 წლის ნოემბრისთვის ფედის აქტივებმა 8,7 ტრლნ აშშ დოლარს მიაღწია, 2007 წლის 800 მლრდ-ის ნაცვლად. პანდემიის დაახლოებით ორი წლის განმავლობაში საკუთარი აქტივები გააორმაგა ევროპულმა ცენტრალურმა ბანკმა - 8,7 ტრლნ ევროს ოდენობით. ფედის, ევროპული ბანკის, ჩინეთისა და იაპონიის ცენტრალური ბანკების აქტივებმა 2021 წლის ნოემბრისთვის მიაღწია 30,8 ტრლნ აშშ დოლარს, 2020 წლის 20 ტრლნ-ის ნაცვლად. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინფლაციის გაძლიერების საფრთხიდან გამომდინარე, რაზედაც მოგვიანებით ვიმსჯელებთ, ფედმა 2021 წლის 3 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება რაოდენობრივი შერბილების პროგრამის შეწყვეტის, ხოლო 15 დეკემბერს შემცირების სისწრაფის გაორმაგების შესახებ (ჩიქობავა, მ. 2022).

„ახალი ფინანსური რეალობის“ შემადგენელი ელემენტია დაბალი და რიგ შემთხვევაში უარყოფითი საპროცენტო განაკვეთები. ეს პრაქტიკა აშშ-ში 2000- იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც Dotcom-ების კრიზისით ინიცირებული ხანგრძლივი რეცესიის დაწყების საფრთხის გათვალისწინებით ფედმა მნიშვნელოვნად შეამცირა სადისკონტო განაკვეთი 2002 წლის 6,5%-იდან 2006 წლის 1,25%-მდე (მექვაბიშვილი, ე. 2018) პოსტკრიზისული 2015 წლის ბოლოდან 2018 წლის ბოლომდე შეინიშნებოდა სადისკონტო განაკვეთის მცირეოდენი ზრდა, პანდემიის პერიოდში კი მცირეოდენი შემცირება.

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ სადისკონტო განაკვეთის ცვლილების დინამიკა საკმაოდ ზუსტად მიყვება ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების ფაზათა მონაცვლეობას და ერთგვარი სტაბილიზატორის როლის შემსრულებელია. თუმცა ეკონომისტებს შორის არ არსებობს თანხმობა დაბალი საპროცენტო განაკვეთების როლთან დაკავშირებით.ზოგიერთი ეკონომისტი, მაგალითად, ნ. რუბინი მიზანშეწონილად მიიჩნევს აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში მონეტარული პოლიტიკის საგრძნობლად გამკაცრებას, რაც, ბუნებრივია, საპროცენტო განაკვეთის ზრდას გულისხმობს. ამას იგი ასაბუთებს ინფლაციის გაძლიერების საფრთხით. (Рубин, Н.2022). რუბინის ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება ჯეიმს

კენტ გელბრეიტი (სახელგანთქმული ამერიკელი ეკონომისტის ჯონ კენეტ გელბრეიტის ვაჟიშვილი), რომლის აზრითაც, ეს ნამდვილ ეკონომიკურ კრახს გამოიწვევს გრძელვადიან პერსპექტივაში (გელბრეიტი, ჯ.კ. 2021). საკითხთან დაკავშირებით ერთგვარი შუალედური პოზიცია უკავია ცნობილ ამერიკელ ეკონომისტ ლ. სამერსს, რომელიც ხარჯების ზრდით გამოწვეულ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს პრობლემად მიიჩნევს, თუმცა ამავე დროს მას განიხილავს წამყვანი ქვეყნების „საუკუნოვანი სტაგნაციის" მდგომარეობიდან გამოყვანის შესაძლებლობად (Roachell, Sammers et al. 2019).

მოკლე შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ აქამდე განხილულ საკითხებში „ახალი ფინანსური რეალობა" წარმოდგენილია ანტიკრიზისული და პოსტკრიზისულ პერიოდში არსებული პრობლემების გადაჭრის მექანიზმად. არსებობს განსხვავებული მიდგომაც, რომელიც სხვა რაკურსით წარმოგვიდგენს „ახალ ფინანსურ რეალობას". კერძოდ, იგი განიხილება როგორც კანონზომიერი მოვლენა, რომელიც განპირობებულია პოსტინდუსტრიულ ქვეყნების ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი ეკონომიკის რეალურ სექტორში განხორციელებული სიღრმისეული სტრუქტურული გარდაქმებით: ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციით, ცოდნის ეკონომიკის დამკვიდრებით, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენებით სოციალური აქტიურობის ყველა სფეროში, ადამიანი-კაპიტალის ახალი ხარისხით და ა.შ. (Kelton St. 2017), 2020, Иноземцев, В. 2021) და სხვ.) მიჩნეულია, რომ „ახალი ფინანსური რეალობა" (სისტემა), ერთი მხრივ, იძლევა თანამედროვე პოსტინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკის არნახული ზრდის შესაძლებლობას და მეორე მხრივ, ის არის „დიდი კონვერგენციიდან" „დიდ დივერგენეციაზე" გადასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

„ახალი ფინანსური რეალობის" თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია <u>თანამედროვე მონეტარული თეორია</u> (ჩიქობავა, მ., კაკულია, ნ., ლაზარაშვილი, თ. 2022; Kelton, St.(2020); Mitchel, W.(2020); Бурлачков, В.(2021) და სხვ.), რომელიც მართალია, 1990-იან წლებში წარმოიშვა, მაგრამ განსაკუთრებული აქტუალურობა „დიდი რეცესიისა" და „დიდი ლოკდაუნის" პირობებში შეიძინა. MMT-ს თანახმად, „სახელმწიფოს შეუძლია დააფინანსოს საბიუჯეტო ხარჯები ფულის ემისიის საშუალებით, სრული დასაქმების მისაღწევად, ინფლაციის პროვოცირების გარეშე" (ჩიქობავა, მ. და სხვ. 2022). ოდნავ განსხვავებულია სტ. კელტონის მოსაზრება, რომ „ბიუჯეტის დეფიციტი პრობლემა არ არის, სანამ იგი არ გამოიწვევს ინფლაციას" (Kelton, S. 2020). მისივე აზრით, მთავრობას ბიუჯეტის დეფიციტის და ინფლაციის არ უნდა შეეშინდეს, ვიდრე საზოგადოება არ მიაღწევს ისეთ მიზნებს, როგორიცაა დასაქმების გაზრდა, ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღება და ა.შ (იგივე წყარო). იგი აკრიტიკებს მ. ფრიდმანისამ და რ. ლუკასის შეხედულებებს იმის შესახებ, რომ ბიუჯეტის დეფიციტის საფრთხე ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია და აღნიშნავს, რომ მსგავსი „დეფიციტოფობია" ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესს, რამეთუ ნებისმიერი ფართომასშტაბიანი ამბიციური პროექტების განხორციელება დიდ ფინანსებს საჭიროებს. შესაბამისად, როგორც რუსი მკვლევარი ვ. ინოზემცევი მიუთითებს: „ტრადიციული საბიუჯეტო შეზღუდვის პოლიტიკა მომავალში ისტორიის კუთვნილებად იქცევა" (Иноземцев, В. 2021). MMT-ს კონცეპტუალურ პრინციპებთან, ჩვენი აზრით, ახლოსაა თვალსაჩინო ამერიკელი ეკონომისტის პ. კრუგმანის შემდეგი მოსაზრება: „რაც უნდა იყოს დეპრესიის მიზეზი, მთავარია მისგან თავის დაღწევა სახელმწიფო ხარჯებით" (ციტატა ჩიქობავა და სხვ (2022) სტატიიდან). აქვე უნდა შევნიშნოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამ მეცნიერის შეხედულების ტრანსფორმაციის შესახებ. ადრე იგი მიიჩნევდა, რომ მაღალი სამთავრობო ვალი ქმნის ეკონომიკურ აგენტებზე საგადასახადო ტვირთის დამძიმების მოლოდინს, რაც ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე (Krugman, P. 1998).

MMT სახით, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს კეინზიანური თეორიის ერთ-ერთ თანამედროვე ნაირსახეობასთან. კერძოდ, ის ასახავს ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობას კეინზიანური

მიწოდების მრუდის ჰორიზონტალურ და გარდამავალ მონაკვეთებზე. ეს თეორია შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია, რის შესახებაც სტატიიის შემდეგ ნაწილში ვიმსჯელებთ.

„ახალი ფინანსური რეალობიდან“ გამომდინარე საფრთხეები

ერთ-ერთი ასეთი საფრთხე უკავშირდება ინფლაციური პროცესების გაძლიერებას. მეცნიერთა ერთი ჯგუფი (Rogoff 2021; Roach, S. 2021, Furman, 2022 და სხვ.) ინფლაციის ტრადიციული მონეტარულ თეორიაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ რბილი ფულადი პოლიტიკა აუცილებლად გამოიწვევს ინფლაციის გაძლიერებას. „ინფლაცია არ არის დროებითი და მისი იგნორირება დაუშვებელია. ის არ არის მხოლოდ ცალკეული შემთხვევის, თუნდაც კოვიდ19 პანდემიის შედეგი“ (Roach, 2021). ჯ. ფურმანისა და ჯ. კოხის აზრით, ჩვენ დღეს საქმე გვაქვს 1970-იანი წლების მსგავს „დიდ ინფლაციასთან“, რაზეც შემდეგი ფაქტიც მეტყველებს: კოვიდ 19 პანდემიის დაწყებამდე აშშ-ში ინფლაციის საშუალო წლიური ტემპი 2% იყო, 2021 წლის დასაწყისში კი 7%-დე გაიზარდა (Furman, 2022, Cox, 2021), რაც ყველაზე მაღალი იყო ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში. „თანამედროვე მონეტარული თეორიის ინსპირირებული შეუჩერებელი დანახარჯების პრობლემა ინფლაციაა“ (ჩიქობავა და სხვ. 2022). როგორც ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, პრობლემა საკმაოდ რთულია და ჩაღრმავებულ ანალიზს საჭიროებს. როგორია ჩვენი პოზიცია? რა თქმა უნდა, მზარდი ემისია ცენტრალური ბანკების მიერ, თუკი მას თან არ ახლავს გამოშვების ადეკვატური გაზრდა, ასტიმულირებს ინფლაციის ტემპის მატებას. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე ფინანსური რეალობის და MMT-ს მიჩნევა ინფლაციის მთავარ და მით უფრო - ერთადერთ მიზეზად არ იქნება სწორი. ამ შემთხვევაში რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოებაა გასათვალისწინებელი პირველი, აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვას: რა შეიძლება იყოს ექსპანსიონისტური საბიუჯეტო პოლიტიკისა და რბილი ფულადი პოლიტიკის ალტერნატივა? პასუხი ნათელია: წარმოების მკვეთრი დაცემა, უამრავი ბიზნესის გაკოტრება, უმუშევრობის გაზრდა და ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი- მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითება. ამ ორი უარყოფითი მოვლენის რაოდენობრივად ერთმანეთთან ზუსტი შედარება შეუძლებელია, თუმცა არ ვფიქრობთ, რომ ინფლაცია უფრო მტკივნეული შეიძლება იყოს საზოგადოებისთვის, ვიდრე სხვა დანარჩენი.

მეორე, საფუძვლიან კვლევას მოითხოვს საპროცენტო განაკვეთებისა და ინფლაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. როგორც ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი დ. როდრიკი შენიშნავს: „იქნებ, მაღალი ინფლაცია მაღალი საპროცენტო განაკვეთის შედეგია და არა დაბალის“ (Rodrik, D.(2021). მაღალი საპროცენტო განაკვეთებით გამოწვეულ ინფლაციას ეწოდება კოვალიოს ეფექტი (არგენტინის ყოფილი ფინანსთა მინისტრის დომინგო კოვალიოს საპატივსაცემოდ, რომელმაც ეს კანონზმოიერება აღწერა 1997 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტში დაცულ თავის სადოქტორო დისერტაციაში). ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორთოდოქსული გზა-დანახარჯების შემცირება და საპროცენტო განაკვეთების გაზრდა, ხშირად პრობლემას განიხილავს კონკრეტული კონტექსტის გარეთ, მაშინ როცა როდრიკის აზრით: „ჭეშმარიტი ეკონომიკური მეცნიერება კონტექსტუალურია და არა უნივერსალური“ (Rodrik, 2021).

მესამე, თუკი დავუშვებთ საპროცენტო განაკვეთების გაზრდას, ეს აუცილებლად გააძვირებს კრედიტის ღირებულებას, გადახდისუუნაროს გახდის ფირმებს და ხელს შეუწყობს საბიუჯეტო კრიზისის წარმოქმნას.

მეოთხე, ცენტრალური ბანკების მასობრივი დაბრუნება მაღალ საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკაზე, უარყოფით მოლოდინს გააჩენს ეკონომიკურ აგენტებში და ფინანსური კრიზისის მაპროვოცირებელი შეიძლება გახდეს.

მეხუთე, აუცილებელია განისაზღვროს პოსტპანდემიურ პერიოდში უპირატესად რა მიზეზებითაა გამოწვეული ინფლაციის მატება: ფულის მიწოდების გაზრდით, წარმოების დანა-

ხარჯების გაზრდით, ერთობილივი მიწოდების შემცირების, თუ ერთობლივი მიწოდების შემცირებით ერთად ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით? მოვლენებზე დაკვირვება გვაძლევს იმის საფუძველს, რომ უპირატესობა ბოლო მიზეზს მივანიჭოთ, რის გამოც მას უფრო დაწვრილებით განვიხილავთ. ერთობლივი მიწოდების მხარე. კორონავირუსით გამოწვეულმა მსოფლიო ეკონომიკის ცალკეული სექტორების სრულმა ჩაკეტვამ და მთლიანად ეკონომიური სისტემის ფუნქციონირების სერიოზულმა შეფერხებამ განაპირობა მწვავე პრობლემების წარმოქმნა გლობალური მიწოდების ჯაჭვებში, რაც ბუნებრივია, რომ ინფლაციის გაზრდის მიზეზი გახდა. აღნიშნულ მოვლენას „მიწოდების ჩეინინფლაციას“ უწოდებენ (პაპავა, ვ. 2021). კრიზისისგან გათანგული მსოფლიო ეკონომიკას „სულის მოთქმა“ არ დასცალდა და დაიწყო რუსეთის არასაქციონირებული ფართო შეჭრა უკრაინაში, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს შორის მძიმე, მომქანცველ და ხანგრძლივ ომში გადაიზარდა. „კოლექტიურმა დასავლეთმა“ აშშ-ის მეთაურობით მკაცრი სანქციები დაუწესა აგრესორ სახელმწიფოს, რამაც უარყოფითად იმოქმედა განსაკუთრებით რუსეთის ეკონომიკაზე, მაგრამ ამავე დროს ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკაზეც. მნიშვნელოვნად შემცირდა რუსეთიდან სტრატეგიული ნედლეულის, განსაკუთრებით გაზის მიწოდება, რასაც რიგი ქვეყნების ენერგომომარაგებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ევროკავშირის ქვეყნები იძულებული გახდნენ მოეძიათ ენერგიის ახალი წყაროები, რაც ხშირ შემთხვევაში გაცილებით ძვირი აღმოჩნდა და გამოიწვია ბიზნესის კეთების გაძვირება. შესაბამისად, შემცირდა ერთობლივი მიწოდება. სწორედ ეს შეიძლება ჩაითვალოს ინფლაციის გაძლიერების სერიოზულ მიზეზად. ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკის „გადაწყობა“ ახალი რეალობის შესაბამისად მეტად რთულია და დიდ დროს მოითხოვს, რის გამოც მაღალი ინფლაცია ამ ქვეყნებში ალბათ დროის მომდევნო მონაკვეთებსიაც შენარჩუნდება.

ერთობლივი მოთხოვნის მხარე. როგორც უკვე ავღნიშნეთ, პანდემიის დროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უზარმზარი თანხები გამოიყო ეკონომიკის დასახმარებლად, რომლებიც შეეხო როგორც კერძო ფირმებს, ისე საოჯახო მეურნეობებს. ამავე დროს „დიდმა ლოკდაუნმა“ მნიშვნელოვნად შეზღუდა მოხმარება და მხოლოდ აშშ-ში ჭარბი დანაზოგების სახით 3 ტრლნ დოლარზე მეტი დაგროვდა (Economist, 2021 “a”). კანადაში ჭარბი დანაზოგები შეადგენდა ამ ქვეყნის მსპ-ს 6,8%-ს, აშშ-ში -6.2%-ს, დიდ ბრიტანეთში -5,4%-ს, იტალიაში -3.6%-ს, გერმანიაში-2,4%-ს, საფრანგეთში-2,2%-ს (Economist, 2021”b”). ამ დანაზოგების ბაზარზე გადინება, რა თქმა უნდა, გამოიწვევს დაძაბულობის გაზრდას მოხმარების მხრიდან. ზოგადად, განვითარებულ კაპიტალისტურ ეკონომიკაში გრძელვადიან პერიოდში დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის შენარჩუნება შეუძლებელია. პირიქით, ამ სისტემის დისბალანსი გამოიხატება საქონლისა და მომსახურების სიჭარბეში, რითაც იგი ძირეულად განსხვავდება ე.წ. „სოციალისტური“ ანუ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემისაგან.მოკლევადიან პერიოდში ჭარბი დანაზოგი შეიძლება გახდეს ფასების საერთო დონის გაზრდის ანუ ინფლაციის დაჩქარების მიზეზი, რასაც, ჩვენი აზრით, ამჟამად აქვს ადგილი. ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუ საით წავა და რას მოხმარდება ეს დანაზოგები-რეალურ ეკონომიკურ ზრდას თუ ფიქტიური ეკონომიკის გაბერვას. სამწუხაროდ, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ჯერ-ჯერობით, მეორე ტენდენცია ჭარბობს, რაც გამოიხატება აქტივების ბაზრის ზოგიერთ სეგმენტში, განსაკუთრებით საცხოვრებელი ბინების ბაზარზე. ფინანსური ბუშტების გაბერვაში და გვახსენებს 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის წინა პერიოდს, როცა ანალოგიურ სიტუაციას ჰქონდა ადგილი. რა უნდა გაკეთდეს, რომ ისტორია არ განმეროდეს? აუცილებელია შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით ინვესტორების წახალისება რეალურ ეკონომიკაში კაპიტალის დაბანდებაზე. მაგალითად, შესაძლებელია ამ მიზნით დიფერენცირებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია კრიპტოვალუტების ფასების დინამიკაზე მუდმივი მონიტორინგი, ვინაიდან ეს სფერო მაღალი რისკებითაა გამორჩეული. უნდა გაგრძელდეს ფინანსური სფეროს მარეგულირებელი სისტემის დახვეწა-სრულყოფა და ა.შ. „ახალი ფინანსური რეალობა“ კიდევ ერთ გამოწვევას

(საფრთხეს) უკავშირდება, რომელსაც „სახელმწიფოს დაბრუნების“ იდეის აღორძინება შეიძლება ეწოდოს. „დიდი რეცესიის“ და კორონომიკური კრიზისის („დიდი ლოკდაუნის“) გამოცდილებიდან გამომდინარე სულ უფრო მყარად მკვიდრდება მოსაზრება, რომ სახელმწიფოს, განსაკუთრებით ექსტრემალურ სიტუაციებში, და არა ბაზარს ეკისრება მთავარი როლი რესურსების განაწილებაში. სწორედ სახელმწიფო, როგორც მაღალი საზოგადოებრივი ლეგიტიმაციის მქონე ძლიერი და მაღალორგანიზებული ინსტიტუტი, აღმოჩნდა „ბოლო იმედის კრედიტორი“ (ი. არჩვაძე, 2020), რომელმაც შეძლო ურთულესი კრიზისული მოვლენების გამკლავება და პოსტკრიზისულ პერიოდში ე.წ. „ბრიჯმენეჯმენტის“ წარმატებით განხორციელება. „სახელმწიფოს დაბრუნება“ იმაშიაც გამოვლინდა, რომ მან ჩამოართვა ტრანსნაციონალურ კომპანიებს (ტნკ) გლობალიზაციის მართვის სადავეები (არჩვაძე, ი. 2020). ამით საფუძველი გამოეცალა პრინციპს- „მართვა სახელმწიფოს გარეშე“ – (Governance Without Government”), რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული გლობალიზაციის დაწყებიდანვე. ამასთანავე „სახელმწიფოს დაბრუნების“ იდეა არის „დიდი სახელმწიფოს“ დოქტრინის რეინკარნაციის საფრთხის შემცველი. თანამედროვე ციფრულ ეპოქაში სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა ტოტალური კონტროლის და მაშასადამე, მათი პირადი თავისუფლების მკაცრი შეზღუდვის ყველა ტექნოლოგიური საშუალება არსებობს. შემთხვევითი არაა სამეცნიერო ლიტერატურაში „ციფრული ავტორიტარიზმის“ ცნების გაჩენა, რომლის ნოყიერი ნიადაგი პანდემიის პირობებში შეიქმნა. როგორც პროფ. ი. არჩვაძე აღნიშნავს: „ნახევრად კაპიტალისტური და ნახევრად კომუნისტური ჩინეთის ხელისუფლება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მასობრივად აკონტროლებს ადამიანთა უზარმაზარ რაოდენობას, მათ განწყობას, პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიებს, მიმართავს სხვადასხვა მანიპულაციას ხელისუფლების მიმართ მოქალაქის ლოიალურობის შესანარჩუნებლად“ (არჩვაძე, ი. 2020). კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ მსგავსი პრაქტიკა ჩამოყალიბდა არა მხოლოდ ჩინეთში, არამედ უფრო დემოკრატიულ სამხრ. კორეის რესპუბლიკაში.მისი ცალკეული ელემენტები შეინიშნებოდა ევროპის ზოგიერთ ქვეყანასა და აშშ-ში. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ორდინალურ სიტუაციაშიაც არ გაგრძელდეს მსგავსი ტენდენცია? პირველ რიგში იმის გაცნობერება, რომ საზოგადოებას დღეს სჭირდება არა „დიდი სახელმწიფო“, რომელიც საბჭოურ ტოტალიტრულ წარსულთანაა დაკავშირებული, არამედ „ეფექტიანი სახელმწიფო“, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას, ბაზრის სუბიქეტბზე ზემოქმედებას ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებით, ინდიკატურ დაგეგმვას და ყველაფერ იმას, რაც შეიძლება „ეკონომიკის დირიაჟიზმის“ ცნების ქვეშ გაერთიანდეს. ასევე აუცილებელია იმ კანონებისა და სამართლებრივი ნორმების შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს და გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევს ციფრულ ეპოქაში სახელმწიფოს ურთიერთობას სამოქალაქო საზოგადოებასთან და ინდივიდთან (მოქალაქესთან). ამასთანავე, ჩვენი აზრით, სახელმწიფოს უფრო აქტიურ ჩართულობას ეკონომიკურ პროცესებში შეუქცევადი ხასიათი ექნება და მოხდება მის მიერ ბაზრისთვის ნებაყოფლობით „გადაცემული“ ფუნქციების საკამაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის უკან დაბრუნება.

დასკვნა

„დიდი რეცესიის“ (2007-2009 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის) და „დიდი ლოკდაუნის“ (კორონომიკური კრიზისის) პერიოდში მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის მთავრობებმა და მონეტარულმა ხელისუფლებებმა უპრეცედენტო ფინანსური პროგრამები განახორციელეს ეკონომიკების კრიზისული მდოგმარეობიდან გამოსაყვანად. ამას შედეგად მოჰყვა ისეთი მოვლენის წარმოშობა, როგორიცაა ახალი ფინანსური რეალობა, რომელიც კვლავწარმოებადი სისტემა აღმოჩნდა და აგრძელებს არსებობას

პოსტკრიზისულ პერიოდებშიც. ეს აძლიერებს ზოგიერთი ეკონომისტის, განსაკუთრებით კი ახალი მონეტარული თეორიის მიმდევრების მოსაზრებას, რომლებიც ახალ ფინანსურ რეალობას განიხილავენ არა მხოლოდ ანტიკრიზისულ მექანიზმს, არამედ პოსტინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურაში განხორციელებული სიღრმისეული ცვლილებების კანონზომიერ შედეგს. ახალი ფინანსური რელობა უკავშირდება სახელმწიფოს როლის გაზრდას ეკონომიკაში. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, პროფ. დ. როდრიკი საუბრობს ახალი ეონომიკურ-პოლიტიკური პარადიგმის გაჩენაზე, რომელსაც იგი „პროდუქტივიზმს“ უწოდებს. (Rodrik,2022) ეს უკანასკნელი გულისხმობს მთავრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამაღლებას ინვესტიციებსა და წარმოებაზე, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის აქტიურ მხარდაჭერას უპირველეს ყოვლისა ფინანსური მიმართულებით. ეკონომიკური თეორიის პარადიგმულ ცვლილებასთან ერთად არსებითად იცვლება წამყვანი ქვეყნების მთავრობათა ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. ნეოლიბერალიზმის კლასიკურ ქვეყანაში - აშშ-ში ჯ. ბაიდენის ადმინიტრაცია აგრძელებს დ.ტრამპის მიერ დაწყებულ ექსპანსიონისტურ ეკონომიკურ პოლიტიკას „ეკონომიკური პოპულიზმისა“ და „სახალხო ეკონომიკის“ დოქტრინების ჩარჩოებში. ყოველივე აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ 1970-იანი - 1980-იანი წლების მიჯნაზე მ.ტეტჩერისა რ.რეიგანის მიერ დაწყებული ნეოლიბერალური რევოლუციის ეპოქა მთავრდება და ბრუნდება კეინზიანურ თეორიაზე დამყარებული ფ.დ. რუზველტის „ახალი კურსის“ პოლიტიკა. ამასთანავე, ახალი ფინანსური რეალობა გარკვეული საფრთხეების შემცველიცაა, რომელმაც შეიძლება ინფლაციის გაძლიერების პროვოცირება გამოიწვიოს და „დიდი სახელმწიფოს“ კონტრპროდუქტიული დოქტრინის აღორძინებას შეუწყოს ხელი. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია ამ პროცესის მართვა და სწორ ჩარჩოებში მოქცევა.

ლიტერატურა

1. არჩვაძე ი. (2020) კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები (პოლიტეკონომიკური ასპექტი). თბ. : „მწიგნობარი“
2. მექვაბიშვილი ე. (2018) გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა. თბ. : „ინტელექტი“
3. მენქიუ გრ. (2008) ეკონომიკის პრინციპები. თბ. : „დიოგენე“
4. ბლანშარი ო. მაკროეკონომიკა (2010) მე-5-ე გამოცემის ქართული თარგმანი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
5. ჩიქობავა მ. (2022) პანდემიის ორი წლის შედეგები და „დიადი გადატვირთვის“ პერსპექტივები. კრებულში „ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები“
6. Rachel, Summers et al (2019). On Failling real rates, fisical policy and the risk of secular staghation. BPEA Conference Drafts, March
7. Рубин Н. (2022) Не стоит делать ставку на „мягкую посадку“- ru. Investing.com /news/ personal- finance-news /article 2157835
8. გელბრეიტი ჯ.კ. (2022) ფედის მიზანი სამუშაო ძალაა. Mail.google.com/mail/ru/0/#indbox/p4? /projector=1
9. Baker D. (2023). Whipped Inflation /Vow. Analisis. Eurasiareview.com January 14, 2023
10. Rajan R.G (2021). Monetary and Inflationary Tramps. Project-Syndicate. org/com-mentary/ fed- inflation-policy –framework-has – become –a-trump-by-raghuram-rajan-2021-11
11. Kelton St (2017). https: llwww.nytimes.com/2017/10/05/opinion/de %F4%80%82cit-tax-cats-trump.html
12. Иноземцев В, л. (2021) Экономика без догм. Как сша создают новый зкономический порядок. М.: “Альпина Паблишер”.
13. ჩიქობავა მ., კაკულია ნ., ლაზარაშვილი თ. (2022) თანამედროვე მონეტარული თეორიის შესახებ. //ეკონომიკა და ბიზნესი, N3
14. Kelton St (2020). The Defitict Myth: Modern Monetary Theory and the Birth of the People’s Economy. N.y.: Pablic Affacrs
15. Mitchel W (2020) Modern Monetary Theory. http//biblo. Economic utlook.net /blog
16. Rabbit T. Modern Moneatry Theory. Economics Honors papers 2020 (31) Urll: https://digital/commons . Concol /edu/cgi/Viewcontent.cgi? article = 1035 context =econht

17. Бурлачков В. К. (2021) Современная экономическая теория : используемые методы анализа и парадоксальность выводов. Вопросы экономики.N3
18. Krugman P. (1998). Financing vs. Forgcving a Debt Overhang. Journal of Development Economics. Vol.29 (november)
19. Rogoff K. (2021). Back to Seventies? Project Syndicate, August31. https://www.project syndicate.org/commentary/America-facing -1970s-style-stagflation-threat-by-kennet-rogoff-2021-8
20. Roach S.S the ghost of Arthur-Burns. Project-Syndicate May25. https: //www.project-syndicate.org/commentary/fed-sanguine-inflation-viewrecals-arthur -burns-by-stephen-S-roach-2021-05
21. Stephen S. Roach 2022. The Fed is Playing with Fire. https/www.project-syndicate.org federal –reserve-mad-scramble-to-control-inflation-by-stephen-s-roach-2022.01
22. Furman J. (2022) Why Did Almost /Vobody See Inflation Coming?-https://www.project-syndicate.org/commentary/2021-us-inflation-forecasting-errors-economic-models-by-jason-furman-2022.01
23. Cox J. (2022). Inflation rises 7% over the pas yer, haigest since 1982.cnbc.com/2022/01/12/cpi-december-2021-htm/
24. Rodrik D. (2022). Inflation Heresies. https://www.project-syndicate.org/commentary/correct-policies-to-fight-inflation-depend-on-context-by-dani-rodrik
25. პაპავა ვ.(2022). პანდექსიტის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
26. პაპავა ვ. (2021). სანქციონომიკის შესახებ-alioni21.ge //lado-papava-sanqucionomikaze/?fbclid=/wAR2gun7RF08h
27. Economist (2021a). The worlds comsumers are sitting on piles of cash. Will the spend it? March 9. Htpps//www.economist.com/finance-and-economist.com/Finance –and-ecomonics/2021/03/09/the-world-wnsumers-sitting-on-piles-cash-will-they-spend-it
28. Economist (2021b). The Fed should explain hou it will respond to rising inflation. April 17. https//www.economist.com/finance-and-economics.com//eaders/2021/04/15/the-fed-should-explain-hou-it-wil-respond-to-rising-inflation.

Elguja Mekvabishvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Opportunities and Challenges of the “New Financial Reality” in Post-Pandemic Conditions

(Political-Economic Aspect)

SUMMARY

The article discusses a new economic phenomenon called the new financial reality. It includes three elements: increase in state budget expenditures and as a result - increase in state debt; excessive monetary emission and low interest rates. The new financial reality is one of the mechanisms for solving crisis and post-crisis problems, as well as the logical result of deep structural changes in the economy of post-industrial countries. The new monetary theory (MMT) is presented as the theoretical-methodological basis of the new financial reality. Its positive sides and shortcomings are shown. The opinion is expressed that the actualization of the new financial reality and the new monetary theory indicates a paradigm shift in economic theory from the neoliberal-neoclassical theory to the updated Keynesian theory. In economic policy, it means replacing Thatcherism and Reaganomics with policies similar to F.D. Roosevelt's "New Deal~. Two threats arising from the new financial reality are distinguished: the strengthening of inflationary processes and the revival of the idea of a "big state~. Some measures are proposed to overcome these threats.

მარინე მინდორაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლია ძებისაური
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნეს სტატისტიკა პრეპანდემიურ და პანდემიის პერიოდებში: საქართველო და ევროკავშირი

სტატიაში განხილულია ბიზნეს სტატისტიკის ბრუნვის, გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების დინამიკა პრეპანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდებში საქართველოსა და ევროსტატის კვლევებზე დაყრდნობით. შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ძირითადი განსხვავება და მსგავსება საქსტატისა და ევროსტატის მეთოდოლოგიურ მიდგომებსა და პრაქტიკაში.

საკვანძო სიტყვები: *ბიზნეს სტატისტიკა, ბრუნვა, გამოშვება, შუალედური მოხმარება, დამატებული ღირებულება.*

სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკა (SBS) აღწერს ბიზნესის სტრუქტურასა და ქცევას ქვეყანაში. საქსტატის პრაქტიკაში ბიზნეს სტატისტიკის პოპულაცია მოიცავს ყველა აქტიურ საწარმოს, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებული არ არის ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის NACE Rev. 2-ის შემდეგ სექციებთან: K – საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები; O – სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება; T – შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის; U – ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა.

რაც შეეხება ევროპის ბიზნეს სტატისტიკას, ის აერთიანებს NACE Rev.2-ის B - N სექციებს და სექცია S-ის 95-ე განყოფილებას, მოიცავს მრეწველობას, მშენებლობას, სადისტრიბუციო ვაჭრობას და სხვა სერვისების უმეტესობას და გამორიცხავს ეკონომიკურ აქტივობებს, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მეთევზეობა; საჯარო მმართველობა; განათლება; ჯანმრთელობა და სოციალური მუშაობა; ხელოვნება, გართობა და დასვენება. ასევე გამორიცხულია ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა მათი სპეციფიკიდან გამომდინარე. ასევე, აღსანიშნავია ევროპული მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკა (შემოკლებით STS), რომელიც ყველაზე ოპერატიულად გამოქვეყნებული სტატისტიკაა და ასახავს უახლეს ტენდენციებს ბიზნეს სტატისტიკაში. STS-ის ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს მონაცემები საანგარიშო თვის დამთავრებისთანავე არის ხელმისაწვდომი. როგორც წესი, STS-ის მაჩვენებლები თვიური პერიოდულობით ქვეყნდება, თუმცა ზოგიერთი ინდიკატორი (შრომის დანახარჯები, მომსახურების ბრუნვა, მომსახურების ფასები) კვარტალური პერიოდულობით არის ხელმისაწვდომი.

მოკლევადიანი სტატისტიკის მაჩვენებლების წარმოებას საქსტატი მხოლოდ ახლა იწყებს. ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის ყოველთვიური და ნამუშევარი საათების კვარტალური ინდექსების გაანგარიშება წარმოადგენს საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის სისტემის 2020-2023 წლების სტრატეგიით განსაზღვრულ ერთ-ერთ პრიორიტეტულ აქტივობას, რომელიც მიმდინარეობდა ევროკავშირის პროგრამა Twinning-ის პროექტის ფარგლებში.

2010-2019 წლებში ბრუნვის, გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების ნომინალური მაჩვენებლები განუხრელად იზრდებოდა. მაგალითად, ამ პერიოდში ბრუნვა 4.5-ჯერ გაიზარდა, გამოშვება და შუალედური მოხმარება 3.6-ჯერ, ხოლო დამატებული ღირებულება 3.5-ჯერ. საშუალოწლიური მატების ტემპი ამ 10 წლის განმავლობაში

ბრუნვისთვის იყო დაახლოებით 18%, გამოშვებისა და შუალედური მოხმარებისთვის 14%, ხოლო დამატებული ღირებულებისთვის 13%. მოცემულ პერიოდში შუალედური მოხმარება გამოშვების 51%-ია, ხოლო დამატებული ღირებულება შესაბამისად, 49%. ნიშანდობლივია, რომ ამ 10 წლის მანძილზე გამოშვება ბრუნვის 52%-მდეა, თუმცა მკვეთრი კლება ფიქსირდება კონკრეტულად 2018-19 წლებში, როდესაც ეს მაჩვენებელი ჯერ 48% გახდა და შემდეგ 44%-მდე დაეცა. ოთხივე მაჩვენებლის ჯაჭვურ ზრდებში წინა წელთან შედარებით განუხრელი მატება ფიქსირდება, თუმცა განსაკუთრებული გამოდგა 2011 წელი, როდესაც ჯაჭვური მატება ბრუნვისთვის იყო დაახლოებით 50%, გამოშვებისა და შუალედური მოხმარებისთვის 45-50%, ხოლო დამატებული ღირებულებისთვის 38%.

საბოლოო ჯამში, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2020 წელს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.9 პროცენტით გაიზარდა და 114.3 მილიარდი ლარი შეადგინა. კლების ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი. 2020 წელს მისი მოცულობა 46.2 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 2.7 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის მაჩვენებელს.

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2021 წელს, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 29.6 პროცენტით გაიზარდა და 148 მილიარდი ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2021 წელს მისი მოცულობა 54.7 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 18.3 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

2019-21 წლებში 62%-მდე გაიზარდა მსხვილი საწარმოების ბრუნვის მოცულობა საშუალო და მცირე საწარმოების შემცირების ხარჯზე (18 და 20%-მდე). თუმცა, მსგავსი ტენდენცია სათავეს იღებს 2016 წლიდან და ის უშუალოდ არ უკავშირდება პანდემიას.

2012-16 წლებში საწარმოთა ზომის მიხედვით ბრუნვის სტრუქტურაში სტაბილური ზრდის ტემპები ფიქსირდება, დინამიკა გრძელდება 2017-19 წლების პიკური ზრდებით და 2020 წლის დრამატული ვარდნით სამივე ზომის საწარმოებისთვის. 2021 წელს ყველაზე მაღალი ზრდა აჩვენა მსხვილმა, შემდეგ საშუალო და ბოლოს მცირე საწარმოებმა. როგორც მოსალოდნელი იყო, კრიზისული სიტუაციიდან ყველაზე სწრაფად მსხვილი საწარმოები გამოვიდნენ.

2020 წელს გამოშვების ტემპი მთლიანობაში თითქმის 3%-ით დაეცა, რაც ძირითადად მსხვილი საწარმოების გამოშვების თითქმის 7%-იანმა ვარდნამ განაპირობა. მატება უმნიშვნელო იყო (0.1%), საშუალო საწარმოებში. 2010-21 წლებში ბრუნვის ზრდის ტემპი საგრძნობლად აჭარბებდა გამოშვების ტემპს მთლიანობაში (ჩამორჩებოდა მხოლოდ მცირე საწარმოების შემთხვევაში).

ფაქტობრივად, როგორც პანდემიამდე, ისე პანდემიის დროს რეგიონების მიხედვით ბრუნვის სტრუქტურაში ლიდერობს თბილისი, აჭარა, ქვემო ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი. ნიშანდობლივია, რომ პანდემიის დროს თბილისის წილი კიდევ უფრო გაიზარდა (2.1%-ით), რაც აჭარაში ტურისტული ბიზნესის ბრუნვის შემცირებით არის გამოწვეული (1.9%)-ით.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის დროს თბილისისა და აჭარის გამოშვების წილი შემცირდა (1.1% და 1.0-ით), ხოლო ქვემო ქართლის - გაიზარდა 1.7%-ით.

2010-19 წლებში იკლებდა, თუმცა ლიდერობდა ვაჭრობა, 2018 წლამდე მეორე ადგილზეა მრეწველობა, 2018 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელოვნება და გართობა (აზარტული თამაშების ხარჯზე საქმიანობის ხვედრითი წილი 36.6%-მდე გაიზარდა) და მესამე ადგილზეა მშენებლობა. პანდემიური 2020 და 2021 წლები ხასიათდებოდა როგორც ვაჭრობის, ისე მშენებლობისა და ტრანსპორტის წილების კლებით, თუმცა ეს კლება მკვეთრი არ იყო.

2010-19 წლებში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში ლიდერობს დამამუშავებელი მრეწველობა (30-28 პროცენტი), ვაჭრობა (20 პროცენტამდე) და მშენებლობა (16-18 პრო-

ცენტი). პანდემიის წლებში ლიდერი დარგები უცვლელია, თუმცა მცირდება მრეწველობის, მშენებლობის და ტრანსპორტირების დარგების წილები.

2020 წელს წინა წელთან შედარებით გამოშვების ზრდის ტემპები ჯამურად შემცირდა 114-იდან 97%-მდე, განსაკუთრებით დიდი ვარდნა იყო მომსახურების სფეროში: განთავსების საშუალებები, ადმინისტრაციული მომსახურების სფეროები, ხელოვნება, დასვენება და გართობა და სხვა სერვისები. გამოშვების საშუალოწლიური ზრდის ტემპები საქმიანობის სახეების მიხედვით 1.05-დან 1.17-ის ფარგლებშია. ყველაზე მაღალი ზრდა აჩვენა სოფლის მეურნეობამ, მას მოსდევს მშენებლობა, განათლება და ხელოვნება, დასვენება და გართობა.

ბიზნეს სექტორის შუალედური მოხმარების სტრუქტურაში უდიდესი წილი მსხვილ საწარმოებს აქვთ. პერიოდის დასაწყისიდან მსხვილი საწარმოების წილი 2020 წლისთვის 10%-ით შემცირდა, ამ პერიოდში მცირედ, 2-3%-ით გაიზარდა საშუალო საწარმოების წილი შუალედურ მოხმარებაში, ხოლო მცირე საწარმოების წილის ზრდა საგრძნობი იყო, დაახლოებით 8%. საგულისხმოა, რომ პანდემიურ 2020-ში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები დაფიქსირდა შუალედური მოხმარების სტრუქტურაში საწარმოთა ზომის მიხედვით. სახელდობრ, გაიზარდა საშუალო და მცირე ზომის საწარმოების წილი და შემცირდა მსხვილი საწარმოების წილი. 11-წლიან მონაკვეთში უკვე შეიძლება ჩამოყალიბებულ ტენდენციაზე საუბარი. კერძოდ, შუალედურ მოხმარებაში წლიდან წლამდე იკლებს მსხვილი საწარმოების წილი, ხოლო საშუალო და მცირე საწარმოებისა - იზრდება. თუ ასე გაგრძელდება, 30-იან წლებში მცირე საწარმოები ჩაანაცვლებენ მსხვილი საწარმოების მოწინავე სტრუქტურულ პოზიციებს.

ბიზნეს სექტორის შუალედური მოხმარების სტრუქტურის მსგავსად, დამატებული ღირებულების სტრუქტურაში უდიდესი წილი მსხვილ საწარმოებს აქვთ. საგულისხმოა, რომ პანდემიურ 2020-ში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები დაფიქსირდა დამატებული ღირებულების სტრუქტურაში საწარმოთა ზომის მიხედვით. სახელდობრ, გაიზარდა საშუალო და მცირე ზომის საწარმოების წილი და შემცირდა მსხვილი საწარმოების წილი.

პანდემიურ 2020 წელს განსაკუთრებულ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია როგორ შუალედური მოხმარების, ისე დამატებული ღირებულების სტრუქტურის დინამიკაში, კლება მინიმალური იყო მსხვილ საწარმოებში, რაც კომპენსირდა საშუალო და მცირე საწარმოების ხარჯზე.

რეგიონების მიხედვით ბიზნეს სექტორის შუალედური მოხმარების სტრუქტურის მსგავსად, დამატებული ღირებულების სტრუქტურაში ერთპიროვნულად ლიდერობს თბილისი, მას მოსდევს აჭარა, ქვემო ქართლი და იმერეთი.

საქმიანობის სახეების მიხედვით დამატებული ღირებულების სტრუქტურაში ლიდერობს შემდეგი დარგები: საბითუმო და საცალო ვაჭრობა (22-24%), მრეწველობა (20-21%), მშენებლობა (16-17%) და ტრანსპორტი და დასაწყობება (10-11%). 2020 წელს ამ საქმიანობებს კლება არ შეხებია, გარდა ტრანსპორტისა (-0.7%). ყველაზე მეტად შემცირდა განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (-2.5%).

2018 წელს, ევროკავშირის ბიზნესის აბსოლუტური უმრავლესობა (98.9%) იყო მიკრო ან მცირე საწარმოები, სადაც 50 ადამიანზე ნაკლები იყო დასაქმებული. აქ საქმიანობდა არაფინანსური ბიზნესის სამუშაო ძალის თითქმის ნახევარი (49.0%) და იქმნებოდა დამატებული ღირებულების მესამედზე მეტი (35.8%). 2018 წელს ევროპის ბიზნეს ეკონომიკაში 40 000 მსხვილი საწარმო იყო(0.2%), სადაც დასაქმებული იყო სამუშაო ძალის მესამედზე მეტი (35.0%) და იქმნებოდა დამატებული ღირებულების 47,2%.

2019 წელს ევროკავშირის არაფინანსური ბიზნესის სფეროში მოქმედი საწარმოების უმეტესი ნაწილი (99.8%) იყო მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (SME) - დაახლოებით 22.4 მილიონი - ერთად მათ შექმნეს ევროკავშირის ფარგლებში გამომუშავებული დამატებული ღირებულების 52.3%. ევროკავშირის 10 საწარმოდან 9-ზე მეტი (93.1%) იყო მიკრო საწარმო (დასაქმებული იყო 10-ზე ნაკლები ადამიანი) და არასაფინანსო ბიზნეს ეკონომიკაში მათ მი-

ერ შექმნილი დამატებული ღირებულების წილი საგრძნობლად დაბალი იყო, დაახლოებით ერთი მეხუთედი (18.5%).

მცირე და საშუალო ბიზნესის ყველაზე თვალშისაცემი ნიშანია მათი წვლილი დასაქმებაში. 2019 წელს ევროკავშირის არაფინანსური ბიზნეს ეკონომიკის სამუშაო ძალის არანაკლებ ორი მესამედი (64.3%) დასაქმებული იყო მცირე და საშუალო ბიზნესში. დაახლოებით 20.3 მილიონი ადამიანი მუშაობდა მცირე და საშუალო ბიზნესში სადისტრიბუციო ვაჭრობის სექტორში, 15.6 მილიონი მრეწველობაში და 11.0 მილიონი მშენებლობაში; ერთად, ამ სამმა აქტივობამ მცირე და საშუალო ბიზნესის არასაფინანსო ბიზნესის ეკონომიკის სამუშაო ძალის დაახლოებით 55.4% უზრუნველყო.

2019 წელს ევროკავშირის მიკრო საწარმოებში უფრო მეტი ადამიანი იყო დასაქმებული, ვიდრე ნებისმიერი სხვა ზომის საწარმოებში მომსახურების სფეროში, გარდა ტრანსპორტისა და შენახვის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სერვისებისა და ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობებისა. 2019 წლის კვლევის შედეგად, ევროკავშირის არაფინანსური ბიზნეს ეკონომიკის 23.2 მილიონი საწარმოდან მეოთხედზე მეტი (24.7%) კლასიფიცირებული იყო სადისტრიბუციო ვაჭრობაში (საავტომობილო ვაჭრობა, საბითუმო ვაჭრობა და საცალო ვაჭრობა), ხოლო ხუთიდან ერთი (19.1%) იყო პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობის წარმომადგენელი. ბევრმა ბიზნესმა ისარგებლა აუთსორსინგით, რაც ნაწილობრივ ხსნის სერვისების ზრდას.

არაფინანსური ბიზნეს ეკონომიკის სამუშაო ძალა 2019 წელს ევროკავშირში 131.5 მილიონს აღემატება და ის მთლიანი დამატებული ღირებულების (ფაქტორული ფასით) სახით 6 851 მილიარდ ევროს გამოიმუშავებს.

2019 წელს დამატებული ღირებულების თვალსაზრისით, არაფინანსური ბიზნეს ეკონომიკის NACE Rev. 2 სექციებს შორის ყველაზე მოცულობითი იყო A-F სექციების წარმოება: ევროკავშირში 2.0 მილიონზე მეტმა საწარმომ გამოიმუშავა დაახლოებით 1 999 მილიარდი ევროს დამატებული ღირებულება, ხოლო დაასაქმა 30.2-მდე მილიონი ადამიანი. სადისტრიბუციო სავაჭრო საწარმოებს ჰქონდათ დასაქმების სიდიდით მეორე წილი: ამ საწარმოებმა დაასაქმეს 29.4 მილიონზე მეტი ადამიანი და გამოიმუშავეს 1 282 მილიარდი ევროს დამატებული ღირებულება. პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობას მესამე ადგილი უკავია დამატებული ღირებულებით (597,4 მილიარდი ევრო), მაგრამ ის მხოლოდ მეხუთე ადგილზეა სამუშაო ძალით (11,4 მილიონი ადამიანი), ადმინისტრაციული და დამხმარე სერვისების (13,9 მილიონი ადამიანი) და მშენებლობის (12,7 მილიონი ადამიანი) შემდეგ.

Covid-19-ის შემაკავებელი ზომები დროისა და სიმკაცრის მიხედვით სხვადასხვანაირად იცვლებოდა ევროკავშირში, ამიტომ, მათი გავლენა საცალო ვაჭრობაზეც განსხვავებული იყო.

2020 წლის მარტ-აპრილში ევროკავშირში საცალო ვაჭრობის დონე საშუალოდ წინაკრიზისული დონის 80%-მდე დაეცა. რიგ ქვეყნებში (მაგალითად, ბელგია, დანია, გერმანია, ნიდერლანდები, ავსტრია, ფინეთი) ვარდნა იყო ზომიერი, აღდგენა - შედარებით სწრაფი და კრიზისამდელ დონეს უკვე გადააჭარბა 2020 წლის მაისში. თუმცა, უფრო მძიმედ დაზარალდა კიდევ რამდენიმე ქვეყანა (საფრანგეთი, იტალია, კვიპროსი, ლუქსემბურგი) და მათ გაჯანსაღებას უფრო მეტი დრო დასჭირდა. ევროკავშირი და ევროზონა კრიზისამდელ დონეს 2020 წლის აგვისტოში დაუბრუნდნენ. მომდევნო თვეებში აღდგენის პროცესი გაგრძელდა, გარდა 2021 წლის იანვრისა და თებერვლის რეცესიისა. 2022 წლის იანვარში ევროკავშირის ყველა ქვეყანამ, პორტუგალიისა და სლოვაკეთის გარდა, აღადგინა ან თუნდაც აშკარად გადააჭარბა 2020 წლის თებერვლის გაყიდვების დონეს.

Covid-19 კრიზისმა, რომელიც დაიწყო 2020 წლის გაზაფხულზე, ძლიერი და მოულოდნელი გავლენა მოახდინა საცალო ვაჭრობაზე. 2020 წლის მარტსა და აპრილში საცალო ვაჭრობის მთლიანი მოცულობა შემცირდა შესაბამისად 9.2%-ით და 11.2%-ით. თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებები იყო კვების და არასასურსათო პროდუქტებში. კვების პროდუქტების გაყიდ-

ვები სუპერმარკეტებში გაიზარდა მარტში, ხოლო არასასურსათო პროდუქტების გაყიდვა შემცირდა. აპრილში პროდუქტების ყველა ჯგუფში დაფიქსირდა გაყიდვების მკვეთრი კლება.

საავტომობილო საწვავის გაყიდვაზე ყველაზე დიდი გავლენა იქონია კრიზისმა და მრავალრიცხოვანმა შემაკავებელმა ზომებმა, როგორიცაა კარანტინი და პირადი კონტაქტების შეზღუდვა. საწვავის გაყიდვა მკვეთრად შემცირდა მარტში (-23,1%) და 2020 წლის აპრილში (-25,7%). 2020 წლის ზაფხულში გაყიდვები გარკვეულწილად აღდგა, მაგრამ შემოდგომაზე კვლავ დაეცა. ამჟამად გაყიდვების დონე 2020 წლის თებერვლის დონის მხოლოდ 97.1%-ია. ინტერნეტ გაყიდვები უკვე რამდენიმე წელია გაიზარდა. Covid-19 კრიზისმა კიდევ უფრო გააძლიერა ეს ტენდენცია და ამ არხის მეშვეობით გაყიდვები საკმაოდ დინამიურად გაიზარდა 2020 წლის აპრილსა და მაისში. ევროპულ ქვეყნებში მაღაზიების გახსნის შემდეგ, ინტერნეტ გაყიდვების დინამიკა რამდენადმე შეფერხდა ზაფხულში, თუმცა კვლავ გაიზარდა 2020 წლის შემოდგომაზე და ზამთარში. 2021 წლის ზაფხულში ინტერნეტ გაყიდვები კვლავ დაეცა, თუმცა შემდეგ საკმაოდ მაღალ დონეზე დარჩა (30%-ზე მეტი ვიდრე Covid-19-ის კრიზისამდე).

2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა დრამატული გავლენა მოახდინა ბიზნეს სტატისტიკის სტრუქტურულ მაჩვენებლებზე. 2008 წლის იანვრიდან 2009 წლის იანვრამდე, ევროკავშირის საცალო ვაჭრობის მთლიანი მოცულობის ინდექსი 2,2 პუნქტით დაეცა, ხოლო 2020 წლის მარტსა და აპრილში ის თითქმის 22 პუნქტით შემცირდა. 2020 წლის გაზაფხულზე კლება გაცილებით მკვეთრი იყო, აპრილში, ავტომობილების საწვავის ინდექსი 46 პუნქტით შემცირდა, სხვა არასასურსათო პროდუქტების ინდექსი კი - 35 პუნქტით. ამასთან, საფოსტო შეკვეთები და ინტერნეტის მოხმარება 30 პუნქტით გაიზარდა.

დასკვნა

Covid-19 პანდემია დიდი გამოწვევა აღმოჩნდა როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი სამყაროსთვის. 2008 წლის კრიზისისგან განსხვავებით, საქართველოს ბიზნეს სექტორი ევროპის ქვეყნების ტრენდების ანალოგიურია და ამასთან, გარკვეული თავისებურებითაც ხასიათდება, რაც სხვა შიდა ფაქტორებთან ერთად ბიზნეს სექტორის სტატისტიკის მოცვაში არსებული განსხვავებებით არის განპირობებული.

ლიტერატურა

1. ნინო აბესაძე, სიმონ გელაშვილი, მარინე მინდორაშვილი, ლია ძებისაური – დასაქმების სტატისტიკა საქართველოს ბიზნეს სექტორში პანდემიური შოკების ფონზე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, გვ.17-28.
2. მარინე მინდორაშვილი, ლია ძებისაური – სექტორული ანგარიშების როლი ევროპულ სტატისტიკურ სისტემასთან საქართველოს თანდათანობით დაახლოებაში, იქვე, გვ.309-314
3. სიმონ გელაშვილი, თეონა ხაბეიშვილი – ბიზნესის სფეროში შრომის ანაზღურების მაჩვენებელთა სექტორული სტატისტიკური ანალიზი, იქვე, გვ.97-106
4. Simon Gelashvili, Nino Abesadze, Marine Mindorashvili, Lia Dzebauri - Modern trends of employment in Georgian industry. ბსუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება”, 21-22 ოქტომბერი, 2022.
5. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/195/biznes-sektori
6. https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Impact_of_Covid-19_crisis_on_retail_trade#Covid-19_containment_measures_in_Europe

Marine Mindorashvili
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lia Dzebisauri
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Business Statistics in the Pre-Pandemic and Pandemic Periods: Georgia and the European Union

SUMMARY

In the article the dynamics of turnover, output, intermediate consumption and value added of business statistics in the pre-pandemic and pandemic periods are based on studies conducted by Geostat and Eurostat. Based on a comparative analysis, the main differences and similarities of the methodological approaches and practices of Geostat and Eurostat were identified.

Key words: business statistics, turnover, output, intermediate consumption, value added.

ნინო მიქელაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფისკალური კონსოლიდაციის აუცილებლობა და არსებული გამოწვევები საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში

ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის განმახორციელებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე გავლენა არ არის მყისიერი და უმჯობესია, თუ ფისკალური პოლიტიკის გავლენა საშუალოვადიანი პერიოდისთვისაც შეფასდება. ფისკალური პოლიტიკის განხორციელება ხდება გადასახადებისა და ხარჯების კომპონენტების მეშვეობით. როგორც ცნობილია, ფისკალური პოლიტიკა უნდა იყოს კონტრციკლური, რაც გულისხმობს ექსპანსიური პოლიტიკის განხორციელებას რეცესიის დროს, ხოლო გამკაცრებული პოლიტიკის გატარებას ეკონომიკური გაუმჯობესებისას. COVID-19-ის პანდემიის დროს მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას, მზარდი სოციალური ხარჯებისა და შემცირებული საგადასახადო შემოსავლების გამო. პოსტპანდემიურ პერიოდში აუცილებელი გახდა ფისკალური კონსოლიდაციის გატარება, რაც ფისკალურ გამკაცრებას გულისხმობს და ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას ისახავს მიზნად. საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები მომდინარეობს იმ შეზღუდულობიდან, რომ საქართველოს ორგანული კანონით ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, გადასახადის გაზრდა (აქციზის გარდა) ნებადართულია მხოლოდ რეფერენდუმით. შესაბამისად, აღნიშნული ინსტრუმენტის შემოღება არ აძლევს ფისკალურ პოლიტიკას მოქნილობის საშუალებას და აქცენტი კეთდება ხარჯების შემცირებაზე. ამასთან, მიმდინარე ხარჯებით კონსოლიდაცია ხელს უწყობს საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკურ ზრდას, ხოლო კაპიტალური ხარჯების შემცირებამ შესაძლოა ეკონომიკური ზრდა შეაფერხოს კიდეც.

საკვანძო სიტყვები: *ბიუჯეტის დეფიციტი, ფისკალური პოლიტიკა, ფისკალური კონსოლიდაცია,*

კრიზისების შემდეგ მუდმივად დგას ფისკალური კონსოლიდაციის საჭიროება, რათა მოხდეს ფისკალური დეფიციტის ზღვრულ ნორმებში დაბრუნება და ეკონომიკური მაჩვენებლების დასტაბილურება. ფისკალური კონსოლიდაცია კი წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის იმ ნაწილს, რაც საქართველოსთვის საერთაშორისო პარტნიორების ერთ-ერთი მუდმივ რეკომენდაციას წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა მაკროეკონომიკური ეფექტი შეიძლება ჰქონდეს კონსოლიდაციას და რის ხარჯზე ხდება მსგავსი პოლიტიკის გატარება.

საქართველოს ფისკალური კონსოლიდაციისა და მისგან გამომდინარე მაკროეკონომიკური ეფექტების თემის კვლევა სიახლეს წარმოადგენს, ვინაიდან მონაცემები ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ხელმისაწვდომია 1995 წლიდან. ამასთან, კონსოლიდაციის მიმართულებით ფისკალურ პოლიტიკაში განხორციელებულ ცვლილებებთან და მის მაკროეკონომიკურ შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიური ანალიზი ბოლო წლებში დაიწყო, შესაბამისად, რაოდენობრივი და თვისობრივი შედეგების მსჯელობის კუთხითაც ბოლო ორი ათეული წელი არის ყველაზე საინტერესო. თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს ორგანული კანონით ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, ბიუჯეტის დეფიციტის მთლიან სამამულო პროდუქტთან შეფარდება არ უნდა აღემატებოდეს 3 პროცენტს, რის გამოც კრიზისებისა თუ სხვადასხვა ეკონომიკური შოკების გამო საჭირო ხდება ფისკალური კონსოლიდაცია და მიმდინარეობს მსჯელობა კონსოლიდაციის განხორციელების გზების ალტერნატივების შესახებ. ბოლო პერიოდში აღნიშნულის საჭიროება კიდევ უფრო გაზრდილია.

კვლევის მიზანს წარმოადგენს COVID-19-ის პანდემიის დროს საქართველოში ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლის ანალიზი და ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელების მიმართულებების განსაზღვრა პოსტპანდემიურ პერიოდში. COVID-19-ის პანდემია მნიშვნელო-

ვანი გამოწვევა აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკისთვის, იმის მიუხედავად, რომ ეს არ იყო უშუალოდ ეკონომიკური მიზეზებიდან გამომდინარე (Papava, 2020; Bedianashvili, 2021) და საჭირო გახდა შესაბამისი ეკონომიკური ნაბიჯების გადადგმა მის გასამკლავებლად. შესაბამისად, ნაშრომში ასევე საუბარი იქნება კონსოლიდაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების გამოყენების პერსპექტივით.

ფისკალური კონსოლიდაციის აუცილებლობა და არსებული გამოწვევები

ფისკალური პოლიტიკის განხორციელება ხდება ფინანსთა სამინისტროს მიერ გადასახადებისა და ხარჯების კომპონენტების მეშვეობით. როგორც ცნობილია, ფისკალური პოლიტიკა უნდა იყოს კონტრციკლური, რაც გულისხმობს ექსპანსიური პოლიტიკის განხორციელებას კრიზისისა და რეცესიის დროს, ხოლო გამკაცრებული პოლიტიკის გატარებას ეკონომიკური გაუმჯობესებისა და ბუმის პერიოდში. მიმდინარე ნაშრომი სწორედ ამ უკანასკნელს ეხება, როდესაც ადგილი აქვს გამკაცრებულ ფისკალურ პოლიტიკას, რაც ფისკალურ კონსოლიდაციას გულისხმობს.

ფისკალური კონსოლიდაცია შესაძლებელია გადასახადების ზრდით ან/და ხარჯების შემცირებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ორგანული კანონით ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, გადასახადის გაზრდა (გარდა აქციზისა), ნებადართულია მხოლოდ რეფერენდუმის გზით. შესაბამისად, აღნიშნული ინსტრუმენტის შემოღება არ აძლევს ფისკალურ პოლიტიკას მოქნილობის საშუალებას. საქართველო მცირე ღია ზომის ეკონომიკაა, რომლის ბიუჯეტის შემოსავლების მთლიან სამამულო პროდუქტთან წილი 2019 წელს (პანდემიამდე) 26.5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მიმდინარე ხარჯები 21.4 პროცენტზე ფიქსირდებოდა. პანდემიის შემდეგ ეს მაჩვენებლები შეიცვალა და 2020 წლისთვის შემოსავლები 25.2 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ხარჯები 26.3 პროცენტამდე გაიზარდა, ძირითადად სოციალურ მომსახურებასა და ჯანდაცვაზე, ასევე - სუბსიდიებზე გაწეული ხარჯების გამო.

დიაგრამა 1

ბიუჯეტის შემოსავლები და მიმდინარე ხარჯები საქართველოში, 2015-2022 (%-ულად მთლიან სამამულო პროდუქტთან)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2020 წელს ხარჯების ასეთმა ზრდამ, შემოსავლების კლებასთან ერთად, გამოიწვა სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტის 9.3 პროცენტამდე გაზრდა, წინა წლის 2.1 პროცენტიდან. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს კაპიტალური ხარჯებიც გაიზარდა, 0.6 პროცენტული პუნქტით,

რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ მსგავსი ტიპის ხარჯები ინფრასტრუქტურული ხასიათისაა, დროშია გაწერილი და საჭიროა დაწყებული პროექტების დასრულება, რაც ნაკლებად მოქნილს ხდის მათ სწრაფ შემცირებას. შედეგად, დეფიციტი 3 პროცენტს მნიშვნელოვნად აღემატება და გულისხმობს ფისკალური კონსოლიდაციის საჭიროებას. 2021 წლისთვის დეფიციტი შემცირდა 6.1 პროცენტამდე, ძირითადად მიმდინარე ხარჯების შემცირების ხარჯზე (მიმდინარე ხარჯები 26.3-დან 24.6 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2022 წელს მოსალოდნელია 21.8 პროცენტამდე შემცირება, ნაკლები სოციალური და ჯანდაცვის ხარჯების გამო.

დიაგრამა 2



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ფისკალური დეფიციტი პოსტპანდემიურ პერიოდში მნიშვნელოვნად არის შემცირებული და მოსალოდნელია, რომ 2022 წლისთვის 3 პროცენტიან დონეს მიუახლოვდეს, თუმცა კვლავ მაღალი იყოს. კონსოლიდაციის პროცესი მიმდინარე პერიოდშიც გრძელდება, რაც აჩენს ინტერესს რის ხარჯზე მოხდება კონსოლიდაცია და რა გავლენა ექნება ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე.

კონსოლიდაცია შეგვიძლია განვიხილოთ შემოსავლების, მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ინსტრუმენტების გამოყენებით:

- ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა ფისკალური დეფიციტის შემცირების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს, თუმცა, ვინაიდან გადასახადების განაკვეთის ზრდა შეუძლებელია რეფერენდუმის ჩატარების გარეშე, ამიტომ აღნიშნული ზღუდავს შემოსავლების ზრდისთვის გასატარებელი ღონისძიებების მოქნილობას. ამასთან, შეიძლება შემოსავლების ზრდისთვის ისეთი ღონისძიებები იყოს გამოყენებული, როგორიცაა საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება (რაცუკვე განახორციელა წლების წინ) და საგადასახადო დანახარჯების ოპტიმიზაცია (უკვე დაწყებულია მუშაობა).
- მიმდინარე ხარჯების შემცირება ერთ-ერთი ყველაზე მეტად შესაძლო ვარიანტია, ვინაიდან მიმდინარე ხარჯების კლებამ შესაძლოა საშუალოვადიანი პერიოდისთვის ეკონომიკურ ზრდასაც შეუწყოს ხელი. ამასთან, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან სოციალური დაფინანსების საკითხები, რაც მოითხოვს მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ბალანსს სოციალური. ამასთან, 2020 წელს მიმდინარე ხარჯების ზრდა დიდწილად სოციალური ხარჯების ზრდით იყო გამოწვეული, რაც 2022 წლისთვის კვლავ შემცირებულია და პანდემიამდელ დონეზეა შენარჩუნებული. ამის შემდეგ კონსოლიდაცია მიმდინარე ხარჯების კუთხით შესაძლოა არ იყოს მარტივი, ვინაიდან შრომის ანაზღაურებას ისედაც კლებადი ტენდენცია გააჩნია ბოლო წლებში, ხოლო სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების შემცირებამ შესაძლოა სოციალურ მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენა მოახდი-

ნოს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე 2020 (პანდემიის) და 2022 (პოსტპანდემიის) წლების მიმდინარე ხარჯების დეკომპოზიციაა წარმოდგენილი შედარებით მსხვილ კატეგორიებად.

დიაგრამა 3

მიმდინარე ხარჯების დეკომპოზიცია 2020 და 2022 წლებში
(%-ულად მთლიან სამამულო პროდუქტთან)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- რაც შეეხება კაპიტალური ხარჯების შემცირებას, რაც 2021 წელს უკვე განხორციელდა, შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე მეტად შეაფერხებს ეკონომიკურ ზრდას და განსაკუთრებით აისახება საშუალოვადიან პერიოდში. ამიტომ, დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შემცირების ხარჯზე ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისას.

როგორც ვხედავთ, პოსტპანდემიურ პერიოდში ფისკალური კონსოლიდაციის გაგრძელების შესაძლებლობა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური გაუმჯობესების თვალსაზრისით, როგორც შემოსავლების, ასევე - მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების გამოყენებისას. ამასთან, არ არის ცალსახა, თუ რა რაოდენობრივი შედეგების მოტანა შეუძლია თითოეულ მათგანს.

ეკონომისტებს შორის დღემდე არ არსებობს ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი ფისკალური პოლიტიკის და მათ შორის, ფისკალური კონსოლიდაციის რაოდენობრივ შედეგებთან დაკავშირებით. ზოგიერთი ეკონომისტი შეფასების პროცესში იყენებს ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორებს, რაც შესაძლოა იყოს უარყოფითიც და დადებითიც. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბუმისა და კრიზისის პერიოდში განსხვავებულია ფისკალური მულტიპლიკატორების რაოდენობრივი მაჩვენებლები. აღნიშნული ფართო ანალიზი არ ითვალისწინებს კონსოლიდაციისას გამოყენებულ ინსტრუმენტს, ხოლო მისი ჩართვის შემთხვევაში შესაძლებელია გაანალიზდეს მიმდინარე ხარჯების შემცირების ეფექტები ცალკე და კაპიტალური ხარჯების შემცირების ეფექტები ცალკე. რამდენიმე ათეული განვითარებული და გავითარებადი ქვეყნების ანალიზის საფუძველზე გამოთვლილი საშუალო შედეგების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიმდინარე ხარჯების საშუალებით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაცია ხელს უწყობს საშუალოვადიან (3 წელი) პერიოდში ეკონომიკურ ზრდას, ხოლო ფისკალური კონსოლიდაცია კაპიტალური ხარჯების შემცირებით ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს. ამასთან, მიზეზ-შედეგობრივი შედეგების საშუალებით ჩანს რომ უმჯობესია შედეგები ვნახოთ საშუალოდ 3 წლის პერიოდზე, ვინაიდან ფისკა-

ლური პოლიტიკის განხორციელებისას ეკონომიკაზე რაოდენობრივი შედეგები მაშინვე არ არის თვალსაჩინო და საჭიროა საშუალოვადიან პერსპექტივაში ანალიზი.

აღნიშნული თვალსაზრისით, საქართველოს მიერ მიმდინარე პერიოდში განხორციელებული და მიმდინარე ფისკალური კონსოლიდაცია სწორედ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნისკენ არის მიმართული, რაც მეტწილად მიმდინარე ხარჯების შემცირებით აისახება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მიმდინარე ხარჯებში შედის საჯარო მოხელეთა ანაზღაურებაზე მიმართული თანხები, პენსიაზე და სოციალურად დაუცველთა დახმარებაზე გაწეული ხარჯები და ა.შ, ანუ ისეთი ტიპის ხარჯები, რომელთა შემცირება რთული და ძირითადად შეუძლებელიც არის. შესაბამისად, მით უფრო რთული ხდება და გამოწვევად რჩება ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელება.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოსტპანდემიურ პერიოდში, ისევე როგორც კრიზისების შემდეგ, მუდმივად დგას ფისკალური კონსოლიდაციის საჭიროება, რათა მოხდეს ფისკალური დეფიციტის ზღვრულ ნორმებში დაბრუნება და ეკონომიკური მაჩვენებლების დასტაბილურება.

საქართველოში პანდემიისას ადგილი ჰქონდა საგადასახადო შემოსავლების შემცირებასა და დანახარჯების ზრდას, რაც ძირითადად სოციალური დანახარჯებიდან მომდინარეობდა. პოსტპანდემიურ პერიოდში საჭირო გახდა 9.3 პროცენტამდე გაზრდილი ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრულ ნორმებში დაბრუნება, რაც, ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, მომდევნო 3 წელიწადში 3 პროცენტიან დონეზე ქვემოთ ჩამოსვლას გულისხმობს

ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ფისკალური კონსოლიდაცია გადასახადების ზრდის ხარჯზე ვერ მოხდება, ორგანული კანონის შესაბამისად. კონსოლიდაციის მეორე ინსტრუმენტს კი ხარჯების შემცირება წარმოადგენს, რაც მიმდინარე ან/და კაპიტალური ხარჯების შემცირებას გულისხმობს. ერთის მხრივ, მიმდინარე ხარჯების შემცირება შესაძლოა არ იყოს მარტივი, გამომდინარე იქიდან, რომ ეს მოიცავს სოციალურ დახმარებებსა და პენსიებს, მეორეს მხრივ კი, კაპიტალური ხარჯების შემცირება საშუალოვადიან ეკონომიკურ ზრდას აფერხებს.

მნიშვნელოვანია სწორი ბალანსის დაცვა ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას, რათა არ მოხდეს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემცირება და ამასთან ერთად, ხელი შეეწყოს ეკონომიკურ ზრდას კაპიტალური ხარჯების მეშვეობით. აღნიშნული კვლავ რჩება გამოწვევად საქართველოს (და არა მარტო) ეკონომიკისთვის, რისთვისაც მნიშვნელოვანია ოპტიმალური ბალანსის მოძებნა და ასევე შემოსავლების ზრდის ალტერნატიული გზების მოძებნა, საგადასახადო განაკვეთების გაზრდის გარეშე.

ლიტერატურა

1. პაპავა ვ., სილაგაძე ა., (2019). ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – “Gross Domestic Product”-ის ქართული სახელწოდების შესახებ. *ეკონომიკა და ბიზნესი 2019*(1): 180-182. http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/344
2. Abdieva, R., Baigonushova, D., & Ganiev, J. (2017). Relationship Between Government Expenditure and Economic Growth in Transition Countries: Case of Kyrgyzstan and Tajikistan. *Bilig 83*: 241–258. https://dergipark.org.tr/en/pub/bilig/issue/42612/519389
3. Bedianashvili, G. (2021). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*.15(2),191-197.
4. Gurgul, H., Lach, L., & Mestel, R. (2012). The Relationship Between Budgetary Expenditure and Economic Growth in Poland. *Central European Journal of Operations Research 20*(1): 161–182. https://ideas.repec.org/a/spr/cejnor/v20y2012i1p161-182.html

5. Lingxiao, W. A. N. G., Peculea, A. D., & Xu, H. (2016). The Relationship Between Public Expenditure and Economic Growth in Romania: Does it Obey Wagner's or Keynes's Law? *Theoretical & Applied Economics 23*(3): 41-52. https://ideas.repec.org/a/agr/journl/vxxiiiy2016i3(608)p41-52.html
6. Loizides, J., & Vamvoukas, G. (2005). Government Expenditure and Economic Growth: Evidence from Trivariate Causality Testing. *Journal of Applied Economics 8*(1): 125–152. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/15140326.2005.12040621
7. Papava, V. (2020). On the Atypical Economic Crisis under the COVID-19 Pandemic. *ECONOMICS AND BUSINESS*. 24, 9-16.
8. Singh, B., & Sahni, B. S. (1984). Causality between public expenditure and national income. *The Review of economics and Statistics 66*(4): 630–644. https://www.semanticscholar.org/paper/Causality-Between-Public-Expenditure-and-National-Singh-Sahni/31a3f5185f41881fea9dce3b809b4f4db88b6911
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ 2015 წლის ფასებში. ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp , ბოლოს შესვლის თარიღი: 26 იანვარი, 2023
10. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის წლიური მონაცემები. ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: https://www.mof.ge/4566 , ბოლოს შესვლის თარიღი: 26 იანვარი, 2023

Nino Mikeladze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Necessity of Fiscal Consolidation and Current Challenges in Georgia in Post Pandemic Period

SUMMARY

After increasing fiscal deficit during Covid-19 pandemic, due to higher social spending and lower budget revenues, fiscal consolidation is crucial in the post-pandemic period, which means fiscal policy tightening. The current challenges come from the organic law, that increase of taxes is possible only after the referendum. So, this instrument does not make fiscal policy flexible and attention goes to the expenditures. Besides, consolidation through current spending supports economic growth, while reduction of capital spending might obstruct growth.

მიქიაშვილი ნინო
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიღარიბის გლობალური მიზეზები და მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნების გამოწვევები

სოციალური პრობლემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ, მათ შორის, სიღარიბე განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება როგორც ლოკალური, ასევე გლობალური მასშტაბით. კონკრეტულ დროსა და სივრცეში სიღარიბის გამომწვევი მიზეზები და გამოვლინებები რამდენადმე განსხვავებულია ერთმანეთისგან. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სიღარიბის გლობალურ მიზეზებზე, რომლებიც, უპირატესად, განაპირობებენ თანამედროვე მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ უთანასწორობას. რადგან უკიდურესი სიღარიბე, სამწუხაროდ, მსოფლიოს მასშტაბით გადაუჭრელია. 2022 წლის მონაცემებით, ყოველი მეათე ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, იმის გამო, რომ: შემოსავლები უთანასწოროდაა განაწილებული და არსებობს მნიშვნელოვანი სოციალური ბარიერები; კონფლიქტი და ძალადობა ყველაზე მეტად ეკონომიკურად შეჭირვებულ ადამიანებს აზარალებს; შიმშილი, არასრულფასოვანი კვება და განვითარებაში ჩამორჩება ხელშემშლელია ზრდასრულ პერიოდში ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად; გაუმართავია ჯანდაცვის სისტემა, განსაკუთრებით დედებისა და ბავშვებისთვის; ხელმისაწვდომი არ არის სუფთა წყალი, სანიტარიისა და ჰიგიენის საშუალებები; კლიმატური ცვლილებები დამატებით წნეხია; განათლების მიღების შესაძლებლობა შეზღუდულია; არსებობს ცუდი ინფრასტრუქტურა და საბაზო მომსახურების ვერ (ან არ) მიიღება; სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები მხარდაჭერაა; სამუშაო ადგილების და საარსებო წყაროს მოძიება გართულებულია და ბოლოს, არ არსებობს აღნიშნულ ფენაში დანაზოგები (ზეზერვები). მოცემული გლობალური მიზეზების გამოვლინება განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც შიგა ხელსუხლებით ვერ უზრუნველყოფენ სიღარიბის მიზეზების სიმწვავის დაძლევას, რასაც მიზანმიმართული, გეგმური, სისტემური ქმედება სჭირდება.

საკვანძო სიტყვები: *სიღარიბე, სიღარიბის მიზეზები, სიღარიბის დაძლევა, სოციალური პრობლემები*

გლობალური უთანასწორობის ეკონომიკური გამოვლინება ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ ფენებში ვლინდება. საკმაო სირთულეებს უკავშირდება უთანასწორობის სისტემის ანალიზი და აქედან გამომდინარე, მასთან ბრძოლის მრავალგანზომილებიანი, სისტემური და მრავალმასშტაბიანი ბრძოლის პერსპექტივა (Carmo, 2021). კაცობრიობის უთანაბრო პროგრესის გამო, ზოგ ქვეყანაში დაფიქსირდა მნიშვნელოვანი ზრდა, ხოლო ზოგან - დაცემა. გაცხადებული დევიზი, მიუხედავად საცხოვრებელი ადგილისა, თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს თანაბარი პირობები განვითარებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად, დიდი ძალისხმევა აქვს კაცობრიობას გასაწევი. ადამიანის უფლებების დაცვას შესაბამისი ეკონომიკური საფუძველი სჭირდება, რის გარეშეც, მხოლოდ დეკლარირებული სურვილის დონეზე დარჩება უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა. უკვე ფაქტებით დასტურდება, რომ ეკონომიკური ზრდა საკმარისი არაა სიღარიბის შემცირებისთვის. მხოლოდ ინკლუზიური ზრდა და სახელისუფლო ორგანოების კომპლექსური, მიზანმიმართული ქმედება განაპირობებს მდგრადი განვითარების ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

სიღარიბედ მიიჩნევა უუნარობის და უსახსრობის გამო ცხოვრების იმ წესიდან ჩამოშორება, რომელსაც სასურველად მიიჩნევს კონკრეტული საზოგადოება დროის გარკვეულ პერიოდში. ამდენად, სიღარიბე კეთილდღეობის ნაკლებობაა. იგი ფარდობითი ცნებაა, რომელიც გაზომვადი და არაგაზომვადი ფაქტორების მიხედვით ყალიბდება. ფართოდაა გავრცელებული სიღარიბის ფინანსური, მატერიალიზებული გაგება, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა აქვს სიღარიბის ფსიქოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, მენტალურ, ეთიკურ, ზნეობრივ-მორალურ, რელიგიურ-კულტურულ და სხვა საწყისებს.

მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 8%-10% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს (World Bank, 2022). დღეში 2 დოლარზე ნაკლებს მოიხმარს ჩვენი სამყაროს დაახლოებით 600 მილიონი ადამიანი. 1990 წელს ეს მაჩვენებელი 1,8 მილიარდი ადამიანი იყო. შესაბამისად, ბოლო სამი

ათწლეულის განმავლობაში სერიოზული პროგრესია დაფიქსირებული სოციალური დაცვის მიმართულებით, თან იმ ფონზე, რომ მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა უწყვეტად იზრდება. სიღარიბის სხვადასხვა დეფინიციის მიუხედავად, მსოფლიო ბანკი პერიოდულად აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას მსოფლიოში არსებული სიღარიბის და სიღატაკის შესახებ. ნიშნულად აღებულია ყოველდღიური მოხმარება, რომელიც უტოლდება ან 1,9, ან 3,2, ან 5.5 ამერიკის შეერთებული შტატების დოლარს. ბოლო წლების მონაცემების მიხედვით, 2010 წლიდან 2020 წლამდე სამივე კრიტერიუმით შეიმჩნევა კლების შედარებით მკვეთრი ტენდენცია. 2020 წელს, როცა პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგები შოკურ ეფექტს ახდენდა ეკონომიკასა და მოსახლეობაზე, გამოვლინდა აბსოლუტური სიღარიბის ყველა მაჩვენებლის ზრდა, თუმცა ცვლილების განსაკუთრებით შესამჩნევი ეფექტი 5,5$-ის წილობრივ მაჩვენებელშია ასახული. 2021 წლიდან აბსოლუტური სიღარიბის შემცირება სახეზეა, რაც სასურველია მიმდინარე და მომდევნო წლებშიც შენარჩუნდეს. დადებითი დინამიკა მყისიერად ვერ გამოიწვევს სიღარიბის მნიშვნელოვან შემცირებას. საქართველოს შემთხვევაში, სიღარიბის მაჩვენებლების შედარება დროსა და სივრცეში რთულია, რადგან საარსებო მინიმუმის ზღვარი მუდმივად იცვლება.

მსოფლიო ბანკის მიერ, ასევე, ხდება მსოფლიო მოსახლეობის კეთილდღეობის შესწავლა-შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ინდივიდი საშუალოდ დღეში მოიხმარს თუ არა: 1; 2,15; 3,65; 6,85; 10; 20; 30; 40 ამერიკის შეერთებული შტატების დოლარს. ასევე, შეფარდებითი სიღარიბის მაჩვენებლად მოიაზრება 40, 50, 60%-იანი მედიანური მოხმარება. სამწუხაროდ, მკვეთრია განსხვავება სხვადასხვა ქვეყნებს შორის ყველა კრიტერიუმის მიხედვით. სწორედ ამიტომაც, მიზანშეწონილია სიღარიბის გლობალური მიზეზების დახასიათება და შემდგომში, შესაბამისი ღონისძიებების დასახვა მათ აღმოსაფხვრელად ან/და შესამცირებლად.

სიღარიბის გლობალური მიზეზები. მეცნიერთა და პრაქტიკოსთა შეხედულებების შეჯერების გზით, უპირატესად, განიხილება გლობალური სიღარიბის 11 მიზეზი (World Bank, 2022). თითოეული მათგანი მეტ-ნაკლები სიმწვავით იჩენს თავს კონკრეტულ ქვეყანაში. სიღარიბის გლობალური მიზეზები პერიოდულად გადაიხედება. ბოლოს, 2020 წელს ჩამოყალიბდა შემდეგი მიზეზები:

- შემოსავლების უთანასწორო განაწილება და სოციალური ბარიერების არსებობა;
- კონფლიქტი და ძალადობა;
- შიმშილი, არასრულფასოვანი კვება და განვითარებაში ჩამორჩება;
- გაუმართავი ჯანდაცვის სისტემა, განსაკუთრებით დედებისა და ბავშვებისთვის;
- სუფთა წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საშუალებების უქონლობა;
- კლიმატური ცვლილება;
- განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობა;
- ცუდი ინფრასტრუქტურა და საბაზო მომსახურების ვერ (ან არ) მიიღება;
- სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები მხარდაჭერაა;
- სამუშაო ადგილების და საარსებო წყაროს მოძიების სირთულეები
- დანაზოგის (რეზერვის) არარსებობა.

სიღარიბის თითოეული გლობალური მიზეზი მოკლედ ასე დახასიათდება:

1. **შემოსავლების უთანასწორო განაწილება და სოციალური ბარიერების არსებობა** საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფსა და ფენას შორის ბარიერებს აჩენს, ამყარებს და აღრმავებს. შესაბამისად, ზოგიერთი მათგანისთვის განვითარების პერსპექტივა იხშობა, თუ მსგავსი დაყოფა ხანგრძლივი და უცვლელია. ამ შემთხვევაში, სისტემური ხასიათის ბარიერები ადამიანთა ჯგუფების გარიყულობას უწყობს ხელს. იმისათვის, რომ მოსახლეობამ თავი დააღწიოს სიღარიბეს, საზოგადოების ყველა ნაწილის ინტერესია გასათვალისწინებელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ე.წ. პრობლემურ ჯგუფებს. ამასთან, მსგავსი ჯგუფების და მათი საჭიროებების გამოვლენა პერმანენტულ ხასიათს უნდა ატარებდეს. გენდერული, კასტური,

რასობრივი და ა.შ. კუთვნილება ზოგჯერ ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის საფუძველია, რაც ვლინდება სრულფასოვანი ცხოვრებისათვის საჭირო რესურსებზე შეზღუდულ წვდომასა და სიღარიბის დაუძლევლობაში.

მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებმა ამ მხრივ განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა გაწიონ, რათა უთანასწორობამ არ მიიღოს სისტემური ხასიათი, რაც გლობალიზაციის პირობებში ხელს უწყობს აქტიური შრომითი რესურსების ქვეყნიდან გადინებას. ეს კი დამატებით მანკიერ წრეს ქმნის და კიდევ უფრო მეტად ართულებს ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებას.

2. **კონფლიქტი და ძალადობა** ყველაზე მეტად ეკონომიკურად შეჭირვებულ ადამიანებს აზარალებს. სამწუხაროდ, კონფლიქტი სიღარიბის რისკის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ფართომასშტაბიანი, გაჭიანურებული ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, ცხადად აჩვენებს, რომ, მათ, ვინც ვერ ან არ მოახერხა კონფლიქტის ზონის დატოვება, ფიზიკური განადგურების და დასახიჩრების, მატერიალური ქონების დაკარგვის რისკი მნიშვნელოვნად ეზრდებათ. ნადგურდება საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა და ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილება მინიმალურ დონეზეც ვერ ხერხდება, რაც ასტიმულირებს მასობრივ ემიგრაციას და საშუალო ფენის განადგურებას. ასე მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტის მეათე წლისთვის სირიაში საშუალო კლასი მთლიანად განადგურდა და მოსახლეობის დაახლოებით 80% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების ეკონომიკური შედეგები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია, თუმცა ძალადობის მასშტაბიდან გამომდინარე, მდგომარეობა აქაც სავალალო იქნება. მსგავსი შედეგი მოსდევს ყველა ხანგრძლივ კონფლიქტს და თანდათანობით იკლებს იმის ვარიანტი, რომ სიღატაკე და სიღარიბე შიგა რესურსებით იყოს დაძლეული.

შედარებით ნაკლები მასშტაბი აქვს არასამხედრო ძალადობას, თუმცა ისიც სიღარიბის მაპროვოცირებელი ან გამაღრმავებელია. მაგალითად, ქურდობა, ქონების და სხეულის დაზიანება და მისთ., თუ მათი აღმოფხვრა ვერ ხერხდება, დაჩაგრულ ნაწილს სიღარიბისთვის წირავს. სამეზობლო, საოჯახო და ნებისმიერი სხვა კონფლიქტის მოგვარების ისეთი სამართლებრივი ბაზის შექმნისკენ სწრაფვა არის საჭირო, რომელიც მნიშვნელოვან დანაკარგებს ააცილებს როგორც კონკრეტულ პირს, ასევე, საზოგადოებას. ამ მხრივ, მცირე ეკონომიკის ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ წარმატებული ქვეყნების გამოცდილება და მოახდინონ მისი ადაპტაცია არსებულ რეალობასთან.

3. **შიმშილი, არასრულფასოვანი კვება და ჩამორჩენა** ხელშემშლელია ზრდასრულ პერიოდში ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად; გარკვეულწილად, ჩაკეტილი წრე იქმნება, არასრულფასოვანი ფიზიკური განვითარება, განსაკუთრებით, ჩასახვიდან პირველ 3 წლამდე, ჯანმრთელობის პრობლემებს უქმნის ადამიანს. დედისა და ჩვილის ჯანმრთელობაზე ზრუნვაც სწორედ ამ მიზეზით არის გამძაფრებული. მოზრდილ ასაკში ჩამორჩენის დაძლევა ძალიან რთულია და პირს უკვე აღარ შეუძლია კვალიფიციური თუ არაკვალიფიციური შრომის ბაზრის კონკურენტუნარიანი წევრი გახდეს, რაც, თავის მხრივ, სიღარიბის დაძლევის პერსპექტივას სრულად გამორიცხავს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მოზრდილები, რომლებიც ბავშვობაში ჩამორჩნენ, საშუალოდ 22%-ით ნაკლებს გამოიმუშავებენ, ვიდრე ისინი, ვისაც მსგავსი პრობლემა არ ჰქონია. ცხადია, მსგავსი უკუსვლა მხოლოდ პიროვნების ან ოჯახის დონეზე არ იჩენს თავს და საბოლოოდ, ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში აისახება ზრდისა და განვითარების შეფერხების სახით.

4. **გაუმართავი ჯანდაცვის სისტემა, განსაკუთრებით დედებისთვის და ბავშვებისთვის** წინა მიზეზის ერთ-ერთი საფუძველია. იმ ქვეყნებში, სადაც ჯანმრთელობის სისტემა სუსტი და გაუმართავია, ადვილად პრევენციული და განკურნებადი დაავადებები შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს, განსაკუთრებით, მცირეწლოვანი ბავშვებისთვის. სამედიცინო დაწესებულებებისადმი ფიზიკური და მატერიალური წვდომა, მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების შეძენის შესაძლებლობა ხშირად არ აქვთ სოციალურად დაუცველ ოჯახებს და თუ აქვთ, მსგავსი დანახარჯი ამცირებს ან ანულებს მათ აქტივებს და სიღარიბიდან უკიდურეს სიღარიბეში იძუ-

ლებით გადაჰყავს. მსგავს სირთულეებს მეტად მგრძნობიარედ აღიქვამს ორსული და მეძუძური დედა, თან თუ ის მოზარდ ასაკში არის. ამდენად, აღნიშნული მიზნობრივი ჯგუფი დამატებითი ზრუნვას საჭიროებს.

5. **სუფთა წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური საშუალებების უქონლობა** კვლავ და კვლავ ყველაზე მეტად ღარიბ ფენას აწუხებს. მსოფლიო მასშტაბით, 2 მილიარდზე მეტ ადამიანს არ აქვს სახლში სუფთა წყალი, რის გამოც, უპირატესად, ქალები და გოგონები, მთლიანობაში ყოველდღიურად დაახლოებით 200 მილიონ საათს ხარჯავენ შორი მანძილიდან წყლის მოსატანაში. ცხადია, მსგავსი დანახარჯი კიდევ მეტად ამძიმებს მათ ყოფას და ამცირებს განათლების და აქედან გამომდინარე, სამუშაოს მიღების პერსპექტივას. მეორე მხრივ, დაბინძურებული წყალი იწვევს მრავალ დაავადებას. ამდენად, წყლის ცუდი ინფრასტრუქტურა, სანიტარული და ჰიგიენური საშუალებების უქონლობა ართულებს ან/და ქმნის დამატებით ბარიერებს სიღარიბისგან თავის დაღწევის კუთხით.

6. **კლიმატის ცვლილება** დამატებითი წნეხია, რომელიც იწვევს სიღარიბის მასშტაბის ზრდას. იგი იწვევს შიმშილს, რადგან როგორც გვალვა, ასევე, წყალდიდობა, მოსავლის დაკარგვის, ან მკვეთრი შემცირების მიზეზი შეიძლება გახდეს. მსოფლიო ბანკის შეფასებით, კლიმატის ცვლილებას შეუძლია 100 მილიონზე მეტი ადამიანი ღარიბი გახადოს მომდევნო ათწლეულის განმავლობაში. მსგავსი პროგნოზი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მსოფლიოს უღარიბესი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მიწათმოქმედებით ან ნადირობა-შეგროვებით ახდენს საარსებო წყაროს მოპოვებას. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ ღარიბ, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ხშირად არ აქვთ საკმარისი საკვები, მითუმეტეს, რეზერვი ცუდი მოსავლის შემთხვევაში. ამდენად, კლიმატის ცვლილება ან/და ბუნებრივი კატასტროფა მილიონობით ადამიანს ტოვებს საკვების გარეშე და ითრევს სიღარიბის მორევში. აქვე აღსანიშნავია, რომ მსხვილმასშტაბიანი და გრძელვადიანი სამხედრო კონფლიქტები კიდევ უფრო მეტ ზიანს აყენებს სამყაროს. გარემოზე ზრუნვის წლობით დაგროვილი დადებითი ეფექტი შეიძლება განულდეს ან უარყოფითი გახდეს ცხელი კონფლიქტების გამო. ეკოსისტემის დაზიანებას, ასევე, იწვევს გლობალური პროექტები, ამიტომ წინასწარ ეკოლოგიურ შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

7. **განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობა,** უპირატესად, სიღარიბის მაპროვოცირებელია. მართალია, ყველა ადამიანი, ვისაც განათლება აქ აქვს მიღებული, არ ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში, მაგრამ უკიდურესად ღარიბთა უმრავლესობას არ აქვს განათლება. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, ყურადსაღებია საგანმანათლებლო დაწესებულებები და სასწავლო ნივთები რამდენად ხელმისაწვდომია ოჯახებისთვის. მინიმუმ კითხვის უნარი ასობით მილიონ ადამიანს დააღწევინებს თავს უკიდურესი სიღარიბიდან. სიღარიბის, როგორც სოციალური პრობლემის დაძლევას კი სჭირდება თანამედროვე განათლების სისტემის უზრუნველყოფა. სწორედ მსგავსი საფუძველი დაამაგრებს ქვეყანაში კვალიფიციურ კადრს და საშუალებას მისცემს ქვეყანას განავითაროს კონკურენტუნარიანი დარგები, შექმნას დოვლათი და თანასწორობის რაციონალური პრინციპის დაცვით ის გაანაწილოს მოსახლეობის ფართო ფენებზე. შესაბამისად, განათლება მძლავრი იარაღია სიღარიბის აღმოფხვრის საქმეში და ამ მხრივ, მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებმა ეს რესურსი დროულად და უწყვეტად უნდა გამოიყენონ.

8. **ცუდი ინფრასტრუქტურა და საბაზო მომსახურების ვერ (არ) მიღება** დამატებით დაბრკოლებას ქმნის სიღარიბის დაძლევის საქმეში. დაუბრკოლებელი გადაადგილების, სამედიცინო და საგანმანათლებლო, ტექნიკური და ტექნოლოგიური მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებად მიიჩნევა. საბაზისო სერვისებზე წვდომა აიოლებს ეკონომიკურ აქტივობას, იზოლაცია კი ზღუდავს შესაძლებლობებს.

9. **სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები მხარდაჭერა,** ფაქტობრივად, გამოიხატება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ყველა იმ მომსახურებისა და საქონლის ვერმიწოდებაში, რომელიც ცხოვრების მინიმალურ დონეს უზრუნველყოფს. რიგ ქვეყნებში, სადაც ეკონომი-

კური განვითარება იძლევა საშუალებას, არსებობს სოციალური კეთილდღეობის პროგრამები. ისინი ბენეფიციარებს ეხმარებიან ჯანდაცვის კუთხით ან/და საკვებით. სწორედ ამიტომ, ეფექტიანი მთავრობა შედარებით იოლად ახდენს უკიდურესი სიღარიბის რამდენიმე მიზეზის აღმოფხვრას, რადგან მათ შეუძლიათ უზრუნველყონ საჭირო ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვის და განათლების სისტემა, მოქალაქეების უსაფრთხოება საშინაო თუ საგარეო კუთხით და სხვ.

10. **სამუშაო ადგილების და საარსებო წყაროს მოძიების სირთულეები** განპირობებულია ქვეყნის დაბალი ეკონომიკური აქტივობით, რომელიც ჯაჭვური ეფექტით იწვევს ან წარმოქმნის ყველა იმ მიზეზს, რომელიც სიღარიბის მაპროვოცირებელია. ამასთან, როგორც, უკვე აღნიშნა, უბიძგებს შრომისუნარიან მოსახლეობას, არსებობის საშუალებები ეძებოს ქვეყნის გარეთ და წვლილი შეიტანოს უცხო ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

11. **დანაზოგის (რეზერვის) არარსებობა** მაკროეკონომიკის და მიკროეკონომიკის დონეზე ნებისმიერ, მკვეთრ, გაუთვალისწინებელ შემთხვევას საშუალებას აძლევს სიღარიბის პრობლემის სტიმულირება და გამწვავება მოახდინოს. ამიტომაც, ის საზოგადოება, რომელსაც დაზოგვის საშუალებას მიმდინარე შემოსავლები უქმნის, გაცილებით მდგრადია და სიღარიბის მასშტაბების შეკვეცას ნაკლები დანახარჯებით ახდენს.

საქართველოს შემთხვევაში, სიღარიბის მასშტაბის შესახებ წარმოდგენა იქმნება შემწეობის პირთა რაოდენობაზე დაკვირვებით. ის, მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, ნამდვილად საგანგაშოა (იხ. ცხრილი).

ცხრილი. საქართველოში შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 2012-2021 წლებში

წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
მიმღები პირი	501 445	453 857	421 387	389 650	476 084	455 813	435 450	427 373	524 598	633 586

წყარო. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ამასთან, უკიდურესი სიღარიბე მეტია სოფლად, ვიდრე ქალაქად, ყველაზე მეტია მოზარდებში და ნაკლები 65+ ასაკის მოსახლეობაში, ოდნავ მეტია კაცებში, ვიდრე ქალებში

დასკვნები. სიღარიბის მიზეზების გამოვლენა და შესწავლება აღნიშნული სოციალური პრობლემის მოგვარების საწყისი ეტაპია. არსებული სიტუაციის გაანალიზების შემდგომ, სიღარიბის მიზანმიმართული აღმოფხვრის ყველაზე მეტად აპრობირებული გზაა საშუალო ფენის ხვედრითი წილის გაზრდა, პარალელურად ან ეტაპობრივად საშუალო ხელფასის და შემოსავლების მატების ფონზე. 2019 წელს, პანდემიამდე, საქართველოში საშუალო ფენა მთლიანი საოჯახო მეურნეობებს 27,8% იყო, რაც ათი წლის წინანდელ შესაბამის მაჩვენებელს თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა. პანდემიის გამო ეკონომიკური საქმიანობების მკვეთრმა შეზღუდვამ საშუალო ფენის ზრდის დინამიკაში კორექტივები შეიტანა, თუმცა 2022 წლის ეკონომიკური ზრდის მონაცემები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

სიღარიბის სოციალური პრობლემის ეტაპობრივი გადაჭრა და სიღარიბის გლობალური მიზეზების აღმოფხვრა საჭიროებს: დაკონკრეტებულ, კომპლექსური სტრატეგიის შემუშავებას; შესაბამისი სოციალური პოლიტიკის განხორციელებას; მიმდინარე გამოწვევებზე ადეკვატურ და დროულ რეაგირებას; კეთილდღეობის ზრდას და „არაკეთლდღეობის“ შემცირებას; მსოფლიო და რეგიონული დესტრუქციული ქმედებების მაქსიმალურ შეზღუდვას და კონსტრუქციულ თანამშრომლობის წახალისებას; სიღარიბის დაძლევისთვის გამოყოფილი სახსრების ადგილებზე მიმართვას და შრომითი მიგრაციის მასშტაბების რაციონალიზაციას და სხვ.

ლიტერატურა

1. გერგედავა, მ. (2020). გლობალური უთანასწორობა ეკონომიკურ ჭრილში. https://sustainability.ge - დან.
2. კაკულია, მ., კაპანაძე, ნ., ქურხული, ლ. (2017) ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში. ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბილისი.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოძიებულია https://geostat.ge-დან.
4. Carmo, R.M., (2021). Social inequalities: theories, concepts and problematics. SN Social Science1:116. Retrieved from: https://repositorio.iscte-iul.pt/bitstream/10071/22797/1/article_81783.pdf
5. Concern Worldwide, (2022). Retrieved from: https://www.concern.net/news/causes-of-poverty
6. Dean, J & Prydz, E. (2017). Societal poverty: a relative and relevant measure . Policy Research working paper; no. WPS 8073, Washington, D.C. : World Bank Group.
7. Poverty Data Explorer of World Bank data. Retrieved from https://ourworldindata.org/
8. Roser, M. Global Economic Inequality. Retrieved from https://ourworldindata.org/global-economic-inequality
9. Smith, H., Pettgrew, T., & Huo, I. (2020). Relative Deprivation Theory: Advances and Applications. In book: Social Comparison, Judgment, and Behavior.
10. Social Programs That Work. Retrieved from https://evidencebasedprograms.org/
11. World Bank. (2022). Poverty. Retrieved from https://www.worldbank.org/en/topic/poverty

Nino Mikiashvili
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Global Causes of Poverty and Challenges for Small Open Economies

SUMMARY

Social problems are diverse, but among them, poverty is perceived as particularly acute both locally and globally. The causes and manifestations of poverty in a particular time and space are somewhat different from each other. The work focuses on the global causes of poverty, which mainly lead to economic inequality in the modern world. Because extreme poverty, unfortunately, is incurable throughout the world. According to 2022 data, one in ten people live in extreme poverty because: income is unevenly distributed and there are significant social barriers; Conflict and violence most affect economically disadvantaged people; Hunger, malnutrition and stunting prevent normal conditions in adulthood; The health system is failing, especially for mothers and children; there is no clean water, sanitation and hygiene facilities; Climate change is an additional pressure; Educational opportunities are limited; Poor infrastructure and basic services cannot (or will not) be received; Less support from the state; It is difficult to find a job and a livelihood, and finally, there are no savings (reserves) in this layer. The manifestation of these global causes is especially acute in economically less developed countries that cannot provide internal resources to overcome the severity of the causes of poverty, which requires targeted, systematic, systemic actions.

Keywords: Poverty, causes of poverty, overcoming poverty, social problems.

ია ნაცვლიშვილი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაცია-ხელშემწყობი ფაქტორები და ბარიერები

მსოფლიოში ახსებულმა Covid-19 პანდემიამ და უმწვავესმა პოლიტიკურმა გარემოებებმა, რაც გამოწვეულია რუსეთის უკრაინაში შეჭრით და მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომით, საფრთხე შეუქმნა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას 2030 წლისთვის. მსოფლიოში შექმნილია რთული გეოეკონომიკური ვითარება და პროგნოზებიც დიდი ოპტიმიზმით არ გამოირჩევა. მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა კვლავ რჩება აქტუალურ ამოცანად. შესაბამისად, აქტუალურია მდგრადი მეწარმეობის სპეციფიკისა და ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მდგრადი მეწარმეობის სპეციფიკური მახასიათებლების, ასევე, ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის მამოძრავებელი ძალებისა და ბარიერების ანალიზი. ამ მიზნის მისაღწევად კვლევისას გამოყენებულია სამაგიდო კვლევის, ლიტერატურის სტრუქტურირებული შედარებითი მიმოხილვისა და ანალიზის, ასევე, მეორადი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის მეთოდები. ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია სამეცნიერო წრეებში, ინდუსტრიის წარმომადგენლებსა და პოლიტიკოსებს შორის განიხილება როგორც ხელუხლების უყაირათოდ ხარჯვის, დაბინძურებისა და მავნე აირების გაფრქვევის შემცირების სტრატეგია. ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაცია მრავალ მკვლევართა მიერ მიჩნეულია ამ კონცეფციის პრაქტიკულ განხორციელებად ორგანიზაციულ დონეზე. ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის მამოძრავებელ ძალებად და ბარიერებად განიხილება ფაქტორები, რომლიც ან ხელს უწყობს ან თრგუნავს ორგანიზაციულ ერთეულებს ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის კონცეფტუალიზაციისა და განხორციელები პროცესში.

საკვანძო სიტყვები: *ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაცია, ცირკულარული ეკონომიკა, მდგრადი ბიზნეს მოდელი.*

ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის განმსაზღვრელია დღევანდელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. იგი უზრუნველყოფს გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალურად გათვალისწინების პირობებში. 2015 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვისნ განისაზღვრა 15 წლიანი სამოქმედო გეგმა მსოფლიოს წინაშე არსებულ გლობალური გამოწვევებთან გასამკლავებლად. რეზოლუციაში წარმოდგენილია მდგრადი განვითარების ურთიერთდაკავშირებული 17 მიზანი და 169 ამოცანა, რომლებიც დაჯგუფებულია სამ ძირითად-ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ კატეგორიებში. (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2021წ.) მდგრადი მეწარმეობა აღწერს კავშირს მდგრად განვითარებასა და მეწარმეობას შორის. მდგრადი მეწარმეობა აღნიშნული რეზოლუციით განსაზღვრული მდგრადი განვითარების მიზნების მეთორმეტე მიზანია, რაც გულისხმობს ნარჩენების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა, ასევე, ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ დღეს მსოფლიოში არსებულმა რთულმა პანდემიურმა ვითარებამ და უმწვავესმა გეოპოლიტიკურმა გარემოებებმა, რაც გამოწვეულია რუსეთის უკრაინაში შეჭრით და მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომით, საფრთხე შეუქმნა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას 2030 წლისთვის. დღეს მსოფლიოში შექმნილია რთული ეკონომიკური ვითარება და პროგნოზებიც დიდი ოპტიმიზმით არ გამოირჩევა. მდგრადი განვითარების მიზნები ეფუძნება მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. თანამედროვე პანდემია სამივე ამ ელემენტზე უკიდურესად მძიმე გავლენას ახდენს: იწვევს ღრმა გლობალურ ეკონომიკურ რეცესიას, ამწვავებს უთანასწორობისა და სიღარიბის პრობლემას, საფრთხეს უქმნის გარემოსდაც-

ვით ღონისძიებებზე ძალისხმევის კონცენტრაციას (ნაცვლიშვილი, 2020). თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობის კონტურები შეჯამებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ეგიდით „ახალი ეკონომიკის და საზოგადოების ცენტრის“ კვლევაში, იდენტიფიცირებულია შემდგომი პრიორიტეტები ბიზნეს ლიდერებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთათვის იმ პირობების საპასუხოდ, როცა მსოფლიო ეკონომიკა იღებს შოკურ დარტყმებს გეო-ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მოვლენებისგან.

ზემოთ აღნიშნული კვლევის ფარგლებში (World Economic Forum, 2023) 2022 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წამყვანი მკვლევარების, ასევე, კერძო და საჯარო სექტორიდან მთავარი ეკონომისტების გამოკითხვა. მთავარი ეკონომისტების პროგნოზში 2023 წლისთვის ხაზგასმულია ისტორიული მასშტაბის ეკონომიკური გაურკვევლობისა და პოლიტიკური გამოწვევების გაგრძელება. ეკონომიკურ პროცესებზე კვლავ ადგილი ექნება ომისა და მსოფლიოში პოლიტიკური დაძაბულობის გავლენას. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით მსოფლიოში ეკონომიკური საქმიანობის მოდელები კვლავ გააგრძელებენ ცვლილებას (73%-გარკვეულწილად, 27%-ძალიან ძლიერად) ახალი გეოპოლიტიკური ბზარებისა და ქარტეხილების კვალდაკვალ. პროგნოზში მოსჩანს გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველიც, კერძოდ, ინფლაციური წნეხის შემსუბუქება, მოსალოდნელია ინფლაციის მნიშვნელოვანი ვარიაცია რეგიონალურ ჭრილში. თუმცა, პროგნოზის სხვა მრავალი ასპექტი არასახარბიელოდ გამოიყურება: გადაწყვეტილებების მიმღებები და პოლიტიკოსები მძიმე ალტერნატივების წინაშე აღმოჩნდებიან, ხოლო საოჯახო მეურნეობებს და ბიზნესებს დასჭირდებათ სიძნელეების გადასალახად „ქარის საპირისპირო მიმართულებით სვლასთან“ ადაპტაცია.

რესპოდენტთა თითქმის ორი-მესამედი 2023 წელს გლობალური რეცესიას წინასწარმეტყველებს. რეგიონალურ ჭრილში შემდეგი პროგნოზი კეთდება: ეკონომისტთა 100% 2023 წლისთვის წინასწარმეტყველებს სუსტ ან ძალიან სუსტ ზრდას აშშ-ში, ხოლო ევროპაში იგივე ტენდენციას წინასწარმეტყველებს ეკონომისტთა 91%. გამოკითხვაში მონაწილე ეკონომისტების პროგნოზები თანაბრად გაიყო შემდეგ საკითხთან დაკავშირებით: დარჩება თუ არა კვლავ შეზღუდული შრომის ბაზარი 2023 წელს სუსტი ეკონომიკური ზრდის ფონზე. გამოკითხულთა პროგნოზის მიხედვით ცხოვრების ხარჯებმა შესაძლოა პიკს მიაღწიოს 2023 წლის დასაწყისში, თუმცა ნაკლებად მწვავე იქნება წლის ბოლოსთვის. იგივე ტენდენცია იკვეთება ენერგოკრიზისთან დაკავშირებით: გამოკითხულთა ორი მესამედი ოპტიმიზმს ინარჩუნებს და ვარაუდობს წლის ბოლოსთვის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ათიდან ცხრა გამოკითხული ვარაუდობს სუსტ მოთხოვნას და სესხის აღების მაღალ დანახარჯებს, ხოლო გამოკითხულთა 60% ასევე ვარაუდობს რესურსებზე მაღალ დანახარჯებს.

მთავარ ეკონომისტთა უმრავლესობას მიიჩნევს, რომ მულტინაციონალური ბიზნესები შეამცირებენ ხარჯებს-ოპერაციულ დანახარჯებს და დანახარჯებს შრომაზე, მოახდენენ მიწოდების ჯაჭვის ოპტიმიზაციას (გამოკითხულთა 77%). გამოკითხვის შედეგებით გამოვლინდა მიმდინარე ეკონომიკურ კონტექსტში ოპტიმიზმის სამი მთავარი წყაროები: საოჯახო მეურნეობათა საბალანსო ანგარიშების სიძლიერე, ინფლაციის პიკის გადავლა და შრომის ბაზრის მედეგობა. რესპოდენტებმა ასევე დაასახელეს ჩინეთის ეკონომიკის გააქტიურების ტენდენციები, ენერგიის გარდაქმნის სფეროში ეკონომიკური შესაძლებლობები, დამწყები ბაზრების (განვითარებადი ქვეყნების ბაზრების) შედარებითი მედეგობა და „ცოდნის“ მუშაკთა/ინტელექტუალურ მუშაკთა სამუშაო ადგილების მოქნილობა (World Economic Forum, 2023).

მიუხედავად აღნიშნული რთული ვითარებისა და დღეს არსებული გამოწვევებისა, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა კვლავ რჩება აქტუალურ ამოცანად. შესაბამისად, აქტუალურია მდგრადი მეწარმეობის სპეციფიკისა და ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის (ცბმი) წარმართველი ფაქტორებისა და ხელისშემშლელი გარემოებების ანალიზი. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენდა მდგრადი მეწარმეობის სპეციფიკური მახასიათებლების, ასევე, ცბმი-ის მამოძრავებელი ძალებისა და ბარიერების ანალიზი. ამ

მიზნის მისაღწევად კვლევისას გამოყენებულია სამაგიდო კვლევის, ლიტერატურის სტრუქტურირებული შედარებითი მიმოხილვისა და ანალიზის, ასევე, მეორადი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის მეთოდები.

მდგრადი მეწარმეობა და ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის კონცეფცია. მდგრადი მეწარმეობა განიხილება როგორც გარემოს დეგრადაციისა და სოციალური უთანასწორობის პრობლემის გადაწყვეტის პოტენციური გზა. კომპანიის საქმიანობაში მდგრადობის ჩართვა დაკავშირებულია სირთულეებთან და გაურკვევლობასთან განსხვავებული და ზოგჯერ საპირისპირო მიზნების გამო, რაც გულისხმობს ორგანიზაციებისგან ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ღირებულებების ერთდროულად მიღწევას (Farny & Binder, 2021).

მდგრადი მეწარმეობა მოიცავს ისეთ აღმოჩენას, შექმნასა და სამეწარმეო შესაძლებლობების გამოყენებას, რაც საზოგადოებისთვის სოციალური და გარემოსდაცვითი მიღწევებით ხელს უწყობს მდგრადობას. შესაძლებლობების შექმნის კონცეფცია არის მთავარი ფაქტორი. მეწარმეობასა და მდგრადობას შორის საერთო საფუძველია ხანგრძლივობის კონცეფცია: მიმდინარე რესურსების შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის და უნიკალური გადაწყვეტილებების შემუშავება გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა, მომავალი თაობების საჭიროებები სწრაფად იცვლება და მათი წინასწარ განჭვრეტა ურთულესია. მდგრადი მეწარმეობა შესაძლებლობების შექმნის გზითა და განვითარებით ქმნის საზოგადოებისთვის სასარგებლო ღირებულებებს გაურკვეველ გარემოში. ეს გულისხმობს რისკზე წასვლას უნარს, ინოვაციურ დამოკიდებულებასა, კეთილგონიერებას და ეთიკურ საკითხებს. დღეისათვის ბევრი პრაქტიკოსი და მეცნიერი განიხილავს მდგრად მეწარმეობას, როგორც ბიზნესის წარმატების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს. მდგრად მეწარმეობას წარმოქმნის ინოვაციას და კონკურენტულ უპირატესობას ახალ და არსებულ საწარმოებში. მდგრად მეწარმეობას აქვს პოტენციალი იყოს გამარჯვების მომტანი სტრატეგია და უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა (Greco & de Jong, 2017).

დღეისათვის ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია სამეცნიერო წრეებში, ინდუსტრიის წარმომადგენლებსა და პოლიტიკოსებს შორის განიხილება როგორც რესურსების უყაირათოდ ხარჯვის, დაბინძურებისა და მავნე აირების გაფრქვევის შემცირების სტრატეგია (Barford & Ahmad, 2022). ცირკულარული ეკონომიკის ზოგიერთი განმარტება მდგრადი განვითარების განხორციელებაზე ხაზგასმას არ აკეთებს და ყურადღებას ამახვილებს ცირკულარული ეკონომიკის მრავალდონიან მიდგომაზე: „ცირკულარული ეკონომიკა აღწერს ეკონომიკურ სისტემას, დამყარებულს ისეთ ბიზნეს მოდელებზე, რომლებიც „საექსპლუატაციო ვადაგასული“-ს კონცეფციას წარმოება/დისტრიბუციასა და მოხმარების პროცესებში მასალის შემცირებით, ალტერნატიულად ხელახლა გამოყენებით, გადამუშავებით და აღდგენით ანაცვლებს. ამ გზით, მდგრადი განვითარების განხორციელების მიზნით, აღნიშნული ბიზნეს მოდელები მიკრო დონეზე (პროდუქტები, კომპანიები, მომხმარებლები), მეზო დონეზე (ეკო-ინდუსტრიული პარკები) და მაკრო დონეზე (ქალაქი, რეგიონი, სახელმწიფო და გარეთ) მოქმედებენ, რათა უზრუნველყონ ეკოლოგიური ხარისხის, ეკონომიკური კეთილდღეობის და სოციალური თანასწორობის დამკვიდრება, დღევანდელი და მომავალი თაობების სასარგებლოდან (კავკასიის გარემოსდაცვითი ცოდნის პორტალი, 2019).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ბიზნეს მოდელის (ბმ) მრავალი განმარტება შეიძლება მოვიძიოთ, ყველა ამ განმარტებაში ცენტრალურ როლს ასრულებს ღირებულების ცნება. ბმ-ის მრავალ დეფინიციაში გვხვდება ისეთი ელემენტები, როგორიცაა ღირებულების შეთავაზება, ღირებულების შექმნა და მიწოდება, ღირებულების შეძენა. ზოგიერთი მკვლევარის მიერ ამას ემატება ღირებულებათა ქსელი (Zott & Amit, 2010). ამასთან, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მდგრადი ბიზნეს მოდელი (მბმ) განიხილება, როგორც სტანდარტული ბიზნეს მოდელის კონცეფციის მოდიფიკაცია, როცა მას ემატება გარკვეული მახასიათებლები და მიზნები. მბმ-ში ინტეგრირებულია მდგრადობის/მდგრადი განვითარე-

ბის კონცეფცია, პრინციპები და მიზნები ან მდგრადობის პრინციპები ინტეგრირებულია ღირებულების შეთავაზების, ღირებულების შექმნისა და მიწოდების, ასევე, ღირებულების შეძენის მექანიზმებში (Natsvlishvili, 2020). მბმ-ის განმარტება შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს - ბიზნეს მოდელი, რომელშიც ინტეგრირებულია მრავალი დაინტერესებული პირის პრო-აქტიური მენეჯმენტი, დაინტერესებულ პირთა ფართო სპექტრისთვის მონეტარული და არა-მონეტარული ღირებულებების შექმნა და რომელიც ითვალისწინებს გრძელვადიან პერსპექტივას (Geissdoerfe et al, 2018).

ცბმი არის კომპლექსური ორგანიზაციული გამოწვევა, რაც გაპირობებულია მრაფალფეროვანი ბარიერებით და სხვადასხვა ფაქტორებით (Guldmann & Huulgaard, 2019; Tura et al, 2019). ცბმი მრავალ მკვლევართა მიერ განხილულია, როგორც ცირკულარული ბიზნეს მოდელის (ცბმ) კონცეფციის ჩამოყალიბება და ამ კონცეფციის პრაქტიკული განხორციელება ორგანიზაციულ დონეზე (Geissdoerfer et al, 2020). ამრიგად, ცბმი-ის ხელისშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების დადგენა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ცირკულარული ეკონომიკის კონტექსტში. მკვლევარების მიერ შემოთავაზებულია ცბმი-ის მამოძრავებელი ძალებისა და ბარიერების თეორიული ჩარჩო, რომლის თანახმადაც საერთო დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით განასხვავებენ ცბმი-ის ოთხ კატეგორიას (იხ დიაგრამა 1): (1) ცირკულარული ბიზნესის დაწყება (start-up), 2) ცბმ-ის დივერსიფიკაცია (diversification), (3) ცბმ-ის ტრანსფორმაცია (transformation) და (4) შეძენა (acquisition). (Geissdoerfer et al, 2020).

დიაგრამა 1 ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის ოთხი ტიპი



წყარო: Geissdoerfer, M., Pieroni, M., Pigosso, D. C. A., & Soufani, K. (2020). Circular business models: A review. Journal of Cleaner Production, 277, 123741

მოცემული თეორიული ჩარჩო გამოიყენეს ოთხიდან პირველი სამი ჯგუფის წარმომადგენელი 21 ორგანიზაციის შემთხვევის შესასწავლად. მოპოვებული უახლესი ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად დაადგინეს 25 ხელისშემშლელი ბარიერი და 10 წარმართველი ფაქტორი/მამოძრავებელი ძალა, რომელიც დაჯგუფებულია 7 კატეგორიაში (Geissdoerfer et al, 2023). დამწყები ბიზნესებისა და დივერსიფიკაციის კატეგორიაში გაერთიანებული ბიზნესებისთვის წარმართველი ფაქტორები უფრო ხშირად არის საბაზრო და ფინანსური ფაქტორები, ხოლო ტრანსფორმაციის კატეგორიაში მყოფი ბიზნესებისთვის წარმართველია საბაზრო და ორგანიზაციული ფაქტორები. ამასთან, დივერსიფიკაციის, ტრანსფორმაციის და შეძენის ჯგუფებში გაერთიანებული ბიზნესებისთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამართლებრივი და ფინანსური ბარიერები, ხოლო დამწყები ბიზნესებისთვის მნიშვნელოვანია მიწოდების ჯაჭვის გამოწვევები, მოქმედი ბიზნესები უფრო მგრძნობიარე არიან საბაზრო და ორგანიზაციული ბარიერების მიმართ.

ბიზნესის დაწყებისა და კორპორაციული დიფერსიფიკაციის პროცესში მთავარი მოტივატორი არის ბიზნესის ზრდა, დანახარჯების შემცირება და მომხმარებლის ცვალებადი მოთხოვნები. მოქმედი ბიზნეს მოდელის ტრანსფორმაცია განპირობებულია კორპორაციული მდგრადობის სტრატეგიის ცვლილებით, ბიზნესის გრძელვადიანი მედეგობით, მდგრად განვითარებასთან უფრო შესაბამის პროდუქტებთან საბაზრო მოთხოვნის ადაპტაციით. ამ პროცესში ორგანიზაციები აწყდებიან სხვადასხვა გამოწვევებს: (1) სამართლებრივი მხარდაჭერის ნაკლებობა, მაღალი დანახარჯები საწყის ინვესტიციებზე და ფინანსური გაურკვევლობა არის ის გამოწვევები, რომელსაც აწყდებიან, როგორც დამწყები, ასევე, უკვე მოქმედი ბიზნესები; (2) კორპორაციული დივერსიფიკაციისა და ტრანსფორმაციის ჯგუფში გაერთიანებული ბიზნესები ზოგადად უფრო ხშირად აწყდებიან ისეთ საბაზრო ბარიერებს, როგორიცა მოთხოვნის და/ან საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობა. ამასთან, ისინი აწყდებიან ორგანიზაციულ ბარიერებს, როგორიცაა ორგანიზაციული ინერცია, ბუნდოვანება და ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევები. დამწყები ბიზნესებისთვის კი უფრო დამახასიაათბელია მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული ბარიერები, როგორიცაა არასათანადოდ მოწესრიგებული ლოგისტიკური სისტემები, ოპერაციულ დონეზე გაურკვევლობები და ღირებულებათა ქსელის კოორდინაციის გამოწვევები. მკვლევართა მიერ ფორმირებული მიდგომები და გამოვლენილ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება ხელს შეუწყობს ლიდერ პრაქტიკოსების წინსვლას უფრო მდგრადი და ცირკულარული სოციო-ეკონომიკური სისტემის მიმართულებით ტრანფორმაციული პროცესში (Geissdoerfer et al, 2023).

ცბმი-ის მამოძრავებელ ძალებად და ბარიერებად განიხილება ფაქტორები, რომლებიც ან ხელს უწყობს ან თრგუნავს ორგანიზაციულ ერთეულებს ცბმი-ის კონცეფტუალიზაციისა და განხორციელები პროცესში (Geissdoerfer, 2019; Santa-Maria et al, 2021; Tura et al, 2019). ცბმი განსაზღვრულია, როგორც „ღირებულების შეთავაზების, ღირებულების შექმნისა და მიწოდების, ღირებულების შეძენის და ორგანიზაციულ ერთეულში ამ სამ ელემენტს შორის ურთიერთკავშირების გამარტივებული ასახვა“ (Geissdoerfer et al, 2018, p. 402), რომელიც გულისხმობს ნარჩენი მასალების გადამუშავებას, გამოყენების ფაზის გაფართოებას/გახანგრძლივებას, გამოყენების ფაზის ინტენსიფიკაციას და/ან დემატერიალიზაციას (პროდუქტის შენაცვლებას სერვისით ან პროგრამული უზრუნველყოფით), რათა შეამციროს ორგანიზაციულ სისტემაში რესურსების გამოყენება, ნარჩენებისა და გამონაბოლქვის ორგანიზაციიდან გადინება (Geissdoerfer et al, 2020, p. 7). მითითებული ოთხი სტრატეგია-ნარჩენების გადამუშავება, გაფართოება, ინტენსიფიკაცია და დემატერიალიზაცია - შესაძლებელია სხვადასხვა კომბინაციით არსებობდეს ერთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, ასევე, შესაძლებელია დაემატოს ორი სხვა დამხმარე სტრატეგიაც - ეფექტიანობის გაზრდა (Bocken et al, 2016) და განახლებადი რესურსების გამოყენება (Webster, 2015).

დასკვნა. ცირკულარული ბიზნეს მოდელის ინოვაციის ხელშემწყობი ფაქტორები და ბარიერები მეტ ნაკლებად განსხვავდება იმის მიხედვით, ცირკულარული ბიზნეს მოდელის

ინოვაციის ოთხი კატეგორიიდან თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება კონკრეტული ორგანიზაცია. როგორც ემპირიული კვლევები ადასტურებს, დამწყები და დივერსიფიკაციის კატეგორიაში მყოფი ბიზნესებისთვის ხელისშემწყობი ფაქტორები უფრო ხშირად არის საბაზრო და ფინანსური ფაქტორები, ხოლო ტრანსფორმაციის კატეგორიაში მყოფი ბიზნესებისთვის მამოძრავებელი ძალაა საბაზრო და ორგანიზაციული ფაქტორები. ამასთან, დივერსიფიკაციის, ტრანსფორმაციის და შეძენის კატეგორიაში გაერთიანებული ბიზნესებისთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამართლებრივი და ფინანსური ბარიერები, ხოლო დამწყები ბიზნესებისთვის მნიშვნელოვანია მიწოდების ჯაჭვის გამოწვევები, მოქმედი ბიზნესები უფრო მგრძნობიარე არიან საბაზრო და ორგანიზაციული ბარიერების მიმართ.

ლიტერატურა

1. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2021). „მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები“, 2021წ, 1-27. მოძიებულია https://idfi.ge/ge/sdg-report-2021-georgia-results
2. კავკასიის გარემოსდაცვითი ცოდნის პორტალი. (2019). ცირკულარული ეკონომიკა - კონცეფცია და ფაქტები. მოძიებულია http://environment.cenn.org/app/uploads/2020/05/Circular_Economy_1_R1_GEO.pdf
3. ნაცვლიშვილი, ი. (2020) მდგრადი განვითარების და მდგრადი ბიზნეს მოდელის პერსპექტივები პოსტკოვიდურ ეპოქაში. *გლობალიზაცია და ბიზნესი, 10*. 227-232. მოძიებულია https://www.eugb.ge/uploads/content/N10/IA-NATSVLISHVILI.pdf
4. Barford, A. & Ahmad, S. R. (2022). Levers for a corporate transition to a plastics circular economy. *Business Strategy and the Environment, 1–15*. Retrieved from https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1002/bse.3182
5. Bocken, N., De Pauw, I., Bakker, C., & Van Der Grinten, B. (2016). Product design and business model strategies for a circular economy. *Journal of Industrial and Production Engineering, 33(5),* 308–320. Retrieved from https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/21681015.2016.1172124
6. Farny, S. & Binder, J.K. (2021). *Sustainable Entrepreneurship.* World Encyclopedia of Entrepreneurship, Edward Elgar publishing, UK, 605-611. Retrieved from https://globaljournals.org/GJMBR_Volume22/E-Journal_GJMBR_(A)_Vol_22_Issue_5.pdf
7. Geissdoerfer, M., Santa-Maria, T., Kirchherr, J., & Pelzeter, C. (2023). Drivers and barriers for circular business model innovation. *Business Strategy and The Environment,* 1–*19.* Retrieved from https://onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1002/bse.3339
8. Geissdoerfer, M., Pieroni, M., Pigosso, D. C. A., & Soufani, K. (2020). Circular business models: A review. *Journal of Cleaner Production, 277,* 123741. Retrieved from https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0959652620337860
9. Geissdoerfer, M. (2019). *Sustainable business model innovation: Process, challenges and implementation.* University of Cambridge. Retrieved from https://www.repository.cam.ac.uk/handle/1810/292439
10. Geissdoerfer, M., Vladimirova, D., & Evans, S. (2018). Sustainable business model innovation: A review. *Journal of Cleaner Production, 198,* 401– 416. Retrieved from https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0959652618318961
11. Greco, A. & de Jong, G. (2017). Sustainable Entrepreneurship: Definitions, Themes and Research Gaps. *Center of Sustainable Entrepreneurship. University of Groningen. 1706-CSE,* 1–36. Retrieved from https://www.rug.nl/cf/pdfs/cse/wps6_angela.pdf
12. Guldmann, E. & Huulgaard, R. D. (2020). Barriers to circular business model innovation: A multiple-case study. *Journal of Cleaner Production, 243,* 118160. Retrieved from https://fardapaper.ir/mohavaha/uploads/2019/11/Fardapaper-Barriers-to-circular-business-model-innovation-A-multiple-case-study.pdf
13. Natsvlishvili, I. (2020). Sustainable business models to connect tourism and agriculture (Georgian perspective). *Proceedings of V International Scientific and Practical Conference, Imperatives of Modern Management.* Kiev, April 23-24, 2020, pp. 265-268
14. Santa-Maria, T., Vermeulen, W. J. V., & Baumgartner, R. J. (2021). Framing and assessing the emergent field of business model innovation for the circular economy: A combined literature review and multiple case study approach. *Sustainable Production and Consumption, 26,* 872–891. Retrieved from https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2352550920314366
15. Tura, N., Hanski, J., Ahola, T., Ståhle, M., Piiparinen, S., & Valkokari, P. (2019). Unlocking circular business: A framework of barriers and drivers. *Journal of Cleaner Production, 212,* 90–98. Retrieved from https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0959652618336059
16. Webster, K. (2015). *The circular economy: A wealth of flows.* Ellen MacArthur Foundation. Retrieved from https://ellenmacarthurfoundation.org/the-circular-economy-a-wealth-of-flows-2nd-edition

17. World Economic Forum (2023). Centre for the New Economy and Society, January 2023, *Chief Economists Outlook.* Retrieved from https://www3.weforum.org/docs/WEF_Chief_Economists_Outlook_2023.pdf
18. Zott, C. & Amit, R. (2010). Business model design: an activity system perspective. *Long Range Planning, 43,* 216-226. Retrieved from https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0024630109000533

Natsvlishvili Ia
Associate professor, PhD
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Circular Business Model Innovation- Supporting Factors and Barriers

SUMMARY

Covid-19 pandemic and the most acute geopolitical circumstances have threatened the achievement of the Sustainable Development Goals. In this situation, the analysis of the factors supporting and hindering the innovation of the circular business model remains very important. Among scientists the concept of circular economy is discussed as a strategy to reduce waste of resources, pollution and emission. The circular business model innovation is considered by many researchers as a practical implementation of this concept at the organizational level. The drivers and barriers to circular business model innovation are considered to be the factors that either facilitates or inhibits organizational units in the process of conceptualizing and implementing circular business model innovation.

ვლადიმერ პაპავა
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეტროეკონომიკის ზომბირების საფრთხის შესახებ

სტატიაში გამოკვლეულია COVID-19-ის პანდემიის პირობებში ეკონომიკის ზომბირების მექანიზმი. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში, მის თუნდაც ხაღაც ნაწილში მაინც გამოიყენება შედარებით მოძველებული ტექნოლოგიები. ეკონომიკის ეს ნაწილი, ანუ ხეტროეკონომიკა, ზომბირების პროცესში ყველაზე ადვილად ტრანსფორმირდება ნეკროეკონომიკაში, რომელიც აბსოლუტურად მოძველებულ ტექნოლოგიებს ეფუძნება. ხეტროეკონომიკის ზომბირების საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გაკოტრების კანონმდებლობაში შეიცვალოს უმთავრესი პრინციპი, რის შედეგადაც პროფიტეტული გახდება სიცოცხლისუუნარო ფირმების გაკოტრების გზით ლიკვიდაცია.

საკვანძო სიტყვები: *ხეტროეკონომიკა, ზომბიეკონომიკა, ნეკროეკონომიკა. გაკოტრების კანონმდებლობა*

როგორც ცნობილია, 2020 წელს დაწყებულმა გლობალურმა პანდემიამ, რომელიც COVID-19 ვირუსის გავრცელებით იყო გამოწვეული, გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს დაუდო დასაბამი (Baldwin & di Mauro eds., 2020). ეს კრიზისი თავისი ბუნებით არ იყო ენდოგენური, რადგანაც ეკონომიკის წიაღში არ წარმოქმნილა; ის აშაკარად გამოხატული ეგზოგენური ხასიათისაა, რადგანაც ეკონომიკა მედიცინის მძევალი აღმოჩნდა (Papava, 2020a). სწორედ ამიტომ, COVID-19-ის პანედმიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი ატიპურად იქნა შეფასებულია (Papava, 2020c).

ეს ატიპური გლობალური ეკონომიკური კრიზისი განაპირობა იმან, რომ COVID-19 ვირუსის გავრცელების შეფერხების ერთადერთი ქმედითი გზა ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტების მაქსიმალურად გამორიცხვა იყო, რის გამოც ეკონომიკის მთელი რიგი დარგების ფუნქციონირება დროებით იქნა შეჩერებული (Roach, 2020).

საყურადღებოა, რომ საქმიანობაშეჩერებული ფირმები სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, რადანაც ვერ ასრულებდნენ როგორც სახელმწიფოს წინაშე არსებულ საგადასახადო ვალდებულებებს, ისე ბანკებიდან აღებული კრედიტების მომსახურებას, რომ არაფერი ვთქვათ, დაქირავებულთა და მომწოდებლების წინაშე არსებულ ვალდებულებეზე. ამ ფონზე ეროვნული მთავრობებისთვის, ანტიპანდემიურ ღონისძიებებთან ერთად, საქმიანობაშეჩერებული ფირმების დახმარების აუცილებლობა წამოვიდა წინა პლანზე. სხვა სიტყვებით, ეროვნულ მთავრობათა მნიშვნელოვანი საზრუნავი საქმიანობაშეჩერებული ფირმების ბაზარზე შენარჩუნება გახდა, რათა პოსტპანდემიურ პერიოდში ეკონომიკის მერტ-ნეკლებად სწრაფი აღდგენა ყოფილიყო შესაძლებელი.

საყურადღებოა, რომ ენდოგენური ხასიათის მქონე 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის გამოცდილების უშუალო მისადაგება პანდემიით გამოწვეულ ხსენებულ ატიპიურ ეკონომიკურ კრიზისთან გაუმართლებელია. მიუხედავად ამისა, ეროვნულ მთავრობათა მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები, თავისი არსით, ხსენებულ გამოცდილებას მაინც ვერ გაცდა (Hatheway, 2020). კერძოდ, ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერისათვის ფირმებს დაუწესდათ საგადასახადო შეღავათები, მოხდა საბანკო დავალიანების გასტუმრების გადავადება, განხორციელდა საბიუჯეტო სუბსიდირება და ა.შ. მაშასადამე, ამ ტიპის ფინანსური დახმარება მოწოდებულია გადახდისუნარიანობის დაქვეითების პრობლემა შეუმსუბუქოს საქმიანობაშეჩერებულ ფირმებს.

გასათვალისწინებელია, რომ გადახდისუუნარო ფირმების მიმართ გაკოტრებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიკვიდაციის მექანიზმების ამოქმედება არაკრიზისულ ვითარებაშიც კი არ არის მარტივი, ეკონომიკური კრიზისების დროს კი ეს

პრინციპულადაც შეუძლებელი ხდება. ამის ახსნა სულაც არ არის რთული თუ გავითვალისწინებთ, რომ კრიზისის დროს ფინანსური დახმარება ესაჭიროება ყველა ფირმას, მათ შორის ისეთებასაც, რომელთაც კრიზისის დაწყებამდეც არ ჰქონიათ გადახდისუნარიანობის პრობლემა, ანუ ფინანსურად სრულიად „ჯანსაღი“ იყვნენ. ეკონომიკური კრიზისის პირობებში კი, როცა ზოგადად ბიზნესი გადარჩენას მოითხოვს, პრაქტიკულად არც დროა ამისთვის და პოლიტიკურად შეუძლებელიცაა ეროვნული ეკონომიკიდან ცალკე გამოიყოს ის ფირმები, რომელთაც გადახდისუნარიანობის სირთულეები კრიზისის დაწყებამდეც ჰქონდათ.

რადგანაც კრიზისის პირობებში გადახდისუუნარო ფირმების და ფინანსურად „ჯანსაღი“ ფირმების განცალკავება შეუძლებელია, ასევე შეუძლებელი ხდება ამ სიცოცხლისუუნრო ფირმების მიმართ გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის ამოქმედება.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი ხელისუფლებისთვის პოლიტიკურადაც მიზანშეწონილი არ არის გაკოტრების კანონმდებლობის შესაბამისად გადახდისუუნარო ფირმების ლიკვიდაციის პროცედურების დაწყება, რადგანაც ეს იმ უკმაყოფილო ამომრჩეველთა რიცხვს გაზრდის, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს. ამის გამო, COVID-19-ის პანდემიისას გაკოტრების კანონმდებლობის შესაბამისი მიმართულების გადასინჯვა სულაც არ იყო გამორიცხული (Boon, 2020).

ფაქტია, რომ COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში არა მარტო იზრდება გადახდისუნარო ფირმების რაოდენობა, არამედ, იმავდროულად, პოლიტიკური მოსაზრებების საფუძველზე უპირატესობა ენიჭება გაკოტრების ისეთ კანონმდებლობას, რომელიც ამ ფირმების ლიკვიდაციის შესაძლებლობას შეაფერხებს. საყურადღებოა, რომ პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა პოსტკრიზისული პერიოდისთვისაცაა დამახასიათებელი.

შედეგად, ერთი მხრივ, გადახდისუუნარო ფირმების ლიკვიდაციის შეზღუდვა, და, მეორე მხრივ, ანტიკრიზისული პროგრამების ფარგლებში ზოგადად ბიზნესის, ხოლო, მათ შორის, ამ გადახდისუუნარო ფირმების სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკის ფაქტობრივი ზომბირების გაზაა (Stiglitz & Rashid, 2020).

როგორც ცნობილია, ეკონომიკის ზომბირების თეორია იაპონიაში გასული საუკუნის 90-იანი წლებში განვითარებული ფინანსური კრიზისის და ანტიკრიზისული ღონისძიებების განზოგადების შედეგად ჩამოყალიბდა (Hoshi, 2006). კერძოდ, ზომბი-ფირმა გადახდისუუნარობის მიუხედავად საბანკო კრედიტის ხარჯზე ფუნქციონირებას მაინც აგრძელებს (Smith, 2003). ზომბიფირმებისთვის ამ კრედიტის ხელმისაწვდომობა კი მთავრობის მიერ გაცემულმა ფინანსურმა გარანტიებმა გახადა შესაძლებელი (Hoshi & Kashyap, 2005). ამ გზით ზომბიფირმებმა ზომბიბანკების, ერთობლიობაში კი ზომბიეკონომიკის გაჩენა განაპირობა (Kane, 2000). ეს ბანკები საერთოდ არ ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენადაა ამ სესხების დაბრუნება შესაძლებელი, რადგანაც მათი დაუბრუნებლობის შემთხვევაში ისინი სულაც არ ზიანდებიან, რადგანაც შესაბამისი ზარალის დაფარვა მთავრობის ფინანსური გარანტიის ხარჯზე ხდება (Ahearne & Shinada 2005, 368).

2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისმა ეკონომიკის ზომბირების ხსენებული სქემა მთელ მსოფლიოზე განავრცო (Desjardins & Emerson, 2011; Harman, 2009; Onaran, 2012; Quiggin, 2010). სამწუხაროდ, ეკონომიკის ზომბირება ამ კრიზისის შემდეგაც არ შეწყვეტილა. საყურადღებოა, რომ COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდეც ეკონომიკის ზომბირების პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინაა (Krugman, 2020), ხოლო ამ კრიზისმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ზომბიფირმებისა და ზომბიბანკების რაოდენობა აშკარად გაზარდა (Papava 2020b; Roubini, 2022; Zingales, 2021).

ეკონომიკის ზომბირების საფრთხე განსაკუთრებული სიმწვავით ვლინდება რეტროეკონომიკასთან მიმართებაში. ეს უკანასკნელი ისეთი ეკონომიკაა, რომელშიც ფუნქციონირებენ

მსოფლიოს თანამედროვე მიღწევებთან შედარებით ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ფირმები (ანუ რეტროფირმები) (Papava, 2017).

რეტროეკონომიკა იმით განსხვადება ნეკროეკონომიკისგან (Papava, 2002, 2005), რომ ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის მიუხედავად რეტროფირმების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა ცალკეულ ბაზრებზე მაინც არსებობს, ხოლო ნეკროფირმების მიერ წარმოებლ პროდუქციაზე მოთხოვნა საერთოდ არ არსებობს, ამ ფირმების მიერ აშკარად მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენების გამო. სხვა სიტყვებით, თუ რეტროფირმებში შედარებით ჩამორჩენილი ტექნოლოგიები გამოიყენება, ნეკროფირმებში გამოყენებული ტექნოლოგიები აბსოლუტურადაა მოძველებული.

ეკონომიკის ზომბირების პროცესში ხდება ამ ეკონომიკის ნაწილის - რეტროეკონომიკის, ზომბირებაც. ზომბირებულ რეტროეკონომიკაში კი პრაქტიკულად შეუძლებელია ფირმების ტექნოლოგიური განახლება, რის შედეგადაც ზომბირებული რეტროეკონომიკა ნეკროეკონომიკაში ტრანსფორმირდება.

საყურადღებოა, რომ ნეკროეკონომიკასაც ახასიათებს ზომბირება, რაც მოცმეული კონკრეტული ქვეყნის ნორმალურ ეკონომიკურ განვითარებას, სხვა თანაბარ პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის (Papava, 2010).

ამ არასახარბიელო ეკონომიკური პროცესის დაბლოკვის ერთადერთი ქმედითი გზა ეკონომიკის ზომბირებული ნაწილის და, განსაკუთრებით, ნეკროეკონომიკის ლიკვიდაციაა, რაც გაკოტრების კანონმდებლობის გამოყენების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. სამწუხაროდ, არასიცოცხლისუნარიანი ფირმების ბაზრიდან განდევნის ეს გზა პრაქტიკულად დაბლოკილია. კერძოდ, ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე ევროკავშირში გაკოტრების კანონმდებლობის რეფორმირება იქნა წამოწყებული (Malakotipour et al, 2020), რომლის პრიორიტეტიც არის არასიცოცხლისუნარიანი ფირმებისთვის ე.წ. „მეორე შანსის“ მიცემა, რომლის თანახმადაც გადაუხდელი ვალების რესტრუქტურიზაციის შედეგად ამ ფირმების გაკოტრება მაქსიმუმ სამი წლით უნდა იქნეს გადავადებული (Wallace & Pilkington, 2019). ამ გზით ხდება გაკოტრების ევროპული კანონმდებლობის ამერიკულ გამოცდილებასან დაახლოება (მაგალითად, McCormack et al, 2016; Tilley, 2005).

საქართველოში სწორედ ამ ევროპული ტრენდის მიხედვით მოხდა გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის ტრანსფორმირება (Janus, 2016). კერძოდ, 2020 წელს საქართველოში მიღებულ იქნა ახალი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, რომელიც ძალაში 2021 წლის 1 აპრილიდან შევიდა. ამ კანონის თანახმად, ისევე, როგორც ევრუპულ კანონმდებლობაშია გათვალისწინებული, უნდა მოხდეს ფაქტობრივად გაკოტრებული ფირმის ბაზარზე სამი წლის ვადით შენარჩენება. ხოლო მისი გაკოტრების რეჟიმში გადაყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ რეაბილიტაციის პროცესში აშკარა გახდება, რომ მოცმეული ფირმა ამ რეაბილიტაციური შეღავათის მიუხედავად გადახდისუნარიანი მაინც ვერ გახდება.

სამწუხაროდ, როგორც აშშ-სა და ევროკავშირში, საქართველოშიც პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ზომბირებული რეტროეკონომიკისა და ნეკროეკონომიკისგან გათავისუფლება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, ყოველთვის გამოჩნდებიან გადახდისუუნარო ფირმების ლობისტები, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ იმის დასაბუთებითვის, რომ ამ ფირმებს აქვთ მომავალი და მათი გაკოტრების გზით ლიკვიდაცია დაუშვებელია (Anderson, 2004, 199).

იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რეტროეკონომიკის ზომბირების გზით ნეკროეკონომიკის ჩამოყალიბების საფრთხე უცილებელია გაკოტრების მოქმედი კანნონმდებლობის უმთავრესი პრონციპის შეცვლა. კერძოდ, ამ პრინციპის თანახმად აუცილებელია ბალანსის დაცვა კრედიტორების ინტერესებსა და პოტენციურად სიცოცხლისუნარიანი ფირმე-

ბის ვადაზე ადრე ლიკვიდაციის თავიდან აცილებას შორის (Stiglitz, 2001). სწორედ ეს პრინციპი ამართლებს ზემოხსენებული ე.წ. „მოერე შანსის“ მიცემის აუცილებლობას.

იმისათვის, რომ არ ხდებოდეს ეკონომიკის, და კონკრეტულად რეტროეკონომიკის ზომბირება, რათა თავიდან ავიცილოთ ამ უკანასკნელის ნეკროეკონომიკაში გადაზრდის საფრთხე, გაკოტრების კანონონმდებლობის მთავარი პრინციპი, ნაცვლად არსებულისა, უნდა ემყარებოდეს ბალანსის დაცვას კრედიტორების ინტერესებსა და არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის (Papava 2017, 460). მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ბაზარზე მხოლოდ გადახდისუნარიანი ფირმების შენარჩუნება, რასაც ეკონომიკური განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ლიტერატურა

1. Ahearne, A.G., & Shinada, N. (2005). Zombie firms and economic stagnation in Japan. International Economics and Economic Policy, 2(4), 363–381. DOI: 10.1007/s10368-005-0041-1
2. Anderson, R.E. (2004). Get out of the way: How government can help business in poor countries. Washington: CATO Institute
3. Baldwin, R., & di Mauro, B. W., eds. (2020). Mitigating the COVID economic crisis: Act fast and do whatever it takes. London: CEPR Press. Retrieved from https://cepr.org/publications/books-and-reports/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes
4. Boon, G.-J. (2020). Amending insolvency legislation in response to the COVID-19 crisis. Harvard Law School Bankruptcy Roundtable, May 12. Retrieved from https://blogs.harvard.edu/bankruptcyroundtable/2020/05/12/amending-insolvency-legislation-in-response-to-the-covid-19-crisis/
5. Desjardins, L., & Emerson, R. (2011). Zombie economics: A guide to personal finance. New York: AVERY
6. Harman, C. (2009). Zombie capitalism. Global crisis and the relevance of Marx. Chicago: Haymarket Books
7. Hatheway, L. (2020). A COVID-19 emergency response plan. Project Syndicate, February 27. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/covid-19-economy-response-plan-by-larry-hatheway-2020-02
8. Hoshi, T. (2006). Economics of the living dead. The Japanese Economic Review, 57(1), 30-49. https://doi.org/10.1111/j.1468-5876.2006.00354.x
9. Hoshi, T., & Kashyap, A. (2005). Solutions to Japan's banking problems: What might work and what definitely will fail. In Reviving Japan's economy: Problems and prescriptions, edited by T. Ito, H. Patrick & D.E. Weinstein. Cambridge: The MIT Press, 147-195
10. Janus, H. (2016). Avoiding the insolvency of Georgia's insolvency law. Policy paper series [PP/01/2016]. Berlin/Tbilisi: German Economic Team Georgia. Retrieved from https://iset-pi.ge/storage/media/other/2021-09-27/ec87c7c0-1f7f-11ec-bff6-692335998639.pdf
11. Kane, E.J. (2000). Capital movements, banking insolvency, and silent runs in the Asian financial crisis. Pacific-Basin Finance Journal, 8(2), 153-175. DOI: https://doi.org/10.1016/S0927-538X(00)00009-3
12. Krugman, P. (2020). Arguing with zombies: Economics, politics, and the fight for a better future. New York: W.W Norton & Company
13. Malakotipour, M., Perotti, E., & de Weijs, R. (2020). Unfair and unstable: EU bankruptcy reform requires more scrutiny. VOX EU, February 24. Retrieved from https://cepr.org/voxeu/columns/unfair-and-unstable-eu-bankruptcy-reform-requires-more-scrutiny
14. McCormack, G., Keay A., Brown S., & Dahlgreen J. (2016). Study on a new approach to business failure and insolvency. Comparative legal analysis of the member states' relevant provisions and practices. Luxembourg: Publications Office of the European Union. Retrieved from https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/3eb2f832-47f3-11e6-9c64-01aa75ed71a1/language-en
15. Onaran, Y. (2012). Zombie banks: How broken banks and debtor nations are crippling the global economy. Hoboken: John Wiley & Sons

16. Papava, V., (2002). Necroeconomics – the theory of post-Communist transformation of an economy. International Journal of Social Economics, 29(9-10), 796-805. DOI: https://doi.org/10.1108/03068290210444421
17. Papava, V. (2005). Necroeconomics: The political economy of post-Communist capitalism. New York: iUniverse
18. Papava, V., (2010). The problem of zombification of the postcommunist necroeconomy. Problems of Economic Transition, 53(4), 35-51. DOI: 10.2753/PET1061-1991530403
19. Papava, V. (2017). Retroeconomics – Moving from dying to brisk economy. Journal of Reviews on Global Economics, (6), 455-462. DOI: https://doi.org/10.6000/1929-7092.2017.06.46 . Retrieved from https://www.lifescienceglobal.com/independent-journals/journal-of-reviews-on-global-economics/volume-6/85-abstract/jrge/2929-abstract-retroeconomics-moving-from-dying-to-brisk-economy
20. Papava, V. (2020a). Coronomic crisis: When the economy is a hostage to medicine. Eurasia Review, March 29. Retrieved from https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/
21. Papava, V. (2020b). Features of the economic crisis under the COVID-19 pandemic and the threat of the zombie-ing of the economy." Bulletin of the Georgian National Academy of Sciences 14(3), 128-134
22. Papava, V. (2020c). On the atypical economic crisis under the COVID-19 pandemic. Economics and Business, XII(4), 9-16
23. Quiggin, J. 2010. Zombie economics: How dead ideas still walk among us. Princeton: Princeton University Press
24. Roach, S.S. (2020). When China sneezes. Project Syndicate, February 24. Retrieved fromhttps://www.project-syndicate.org/commentary/china-coronavirus-shock-prospects-for-global-recession-by-stephen-s-roach-2020-02
25. Roubini N. (2022). The Unavoidable Crash. Project Syndicate, December 2. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/stagflationary-economic-financial-and-debt-crisis-by-nouriel-roubini-2022-12
26. Smith, D.C. (2003). Loans to Japanese borrowers. Japanese International Economies, 17(3), 283-304. https://doi.org/10.1016/S0889-1583(03)00043-1
27. Stiglitz, J.E. (2001). Bankruptcy laws: Basic economic principles. In Resolution of financial distress: An international perspective on the design of bankruptcy laws, edited by S. Claessens, S. Djankov, & A. Mody, 1-23. Washington: The World Bank
28. Stiglitz, J.E., & Rashid, H. (2020). Which economic stimulus works? Project Syndicate, June 8. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/stimulus-policies-must-benefit-real-economy-not-financial-speculation-by-joseph-e-stiglitz-and-hamid-rashid-2020-06?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=c41ee7287a-sunday_newsletter_14_06_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-c41ee7287a-93567601&mc_cid=c41ee7287a&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog
29. Tilley, A. (2005). European Restructuring: Clarifying Trans-Atlantic Misconceptions. The Journal of Private Equity, 8(2), 99-103
30. Wallace, I., & Pilkington, C. (2019). Restructuring across Europe – A new era? White & Case, January 25. Retrieved from https://www.whitecase.com/insight-alert/restructuring-across-europe-new-era
31. Zingales, L. (2021). Attack of the COVID zombies. Project Syndicate, July 2. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/separating-healthy-firms-from-corporate-zombies-by-luigi-zingales-2021-07?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=df914751a4-sunday_newsletter_07_04_2021&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-df914751a4-93567601&mc_cid=df914751a4&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog

Vladimer Papava
Professor, Doctor of Economic Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

On the Threat of Zombification of the Retroeconomy

SUMMARY

The article discusses the mechanism of zombification of the economy in the context of the COVID-19 pandemic. In at least some part of any economy in any country, relatively outdated technologies are being used. This part of the economy, i.e. retroeconomy, due to zombification, can most easily transformed into a necroeconomy, based on absolutely outdated technologies. In order to avoid the danger of zombifying a retroeconomy, it is necessary to change the basic principle in bankruptcy law, as a result of which the liquidation of insolvent firms through bankruptcy becomes a priority.

Keywords: retroeconomics, zombie-economics, necroeconomics, insolvency, bankruptcy

ლევან საბაური
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნადეჟდა კვატაშიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანჟელი ხორავა
უფროსი მასწავლებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზეინაბ გოგრიჭიანი
უფროსი მასწავლებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოსტპანდემიური პერიოდის ცვლილებების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

თემა: *პოსტპანდემიურ პერიოდში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (ფასს) შეტანილი ცვლილებები და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ფასსს) ახალი გამოწვევები.*

მიზანი და ამოცანები: *ფასსს მიერ სტანდარტებში შეტანილი ცვლილებების გაცნობა და ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციაზე გავლენის შეფასება.*

მეთოდოლოგია: კვლევის ჯროს გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი ცვლილებები სტანდარტებში, სახელმძღვანელო-სარეკომენდაციო მასალები, სამეცნიერო სტატიები; ანალიზის სისტემატიზაციის და შედარების მეთოდები.

შედეგები: *ჩამოყალიბებულია ბასსს მიერ დამტკიცებული ცვლილებები ფასს-ებში; გაანალიზებულია ფასს განმარტებები, „დიდი ოთხეულის“ მეთოდოლოგიური მასალები; გამოკვლეულია ცვლილებების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.*

საკვანძო სიტყვები: *ფასს-ების განახლება, პოსტპანდემიური პერიოდი, საპროცენტო განაკვეთები, იჯარა, გუდვილის გაუფასურება*

I. შესავალი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო მუდმივად ახდენს სტანდარტების განახლებას, რაც ახალი დოკუმენტების გამოშვების, ასევე მოქმედ სტანდარტებში შესწორებების შეტანის ან დამატებების გაკეთების სახით ხდება. ასეთი სახის ცვლილებები შეტანილ იქნა კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემიის შედეგებთან დაკავშირებით.

პოსტპანდემიურ პერიოდში ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად იცვლება ფინანსური ინფორმაციისადმი მოთხოვნები, რაც ფინანსური ინფორმაციის შეფასებისა და ასახვის წესების ცვლილებებს იწვევს. საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს წინაშე დადგა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ახალი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა უნდა მოხდეს წარსული გამოცდილებისა და ახალი გამოწვევების გათვალისწინებით. ამის საპასუხოდ საბჭომ გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში დაასრულა განხილვები და გამოაქვეყნა ცვლილებები და დამატებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (ფასს), რომელიც ძალაში შედის 2022-2024 წლებში.

II. ცვლილებები ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“

- **ვალდებულებების კლასიფიკაცია (ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან) CITATION EY23 \l 1033 (EY, 2023) .**
  Classification of Liabilities as Current or Non-current - Amendments to IAS 1

ცვლილებები ეხება ვალდებულებების მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაციის მოთხოვნებს და განმარტავს:

- რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება;
- რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის;
- რომ კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს იმის ალბათობა ისარგებლებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებით;
- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად არის წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების პირობები არ ახდენს გავლენას მის კლასიფიკაციაზე.

უფლება ვალდებულების გადავადებაზე

საბჭომ გადაწყვიტა, რომ თუ საწარმოს ვალდებულების გადავადების უფლება დამოკიდებულია მის მიერ გარკვეული პირობების დაცვაზე და თუ ის ამ პერიოდში იცავდა პირობებს, საწარმოს აქვს უფლება გადაავადოს ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის თარიღისათვის.

- **სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის გამჟღავნება და დებულება პრაქტიკის შესახებ - 2 (ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან)**
  Disclosure of Accounting Policies - Amendments to IAS 1 and IFRS Practice Statement

პრაქტიკის დებულებაში **„არსებითობის განსჯის შესახებ“** წარმოდგენილია რეკომენდაციები და მაგალითები, რათა დაეხმარონ საწარმოებს, გამოიყენონ და გაამჟღავნონ სააღრიცხვო პოლიტიკაში მსჯელობა არსებითობის შეფასებების შესახებ.

ცვლილებები მიზნად ისახავს დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებაში, რომელიც უფრო სასარგებლოა:

- „არსებითობის“ სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნების მოთხოვნით;

და

- ინსტრუქციის დამატებით იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ საწარმოები არსებითობის კონცეფციას სააღრიცხვო პოლიტიკაში ინფორმაციის გამჟღავნების გადაწყვეტილების მიღებისას.

სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის არსებითობის შეფასებისას, საწარმოებმა უნდა გაითვალისწინონ როგორც ტრანზაქციის ზომა, ასევე სხვა მოვლენები ან პირობები და მათი ბუნება. ამასთან ერთად, დამატებულია იმ გარემოებების მაგალითები, რომლებშიც საწარმოს შეუძლია სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითად მიიჩნიოს.

სტანდარტიზებული ინფორმაციის გამჟღავნება CITATION IFR22 \l 1033 (IFRS, 2022)

მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტიზებული ინფორმაცია ნაკლებად სასარგებლოა მომხმარებლებისთვის, ვიდრე კონკრეტული საწარმოს სპეციფიკური ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, საბჭო დათანხმდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს სტანდარტიზებული სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, რათა მომხმარებლებმა გაიგონ ფინანსური ანგარიშგებიდან სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ასეთ სიტუაციებში სტანდარტიზებული სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითია და უნდა გამჟღავნდეს.

III ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანება“

- **ცვლილება - მითითება ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე Reference to the Conceptual Framework – Amendments to IFRS 3**

ფასს 3-ში განახლებულია მითითება ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე (ახალი 2018 წლის ნაცვლად 2001 წლისა). ახალი შესწორება იძლევა აქტივებისა და ვალდებულებების განსაზღვრის საშუალებას ბიზნესის გაერთიანების თარიღისათვის. ეს მითითება უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვაში აღიარების ერთიან მიდგომას CITATION IFR221 \l 1033 (IFRS, 2022) .

ამავდროულად, ფასს 3 ითვალისწინებს გამონაკლისსაც ზოგიერთი ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებისათვის, რომელთა აღიარებისათვის გამოიყენება არა კონცეპტუალური საფუძვლები, არამედ ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ ან ინტერპრეტაცია იმკ (IFRIC) 21 „მოსაკრებელი“. ამ გამონაკლისის გარეშე, საწარმოთა გაერთიანების დროს საწარმოს მოუწევდა ისეთი ვალდებულებების აღიარება, რომელსაც არ აღიარებდნენ ბასს 37-ით. ასევე, მყიდველი საწარმო არ არის ვალდებული შეძენის თარიღისათვის აღიაროს ბასს 37-ით განსაზღვრული პირობითი აქტივები.

- **დისკუსია გუდვილის გაუფასურებისა და ამორტიზაციის შესახებ Goodwill and Impairment**

ფასს საბჭოს მიერ ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად გამოიყო **გუდვილისა და** მისი **გაუფასურების** საკითხი. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება გამოიწვია საწარმოთა გაერთიანებების შედეგების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მნიშვნელობამ CITATION Mar22 \l 1033 (◦ Marina Maisuradze ◦ Mariam Vardiashvili ◦, 2022) . საწარმოს ან საწარმოთა ჯგუფის შეძენა ხშირად მსხვილ გარიგებებს წარმოადგენს. ამიტომ საბჭოს მიერ ხაზგასმით იქნა მითითებული ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებლობა ასეთი მნიშვნელოვანი გარიგებების შედეგებთან დაკავშირებით.

2020 წლის მარტში ფასს-ის წინასწარი საჯარო განხილვისა და დისკუსიებისათვის გამოქვეყნებულ იქნა დოკუმენტი „ბიზნესის გაერთიანება - გუდვილის გაუფასურების ინფორმაციის გახსნა“ CITATION IFR222 \l 1033 (IFRS, 2022). ამ დოკუმენტის თანახმად, ჯგუფი ვალდებულია ფინანსურ ანგარიშგებაში გაამჟღავნოს ინფორმაცია შეძენის მიზნების და ამ მიზნების შესრულების შესახებ. ასევე, ინვესტორთა მიერ საწარმოების ხელმძღვანელებისათვის შეძენის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

საბჭოს მიერ განხილულ იქნა გუდვილის თანმიმდევრული აღრიცხვისა და მათ შორის გაუფასურებაზე ყოველწლიური ტესტირების ადეკვატურობის საკითხი, რომელიც თავად ტესტისა და გაუფასურების ეფექტურობის კრიტიკულ შეფასებაზეა დამოკიდებული. სპეციალისტების ერთი ჯგუფის აზრით, გაუფასურების ტესტი ინვესტორებს აძლევს ინფორმაციას შეძენასთან დაკავშირებული გარიგებების შედეგებზე და ამდენად მნიშვნელოვანია. ზოგიერთების აზრით, კი მოცემული ტესტი ძვირადღირებული და რთულია. ამავე დროს, ინფორმაცია გუდვილის გაუფასურების შესახებ, გვიან აღწევს ინვესტორამდე და ვერ იქნება სასარგებლო. ამიტომ ამჟამად მიმდინარეობს ამ საკითხის გულდასმით შესწავლა, რათა საბჭოს მიერ განხილული ვარიანტებიდან შეირჩეს უფრო ეფექტიანი და ნაკლებად რთული.

ბასსს-ის მიერ ასევე განხილულ იქნა საკითხი 2004 წლამდე გამოყენებული გუდვილის ამორტიზაციის მოდელის გამოყენების შესახებ. ამ საკითხსაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მიმდინარეობს მსჯელობა იმის შესახებ, ანგარიშვალდებული საწარმოები ინვესტორებისთვის შეძლებენ თუ არა გარიგების წარმატების ოპერატიული შეფასებისათვის უფრო სასარგებლო და ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდებას, ვიდრე გაუფასურების ტესტია. განსხვავებული და დასაბუთებული მოსაზრებების გათვალისწინებით საბჭოსათვის რთულია გადაწყვეტილების მიღება. მაგრამ მაინც, საპილოტედ მიჩნეულ იქნა მიდგომა, რომელიც მდგომარეობს ისეთი პაკეტის ფორმირებაში, რომელმაც შეიძლება გარკვეულად შეამციროს ინფორ-

მაციის მოსალოდნელი დანაკარგები გუდვილის გაუფასურებაზე ყოველწლიური ტესტირების საბაზო მოდელზე უარის თქმით.

აღნიშნული საკითხების გათვალისწინება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, ცვლის მისი შედგენის მეთოდიკას და საბოლოოდ ფინანსურ შედეგებს.

IV. ცვლილებები ბასს 8-ში „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“

Definition of Accounting Estimates - Amendments to IAS 8

2021 წლის თებერვალში საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბასს 8-ში, რომელშიც შემოაქვს „სააღრიცხვო შეფასებების“ ახალი განმარტება. ცვლილებები ასევე განმარტავს განსხვავებას სააღრიცხვო შეფასებასა, სააღრიცხვო პოლიტიკასა და შეცდომების გამოსწორებას შორის. განმარტებულია, თუ როგორ იყენებენ საწარმოები განსაზღვრის ტექნიკასა და მონაცემებს სააღრიცხვო შეფასებითი მაჩვენებლების შესამუშავებლად. ცვლილება ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან CITATION Del21 \l 1033 (Deloitte, 2021) .

V. შესწორება ბასს 16 „ძირითად საშუალებებში“ - ამონაგები ძირითადი საშუალებებიდან მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე

Property, Plant and Equipment: Proceeds before Intended Use – Amendments to IAS 16

ბასს 16-ის შესწორება კრძალავს ძირითადი საშუალებების თვითღირებულებიდან თანხის გამოქვითვას, რომელიც მიღებულია ძირითადი საშუალებების გამოსაყენებლად მომზადების პერიოდში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან. ნაცვლად ამისა, ეს თანხები აღიარდება შემოსავლად შესაბამის ხარჯებთან ერთად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ასეთი აქტივებისათვის გამოიყენება ბასს 2 „მარაგები“ ამორტიზაციის გარეშე, ვინაიდან ძირითადი საშუალებები ჯერ არ არის მზად გამოსაყენებლად.

VI. ცვლილებები ბასს 37-ში „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ Onerous Contracts – Costs of Fulfilling a Contract – Amendments to IAS 37

ბასს 37-ის თანახმად, წამგებიანი ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის მიხედვით ვალდებულებების დასაფარად გათვალისწინებული აუცილებლად გარდაუვალი ხარჯი აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოსალოდნელ სარგებელს CITATION Del23 \l 1033 (Deloitte, 2023).

შესწორებამდე წამგებიანი ხელშეკრულების ხარჯების შეფასებისას მხოლოდ დამატებითი ხარჯების გათვალისწინება ხდებოდა. შესწორებით დაზუსტებულია, თუ რომელი ხარჯები გაითვალისწინება წამგებიანი ხელშეკრულების შეფასებისას. ხელშეკრულების შესრულების ხარჯები მოიცავს პირდაპირ და გასანაწილებელ ხარჯებს:

- დამატებით ხარჯებს ასეთი ხელშეკრულების შესრულებისთვის (მაგალითად, შრომისა და მასალების პირდაპირი ხარჯები);
- სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ხელშეკრულებების შესრულებას (მაგალითად, იმ ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ხარჯები, რომელიც გამოიყენება ხელშეკრულების შესასრულებლად, კონტრაქტის მართვისა და ზედამხედველობის ხარჯები);
- არ გაითვალისწინება საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები, რომელიც აშკარად არ არის პირდაპირ კავშირში ხელშეკრულებასთან.

ცვლილებამდე ხელშეკრულების შესრულების ხარჯებს მიაკუთვნებდნენ მხოლოდ დამატებით ხარჯებს, შესწორება წამგებიანი კონტრაქტებისთვის უფრო დიდი რეზერვის აღიარების საშუალებას იძლევა.

VII. შესწორება ფასს 16-ში „იჯარა“ - პოსტკოვიდი და საიჯარო შეღავათები Accounting for Covid-19 related rent concessions.

პანდემიის შედეგად შემცირდა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა, მკვეთრად შემცირდა სავაჭრო ცენტრებში მომხმარებელთა რიცხვი. აღნიშნულის შედეგად დაიხურა ან დროებით შეაჩერა მუშაობა უამრავმა საწარმომ, რომლებსაც მცირე შემოსავლების პირობებში, მძიმე ტვირთად დააწვა საიჯარო გადასახდელები. არსებული ვითარების გათვალისწინებით, 2020 წლის ივნისში იჯარაზე შეღავათების აღრიცხვის გამარტივებისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 16-ის შესწორებები მოიჯარეებისათვის კოვიდ 19 - თან დაკავშირებით CITATION LSa21 \l 1033 (L Sabauri, 2021) .

შეღავათები იჯარაზე ითვალისწინებდა საიჯარო განაკვეთების შემცირებას, ასევე საიჯარო გადასახადებისაგან დროებით განთავისუფლებას. ასეთი სახის დათმობები, ფასს 16 „იჯარის“ დებულებების თანახმად, თავიდან განიხილებოდა, როგორც საიჯარო ხელშეკრულების მოდიფიკაცია. შესწორებების თანახმად კი მოიჯარის მიერ საიჯარო შეღავათებით განპირობებული საიჯარო გადასახდელების ცვლილება არ უნდა განიხილებოდეს როგორც ხელშეკრულების მოდიფიკაცია, არამედ თითქოს მას არც ჰქონია ადგილი. პანდემიის გაგრძელებისა და მისი მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგების გამო, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფასს 16-თან მიმართებაში დამატებითი შესწორებების გამოცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა შეღავათების გაგრძელებას 2021 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე, ხოლო ამ თარიღის შემდგომ იჯარის აღრიცხვის წესი განმარტებულია საბჭოს ახალ მასალებში CITATION EY22 \l 1033 (EY, 2022) .

გამოცემული შესწორებების თანახმად, მოიჯარეებისათვის შეღავათები გათვალისწინებული იყო მხოლოდ კოვიდ 19 -ით გამოწვეულ შედეგებზე შემდეგი სამი პირობით:

- საიჯარო გადასახდელის გადასინჯული თანხა უნდა დარჩენილიყო იჯარაზე შეღავათების დაწესებამდე არსებულის ტოლი ან ნაკლები;
- შემცირება ეხებოდა მხოლოდ იმ საიჯარო გადასახდელებს, რომლებიც ხელშეკრულების პირვანდელი პირობებით გადახდას ექვემდებარებოდა 2022 წლის 30 ივნისამდე CITATION Sab22 \l 1033 (Sabauri L., Kvatashidze N., 2022) ;
- იჯარის ხელშეკრულების სხვა პირობებში ცვლილებებს ადგილი არ ჰქონდა. შესწორებების თანახმად, საიჯარო გადასახდელებისაგან განთავისუფლებისას, მოიჯარე წყვეტს საიჯარო ვალდებულებების იმ ნაწილის აღიარებას, რომლისგანაც განთავისუფლდა და აღიარებს მოგებას მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

VIII. შესწორება ბასს 39, ფასს 9, 7,16 ,17 - საბაზრო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა Interest Rate Benchmark Reform - Phase 2

საბაზო საპროცენტო განაკვეთები, კერძოდ, ბანკთაშორისი შეთავაზებული განაკვეთები (IBOR), უაღრესად მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ფინანსურ ბაზრებზე და საფუძვლად უდევს მრავალი ფინანსური პროდუქტის გაანგარიშებას. მაგრამ მოცემული განაკვეთების მანიპულაციით გამოვლენილი შემთხვევების შედეგად, დაიწყო მუშაობა ალტერნატიულ ურისკო განაკვეთებზე გადასასვლელად (RFR). ბანკთაშორისი შეთავაზებული განაკვეთებიდან ურისკო განაკვეთებზე გადასვლის გასამარტივებლად ფასს საბჭომ სტანდარტებში შეიტანა რიგი შესწორებები და ასეთი გადასვლა დაყო ორ ეტაპად. მნიშვნელოვანი შესწორებები, რომლებიც განხორციელდა მეორე ეტაპზე, სავალდებულო გახდა გამოსაყენებლად 2021 წლიდან დაწყე-

ბული ფინანსური ანგარიშგების შესადგენად. ძირითადი ყურადღება მიექცა იმ საკითხებს, რომლებიც წარმოიქმნა IBOR განაკვეთიდან RFR-ის განაკვეთებზე გადასვლისას.

- ამ რეფორმასთან დაკავშირებით შეიცვალა ზოგიერთი სტანდარტი. კერძოდ, შეივსო სტანდარტები: ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტებინ და ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასებან ჰეჯირების შესახებ დებულებებით, რომლის თანახმად არსებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში განაკვეთების შეცვლა განხილულ უნდა იქნეს, როგორც მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება. ანალოგიური ცვლილებები შეეხო ფასს 17-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“, რომელიც გამოიყენება 2023 წლის და შემდეგი პერიოდების ანგარიშგებების შედგენისათვის.
- სტანდარტში ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნებინ გაჩნდა ახალი მოთხოვნები, თუ როგორ გამჟღავნდეს ინფორმაცია ურისკო განაკვეთზე გადასვლის მართვისა და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ.
- იმისათვის, რომ ინფორმაციის მომხმარებლებმა IBOR-დან RFR-ზე გადასვლისას ახსნან რისკების ხარისხი, ხასიათი და რისკების მართვა, შესწორებები მოითხოვს საწარმოებმა ანგარიშგებაში გაამჟღავნონ შემდეგი ინფორმაცია:
- როგორ ხორციელდება ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთებიდან ურისკო განაკვეთებზე გადასვლა, მიღწეული პროგრესი საანგარიშგებო პერიოდისათვის და ამ გადასვლასთან დაკავშირებული რისკები;
- რაოდენობრივი ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან ურისკო საპროცენტო განაკვეთებზე;
- თუ საწარმოების ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთების რეფორმამ გამოიწვია რისკების მართვის სტრატეგიაში ცვლილებები, ამ ცვლილებების გამჟღავნება.

დასკვნა

1. ბასს 1-ის ცვლილებებით საწარმოებმა უნდა განიხილონ, შეიძლება თუ არა ზოგიერთმა ცვლილებამ გავლენა მოახდინოს მათ ამჟამინდელ პრაქტიკაზე. საწარმოებმა გულდასმით უნდა განიხილონ, საჭიროა თუ არა ცვლილებების შესაბამისად სასესხო ხელშეკრულებების პირობების ხელახლა გადასინჯვა. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცვლილებები რეტროსპექტულად უნდა იქნეს გამოყენებული.

ბასს 1-ის ცვლილებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს საწარმოთა სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებაზე. იმის დადგენა, არსებითია თუ არა სააღრიცხვო პოლიტიკა მოითხოვს მსჯელობას. ამდენად, საწარმოებს მოუწოდებენ, გადახედონ თავიანთი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის გამჟღავნებას, რათა უზრუნველყონ შესწორებულ სტანდარტებთან შესაბამისობა.

საწარმოებმა უნდა განიხილონ, არის თუ არა სტანდარტიზებული ინფორმაცია ან ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ იმეორებს ან აჯამებს ფასს-ების მოთხოვნებს. ასევე არის თუ არა არსებითი ინფორმაცია და, თუ არა, ამოღებულ უნდა იქნეს თუ არა იგი სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებიდან ფინანსური ანგარიშგების სარგებლობის გაზრდის მიზნით.

2. ფასს 3-ის ცვლილებები მიზნად ისახავს კონცეპტუალური საფუძვლების მითითების განახლებას ფასს 3-ის მოთხოვნების მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე. ცვლილებები ხელს შეუწყობს ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულობას და თავიდან აიცილებს კონცეპტუალური საფუძვლების ერთზე მეტი ვერსიის გამოყენებას.

3. ბასს 8-ში ცვლილებები მიზნად ისახავს უფრო მეტი სიცხადისთვის ფინანსური ანგარიშგების შემდგენლებს მიაწოდოს სააღრიცხვო შეფასებების განმარტება, განსაკუთრებით სააღრიცხვო შეფასებებსა და სააღრიცხვო პოლიტიკას შორის განსხვავების თვალსაზრისით. შესაძლებელია ცვლილებებმა არ იქონიონ არსებითი ზეგავლენა საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ მათ მაინც უნდა უზრუნველყონ მითითებები იმის შესახებ, განიხილება თუ არა ცვლილებები შეფასებებში, პოლიტიკის ცვლილებებად ან შეცდომებად.

4. ბასს 37-ში ცვლილებებით საწარმოები წამგებიან კონტრაქტებს, რომლის მიმართ ადრე იყენებდნენ დამატებითი ღირებულების მიდგომას, ამჯერად უშუალოდ კონტრაქტთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რეზერვს მიაკუთვნებენ.

ლიტერატურა

1. Marina Maisuradze, Mariam Vardiashvili. (2022). Some Issues of Preparation and Submission of Financial Statements in the Conditions of COVID - 19. *Economics and Business*. doi:https://doi.org/10.56079/20221/4
2. Deloitte. (2021, February 12). *iasplus.com*. Retrieved from https://www.iasplus.com/en/news/2021/02/ias-8.
3. Deloitte. (2023, January 27). *deloitte.com*. Retrieved from https://www2.deloitte.com/be/en/pages/audit/articles/ifrs-adopted-by-eu-2022.html.
4. EY. (2022, june 23). *ey.com*. Retrieved from https://www.ey.com/en_gl/ifrs-technical-resources/applying-ifrs-accounting-for-rent-concessions-updated-june-2022.
5. EY. (2023, January 17). *ey.com*. Retrieved from https://www.ey.com/en_pl/ifrs-technical-resources/ifrs-update-standards-and-interpretations-in-issue-31-december-2022.
6. IFRS. (2022, October 20). *ifrs.org*. Retrieved from https://www.ifrs.org/news-and-events/updates/iasb/2022/iasb-update-october-2022/.
7. IFRS. (2022, September 22). *ifrs.org*. Retrieved from https://www.ifrs.org/news-and-events/updates/iasb/2022/iasb-update-september-2022/.
8. IFRS. (2022, December 13). *ifrs.org*. Retrieved from https://www.ifrs.org/projects/work-plan/goodwill-and-impairment/.
9. L Sabauri. (2021). COVID-19 PANDEMIC CORONOMICAL CRISIS. *Economics and Business*, 134-147.
10. Sabauri L., Kvatashidze N. (2022). Impact of the COVID-19 Pandemic on the Preparation of Financial Statements. *International Scientific Conference Dedicated to the Establishment of the University 100th Anniversary of the Faculty of Economics and Business;* (pp. 275-282). Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University; ISBN 978-9941-491-70-2.

Levan Sabauri
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nadezhda Kvatashidze
Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Anzheli Khorava
Senior Lecturer
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Zeinab Gogrichiani
Senior Lecturer
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Reflection of Post-pandemic Changes in Financial Statements

SUMMARY

The article discusses the changes made by the International Accounting Standards Board (IASB) in the post-pandemic period to the International Financial Reporting Standards and the new challenges of the Board. It also analyzes the impact of the changes on the information in the financial statements. Namely, the changes in the following standards are discussed: IAS 1; 16, 37; 39; IFRS 3; 7; 9; 16.

Keywords: IFRS update, post-pandemic period, interest rates, lease, goodwill impairment

უშანგი სამადაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქალთა როლი საქართველოს ეკონომიკის ინკლიუზიურ ზრდაში

ნაშრომში დასაბუთებულია, *რომ თანამედროვე საქართველოში საზოგადოების საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობის საუკეთესო საშუალებაა ეკონომიკის ინკლიუზიური ზრდა ანუ ეკონომიკაში საყოველთაო ჩართულობა, რასაც აფერხებს შრომითი და სამეწარმეო საქმიანობის ასიმეტრიული განვითარება გენდერულ ჭრილში.* ***კვლევის მიზანი*** *სწორედ ქალთა შრომითი და სამეწარმეო აქტივობის ხელშეწყობის გზით მათი ეკონომიკური პოტენციალის ათვისება და გაძლიერებაა. დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე* ***გარკვეულია*** *ქალთა მეწარმეობის არსი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის ინკლიუზიურ ზრდაში.* ***გამოვლენილია*** *ქალთა სამეწარმეო საქმიანობის დაწყების უმნიშვნელოვანესი მოტივები და განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორები.* ***ნაჩვენებია,*** *რომ პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ შემოღებულმა შეზღუდვებმა და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა ვარდნამ უფრო მეტად დააზარალა ქალები, ვიდრე მამაკაცები. საერთაშორისო გამოცდილებისა და საკუთარი ხედვების საფუძველზე* ***შემუშავებულია*** *ქალთა ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი მიზეზ-ფაქტორების მინიმიზება-აღმოფხვრის წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება და ეფექტიანი განხორციელება, ვფიქრობთ, ძლიერ გავლენას მოახდენს საქართველოში გენდერულ თანასწორობაზე, ქალთა შრომით და სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურებაზე, ანუ ეკონომიკის ინკლიუზიურ ზრდაზე და, შესაბამისად, საზოგადოების საყოველთაო და დიფერენცირებულ კეთილდღეობაზე.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკის ინკლიუზიური ზრდა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, ქალთა შრომითი აქტიურობა, ქალთა მეწარმეობა, ქალთა მეწარმეობის შესაძლებლობები.*

თემის აქტუალობა. თანამედროვე საქართველოში საზოგადოების საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა ეკონომიკის ინკლიუზიური ზრდა ანუ ეკონომიკაში საყოველთაო ჩართულობა, რასაც აფერხებს შრომითი და სამეწარმეო საქმიანობის ასიმეტრიული განვითარება გენდერულ ჭრილში.

კაცებთან შედარებით ქალთა შრომაში და ბიზნესში ნაკლები ჩართულობა და მისი გამომწვევი მიზეზ-ფქტორების ჯეროვანი მეცნიერული შეუსწავლელობა კი ამცირებს სამუშაო ადგილებს, მთლიან შიდა პროდუქტს, საშუალო კლასს ანუ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტს; ზრდის უმუშევრობას, სიღარიბეს; აუარესებს ცხოვრების დონეს და სხვ. **წინამდებარე კვლევა ჩამოთვლილი პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთი მოკრძალებული ცდაა, რაც ნათლად მეტყველებს შერჩეული თემის აქტუალობაზე.**

შემოთავაზებული კვლევის მიზანია ღრმად და სისტემურად იქნას შესწავლილი საქართველოში ქალთა შრომითი და სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით არსებული არასახარბიელო მდგომარეობა; გამოვლენილი იქნას ქალთა ეკონომიკური გაძლიერების დამაბრკოლებელი მიზეზ-ფაქტორები და საერთაშორისო გამოცდილებისა და საკუთარი ხედვების საფუძველზე შემუშავებული იქნას მათი მინიმიზება-აღმოფხვრის წინადადებები და რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდები. დასახული მიზნის მიღწევისას გამოყენებულია საერთაშორისო ორგანიზაციების, ქალთა სამეწარმეო საქმიანობის განვითარების **მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუტების,** არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევების, საქსტატის მონაცემებისა და ექსპერტთა შეხედულებების სისტემური ანალიზი, სინთეზი, შედარება, დაკვირვება, აბსტრაქცია, ინდუქცია, დედუქცია და სხვა.

ხაზგასასმელია ისიც, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების განუყოფელი პრიორიტეტია. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელია საქართველოს კონსტიტუციის მეთერთმეტე მუხლი, მისგან გამომდინარე კანონი გენდერული თანასწორობის

შესახებ, კანონქვემდებარე აქტები, სტრატეგიები და სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის პროგრამები; გენდერულ თანასწორობას ეთმობა, ასევე, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატის სტატუსის მისაღებად დაწესებული 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთი.

არადა, როგორც ჩანს, გენდერული თანასწორობისთვის საკმარისი არ არის კანონები, სახელისუფლო ინსტიტუტები და მათ მიერ შემუშავებული სტრატეგიები, თუ პროგრამები. ჩვენი აზრით, გენდერული თანასწორობის იდეა მაშინ გადაიქცევა მატერიალურ ძალად, როდესაც მასების შეგნებას დაეუფლება, როდესაც რეფორმა განხორციელდება მოსახლეობის ცნობიერებაში და გენდერული თანასწორობა სხვადასხვა სფეროში ბუნებრივ მდგომარეობად მოგვევლინება.

კვლევის ობიექტია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. **კვლევის საგანია** ქალთა შრომითი და სამეწარმეო საქმიანობის როლი საქართვლოს ეკონომიკის ინკლიუზიურ ზრდაში.

„გაეროს“ ქალთა ორგანიზაციის მიხედვით გენდერულ დისბალანსში ანუ უთანასწორობაში მოიაზრება საზოგადოების ისეთი სტრუქტურა, სადაც ადამიანის სქესზეა (ანუ მამაკაცია თუ ქალი) დამოკიდებული მისი უფლებები, პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები. შესაბამისად, გენდერულ უთანასწორობაში იგულისხმება ქალების არახელსაყრელი პოზიცია დასაქმებასა და შრომის ანაზღაურებაში, სექტორულ ჭრილში, საკუთარი ბიზნესისა და უძრავი ქონების ფლობაში, aუნაზღაურებელ საშინაო საქმეებში და ოჯახის წევრებზე ზრუნვაში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე და სახელისუფლო სტრუქტურებზე ნაკლებ წვდომაში და ა.შ.

ქალთა მეწარმეობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ გენდერულ თანასწორობაში, არამედ ქვეყნის ეკონომიკის ინკლიუზიურ განვითარებაშიც. ეს იმიტომ, რომ ქალთა ბიზნესით იქმნება ახალი სამუშაო ადგილები; იზრდება დასაქმება, შემოსავლები, მთლიანი შიდა პროდუქტი; მატულობს ცხოვრების დონე, საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობა, საშუალო კლასი ანუ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი და მრავალი სხვ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში დომინირებს მცირე ბიზნესი, მცირე ბიზნესში კი ძირითადად ქალები არიან წარმოდგენილი. ამასთან, მცირე ბიზნესი ფუნქციონირებს უპირატესად სამამულო რესურსებით და სამამულო ბაზრისთვის. **შესაბამისად, საქმიან ქალებს ანუ ბიზნესვუმენებს** დიდი როლის შესრულება შეუძლიათ ჭეშმარიტად ეროვნული ეკონომიკის ფორმირებაში და არაგონივრული იმპორტის ჩანაცვლებაში.

ხშირად ქალთა გენდერულ დისკრიმინაციას ადგილი აქვს დაბადებამდე. ასე მაგალითად, ინდოეთში, ჩინეთში, აზერბაიჯანში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში აბორტი ტარდება სქესის მიხედვით. ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, 23 მილიონი გოგონა არ დაიბადა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მშობლები არ იყვნენ კმაყოფილი ბავშვის სქესით. ეს ციფრი ორჯერ აღემატება ფინეთისა და დანიის მოსახლეობის რაოდენობას ერთად აღებულს[1] **.**

არსებული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, საქართველოში გენდერულ უთანასწორობას ანუ ქალთა და კაცთა უფლებრივ უთანაბრობას ადგილი აქვს დასაქმებასა და შრომის ანაზღაურებაში. 2022 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით საქართველოში კაცების დასაქმების მაჩვენებლი უფრო მაღალია (49%), ვიდრე ქალების (32.5%). ეს მიუთითებს ადამიანური კაპიტალის არასათანადოდ გამოყენებაზე **[2].** ამგვარ ვითარებას მსოფლიო ბანკი შრომის ბაზრის დაკარგულ რესურსად მიიჩნევს, რომლის გამოც საქართველო მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის 11 პროცენტზე მეტს კარგავს **[3].**

მაკკინსის გლობალური ინსტიტუტის კვლევის მიხედვით კი, რომელიც ჩატარდა 96 ქვეყანაში, ორივე სქესის თანაბარი დასაქმება მსოფლიოს მშპ-ს გაზრდის 26%-ით, ანუ 28 ტრილიონი დოლარით **[4].**

საქართველოს ეკონომიკაში ქალთა მონაწილეობის დაბალი დონე, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას იმით, რომ: ქალები ოჯახის წევრების, ბავშვების ზრუნვაზე და საოჯახო საქმეებზე გაწეულ აუნაზღაურებელ შრომაზე სამჯერ მეტ დროს ხარჯავენ კაცებთან შედარებით, რის გამოც ნაკლები დრო რჩებათ ანაზღაურებადი სამუშაოსათვის, კარიერული და პიროვნული განვითარებისათვის; კაცები ოფიციალურად პენსიაზე გადიან 65 წლიდან, ქალები კი - 60 წლიდან; ბაგა-ბაღების, საბავშვო ბაღებისა და გახანგძლივებული სკოლების არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, ქალს აიძულებს ბავშვებზე ზრუნვისთვის დატოვოს შრომის ბაზარი და გადავიდეს ეკონომიკურად არააქტიურთა რიგებში. აღსანიშნავია, ისიც რომ კორონა პანდემიის გამო სამსახურიდან განთავისუფლებულთა უდიდესი ნაწილი ქალი იყო. მათ, ასევე, უფრო მეტად შეუმცირდათ სამუშაო საათები, ვიდრე კაცებს.

ქალთა ეკონომიკური გააქტიურების, ანუ დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია ქალებისათვის თვითშეფასების, თვითრწმენის მნიშვნელოვანი ამაღლება; საჭიროა, ასევე, მათთვის სამსახურის მოძიების ჯერ მოტივაციის გაჩენა/-გაზრდა, შემდეგ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება. ამ მიმართებით მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას: პროფესიული მომზადება-გადამზადება; კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები; უნარ-ჩვევების გამამომუშავება-გაუმჯობესების ტრენინგები და სხვ.

კიდევ უფრო რთულია გამოწვევები, რომელიც სტერეოტიპებისა და მანკიერი ტრადიციული დამოკიდებულებების აღმოფხვრას უკავშირდება. მაგალითად, ტრადიციული შეხედულებების თანახმად, „ქალი დიასახლისი უნდა იყოს“. ეს, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერია ქალის როლის გაზრდისთვის სამუშაო ადგილზე და მთლიანად საზოგადოებაში. ან კიდევ, „თუ დედა ფულისთვის მუშაობს, მაშინ ბავშვები იჩაგრებიან“. ცხადია, ქვეყნების მთავრობებმა, ბიზნესებმა, მეცნიერებმა, მედიამ და მთლიანად საზოგადოებამ ერთობლივად უნდა იმუშაონ ამგვარი მანკიერი ტრადიციების დასაძლევად.

ამ მიმართებით აუცილებელია, ასევე, მოქნილი სამუშაო გრაფიკი და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით რეგიონებში. ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც ეხება ბავშვთა აღზრდის საკითხებს (ბაგა-ბაღები, სხვადასხვა სასწავლო წრეები, საკვირაო სკოლები, „გახანგრძლივებული სკოლები“ და ა.შ) გამოათავისუფლებს ქალთა დროს და მათ მიეცემათ შრომის ბაზარზე გააქტიურების შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, ასევე, ოჯახის სხვა წევრების მხრიდან დახმარება აუნაზღაურებელ საოჯახო შრომაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალებსა და მამაკაცებს შორის დაახლოებით ერთნაირი განათლების დონე ფიქსირდება, დიდი განსხვავება შეინიშნება ქალებისა და მამაკაცების შრომის ანაზღაურებას შორის და შეადგენს 36,2 %-ს [5]. ეს აიხსნება იმით, რომ ქალების უმეტესობა ირჩევს საქმიანობის ისეთ სფეროებს: ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება, მომსახურება, კულტურის სფერო და სხვა, სადაც შრომის ანაზღაურება უფრო დაბალია, ვიდრე „მასკულინურ“ ანუ მამაკაცურ ფიზიკურ ძალაზე დამყარებულ ინდუსტრიებში (სამთომოპოვება, მშენებლობა, მძიმე მრეწველობა და სხვ.), სადაც ძირითადად მამაკაცები არიან წარმოდგენილი. ასევე, კაცები უმეტესად უფრო მაღალანაზღაურებად პოზიციებს იკავებენ.

ჩატარებული კვლევები ცხადყობს, რომ საქართველოში იზრდება საწარმოების რაოდენობა, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ, მაგრამ მათი ზომა რჩება მცირე დასაქმებულთა რაოდენობისა და ბრუნვის მიხედვით. ფინანსური, შრომითი, დროის და სხვა არამატერიალური რესურსების უკმარისობა კი იწვევს იმას, რომ საქართველოში ქალთა ბიზნესი არ იზრდება. იკვრება ერთგავრი მოჯადოებული წრე: მცირე ბიზნესს არ აქვს საკუთარი სახსრები და შესაძლებლობა მოიზიდოს დიდი დაფინანსება, რათა გაზარდოს დასაქმება, ბრუნვის მოცულობა და საწარმოს სიდიდე. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში აუცილებე-**

ლია ქალთა მეწარმეობის არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი გაუმჯობესება.

ამ მიმართებით საქართველოს აქვს ორი გზა: პირველი არის ქალთა მეწარმეობის „სპეციალიზაციის" ვექტორის გადამისამართება, ანუ მეწარმე ქალთა შესვლის უზრუნველყოფა ეკონომიკის პირველად და მეორად სექტორებში, სადაც შედარებით მაღალია ანაზღაურება. **ეს არის ჰორიზონტალური დესეგრეგაციული პოლიტიკა,** რომელიც მოუწოდებს ქალებსა და მამაკაცებს დასაქმდნენ ისეთ სფეროებშიც კი, რომლებიც სტერეოტიპულად სააწინააღმდეგო სქესის საქმედ მიიჩნევა; **და მეორე,** ეს არის ქალთა სტიმულირება მაღალ თანამდებობებზე იმ სფეროებშიც კი, სადაც ქალები შეადგენენ დასაქმებულთა უმრავლესობას, მაგალითად, ჯანდაცვაში, განათლებაში. **ეს არის ვერტიკალური დესეგრეგაციული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს სქესების თანაბარ განაწილებას მმართველურ იერარქიულ საფეხურებზე** .

მნიშვნელოვანი დისპროპორცია შეინიშნება, აგრეთვე, ქალებსა და მამაკაცებს შორის მენეჯერული პოზიციების განაწილებაში. მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულებში ქალების წილი შეადგენს 35.9%-ს, მამაკაცების წილი - 63.9%-ს **[6].** არადა, როგორც უკვე ითქვა, ამჟამად საქართველოს ეკონომიკაში მცირე ბიზნესი დომინირებს, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ მცირე სააწარმო არ საჭიროებს დიდ კაპიტალს, დროსა და სხვა ეკონომიკურ რესურსებს. აღნიშნული უპირატესობების გამო მცირე და საშუალო ბიზნესის დამფუძნებელთა დიდი ნაწილი ქალია. ამის მიუხედავად, ბევრი მომუშავე ქალი კონცენტრირებულია მენეჯმენტის დაბალ და საშუალო დონეზე. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ეგრეთ წოდებული „მინის ჭერი", რომელიც მათ ყოფს მენეჯმენტის ზედა სართულებისგან, არავითარ შემთხვევაში არ ტყდება. „მინის ჭერი", ანუ იერარქიული უხილავი ბარიერი, ხელს უშლის ქალებს დაიკავონ უფრო მაღალი მენეჯერული პოზიციები. შესაბამისად, საქართველოში კომპანიების მხოლოდ 16%-ს ჰყავს ქალი აღმასრულებელი დირექტორი ანუ ტოპ (უფროსი) მენეჯრი. აშშ-შიც უმაღლესი განათლების მქონე მუშაკების დაახლოებით ნახევარს შეადგენენ ქალები, მაგრამ ისინიც ძალიან ცოტა არიან ხელმძღვანელ პოზიციებზე. მაგალითად, ქალები თავკაცობენ Fortune 500-ის სიაში შემავალი კომპანიების მხოლოდ მცირე 5% პროცენტს. **შევნიშნავთ, რომ ქალების მაღალი წარმომადგენლობა კომპანიების ტოპ მენეჯმენტში და მაღალ სამთავრობო თანამდებობებზე შეამცირებს ქალთა ანაზღაურების უსამართლო განსხვავებას კაცებთან შედარებით და ხელს შეუწყობს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას.**

გენდერული დისბალანსი, უთანასწორობა ფიქსირდება, ასევე, ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის განაწილების მხრივაც. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით 2020 წელს ქალების 64%, ხოლო კაცების მხოლოდ 36% იყო ეკონომიკურად არააქტიური, ანუ სამუშაო ძალის გარეთ დარჩენილ [7] ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთან, ეკონომიკურად არააქტიური ქალების მესამედზე მეტი დიასახლია. აღნიშნულ კატეგორიას გააჩნია პოტენციალი გახდეს ეკონომიკურად აქტიური ძალა და სამეწარმეო შესაძლებლობების რეალიზაციის გზით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს, როგორც საკუთარი ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ასევე ქვეყნის განვითარებაში.

საქართველოში თითქმის ყველა ბიზნეს-სექტორში ქალები ნაკლებად არიან დასაქმებულები და მათი ხელფასიც დაბალია. ქალების საშუალო ხელფასი კაცების საშუალო ხელფასის 67 პროცენტს შეადგენს. ე.ი. გენდერული სახელფასო სხვაობა 33 პროცენტია [8]. კვლევის შედეგების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეს ქალთა ბიზნესი სიდიდითა და ზრდის დინამიკით ჩამორჩება კონკურენტი მამაკაცების ბიზნესებს. ეს იმიტომ, რომ ქალები ძირითადად ორიენტირებულნი არიან გადარჩენისა და შეზღუდული პერსპექტივის ბიზნესზე, კაცები კი - განვითარებაზე ორიენტირებულ ბიზნესებზე. ინოვაციური აქტივობის თვალსაზრისით, გენდერული განსხვავება არ გამოვლენებულა, თუმცა განხორციელებული ინოვაციური პროდუქტების ხარისხი უფრო წარმატებულია კომპანიებში, რომლებსაც ფლობენ მამაკაცები.

საქართველოში **ქალთა ბიზნესი** დომინირებს განათლებაში, მეცნიერებაში, ჯანდაცვაში, კულტურაში, მომსახურების სფეროში, საზკვებაში, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში. **ჩვენი აზრით,** ეს უნდა აიხსნას იმით, რომ საოჯახო მეურნეობაში დაგროვილი გამოცდილება აყალიბებს ხსენებულ დარგებში მუშაობისთვის საჭირო უნარებსა და ცოდნას. ქალებს ნაკლებად აქვთ ტექნიკური განათლება, რაც ხელს უშლის მათ საამშენებლო, სატრანსპორტო და სამრეწველო საწარმოების ჩამოყალიბებაში. ქალებს, ასევე, უჭირთ სასეხო კაპიტალის მოპოვება. არადა, სწორედ **ქალებისთვის „არატრადიციული“ ე. წ. „მასკულინური“ ინდუსტრიები (საამშენებლო, სატრანსპორტო და სამრეწველო საწარმოები) მოითხოვენ დიდი ოდენობის საწყის კაპიტალს და კაცის ძლიერ ფიზიკურ ენერგიას.**

სამწუხაროდ, საქართველოში ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ბიზნესვუმენებისთვის დამატებით ბარიერებთან არის დაკავშირებული. ფინანსური ბაზარი შეზღუდულია ისეთი მეწარმეებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ/ან გააჩნიათ „გაფუჭებული“ საკრედიტო ისტორია და ნაკლებად აქვთ დამატებითი გარანტიები. ჩვენს ქვეყანაში ასეთი მეწარმეების უმეტესობას ქალები წარმოადგენენ. მათ მეტად აქვთ დაფინანსების მიღების საჭიროება. თუმცა, ქალისთვის რთულია სესხის ქონებით უზრუნველყოფა, როგორც მინიმუმ მამაკაცის ნებართვის გარეშე. ეს იმიტომ, რომ **ვაჟიშვილისთვის ქონების დატოვება ქართული ტრადიციაა,** რომელიც ეფუძნება იმ აზრს, რომ ოჯახის ქონება უნდა ერგოს მამაკაცს, **ხოლო ქალისთვის კომპენსაციას მზითევი წარმოადგენს.** ამავე დროს, ქალი, გათხოვების შემთხვევაში ხდება მეუღლის ქონების „თანამესაკუთრე“, რომელიც მამაკაცს მშობლებისგან დარჩა ადათის თანახმად. თუმცა, ეს „მესაკუთრეობა“ უფრო მეტად ქონების მოხმარების უფლებად მოიაზრება (სახლში ცხოვრება, ნივთების გამოყენება) და ნაკლებად გულისხმობს მის განკარგვას განსაკუთრებით განქორწინების შემთხვევაში.

ასევე, პრობლემას წარმოადგენს დამოუკიდებელი და სტაბილური შემოსავლის წყაროების არ არსებობა, შედეგად მათთვის დგინდება მაღალი საპროცენტო სარგებელი სესხის აღებისას და შემდგომში მცირდება სესხის დაფარვის შესაძლებლობა. მეწარმე ქალებისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა არანაკლებ მომგებიანი და სარგებლის მომტანი იქნება ფინანსური ინსტიტუტებისთვის, ვინაიდან ისინიც ზრუნავენ საკუთარი მომხმარებლების მოზიდვასა და შემოსავლების ზრდაზე. დაბრკოლებები, რომლებსაც ბიზნესის მფლობელი ქალები აწყდებიან ფინანსების მოძიების პროცესში არაპროპორციულად მაღალია. ეს იმიტომ, რომ ფინანსური ინსტიტუტები აღიქვამენ ქალების მიერ მართულ ბიზნესს, როგორც ნაკლებად სიცოცხლისუნარიანს და უფრო მაღალი რისკის შემცველს.

სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებისა და განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქალთა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, რადგანაც ის ხელს უწყობს ბაზარზე ახალი კომპანიების შემოსვლას, კონკურენტული ბიზნეს-გარემოს შექმნას, ახალ სამუშაო ძალაზე მოთხოვნას და უმუშევრობის დონის შემცირებას. შესაბამისად, საქართველოში, საჭიროა გაიზარდოს ქალი მეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. ამის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა ინიციატივების განხორციელებით: ჩაიდოს ინვესტიცია (სახელმწიფო ფინანსები ან საერთაშორისო გრანტი) კომერციულ ბანკებში, რაც მათ საშუალებას მისცემს მეტი მოცულობის და შეღავათიანი სესხები გასცენ ქალ მეწარმეებზე; განხორციელდეს კვლევები და მოპოვებულ იქნას მტკიცებულებები, რაც დაასაბუთებს, რომ ფინანსური ინსტიტუტების მოგება და მდგრადობა გაიზრდება ქალი მეწარმეების სეგმენტის ათვისებით და მათთვის სპეციფიკურ საჭიროებაზე მორგებული პროდუქტების შემოღებით; ქალ ბენეფიციარებთან ინტენსიური მუშაობა და შესაძლებლობების ზრდა, იმ მიზნით რომ უკეთ გაიგონ საბანკო სისტემა და განავითარონ საკუთარი ფინანსური მენეჯმენტის უნარები, რათა გახდნენ უფრო მიმზიდველი სეგმენტი ფინანსური ინსტიტუტებისთვის.

ქალთა ბიზნეს შესაძლებლობათა გაძლიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ბიზნესის მართვის ცოდნა-გამოცდილების შეძენა. ეს ქალებს დაეხმარება საკუთარი ბიზ-

ნეს ინიციატივების შემუშავება-დახვეწაში და შემდგომ ეფექტიან მართვაში. იმ შემთხვევაში კი თუ პირს აქვს კარგი განათლება, მაგარმ არ აქვს სამუშაო ან სამეწარმეო გამოცდილება, რა თქმა უნდა, ბინზნეს საქმნიანობაში წარმატების მისაღწევად მას აუცილებად დასჭირდება უნარ-ჩვევების გამომუშავება ტრენინგ-კურსების გავლით. ამგვარ ტრენინგ-კურსებს ძირითადად ადგილობრივი და საერთაშორისო არამსათავრობო სექტორი სთავაზობს ქალებს. შესაბამისად ისინი ვერ ფარავენ მთლიან ქვეყენას, განსაკუთრებით სოფლებს და არ აქვთ პერმანენტული ხასიათი. სწორედ ამიტომ, რეგიონებში ამგვარი ტრენინგ-კურსების ჩატარება უნდა იკისრონ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, რომელთაც ექნებათ შესაძლებლობა მოახდინონ კურსების ადაპტირება უშუალოდ მათი რეგიონისათვის დამახასიათებელი ბიზნეს სექტორებთან და სასოფლო-სამეურნეო დარგების თავისებურებებთან.

აუცილებელია ქალთა მოტივაციის ამაღლება და საკუთარ სამეწარმეო შესაძლებლობებში რწმენის გაძლიერება. უშუალოდ მათთვის და ზოგადად საზოგადოებისთვისაც ნათლადაა წარმოსაჩენი, რომ ქალს შეუძლია მოახდინოს ეკონომიკური და სამეწარმეო შესაძლებლობების სრულყოფილი რეალიზაცია. ამ თვალსაზრისით შეუცვლელი როლის შესრულება შეუძლია მასმედიის საშუალებებს. სხვადასხვა მეწარმე ქალების „წარმატების ისტორიების“ გავრცელება და გაზიარება, თუ როგორ შეძლეს მათ საკუთარი საქმიანობის დაწყება და განვითარება, კარგი მაგალითი და მამოტივირებელი სიგნალი იქნებოდა პასიური ქალებისათვის.

მნიშვნელოვანია, ასევე, ქალთა საინფორმაციო უზრუნველყოფა და ბიზნეს-კონსულატაციებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ხშირია შემთხვევები, როდესაც სამეწარმეო საქმიანობას იწყებენ ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის ყველანაირი ფინანსური გათვლების გარეშე და შედეგად იღებენ „ჩავარდნილ“ საქმეს, რაც განაპირობებს პრინციპულ უარს სხვა სამეწარმეო საქმნიანობის დაწყებაზე. ამ კუთხით ეფექტიანი იქნებოდა გარკვეული დარგობრივი ანალიზის ჩატარება და შესაბამისი ბაზრების შესწავლა, რომელიც რჩევას მისცემდა პოტენციურ ბიზნესვუმენებს რა მიმართულებით იქნებოდა ფინანსურად ეფექტიანი საქმიანობის დაწყება, რა პროდუქტებსა და მომსახურებებზე არის მაღალი მოთხოვნა რეგიონების ჭრილში და ა.შ. ბუნებრივია, ამგვარი ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ ერთი ნაწილი უნდა იყოს ქალთა მეწარმეობის განვითარების კომპლექსური პროგრამის. აღნიშნული ინიციატივა ეფექტიანი იქნება თუ ქალებს ექნებათ ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა; ასევე, უნარ-ჩვევების განვითარების და ბიზნესკონსულტაციების მიღების შესაძლებლობები.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე საქართველოში ქალთა შრომით და სამეწარმეო საქმიანობას და, შესაბამისად, ეკონომიკის ინკლიუზიურ ზრდას აფერხებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ბიზნესის წამოწყება-განვითარების არასაკმარისი ცოდნა-გამოცდილება, შრომის ბაზრის შეუსაბამო ქალთა არასათანადო პროფესიული უნარ-ჩვევები, ბიზნესის დაწყება-გაფართოებისთვის საჭირო ფინანსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა, ბიზნესისა და საოჯახო მეურნეობის გაძღოლის (ბავშვის მოვლა, საყოფაცხოვრებო და ოჯახური პასუხისმგებლობა) შეთავსების სირთულენი, მოძველებული სოციალურ-კულტურული სტერეოტიპები, ინფორმაციაზე, ბიზნეს-კონსულტაციებზე და ციფრულ ტექნოლოგიებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა.

ასევე, შეიძლება გამოიყოს ძირითადი მოტივები, რის გამოც საქართველოში ქალები იწყებენ ბიზნესს და ამით ხელი ეწყობა ინკლიუზიურ ეკონომიკურ ზრდას, ესაა: ბიზნეს-შესაძლებლობების თვითრეალიზაცია და საკუთარი ადგილის პოვნა საზოგადოებაში; ფინანსური დამოუკიდებლობა; კარიერული ზრდა; ცხოვრების დონის გაუმჯობესება; ბიზნეს-იდეის რეალიზება; სამუშაოს, ბიზნესის წარმართვისა და ბავშვების აღზრდის შეთავსების შესაძლებლობა; ოჯახში რთული ეკონომიკური მდგომარეობა. ვთქვათ, მანდილოსანი გაეყარა მეუღლეს და ხელი მოჰკიდა ბავშვების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობას და სხვა. ბევრი

ქალი კი დარწმუნებულია იმაში, რომ მამაკაცს არ ძალუძს დამოუკიდებლად ასწიოს საოჯახო პრობლემების ტვირთი იმის გამო, რომ მთელი საბჭოთა ისტორიის განმავლობაში, ერთი ადამიანის ხელფასი საკმარისი არ იყო ოჯახისთვის.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გენდერული უთანასწორობის პრობლემა ზოჯერ მამაკაცებსაც აწუხებს: მაგალითად, ავიღოთ ისეთი პარამეტრი, როგორიცაა საპენსიო ასაკი. პენსიას ქალები ღებულობენ 60 წლის ასაკიდან, კაცები - 65 წლიდან. ეს ფაქტი გენდერული თვალსაზრისით, სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაში ქალების სასარგებლოდ თითქმის 8 წლიან განსხვავებას და პენსიონერი ქალების რიცხოვნების 2.5-ჯერ სიჭარბეს იწვევს. ამჟამად საქართველოში ქალებისათვის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 77.7 წელს, ხოლო კაცებისთვის- 69.1 წელს **[9].**

საერთაშორისო მასშტაბით, კაცებში მოკვდაობის მაღალი მაჩვენებელი გარკვეულწილად ქცევით ხასიათს ატარებს: გენდერული განსხვავება ალკოჰოლის მოხმარებაში, მწეველებში, სარისკო აქტივობებში მონაწილეობაში, ისეთები, როგორიცაა ავტომანქანის მართვა, განსაზღვრავს ქალების სიცოცხლის უფრო მაღალ ხანგრძლივობას კაცებთან შედარებით. ამრიგად, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოში ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას უფრო მაღალია, ვიდრე კაცების.

მიუხედავად იმისა, თუ რომელი სქესი არის არახელსაყრელ მდგომარეობაში, მთელი საზოგადოება განიცდის გენდერულ უთანასწორობას.

კორონა პანდემიის გავლენა საქართველოში არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე

და ბოლოს, გაეროს კვლევის მიხედვით, კოვიდ 19 პანდემიამ კიდევ უფრო გააღრმავა საქართველოში არსებული გენდერული უთანასწორობა. გამოკითხულთა დიდი ნაწილი აცხადებს, რომ კორონა-პანდემიის გამო შემოღებული შეზღუდვების შედეგად საქართველოში გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა შემოსავლები, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი ძლიერი ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ მოექცა **[10].**

შევნიშნავთ, რომ კოვიდ 19 პანდემიამ უფრო მეტად დააზარალა ქალი დასაქმებულები და მეწარმეები, ვიდრე 2008-2009 წლების ფინანსურმა კრიზისმა. ამის **პირველი** მიზეზი არის ის, რომ შედარებით მეტი მამაკაცი მუშაობს ისეთ სექტორებში, როგორიცაა **წარმოება და მშენებლობა,** რომლებიც მძიმედ დაზარალდნენ 2008-2009 წლების "სტანდარტული" რეცესიის შედეგად.

ეს მაშინ, როცა ქალების დასაქმება კონცენტრირებულია ნაკლებად ციკლურ სექტორებში (როგორიცაა ჯანდაცვა და განათლება); **მეორე,** პანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა ისეთ პროფესიებზე (მზარეული, მიმტანი, დამლაგებელი, სტილისტი), რომელთა დისტანციურად განხორციელება უფრო რთულია; **და მესამე,** პანდემიამ და მისგან გამომდინარე შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა სასწავლო პროცესებზე. დაიხურა ბაღები, სკოლები და დღის წესრიგში დადგა ბავშვების სახლში მოვლისა და სწავლების საჭიროება, რაც არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე არაპროპორციულად ნაწილდება ქალსა და კაცს შორის.

ამასთან, პანდემიის პირობებში არ არის რეკომენდებული ბებია-პაპების მიერ ბავშვების მოვლა ხანდაზმულთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის გამო; სოციალური დისტანციური ზომების გათვალისწინებით, მეზობლებთან და მეგობრებთან ერთად ბავშვებზე ზრუნვა, ასევე, ძალიან შეიზღუდა. ამიტომ, ოჯახების უმეტესობას სხვა გზა არ დარჩა გარდა იმისა, რომ თავად ეზრუნა შვილებზე. უმეტეს ოჯახებში ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობის განაწილებიდან გამომდინარე, დედები ამ ამოცანებს უფრო მეტად ასრულებენ, ვიდრე მამები. იზოლაციის ზომებმა, რა თქმა უნდა, უფრო მეტად იმოქმედა მეძუძური, მცირეწლოვანი ბავშვების ოჯახებზე, რადგან მათზე ზრუნვა უფრო მეტ თავდადებას მოითხოვს, ვიდრე მოზარდების შემთხვევაში.

უფრო მეტად დაზარალდნენ მარტოხელა დედები, რომლებიც ხშირად ეკონომიკურად არაკეთილსასურველ მდგომარეობაში არიან. საოჯახო აუნაზღაურებელი შრომის დანაწილე-

ბამ ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა იმ წყვილებზე, რომლებშიც მამები დროებით გახდნენ ბავშვის მთავარი მზრუნველნი, მომვლენი. ეს შეეხო იმ წყვილებს, რომლებშიც ორივე მშობელი მუშაობს და სადაც მამა იძულებულია, ან შეუძლია კრიზისის დროს ონლაინ იმუშაოს სახლიდან, ხოლო დედა აგრძელებს მუშაობას ტრდაციულ რეჟიმში (მაგ.ჯანდაცვაში). ამიტომ, მოსალოდნელია, რომ ეს ცვლილებები უბიძგებს სოციალურ ნორმებს უფრო მეტი გენდერული თანასწორობისკენ ბავშვების მოვლისა და საოჯახო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით.

დასკვნა და წინადადებები

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: არსებობს ფაქტორები, რომლებიც აბრკოლებენ ქალთა საქმიანი ინიციატივის გამოვლენა-განვითარებას და, პირიქით, არსებობს ფაქტორები, რომლებიც ასტიმულირებენ ქალთა ბიზნესში ჩართვას და ქვეყნის ეკონომიკის ინკლიუზიურ ზრდას.

კაცებთან შედარებით ქალთა ეკონომიკური არააქტიურობისა და დაუსაქმებლობის მთავარი მიზეზი არაანაზღაურებადი ბავშვების მოვლისა და ოჯახური შრომის ტვირთია, რასაც საქართველოში ძირითადად ქალები ეწევიან. ქალები კაცებზე სამჯერ მეტ საშინაო საქმეს ასრულებენ იმიტომ, რომ გოგოები ბავშვობიდანვე ზრუნავენ და მოქმედებენ ამ მიმართულებით. შესაბამისად, ლოგიკურია ბიჭები ბავშვობიდანვე წახალისდნენ საოჯახო საქმეებზე ზრუნვით. ასეთ შემთხვევაში ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე უფრო მეტად ჩაერთვებიან საშინაო საქმეებში და გონივრულად დაინაწილებენ არაანაზღაურებად და დაუნახავ საოჯახო შრომას, რომელიც ამჟამად ქალების სუსტ მხრებს მძიმე ტვირთად აწევს. ეს ქალების შრომის ბაზარზე ჩართულობის შესაძლებლობებს ამცირებს. ანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა კი ქალების სიღარიბეში ცხოვრების რისკებს ზრდის. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ბავშვთა მოვლის მოსახერხებელი სერვისების (ბაგა-ბაღების, საბავშვო ბაღების, გახანგრძლივებული სკოლების) ხელმისაწვდომობა და კომპანიების მიერ სამუშაოს მოქნილი გრაფიკით შეთავაზება განსაკუთრებით რეგიონებში;

მნიშვნელოვანია ქალთა ჯეროვანი სამეწარმეო განათლება ანუ ინტელექტუალური და ორგანიზატორული უნარი, რადგანაც ამ უნარებით პოტენციური, თუ მოქმედი ბიზნესვუმენი იკვლევს ბაზარს, შეიმუშავებს ბიზნეს-იდეას, მისი მომგებიანობის დასაბუთების, განხორციელებისა და სახსრების გარედან მოზიდვის ბიზნეს-გეგმას. აღნიშნული გეგმის რეალიზებისათვის ქირაობს პერსონალს, ახდენს მათი საქმიანობის ეფექტიან დაგეგმვას, ორგანიზებას, მოტივირებასა და კონტროლს;

ასევე, პრიორიტეტულია, ფინანსური ცოდნა-შესაძლებლობანი ანუ ბიზნესის ხარჯების განსაზღვრის, მისი ფინანსური უზრუნველყოფის, ვალუტის, ანაბრებისა და კრედიტის მართვის უნარი. ვალუტის კურსის მკვეთრი რყევებით გამოწვეული რისკის შემცირების მიზნით ბიზნესვუმენმა იმ ვალუტაში უნდა აიღოს სესხი, რომელ ვალუტაშიც აქვს შემოსავალი; აღებული სესხის დაბრუნება რომ არ გაჭირდეს მისი სიდიდე შემოსავლზე დაახლოებით ერთნახევარჯერ ნაკლები უნდა იყოს; სესხის ვადაგადაცილების შემთხვევაში საურავი გადახდილი უნდა იქნას არა მთლიანად აღებულ ვალზე, არამედ მხოლოდ მის გადაუხდელ ნაწილზე; საგირავნო ქონებამ კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფუნქცია, რომ შეასრულოს სესხის სიდიდეს დაახლოებით 50%-ით უნდა აღემატებოდეს, იყოს ხანგრძლივ შენახვადი და ლიკვიდური; ანაბარი იმ ვალუტაში უნდა გაიხსნას რომელ ვალუტაშიც მოხდება მისი გამოყენება; ინფლაციისას ეროვნული ფული მყარ ვალუტაში უნდა იქნას გადაყვანილი, ან ლიკვიდურ აქტივებში (ბინა, მიწის ნაკვეთი და სხვა) დაბანდებული; დეფლაციისას კი საქონელი უნდა გაიყიდოს, რომ გაუყიდველი არ დარჩეს; ინფლაციისას ლოგიკურია ფული ისესხო, დეფ-

ლაციისას კი-გაასესხო; ეროვნული ვალუტის დევალვაციისას უნდა წახალისდეს ექსპორტი, რევალვაციისას კი-იმპორტი და სხვ;

ხშირად ქალები ბიზნესის წამოწყებასა და გაძღოლასთან დაკავშირებით საკუთარ შესაძლებლობებში ნაკლებად არიან დარწმუნებულები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათ ჩართულობაზე მეწარმეობაში. სწორედ ამიტომ, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დამრიგებლობის პროგრამებს და წარმატებული მეწარმე ქალთა პოზიტიური ისტორიების აგიტაცია--პროპაგანდას მასმედიის მეშვეობით, რათა ხელი შეეწყოს მეწარმეობის დაბალანსებულ აღქმას. აუცილებელია ქალი მეწარმეებისთვის ბიზნეს კონსულტაციების გაწევა და შესაბამის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

საქართველოს ეკონომიკის ინკლიუზიური ზრდისთვის მნიშვნელოვანია ქალთა მეწარმეობის არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი გაუმჯობესება. ამ მიმართებით საქართველოს აქვს ორი გზა: პირველი, ეს არის ჰორიზონტალური დესეგრეგაციული პოლიტიკა, რომელიც მოუწოდებს ქალებსა და მამაკაცებს დასაქმდნენ ისეთ სფეროებშიც კი, რომლებიც სტერეოტიპულად საააწინააღმდეგო სქესის საქმედ მიიჩნევა; და მეორე, ეს არის ვერტიკალური დესეგრეგაციული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს სქესების თანაბარ განაწილებას მმართველურ იერარქიულ საფეხურებზე .

ქალების მიერ უძრავი ქონების, მათ შორის მიწის ნაკვეთის ფლობის მაჩვენებელი მკვეთრად ჩამორჩება იგივე მაჩვენებელს კაცების შემთხვევაში. შესაბამისად, როდესაც საუბარია ფინანსებზე წვდომაზე, სადაც ადგილი აქვს კომერციული ბანკების დომინირებას, ხოლო საბანკო კრედიტის შემთხვევაში მნიშვნელოვანია უზრუნველყოფის საკითხი, აღნიშნული მნიშვნელოვნად ზღუდავს ქალების მიერ ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ქალი მეწარმეები იძულებულები არიან მეტად დაეყრდნონ პირად ფინანსებს. განსაკუთრებით მწვავედ ეს პრობლემა დგას რეგიონებში. სწორედ ამიტომ, სახელმწიფომ ბანკებთან, მიკროსაფინანსო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უნდა შეიმუშაოს სპეციალური პროგრამები, საგრანტო პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდიან ქალთა წვდომას ფინანსურ რესურსებზე;

ბიზნეს-ხელმძღვანელთა შორის ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობის საკითხის მოგვარებისა დ სამეწარმეო აქტიურობის წახალისებისთვის საჭიროა აღმოიფხვრას, ასევე, ისეთი მნიშვნელოვანი ტრადიციული კულტურული ბარიერები, როგორიცაა: „ქალი დიასახლისია“, „ქალებისთვის ბავშვებზე ზრუნვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კარიერა“; „მამაკაცი პასუხისმგებელია ოჯახის შემოსავალზე, ხოლო ქალი პასუხისმგებელია ბავშვების აღზრდაზე და საოჯახო ცხოვრებაზე“.

მნიშვნელოვანია, ასევე, ქალთა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი პროფესიული ცოდნა და უნარები, რადგანაც არაპროფესიონალი კადრი ვერ პოულობს სამუშაო ადგილს, ვერ ქმნის ხარისხიან პროდუქტს, ვერ ზრდის მწარმოებლურობას და მიწოდებას. ამ მიმართებით მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას: მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების სისტემა, პროფესიული მომზადება-გადამზადება; კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები; უნარ-ჩვევების გამამომუშავება-გაუმჯობესების ტრენინგები და სხვ;

ქალთა დასაქმებისა და დამატებითი შემოსავლების მობილიზების, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პერსპეტიული მიმართულებაა, აგრეთვე, ონლაინ ბიზნესი, ელექტრონული კომერცია, სადაც გადამწყვეტია ციფრული ტექნოლოგიების ჯეროვანი დაუფლება. კორონა პანდემიამ დაგვანახა, რომ ბიზნესი ელექტრონული კომერციის გარეშე არათუ ვერ განვითარდება, არამედ ვერ იარსებებს. ამ ფონზე, ქალები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიაში დასაქმებული სპეციალისტების მხოლოდ ერთ მეხუთედს შეადგენენ. აქედან გამომდინარე, საჭიროა ბიზნესის წამომწყები მეწარმე ქალების ციფრული წიგნიერების გაუმჯობესება. აუცილებელია ციფრული სასწავლო პლატფორმების შექმნა, სოციალური ქსელის პოტენციალის აქტიური გამოყენება, ქალთა მეწარმეობის ფორუმებისა და კვირეულების რეგულარული ჩატარება, ასევე, სტარტაპების კონკურსები ქალთა

ბიზნეს ინიციატივების მხარდასაჭერისა და წახალისებისთვის. თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეწარმე ქალთა ციფრული წიგნიერების გაზრდის საკითხებს. მაგალითად, ევროკავშირში ხელი მოეწერა დეკლარაციას - „ქალები ციფრულ სამყაროში", რათა გაიზარდოს ქალთა წარმომადგენლობა და როლი ციფრულ ეკონომიკაში. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საქართველოშიც ქალთა მეწარმეობის განვითარების ეროვნულ სტრატეგიებში ცალკე განყოფილება დაეთმოს ციფრულ ეკონომიკაში ქალთა როლის გაძლიერების საკითხებს. ქალთა ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას შეუძლია მრავალი ეკონომიკური და სოციალური კარი გახსნას, მათ შორის დაფინანსების კარი;

ამჟამად, „საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ" დეკლარაციული ხასიათისაა. კანონი შეიცავს ბევრ დებულებას, რომ სახელმწიფო გარანტიას აძლევს ქალთა უფლებებს, მაგრამ **არ არსებობს მათი განხორციელების მკაფიო მექანიზმი.** არ არსებობს ქალთა მეწარმეობის განვითარების შეფასების და მონიტორინგის კონკრეტული ინდიკატორები, არ არსებობს პროგრესისა და დინამიკის თვალყურის დევნების მკაფიო მექანიზმი, რაც, ასევე, აფერხებს ამ სექტორის განვითარების ზუსტი რეკომენდაციების შემუშავებას. მიზანშეწონილია საკანონმდებლო ღონისძიებების გატარება, რათა ყველა კერძო და საჯარო სამსახურს ჰქონდეს გენდერული ურთიერთობის სპეციალისტის პოზიცია. გენდერულმა სპეციალისტმა უნდა უზრუნველყოს ქალთა უფლებების დაცვა და დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენა;

აქტუალურია სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების შემუშავების პროცესში, ქალების სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიური პრობლემების და თავისებურებების იდენტიფიცირება და მათზე მორგებული ინსტრუმენტების შემუშავება. ამასთან, პრობლემად რჩება ქალების მხრიდან სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებზე ხელმისაწვდომობა, როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტორების, ისე საკმარისი ციფრული უნარ-ჩვევების უქონლობის გამო. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია რეგიონებში მცხოვრები ქალებისთვის.

ჩვენი აზრით, ზემოთ შემოთავაზებული ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების გათვალისწინება და ეფექტიანი განხორციელება ძლიერ გავლენას მოახდენს საქართველოში გენდერულ თანასწორობაზე, ქალთა შრომით და სამეწარმეო საქმიანობის ზრდაზე, ანუ ეკონომიკის ინკლიუზიურ ზრდაზე და, შესაბამისად, საზოგადოების საყოველთაო და დიფერენცირებულ კეთილდღეობაზე, რაც თითოეულ მოქალაქეში დაბადებს კანონზომიერი სიამაყისა და ქვეყნისადმი პატრიოტული დამოკიდებულების გრძნობას.

ლიტერატურა

1. Что такое гендерное неравенство и как оно проявляется. https://plus-one.ru/manual/2022/05/17/
2. World Economic Forum (2020). *Global Gender Gap Report 2020*. Geneva. ISBN-13: 978-2-940631-03-2. Available online at: www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2020.pdf].
3. Economic empowerment of women is crucial for inclusive economic development. 2019. 15. June. https://commersant.ge Access_Time 2020-06-15].
4. Низамова Г. А., Смагулова Н. Т. Анализ мотиваций женщин-предпринимателей в Казахстане. https://cyberleninka.ru/article/n/analiz-motivatsiy-zhenschin-predprinimateley-v-kazahstane/viewer
5. ქალების როლი ეკონომიკაში – როგორია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რეალობა? https://eprc.ge/news/khalebis-roli-ekonomikashi-rogoria-sakharthvelos-somkhethisa-da-azerbaijanis-realoba/
6. ქალების როლი ეკონომიკაში – როგორია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რეალობა? https://eprc.ge/news/khalebis-roli-ekonomikashi-rogoria-sakharthvelos-somkhethisa-da-azerbaijanis-realoba/
7. ქალი და კაცი საქართველოში. 2021 წელი. სტატისტიკური პუბლიკაცია. -136 გვ.://www.geostat.ge/media/41854/.pdf

8. ქალი და კაცი საქართველოში. 2021 წელი. სტატისტიკური პუბლიკაცია. -136 გვ.://www.geostat.ge/media/41854/.pdf
9. ქალი და კაცი საქართველოში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თბილისი - 2021. სტატისტიკური პუბლიკაცია. გვ.12.]
10. გაეროს კვლევის მიხედვით პანდემიამ კიდევ-უფრო გააღრმავა საქართველოში არსებული გენდერული უთანასწორობა. 2021. 8 მარტი. //WWW.UNDP.ORG/KA/GEORGIA/PRESS-RELEASES

Ushangi Samadashvili
Associate Professor, Doctor of Economic Sciences,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Role of Women in the Inclusive Growth of Georgian Economy

SUMMARY

The article substantiates that the best means of general and differentiated well-being of society in modern Georgia is inclusive economic growth, i.e. universal involvement in the economy, which is hindered by the asymmetric development of labor and entrepreneurial activity in a gender context. The purpose of the study is to use and strengthen the economic potential of women by stimulating their labor and entrepreneurial activity. On the way to the goal, the essence and significance of women's entrepreneurship in the inclusive growth of the country's economy is determined. The most important motives for starting women's entrepreneurial activities and factors hindering development have been identified. It is shown that the restrictions imposed against the spread of the pandemic and the associated economic downturn affected women more than men. Based on international experience and our own vision, proposals and recommendations have been developed to minimize and eliminate the causes and factors hindering the development of women's business, the consideration and effective implementation of which, we think, will have a strong impact on gender equality, on the activation of women's labor and entrepreneurship in Georgia, i.e. on inclusive economic growth and, accordingly, on the general and differentiated well-being of society.

Key words: inclusive growth of the economy, women's economic empowerment, women's labor activity, women's entrepreneurship, women's entrepreneurship opportunities.

რუსუდან სირბილაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში

კვლევა ეხება მსოფლიო ეკონომიკის გამოწვევებს კოვიდ-19 ის გავრცელების შედეგად პოსტპანდემიუს პერიოდში, მიზეზებს, რაც თანამედროვე პირობებში მიმდინარეობს მსოფლიო გლობალურ სივრცეში, მას შემდეგ რაც პანდემიამ თავისი დაღი დაასვა ეკონომიკურ პროცესებს, და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს. განვიხილავთ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, რაც არასრულად ასახავს იმ შედეგებს რაც გამოიწვია პანდემიამ და პრობლემებს, რაც მოითხოვს ანალიზს და განსაკუთრებული ამოცანების დასახვის შესაძლებლობებს. საქართველომ პანდემიის მიერ მიყენებული უარყოფითი შედეგები უნდა აღმოფხვრას და გადალახოს. ასევე დაეხმაროს საბაზრო ეკონომიკას ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებასა და ეკონომიკის განვითარებაში. ეს შესაძლებელია ინვესტიციების დაბანდებით და ტექნოლოგიების დანერგვით სხვადასხვა განვითარებად დარგებში. კერძოდ სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში, საგარეო ვაჭრობაში, კვების ბიზნესში, და სხვა. კვლევამ უნდა გვაჩვენოს კოვიდ-19 ის გავრცელებამ რა პირობლემები შექმნა საქართველოს ეკონომიკაში, როგორც დასაქმებაში, ასევე უმუშევრობაში, სხვადასხვა ეკონომიკურ დარგებში და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში. ამ პირობებში როგორი გადაწყვეტილების მიღება უწევთ ფირმებს, საოჯახო მეურნეობებს. მთავრობას, როგორ ფუნქციონირებენ ბაზრები, როგორ ხდება ეკონომიკური მოვლენების და პროცესების ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: *კოვიდ-19, საქართველოს ეკონომიკა, პოსტპანდემიური ეკონომიკა, მიზეზები, უარყოფითი შედეგები.*

მსოფლიოს, მათ შორის საქართველოს უახლეს ისტორიაში კაცობრიობას მოუწია ისეთ მნიშვნელოვან პანდემიათან გამკლავება, როგორიც იყო კოვიდ-19. ეს მოვლენა ჯერ ბოლომდე არ დასრულებულა და ბევრი ადამიანი დღესაც ებრძვის დაავადებებს დაკავშირებულს კოვიდ-19 თან და მის თანმდევ მოვლენებთან. რასაკვირველია დაავადების გავრცელება დაკავშირებული იყო თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან და მასთან გამოწვეულ უარყოფით შედეგებთან. აქაც საქმე გვაქვს მიზეზ-შედეგობრივ კავშირთან ეკონომიკაში, ამ შემთხვევაში მიზეზი კოვედ-19 ია, შედეგები კი შეეხო უკლებლივ ყველა დარგს, მათ შორის ეკონომიკას, პოლიტიკას, მეცნიერებას, კულტურას, და სხვა. ჩვენი ინტერესის სფერო რასაკვირველია არის ეკონომიკა საქართველოში, ზოგადად მსოფლიოში, გლობალურ სივრცეში.

კვლევის მიზანია შევაფასოთ გამოწვევები, რომელიც პოსტპანდემიურ პერიოდში ჩამოყალიბდა საქართველოში. საქართველოში პანდემიის პერიოდში ბევრი დარგი დაზარალდა. კერძოდ საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტი, მომსახურების სფეროები: ტურიზმი, სასტუმროები, რესტორნები, საპარიკმახეროები, კინო, თეატრი, სპორტი, სადღესასწაულო ცენტრები, სპორტული დარბაზები, თავშეყრის ადგილები. თუმცა იყო ისეთი სფეროებიც, რომლებმაც პანდემიის პერიოდში დიდი მოგება მიიღეს, ასეთი პირველ რიგში იყო ზუმის პლატფორმა, სამედიცინო პრეპარატების წარმოება და რეალიზაცია, მზა საკვებით ვაჭრობა და ა.შ საქართველოში ბევრ სექტორში უმუშევრობა იქცა დიდ პრობლემად. ტურიზმის შემცირებამ ავიარეისების გაუქმებამ სერიოზული ეკონომიკური ზარალი მიაყენა ტურიზმთან დაკავშირებულ ყველა სფეროს. გაჩერდა რესტორნები, სასტუმროები, ბაღები, მაღაზიები, ბაზრობები, მშპ შემცირდა, დაღი დაესვა მდგრად წარმოებას, ამან პირდაპირი ზემოქმედება იქონია დასაქმებაზე, რის გამოც გაიზარდა უმუშევრობა. ასევე გავლენა იქონია საზოგადოების შემოსავლებზე და კეთილდღეობაზე. კვლევებით დასტურდება რომ კორონა ვირუსმა ზარალი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. ასევე გაეროს ბოლო კვლევები ადასტურებს, რომ გლობალური ეკონომიკური ზრდა დაეცა და იგი 3,5 % შეადგენს. საბოლოო ჯამში ეკონომიკური ზარალი

ტრილიონი დოლარი და მეტია. ყოველივე ეს გამოწვეულია წარმოების და ვაჭრობის შემცირებით. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყანაში განიცდის ვარდნას, მცირდება ექსპორტი, იმპორტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. შემცირდა საგარეო ვაჭრობა და დასაქმება, თანამედროვე ეკონომიკა ყოველთვის აწყობილია განვითარებაზე, წარმატებაზე, ეკონომიკურ ზრდაზე, და იმაზე, რაც შეძლებს თითეული ჩვენგანის უკეთეს ეკონომიკურ პირობებში აღმოჩენას. ამისთვის მთელი რიგი ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი. დღეს ქვეყნის ეკონომიკა არნახულ გასაჭირშია ყოველმხრივ: წარმოება გაჩერებულია, დასაქმება შემცირებულია, უმუშევრობა გაზრდილია, ეკონომიკური ზრდა დაბალია, ამას ემატება პანდემიური მდგომარეობა, რომელიც ანგრევს ძირფესვიანად ადრე მოპოვებულ მიღწევებს. პანდემიით გამოწვეული ეკონომიკა რთულ ვითარებაში აღმოჩნდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, მაგრამ მიუხედავდა ამისა არსებობენ კომპანიები, რომლებმაც ამ პერიოდშიც კი უმაღლეს წარმატებას და მოგებას მიაღწიეს. მაგ. Apple-64, Microsoft-51, Saudi Aramco 49, ICBC- 46, Alphabet- 40 მილიარდის მოგებას მიაღწიეს 2020 წელს, ხოლო საქართველოში ეკონომიკური ზრდა 5,0 %-დან -4.9%-მდე შემცირდა. თუმცა ეს მონაცემიც არ ასახავს რეალობას, ეკონომიკური ზრდა გაცილებით დაბალი იყო. ასევე ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალმა მკვეთრად მოიკლო. 2022 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 19 042,9 მილიონი დოლარი შეადგინა, მათ შორის საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი 5 592,8 და საქონლის რეგისტრირებული იმპორტი შეადგენს 13 450,1 მილიონ დოლარს, საგარეო ვაჭრობის სალდო -7 857,2 მილიონი დოლარია. მონაცემები აღებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პორტალიდან. (ცხრილი 1)

ცხრილი 1

	2017	2018	2019	2020	2021	
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	10 802.7	12 741.1	13 317.9	11 398.3	14 342.4	19 042.9
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	2 745.7	3 379.7	3 798.4	3 344.5	4 242.7	5 592.8
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	8 057.1	9 361.4	9 519.5	8 053.8	10 099.8	13 450.1
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 311.4	-5 981.7	-5 721.1	-4 709.4	-5 857.1	-7 857.2
ადგილობრივი ექსპორტი	2 006.4	2 224.1	2 323.8	2 409.1	3 127.1	3 704.2

საგარეო ვაჭრობა ერთ-ერთი ნეგატიური შედეგია პოსტპანდემიურ კრიზისულ პერიოდში. ასევე მნიშვნელოვანია ინვესტიციების დაბანდების შედეგები 2013-2022 წელს. (ცხრილი 2)

ცხრილი 2

წელი	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022***
სულ	**1 039.2**	**1 837.0**	**1 728.8**	**1 654.0**	**1 990.5**	**1 351.5**	**1 352.2**	**589.8**	**1 241.8**	**1 675.6**
I კვ	291.8	331.9	343.4	392.9	415.0	337.3	318.4	173.8	134.3	576.9
II კვ	224.1	217.6	493.2	452.6	398.1	423.3	249.6	246.4	322.5	353.4
III კვ	271.6	749.5	531.1	507.8	637.0	373.0	406.2	296.9	373.9	745.3
IV კვ	251.6	538.0	361.0	300.6	540.5	218.0	378.0	-127.2	411.1	

2022 წელს ინვესტიციების დაბანდებამ შეადგინა 1 675,6 მილიონი დოლარი, რაც 2020 წლის მონაცემებთან შედარებით 3-ჯერ მეტია, თუმცა 2016 წლის მაჩვენებელს ოდნავ გადააჭარბა. 2020 წელს გლობლური ეკონომიკა 3 %-ით შემცირდა, ასევე 2020 წელს შემცირდა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 4%-ით. კორონავირუსით გამოწვეული პოსტპანდემიური განსაკუთრებული მდგომარეობა გამოწვეულია მშპ-ს სტრუქტურასთან, კერძოდ ეკონომიკურ საქმიანობებთან, რომლებიც შეეხო სხვადასხვა სექტორს. რომელიც განსაკუთრებით დააზარალა პანდემიამ. საბითუმო და საცალო ვაჭრობა,(14%), უძრავ ქონებებთან დაკავშირებული საქმიანობა(11,4%), მშენებლობის სექტორი(8,3%) საფინანსო-სადაზღვევო საქმიანობები, ტურიზმის გაჩერება, ლარის კურსის სტაბილურობა, მომსახურების სფერო, ატიპიური და სეზონური დასაქმებები. უმუშევრობის ზრდა, ამ ყოველივემ განაპირობა ეკონომიკის სტიმულირების გეგმის შემუშავება, ეს კი იმიტომ დადგა დღის წესრიგში, რომ საქართველო რეკომენდაციებს იღებს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, სავალუტო ფონდიდან და მსოფლიო ბანკიდან. საქართველოს კაპიტალის დიდი ნაწილი ძირითადად უცხოური კაპიტალია და ამ კაპიტალს სჭირდება გარკვეული სტაბილიზაცია. [1]

ეკონომიკური და სოციალური პრობლემებიდან დასაქმება და უმუშევრობა განსაკუთრებული ყურადღების და ზრუნვის საგანი უნდა იყოს. გამოკვლევები

ადასტურებს , რომ პანდემიის შედეგად იკლო შემოსავლებმა, დასაქმება არა თუ გაიზარდა, არამედ ის შემცირდა, პოსტპანდემიურ პერიოდშიც კი ვერ ხერხდება იმ ნიშის ამოვსება , რაც პანდემიამ გამოიწვია. დასაქმების შემცირება და უმუშევრობის ზრდა თავისთვად იწვევს ადამიანის ცხოვრების დონის გაუარესებას, ეს კი შესაბამისად აისახება ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სოციალურ კრიზისზე. ცხრილი 3 გვაძლევს შესაძლებლობას გავეცნოთ დასაქმება უმუშევრობის საკითხებს 2018-2022 წწ. ცხრილი jeostat.ge

ცხრილი 3

დასაქმება და უმუშევრობა

	2018	2019	2020	2021	2022 I	2022 II	2022 III
სამუშაო ძალა,ათასი კაცი	1605.2	1572.8	1523.7	1533.6	1490.7	1551.5	1609.4
დასაქმებული, ათასი კაცი	1296.2	1295.9	1241.8	1217.4	1201.1	1269.9	1358.6
უმუშევარი, ათასი კაცი	309.0	276.9	281.9	316.2	289.6	281.6	250.7
უმუშევრობის დონე, პროცენტი	19.2	17.6	18.5	20.6	19.4	18.1	15.6

ცხრილის მიხედვით შეგვიძლია გავაკეთოთ ანალიზი: თუ 2018 წელს სამუშაო ძალა 1605,2 ათასი იყო, 2022 წელს ეს რიცხვი 1500.0 ათასის ფარგლებში მერყეობს. დასაქმებულთა რაოდენობა 1296,2 და 1250 ის ფარგლებშია. უმუშევართა რაოდენობა 290.0 ათასამდე გაიზარდა, უმუშევრობის დონე პროცენტებში 18,1-ია. საოჯახო მეურნეობებს შეუმცირდათ თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავალიც. ასევე შემცირდა შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან. ესეც რასაკვირველია აისახა სოციალურ ფონზე შესაბამისად ეკონომიკაზე, რის გამოც აუცილებელია ეკონომიკა და სოციალური სფერო შეთანხმებულად ერთად განიხილავდნენ ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვას, და სრულიად სასარგებლო პოლიტიკის შემუშავებას. პროფესიონალი კადრების შერჩევასა და ადამიანის კეთილდღეობის გეგმის განხორციელებას. მთელ ამ პროცესში აუცილებელია დასაქმება გაიზარდოს, შემცირდეს უმუშევრობა, ადამიანის ცხოვრების დონე გაუმჯობესდეს.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკის თანახმად 2022 წლის ივლისის მონაცემებით საქართველოში 718,401 საერთაშორისო მოგზაური ჩამოვიდა, ეს მონაცემი 2021 წლის იგივე პერიოდთან შედარებით ბევრად გაზრდილია, ასევე ბევრად ჩამორჩება 2019 წლის მონაცემებს.ჯამურად 2022 წლის იანვარ-ივლისში საქართველოში 2,344,329 საერთაშორისო მოგზაური შემოვიდა, რაც ასევე მეტია წინა წლის მაჩვენებელზე, და ბევრად ჩამორჩება 2019 წლის მაჩვენებელს. [2]

საინტერესოა ასევე სოფლის მეურნეობის მონაცემები. დიაგრამა 1 გვიჩვენებს როგორ მცირდება სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2010-2021 წლებში.

დიაგრამა 1



სტატისტიკური მასალის გაცნობის შემდეგ ჩნდება მრავალი შეკითხვა რა მდგომარეობამდე დაიყვანა საქართველოს ისედაც განსაკუთრებულ ვითარებაში მყოფი ეკონომიკა პანდემიამ და რა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებაა საჭირო, რომ გამოსწორდეს ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში. ვფიქრობ შესაფასებელია პანდემიის შედეგები, დაზარალებულ წარმოებას უნდა მიეცეს საშუალება უფასოდ მიიღოს ყველა ის საჭირო კონსულტაცია, რაც მათ წარმოებას ამოიყვანს კრიზისიდან, უნდა მოხდეს მუშა ხელის გადამზადება და თანამედროვე მდგომარეობის შესაფერისი პროფესიონალების მიღება, ახალ ფირმებს გაეწიოს დახმარება ნებართვების მოპოვებისთვის და სრულყოფილ კონკურენციაში მათი ჩართვისთვის, მოხდეს მომსახურების სრული გაციფრულება, დალაგდეს ურთიერთობები ინვესტორებთან იმდაგვარად, რომ სრულად აღმოიფხვრას ინვესტიციების დაბანდებასთან დაკავშირებული შიში და რისკი პოლიტიკური თუ ეკონომიკური არასტაბილურობის გამო. გაიზარდოს ნედლეულის მარაგები, გაიზარდოს წარმოება, ექსპორტი, სამუშაო ადგილების ოდენობა, პროფესიონალიზმი ყველა სფეროში, მოხდეს ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის, სპორტის ხელშეწყობა. განვითარდეს სოფლის მეურნეობა, ხელი შეეწყოს ტურიზმს და ყველა იმ სფეროს, რაც საბოლოო ჯამში მოიტანს ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდას.

დასკვნები და რეკომენდაციები:

- კვლევა ეფუძნება მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ეკონომიკაში, ამ შემთხვევაში მიზეზი კოვედ-19 ია, შედეგები კი შეეხო უკლებლივ ყველა დარგს, მათ შორის ეკონომიკას, პოლიტიკას, მეცნიერებას, კულტურას, სპორტს და სხვა.
- საქართველოში პანდემიის პერიოდში ბევრი დარგი დაზარალდა. კერძოდ საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტი, მომსახურების სფეროები: ტურიზმი, სასტუმროები, რესტორნები, საპარიკმახეროები, კინო, თეატრი, სპორტი, სადღესასწაულო ცენტრები, სპორტული დარბაზები, თავშეყრის ადგილები.
- იყო ისეთი სფეროებიც, რომლებმაც პანდემიის პერიოდში დიდი მოგება მიიღეს, ასეთი პირველ რიგში იყო ზუმის პლათფორმა, სამედიცინო პრეპარატების წარმოება და რეალიზაცია, მზა საკვებით ვაჭრობა და ა.შ
- თანამედროვე ეკონომიკა ყოველთვის აწყობილია განვითარებაზე, წარმატებაზე, ეკონომიკურ ზრდაზე, და იმაზე, რაც შეძლებს თითეული ჩვენგანის უკეთეს ეკონომიკურ პირობებში აღმოჩენას. ამისთვის მთელი რიგი ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი. დღეს ქვეყნის ეკონომიკა არნახულ გასაჭირშია ყოველმხრივ: წარმოება გაჩერებულია, დასაქმება შემცირებულია, უმუშევრობა გაზრდილია, ეკონომიკური ზრდა დაბალია, ამას ემატება პანდემიური მდგომარეობა, რომელიც ანგრევს ძირფესვიანად ადრე მოპოვებულ მიღწევებს.
- შესაფასებელია პანდემიის შედეგები, დაზარალებულ წარმოებას უნდა მიეცეს საშუალება უფასოდ მიიღოს ყველა ის საჭირო კონსულტაცია, რაც მათ წარმოებას ამოიყვანს კრიზისიდან, უნდა მოხდეს მუშა ხელის გადამზადება და თანამედროვე მდგომარეობის შესაფერისი პროფესიონალების მიღება, ახალ ფირმებს გაეწიოს დახმარება ნებართვების მოპოვებისთვის და სრულყოფილ კონკურენციაში მათი ჩართვისთვის, მოხდეს მომსახურების სრული გაციფრულება, დალაგდეს ურთიერთობები ინვესტორებთან იმდაგვარად, რომ სრულად აღმოიფხვრას ინვესტიციების დაბანდებასთან დაკავშირებული შიში და რისკი პოლიტიკური თუ ეკონომიკური არასტაბილურობის გამო. გაიზარდოს ნედლეულის მარაგები, გაიზარდოს წარმოება, ექსპორტი, სამუშაო ადგილების ოდენობა, პროფესიონალიზმი ყველა სფეროში, მოხდეს ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის, სპორტის ხელშეწყობა. განვითარდეს სოფლის მეურნეობა, ხელი შეეწყოს ტურიზმს და ყველა იმ სფეროს, რაც საბოლოო ჯამში მოიტანს ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდას.

ლიტერატურა

1. https://socialjustice.org.ge/ka/products/ekonomikuri-politika-krizisis-dros-interviuebi-ekonomikis-mkvlevrebtan სოციალური სამართლიანობის ცენტრის პუბლიკაციები 2022)
2. ტურიზმის ადმინისტრაციის დებულებები
3. ცხრილები და დიაგრამა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. 2022

Rusudan Sirbiladze
Doctor of Economics, Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgian Economy in Post-Pandemic Period

SUMMARY

The study discusses the economic situation of Georgia, caused by a pandemic named covid-19, It put serious imprint on the economy. How to eliminate negative consequences. Georgia must overcome the crisis situation. Help the market economy to expand economic capabilities.

ნანა სრესელი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო ჩავლეშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასებითი მაჩვენებლები და მათი გავლენა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სანდოობაზე

სტატიაში განხილულია ფინანსური ანგარიშგების საიმედობაზე შეფასებითი მაჩვენებლების გავლენის განსაზღვრის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. შეფასებითი მაჩვენებლები არის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების დადგენა ეკონომიკური საქმიანობის არსებულ პირობებში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ცალკეულ შემთხვევებში გარდაუვალია მოვლენების არა ზუსტი ასახვა, არამედ ანალიტიკური დასაბუთებისა და ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაფუძნებული პროფესიული განსჯის და მიახლოებითი შეფასებების მოდელების გათვალისწინება, ასეთ პირობებში ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შეფასებები, რომელიც ფორმირებულია სავარაუდო გაურკვევლობის ან ზუსტი შეფასების არარსებობის გამო. ასეთ მნიშვნელობებს უწოდებენ შეფასებებით მაჩვენებლებს და მათ საფუძვლად უდევს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებში ჩამოყალიბებული მიდგომები და კონცეფციები. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური გარემოებების გამო, შეუძლებელია შემუშავდეს კონცეპტუალური საფუძვლების შესაბამისი იდეალური ფინანსური ანგარიშგება, გადამწვეტი მნიშვნელობა მაინც მის იმგვარად მომზადებას ენიჭება, რომელიც გააუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების სარგებლიანობის ხარისხს.

სტატიაში განხილულია შეფასებითი მაჩვენებლების წარმოქმნის საფუძვლები და გავლენა მათი საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სარგებლიანობაზე. შრომაში ასევე წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა (ბასს/IAS) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს/IFRS) რეგულირებული საკითხები, რომლებიც ეხება საკუთარ კაპიტალში ზეზერვების შეფასებასა და გადაფასებას.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური ანგარიშგება, საიმედობა, შეფასებითი მაჩვენებლები,შეფასებითი ღირებულება, გადაფასების ნამეტი.*

ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციის განზოგადება და მომხმარებლებისთვის წარდგენა ხორციელდება საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების გზით. შიდა და გარე მომხმარებლებისა და ბაზრის სხვა მონაწილეების ინტერესების განსხვავებების მიუხედავად, მათი ინტერესი ფინანსური ინფორმაციის ხარისხის მიმართ ერთნაირად მნიშვნელოვანია, რადგან მიღებული გაცნობიერებული ეკონომიკური გადაწყვეტილებები მასზეა დამოკიდებული. ამდენად, საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიმართ ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ მისი სანდოობაა. ქართული განმარტებითი ლექსიკონის თანახმად ტერმინი „სანდოობა“ არის „ვინმეს გულწრფელობის, პატიოსნების, სიმართლის დაჯერება“, ანუ ის არის „მართალი, ნამდვილი, უტყუარი“ ე.ი. ჭეშმარიტი. შესაბამისად სანდოობის მახასიათებელი ნებისმიერ მოთხოვნასთან მისი შესაბამისობაა. საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება სანდოდ და საიმედოდ, თუ იგი მომზადებულია დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად, როდესაც იგი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისად მომზადებული არის სამართლიანად. როგორც აღვნიშნეთ, საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ფუნდამენტური პრინციპები დადგენილია ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით. რომლის მიხედვით (მ. 2.18), უტყუარი და სამართლიანი წარდგენა არ ნიშნავს სიზუსტეს ყველა ასპექტში. შეცდომების არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური მოვლენების აღწერაში საერთოდ არ იარსებებს შეცდომა ან არაფერი იქნება გამოტოვებული, ან უშეცდო-

მოდ იყო შერჩეული და გამოყენებული პროცესი წარმოდგენილი ინფორმაციის მისაღებად. ამ კონტექსტში, შეცდომების არარსებობა არ ნიშნავს აბსოლუტურ სიზუსტეს ყველა თვალსაზრისით. რიგ შემთხვევაში (ბასს 1.მ 2.22) შეიძლება არსებობდეს შეფასების განუსაზღვრელობის ისეთი მაღალი დონე, რომ საეჭვო იყოს შეფასებული მოვლენა საკმარისად სამართლიად არის თუ არა წარდგენილი. შესაბამისად, მაღალი განუსაზღვრელობების პირობებში სასარგებლო ინფორმაცია უნდა მოიცავდეს განუსაზღვრელობის ზუსტ და ნათელ განმარტებას, შეფასების წესის აღწერასა და ასევე დასაბუთებას შეფასებითი მნიშვნელობის დამდგენი პროცესის შერჩევასა და გამოყენებაში ცდომილებების არარსებობის შესახებ.
ამდენად, ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა არა მოვლენების ზუსტ ასახვას, არამედ მიახლოებით შეფასებებს, განსჯასა და მოდელებს, რომელიც კონცეპტუალური საფუძვლებით დადგენილ დებულებებზეა დამყარებული.

1. შეფასებითი მაჩვენებლების მნიშნელობა

შეფასებითი მაჩვენებლები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ინდიკატორების მნიშვნელობებს, რომელიც მათი ზუსტი ღირებულებების ან დამოუკიდებელი შეფასებების არარსებობის გამო გამოთვლილია აღრიცხვაში დადგენილი წესების მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (ფასს), კერძოდ ბასს 8-ში „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ აღნიშნულია, რომ „სააღრიცხვო შეფასების ცვლილება ეს არის აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში შესწორება, ან აქტივის პერიოდული გამოყენების თანხა, რომელიც გამომდინარეობს მისი მიმდინარე სტატუსიდან, ან აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან ვალდებულების შეფასებიდან“ (ბასს 8.მ.5). ამდენად, სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებების გზით შეფასებითი მაჩვენებლების განსაზღვრა აუცილებელი ხდება მაშინ, როცა არ არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ზუსტი შეფასებები. შეფასებითი მაჩვენებლების ცვლილებები არის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების კორექტირება, არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. თანდაყოლილი გაურკვევლობების შედეგად ფინანსური ანგარიშგების მრავალი პუნქტის ზუსტი შეფასების დადგენა ვერ ხორციელდება და გამოითვლება მათი მიახლოებითი მნიშვნელობა. სააღრიცხვო შეფასებები უპირატესად პროფესიული განსჯის საფუძველზე ხდება. პროფესიული განსჯა კი უნდა ეფუძნებოდეს უახლეს, ხელმისაწვდომ და სანდო ინფორმაციას. გონივრული შეფასებების დადგენა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია და მისი სანდოობის ხარისხს არ ამცირებს და გარკვეულწილად ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებასაც უზრუნველყოფს. ცვლილებები შეფასებით მაჩვენებლებში აღიარდება შესაბამისი აქტივის, ვალდებულების ან საკუთარი კაპიტალის საბალანსო ღირებულებაში იმ ოდენობით, რა მოცულობის ცვლილებასაც იწვევს აქტივებში და ვალდებულებებში ან ზემოქმედებს საკუთარ კაპიტალზე ცვლილების განხორციელების პერიოდში (ბასს 8. მ 37). მაგალითად, ბასს 16-ის „ძირითადი საშუალებები“ თანახმად, აქტივის ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადასინჯვა უნდა ხორციელდებოდეს წელიწადში ერთხელ მაინც, ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს რათა მისი საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი სამართლიანი ღირებულებისგან. შესაბამისად, თუ წინა სააღრიცხვო შეფასებასთან შედარებით გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება, სხვაობა უნდა აისახოს როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში (ბასს 8.მ).

2. შეფასებითი მაჩვენებლების გავლენა ფინანსური ანგარიშგებაზე

შეფასებითი მაჩვენებლებიდან მნიშვნელოვანია „გადაფასების ნამეტი“, რომელიც ასახავს ცვლილებებს კომპანიის აქტივების ღირებულებაში და აღრიცხავს გადაფასებული აქტივების ღირებულების ზრდას ან შემცირებას. კერძოდ, თუ გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულება იზრდება ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და დაგროვდება საკუთარ კაპიტალში ცალკე კომპონენტად, როგორც „გადაფასების ნამეტი“. გადაფასების ნამეტის აღრიცხვის მიზანია უზრუნველყოს აქტივების ღირებულებების სამართლიანად ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში და წარმოადგინოს ფინანსური მდგომარეობის ობიექტური სურათი. ამრიგად, გადაფასების ნამეტი, როგორც შეფასებითი მაჩვენებელი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების სანდოობაზე, რადგან ერთის მხრივ უზრუნველყოფს აქტივების ღირებულებისა და შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის უფრო ობიექტურად წარმოდგენას, მაგრამ მეორე მხრივ, გადაფასების ნამეტი შეიძლება დაექვემდებაროს სუბიექტურ გავლენას, რამაც შეიძლება ფინანსური ანგარიშგება ნაკლებად სანდო გახადოს. კერძოდ, კომპანიამ აქტივების გადაფასების პროცესში ახალი ღირებულების დასადგენად უნდა გამოიყენოს კონკრეტული მეთოდი, რომელიც დამოკიდებული იქნება აქტივის ბუნებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე. მაგალითად, კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს საბაზრო მიდგომა, რომელიც გულისხმობს აქტივის ღირებულების განსაზღვრას მისი მიმდინარე საბაზრო ღირებულების საფუძველზე. ალტერნატიულად, კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს შემოსავალზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს აქტივის ღირებულების განსაზღვრას მისგან მოსალოდნელი სამომავლო შემოსავლის საფუძველზე.

გადაფასების ნამეტის აღრიცხვის პრობლემა არის ის, რომ აქტივების ღირებულება ხშირად ექვემდებარება მნიშვნელოვან რყევებს, რამაც შეიძლება ფინანსური ანგარიშგება ნაკლებად სანდო გახადოს. მაგალითად, კომერციული უძრავი ქონების ბაზრის შემცირების პირობებში, მოსალოდნელია შემცირდეს შენობის ღირებულება. ანალოგიურად, აღჭურვილობის ღირებულებაც შემცირდება, მოძველების ან მისი წარმადობის შემცირებისას. და კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს გადაფასების ნამეტის აღრიცხვის სანდოობაზე, არის აქტივების ღირებულების დასადგენად გამოყენებული მონაცემების ხარისხი და საიმედოობა. გამოყენებული მონაცემები უნდა იყოს ზუსტი და განახლებული, ხოლო მათი მოპოვების მეთოდი - სანდო და საიმედო. თუ გამოყენებულია არასწორი ან მოძველებული მონაცემები, აქტივების შეფასებული ღირებულება იქნება გადაჭარბებული ან შემცირებული, რაც გავლენას მოახდენს ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეზე და შესაბამისად საიმედოობაზე.

გადაფასების ნამეტის აღრიცხვა შეიძლება დაექვემდებაროს მანიპულირებას მენეჯმენტის მხრიდან. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით მენეჯმენტმა შეიძლება ხელოვნურად გაზარდოს აქტივების ღირებულება, რაც აუარესებს ფინანსური ანგარიშგების სანდოობას და იწვევს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის არასწორ აღქმას.

ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება ქონდეს ვალუტის კურსის რყევებს. კერძოდ, როცა სამუშაო ვალუტა წარსადგენი ვალუტისაგან განსხვავდება და საწარმოთა ჯგუფში გაერთიანებულია განსხვავებული სამუშაო ვალუტის მქონე სუბიექტები, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას თითოეული სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა და საქმიანობის შედეგები უნდა აისახოს წარსადგენ ვალუტაში. შესაბამისად, შედეგად წარმოიქმნება საკურსო სხვაობები, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს საკუთარ კაპიტალში ცალკე კომპონენტად, როგორც ნამეტი. ვალუტის გადაფასების ნამეტის ცვლილება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, კერძოდ:

ბალანსში: გადაფასების ნამეტის ანგარიში არის კომპანიის კაპიტალის კომპონენტი და აისახება ბალანსში. გადაფასების ნამეტის ანგარიშის ზრდა გამოიწვევს კაპიტალის ზრდას, ხოლო შემცირება გამოიწვევს კაპიტალის შემცირებას.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში: გადაფასების ნამეტის ცვლილებებმა შეიძლება გავლენა მოახდენს მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. კერძოდ, თუ ვალუტის გაცვლითი კურსი გაიზარება,

გადაფასების ნამეტი გაიზრდება, რაც გამოიწვევს მოგება-ზარალის ანგარიშის ზრდას. მეორე მხრივ, თუ ვალუტის გაცვლითი კურსი გაუფასურდა, შემცირდება გადაფასების ნამეტი და შესაბამისად - მოგება-ზარალის ანგარიში.

აღრიცხვის პრობლემური სფეროა შეფასებითი ვალდებულების ღირებულების განსაზღვრა, რადგან უნდა დადგინდეს ვალდებულების შესრულების დანახარჯების ის საუკეთესო შეფასება, რომელსაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების შესრულებისას გადაიხდება. ასეთი შეფასება საკმაოდ სუბიექტურია, ვინაიდან დაფუძნებულია მენეჯმენტის პროფესიულ განსჯაზე, წარსული პერიოდის მონაცემებზე, ექსპერტების შეფასებებზე და სხვა წყაროებზე. ამასთან, შეფასებითი ვალდებულების ღირებულება დამოკიდებულია ბიზნესის მახასიათებლებზე და ამიტომ ცალკეული საწარმოსთვის ინდივიდუალურია. შეფასებითი ვალდებულების აღიარებისას მისი სიდიდე მიეკუთვნება საწარმოს ხარჯებს ან მონაწილეობს აქტივის თვითღირებულების ფორმირებაში.

აღსანიშნავია, რომ ბასს 37- „დროებითი ვალდებულებები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ არ იძლევა ჩამოყალიბებულ განმარტებებს შეფასებითი ვალდებულებების ხარჯად ან აქტივად აღიარების შესახებ. ამიტომ აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა სტანდარტებით რეგლამენტირებული ნორმების გამოყენება, რადგან ბასს 8-ით – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომებინ ნებადართულია, რომ თუ სპეციალურად მოცემული ოპერაციის მიმართ არ არსებობს სტანდარტი, პროფესიული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა, რომელიც აღრიცხვის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისი იქნება და უზრუნველყოფს ეკონომიკური გადაწყვეტილებისათვის შესაფერისი და საიმედო ინფორმაციის მიღებას (ბასს 8.10). მაგალითად, ბასს 16 –ით „ძირითადი საშუალებები“ განმარტებულია ძირითადი საშუალებების ღირებულება განისაზღვროს იმ ხარჯების გათვალისწინებით, რომელიც საჭიროა აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღსადგენად რისი ვალდებულების აღებაც ხდება შეძენის მომენტში და ხარჯებში ჩამოიწერება ცვეთის სახით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შეფასებითი მაჩვენებლები უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობის გაუმჯობესებას. იგი წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების კორექტირებას იმ პირობებში, როცა აქტივებსა და ვალდებულებებს არა აქვს ზუსტი შეფასება, ხოლო შეფასებითი მაჩვენებლები განისაზღვრება პროფესიული განსჯის საფუძველზე. უშუალოდ შეფასებითი მაჩვენებლების ფორმირებისა და გაზომვის ობიექტურობაზეა დამოკიდებული საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სანდოობის დონე. ამრიგად:

- შეფასებითი მაჩვენებლების უმეტესობა წარმოიქმნება მოსალოდნელი მოვლენების გაურკვევლობის პირობებში. შეფასება ეფუძნება პროფესიულ განსჯას, რომელიც ცოდნის სუბიექტურ კომპონენტზეა დამყარებული და ამგვარი შეფასება შესაძლებელია ნაკლებად ჩაითვალოს ზუსტ მაჩვენებლად.
- შეფასებითი მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდები ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს როგორც სააღრიცხვო პოლიტიკის ელემენტი. ფინანსურ ანგარიშგებაში მათი გამოყენება თუმცა ზრდის მნიშვნელოვანი შეცდომების რისკებს, მაგრამ შეფასებითი მაჩვენებლების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებაში წარუდგენლობა, განაპირობებს ინფორმაციის არსებით უზუსტობებს.
- შეფასებითი მაჩვენებელი არის ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების სამართლიანად ასახვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. შესაბამისად, აქტივების ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული მეთოდი უნდა იყოს საიმედო, ხოლო მონაცემები -ზუსტი და განახლებული.

ლიტერატურა

1. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლები. 2021. https://saras.gov.ge
2. ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. 2021 https://saras.gov.ge
3. ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები. 2021. https://saras.gov.ge
4. ბასს 37 - „დროებითი ვალდებულებები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ 2021 https://saras.gov.ge
5. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), 2021. https://saras.gov.ge
6. Kryatova, L. A., Nurgalieva, R. N., Amirova, R. I., Gamilovskaya, A. A., & Ivanova, E. V. (2022). Features of the Application of IAS 21 “Impact of Exchange Rate Changes”. In Cooperation and 1. Sustainable Development (pp. 711-718).
7. Singh, J. P. (2018). On hedge effectiveness assessment under IFRS 9. Audit Financiar, 16(149), 157-170.
8. Alekseeva G.I. Accounting policy and estimated values: the procedure for reflecting changes in reporting under RAS and IFRS // International Accounting, 2015, no. 28 (370), p. 2-11.

References:

1. Conceptual Foundations of Financial Reporting 2021. https://saras.gov.ge
2. IAS 1 - Presentation of financial statements. 2021 https://saras.gov.ge
3. IAS 8 - Accounting policies, changes in accounting estimates and errors. 2021. https://saras.gov.ge
4. IAS 37- "Temporary Liabilities, Contingent Liabilities and Contingent Assets" 2021 https://saras.gov.ge
5. International Financial Reporting Standard (IFRS), 2021. https://saras.gov.ge
6. Kryatova, L. A., Nurgalieva, R. N., Amirova, R. I., Gamilovskaya, A. A., & Ivanova, E. V. (2022). Features of the Application of IAS 21 “Impact of Exchange Rate Changes”. In Cooperation and 1. Sustainable Development (pp. 711-718
7. Singh, J. P. (2018). On hedge effectiveness assessment under IFRS 9. Audit Financiar, 16(149), 157-170.
8. Alekseeva G.I. Accounting policy and estimated values: the procedure for reflecting changes in reporting under RAS and IFRS // International Accounting, 2015, no. 28 (370), p. 2-11.

Nana Sresel
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nino Chavleshvili
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Evaluative Indicators and their Impact on the Reliability of Financial Statement Information

SUMMARY

The article discusses the theoretical and practical aspects of determining the impact of evaluation indicators on the reliability of financial reporting. Valuation indicators are the determination of the value of assets and liabilities in the current conditions of economic activity. When preparing financial statements, in some cases it is inevitable not to accurately reflect the events, but to take into account professional judgment and approximate estimation models based on analytical reasoning and available information, in such conditions, the financial statements reflect estimates formed due to probable uncertainty or lack of accurate estimation. Such values are called estimates and are based on the approaches and concepts established in the conceptual foundations of financial reporting. Despite the fact that due to objective circumstances, it is impossible to develop an ideal financial statement corresponding to the conceptual foundations, it is still of crucial importance to prepare it in such a way as to improve the quality of usefulness of financial statements.

The article discusses the basis of the generation of evaluative indicators and their impact on the usefulness of general purpose financial statements. The work also presents issues regulated by International Accounting Standards (IAS) and International Financial Reporting Standards (IFRS), which relate to the assessment and revaluation of reserves in own capital.

Key words: Financial reporting, reliability, valuation figures, valuation value, revaluation excess

ნინო ტალიკაძე
ეკონომიკის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ევროკავშირის ბაზარზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის მდგომარეობა

საექსპორტო აგროსასუსათო პროდუქტების შერჩევა და მისი კონკურენტუნარიანობის დონის შეფასების შესახებ კვლევა მნიშვნელოვან ხოლს შეასრულებს ოპტიმალური საექსპორტო პოტენციალისა და ადგილობრივი წარმოების პრიორიტეტების განსაზღვრაში. აგროსასუსათო პროდუქტების მაღალი კონკურენტუნარიანობა ქვეყნის სასუსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი ქვაკუთხედი იქნება. ხოლო შიგა და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი აგროსასუსათო პროდუქტების მიწოდება ხელს შეუწყობს წარმოების სამომავლო განვითარებას. კვლევის მიზანია ქართული საექსპორტო აგროსასუსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის დადგენის საფუძველზე მისი ხოლის განსაზღვრა საექსპორტო პოტენციალის შეფასებაში. საექსპორტო აგროსასუსათო პროდუქტის კონკურენტუნარიანობის შეფასება განხორციელდა ევროკავშირის ბაზრისთვის. მკვლევარის მიერ გამოთქმული დასკვნები გამყარებულია საკვლევი პროდუქტის 16 წლიან პერიოდზე დაკვირვებისა და შესაბამისი ინდექსების გაანგარიშებით.

წინამდებარე კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ანალიზის, სინთეზის, შედარების, დედუქციის და ინდუქციის მეთოდები. სტატია წარმოადგენს თეორიისა და ემპირიის ანალიზს. აგროსასუსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა შეფასდა გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის (RCA), სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის, ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსის საფუძველზე. ყველა მონაცემი დამუშავებულია ავტორის მიერ. საკვლევი აგროსასუსათო პროდუქტების შერჩევა მოხდა, ერთი მხრივ, იმის გათვალისწინებით, თუ რომელი აგროსასუსათო პროდუქტების ექსპორტირება ხდება მიმდინარე ეტაპზე, ხოლო მეორე მხრივ, რომელი აგროსასუსათო პროდუქტების ექსპორტირებაა შესაძლებელი.

საკვანძო სიტყვები: *პროდუქტის კონკურენტუნარიანობა, გამოვლენილი შედარებითი უპირატესობა, ნორმალიზაციის ინდექსი, ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი, აგროსასუსათო პროდუქტი*

პროდუქტის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვანი ინფორმაციაა საწარმოებისთვის, რადგან ის ეხმარება მათ განსაზღვრონ პროდუქტის პოზიცია ბაზარზე (Chen & Miller 2014). კონკურენტუნარიანობის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, საწარმოებს, ასევე, შეუძლიათ გაანალიზონ თავიანთი პროდუქტის ნაკლოვანებები ზოგიერთ მნიშვნელოვან სფეროში და გაუმჯობესონ მათი კონკურენტუნარიანობა შესაბამისი კონკურენტული სტრატეგიის შემუშავებით (Huang & Chen 2019). კონკურენტუნარიანობამ შესაძლოა გადამწყვეტი როლი ითამაშოს საექსპორტო პოტენციალის სწორად და მიზანმიმართულ ათვისებაში განვითარებადი ქვეყნებისთვის.

ნაციონალური, ანუ ქვეყნის დონეზე კონკურენტუნარიანობის შესწავლის საწყის ეტაპზე მკვლევარების მიერ დიდი ყურადღება ექცევა სტაბილური ექსპორტის არსებობას სხვა ქვეყნებში, რომელიც ემყარება საკუთარ ქვეყანაში შექმნილ აქტივებსა და გამოცდილებას (გაგნიძე, 2012). მაგალითად, 2021 წელს აგროსასურსათო პროდუქტის ექსპორტი წინა 2020 წელთან შედარებით გაზრდილია 21%-ით. საქართველოდან ექსპორტირებულია 1 142 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქტი, აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი 99 ქვეყანაში განხორციელდა (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022). მეორე მხრივ, მკვლევრები აღნიშნავენ, კონკურენტუნარიანობაში უნდა გამოიყოს რამდენიმე ასპექტი, კერძოდ: ა) კონკურეტუნარიანობა, რომელიც გამოვლენილია და დადასტურებულია და ბ) კონკურენტუნარიანობა, რომელიც პოტენციურად არსებობს, თუმცა, მისი რეალიზაცია შესაძლებელია სხვა ფაქტორების მეშვეობით. გ) კონკურენტუნარიანობა, რომელიც შექმნილია ხელოვნურად, ადამიანის ნებელობითი გადაწყვეტილების საფუძველზე. დ) კონკურენტუნარიანობა, რომელიც ეფუძნება ცალკეული სპეციფიკური ფაქტორის არსებობას (ღაღანიძე, 2013). ჩვენ კვლევის მიზნებისთვის განვიხილავთ პირველი

მათგანს, ანუ არსებულ კონკურენტუნარიანობას, რომელიც ეფუძნება ქვეყნის აბსოლუტურ ან ფარდობით უპირატესობას საგარეო ვაჭრობაში.

ამდენად, თავდაპირველად, ზოგად ჭრილში განხილულია საქართველოს სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი2 . გაანგარიშებები ჩატარებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 1. საქართველოს სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი 2006-2021 წლები[3]



დიაგრამიდან 1 ჩანს, რომ მოცემული ინდექსი არის უარყოფითი, რაც ნიშნავს მაღალ იმპორტულ მაჩვენებელს საქართველოსთვის. თუ ზოგადად ინდექსი გვიჩვენებს შესაბამის პარტნიორთან საგარეო ვაჭრობის მდგომარეობას, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია აღნიშნული ინდექსი გავიანგარიშოთ ცალკეული სავაჭრო პარტნიორის დონეზე და შემდეგ იგი შედარდეს ზოგად ინდექსს. მიღებულია, რომ თუ ინდექსი იცვლება 0-დან 1-მდე, მაშინ ექსპორტი ცალსახად აჭარბებს იმპორტს. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ანალიზზე დაყრდნობით, სავაჭრო ბალანსს ზოგადი განვითარების დადებითი ტრენდი ახასიათებს. ამდენად, ნორმალიზაციის ინდექსი გაანგარიშებულია ქვეყნების ჯგუფების მიხედვით. მაგალითად, 16 წლიანი პერიოდისთვის საქართველოს ევროკავშირის (EU) ქვეყნებთან საშუალოდ ნორმალიზაციის ინდექსმა შეადგინა (0,61) ერთეული, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებთან (CIS) – (0,35) ერთეული, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებთან (BSEC) – (0,48) ერთეული, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებთან (OECD) - (0,64). როგორც გამოჩნდა, ქვეყნების ჯგუფების მიხედვით დათვლილი სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსის მიხედვით საქართველო საჭიროებს ყველა ზემოთ მოცემულ ქვეყნების ჯგუფთან საექსპორტო პოტენციალის ათვისებას. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავეა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებისა და ევროკავშირის ქვეყნების შემთხვევაში. სხვა სიტყვებით, ამ ქვეყნების ჯგუფებისთვის იმპორტის მოცულობა ბევრად აღემატება ექსპორტს. ამასთან, მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით ყველაზე დაბალი ნორმალიზაციის ინდექსი ე.ი. შედარებით უკეთესი სავაჭრო მდგომარეობა საქართველოს აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ჯგუფთან.

---

[2] ნორმალიზაციის ინდექსი გაანგარიშდა შემდეგი ფორმულით: N=(X-M)/(X+M), სადაც X არის მთლიანი ექსპორტი; M - მთლიანი იმპორტი.

[3] გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, საგარეო ვაჭრობა, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

გამომდინარე აქედან, შემდეგ ეტაპზე გავიანგარიშეთ უშუალოდ ევროკავშირის ცალკეული ქვეყნის დონეზე სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსების საშუალო მაჩვენებელი. 16 წლიანი დროითი პერიოდის შესწავლამ შემდეგი შედეგი მოგვცა (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. ნორმალიზაციის ინდექსები ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით (საშუალო)[4]



დიაგრამიდან 2 კარგად ჩანს, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოს შედარებით ხელსაყრელი საგარეო სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსის მნიშვნელობა გააჩნია ბულგარეთთან, ლიეტუვასთან, ესტონეთთან, ესპანეთთან და ლატვიასთან. ხოლო შედარებით არასახარბიელო მდგომარეობა საქართველოს აქვს ევროკავშირის შემდეგ ქვეყნებთან: შვედეთი, სლოვენია, ირლანდია, ლუქსემბურგი და ხორვატია.

საექსპორტო პოტენციალის შეფასების კიდევ ერთ-ერთი მეთოდია ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსის გაანგარიშება[5]. უნდა ითქვას, რომ ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი აბსო-

[4] გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, საგარეო ვაჭრობა, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

ლუტურად ზუსტად არ ზომავს საექსპორტო პოტენციალს, მაგრამ რამდენიმე ბაზრის შედარების შემთხვევაში, ის ძალიან კარგად ასრულებს იმ ფუნქციას, რომ სწორად განისაზღვროს ბაზრები, სადაც საექსპორტო პოტენციალი ყველაზე უარესადაა ათვისებული და, ამდენად, ამ ბაზრებზე მოხდეს საექსპორტო აქტივობის კონცენტრაციის ხელშეწყობა (Gaganidze & Ramishvili 2018). ინდექსის მიღებული მაჩვენებელი Iij თუ მეტია ერთზე, მაშინ სავაჭრო პარტნიორი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია ჩვენთვის, ვიდრე ჩვენ მისთვის. თუ მიღებული მაჩვენებელი ერთის ტოლია, მაშინ საექსპორტო პოტენციალი ადეკვატურია ჩვენი შესაძლებლობებისა და იმპორტიორი ქვეყნის შესაძლებლობებისა, ხოლო თუ ის ერთზე ნაკლებია, მაშინ ჩვენს ექსპორტს აქვს გამოუყენებელი პოტენციალი. ამ შემთხვევაში გამოუყენებელი საექსპორტო პოტენციალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა - რა იქნებოდა ექსპორტის მაჩვენებელი რომ ყოფილიყო ერთის ტოლი და რა არის რეალურად (ღაღანიძე, 2015).

განვიხილოთ ვაჭრობის ინტენსივობა საქართველოსა და ცალკეულ ქვეყანათა ჯგუფს შორის (იხ. დიაგრამა 3).



დიაგრამა 3. ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი: საქართველო და ევროკავშირის (EU) ქვეყნები, საქართველო და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნები (CIS), საქართველო და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ქვეყნები, საქართველო და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნები (OECD) (საშუალო მაჩვენებელი).[6]

მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი ევროკავშირის ქვეყნებთან ძირითად შემთხვევებში არის ერთზე ნაკლები ე.ი. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი არ არის საკმარისად გამოყენებული, მიუხედავად ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებისა. საპირისპირო შედეგს ვხედავთ საქართველოსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნების ვაჭრობის ინტესივობის ინდექსის შემთხვევაში. კერძოდ, ეს უკანასკნელი ერთს ბევრად აღემატება. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც სავაჭრო პარტნიორი, საქართველოსთვის ბევრად მნიშვნელოვანია დსთ-ს ქვეყნათა ჯგუფი, ვიდრე საქართველო მათთვის. აღნიშნულ საკითხზე მიუთითებენ ქართველი მეცნიერები ავთანდილ სილაგაძე და თამარ ათანელიშვილი 2020 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელშიც აღნიშნულია, რომ მაღალია დსთ-ს წევრი ქვეყნების წვლილი საქართველოს საგარეო ვაჭრობა-

---

[5] ინდექსი გაიანგარიშება შემდეგნაირად:
Iij=(Xij/Xi)/(Mj/M), სადაც, Xij – i ქვეყნის ექსპორტი j ქვეყანაში, Xi - i ქვეყნის მთლიანი ექსპორტი, Mj – j ქვეყნის მთლიანი იმპორტი, M - მსოფლიო იმპორტი

[6] გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, საგარეო ვაჭრობა, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

ში. ამასთან, დსთ-ის ქვეყნებიდან რუსეთის წილი (კონტრიბუცია) ექსპორტსა და იმპორტში და საქართველოში განხორციელებულ ფულადი გზავნილებში საგრძნობლად მაღალია. მკვლევრები მიზანშეწონილად მიიჩნევენ, რომ დსთ-ს ქვეყნებზე დამოკიდებულება შემცირდეს წარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდით, საგარეო ბაზრების დივერსიფიკაციის და ურთიერთობების გაღრმავებით ევროკავშირთან, აშშ-სთან და სხვ (Silagadze & Atanelishvili 2020). მსგავსად ანალოგიური მდგომარეობა იკვეთება საქართველოსა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებს შორის, მათი ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი ბევრად აღემატება ერთს. და ბოლოს, საქართველოსა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებს შორის არსებულ ვაჭრობის ინტენსივობის მდგომარეობა, ასევე, სავალალოა. ინდექსი ნაკლებია ერთზე, ე.ი. ამ მიმართულებითაც არ არის გამოყენებული საექსპორტო პოტენციალი.

შემდეგი ეტაპი იყო უშუალოდ აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება. კონკურენტუნარიანობა შეფასდა გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის (RCA) ინდექსის საფუძველზე (Balassa 1965, 1971, 1977). შეფასებისთვის ერთიანი მიდგომის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემები (International Trade Centre). პროდუქტთა მხოლოდ ორი ჯგუფისთვის (080121 - ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაუცლელი, ტყის კაკალი ანუ თხილი (Corylus spp.) და 080222 - ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაცლილი, ტყის კაკალი ანუ თხილი (Corylus spp.)) ოფიციალური მიმართვის საფუძველზე იქნა გამოთხოვილი მონაცემები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან. რადგან პროდუქტების კონკურენტუნარიანობა დათვლილია ევროკავშირის ბაზრისთვის, ამიტომ RCA-ის ტრადიციულმა ფორმულამ ცალკეული პროდუქტის შემთხვევაში მიიღო შემდეგი სახე:

$$RCA = \frac{\dfrac{\text{საქართველოს 1 პროდუქტის ექსპორტი}}{\text{საქართველოს მთლიანი ექსპორტი}}}{\dfrac{\text{ევროკავშირის 1 პროდუქტის მთლიანი ექსპორტი}}{\text{ევროკავშირის მთლიანი ექსპორტი}}}$$

საკვლევი აგროსასურსათო პროდუქტის შერჩევა მოხდა საექსპორტო პროდუქტის შერჩევის კრიტერიუმებიდან გამომდინარე. კერძოდ, საექსპორტო აგროსასურსათო პროდუქტების შესაფასებლად ჩვენ მიერ გამოიყო შემდეგ ძირითადი მაჩვენებლები: ტენდენციები ექსპორტში, ადგილობრივი წარმოება და თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები.

2021 წლის ადგილობრივი წარმოების ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წარმოების მონაცემებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ლიდერი პოზიციები უკავიათ შემდეგ პროდუქტებს: ყურძენი, ვაშლი, თხილი და ატამი მრავალწლოვანი კულტურების შემთხვევაში და სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული ერთწლიანი კულტურების შემთხვევაში.[7]

2021 წლის მონაცემების მიხედვით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გააჩნია ყურძენს - 173%, შემდეგი არის კარტოფილი - 115% და კვერცხი (98%).[8]

2021 წელს ექსპორტის მოცულობის მიხედვით ლიდერობს ყურძნის ნატურალური ღვინოები, სპირტიანი სასმელები,მინერალური და მტკნარი წყლები, თხილი.

შერჩეული პროდუქტებისთვის დადგინდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (HS 2012-2017 კომბინირებული).

---

[7] დამუშავებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ერთწლიანი კულტურების წარმოება, მრავალწლოვანი კულტურების წარმოება, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba

[8] დამუშავებულია ავტორის მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი, 2022

გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RCA) ერთი შეხედვით ემყარება რიკარდოს ვაჭრობის თეორიას, რომელიც ამტკიცებს, რომ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობები რეგულირდება სწორად მათ შორის პროდუქტიულობის შედარებითი განსხვავებებით. მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტიულობის ასეთ განსხვავებებზე ძნელია დაკვირვება, RCA ინდექსი საკმარის შესაძლებლობას გვაძლევს ვაჭრობის მონაცემების გამოყენებით ასეთი „გამოვლენისთვის“ (Bojnec & Fertő 2015). მოცემული ინდექსი იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი გამოვიყენოთ ცალკეული ქვეყნის პროდუქტის საექსპორტო კონკურენტუნარიანობის შეფასებისა და ექსპორტისთვის კონკურენტუნარიანი პროდუქტების პირველადი გამოვლენისთვის. თუმცა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ მასში არ არის გათვლისწინებული ისეთი ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ კონკურენტუნარიანობაზე, მაგალითად: ტარიფები, არასატარიფო ზომები, სუბსიდიები და სხვა.

RCA ინდექსი ჩვენ მიერ გაანგარიშებულია 2006-2021 დროის მონაკვეთში იმისათვის, რომ გვეჩვენებინა მისი განვითარება დინამიკაში. კვლევის შედეგების საშუალო მაჩვენებელი თითოეული პროდუქტის შემთხვევაში მოცემულია დიაგრამაზე 4.



დიაგრამა 4. 2006-2021 წლებში გამოვლენილი შედარებითი უპირატების ინდექსის საშუალო მაჩვენებელი პროდუქტებისთვის: მინერალური და მტკნარი წყლები (2201), ახალი ატამი, ნექტარინების ჩათვლით (080930), ხმელი ვაშლი (081330), ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები (ათასი ლიტრი, 100 % სპირტი) (2208), ყურძნის ნატურალური ღვინოები (2204), წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით (2202), შინაური ქათმის, (Gallus domesticus) ახალი კვერცხი ნაჭუჭით, ინკუბირებისათვის (040711), ახალი ვაშლი (080810), ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაცლილი, ტყის კაკალი ანუ თხილი (Corylus spp.) (080222), ფრინველის კვერცხი, ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული (0407), კარტოფილი, ახალი ან შეყინული (0701), ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაუცლელი, ტყის კაკალი ანუ თხილი (Corylus spp.) (080221), ახალი ყურძენი (080610), ყურძენი, ახალი ან გამხმარი (0806), ხმელი ყურძენი (080620)

RCA ინდექსის გათვლით გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა: 2006-2021 წლის განვითარების დინამიკის შეფასებით მხოლოდ შემდეგი პროდუქტების ჯგუფებისთვის დაფიქსირდა ზრდადი განვითარების ტენდენცია: ყურძნის ნატურალური ღვინოები, ყურძენი, ახალი ან გამხმარი, შინაური ქათმის, (Gallus domesticus) ახალი კვერცხი ნაჭუჭით ინკუბირებისათვის, მინერალური და მტკნარი წყლები, ახალი ყურძენი, ახალი ვაშლი, ხმელი ვაშლი, კარტოფი-

ლი, ახალი ან შეყინული, ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაუცლელი, ტყის კაკალი ანუ თხილი (Corylus spp.), ფრინველის კვერცხი, ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული, ახალი ატამი, ნექტარინების ჩათვლით. ხოლო კლებადი განვითარების ტენდენცია ახასიათებს შემდეგ პროდუქტებს: სპირტიანი სასმელები, ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაცლილი, ტყის კაკალი ანუ თხილი (Corylus spp.), წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით და ხმელი ყურძენი. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული ინდექსის მნიშვნელობა შევადაროთ ერთს, რათა გავიგოთ მოცემული პროდუქტი არის თუ არა კონკურენტუნარიანი ბაზარზე.

საშუალო მაჩვენებლის მიხედვით RCA ინდექსი აღემატება ერთს (RCA>1) და, შესაბამისად, კონკურენტუნარიანობით ხასიათდება შემდეგი პროდუქტები (დალაგებულია კლებადობის მიხედვით): მინერალური და მტკნარი წყლები, სპირტიანი სასმელები, ხმელი ვაშლი, ყურძნის ნატურალური ღვინოები, ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაცლილი თხილი, წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით, ახალი ატამი, ნექტარინების ჩათვლით, შინაური ქათმის, (Gallus domesticus) ახალი კვერცხი ნაჭუჭით, ინკუბირებისათვის, ახალი ვაშლი და კარტოფილი.

საშუალო მაჩვენებლის მიხედვით RCA ინდექსი ნაკლებია ერთზე (RCA<1) შემდეგი პროდუქტებისთვის: ახალი ყურძენი, ყურძენი ახალი ან გამხმარი, ხმელი ყურძენი, ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაუცლელი თხილი, ფრინველის კვერცხი, ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული.

ამ კუთხით ძალიან საინტერესო შედეგები მივიღეთ. ექსპორტის მაჩვენებლებში პირველი და მეორე მაჩვენებელი მოდის ღვინოსა და სპირტიან სასმელებზე. თუმცა, მათ შედარებით დაბალი RCA ინდექსის მაჩვენებელი გააჩნიათ, ვიდრე სხვა პროდუქტებს, მაგალითად მინერალურ და მტკნარ წყლებს, ახალ ატამს, ხმელ ვაშლს. მსგავსი გამოვლინდა უალკოჰოლო გაზიანი სასმელების შემთხვევაშიც. რაც შეეხება თხილს, აქ ორი შემთხვევა უნდა განვიხილოთ. მართალია, ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაცლილი თხილი (კოდი: 080222) არის კონკურენტუნარიანი (RCA>1), მაგრამ მასზე უფრო მაღალი RCA ინდექსი აქვს ხმელ ვაშლს. ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაუცლელი თხილი (კოდი: 080221) არის არაკონკურენტუნარიანი ევროკავშირის ბაზარზე, მისი RCA ინდექსი ნაკლებია ერთზე.

ამგვარად, ზემოთ მოტანილი მსჯელობიდან გამომდინარე, პოტენციურ მაღალი კონკურენტუნარიანობის მქონე დამატებით საექსპორტო პროდუქტებად გვევლინება ატამი, ვაშლი და კვერცხი, რომელთაც, ასევე, გააჩნიათ ზრდადი განვითარების ტენდენცია.

ამდენად, საქართველოს აქვს პოტენციალი, აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მიხედვით გახდეს კონკურენტუნარიანი ევროკავშირის ბაზარზე. ვფიქრობთ, კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოება გამოიწვევს ეროვნული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მოსახლეობის კვების სტრუქტურისა და ხარისხის გაუმჯობესებას, შიგა და საერთაშორისო ბაზრებზე წილების მოპოვებას, საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირებას, ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას (ტალიკაძე, 2020).

დასკვნები

აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის შეფასების მიზნით გაანგარიშებული ინდექსების, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია ძირითადი დასკვნები, კერძოდ:

- სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსის საფუძველზე გამოვლინდა კონკრეტული ქვეყნები, რომელთანაც საქართველოს აქვს ხელსაყრელი საგარეო სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი. თუმცა, ნორმალიზაციის ინდექსის გაანალიზებამ ქვეყნების ჯგუფების მიხედვით გვიჩვენა, რომ საქართველო საჭიროებს საექსპორტო პოტენციალის ათვისებას, განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობი-

სა და განვითარების ორგანიზაციისა და ევროკავშირის ქვეყნების შემთხვევაში. ევროკავშირის წევრი ქვეყნების დონეზე გამოვლინდა ის ქვეყნები, რომელთანაც საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი საგარეო სავაჭრო ბალანსის ნორმალიზაციის ინდექსი, ესენია ბულგარეთი, ლიეტუვა, ესპანეთი, ესტონეთი და ლატვია. მნიშვნელოვანია დასახელებულ ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოება/გაღრმავება.

- ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე დსთ-ს ბაზართან შედარებით არასახარბიელო შედეგები აქვს. სხვა სიტყვებით, საქართველოს არსებული საექსპორტო პოტენციალი არ აქვს საკმარისად გამოყენებული, მიუხედავად ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებისა. როგორც სავაჭრო პატრნიორი, საქართველოსთვის დსთ-ს ქვეყნათა ჯგუფი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველო მათთვის. დსთ-ს ქვეყნათა ჯგუფში კი მთავარი სავაჭრო პარტნიორის ადგილი საქართველოსთვის უკავია რუსეთს. მიზანშეწონილია, საექსპორტო ძალისხმევის კონცენტრაციამ გადაინაცვლოს ევროკავშირის ბაზარზე, იმ სავაჭრო რეჟიმის გათვალისწინებით, რაც უკვე ევროკავშირთან საქართველოს აკავშირებს. ეს უზრუნველყოფს საერთაშორისო ვაჭრობის დროს ნაკლებ დამოკიდებულებას ერთ რომელიმე ქვეყანაზე.
- გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსის მიხედვით მაღალი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება შემდეგი პროდუქტები: მინერალური და მტკნარი წყლები, სპირტიანი სასმელები, ხმელი ვაშლი, ყურძნის ნატურალური ღვინოები, ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაცლილი თხილი, წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით, ახალი ატამი, ნექტარინების ჩათვლით, შინაური ქათმის, (Gallus domesticus) ახალი კვერცხი ნაჭუჭით, ინკუბირებისათვის, ახალი ვაშლი, კარტოფილი. მართალია, აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მოცულობაში პირველი და მეორე ადგილები უკავია ღვინოსა და სპირტიან სასმელებს, მაგრამ მათ დაბალი RCA ინდექსი გააჩნიათ ისეთ პროდუქტებთან შედარებით, როგორებიცაა: მინერალური და მტკნარი წყლები, ახალი ატამი, ხმელი ვაშლი. სწორად ზემოთ დასახელებულ პროდუქტებს აქვთ მაღალი საექსპორტო პოტენციალი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოცემული პროდუქტთა ჯგუფების ექსპორტიის წახალისება და მხარდაჭერა საექსპორტო პოტენციალის ათვისების მიზნით.
- ყველა აგროსასურსათო პროდუქტი, რომელსაც ახასიათებდა ექსპორტის გრძელვადიანი პრაქტიკა და ლიდერი პოზიციები აგროსასურსათო სექტორიდან ექსპორტში არის კონკურენტუნარიანი.

ლიტერატურა

1. გაგნიძე, ი. (2012). *ქვეყნების კონკუჰენტუნაჰიანობა და კლასტეჰები: ისტოჰია და ანამედჰოვეობა.* გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. გვ 17; გვ. 19 გვ. 25
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2022). *საქაჰთვეღოს აგჰოსასუჰსათო პჰოდუქციის ექსპოჰტ-იმპოჰტი*
3. ტალიკაძე, ნ. (2020). *საექსპოჰტო აგჰოსასუჰსათო პჰოდუქტების კონკუჰენტუნაჰიანობა და კონკუჰენტუნაჰიანობის ამაღღების ეკონომიკუჰი პოღიტიკა.* ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“. N9/2020; ISSN 2449-2396 ბეჭდური. E ISSN 2449-2612 ონლაინ.
4. ღაღანიძე, გ. (2013). *კონკუჰენტუნაჰიანობისა და სტჰატეგიის უჰთიეჰთკავშიჰის საკითხები.* სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. N4, ივლისი-აგვისტო, 2013
5. ღაღანიძე, გ. (2015). *საექსპოჰტო პოტენციაღი და კონკუჰენტუღი უპიჰატესობა.* ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. N3. 91-99.
6. Balassa, B. (1965). *Trade Liberalization and Revealed Comparative Advantage.* The Manchester School of Economic and Social Studies. Vol. 33, No. 2, pp. 99–123.
7. Balassa, B. (1971). *Trade Policies in Developing Countries.* The American Economic Review. Vol. 61, No. 2, pp. 178–187.

8. Balassa, B. (1977). *Revealed Comparative Advantage Revisited: An Analysis of Relative Export Shares of the Industrial Countries.* The Manchester School of Economic and Social Studies. Vol. 45, No. 4, pp. 327–344.
9. Bojnec, Š., & Fertő, I. (2015). *Agri-Food Export Competitiveness in European Union Countries.* Journal of Common Market Studies JCMS. Volume 53, Issue 3, 476-492
10. Chen M.J., & Miller D., (2014). *Reconceptualizing competitive dynamics: a multidimensional framework.* Strategic. Manage. J. 36 (5) 758–775.
11. Gaganidze G., & Ramishvili B. (2018). *How To Evaluat Efficiency Of The Export Strategies.* International Scientific-Practical Magazine - Globalization And Business. N5
12. Huang H.F., He Y., & Chen J., (2019). *Competitive strategies and quality to counter parallel importation in global market.* Omega. 86 173–197.
13. Silagadze, A. & Atanelishvili, T. 2020. *Georgia -Cis Trade Relations: The Problems Of The Russian Market.* Academic Journal of Science. CD-ROM. ISSN: 2165-6282 : 1001.:53–58 2020.

გამოყენებული საიტები:

1. https://www.geostat.ge/ka - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე არსებული სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ:
2. სასურსათო ბალანსები, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usafrtkhoeba
3. საგარეო ვაჭრობა, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba
4. სურსათის ექსპორტ-იმპორტი, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usafrtkhoeba
5. ერთწლიანი კულტურების წარმოება, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba
6. მრავალწლიანი კულტურების წარმოება, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba
7. ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti
8. ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti
9. იმპორტი ქვეყნების მიხედვით, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi
10. იმპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi
11. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (HS 2012-2017 კომბინირებული), იხ. ბმული: https://www.geostat.ge/media/13419/13-HS-2012-2017-%28combined%29_GEO.pdf
12. https://www.trademap.org/Index.aspx - საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ოფიციალური ვებგვერდი. ხდებოდა ფილტრაცია, პროდუქტის ჯგუფის (15 დასახელების), რეგიონის (ევროკავშირის) და პარტნიორი ქვეყნების (საქართველოს) დონეზე.

Nino Talikadze
PhD in Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Competitiveness of Georgian Agro-food Products in the European Union market

SUMMARY

Research on the export agro-food products and the evaluation of its level of competitiveness will play an important role in determining the optimal export potential and local production priorities. The high competitiveness of agro-food products will be one of the cornerstones of the country's food security. And the supply of competitive agro-food products to the domestic and international markets will contribute to the future development of production. The purpose of the research is to determine the level of competitiveness of Georgian export agro-food products and to determine its role in the assessment of export potential. Competitiveness assessment of the export agro-food product was carried out for the EU market. The conclusions expressed by the researcher are supported by the observation of the research product over a period of 16 years and the calculation of relevant indices.

The methods of analysis, synthesis, comparison, deduction and induction were used for the present study. The article is an analysis of theory and empirics. Competitiveness of agro-food products was evaluated based on revealed comparative advantage (RCA), trade balance normalization, trade intensity index. All data processed by the author. Research agro-food products were selected, on the one hand, taking into account which agro-food products are being exported at the current stage, and on the other hand, which agro-food products can be exported.

Key words: product competitiveness, revealed comparative advantage, normalization index, trade intensity index, agro-food product.

მირიან ტუხაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ ციბაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეორე მსოფლიო ომამდელი საბჭოთა პერიოდი საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიულ მოძრაობაში

მეორე მსოფლიო ომამდელი ოცწლიანი საბჭოთა პერიოდი გამოირჩევა როგორც გარე, ისე შიგა მიგრაციის დიდი ინტენსიურობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია დადებითი გარემიგრაციული საღდო და ამის გამო საქართველოს მკვიდრი ქართველი და აფხაზი მოსახლეობის ხვედრითი წონის საგრძნობი შემცირება. აღნიშნულ პერიოდში, ერთი მხრივ, საქართველოს მეტად სწრაფმა ინდუსტრიულმა განვითარებამ, მეორეს მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის ნაკლებმა ინდუსტრიულმა ტრადიციებმა გამოიწვიეს რუსეთის ცენტრალური ოლქებიდან მუშათა დიდი კონტინგენტის იმიგრაცია საქართველოში. მეორე მხრივ, 1922 და 1932-1933 წლების მოუსავლიან პერიოდში რუსეთ- უკრაინაში უზარმაზარი მასშტაბის შიმშილობამ გამოიწვია მოსახლეობის დიდი კონტინგენტის პერიფერიებისაკენ სწრაფვა, რამაც გააძლიერა საქართველოში ჩამოსახლების სტიმულები. ომისწინა პერიოდში დაჩქარდა საქართველოს უბანიზაციის პროცესი და ფართო გასაქანი მიეცა შიგა ორგანიზებულ ჩასახლებებსაც.

საკვანძო სიტყვები: *მოსახლეობა, მიგრაცია, ინდუსტრიალიზაცია, ორგანიზებული ჩასახლება*

მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლები საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც გრანდიოზული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ეპოქა. მიუხედავად ტრაგიკული სოციალური კატაკლიზმებისა, საყოველთაო ექსპროპრიაციული პროცესებისა, განხორციელდა ეპოქალური ინდუსტრიული გარდაქმნები, იძულებითი ხასიათის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რასაც თან მოჰყვა მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის ინტენსიფიკაცია, როგორც გარე, ისე შიგა მიგრაციების მასშტაბების ზრდა. მიგრაციის თაობაზე ინფორმაციის საჯაროობის შეზღუდვის გამო იმდროინდელი მიგრაციის შეფასება რთულდება და ხშირად ემყარება მეცნიერულ ვარაუდებს, რომლის დაზუსტებაც ამ სტატიის ავტორთა ძირითადი მიზანია.

კვლევის შედეგები

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის შეწყვეტამ არსებითი გავლენა მოახდინა როგორც შიგა, ისე გარემიგრაციულ პროცესებზე. საქართველოში შემობრუნდა პოლიტიკური მიზეზებით საქართველოდან წასული რუსი მოსახლეობის ნაწილი, ხოლო ეროვნულად განწყობილმა მმართველო აპარატის ნაწილმა დასავლეთის ქვეყნებს მიაშურა.

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, 1922 წელს რუსეთის მრავალ ოლქში მოუსავლიანობის და გაბატონებული ქაოსის გამო იფეთქა შიმშილობამ. ამ მიზეზით მოკვდა ერთ მილიონზე მეტი ადამიანი. ამან კი ლტოლვილთა დიდი მასა მიმართა რუსეთის პერიფერიებისაკენ, მათ შორის ანექსირებული, გასაბჭოებული კავკასიისაკენ. პირველივე საბჭოთა წლებიდან სწრაფი მიგრაციული მატება დაიწყო საქართველოს დედაქალაქმა თბილისმა (1926 წლის აღწერით 294 ათასი მცხოვრები)(ხმალაძე მ.(2020). ამ პერიოდისათვის ქართველი მოსახლეობის წილი მაინც ნახევარზე ნაკლებია, ზრდის ტენდენცია კი აშკარად შეიმჩნევა.

ე.წ. ომისწინა ხუთწლედების პირობებში საქართველოს მთელი ეკონომიკა, განსაკუთრებით მრეწველობა მაღალი ტემპით იზრდებოდა. ამ დროს დიდი გაქანება ჰპოვა ე. წ. სსრკ განაპირა მხარეების უპირატესი განვითარების პოლიტიკამ, შეიქმნა ინდუსტრიული ცენტრები, გაჩნდა მაღალკვალიფიციურ სამრეწველო პერსონალზე მწვავე მოთხოვნა.

მიუხედავად სსრკ განაპირა მხარეების დიდი დემოგრაფიული ზრდისა, ახალი ინდუსტრიული ობიექტების შესაბამისი სამუშაო ძალით დაკმაყოფილება განაპირა მხარეების აგრარული ტრადიციების მქონე მოკავშირე რესპუბლიკებს იმ დროისათვის არ შეეძლოთ. ამის გამო 1930-იან წლებში კავკასიის, ყაზახეთის და შუა ზიის რეგიონებში დემოგრაფიულად ჯერ კიდევ მზარდი რუსეთის ფედერაციიდან მოსახლეობის მსხვილი კონტინგენტი მიგრირდა.

რუსეთის საუკუნეობრივმა მიგრაციულმა პოლიტიკამ სრულიად ახალი მასშტაბები შეიძინა. 1926-1939წწ. აღწერათაშორის პერიოდში სსრკ მთელ მოსახლეობაში რუსების წილი 77,8%-დან 83,4%-მდე გაიზარდა, ყაზახეთში - 19,7% - დან 40,3%-მდე, თურქმენეთში - 8,2-დან 18,6%-მდე, ტაჯიკეთში 0,7%-დან 9,1%-მდე, ყირგიზეთში- 11,7%-დან 20,8%-მდე, აზერბაიჯანში 9,5%-დან 16,5%-მდე, საქართველოში 3, 6%-დან 8,7%-მდე, მათ შორის, აფხაზეთში - 6,2%-დან 19,3%-მდე, აჭარაში - 7,7%-დან 15-%-მდე(ტუხაშვილი მ. 2008). 1939 წლისათვის თბილისში რუსების წილმა დედაქალაქის მოსახლეობაში 18%-ს მიაღწი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ბაქოში რუსები რიცხობრივად აღემატებოდნენ აზერბაიჯანელებს, შუა აზიისა და ყაზახეთის დედაქალაქებშიც ბევრად სჭარბობდნენ ავტოქტონ მოსახლეობას (Demoscope weekly, #331-332)

მაკრორეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის დროს წარმოქმნილი მიგრაციული ტალღები გაზარდა ომამდელ პერიოდში სსრკ გაჩენილმა 1932-1933წლების საყოველთაო შიმშილობამ, რისი მიზეზიცაა უკრაინისა და რუსეთის სამხრეთ ოლქებში მოუსავლიანობა და სოფლის მეურნეობაში ტოტალური ტრანსფორმაციების დროს დაშვებული შეცდომები.

დღემდე მიმდინარეობს დავა ე.წ. 1932-1933 წლების „გოლოდომორის“ მასშტაბებზე, გამოსულია უამრავი ლიტერატურე, არსებობს მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური შეფასება. ფაქტია, რომ შიმშილის მსხვერპლთა რიცხოვნობამ რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში რამდენიმე მილიონს გადააჭარბა. იგი გახდა სტიმული რუსეთ-უკრაინიდან მოსახლეობის მიგრაციისა, მათ შორის, საქართველოში. ამითაცაა განპირობებული, რომ საქართველოს მოსახლეობაში რუსების წილი 1926-1939წწ. აღწერათაშორის პერიოდში 3,6%-დან 8,7%-მდე გაიზარდა (ცხრილი 1).

ცხრილი 1. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1926 და 1939 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მიხედვით (პროცენტობით მთელ მოსახლეობაში)

	ქართველი	სომეხი	რუსი	აზრბაიჯანელი	ბერძენი	ებრაელი	ოსი	აფხაზი	უკრაინელი	სხვა	ჯამი
1926	66,8	11,5	3,6	5,4	2,0	1,1	4,2	2,1	0,5	2,8	100
1939	61,4	11,7	8,7	5,3	2,4	1,2	4,2	1,6	1,3	2,2	100

როგორც ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს, 1928-1938 წლებში მარტო საქართველოს ქალაქებში სხვა რესპუბლიკებიდან მუდმივ საცხოვრებლად ჩამოვიდა 182 ათასი კაცი (Джаошвили В.1978) საქართველოს დაჩქარებულმა ინდუსტრიალიზაციამ, სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დონის რადიკალურმა ზრდამ, სოფლად ე.წ. ჭარბმოსახლეობამ დააჩქარა ურბანიზაციის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში სოფლიდან ქალაქად გადასახლებას მკაცრი ად-

მინისტრაციული შეზღუდვები ჰქონდა, ამ მიმართულების მიგრაციის ინტენსიურობა მეტად მაღალი იყო.

მთელი ომამდელი საბჭოთა პერიოდი ორგანიზებულ მიგრაციათა დიდი მასშტაბებით გამოიჩევა. ამ დროს განხორციელდა ჩასახლებები საქართველოს ზღვისპირეთში, დასავლეთ საქართველოდან ქართველი მოსახლეობით შეთხელებულ ქართლ-კახეთში, ჩრდილოეთ მთიანეთიდან ბარის რეგიონებში. ცალკეული უარყოფითი მომენტების მიუხედავად, ეს ჩასახკებები უაღრესად დადებითად უნდა შეფასდეს. მან ხელი შეუწყო როგორც ბარის რეგიონების მაღალეფექტიან სამეურნეო ათვისებას, ისე რიგი რეგიონების რაციონალური ეთნოდემოგრაფიული ბალანსის შენარჩუნებასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი პერიოდის დასაწყისში საკმაო მასშტაბი ჰქონდა გარე შრომით მიგრაციასაც, რაც, თანდათან, საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის ხანაში პრაქტიკულად შეწყდა (იაშვილი პ.1928); ოქროპირიძე გ.1929).

დასკვნა

✓ მეორე მსოფლიო ომამდელი საბჭოთა პერიოდი საქართველოში მკვეთრი სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციების გამო აღინიშნა სწრაფი ეკონომიკური ზრდით, სტრუქტურულ - დარგობრივი გარდაქმნებით, რამაც იმდენად გაზარდა ინდუსტრიულ დარგებში კვალიფიციურ სამუშაო ძალზე მოთხოვნა, რომ დიდი სტიმული მისცა საქართველოს გარედან მოსახლეობის მაღალი ინტენსივობით ჩამოსახლებას.

✓ სსრკ პერიფერიებში რუსი მოსახლეობის ჩამოსახლება რუსეთის მრავალსაუკუნოვანი მიგრაციული ექსპანსიის პოლიტიკის გაგრძელება იყო და ყოველმხრივ ეწყობოდა ხელი მის განხორციელებას.

✓ საქართველოში მოსახლეობის იმიგრაციის პროცესს ხელი შეუწყო 1922 და 1932-33 წწ. რუსეთსა და უკრაინაში აღმოცენებულმა საყოველთაო შიმშილობამ, რამდენიმე მილიონი მცხოვრების შიმშილით ამოწყვეტამ. ამანაც დააჩქარა იქაური მოსახლეობის გადასვლა სსრკ სხვა ტერიტფორიებზე, მათ შორის, საქართველოში.

✓ ისტორიის შესწავლილ მონაკვეთში საქართველოს შიგა მიგრაციაში ჭარბობდა ორგანიზებული ჩასახლებები მთიდან ბარად, აღმოსავლეთ საქართველოს შრომით რესურსებნაკლებ რეგიონებში, შავიზღვისპირეთში, საქართველოს ინდუსტრიულ ცენტრებში. იმდროინდელი შიგა გადაადგილებები მთლიანობაში დადებითად უნდა შეფასდეს.

ლიტერატურა

1. იაშვილი პ. (1928). სოფლის მოსახლეობის გასვლა გარე სარეწავზე 1924-1925 და 1925-1926 წლებში. საქართველოს ეკონომისტი. #7-8. გვ.97-100
2. ოქროპირიძე გ. (1929). გადასახლების საჭიროება და შესაძლებლობა საქართველოში1924-1923. საქართველოს ეკონომისტი. #3. გვ.27-34
3. ტუხაშვილი მ. (2008). რუსული დიასპორა საქართველოში: დემოგრაფიული და შრომითი სტრუქტურა. კრებულში:Economics Problems in Transition Cauntres.Tbilisi. p.67
4. ხმალაძე მ. (2021). თბილისის დემოგრაფია. საერთაშორისო კონფერენციის „გლობალიზაცია ეკონომიკასა და ბიზნესში“. შრომების კრებული. თბილისი. გვ.175
5. Demosope Weekly. #331-332
6. Джаошвили В. (1978). Урбанизазия Грузии. Тбилиси,с.141

Mirian Tukhashvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Tsibadze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Soviet period before the Second World War in the territorial movement of the population of Georgia

SUMMARY

The twenty-year Soviet period before the Second World War is characterized by the high intensity of both external and internal migration. The positive balance of foreign immigration is particularly noteworthy due to which, the significant reduction of the relative weight of the native Georgian and Abkhazian population of Georgia could be observed. In the mentioned period, on the one hand, the rapid industrial development of Georgia and the industrial traditions of the local population developed to a lesser degree then, caused the immigration of a large contingent of workers from the central regions of Russia to Georgia. On the other hand, a large-scale famine in Russia-Ukraine in the unfavorable years of 1922 and 1933, caused a large contingent of the population to move to the peripheries that enhanced the incentives to settle in Georgia. In the pre-war period, the process of urbanization of Georgia was accelerated, while the process of organized internal migration became very intense.

ირმა ტყემალაძე
ეკონომიკის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შრომის ბაზრის რეგულირების მაკროეკონომიკური ასპექტები საქართველოში

სტატიაში გაანალიზებულია პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებისა და პანდემიური კრიზისისგან გამოწვეული ცვლილებების ზეგავლენა შრომის ბაზარზე. შესწავლილია დასაქმების ფორმების ტრანსფორმაციის პროცესი. დასაბუთებულია უმუშევრობის დონისა და ხანგრძლივობის ზრდის საპასუხოდ შრომის ბაზრის რეგულირების საჭიროება. გამოყოფილია დასაქმების პოლიტიკის ეტაპები საკვლევი პერიოდისათვის და შეფასებულია აღნიშნული პოლიტიკის შედეგები.

საკვანძო სიტყვები: *შრომის ბაზრის რეგულირება, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა, დასაქმების ფორმების ტრანსფორმაცია, მაკროეკონომიკური პოლიტიკა.*

რეგულირების მაკროეკონომიკური საშუალებების გამოყენებით სახელმწიფო შრომის ბაზრის ფუნქციონირების მიმართულებებს ცვლის იმგვარად, რომ აღმოფხვრილ იქნას უკვე გამოვლენილი პრობლემები, შემცირდეს მათი უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგები, მოხდეს ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელშემშლელი პირობების პრევენცია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში პოლიტიკა მნიშვნელოვნად სცდება საბაზრო პროცესებში ჩარევის მაქსიმალურად დასაშვებ ზღვარს. წარმოებისა და დასაქმების გაფართოების მიზნით სისტემატურად ხდება საპროცენტო განაკვეთის შემცირება, რაც წარმოქმნის მოთხოვნის ინფლაციას. მონეტარული ექსპანსიის საშუალებით, შესაძლებელია ინვესტიციების წახალისება და უმუშევრობის დონის შემცირება, უმუშევრობის მოკლევადიანი შემცირება კი როგორც წესი, ინფლაციის ტემპის ზრდას იწვევს (კაკულია, 2019). ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის მნიშვნელოვანი საკითხია. ამიტომ, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პარალელურად მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის დეტალური კვლევა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, განვითარების მიმართულებების დადგენა.

საქართველოში შრომის ბაზრის მდგომარეობის შესწავლამ გამოავლინა სხვადასხვა პრობლემები - უმუშევრობის მაღალი დონე, პასიური სამუშაო ძალა, არაეფექტიანი დასაქმების მაღალი დონე, ზეგანაკვეთური შრომის დიდი წილი, არაფორმალური სექტორის ჯერ კიდევ დიდი მასშტაბები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები, სახელფასო უთანასწორობა, დასაქმების არასტანდარტული ფორმების განვითარების რევოლუციური ბუნება, დასაქმების სტანდარტული ფორმების ტრანსფორმაციული პროცესის დაუგეგმავი ხასიათი. გადასაჭრელი საკითხების ერთობლიობა ნათლად მიუთითებს შრომის ბაზრის თვითრეგულირების უნარის შეზღუდულობაზე და სახელმწიფოს წინაშე სრული, ეფექტიანი, თავისუფლად არჩევადი სამუშაო ადგილებისა და ღირსეული დასაქმების შესაძლებლობების შექმნის ამოცანას აყენებს.

კვლევის მეთოდოლოგია. საკითხის შესწავლის პროცესში გამოყენებული იქნა სამეცნიერო აბსტრაგირების, სისტემური, სინთეზის და ანალიზის, ინსტიტუციური მიდგომები, სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი, ლოგიკურისა და ისტორიულის ერთიანობის, ევრისტიკული მეთოდები. დასაქმების ფორმების ცვლილების დასადგენად პირველადი მონაცემების შეგროვების მიზნით ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა. გამოყენებულია სტატისტიკური ანალიზის ისეთი მეთოდები, როგორიცაა აღწერითი, სიხშირული, კროსტაბულაციური (Crosstabulation) და სამომხმარებლო ცხრილების ანალიზი, გრაფიკული ანალიზი. ჯგუფებს შორის განსხვავებათა ანალიზი: საშუალოთა შედარება, ხი კვადრატ ტესტები (Chi Square Tests); არსებული თეორიების, მეცნიერთა ფუნდამენტური ნაშრომების ანალიზის და სინთეზის, პირველადი მონაცემების შეგროვების საფუძველზე ჩამოყალიბებული და შემოწმებულია ჰიპოთეზები.

მონაცემთა ბაზად გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (Geostat), ევროსტატის (Eurostat), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.

ძირითადი შედეგები/დისკუსია

სტატისტიკური მონაცემების ანალიზისა დაა ტენდენციებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილია დასაქმების ფორმების ტრანსფორმაციის ძირითადი თავისებურებები საქართველოსა და მის რეგიონებში. დარგობრივ დონეზე ნაჩვენებია რეალური სექტორიდან დასაქმებულთა ნაკადების მოძრაობა მომსახურების სექტორისკენ, რის მიზეზადაც ამ უკანასკნელში მოთხოვნილი დაბალი კვალიფიკაცია და შედარებით მაღალი ხელფასები სახელდება. რაციონალური დასაქმების წილის შემცირება დასაბუთებულია პროდუქტიულ დარგებსა და კონკურენტულ სფეროებში დასაქმებულთა წილის კლებით, ხოლო დისტანციური დასაქმების შეზღუდული არეალი - ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებებით. გამოვლენილია რეგიონებში მოსახლეობის დასაქმების ადაპტაციის დაბალი ხარისხის არსებობა, რაც კორელაციაშია მათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოქნილობის დონესთან. პანდემიური კრიზისის პერიოდში ტურიზმის და მომსახურების სექტორში დასაქმებულთა არნახული შემცირებით დასაბუთებულია რეალურ სექტორში დასაქმების ზრდის საჭიროება. ნაჩვენებია ციფრული ეკონომიკის განვითარებისგან გამოწვეული ცვლილება, როგორც არაფორმალური დასაქმების მასშტაბების ზრდით, ასევე მისი თვისობრიობის ცვლილებით. გეგმიური ეკონომიკის თავისებურებები ჯერ კიდევ ინერციით მიჰყვება ტრანსფორმაციის პროცესს - საბაზრო ეკონომიკამდე არსებული სრული დასაქმების ნაცვლად გაჩენილი უმუშევრობის მაღალი დონე და ეფექტიანი დასაქმების მიღწევა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩევა ქართული ეკონომიკური პოლიტიკისათვის. რეფორმების განხორციელების ხარისხი დიდწილადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ წინაპირობებზე და ეს წინაპირობები არახელსაყრელი იყო ჩვენს შემთხვევაში, ამიტომ ტრანსფორმაციის პროცესი დროში საკმაოდ გაიწელა და დღემდე გრძელდება. პოლიტიკები შეძლებისდაგვარად ინტენსიურად ხორციელდებოდა, თუმცა ცალკე შესაფასებელია მათი სისტემატურობის ხარისხი. 2001 წელს მიღებულ იქნა დასაქმების შესახებ კანონის, რითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 1991 წელს მიღებული კანონი დასაქმების შესახებ (კანონი №1084–Iს, 2001). კანონში სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება მრავალასპექტიანად არის წარმოდგენილი, განსაზღვრულია დასაქმების სახელმწიფო სამსახურის (შეიქმნა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის გაუქმების შემდეგ) საქმიანობის პრინციპები, სავალდებულო ხდება უმუშევრობის შემწეობის მიმღებთა ელექტრონული ბაზის წარმოება. (კანონი №1084–Iს, 2001).

ცვლილებების მორიგი ეტაპი 2004 წლიდან იწყება, აღნიშნულ წელს გაუქმდა 2002 წლის საქართველოს პრეზიდენტის №402 ბრძანებით შექმნილი დასაქმების სახელმწიფო სამსახური და მის ნაცვლად შეიქმნა სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო (კანონი №959, 2004). 2004-2005 წლებში განხორციელდა უმუშევართა მომზადება-გადამზადების პროგრამა. 2004-2005 წლები უფრო მეტად ინსტიტუციური ცვლილებების ეტაპია. 2003 წლიდან საერთაშორისო განვითარების სააგენტო (IDA), რომელიც მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი ინსტიტუტია და გასცემს გრძელვადიან, შეღავათიან სესხებს, დაადგინა, რომ სესხის მიღების წინაპირობა ქვეყანაში ბიზნესის დასაწყებად საჭირო დროისა და ხარჯების შემცირებაა (EBRD & The World Bank, 2006). გამომდინარე აქედან, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა და მათ შორის, დასაქმების პოლიტიკაც მომდევნო პერიოდში მთლიანად აეწყო ამ პირობების დაკმაყოფილებაზე. ქვეყანაში დაიწყო შრომის ბაზრის სრული ლიბერალიზაციის ეტაპი. 2006 წელს მიღებულ იქნა ახალი შრომის კოდექსი, პარალელურად გაუქმდა კანონი „დასაქმების შესახებ“, „კოლექტიური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ“, „კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების შესახებ“ (კანონი №3112, 2006).

2007 წლიდან დასაქმების პოლიტიკა მთლიანად არის ორიენტირებული მომსახურების სფეროს განვითარების გზით დასაქმების ზრდისკენ. ამ მიზნით ტურიზმის სფეროს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა, რათა ამ სფეროებში გაზრდილიყო დასაქმებულთა რაოდენობა. 2014 წელს ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის მეთოთხმეტე თავი ეძღვნება დასაქმების საკითხებს, განსაკუთრებით კი უსაფრთხო გარემოს სამუშაო ადგილებზე და დისკრიმინაციას. 2015-2018 წლის სტრატეგიაში სწორედაც რომ გათვალისწინებულია შრომის უსართხოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს სამუშაო ადგილზე ტრამვების შემცირებას, შრომის პირობების ხარისხის ამაღლებას, უბედური შემთხვევების რისკებს თავიდან აცილებას.

შრომის პირობების რეგულირების მიზნით 2018 წელს შემუშავებულ იქნა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ (კანონი 4283-IIს, 2018) საქართველოს კანონი, „რომელიც პირველ ეტაპზე მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებზე ინსპექტირების განხორციელების სავალდებულო მანდატს აწესებდა, ხოლო 2019 წლის ცვლილებების შედეგად, შრომის უსაფრთხოების კანონს ორგანული კანონის სტატუსი მიენიჭა, რომლის მიხედვითაც შრომის ინსპექციის მანდატი გაიზარდა, რაც ზედამხედველი უწყების მიერ დღე-ღამის ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე ინსპექტირების განხორციელების უფლებას გულისხმობს“ (ცარციძე, 2019).

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა შრომის კანონთა კოდექსში, იგი უფრო მეტად არის ორინტირებული დასაქმებულთა უფლებების დაცვაზე. დასაქმებულთა უფლებების დაცვის მხრივ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ზეგანაკვეთური შრომის აღრიცხვის მოწესრიგების საშუალებით. „დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის დოკუმენტი შეინახოს 1 წლის განმავლობაში“ (ბრძანება №01-15/ნ, 2021).

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად უმუშევრობის პრობლემის გადაჭრა და დასაქმების საკითხების მოგვარება პრიორიტეტულ მიმართულებად არის აღიარებული სახელმწიფო დონეზე რეალური, პრაქტიკული შედეგები ნაკლებად თვალსაჩინოა. გამომდინარე იქედან, რომ დასაქმების პოლიტიკის უმთავრესი მიზანი ეფექტიანი დასაქმების მიღწევაა (ტყემალაძე, 2021), ავტორის მიერ ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომელიც დასაქმების აღნიშნულ ფორმაზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირებას ახდენს და აფასებს ფაქტორთა გავლენებს. ფაქტორთა ეს ჯგუფი კომლექსურია, გამოკითხვის შედეგებით გამოიკვეთა რამდენიმე მათგანი, მათ შორის სამუშაო გამოცდილება, სოციალური გარანტიები. დავუშვით ჰიპოთეზა, რომ სტაჟის ზრდა იწვევს ადამიანისეული კაპიტალის დაგროვებას, რაც შესაბამისად უნდა აისახოს შემოსავლების ზრდაში და ეფექტიან დასაქმებაში. რესპოდენტებს დაესვათ შესაბამისი კითხვა და აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 40,6% ერთ წელზე ნაკლებია რაც მიმდინარე სამსახურში მუშაობს. დაახლოებით 1/5 ამბობს, რომ მათი სტაჟი 1-დან 3 წლამდე მერყეობს, ამდენივეს აქვს 10 წელზე მეტ ხნიანი გამოცდილება მიმდინარე პოზიციაზე მუშაობის. 11%-ს - 3-5 წლამდე, ხოლო 10%-ს 5-10 წლამდე სტაჟი აქვს. სამუშაო სტაჟისა და შემოსავლების სიდიდეს შორის კავშირის დასადგენად ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა:

ჰიპოთეზა H1: სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა განსაზღვრავს შემოსავლების სიდიდეს.

ცხრილი 1.1. სტაჟის ხანგრძლივობა მიმდინარე დამქირავებელთან

q5 სტაჟის ხანგრძლივობა მიმდინარე დამქირავებელთან

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	1 ერთ წლამდე	178	40.6	40.8	40.8
	1-3 წელი	84	19.2	19.3	60.1
	3-5 წელი	46	10.5	10.6	70.6
	5 წელზე მეტი	44	10.0	10.1	80.7
	10 წელზე მეტი	84	19.2	19.3	100.0
	Total	436	99.5	100.0	
Missing	99	2	0.5		
Total		438	100.0		

წყარო: ავტორის გაანგარიშებები

გამოკითხულ დასაქმებულთა საშუალო შემოსავლის ანალიზით ირკვევა, რომ 300 ლარამდე ხელფასი გამოკითხულთა 5% აქვს, 300-დან 500 ლარამდე - 18,3%, 500-1000 ლარის ფარგლებში - 44,3%, 1000-1500 ლარამდე - 16,9%, 1500-2000 ლარი - 5,9%, 2000-2500 ლარი - 4,%, 2500-3000 ლარი - 3,7%, 8000 ლარზე მეტი - 1,8%.

სქემა 1.1. ძირითად სამსახურში შემოსავლის საშუალო სიდიდე (q33)



წყარო: ავტორის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები

ჰიპოთეზის შემოწმების პროცესში გაკეთდა დასკვნა, რომ გამოკითხულთა 68 %-ზე მეტი ვერ იღებს საშუალო ხელფასის ოდენობის ხელფასს, რაც არაეფექტიანი დასაქმების არსებობაზე მიგვითითებს.

ცხრილი 1.2. სტაჟისა და შემოსავლის დამოკიდებულება

	სტაჟის ხანგრძლივობა x შემოსავალი				
შემოსავალ	ერთ წლამდე	1-3 წელი	3-5 წელი	5 წელზე მეტი	10 წელზე მეტი
300 ლარამდე	6	7			5
300-დან 500 ლარამდე	30	10	4	9	14
500-დან 1000 ლარამდე	45	48	52	36	40
1000-დან 1500 ლარამდე	12	17	26	23	19
1500-დან 2000 ლარამდე	2	7	9	9	10
2000-დან 2500 ლარამდე	2	5	9	5	5
2500-დან 3000 ლარამდე		7		9	7
8 3000 ლარზე მეტი	2			9	

პირსონის კორელაციის კოეფიციენტით შესაძლებელი გახდა დაგვედგინა, რამდენად განსაზღვრავს სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა შემოსავლების სიდიდეს. ცვლადებს შორის კავშირი არსებობს, თუმცა დამოკიდებულება ცვლადებს შორის სუსტია (Pearson's R=0.426).

ცხრილი 1.3. პირსონის კოეფიციენტი (სტაჟი-შემოსავლები)

მოდელი	Pearson's R	Sig. (2-tailed)
1	0.426	0.001

წყარო: ავტორის გაანგარიშებები

შედეგად, სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა ყოველთვის არ განსაზღვრავს შემოსავლებს. შესაბამისად, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა ჰიპოთეზა H1: სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა განსაზღვრავს შემოსავლების სიდიდეს ნაწილობრივ დადასტურდა. სტაჟის ზრდას კავშირი აქვს შემოსავლების ზრდასთან, მაგრამ პირველი ცვლადის ცვლილება ყოველთვის არ იწვევს მეორე ცვლადი ცვლილებას.

ღირსეული შრომის პირობების უზრუნველყოფა, მათ შორის ზეგანაკვეთურ შრომასთან დაკავშირებული საკითხები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, ადამიანის უფლებათა დამცველი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 27-ე მუხლით განსაზღვრულია ზეგანაკვეთური მუშაობის ხანგრძლივობა, მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი. ასევე, 2021 წლიდან სამუშაო საათების აღრიცხვის ვალდებულება დაეკისრა დამსაქმებელს (ბრძანება 01-15/ნ, 2021). გამომდინარე იქედან, რომ დასაქმების პოლიტიკა ორიენტირებულია ამ მიმართულებაზე, შევეცადეთ გაგვერკვია, რამდენად აისახა აღნიშნული პოლიტიკის შედეგები დასაქმებულთა შემოსავლებზე. შესაბამისად, ზეგანაკვეთური მუშაობის შემოსავლების ცვლილებაზე გავლენის დადგენის მიზნით ჩამოვაყალიბეთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H7: ზეგანაკვეთური მუშაობა ზრდის შემოსავლების სიდიდეს.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით ნათელი გახდა, რომ გავრცელებულია ზეგანაკვეთური მუშაობა. რესპოდენტებს დაესვათ კითხვა სამუშაო გრაფიკის შესახებ, პასუხების შესაძლო ვარიანტების ამორჩევის შედეგად დასკვნები ასეთია: რესპოდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (44,3%) მუშაობს კვირაში 40 საათს, აქედან ნორმირებული სამუშაო კვირით სარგებლობს დასაქმებულთა 11%. შემდეგ ადგილზეა ცვლაში მუშაობა (13,7%), გრაფიკის გარეშე მომუშავეები (19,2%), კვირაში 5 დღე, 40 საათზე მეტი დროით (ზეგანაკვეთური, 9,1%), კვირაში 6 დღე 36-48 საათი (9,1%), არასრული სამუშაო დროით (4,1%) მომუშავეები. გამოდის, რომ 44,3%

მუშაობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაო დროის ფარგლებში, ხოლო ზეგანაკვეთური მუშაობას ეწევა გამოკითხულთა 18,2%. გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე გაჩნდა კითხვა, ზეგანაკვეთური მუშაობა განაპირობებს თუ არა დასაქმებულის შემოსავლების ზრდას.

ცხრილი 1.4. ზეგანაკვეთური მუშაობისა და შემოსავლების დონის დამოკიდებულება

	40 საათიანი სამუ-შაო კვირა	40 საათიანი სამუშაო კვირა ნორმირებული სამუშაო დღით	ვმუშაობ ცვლაში	მე ვარეგულირებ სამუშაოზე მისვლისა და წამოსვლის დროს	ვმუშაობ ყოველდღიურად	ვმუშაობ კვირაში 5 დღე, 40 საათზე მეტს, ზეგანაკვე-თური სამუშაო	ვმუშაობ კვირაში 6 დღე 36-დან 48 საათამ-დე	ვმუშაობ არასრულ სამუშაო განაკვეთზე
300 ლარამდე		8.3%	13.3%	7.1%	14.3%		4.8%	
300-დან 500 ლარამდე	20.5%		26.7%	3.6%	21.4%	15.0%	19.0%	66.7%
500-დან 1000 ლარამდე	45.2%	54.2%	40.0%	35.7%	35.7%	55.0%	57.1%	11.1%
1000-დან 1500 ლარამდე	16.4%	12.5%	13.3%	28.6%	14.3%	15.0%	14.3%	22.2%
1500-დან 2000 ლარამდე	5.5%	8.3%	3.3%	14.3%		5.0%	4.8%	
2000-დან 2500 ლარამდე	6.8%	8.3%		3.6%	7.1%			
2500-დან 3000 ლარამდე	4.1%	4.2%		3.6%	7.1%	10.0%		
8 3000 ლარზე მეტი	1.4%	4.2%	3.3%	3.6%				

წყარო: ავტორის გამოკითხვის შედეგები

ჯგუფთაშორისი ანალიზით გაირკვა, რომ სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, დასაქმებულთა უმრავლესობის შემოსავალი 500-დან 1000 ლარამდე მერყეობს. არასრულ განაკვეთზე მომუშავეთა 67%-ის ხელფასი კი 300-დან 500 ლარამდეა.

ცხრილი 1.5. პირსონის კოეფიციენტი (ზეგანაკვეთურ მუშაობასა და შემოსავლებს შორის)

	Value	Approximate Significance
Pearson's R	0.348	0.001c

წყარო: ავტორის გაანგარიშებები

ჰიპოთეზა H7: ცვლადებს შორის არსებობს კავშირი 0,001 დონეზე. დამოკიდებულებები კი შედარებით სუსტია. ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ზრდა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში იწვევს შემოსავლების სიდიდის ზრდას. შრომის ანაზღაურების დონე უცვლელი

რჩება სამუშაო საათების ზრდის მიუხედავად და თითქმის იგივეა, რაც ნორმირებული გრაფიკით მომუშავეთა ანაზღაურება.

დასკვნები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გამოწვევად რჩება არაფორმალური დასაქმების ზრდადი მასშტაბები. არაფორმალურობისგან გამოწვეული "ღირსეული შრომის" პირობების არასათანადო უზრუნველყოფა, დაბალი შემოსავლები, პრეკარიატის (precariat) მაღალი ხარისხი. საქმე გვაქვს არაეფექტიან დასაქმებასთან. დასაქმების სტრუქტურაში ჯერ კიდევ მაღალია დაბალმწარმოებლურ დარგებში დასაქმებულთა წილი. არ მიმდინარეობს აღნიშნული დარგების რაციონალიზაცია, არ ხორციელდება მათი მწარმოებლურობის ზრდისკენ მიმართული ღონისძიებები. იშვიათია ინოვაციური პროექტები. დასაქმების საკითხის მოგვარებას ხელს უშლის ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დაბალი ტემპი, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის მწარმოებლური დარგების განვითარების შეფერხების შედეგია.

ინფორმაციულ, რეკრეაციულ და მომსახურების მოდელზე გადასვლის მცდელობის პარალელურად, დასაქმების და ეკონომიკის სტრუქტურული შეუსაბამობისგან გამოწვეული მიზეზებით, მოკლევადიან პერიოდში მიღებულმა ეფექტებმა დროში არასტაბილურობა აჩვენა. პანდემიური კრიზისის დაწყებამ ლაკმუსის როლი შეასრულა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ქვეყნის ეკონომიკაში რეალური სექტორის ზრდის აუცილებლობას.

პარალელურად, ეკონომიკის გაციფრულების და ინოვაციურობის შედეგად იხსნება პრინციპულად ახალი შესაძლებლობები, წარმოიქნება საქმიანობის ახალი სახეები, ვითარდება დასაქმების სექტორი და მიმდინარეობს დასაქმების ფორმების ტრანსფორმაცია. ამ კონტექსტში არსებობს სამეცნიერო და გამოყენებითი ინტერესი დასაქმების შეცვლილ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან ადაპტაციის ხარისხის ამაღლებაში. როგორც ვხედავთ, 2018 წლიდან ქვეყნის შრომის ბაზრის პოლიტიკის ღონისძიებები სრულად არის ორიენტირებული ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნაზე, რეალურად ხელშესახები შედეგები ამ ეტაპზე არ იკვეთება. თუმცა, სამუშაო ძალის მაჩვენებლებში აშკარად გაუმჯობესებული მდგომარეობაა.

ლიტერატურა

1. კაკულია, ნ. (2019). „საქართველოს ინსტიტუციური გარემოს შეფასება WGI ინდიკატორების მიხევით და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე". ჟურნალი „ეკონომისტი", #2. გვ. 77-79
2. კაკულია, ნ., ჩიქობავა მ. (2017). „ეკონომიკური კრიზისის თეორიების შედარებითი ანალიზი", აკადემიკოს ა. გუნიას დაბადებიდან 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორიოს სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული, გვ.177-187
3. ლობჟანიძე, მ. (2022). „COVID-19 პანდემიის გავლენა სასწავლო მიგრაციაზე და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები"., ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში"
4. პაპავა, ვ. (2020). "კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი", რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", ტომი XII, N2, გვ. 13-17
5. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა - „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა", 2020
6. ტუხაშვილი, მ. (2021). „ჰერეთის მოსახლეობა: დინამიკა და ეთნოსტრუქტურა", ჟ. მიგრაცია, #10
7. ტყემალაძე ი. (2021). „დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში საქართველოში", ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი, #12, გვ. 155-161., https://www.eugb.ge/index.php
8. ცარციძე, მ. (2019). „ეფექტიანი დასაქმება - ადამიანის კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოში", ჟურნალი „ეკონომისტი", #2, გვ. 82-97
9. Chassamboullia, A., Fontaineb, I., Gomesc, P. (2020). „How important are worker gross flows between public and private sector?" p. 1-10

10. European Commission. “Eurostat regional yearbook”. Luxembourg: Publications Office of the European Union (2021): 66-81.
11. European Council. “European Neighbourhood Policy Annual report – Georgia”. (2011):8-15.

Irma Tkemaladze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Macroeconomic Aspects of Labor Market Regulation

SUMMARY

In conclusion, it can be said that the growing scale of informal employment remains a problem. Inadequate provision of “decent work” conditions caused by informality, low incomes, and a high degree of precariat. We are dealing with inefficient employment. In the structure of employment, the share of those employed in low-production industries is still high. There is no rationalization of these industries, and measures aimed at increasing their productivity are not being implemented. Innovation projects are rare. The solution to the problem of employment is hampered by the low rate of creation of new jobs, which, in turn, is a consequence of the lag in the development of the manufacturing sectors of the economy.

At the same time, as a result of digitalization and innovativeness of the economy, fundamentally new opportunities are opening up, new types of activities are being created, the employment sector is developing and forms of employment are being transformed. In this regard, there is scientific and applied interest in increasing the degree of adaptation to the changed socio-economic conditions of employment. As we can see, since 2018, the country's policy measures in the labor market have been fully focused on creating the necessary conditions for ensuring effective employment; at this stage, there are no really tangible results. However, there is a clear improvement in labor force indicators.

Key Words: Labor market regulation, State employment policy, Transformation of employment forms, Macroecomic policy.

გიორგი ღაღანიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბადრი რამიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესების გზები საქართველოს სამთავრობო სექტორში

გადაწყვეტილების მიღება ადამიანის არსებობის უმნიშვნელოვანესი მოცემულობაა. ის ფაქტობრივად არჩევანია რამდენიმე ალტერნატივას შორის, რის მეშვეობითაც კაცობრიობა ცდილობს უკეთესი გახადოს საკუთარი არსებობა. ყოველდღიურად ჩვენ ათასობით გადაწყვეტილების მიღება გვიწევს, ზოგიერთი შეფასებით კი, ეს რაოდენობა 35000 აღწევს. (Ireton 2020) ცხადია ამ შემთხვევაში პირად ცხოვრებაში გაკეთებული არჩევანიც იგულისხმება, თუმცა მიმდინარე სტატიის შინაარსიდან გამომდინარე, ყურადღება სამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული მოხელეების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზეა გამახვილებული, საიდანაც განსაკუთრებული ადგილი სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს ეთმობა. სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა, სტრატეგიული მენეჯმენტის სულისკვეთებას ეყრდნობა და ამ უკანასკნელის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ თავდაპირველად მმართველობის ეს სისტემა კომერციული სექტორისთვის დამუშავდა, თუმცა გარემოში მიმდინარე სწრაფმა და ხშირ შემთხვევაში ქაოტურად მიმდინარე ცვლილებებმა მისი გამოყენება აქტუალური არამომგებიან სფეროშიც გახადა. სამთავრობო მმართველობაში სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული ბაზა სწორედ ჩვენს ეპოქაში მუშავდება და მიუხედავად არსებული პრობლემებისა, ამ მიდგომას მნიშვნელოვანი პერსპექტივები აქვს.

საკვანძო სიტყვები: *სტრატეგგიული გადაწყვეტილება, სამთავრობო სექტორი, სახელმწიფო მრჩეველი.*

ნებისმიერი სამუშაო გადაწყვეტილების მიღებასთანაა დაკავშირებული და ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს კომერციულ სტრუქტურებშია დასაქმებული ადამიანი თუ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში. მაგრამ, თუ როგორი ინტენსივობით და რა მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს იღებს ის, ეს პირდაპირაა დამოკიდებული იმ საფეხურზე, რასაც ის იკავებს იერარქიულ კიბეზე. ამ მხრივ შეიძლება ვიმსჯელოთ ოთხ ძირითად პოზიციაზე: უმაღლესი მმართველობა, საშუალო რგოლის მმართველობა, დაბალი რანგის მმართველობა და აღმასრულებელი პერსონალი. ჩვენ საგანგებოდ ჩავრთეთ ეს უკანასკნელი დონე გადაწყვეტილების მიმღებთა კატეგორიაში და ამის მიზეზია ის ცვლილებები, რაც ცივილიზებულ საზოგადოებებში ზოგადად და კონკრეტულად მენეჯმენტში მიმდინარეობს უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ამ მხრივ გამოსაყოფია რამდენიმე ტენდენცია, კერძოდ: სულ უფრო იზრდება საშუალო სტატისტიკური დასაქმებულის განათლების, პროფესიონალიზმის, კვალიფიკაციის დონე, განვითარებული სამყაროს მოქალაქე ეკონომიკურად სულ უფრო უზრუნველყოფილი ხდება და ბოლოს განუხრელად მიმდინარეობს საზოგადოებების ჰუმანიზაციის პროცესი, რაც დასაქმებულის სამართლებრივი დაცულობის გაუმჯობესებაში ვლინდება.

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ნებისმიერი შრომა ამა თუ იმ ტიპის გადაწყვეტილების მიღებასთანაა დაკავშირებული, თუმცა ტრადიციულად ეს უფრო ასოცირდებოდა მმართველ რგოლებთან, მაგრამ ბოლო ხანს დაბალი რანგის აღმასრულებელი პერსონალიც ხშირად გვევლინება გადაწყვეტილების მიმღებთა შორის. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ქვედა დონის შემსრულებელი აღიქმებოდა, როგორც მენეჯერის მიერ სრულად მანიპულირებადი პერსონა, რომელიც თაფლაკვერისა და სახრის გამოყენებით, ანუ დირექტიული მეთოდებითა და ჯილდოს მეშვეობით იმართებოდა, რაც გამორიცხავდა ამ უკანასკნელის მხრიდან ნებისმიერი ინიციატივის გამოხატვის შესაძლებლობას. მენეჯმენტში სულ უფრო ძლიერდება ტენდენცია, როდესაც არამმართველობით პერსონალზე ხდება სულ უფრო მეტი უფლებამოსილებების დელეგირება, როგორც ჰორიზონტალური ასევე ვერტიკალური ჭრი-

ლით, რაც თავისთავში გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას როგორც უშუალოდ სამუშაო ადგილზე, ასევე სხვადასხვა ზეფუნქციურ ჯგუფებში მონაწილეობის მეშვეობით. ყოველივე ამის მიზეზი კი, როგორც აღვნიშნეთ, დასაქმებულთა კვალიფიკაციის, განათლების, პროფესიონალიზმის, ეკონომიკური უზრუნველყოფის, სოციალური და საკანონმდებლო დაცულობის სულ უფრო მზარდი დონეა, რაც ცივილიზებულ სამყაროში აღინიშნება უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. ყოველივე ეს კი, დიდ გავლენას ახდენს მმართველობითი საქმიანობის უმთავრეს ელემენტზე - გადაწყვეტილების მიღებაზე.

როგორც კომერციულ სტრუქტურებში, ასევე სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციებში გამოიყოფა გადაწყვეტილების სამი ტიპი, ესენია სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული გადაწყვეტილებები. ამ კლასიფიკაციას კი, საფუძვლად უდევს გადაწყვეტილების მიღების ერთგვარი იერარქიზაცია. მაგალითად, ოპერატიული გადაწყვეტილებები ყოველდღიური გადაწყვეტილებებია, რის მეშვეობითაც სტრატეგიული გეგმების ხორცშესხმა ხდება. მისი მეშვეობით ხდება შესაძლებელი ორგანიზაციის მიერ შედეგების მიღწევა. ოპერატიული გადაწყვეტილება განსაზღვრავს როგორ და როდის უნდა შესრულდეს მოცემული სამუშაო (Bautista 2021). მათ იღებენ დაბალი რანგის სახელმწიფო მმართველები და ასრულებენ კონკრეტული მოხელეები. ტაქტიკური გადაწყვეტილებები მიმართულია გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვის საშუალოვადიან გეგმებად გარდაქმნისკენ. სახელმწიფო ორგანიზაციებში ტაქტიკური გადაწყვეტილებების დროის ჰორიზონტი, კანონით რეგულირდება და როგორც წესი, ერთ წელს შეადგენს. ასეთი ტიპის გადაწყვეტილებების მიღებაში შესაძლოა ჩართულნი იყვნენ როგორც პოლიტიკოსები, ასევე მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები.

ტაქტიკური და განსაკუთრებით კი, ოპერატიული გადაწყვეტილების მიღება ინდივიდუალური ხასიათისაა და კონკრეტული მოხელის პროფესიონალიზმზე და პიროვნულ თვისებებზეა უმთავრესად დამოკიდებული. რაც შეეხება სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, ამ შემთვევაში ვითარება განსხვავებულია. თანამედროვე მენეჯმენტში დაგროვილი მეცნიერული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება სტრუქტურიზებული პროცესის შედეგად უნდა ხდებოდეს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ ეს იყოს ჯგუფური პროცესი და ჯგუფები დაკომპლექტებული უნდა იყოს ზეფუნქციურობისა და პლურალიზმის ხელის შეწყობის პრინციპების გათვალისწინებით. მოკლედ რომ ითქვას, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ჯანსაღი პროცესი გაცილებით დიდ თეორიულ საფუძველს საჭიროებს და ქვემოთ სწორედ სახელმწიფო სტრუქტურებში ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღების შესახებ გვექნება მსჯელობა.

სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება სამთავრობო დონეზე პირველად დაინერგა სტრატეგიული დაგეგმვის მეშვეობით რასაც ამ დროისთვის კერძო სექტორში უკვე ჰქონდა განვითარების საკმაო ისტორია. ბევრმა ავტორმა შეუწყო ხელი ამ მეთოდის, როგორც მთავრობების მიერ გარე-გარემოს მზარდი არასტაბილურობისთვის გამკლავების საშუალების დამკვიდრებას (Streib 1992). გამოკვლევები, რაც აღნიშნულ პრობლემას მიეძღვნა ძრითადად XX საუკუნის 80-იანი წლებით თარიღდება, რაც ლოგიკურია, ვინაიდან სტრატეგიული დაგეგმვის თუ სტრატეგიული მენეჯმენტის, როგორც კორპორაციების მართვის სისტემის შესახებ პირველი შრომები ამავე საუკუნის 60-იან წლებს უკავშირდება. ანუ სტრატეგიულ დაგეგმვას დაახლოებით 20 წელი დასჭირდა მოგებაზე ორიენტირებული საწარმოებში დამკვიდრებისათვის, საკუთარი უნივერსალური ხასიათის წარმოჩენისა და არაკომერციულ ორგანიზაციებში გამოყენების გარშემო სამეცნიერო პოლემიკის დაწყებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება უშუალო კავშირშია სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესთან, რაც კომერციული ორგანიზაციებისთვის ზედმიწევნითაა შესწავლილი და ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ვერსიის თანახმად მოიცავს: ხედვის, მისიისა და მიზნების განსაზღვრას, შიდა გარემოს შეფასებას, გარე გარემოს შეფასებას, სტრატეგიული ალტერნატივების გენერირებასა და შერჩევას, სტრატეგიის დანერგვას, სტრატეგიის განხორციელებას, სტრატეგიიის მონიტორინგსა და კორექტირებას.

ჩვენი აზრით, ამგვარი სქემა მისაღებია სახელმწიფო ორგანიზაციებისთვისაც, ოღონდ ცვლილებები უნდა შევიდეს აღნიშნულ ეტაპებთან დაკავშირებულ კონკრეტულ ქმედებებში. უპირველესად უნდა შევეხოთ ხედვის, მისიისა და მიზნების განსაზღვრას. იმ სახელმწიფო უწყებების საქმიანობა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან (სამინისტროები, კომიტეტები, სამსახურები და ა.შ.) მიიღონ და განახორციელონ სტრატეგიული გადაწყვეტილებები, მკაცრად რეგულირდება კანონმდებლობით და შესაბამისად დადგენილია მათი საქმიანობის სფეროც. ამიტომ, მისიისა და ხედვის განსაზღვრის მხრივ სახელმწიფო უწყებებს არ რჩებათ ფართე არეალი. რაც შეეხება მიზნის დადგენას, უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ სახელმწიფო ორგანიზაციები არ არიან მოგებაზე ორიენტირებული უწყებები, სამაგიეროდ მათ უნდა შექმნან სამომხმარებლო ფასეულობა და მათი შექმნილი პროდუქტი (მომსახურება), რაც შეიძლება მასობრივი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

სტრატეგიული გადაწყვეტილებები უმაღლეს, დონისად ითვლება. მისი მეშვეობით ორგანიზაცია წყვეტს თუ რისი მიღწევა სურს გრძლევადიან პერიოდში. რაც შეეხება სტრატეგიული გადაწყვეტილებების დროის ჰორიზონტს, ის სახელმწიფო და კომერციულ ორგანიზაციებს შორის განსხვავებულია. თუ კომერციული ორგანიზაციის სტრატეგიული გადაწყვეტილების რეალიზების ვადა დროთა განმავლობაში სულ უფრო მცირდება და სადღეისოდ უმთავრესად 1-5 წლიან პერიოდში მერყეობს, სახელმწიფო სტრუქტურებისთვის ის მეტი სტაბილურობით გამოირჩევა და საშუალოდ შედარებით ხანგრძლივი შეიძლება იყოს. როგორც წესი, მთავრობების სტრატეგიული გადაწყვეტილებები პირდაპირ კავშირშია პარლამენტის და ზოგჯერ პრეზიდენტის საარჩევნო ციკლებთან, რაც დაახლოებით 4-6 წელია. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ მისაღები სტრატეგიების ხამგრძლივობა სცდება საარჩევნო ციკლის დროის ჰორიზონტს. თუ ხელისუფლების რომელ შტოს ექნება სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში უპირატესობა, ეს დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობაზე, რის მიხედვითაც განისაზღვრება, თუ ხელისუფლების რომელი შტო ახდენს მეტ გავლენას მთავრობის ჩამოყალიბებაზე, ეს უკანასკნელი კი, სტრატეგიული გადაწყვეტილებების ძირითადი მიმღები და აღმასრულებელია სახელმწიფოში.

სტრატეგიულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორც წესი, ჩართულნი არიან უმაღლესი ძალაუფლებით აღჭურვილი პოლიტიკოსები. სხვათაშორის, თუ როგორ მოიპოვებენ ეს უკანასკნელნი ხელისუფლებას, განსაზღვრავს ესა თუ ის ქვეყანა დემოკრატიულია თუ არა. შესაბამისად, დემოკრატიულ ქვეყნებში საარჩევნო ციკლის ხანგრძლივობა პირდაპირ ახდენს გავლენას სტრატეგიული გადაწყვეტილების დროის ჰორიზონტზე, ხოლო ავტოკრატიულებში ამას სუბიექტური ფაქტორი განსაზღვრავს. გარდა პოლიტიკოსებისა, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები. პოლიტიკოსების მონაწილეობაზე სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში დიდ გავლენას ახდენს თუ რამდენად ეფექტიანადაა ორგანიზებული ამა თუ იმ ქვეყანაში პარტიული მუშაობა. სწორედ პარტიაა ის რგოლი, სადაც ხდება სტრატეგიული ხედვების ჩამოყალიბება, რომელთა დიდი ნაწილი ედება საფუძვლად მთავრობის მიერ მიღებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს.

სტრატეგიული გადაწყვეტილების ძირითადი დანიშნულებაა ის, რომ მისი მეშვეობით ორგანიზაცია უნდა ადაპტირდეს გარე-გარემოში მიმდინარე ცვლილებებთან. ცხადია ეს ეხება სამთავრობო დაწესებულებებსაც. ძირითადი რგოლი მთავრობაში, სადაც მიიღება სტრატეგიული გადაწყვეტილებები, არის სამინისტრო. ამ უწყების სტრუქტურა მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული სტრატეგიულ პროცესთან, რაც ერთი მხრივ გულისხმობს მოქნილობას, ხოლო მეორე მხრივ კი, მემკვიდრეობითობას. ასეთ ვითარებაში ეფექტიანობის უზრუნველყოფა კი, საკმაო ძალისხმევას მოითხოვს. სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ეფექტიანობა დამოკიდებულია მთავრობის იმ მოქმედებების შეთანხმებულობაზე, რაც

მიმართულია გარე-გარემოს მუდმივ მონიტორინგსა და იქ მიმდინარე ცვლილებებზე რეაგირებაზე, აგრეთვე გარე-გარემოდან ინფორმაციის მოპოვებასა და გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ფაქტობრივი მონაცემების შეგროვებაზე. ამ მიზნების მიღწევისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მთავრობის წევრების მაღალხარისხოვან კონსულტირებას (OECD 2011). სწორედ საკონსულტაციო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები არიან სახელმწიფო ორგანიზაციებში სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ძირითადი მონაწილეები. სამწუხაროდ საქართველოს სამთავრობო უწყებებში ასეთი მიდგომა არ არის წახალისებული. პირიქით, სამინისტროების ბიუროკრატიული სტრუქტურა მინისტრის მოადგილეებზეა აგებული, რაც წარსულის გადმონაშთად მიგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში იმ რაოდენობთ რასაც ამას საქართველოში აქვს ადგილი. ქვემოთ ცხრილის სახით მოცემულია საქართველოს სამინისტროების მიხედვით მინისტრის მოადგილეების რაოდენობა.

სამინისტროს დასახელება	მინისტრის მოადგილეებიის რაოდენობა
საქართველს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	7
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	5
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	5
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	5
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	5
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	5
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	4
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	4
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	3
საქართველოს ოკუპირეული ტერიტორიებიდან დევნილთა, შროომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3

მინისტრის მოადგილეები ისევე როგორც მინისტრები პოლიტიკური თანამდებობია, რაც ზრდის სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესის კორელაციას საარჩევნო განრიგთან, ეს კი, ხშირად, მთელი რიგი ფაქტორების გამო შეიძლება მეტად კონტრპროდუქტიული აღმოჩნდეს. ამიტომ, მრჩევლის სტრუქტურული პოზიციის გაძლიერებით, სამინისტროში გაჩნდება პროფესიონალი კადრები, რომლებიც მიუხედავად პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებისა ორიენტირებულნი იქნებიან ქვეყნის განვითარების გრძელვადიან ინტერესებზე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებში მიღებული პრაქტიკაა (ამგვარი მიდგომა აღნიშნება ამ ორგანიზაციის წევრების 84%-ში) სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისთვის მინისტრების მრჩევლების დანიშვნა, რის მეშვეობითაც ხდება მთავრობის მოქნილობისა და ოპერატიულობის ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი განმარტება თუ რას წარმოადგენს მინისტრის მრჩევლის თანამდებობა ამ ქვეყნებში არ არსე-

ბობს, მიღებულია აღნიშნული თანამდებობის პროცესში ჩართულობის ზოგადი დიაპაზონისა და მასზე დაკისრებული ფუნქციების აღწერა. როგორც წესი, მინისტრის მრჩეველი ინიშნება მთავრობის ხელმძღვანელის ან მინისტრის მიერ და დაკავშირებულია ამ უკანასკნელის მანდატთან (OECD 2011). ზოგადად მინისტრის მრჩევლების ყველაზე გავრცელებული ფუნქციებია რეფორმებისა და პოლიტიკის შემუშავების მხრივ რეკომენდაციების მომზადება და დაინტერესებულ მხარეებთან (პოლიტიკურ პარტიებთან, პარლამენტთამ. ლობისტურ ჯგუფებთან და ა.შ.) კოორდინაცია, აგრეთვე მმართველი პარტიისა თუ კოალიციისთვის რჩევების მიცემა.

ზემოაღნიშნულისა და სხვა ღონისძიებების ძირითადი მიზანი უნდა იყოს, ის, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების დროს შემცირდეს სუბიექტური ფაქტორის როლი და გაიზარდოს ამ პროცესის რაციონალურობა. კომერციულ სექტორში საკმაოდ მოიპოვება ერთპიროვნული სტრატეგიების წარმატებული მაგალითები. ეს დიდ წილად დამოკიდებულია სტრატეგის უნიკალურ პიროვნულ თვისებებზე, რაც საკმაოდ დეფიციტური მოვლენაა. სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის მსგავსი მაგალითები გაცილებით მცირეა, მაგრამ მაინც არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მათ შორის ჩინეთია. ეს ავტორიტარული ქვეყანა უკვე თითქმის 40 წელია წარმატებით ახორციელებს ეკონომიკურ სტრატეგიას, რისი ავტორიც დენ სიაოპინი იყო.

არადემოკრატიული სახელმწიფოების უმრავლესობაში შეიძლება საერთოდ ვერ გამოიკვეთოს სისტემატიზებული სტრატეგიული პროცესი, თუმცა გამონაკლისებიც არსებობს, რისი საინტერესო მაგალითიც როგორც აღვნიშნეთ ჩინეთია. ეს ქვეყანა რამდენიმე ათწლეულია გამოირჩევა სტრატეგიული მმართველობის კარგად მოქმედი მექანიზმით. აქ სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღება ქვეყნის თავმჯდომარის (პრეზიდენტი), სახელმწიფო საბჭოსა (ჩინეთის მთავრობა) და კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს მიერ, რომელშიც 19-25 წევრამდეა. ამ უკანასკნელის ძალაუფლებას ზრდის ის ფაქტი, რომ მისი წევრები, როგორც წესი, უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებსაც ითავსებენ. ფორმლურად სტრატეგიული გადაწყვეტილებები მტკიცდება ჩინეთის ეროვნული კონგრესის მიერ (ჩინეთის პარლამენტი) რომლის 3000 წევრს, ისევე როგორც ჩინეთის თავმჯდომარეს (პრეზიდენტი) 5 წელიწადში ერთხელ, არაპირდაპირი არჩევნებით ირჩევენ (CIA 2023). ჩინეთის მმართველობის ეს სისტემა იმ წარმატებული პროექტის დანატოვარია, რაც დენ სიაოპინის სახელს უკავშირდება და რომელმაც ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ეკონომიკად აქცია. ჩვენი აზრით, აღნიშნული პროექტის წარმატების ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი იყო ერთპიროვნული მმართველობის შეზღუდვა, რის საფუძველიც იყო ის საკანონმდებლო ნორმატივი, რის მიხედვითაც ჩინეთის თავმჯდომარე არ შეიძლება ორ ვადაზე მეტჯერ ყოფილიყო არჩეული. 2022 წელს ეს მოთხოვნა გაუქმდა და სი ძინპინი მესამე ვადით იქნა არჩეული. ეს ფაქტი დიდი ალბათობით დაასუსტებს ჩინეთის მმართველობის კოლეგიურ ორგანოებს, სახელმწიფო საბჭოსა და კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს, გაზრდის ერთპიროვნული მმართველობის რისკებს, რამაც შესაძლოა დამღუპველად იმოქმედოს ჩინეთის წარმატებულ ეკონომიკურ პროექტზე.

მიუხედავად სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების უდავო უპირტესობებისა, მაინც არსებობს ნაკლოვანებები და რისკები, რაც ამ პროცესთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის მიდგომები თავდაპირველად შემუშავდა კომერციული კომპანიებისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ ადაპტირდა არამომგებიან ორგანიზაციებზე. ამიტომ კითხვებს იწვევს შედეგზე ორიენტირებული კერძო სექტორის ინსტრუმენტების გამოყენების მიზანშეწონილობა, პროცეს-დომინირებულ სამთავრობო სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას (Streib 1992). გარდა აღნიშნულისა, მთავრობაში მუშაობის დროს სტრატეგიული გადაწყვეტილებები ხშირად დაჩქარებულად მიიღება მიუხედავად იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვან შედეგებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული შედეგები ვლინდება დიდი

დროს გასვლის შემდეგ, რაც ართულებს მათ განჭვრეტას და რაოდენობრივ შეფასებას (Ireton 2020).

მიუხედავად პრობლემებისა, რაც პროგრესს ნებისმიერ შემთხვევაში ახლავს, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების მიდგომის დანერგვა აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს სამთავრობო სექტორში. არსებული ტენდენციები გვაფიქრებინებს, რომ გარემოს განჭვრეტადობა და ცვლილებების მართვა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო რთული გახდება. გარდა ამისა, სამთავრობო და კერძო სექტორის ურთიერთქმედების სივრცე სულ უფრო გაიზრდება. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პირობებში ჩვენს სახელმწიფო სტრუქტურებს მოუწევთ ითანამშრომლონ იმ ორგანიზაციებთან სადაც სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპები გადაწყვეტილების მიღების დროს ფართოდ იქნება გამოყენებული.

ლიტერატურა

1. Daisy Ireton (2020). 6 ways to make better strategic decisions https://apolitical.co/solution-articles/en/6-ways-to-make-better-strategic-decisions
2. Sandra Naranjo Bautista (2021) Three types of decision making in the public sector https://bettergovs.org/2021/10/three-types-of-decision-making-in-the-public-sector/
3. Gregory Streib (1992) Applying Strategic Decision Making in Local Government
4. OECD (2011) Government at a Glance 2011; Strategic Decision Making, Ministerial advisors
5. CIA (2023) https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/china/

Giorgi Gaganidze
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Badri Ramishvili
Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ways to Improve Strategic Decision Making in the Georgian Government Sector

SUMMARY

Decision-making is an integral part of human life. The article focuses on the process of strategic decisions making in the government sector of Georgia. In public administration, the theoretical basis for making strategic decisions is being developed in our era, and although there are many problems along the way, this approach has great prospects.

Keywords: Strategic Decision, State Councilor, Government Sector

მედეა შაფათავა
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეტროეკონომიკისა და კომბინირებული სისტემურობის მიდგომის შესახებ

ხეტროეკონომიკის თეორიის, მისი წარმოქმნის მექანიზმების და არსებობის მიზეზების შესწავლა გვაწვდის ინფორმაცის იმის თაობაზე, თუ რა აფეხებს ეკონომიკური განვითარების პროცესებს ამა თუ იმ ქვეყანაში. ფაქტია, რომ ხეტროეკონომიკა არსებობს როგორც განვითარებად, ასევე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში და მას ახასიათებს მყარად არსებობა დროის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში. ეკონომიკური პროცესების ოპტიმიზაციისათვის აუცილებელია ხეტროეკონომიკის ყველა ფაქტორის და მიზეზის დეტალური კვლევა, გამოცდილების გაანალიზება, რათა თავიდან იქნას აცილებული წარსულში დაშვებული შეცდომების გამეორება. მოცემულ თემაში მოკლედ განიხილება სწორედ ეს საკითხები და აზრი, რომ სამომავლოდ შესაძლებელი იქნება გარკვეული კომბინირებული სისტემური მიდგომების დაშვება პროცესების უკეთ წარმართვისათვის.

საკვანძო სიტყვები: *ხეტროეკონომიკა, ზომბი-ეკონომიკა, კონკურენცია, კომბინატორული წანამატი, კომბინირებული სისტემურობა*

მსოფლიო ეკონომიკური განვითარების მოდელების ძიებაშია - საერთაშორისო ეკონომიკურ აზრთა გაზიარება ემსახურება სხვადასხვა ქვეყნის განვითარების მდგრადი შედეგის მიღწევის გაანალიზებას განსხვავებული და უნიკალური, გარკვეულ ქვეყანაზე მორგებული ეკონომიკური მოდელის შესაქმნელად.

ქვეყნების შედარებისას მათი მზაობა ტრანსფორმაციისათვის განსხვავდება (Schwab & Zahidi, 2020). არ არსებობს განვითარების ერთიანი გეგმა. ყოველმა ქვეყანამ უნდა შეძლოს, მოახდინოს მის უნიკალურ რესურსებზე მორგებული ყველაზე შესაფერისი მოდელის ადაპტაცია, გაიაროს „ცდისა და შეცდომის“ გზა და „კეთებით სწავლება“ (Stiglitz & Atkinson, 1969). ამავდროულად, მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა მუდმივი და გლობალური ხასიათის პრობლემაა.

ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დახასიათებისას გამოიყენება ტერმინი „რეტროეკონომიკა“, რომელიც ნიშნავს „იმ ტიპის ეკონომიკას, სადაც ფუნქციონირებენ მსოფლიო თანამედროვე მიღწევებთან შედარებით ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ფირმები (ანუ რეტროფირმები), მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა მაინც არსებობს“ (პაპავა, 2016). რეტროეკონომიკის თეორიის შემქმნელის, ვლადიმერ პაპავას მიერ ამ ტიპის ეკონომიკის წარმოქმნის 5 ფაქტორი სახელდება (Papava, 2017; Папава, 2017):

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ახალი ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელების შეზღუდვა ხელს უწყობს მისი არასანქციონირებული გამოყენების ზრდას. შესაბამისად, სანქციონირებულის გამოყენება ძვირია, განსაკუთრებით ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. ამიტომ კომპანიები იძულებულები არიან, მოძველებული ტექნოლოგიები გამოიყენონ;

ეკონომიკის მონოპოლიზაცია, რაც გულისხმობს მონოპოლიების მიერ ახალი ტექნოლოგიების შესყიდვას არა გამოყენებისათვის, არამედ იმ მიზნით, რომ სხვამ არ გამოიყენოს. მოგვიანებით შესაძლოა ეს ტექნოლოგიები გამოყენებულ იქნას, მაგრამ ისინი ხშირად მოძველებულია;

საერთაშორისო კონკურენციის ლიდერების ქცევა - ყიდიან არა უახლესს კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით, არამედ მეორად, გამოყენებულ ტექნოლოგიებს. ამის გამო განვითარებად ქვეყნებში გროვდება არა ინოვაციური, არამედ განვითარებული ქვეყნებისათვის მოძველებული ტექნოლოგიები;

განათლების დაბალი დონე - როდესაც გარკვეული ტექნოლოგიების გამოყენებისათვის ქვეყანაში არაა შესაბამისი კადრები პროფესიულ დონეზე და შეუძლებელია მიღებული ცოდნის გამოყენება. საუბარია არა მხოლოდ უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების კადრებზე, არამედ საშუალო განათლების არადამაკმაყოფილებელ დონეზე;

ზომბიეკონომიკა. როდესაც ფინანსური კრიზისის შედეგად დაზარალებული ფირმები და მათთან დაკავშირებული ბანკები ფუნქციონირებას აგრძელებენ სახელმწიფოს მიერ გაცემული სამთავრობო გარანტიის საფუძველზე აღებული საბანკო კრედიტებით.

ამათგან, თუ პირველი 4 ფაქტორი რეტროეკონომიკის წარმოქმნას ხელს უწყობს შედარებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებში, მეხუთე ფაქტორი არსებობს როგორც დაბალგანვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, ასევე მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც.

ჩემი აზრით, პუნქტი 1-ში ადგილი აქვს ინსტიტუციონალური ხაფანგების გავლენას, რომლებიც სხვა არაფერია, თუ შემაკავებელი ფაქტორი განვითარებისთვის, ეს საკითხი მყარად ერწყმის რეტროეკონომიკის წარმოქმნის მე-2 პუნქტს - მონოპოლიების ქცევას. ამ საკითხს დავაკავშირებდი ახალი ტექნოლოგიების არასანქცირებული გამოყენების პრობლემასთან, რომელიც სინამდვილეში, ჩემი აზრით, არა პრობლემა, არამედ კერძო კომპანიების მიერ ირიბი გამოსავალია მონოპოლიების ზეგავლენიგან. ლიტერატურაში ინოვაციის არასანქცირებული გამოყენება გვხვდება დასახელებით ტექნოლოგიური სფილოვერი (spill over, ანუ „გადაღვრა“). ამ მოვლენას ცალსახად ნეგატიურს ან პოზიტიურს ვერ ვუწოდებთ, ვინაიდან, ერთი მხრივ, ის ზრდის საკუთარი ინოვაციის შექმნის მოტივაციას და მეორე მხრივ კი - ხელს უწყობს ინოვაციის დიფუზიას (Голиченко, 2017). თუ „სფილოვერი“ ინდუსტრიაშია და ხელს უწყობს იმიტაციების წარმოქმნას, ის დადებით ეფექტს ატარებს ბაზარზე იმიტატორებისათვის, ხოლო ინოვაციის შემქმნელი კომპანიისათვის კი, რა თქმა უნდა, იგი ზრდის კონკურენციას ბაზარზე - და ამ სიტუაციაში იქმნება ინტერესთა კონფლიქტი (Cappelli et al, 2013).

ტრადიციული შეხედულებით, კონკურენცია ასტიმულირებს ინოვაციას, მაშინ, როდესაც მონოპოლიები მას აფერხებენ (Leibenstein, 1966). ჯოზეფ სტიგლიცის და ბრიუს გრინვალდის მიერ გაკეთებულ „აღწერილობითი ანალიზში“ (Stiglitz & Greenwald, 2014), ნაჩვენებია, რომ სავარაუდო ვითარებისას, სწავლების „სფილოვერების“ არსებობისას ფირმებს შორის მომხმარებლებისათვის შესაძლოა უფრო ხელსაყრელი იყოს მონოპოლიების არსებობა, ვიდრე დუოპოლიების. ბერტრანის კონკურენციის, ნეშ-კურნოს მოდელის, შუმპეტერიანული კონკურენციის მოდელის, სთაქელბერგის ეკვილიბრიუმის, ნალებუფისა და თავად სტიგლიცის ეკვილიბრიუმის მოდელების, დასგუფთასა და სტიგლიცის ზოგადი შედეგების ჩვენებით და დეტალური ანალიზის შედეგად ავტორები საინტერესო დასკვნებს გვთავაზობენ. კონკურენციის, ინოვაციებისა და პატენტებისათვის შეჯიბრში ყველაზე მეტად მოგებული რჩება ინოვაციის შემქმნელი პირი (განვაზოგადებ და დავამატებ - შემოქმედებითი გუნდი და კომპანია). სტიგლიცის ანალიზის მიხედვით, ბაზარზე კონკურენცია ახალისებს კვლევებს (სწავლებას) და „სჯის“ ჩამორჩენილებს. რასაკვირველია, ბაზრის სტრუქტურა განხილულ უნდა იქნას, როგორც ენდოგენური და დავუშვათ, რომ მასზე გავლენას უნდა ახდენდეს ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევები. და, თუ ეს ასეა, სწორი შეკითხვა იქნებოდა არა ბაზრის გავლენა ინოვაციაზე, არამედ როგორ ვითარებაში ახორციელებს ენდოგენურად განვითარებადი ბაზრის სტრუქტურა რესურსებისა და ინოვაციების ეფექტიან გადანაწილებას. სტიგლიც-გრინვალდის ზემოთხსენებული ანალიზის შედეგად მიღწეული ერთ-ერთი დასკვნით, არ არსებობს პრეზუმფცია, რომ შუმპეტერიანული კონკურენცია მიდის სოციალურად ინოვაციის ოპტიმალურ დონემდე. რა თქმა უნდა, ეს დასკვნები ავტორების მოცემულ ანალიზში მათემატიკური გათვლებით დასტურდება, სადაც ნაჩვენებია, თუ რატომ არსებობს გარკვეული პრეზუმფცია, რომ აღწერილ შემთხვევებში იქნება ძალიან მცირე ინოვაცია. კვლავაც, როდესაც ბაზარი ენდოგენურად აღწევს სტრუქტურას, სადაც დომინირებს ერთი ფირმა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, სადაც ინვოცაციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ბაზარზე რომ ყო-

ფილიყო ორი ფირმა. ასევე კეთილდღეობის დონეც შესაძლოა უფრო მაღალი იყოს მონოპოლიისას, ვიდრე კონკურენციის არსებობისას. ინოვაციების უფრო მაღალი დონის და კეთილდღეობის უფრო მაღალი შედეგის მიღება შესაძლებელი იქნებოდა მონოპოლიების შეკავებისას და სახელმწიფოს მხრიდან მოქმედებებით, რომლებიც წაახალისებდა ინოვაციებს.

ამ კვლევების მოკლე წარდგენით აუცილებლად ხაზს გავუსმევ, რომ ავტორები (Stiglitz & Greenwald, 2014) მსგავს ანალიზს ატარებენ იმ შემთხვევისათვის, როცა მონოპოლია ქმნის ინოვაციას და იყენებს მას ბაზარზე, ქმნის ტექნოლოგიურად ახალ პროდუქციას, არ ზღუდავს მის გამოყენებას. ხოლო რეტროეკონომიკის არსებობის პირობებში, მონოპოლისტები არაკეთილსინდისიერად შეისყიდიან ინოვაციებს, იმისათვის, რომ სხვა კომპანიებმა არ შეისყიდონ და არ გამოიყენონ ისინი.

საყურადღებოა საერთაშორისო კონკურენციის ლიდერების ქცევა, როცა ყიდიან არა უახლესს კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით, არამედ მეორად, გამოყენებულ ტექნოლოგიებს (Портер, 1993, с. 590). ამ გზით ისინი ხშირად იშორებენ მოძველებულ, მასალატევად, შრომატევად საწარმოებს და ადგილს სიახლეებს და ინოვაციებს უთმობენ. მნიშვნელოვანია ვახსენოთ ტექნოლოგიების ტრანსფერის პრობლემები ინვესტიციებთან და შედარებით დაბალგანვითარებული ქვეყნის არა-ადაპტირებულობასთან დაკავშირებით ახალი და მაღალი დონის ტექნოლოგიების მიმართ, რაც გარდაუვალად არის ბმაში ინვესტიციური ხარჯების ზრდასთან. ეს დაბრკოლება მნიშვნელოვანწილად აფერხებს ინოვაციების ტრანსფერის (გადატანის) პროცესს მაღალგანვითარებული ქვეყნიდან განვითარებადში (Findlay, 1978).

როგორ მიიღწევა განვითარება, თუ არა განათლების ხარისხის გაუმჯობესების გზით. ეს პრობლემა წმინდა ეკონომიკურ საკითხს არ წარმოადგენს. ის კომპლექსურია და, უდაოდ, დამოკიდებულია ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკაზე. ის, იმავდროულად, ეგზოგენურიცაა, ვინაიდან მარტო შიგა ფაქტორებით არაა განპირობებული. განვითარებადი ქვეყნებისათვის არსებული რეჟიმები ინტელექტუალური საკუთრების განვითარებისათვის თვისობრივად განსხვავდება განვითარებული ქვეყნების რეჟიმებისგან. ნებისმიერი პოლიტიკა და საზოგადოების ინსტიტუციები განხილულ უნდა იქნას სწავლული (უფრო ზუსტად, მოსწავლე, მუდმივად შემსწავლელი) საზოგადოების პრიზმაში, რადგანაც ეს ეხება სწორედ იმ პოლიტიკას და ინსტიტუციებს, რომლებიც ვარაუდობენ, მიზნად ისახავენ ინოვაციასა და სწავლებას (Stiglitz & Greenwald, 2014).

რა ხდება რეტროეკონომიკის პირობებში? თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეტროეკონომიკის წარმოქმნის და მისი გრძელვადიანი მდგრადობის (ვინაიდან დროის პერიოდიც ძალიან მნიშვნელოვანია) მიზეზი სწორედ განათლების სისტემის პრობლემურ საკითხებშია. ზევით განვიხილეთ, თუ რა პრობლემები იქმნება ინოვაციის ქვეყნიდან ექსპორტირებისას, გადაცემისას, დიფუზიისას, იმიტაციისას და აღვნიშნავთ, რომ ინოვაციის მისაღებად და ასათვისებლად მოუმზადებელი კადრების პრობლემა ერთ-ერთი საკვანძოა (Stoevska, 2021).

ზომბიეკონომიკა წარმოადგენს მოვლენას, როდესაც არასიცოცხლისუნარიანი კომპანიები სრულად ან ნაწილობრივ არსებობენ საკრედიტო დაფინანსების ხარჯზე.

ზომბი-ეკონომიკის წარმოშობა უკავშირდება იაპონიაში კრიზისულ პერიოდში წარმოქმნილ ზომბი-ფირმებს, სადაც მთავრობის სურვილი იყო, შეენარჩუნებინა ეკონომიკის ფუნქციონირება და მან ეს ზომბი-ბანკების მხარდაჭერით გადასახადების გადამხდელთა თანხების ხარჯზე მოახდინა (Ahearne & Shinada, 2005; Hoshi, 2006). ზომბი-ეკონომიკა ავტომატურად ქმნის და ასაზრდოებს რეტროეკონომიკას, ვინაიდან სახელმწიფოს დახმარებაზე არსებული კომპანიები არ არიან დაინტერესებულები ტექნოლოგიების განახლებით და იმყოფებიან ზომბი („მოსიარულე მკვდრები“) მდგომარეობაში. შესაძლოა ამ სტრუქტურას ე.წ. სისტემა ან წრედი ვუწოდოთ, ვინაიდან ზომბი-ფირმებს აფინანსებენ ზომბი-ბანკები, მათ უკან დგას სახელმწიფო, რომელიც გასცემს გარანტიებს მსგავს სესხებზე (Quiggin, 2010). ამ „წრედის“ ნაკლოვანებაც და პოზიტიური მხარეც ერთნაირია: ხელოვნურად შექმნილი სიცოცხლიუნარია-

ნობა, რომელიც არ ქმნის სიახლეს და არ ვითარდება, მაგრამ იძლევა საშუალებას, ამ სისტემის გარკვეული ნაწილები არ გაკოტრდეს და არ დაშალოს წრე.

რეტროეკონომიკის ეკონომიკური მექანიზმების სისტემატიზაციის საფუძვლად დავასახელებდი წონასწორობის მოდელს, რომელიც არაა პარეტო-ოპტიმალური, თუმცა კი როგორც არაერთხელ ვახსენეთ, ინარჩუნებს მდგრადობას დროის ხანგრძლივ მონაკვეთებში. ეკვლიბრიუმისათვის აუცილებელია მყარი ეკონომიკური მექანიზმები. რამდენადაც პარეტო-ოპტიმალური მექანიზმი არის მდგრადი, თუმცა კი უდავოდ, ღია ეკონომიკის პირობებში შესაბამისად ღიაა კრიზისების მიმართ და მათი ზემოქმედებისგან მოწყვლადია, ამდენად რეტრო-მოდელიც ენდოგენური ფაქტორების დახმარებით მყარია და მისი გადაყვანა თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციების სრულ ათვისებამდე და კონკურენტუნარიანი ბაზრის მდგომარეობამდე ძალიან რთულია. რეტრო- და განვითარებულ ეკონომიკებს საერთო მახასიათებელი გააჩნიათ. ვვარაუდობ, რომ ეს საერთო გახლავთ მდგრადობა დროის გარკვეულ პერიოდში (სხვა თანაბარ პირობებში, აუცილებლად და ხშირად საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდშიც) და არაეკონომიკური ფაქტორებიდან - საზოგადოების ადაპტაციის უნარი შექმნილი გარემოებების მიმართ, ვინაიდან ვერანაირი სტრუქტურის ეკონომიკა ვერ იარსებებს საზოგადოების გარეშე. შესაბამისად, ვინაიდან ადაპტაცია გარკვეული დროის განმავლობაში ხდება, ჩნდება იმედი, რომ ეკონომიკის გარდაქმნის გრადუალისტური მიდგომისას და სისტემის ადაპტაციისას ბაზრის მოთხოვნების მიმართ, რეტროეკონომიკის აღმოფხვრა შესაძლებელი იქნებოდა. აუცილებელია განათლების და შემდგომი დასაქმების სისტემის და მათი მექანიზმების ადაპტაცია, რომლებიც კონკურენტუნარიანი ცოდნის შექმნას და ამ ცოდნის პროდუქტის გავრცელებას შეუწყობს ხელს.

რეტრო- და მოძველებული ყოველთვის არ ნიშნავს ცუდს; სასურველია, წინა პერიოდის გამოცდილება გამოვიყენოთ წინსვლისთვის, რათა უკვე დაშვებული შეცდომები თავიდან ავიცილოთ.

მიუხედავად საერთო მახასიათებლის (მდგრადობა), რეტროეკონომიკის არსებობა ქვეყნისთვის განვითარების რეგრესის ტოლფასია და მისი ეკონომიკური მექანიზმები საპირისპიროა იმ მექანიზმების, რომლებიც ეკონომიკურ ზრდას უწყობენ ხელს. თუმცა, შესაძლებელია, რომ ძველმა და ახალმა ტექნოლოგიებმა „თანაარსებობა“ შეძლონ ისეთ სისტემაში, სადაც კრეატიული ნგრევის შედეგად წარმოიქმნება ახალი კომბინაციები (Шумпетер, 1995) და უნდა ხდებოდეს მათი ჰარმონიული ბალანსი. ასეთ თანაარსებობას ეძახიან კომბინატორულ წანამატს (Сухарев, 2013), თუმცა ჩემი აზრით ჯობია კომბინირებული სისტემურობა დაერქვას, როცა- რეტრო-ნაწილის და ინოვაციების ერთ სისტემაშია მოქცეული. ვფიქრობ, ეს სისტემურობა სახელმწიფოს ზედამხედველობით და ნაწილობრივი ჩარევით უნდა ხდებოდეს.

ლიტერატურა

1. პაპავა ვ. (2016). ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა - გლობალური რეალობა და მსოფლიო ეკონომიკის მოსალოდნელი გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ექსპერტის აზრი, No. 70, 20 გვ. Retrieved from: https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/70-expert-opinion-geo.pdf.
2. Ahearne A. G., & Shinada, N. (2005). Zombie Firms and Economic Stagnation in Japan. International Economics and Economic Policy, Vol. 2, No. 4, pp. 363-381.
3. Cappelli R., Czarnitzki D., & Kraft K. (2013). Sources of Spillovers for Imitation and Innovation. Center for European Economic Research, Discussion Paper No. 13-064. Retrieved from: https://ftp.zew.de/pub/zew-docs/dp/dp13064.pdf.
4. Findlay R. (1978). Some Aspects of Technology Transfer and Direct Foreign Investment. The American Economic Review, Vol. 68, No. 2, pp, 275-279. Retrieved from: Some Aspects of Technology Transfer and Direct Foreign Investment on JSTOR.
5. Leibenstein A. (1966). Allocative Efficiency vs. “X-Efficiency.” The American Economic Review, Vol. 56, No. 3, pp. 392-415. Retrieved from: Allocative Efficiency vs. "X-Efficiency" on JSTOR.

6. Papava V. (2017). Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy. Journal of Reviews on Global Economics, No. 6, pp. 455-462.
7. Quiggin J. (2010). Five Zombie Economic Ideas That Refuse To Die. Foreign Policy, Economics, October 15. Retrieved from: https://foreignpolicy.com/2010/10/15/five-zombie-economic-ideas-that-refuse-to-die/.
8. Schwab, K., & Zahidi, S. (2020). How Countries Are Performing on the Road to Recovery. Geneva, World Economic Forum, 95 p. Retrieved from https://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2020.pdf
9. Stiglitz J., & Atkinson A. (1969). A New View of Technological Change. The Economic Journal, Vol. 79, No. 315, September, pp. 573-578. Retrieved from: https://www.jstor.org/stable/2230384?searchText=stiglitz+atkinson&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3Dstiglitz%2Batkinson%26so%3Drel&ab_segments=0%2FSYC-6398%2Fcontrol&refreqid=fastly-default%3Ab2ff309e9f7cb0c6a52332c824de58a9&seq=1 .
10. Stiglitz J., & Greenwald B. (2014). Creating a Learning Society. New York, Columbia University Press, 432 p.
11. Stoevska V. (2021). Only Half Workers Worldwide Hold Jobs Corresponding to their Level of Education. International Labor Organization, ILOSTAT. Retrieved from: Only half of workers worldwide hold jobs corresponding to their level of education - ILOSTAT.
12. Голиченко О. Г. (2017). Государственная политика и провалы национальной инновационной системы. Экономический Портал, Инновации. Retrieved from: https://institutiones.com/innovations/2960-gosudarstvennaya-politika-provaly-nacionalnoi-innovacionnoi-sistemy.html.
13. Папава В. (2017). О ретроэкономике. Вопросы экономики, № 10, сс. 148-159.
14. Портер, М. (1993). Международная конкуренция. Москва, Международные отношения, 896 с.
15. Сухарев О. С. (2013). Новые комбинации в экономике и принцип комбинаторного наращения. Экономический анализ: теория и практика, № 25 (328), сс. 2-13. Retrieved from:
16. https://cyberleninka.ru/article/n/novye-kombinatsii-v-ekonomike-i-printsip-kombinatornogo-narascheniya/viewer.
17. Шумпетер Й. (1995). Капитализм, социализм и демократия. Москва: Экономика, 126 с.

Medea Shapatava
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

About Retroeconomics and Combined Systematic Approach

SUMMARY

The research of creation mechanisms of Retroeconomic theory and reasons of its existence provides us with the information, what are the problems and hindrances on the way to the economic development processes in certain countries. The fact is, that Retroeconomics exists not only in developing countries, but also in highly developed countries and it shows an ability to exist steadily for an extended period of time. It is important to research all the factors and reasons of its creation in details in order to avoid repeating of previous mistakes in future. In this topic we provide a brief discussion of these matters and the idea that it would be possible to acknowledge certain combined systematic approaches for better implementation of processes in future.

მზია შელია
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მკვლევარი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი
ილიაუნი

საქართველოს სტუდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის კვლევის სათავეებთან

სტუდენტობა საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილია. ისტორიულად ქართული საზოგადოება მას უყურებდა როგორც ქვეყნის საუკეთესო მომავლის იმედს. ქართულ აკადემიურ სივრცეში სტუდენტთა სოციალურ დემოგრაფიული ჯგუფის ისტორიაზე არსებული მასალა, ძირითადად, ქართველ სტუდენტთა წრეების საზოგადოებრივ -პოლიტიკურ საქმიანობას ეხება. ჩვენი მიზანი იყო ეს კონტინგენტი სოციალურ-ეკონომიკური ნიშნითაც შეგვესწავლა. კერძოდ, რომელი საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლები ხდებოდნენ სტუდენტები, როგორი იყო გენდერული წონასწორობა მათ შორის და ა. შ. კვლევით დადგინდა, რომ წარსულში უმაღლესი განთლების მიღება საზოგადოების უმაღლესი ფენის პრივილეგია იყო, თუმცა საქართველოში სტუდენტთა ფენის პროლეტარიზაცია უფრო ადრე მოხდა, ვიდრე მაგალითად, ევროპაში. ეს პროცესი, ძირითადად, დაიწყო მე-20 საუკუნის დასაწყისიდან. როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოში სტუდენტთა ფენა მამაკაცებისაგან შედგებოდა, თუმცა ძლიერი იყო ქალთა სწრაფვაც უმაღლესი სასწავლებლისაკენ. საქართველოში მათ სწრაფად შეაღწიეს უნივერსიტეტების აუდიტორიებში და დღეს ისინი უკვე სტუდენტთა 52 %-ია.

კვლევით დადგინდა, რომ ქართველი სტუდენტები ყოველთვის ეპოქის მოთხოვნის შესაბამის ფუნქციას ასრულებდნენ. ამჟამად კი მათ წინაშე შემდეგი ამოცანები დგას: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დემოგრაფიული უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების შექმნა და უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, სტუდენტი, კვლევა, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული უსაფრთხოება*

სტუდენტობის, როგორც ცალკე სოციალური ჯგუფის, ადამიანთა სასიცოცხლო ციკლის მოკლე პერიოდის დახასიათება სოციოლოგების, ფსიქოლოგების, ფილოსოფოსების, ეკონომისტებისა და ა.შ წარმომადგენელთა მუდმივი განსჯის საგანია. შეისწავლება მათი ფსიქოლოგია, ჯანმრთელობა, დემოგრაფიული და მიგრაციული ქცევა, ეკონომიკური აქტივობა და ა.შ.

სტუდენტობა, როგორც სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი, ხასიათდება განსაზღვრული რიცხოვნობით, ასაკობრივი სტრუქტურით, ტერიტორიული განაწილებით, სოციალური მდგომარეობით, როლით და სტატუსით საზოგადოებაში. მათი ინტერესების, სოციალურ-დემოგრაფიული თუ ეკონომიკური ყოფის შესწავლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამითაა განპირობებული ჩვენი კვლევის მიზანიც. კერძოდ, ისტორიულ ასპექტში სტუდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის ფორმირების თავისებურებათა შესწავლა საქართველოში.

კვლევის შედეგები

ქართულ აკადემიურ სივრცეში სტუდენტთა სოციალურ დემოგრაფიული ჯგუფის ისტორიაზე არსებული მასალა, ძირითადად, სტუდენტურ ორგანიზაციებს ეხება. მაგალითად, ცნობილია, რომ 1857 წელს პეტერბურგში არსებობდა ე.წ. „პაწაწა კავკასიელების წრე“, რომლის ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე იყო (ი. ბალახაშვილი, 1937წ). ისტორიკოსი ო. ჯანელიძე გვამცნობს ქართველ სტუდენტთა წრეების ფორმირებაზე პეტერბურგის უნივერსიტეტში 1862-1867წწ, ოდესის უნივერსიტეტში 1870 წელს, კიევის უნივერსიტეტში 1874წ, ხარკოვის უნივერსიტეტში - 1884წ და მოსკოვის უნივერსიტეტში -1887 წელს. იგი აქცენტს მათ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ აქტიურობაზე აკეთებს. ეს წრეები თვითგანვითარების მიზნით შექმნილა, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ, მაგალითად ციურიხის უნივერსიტეტში 1873 წელს შექმნილი ორგანიზაცია „უღელი“, ოდესის უნივერსიტეტში 1888 წელს შექმნილი ორგანიზაცია „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ (ჯანელიძე ო., 2014), მკვლევარ ბ. ჭიჭინაძისაგან გვაქვს

ფრაგმენტული ცნობა შუა საუკუნი ქართველ სტუდენტთა ისტორიის შესახებაც. მისი გადმოცემით, "ერთ-ერთი პირველი სტუდენტური კონსპექტი ევროპაში სწორედ საქართველოშია შემონახული, ესაა გელათის აკადემიის დიდასკალის, იოანე პეტრიწისაგან შედგენილი კონსპექტი „პირველ კურსელთათვის" თუ „პინგვინთათვის", სადაც იგი ზემოხსენებული უმაღლესი განათლების სისტემის დისციპლინების სათითაო დახასიათებას იძლევა." გელათის აკადემიის სტუდენტებს, „გამგონეთ" უწოდებდნენ, იყალთოს აკადემიისას - „იყალთოს მომსმენთ" ანუ იყალთოში ლექციების მსმენელთ. გარდა ამისა მკვლევარი იმდროინდელი სამეფო ეტიკეტზე დაყრდნობით, უჩვენებს იმ დიდ პატივისცემას, რასაც იმდროინდელი სამეფო კარი გამოხატავდა სტუდენტების მიმართ. კერძოდ, „რაც უფრო საპატიო იყო დარბაზის წევრი, მით მეტი უნდა გაეარა მეფეს მის შესახვედრად, ყველაზე საპატიოდ ცხადია ითვლებოდა პატრიარქი და მეფეს მის შესახვედრად ხალიჩა სანახევროდ უნდა გაეარა, მაგრამ ...გელათის აკადემიის დიდასკალს და მის სტუდენტებს („მოწაფეთა მისთა") მეფე ხალიჩის თავში უნდა შეგებებოდა, პატრიარქზე მეტი პატივი უნდა მიეგო" (ჭიჭინაძე ბ. 2021).

იმ ეპოქაში სტუდენტობას მხოლოდ მამაკაცები წარმოადგენდნენ. ამ სოციალური ჯგუფის ფემინიზაცია, ძირითადად, მე-20 საუკუნის მონაპოვარია. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ქალთა უფლებების დაცვის მიზნით გაძლიერებულმა მოძრაობამ, ზოგიერთი მიმართულებით შესაძლებელი გახადა მათი შეღწევა უნივერსიტეტის აუდიტორიებში. მაგალითად, რუსეთში, მოსკოვის უნივერსიტეტში ქალი 1859-60 წლებში ჩნდება, პეტერბურგის უნივერსიტეტში კი მხოლოდ 1914 წლიდან მიეცა ქალს უფლება სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა (Аврус А.И.2001). 1909 წლისათვის გერმანიის 21 უნივერსიტეტში სწავლობდნენ ქალები. 1870 წელს ბერნის უნივერსიტეტის პირველი ქალი სტუდენტი ცნობილი რუსი პოეტის ა. პუშკინის მეუღლე, ნ. გონჩაროვა იყო. ზოგადად, შვეიცარია მეტად მიმზიდველი იყო სტუდენტი ახალგაზრდობისათვის, მათ შორის, ქალებისათვისაც. ამიტომ იყო, რომ უკვე 1914 წლისათვის ევროპაში ის პირველ ადგილზე იყო სტუდენტ ქალთა კონტინგენტით (Natalia Tikhonov Sigrist. 2009). ბუნებრივია სტუდენტ ქალთა მომრავლებას ევროპაში საქართველოშიც ჰქონდა გამოძახილი. ამის მაგალითია ქართველ ქალთა ჩუმად გამგზავრება ციურიხში უმაღლესი განათლების მისაღებად (საყვარელიძე რ. 1963). ქალთა სწრაფვა უმაღლესი განათლების მიღებისაკენ დღესაც სახეზეა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2021 წლისათვის საქართველოში სტუდენტი ახალგაზრდობის უმრავლესობა ქალია(51,5% -2021-2022სასწავლო წელი).

სტუდენტური ცხოვრება ყველა ეპოქაში და ყველგან დროის მხიარულ გატარებასთანაც ასოცირდებოდა. სხვადასხვა მიზეზით შექმნილი უწესრიგობისათვის, უნივერსიტეტისადმი გამოხატული უპატივცემულობის გამო სტუდენტი დისციპლინის დარღვევისათვის შეიძლება დასჯილიყო, უკიდურეს შემთხვევაში გარიცხულიყო კიდეც. მაგალითად, შოტლანდიის ერთერთი უნივერსიტეტის ჩანაწერების კრებული(მე-18 საუკუნე) ასეთ ინფორმაციას იძლევა: "დათვრა, ატეხა ხმაური და გაძევებული იქნა ტავერნიდან"; „ეჩხუბა ცეკვის მასწავლებელს, რომელმაც არ მისცა გოგონას გაცნობის უფლება"; საუნივერ სიტეტო სადებატო კლუბში განაცხადა, რომ „უნივერსიტეტი მხოლოდ ლოგიკისა და მეტაფიზიკის მტვრიანი დუქანია. სტუდენტებისათვის უკეთესია თეატრში იარონ". ცნობილი რუსი სოციოლოგი და პუბლიცისტი, ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორი ა. იზგოევი მე-19 საუკუნის რუს სტუდენტებს ასე აღწერს: "სტუდენტი - იდეურად ინტელიგენტი, მიისწრაფვის პროფესორის მოტყუებით გაძვრეს გამოცდაზე." შ. (Нуркушева Д. 2020). მაშასადამე. სტუდენტური ცხოვრება მხიარულებასთან ერთად, ზოგჯერ საზოგადოებრივი ცხოვრების გართულებასაც იწვევდა, თუმცა სტუდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი საზოგადოების ყველაზე სუფთა და მოწინავე ნაწილად ითვლებოდა და ითვლება დღესაც.

ყველა ქვეყანაში სტუდენტად ყოფნა საზოგადოების უმაღლესი ფენის პრივილეგია იყო. ასე იყო საქართველოშიც. მაგალითად, იოანე ბატონიშვილი ნაშრომში "სჯულდება",

რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტი იყო, ეხება თბილისში, გორსა და თელავში უმაღლესი სკოლის დაარსებას და წერს, რომ ამ სასწავლებლებში „მიებარებიან“ „თავად-აზნაურთა“, „პირველნი მოქალაქის“ შვილები. განათლების მიღება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ საშუალო ფენის წარმომადგენლები (და ზოგჯერ უმაღესი ფენის წარმომადგენლებიც მათი მფლანგველობის გამო) მძიმე სოციალურ -ეკონომიკური მდგომარეობაში ვარდებოდა. ამან განაპირობა მათი სოციალურ-ეკონომიკურ ყოფის შესწავლა, რომ ქალაქის თვითმმართველობას შეღავათიანი ფასები დაეწესებინა ბინასა და საკვებზე. როგორც გაზეთი „დროება“ გვამცნობს რუსეთის იმპერიაში პირველი ასეთი კვლევა 1872 წელს ჩატარებულა კიევის უნივერსიტეტში პროფესორ ბუნგეს ხელმძღვანელობით. შემდგომ კი 1892-93წელს მოსკოვის, 1898წელს - ვარშავის უნივერსიტეტში. მე-20 საუკუნის დასაწყისში სტუდენტთა მდგომარეობა განსაკუთრებული ყურადღების საგანი გამხდარა და მსგავს კვლევები 1908-1909წლებში იურიევისა და პეტერბურგის უნივერსიტეტშიც ჩატარებულა. მაგალითად, 1872 წლის კვლევით რესპონდენტთა 40 %-ს არანაირი ფინანსური დახმარება არ ჰქონიათ არც ოჯახიდან და არც უნივერსიტეტისაგან. ვისაც ჰქონდა, საშუალოდ 100 ლარს შეადგენდა, რაც არასაკმარისი იყო. ამიტომ კერძო გაკვეთილებით დაკავება მინიმალური ცხოვრების დონის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო. თუმცა ის ძალიან დიდ დროს ართმევდა მათ, სწყვეტდა საუნივერსიტეტო საქმიანობას მათ, შემოსავალი კი საშუალოდ, ამ კვლევის თანახმად, დაახლოებით 17 მანეთი ყოფილა. მსგავსი პრობლემები გამოვლენილა მოსკოვსა და ვარშავაში ჩატარებული კვლევებისასაც(გაზ. დროება.1909.#287).

სტუდენტთა სოციალ-ეკონომიკურ ყოფაზე კვლევა პეტერბურგის უნივერსიტეტში დაწყებულა 1909 წლიდან ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მიერ. კვლევას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, ხოლო კვლევის ჩატარების ორგანიზაცია ევალებოდა მაშინდელ თავმჯდომარეს სათვისტომოსი აკადემიკოს აკაკი შანიძეს(იმ პერიოდში ის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო). კვლევა ჩატარდა 15 კითხვიანი ანკეტით, რომლის შესახებ განზოგადებულ ანალიტიკურ მასალას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ. თუმცა ივანე ჯავახიშვილის არქივში მოკვლეულია კითხვარები, რომელიც შემდგომ დამუშავებას მოელის. ეს საშუალებას მოგვცემს 100 წლის წინ საქართველოდან სასწავლებლად წასულთა სოციალურ-ეკონომიკური ყოფა შევადაროთ დღეს საზღვარგარეთ წასულთა ყოფას.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან, საბჭოთა პერიოდიდან საქართველოში ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელს თანაბარი უფლება მიეცა უმაღლესი განათლება მიეღო. ეს მაშინ, როცა, მაგალითად, საფრანგეთში საშუალო კლასის წარმომადგენლების შესვლა უნივერსიტეტებში მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. 1940-იან წლებში ისინი სტუდენტთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ღარიბი ოჯახის წარმომადგენლები საფრანგეთის უნივერსიტეტებში მომრავლებას იწყებენ 1968 წლის შემდგომ, მძლავრი სტუდენტური მოძრაობის გავლენით. ისინი უკვე 1990-1995-იანი წლებიდან სტუდენტთა მნიშვნელოვან მასას წარმოადგენენ, რასაც ხელი შეუწყო საშუალო ქალაქებში უნივერსიტეტების გახსნამ. დაიწყო მსჯელობა სრულიად „ახალი სტუდენტის“ წარმოშობის თაობაზე. ფრანგი მკვლევრები თვლიან, რომ ის თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ორიენტირებულია პროფესიონალიზმზე, ნაკლებად კრიტიკულია სოციალური საკითხებისადმი, პოლიტიკურად შედარებით პასიურია და „უმუ შევრობის აჩრდილის“ გავლენით უნივერსიტეტისაგან მოითხოვს კვალიფიციურ პროფესიონალად ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ფორმირებას (Soulié,C. 2001; Erlich,V.2004;).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში სტუდენტთა სოციალური გათანაბრების პროცესი ბევრად ადრე, 1920-იანი წლებიდან დაიწყო, ვიდრე ეს ევროპაში მოხდა. უნივერსიტეტები სტუდენტი ახალგაზრდობისათვის უდავოდ იყო ინოვაციური პროექტების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების საშუალება, ვიდრე. „თავისუფალი აზროვნების სამყარო“. არადა, როგორც ჯონ სტიუარტ მილი აღნიშნავდა უნივერსიტეტის ერთერთ ფუნქციას, სწორედ თავისუფალი აზროვნების ფორმირება წარმოადგენს. მიუხედავად მძლავრი

პატერნალიზმისა, სტუდენტთა მეტად მგრძნობიარე დამოკიდებულება სამართლიანობისადმი მათ პოლიტიკურ პასიურობას ცვლიდა. პერიოდულად ადგილი ჰქონდა სტუდენტურ გამოსვლებს, მაგალითად, 1956 წლის 9 მარტის გამოსვლა სსრკ-ს პოლიტბიუროს „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების“ შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით; 1978 წლის 14 აპრილის გამოსვლა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესანარჩუნებლად; 2012 წელს ციხეებში არსებული ვითარების შესახებ და ა. შ. ამჟამადაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სტუდენტობას უდავოდ დასდევს „უმუშევრობის აჩრდილი“, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების პროცესებისადმი მათი აქტიურობა არ შემცირებულა.

დასკვნა

ზოგადად, სტუდენტთა ნებისმიერ თაობა თავისი ეპოქის შესაბამისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანების წინაშე იდგა. მაგალითად, 1930-იანი წლებში ძირითადი ამოცანა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია იყო, 1940-იან წლებში - „ყველაფერი გამარჯვებისათვის“, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქვეყნის ეკონომიკური აღმშენებლობის საკითხი იყო მეტად აქტუალური. ამჟამად კი ვფიქრობთ, მათ ირგვლივ არსებულ უამრავ პრობლემათაგან უნდა გამოიყოს ორი უმთავრესი გამოწვევა:

1. მაქსიმალური ძალისხმევა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და განსამტკიცებლად;

2. დემოგრაფიული უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების შექმნა და უზრუნველყოფა.

შეძლებს თუ არა იგი ამ ამოცანების დაძლევას, ვფიქრობთ, ეს ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა სტუდენტ ახალგაზრდობაში შესაბამის სოციალურ-კულტურულ ფასეულობათა ფორმირებას. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ამ კონტინგენტის კვლევას უნდა მიცეს პანელური ხასიათი.

ლიტერატურა

1. ბაგრატიონი ი. (1799). სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი).
2. ბალახაშვილი ი.(1937). ილია ჭავჭავაძე და სამოციანი წლების პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრე. ჟ. მნათობი #5. გვ 13-20
3. საყვარელიძე რ.(1963). პედაგოგიური განათლება მე-19 საუკუნის საქართველოში. თბილისი
4. ქართველ სტუდენტთა პირველი აღწერა. (1909). გაზეთი „დროება“ #287.
5. შანიძე ა.(1909) პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრის კანცელარიის ხარჯთაღრიცხვის რვეული. პირადი არქივი. #279
6. ჭიჭინაძე ბ. (2021). შუა საუკუნეების ქართველი სტუდენტების ისტორია. https://nation.ge/index.php?m=5&news_id=764
7. ჯავახიშვილი ი. (1909). პეტერბურგის უნივერრსიტეტის ქართული სამეცნიერო წრის მიერ საანკეტო ფურცლის ნიმუში რუსეთისა და საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველი სტუდენტობის აღრიცხვისა და მათი მდგომარეობის შესახებ.პირადი არქივი, # 792.
8. ჯანელიძე ო. (2014). ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე (საზოგადოება „უღელი“, „საქართველოს თავისუფლების ლიგა“) http:// liberalizmisepoqa.blogspot.com/ 2014/10/ blog-post_56.html?vi
9. Charles Soulié, « FISCHER (Didier).(2001) – L’Histoire des étudiants en France, de 1945 à nos jours », Histoire de l’éducation, 89 | 2001, 167-173.
10. Natalia Tikhonov Sigrist.(2009). Les femmes et l’université en France, 1860-1914.Histoire de l' education. https://doi.org/10.4000/histoire-education.1940
11. Tukhasvhili M., Tsartsidze M., Latsabidze N., Lobzhanidze M., Shelia M.(2018). Emigration intentions of students of higher education institutions of Georgia (examples from Ivane Javakhishvili Tbilisi State University). // The European Journal of Humanities and Social Sciences, Premier Publishing s.r.o. Vienna.(4).p.139-147
12. Аврус А.И.(2001). История российских университетов. Очерки.Москва

13. Нуркушева Д. (2020).OLDскул: краткая история студенчества. https://vk.com/@studunecon-oldskul-kratkaya-istoriya-studenchestva

Mzia Shelia
Associate Professor, Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Researcher, Institute of Demography and Sociology
Ilyauni

At the Beginning of the Research of the Socio-demographic Group of Students of Georgia

SUMMARY

The paper describes the history of the study of students as an important socio-demographic group in Georgia and provides a critical assessment of the viewpoints of individual researchers concerning this issue. Much interest is expressed with respect to the further processing of the unpublished rich material available in the archives of the founders of the university, Ivane Javakhishvili and Akaki Shanidze, in particular, concerning the study of the socio-economic status of students. The paper provides the opinion that the further analysis of the material of the field expeditions obtained from them will bring more light to the research of the history of students~ life in Georgia.

თეიმურაზ შენგელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოსტპანდემიური პერიოდის გლობალური ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების პერსპექტივები

COVID-19 პანდემია გახდა მსოფლიო ეკონომიკისა და გლობალური ბიზნესის განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი. მსოფლიო ეკონომიკაზე, წარმოების ფაქტორების მოძრაობაზე, გლობალურ ბიზნესზე მისი ზეგავლენა უპრეცედენტო და ყოვლისმომცველია. ამ ახალ ხელობაში ეკონომიკური განვითარების მრავალი თეორია, სავაჭრო და საინვესტიციო პოლიტიკის მექანიზმები სერიოზულ გადახედვას საჭიროებენ. წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანია კორონაეკონომიკის ანალიზი, ასევე იმ კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავება, რომლითაც შესაძლებელი გახდება გლობალური ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებაზე COVID-19-ის ნეგატიური ზეგავლენის მაშტაბების დადგენა და მათი მინიმუმიზაციის გზების ძიება. ავტორის მეთოდოლოგიური მიდგომა სცილდება პანდემიის ეკონომიკის ტრადიციულ ინტერპრეტაციას. გამოქვეყნებული კვლევების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ COVID-19-ის ნეგატიური გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე გაძლიერდა იმით, რომ მსოფლიო ეკონომიკას არ გააჩნდა დრო 2008 წლის გლობალური კრიზისის დასაძლევად და წინარეცესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქვეყნების მზადყოფნა პანდემიასთან საბრძოლველად უკიდურესად დაბალი აღმოჩნდა, ხოლო საერთაშორისო ინსტიტუტებმა ვერ შეძლეს ეფექტიანი დაცვის მექანიზმების შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: *პანდემია; კორონავირუსის ეკონომიკა; გლობალური ბიზნესი; ეკონომიკური პოლიტიკა; საერთაშორისო თანამშრომლობა.*

პანდემიების ეკონომიკურ განვითარებაზე ზეგავლენის კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას შორის არსებობს პირდაპირი კორელაცია (Robalino et al. 2002). ლ. ჯონუნგი და რ. ვერნერი აღნიშნავენ, რომ პანდემიის ეკონომიკური შედეგების შეფასებასების პროცესში მნიშვნელოვანია გაურკვევლობის მაღალი ხარისხის გათვალისწინება (Jonung.,Werner 2006). როგორც წესი, პანდემიების გაურკვევლობა იზრდება მისი გავრცელების მასშტაბის გაფართოებასთან ერთად, ამიტომ, პანდემიის ეკონომიკაზე გავლენის პროგნოზირება თითქმის შეუძლებელი გახდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ არის შეისწავლილი ეკონომიკაზე პანდემიების გავლენის ცალკეული ასპექტები, კერძოდ, შიდსის ზემოქმედება ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე (Arndt., Levis 2001), SARS-ის მაკროეკონომიკური შედეგები. საინტერესოა რომ, შედარებით მცირე სიკვდილიანობით გამორჩეული SARS-ის ეპიდემია მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანახარჯებით ხასიათდებოდა, რაც გამოწვეული იყო მთავრობების გადაჭარბებული პრევენციული ზომებით (Brahmbhatt, 2008).

ე. ბლუმმა, დაადგინა, რომ ღია ეკონომიკა უფრო დაუცველია საერთაშორისო შოკების მიმართ, ვიდრე ის, რომელიც ნაკლებად ინტეგრირებულია გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში (Bloom et al. 2005). სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია პანდემიის მაკროეკონომიკურ შედეგებზე და ფინანსურ ბაზრებზე ზემოქმედების სხვადასხვა სცენარი (მაგალითად, DSGE/CGE გლობალური ჰიბრიდული, ზოგადი წონასწორობის მოდელის გამოყენებით). ეს სცენარები, ცხადყოფენ, რომ მოკლევადიან პერიოდში შეზღუდულმა აფეთქებამაც კი შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს გლობალურ ეკონომიკასა და ბიზნესზე. ვ. მაკიბინი ტრადიციულ ინსტრუმენტებს (მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების შემცირებას) არაეფექტიანად მიიჩნევს. პანდემიის ეკონომიკური რისკები მოითხოვენ არა მხოლოდ მოთხოვნის მართვას, არამედ ყოვლისმომცველი მონეტარული, ფისკალური და ჯანდაცვის პოლიტიკის გატარებას. მეცნიერთა გაანგარიშებით კორონავირუსის პანდემიის მიერ გლობალური ეკონომიკისადმი მიყენებულ ზარალი 3-დან 4,4 ტრილიონ დოლარამდე მერყეობს (McKibbin W., End ets. 2020;25). ეპიდემიების პრევენციის მიზნით ა. ბლუმი და დ. კენინგი მიუთითებენ სა-

ერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე (Bloom, Canning 2006). გლობალიზაცია, ერთი მხრივ, ხელს უწყობს დაავადებების გავრცელებას, მაგრამ მეორე მხრივ, ქმნის მათთან ბრძოლის ახალ შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია ის კვლევები, სადაც წარმოდგენილია COVID-19-ის საერთაშორისო ეკონომიკური შედეგების ანალიზი, მათ შორის საერთაშორისო ვაჭრობაზე გავლენის შეფასება და მისი ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაზე ზეგავლენა [Zandi, 2020], ასევე ციფრული ეკონომიკის გარკვეული სექტორების განვითარება [Smith et al. 2019].

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით არსებულ კვლევებში არასათანადოდაა წარმოდგენილი პანდემიასა და გლობალურ ეკონომიკას შორის კავშირის კონცეპტუალური დასაბუთება და შეფასება. ამასთან, ისინი აჩვენებენ ეპიდემიების ჰეტეროგენურობის მაღალ ხარისხს. ამიტომ, თითოეული პანდემია უნიკალურია მისი გლობალურ ეკონომიკასა და ბიზნესზე გავლენის მაშტაბების მიხედვით. ცნობილია, რომ ურთიერთობა ჯანმრთელობასა და სიმდიდრეს შორის პირდაპირპროპორციულია, რის გამოც, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს უფრო ჯანმრთელი მოსახლეობა ჰყავთ, ვიდრე ღარიბებს. ბოლო წლებში ჯანმრთელობა განიხილება, როგორც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტერმინანტი, რაც ნათლად ჩანს კოროვირუსის პანდემიის მაგალითითაც. ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფი მიუთითებს პანდემიის ეკონომიკასა და გლობალურ ბიზნესზე ზეგავლენის სერიოზულ შედეგებზე იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სიკვდილიანობა შედარებით დაბალია. მაგალითად, 2013-2014 წლებში ლიბერიაში ებოლას აფეთქების დროს მშპ 8%-ით დაეცა (Bloom et al. 2018). გლობალური გრიპით გამოწვეული ზარალი (1918 წლის პანდემია) შეადგენდა 500 მილიარდ დოლარს (გლობალური მშპ-ს 0.6%). ამასთან, საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები უფრო მეტად დაზარალდნენ (მშპ-ს 1.6%), ვიდრე მაღალი შემოსავლის (მშპ-ს 0.3%). საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მონაცემებით, ღარიბი ქვეყნები უფრო მეტად განიცდიან ეკონომიკურ ზარალს, რადგან ისინი ნაკლები თანხებს ხარჯავენ ჯანდაცვაზე და ფინანსური რისკებისაგან დასაცავად გააჩნიათ მცირე დანაზოგები (Bloom et al. 2018). ეპიდემიებისა და ბუნებრივი კატასტროფების ისტორიული გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ მოკლევადიანი ეკონომიკური ზიანი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. როგორც კ. სმიტი აღნიშნავს, ინფექციური დაავადებების გავრცელების გავლენა, გარდა ჯანდაცვის სისტემისა, მოიცავს ისეთ ინდუსტრიებს, როგორიცაა: ტურიზმი და მოგზაურობა, ვაჭრობა და ტრანსპორტი და გარემოსდაცვა, მომსახურება (Smith et al. 2019). კორონავირუსის პანდემიამდე, უცნობი იყო მიწოდებისა და მოთხოვნის კომბინირებული შოკი, რომელიც უარყოფითად აისახა წარმოებაზე. გლობალურ ეკონომიკასა და ბიზნესზე. ასეთმა ორმაგმა დარტყმებმა გამოიწვევია „დომინოს ეფექტი“.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი შესაძლებელს ხდის გამოვავლინოთ კორონავირუსის პანდემიის ნეგატიური ეკონომიკური შედეგების ძირითადი მიზეზები, მოვახდინოთ მათი სისტემატიზაცია. ეს მიზეზებია:

მოთხოვნის შემცირება. შემოსავლების შემცირება, მომხმარებელთა განწყობის ცვლილებასთან ერთად, უარყოფით ზეგავლენას ახდენს გლობალურ ბიზნესზე, განსაკუთრებით მომსახურების სექტორში (ტურიზმი, კვება, გართობა). პანდემიის შედეგად გამოწვეული რისკები და გაურკვევლობა ამცირებს შინამეურნეობების მოხმარებას, რადგანაც იზრდება დანაზოგები. გარდა ამისა, პანდემიის პირობებში ყალიბდება შინამეურნეობების მოთხოვნა, აგრეთვე დანახარჯები ძირითად პროდუქტებზე, რაც მოთხოვნისა და გადახდისუნარიანობის გაურკვევლობის დამატებით ფაქტორს წარმოადგენს.

მიწოდების შემცირება. პანდემიით დაზარალებულ რეგიონებში წარმოების შემცირება იწვევს გლობალური ღირებულების ჯაჭვის ნეგატიურ ცვლილებებს. ნედლეულისა და მზა პროდუქციის ექსპორტი მცირდება, რაც ნეგატიურად აისახება შემოსავლების დონესა და დასაქმებაზე. პანდემია ხასიათდება მსხვილი კორპორაციების დეფოლტით (ძირითადად მომსახურების სფეროში), რაც ქმნის ლიკვიდურობის პრობლემას და საინვესტიციო პორტფელის

გაუფასურება. ლიკვიდურობის კრიზისი, პირველ რიგში, აზიანებს იმ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი ვალუტა, რომლის კურსი მიბმულია სარეზერვო ვალუტაზე (ევროსა და დოლარზე).

ფინანსური დესტაბილიზაცია. კოროვირუსული რისკების ზრდა და ამ პირობებში ლიკვიდური აქტივების პრობლემა ნეგატიურად აისახა საფონდო და სავალუტო ბაზრებზე. 2011-2021 წწ. ვალის მთლიანი მოცულობა (კერძო, სახელმწიფო და ფინანსური სექტორის ვალები) 152-დან 255 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა, რაც უკვე ორჯერ აღემატება მსოფლიო მშპ-ს. ყველაზე კრიტიკულ ვითარებაში აღმოჩნდნენ განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ვალის მაღალი დონისა და სავალუტო რეზერვების კლების ტენდენციის პირობებში ეწევიან ნედლეულის ექსპორტს. OECD-ის მონაცემებით, კორპორაციული ობლიგაციები 2011 წლიდან 2021 წლის ბოლომდე გაორმაგდა და 13,5 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო არასაინვესტიციო (ანუ დაბალი საკრედიტო რეიტინგის) ობლიგაციები შეადგენდა მთლიანი გამოშვების 25%-ს. მაღალი ფინანსური ბერკეტის მქონე კომპანიებისთვის, ეს განსაკუთრებით საშიშია. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების ორგანიზაციის (UNCTAD) მონაცემებით, განვითარებადი ქვეყნების მთლიანი ვალი 2020 წელს ორჯერ გაიზარდა. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ ვალის დაგროვებაში. ამიტომ, განვითარებადი ქვეყნების ვალის მესამედი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში [UNCTAD, 2020].

ასევე მნიშვნელოვანია COVID-19-ის შედეგების ანალიზი ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში. არსებობს ვარაუდი, რომ პანდემია ზრდის ნაციონალიზმს, იზოლაციონიზმს და ხელი უწყობს ეკონომიკური გლობალიზაციისგან განდგომას. რეალურად კი, ისევე როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული ეკონომიკის აღსადგენად ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევას, პანდემიას თან ახლავს საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება. ამავდროულად, COVID-19-მა გამოავლინა გლობალური მმართველობის კრიზისი, რომლის აღქმა და როლი მომავალში მნიშვნელოვნად შეიცვლება.

ეპიდემიების ან სტიქიური უბედურებების დროს მნიშვნელოვანია სასურველი მიზნების მიღწევის სიჩქარე, რადგან თუ ეკონომიკური ზიანი სწრაფად არ აღმოიფხვრება, ეს გამოიწვევს ცხოვრების დონის დაცემას და წარმოების ზრდის ტემპის შენელებას. პანდემიის პერიოდში, რიგი ქვეყნების მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ ცხადყო დეფიციტური სამთავრობო ბიუჯეტის მიზანშეწონილობა: როდესაც საპროცენტო განაკვეთები დაბალია და ეკონომიკაში ჭარბი დანაზოგია, სახელმწიფო ხარჯების დეფიციტური დაფინანსება აუმჯობესებს ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას. მაგალითად, ჩინეთმა, პანდემიის შედეგად, შეარბილა მონეტარული პოლიტიკა, რათა გავლენა მოეხდინა ეკონომიკის რეალური სექტორის ძირითად სფეროებზე, პირველ რიგში წარმოებასა და ტრანსპორტზე. ფისკალური რეაგირების გარდა, მთავრობებმა უნდა შეამსუბუქონ სავაჭრო რეგულირების გამკაცრებული ზომები, რომლებიც დაწესდა ცალკეული ქვეყნების მიერ.

პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური შედეგების შერბილების მიზნით, მონეტარული პოლიტიკის სფეროში ცალკეულმა ქვეყნებმა, მიმართეს გარკვეულ ზომებს. ასე მაგალითად, 2020 წლის მარტში აშშ-ს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ფსს) განახორციელა: 1) (ფსს) თითქმის ნულამდე განაკვეთის დაწევა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა საბანკო სესხების ზღვრულ ღირებულება; 2) ინვესტიციები გაიზრდა სახაზინო ფასიან ქაღალდებში; 3) ბანკების ლიკვიდურობასა და კაპიტალზე მოთხოვნები შემსუბუქება. ექსპერტების აზრით, ქვეყნების მონეტარული პოლიტიკა უნდა დარჩეს მოქნილი, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების დაბალ დონეს. ეს უზრუნველყოფს დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის უფრო აქტიურ გამოყენებას მოკლევადიანი მოთხოვნის სტიმულირებისა და პანდემიის ნეგატიური ეკონომიკური შედეგების ზემოქმედების შესამცირებლად. გარდა ამისა, დაბალი საპროცენტო განაკვეთები ჯანდაცვის, განათლების, გარემოსდაცვითი და ციფრული ინფრასტრუქტურის სფეროში სახელმწიფო ინვესტიციების ხარჯებს ეფექტიანს ხდის [OECD, 2020].

ამ ეტაპზე უცნობია, როგორ გადაიჭრება გადაჭარბებული ვალების ტვირთის პრობლემა. რ. დაგერის აზრით, სახელმწიფო ვალის ზრდის გამო მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება. ჩვენი მიგვაჩნია, რომ ისევე როგორც წინა კრიზისში, საკვანძო იქნება დოლარის ლიკვიდობის პრობლემა, რაც მოითხოვს მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების კოორდინირებულ პოლიტიკას. ბევრი ბანკი შეზღუდავს დოლარში დენომინირებულ ვალებს, ამიტომ, მარეგულირებლებს მოუწევთ ბანკების ლიკვიდურობისა და კაპიტალის წესების შემსუბუქება. დეფოლტის პრობლემა სერიოზული გამოწვევაა გლობალური ფინანსური სისტემისთვის. ამიტომ, პანდემიით დაზარალებული კომპანიების დაუყოვნებლივი და პირდაპირი დახმარება მნიშვნელოვანია. ამ სფეროში სახელმწიფო რეგულირება, ფოკუსირებული უნდა იყოს სახელმწიფო დახმარებისა და საგადასახადო შეზღუდვების შემსუბუქებაზე. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ გარანტიები იმ ბანკებისთვის, რომლებიც შეღავათიან სესხს აძლევენ პრობლემურ კომპანიებს.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზიდან ჩანს, რომ ბოლო წლების ეკონომიკური ვარდნა ყოველთვის წყდებოდა მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობით, რომლის მაგალითია, G20-ის ქვეყნების უარი სავაჭრო პროტექციონიზმზე და ფისკალური გაფართოება. სწრაფი მრავალმხრივი რეაგირების აუცილებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დღევანდელი კრიზისის პირობებში, რადგან აქ დამატებით სირთულეს წარმოადგენს პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი. სიტუაცია გაამწვავა ნავთობის ფასების მნიშვნელოვანიმა ვარდნამ და საერთაშორისო ვაჭრობის ღრმა შეფერხებებმა, რასაც დაერთო რუსეთის შეჭრა სუვერენულ უკრაინაში და ცვლილებები მსოფლიოს ეკონომიკურ გეოგრაფიაში.

საგარეო ვაჭრობის მრავალმხრივი რეგულირების წესრიგის წინააღმდეგობა გამოიხატება იმაში, რომ აშშ-ის თითქმის ყველა პარტნიორს შეეხო იმპორტის გაზრდილი ტარიფები. გამწვავდა აშშ-ის ჩინეთთან სავაჭრო კონფლიქტი. ამდენად, აშშ-ის სავაჭრო პროტექციონიზმი კვლავაც აგრძელებს ნეგატიურ გავლენას საერთაშორისო ინვესტიციებსა და გლობალური მიწოდების ჯაჭვზე.

ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალი დონის მიუხედავად, ეროვნული ეკონომიკები კვლავაც პროტექციონისტული მიდგომებით ხასიათდება. არსებული კრიზისის დასაძლევად აუცილებელია გატარდეს ეკონომიკური სისტემების მდგრადობის გაზრდისკენ მიმართული ზომები, რაც საბოლოოდ გამოიწვევს გლობალიზაციის შესუსტებას და იზოლაციონიზმის ზრდას. მზარდი იზოლაციონიზმის პირობებშიც კი, ძლიერდება გლობალური თანამშრომლობის გაფართოების აუცილებლობა, რაც იწვევს ფუნქციური სიჭარბის ფაქტორების ეკონომიკაში კომპლექსური გამოყენების საჭიროებას.

ამ პირობებში, პანდემიის ეკონომიკის კვლევა უფრო მეტად უნდა იყოს ფოკუსირებული ცალკეული ქვეყნების შესაძლებლობების შეფასებაზე, რათა მათ რეაგირება მოახდინონ ეპიდემიებზე. თეორიულად, ეს შესაძლებლობები განისაზღვრება ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობით. პანდემიის გამოწვეული ეკონომიკური წინააღმდეგობის დაძლევაში, განვითარებადი ქვეყნები უფრო წარმატებულები ხდებიან, რადგან მათ მუდმივად უხდებათ სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებისა და გამოწვევების გადალახვა.

დასკვნა

მნიშვნელოვანია COVID-19 პანდემიის ანალიზი ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში. არსებობს ვარაუდი, რომ პანდემიამ შეიძლება გაზარდოს ნაციონალიზმი, იზოლაციონიზმი და ხელი შეუწყოს ეკონომიკური გლობალიზაციისგან უკან დახევას. ამის საპირწონედ პანდემიას თან ახლავს საერთაშორისო თანამშრომლობის ზრდა, ისევე როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგომ პერიოდში დანგრეული ეკონომიკის აღსადგენად ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევა. ამავდროულად, COVID-19-მა აშკარა გახადა გლობალური მმართვე-

ლობის კრიზისი, რომლის აღქმა და როლი მომავალში მნიშვნელოვნად შეიცვლება. ანალიზი ცხადყოფს ამჟამინდელი პანდემიის უნიკალურობას, რომელიც უარყოფითად აისახება არა მხოლოდ გლობალურ მიწოდებასა და მოთხოვნაზე, არამედ ფინანსურ სისტემაზე, რომელიც მრავალი ქვეყნის ვალის ტვირთის გამო, ხასიათდება უკიდურესად მაღალი რისკებით. კვლევების მიმოხილვამ ასევე აჩვენა, რომ კოროვირუსის პანდემიის გავრცელების მაღალი სიჩქარე, როგორც სამედიცინო, ისე ეკონომიკურ კონტექსტში გლობალიზაციის შედეგია, ხოლო პანდემიის საპასუხოდ სახელმწიფოების მიდგომები ფრაგმენტული და პროტექციონისტულია. ჩვენი კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს კორონავირუსის ეკონომიკის შემდგომი კვლევის გაფართოების შესაძლებლობაში. ადაპტირებული, აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის იმ კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში, რომელიც მიზნად ისახავს პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური ეფექტის მინიმუმამდე შემცირებას.

ლიტერტურა:

1. თ. შენგელია, (2021). მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდპანდემით გამოწვეული გაურკვევლობისა პირობებში. გლობალიზაცია და ბიზნესი, № 6
2. თ. შენგელია, (2021). სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება COVID-19 პანდემიის პირობებში. კრებულში: კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა. თსუ
3. თ. შენგელია, (2021). ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდპანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში. კრებულში: XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური ტექნოლოგიური გამოწვევები. პ. გუგუშვილის სახ. თსუ-ს ეკონომიკის ინსტიტუტი
4. თ. შენგელია, (2020). გლობალური ეკონომიკის რეცესია და საქართველოს პოსტვირუსული განვითარება. კონომიკა და ბიზნესი, № 2, ტომი 12
5. T. Shengelia, Kh. Berishvili, D. KbilaShvili. (2022). Ecological-economic development of the South Caucasus countries under the COVID-19 Pandemic. European Academic Science and Research. No. XXVII (2022).
6. Shengelia T., Kozak Y., Berishvili Kh. (2022). Aggregated Anti-crisis Model of Sustainable Development of Small Business. Moambe.Bulletin of the Georgian Academy of Sciences. V.16, n.4. ISSN - 0132 – 1447
7. Shengelia T., Berishvili, Kh. Jganjgava, K. (2021). Anti-crisis strategy caused by uncertainty of the small businesses under the Covid-19 pandemic. Sciences of Europe. 2(2):72-79.
8. Robalino D. A., Jenkins C. (2002). The Risks and Macroeconomic Impact of HIV/AIDS in the Middle East and North Africa: Why Waiting to Intervene Can Be Costly. Policy Research Working Paper Series. №2874. The World Bank. 36 p.
9. Bloom D.E., Cadarette D., Sevilla J.P. (2018). Epidemics and Economics, Finance and Devel- opment. 55 (2). P. 46-49.
10. Jonung L., Werner R. (2006). The Macroeconomic Effects of a Pandemic in Europe – A Model-Based Assessment. Directorate-General for Economic and Financial Affairs Economic Pa- per. №251. Brussels: European Commission. 21 p.
11. Arndt C., Lewis J.D. (2001). The HIV/AIDS Pandemic in South Africa: Sectoral Impacts and Unemployment. Journal of International Development. 13(4): 427-449.
12. Brahmbhatt M., Dutta A. (2008). On SARS Type Economic Effects during Infectious Disease Outbreaks. Policy Research Working Paper. №4466., Washington, DC: The World Bank. 28 p.
13. Bloom D.E., Cadarette D., Sevilla J.P. (2018). Epidemics and Economics, Finance and Devel- opment. 55 (2). P. 46-49.
14. McKibbin W., Roshen F. (2020). The Global Macroeconomic Impacts of COVID-19: Seven Scenarios. CAMA Working Paper 19/2020. Australian National University. 43 p.
15. Zandi M. (2020). Coronavirus: The Global Economic Threat, Moody's Analytics, February.
16. Smith K. (2019). Infectious Disease and Economics: The Case for Considering Mul- ti-Sectoral Impacts. One Health. Vol. 7.
17. UNCTAD. (2020). Trade and Development Report Update. The Coronavirus Shock: a story of another global crisis foretold and what policymakers should be doing about it. UNCTAD/GDS/INF/2020/1. N.Y. & Geneva: UNCTAD. 9 March. P. 4.

Teimuraz Shengelia
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Development Prospects of Post-pandemic Global Economy and Business

In the context of economic globalization it is important to analyze the COVID-19 pandemic there is assumption, that the pandemic may increase nationalism, isolationism and promote a retreat from economic globalization. As a counterweight to this, the pandemic is accompanied by international co-operation, as well as efforts to rebuild the economies of countries that were destroyed in the period after the Second World War.

At the same time, COVID-19 has become a global governance crisis, which will change the perception and role of the crisis. The analysis reveals the uniqueness of the current pandemic, which has a negative impact not only on global supply and demand, but also on the financial system, which, due to the debt burden of many countries, is characterized by extremely high risks. The review of studies also showed that the high rate of spread of the coronavirus pandemic, both in the medical and economic contexts, is the result of globalization, and the responses of states to the pandemic are fragmented and protectionist. The practical significance of our research results lies in the possibility of expanding further research on the economy of the coronavirus. In developing the conceptual framework of an adapted, proactive economic policy aimed at minimizing the negative economic effects of the pandemic.

ლია ჩარექიშვილი
ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

როგორ ვიყენებთ დროს - დროის გამოყენების ზოგიერთი მაჩვენებელის შესახებ საქართველოში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, 2020-2021 წლებში საქართველოში პირველად ჩაატარა დროის გამოყენების გამოკვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საქართველოში დროის გამოყენების შესახებ სტატისტიკურად სანდო და საერთაშორისო დონეზე შესადარისი მონაცემების მიღება, გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესება, მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მაჩვენებლების გაანგარიშება და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისკენ მიმართული პოლიტიკის ინფორმირება.

გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღეს 15 წლისა და უფროსი ასაკის პირებმა, რომლებიც დროის გამოყენების დღიურში 10 წუთიანი ინტერვალით აღწერდნენ მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებს წინასწარ დადგენილი სრული ორი დღისთვის.

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მე-5 მიზანია „გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერება“, რომლის შესრულების მონიტორინგისთვის რეკომენდებული ინდიკატორია SDG 5.4.1 „აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი“. ქალების მიერ აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი 17.8 პროცენტს შეადგენს, რაც 4.8-ჯერ აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს (3.7 პროცენტი). თბილისში გენდერული თანაფარდობა 4.6-ს შეადგენს, სხვა ქალაქებში - 5.1-ს, ხოლო სოფლებში - 4.5-ს. ყველა ტიპის დასახლებაში და ყველა ასაკობრივ ჯგუფში აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე ქალების მიერ დახარჯული დრო მკვეთრად აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს. აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 25-44 წლის ქალებში და 23.0 პროცენტს შეადგენს.

საკვანძო სიტყვები: *დროის გამოყენება, დასაქმება, სტატისტიკა.*

დროის გამოყენების გამოკვლევა - დროის გამოყენების გამოკვლევა (TUS) შეისწავლის, რა დროს ხარჯავს მოსახლეობა სხვადასხვა აქტივობაზე, როგორებიცაა: ანაზღაურებადი შრომა, საოჯახო საქმიანობა, ზრუნვა, სწავლა, თავის მოვლა, მოხალისეობრივი საქმიანობა, სოციალიზაცია, მგზავრობა, დასვენება და ა.შ. დროის გამოყენების გამოკვლევის საფუძველზე მიღებული მაჩვენებლები გამოიყენება თანასწორობასთან, ოჯახთან, სოციალურ, სატრანსპორტო, კულტურულ და სხვა საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისა და გაუმჯობესებისთვის, ასევე, შინამეურნეობებში წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეფასებლად და არსებული მდგომარეობის საერთაშორისო დონეზე შედარების მიზნით9.

დროის გამოყენების გამოკვლევის ჩატარება საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიის (NSDS) ერთ-ერთი მიზანია. ამ მიზნის შესაბამისად, დროის გამოყენების პირველი გამოკვლევა ჩატარდა 2020-2021 წლებში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ. გამოკვლევის მხარდამჭერები იყვნენ ნორვეგიის მთავრობის მიერ დაფინანსებული „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ პროექტი და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფლაგმანი პროგრამა - „თითოეული ქალი და გოგო მნიშვნელოვანია“. სხვა ქვეყნებთან შესადარისი დროის გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოების გარდა, გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა მდგრადი განვითარების მიზნის 5.4 ამოცანის - „აუნაზღაურებელი ზრუნვის და საოჯახო შრომის აღიარება და დაფასება საჯარო მომსახურებების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფით და შინამეურნეობაში და ოჯახში გაზიარებული პასუხისმგებლობის წახალისებით“ საბაზისო ინდიკატორის (SDG 5.4.1) გაანგარიშება. GTUS-ის დიზაინი შემუშავებულია შემდეგი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად

9 https://ec.europa.eu/eurostat/web/time-use-surveys

ყოველდღიურად, მსოფლიოში ადამიანები ჯამურად 16 მილიარდ საათს ხარჯავენ აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობებზე - დაწყებული საოჯახო საქმეებიდან, ოჯახის წევრებისა და ახლობლებზე ზრუნვის ჩათვლით. ეს საქმიანობა, რომელიც ოჯახის, საზოგადოებისა და ეკონომიკის კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს, უხილავია, არ არის აღიარებელი და დიდწილად ქალებზე მოდის: გლობალურად, ქალები, კაცებთან შედარებით, სამჯერ მეტ დროს ხარჯავენ აუნაზღაურებელ შრომაზე. შედეგად, ქალები განიცდიან დროით სიღარიბეს და ნაკლები დრო აქვთ ანაზღაურებადი სამუშაოსთვის ან კარიერული და პიროვნული განვითარებისთვის. აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის არათანაბარი განაწილება ქალებს და კაცებს შორის კვლავ მნიშვნელოვნად აბრკოლებს მსოფლიოში ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და გენდერულ თანასწორობას, ისევე როგორც ადამიანის, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის აღიარებისა და დაფასების მოძრაობას ერთი ძლიერი მოკავშირე ჰყავს - დროის გამოყენების გამოკვლევა. მსოფლიოს მასშტაბით, ამ კვლევებით იზომება ქალების მიერ გაწეული აუნაზღაურებელი სამუშაოს წილი ქვეყნის კეთილდღეობაში. აუნაზღაურებელ სამუშაოზე ქალებისა და კაცების მიერ დახარჯულ დროში განსხვავებების გამოვლენით ხდება გენდერული უთანასწორობების გაანალიზება. ბოლო ათწლეულებში, მსოფლიოს მასშტაბით 80-ზე მეტ ქვეყანაში ჩატარებულია დროის გამოყენების 250-ზე მეტი გამოკვლევა, მაგრამ საქართველოში ის არასდროს ჩატარებულა. ამ დანაკლისის შესავსებად და საქართველოში დროის გამოყენების საერთაშორისოდ შესადარისი მონაცემების მისაღებად, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, დავაკვირდეთ და აღვრიცხოთ აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის შრომის მასშტაბები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, 2020-2021 წლებში პირველად ჩაატარა საქართველოში დროის გამოყენების გამოკვლევა.

საქართველოში დედების 80.0 პროცენტი ჩართულია ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებულ აქტივობებში, რაც ორჯერ აღემატება მამების მონაწილეობის დონეს (37.6 პროცენტი)10. დედები ბავშვზე ზრუნვაზე კვირაში საშუალოდ 20.4 საათს ხარჯავენ (იგულისხმება ორივე - ძირითადი და პარალელური აქტივობები), რაც მამების მიერ დახარჯულ დროს (3.9 საათი) ხუთჯერ აღემატება. დედების შემთხვევაში, მათ მიერ დახარჯული დროის ნახევარზე მეტი (10.5 საათი) შვილებზე ფიზიკურ და ემოციურ ზრუნვას ეთმობა. მამების მიერ დახარჯული დროის ნახევარზე მეტი (2.2 საათი) ეთმობა შვილებთან თამაშს, კითხვასა და საუბარს. როგორც დედების, ასევე მამების შემთხვევაში, ყველა ტიპის დასახლებაში, ბავშვზე ზრუნვაზე დახარჯული დრო მცირდება ყველაზე უმცროსი შვილის ასაკის მატებასთან ერთად. სრული დროით დასაქმებული დედები ბავშვზე ზრუნვაზე დღეში 1.7 საათს ხარჯავენ, რაც 4.2-ჯერ აღემატება სრული დროით დასაქმებული მამების ანალოგიურ მაჩვენებელს (0.4 საათი).

ახალგაზრდების (15-24 წლის) დროის განაწილება სხვადასხვა აქტივობაზე განსხვავებულია უფროსი ასაკის პირებთან შედარებით - მათ მეტი სძინავთ და მეტ დროს ხარჯავენ სწავლასთან დაკავშრებულ აქტივობებზე, მაგრამ ბევრად ნაკლებ დროს უთმობენ აუნაზღაურებელ ზრუნვის და საოჯახო საქმიანობას. ოჯახთან ერთად მცხოვრები ახალგაზრდები ყველაზე მეტ დროს შემდეგ აქტივობებზე ხარჯავენ: საკუთარ თავზე ზრუნვა და თავის მოვლა (51.0 პროცენტი), დასვენება და გართობა (17.0 პროცენტი), სოციალიზაცია (10.2 პროცენტი) და სწავლა (8.7 პროცენტი). ახალგაზრდა კაცებთან შედარებით, ახალგაზრდა ქალები ნაკლებ დროს ხარჯავენ ჩამოთვლილთაგან პირველ სამ აქტივობაზე, მაგრამ მეტ დროს უთმობენ სწავლასა და აუნაზღაურებელ ზრუნვისა და საოჯახო საქმიანობას. ¦ 65 წლის და უფროსი ასაკის ქალები და კაცები, დასახლების ტიპის მიუხედავად, დროს მსგავსად ანაწილებენ. ისინი ძირითად დროს საკუთარ თავზე ზრუნვასა და თავის მოვლას, ასევე - დასვენებასა და გართობას უთმობენ. გენდერული განსხვავებები აღინიშნება შემდეგ აქტივობებში: ანაზღაურებად საქმიანობაზე კაცები უფრო მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე ქალები (3.3 საათი და 1.6 საათი, შე-

10 https://www.geostat.ge/media/50117/GTUS-Report-GEO.PDF

საბამისად); აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე ქალები უფრო მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე კაცები (3.2 საათი და 1.0 საათი, შესაბამისად); გართობასა და დასვენებაზე კაცები უფრო მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე ქალები (6.4 საათი და 5.4 საათი, შესაბამისად). როგორც კაცებში, ასევე ქალებში, დასვენება და გართობა ძირითადად მასმედიის გამოყენებას უკავშირდება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისა და კაცების მონაწილეობა დასაქმებასა და სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებში იკლებს შეზღუდვების მატებასთან ერთად. სხვა აქტივობების შემთხვევაში საპირისპირო ტენდენციებია. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და კაცები, სხვებთან შედარებით, საშუალოდ ნაკლებ დროს ხარჯავენ დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე, ხოლო საკუთარი საჭიროებებისთვის პროდუქციის წარმოებას, პირიქით - მეტ დროს უთმობენ.

გრაფიკი 1

მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დღეში დახარჯული საშუალო დრო (საათი)



წყარო: საქსტატი, დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მე-5 მიზანია „გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერება“, რომლის ერთერთი ამოცანაა 5.4 „აუნაზღაურებელი ზრუნვის და საოჯახო შრომის აღიარება და დაფასება საჯარო მომსახურებების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფით და შინამეურნეობაში და ოჯახში გაზიარებული პასუხისმგებლობის წახალისებით“. ამ ამოცანის შესრულების მონიტორინგისთვის რეკომენდებული ინდიკატორია 5.4.1 „აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი სქესის, ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით“.

გამოკვლევის პერიოდში (2020-2021) ქალების მიერ აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის შრომაზე დახარჯული დროის წილმა 17.8 პროცენტი შეადგინა, რაც დაახლოებით 4.8-ჯერ

აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს (3.7 პროცენტი). გენდერული თანაფარდობა სოფლებში 4.5 იყო, თბილისში - 4.6, ხოლო სხვა ქალაქებში ყველაზე მაღალი - 5.1.

გრაფიკი 2

SDG 5.4.1. შინამეურნეობების და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის მომსახურებებზე დახარჯული დროის წილი, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პროცენტი



წყარო: საქსტატი, დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021

დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალი თბილისსა და სხვა ქალაქებშია. ყველა ტიპის დასახლებაში, დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებში კაცების მონაწილეობის დონე (41 პროცენტი) 1.7-ჯერ აღემატება ქალების იმავე მაჩვენებელს (24 პროცენტი). დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართული მოსახლეობისათვის, ამ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო 8.2 საათს შეადგენს. ეს მაჩვენებელი თბილისში 9.1 საათია, სხვა ქალაქებში - 8.6 საათი, ხოლო სოფლებში - 7.0 საათი. ყველა ტიპის დასახლებაში, კაცები, ქალებთან შედარებით დაახლოებით ერთი საათით მეტს ხარჯავენ დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე.

საკუთარი მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაში მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალი (55.0 პროცენტი) სოფლებშია, ხოლო ყველაზე დაბალი (6.3 პროცენტი) თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტივობებში ქალებისა და კაცების მონაწილეობის დონე მეტნაკლებად ერთნაირია, საკუთარი მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაზე, როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში, კაცები ქალებთან შედარებით, საშუალოდ 1.5-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ. ორივე სქესის შემთხვევაში, ამ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო ასაკთან ერთად იზრდება 64 წლამდე, ხოლო 64 წლის შემდეგ ზრდა ნაკლებად გამოკვეთილია.

სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართულია ქალების 6.3 პროცენტი და კაცების 5.8 პროცენტი. მონაწილეობის დონე უფრო მაღალია თბილისსა და სხვა ქალაქებში (7.9 პროცენტი და 6.0 პროცენტი, შესაბამისად), ვიდრე სოფლებში (4.8 პროცენტი). ქალებშიც და კაცებშიც მონაწილეობის დონე და სწავლაზე დახარჯული დრო საგრძნობლად იკლებს 24 წლის ასაკის შემდეგ. უფრო ახალგაზრდა ასაკის (15-24 წლის) ქალები და კაცები სწავლაზე ხარჯავენ დღეში 2.3 საათს და 1.9 საათს, შესაბამისად. თბილისსა და სხვა ქალაქებში, 15- 24 წლის ქალები, ამავე ასაკობრივი ჯგუფის კაცებთან შედარებით, მეტ დროს ხარჯავენ სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებზე. სოფლებში კი სურათი საპირისპიროა. ¡ საქართველოს

მოსახლეობის 66 პროცენტი ჩართულია აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაში. ეს მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავდება ქალებისა (88.3 პროცენტი) და კაცებისათვის (39.6 პროცენტი). მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალია სოფლად მცხოვრებ ქალებში (90.3 პროცენტი). საშუალოდ, საქართველოს მოსახლეობა დღეში 2.1 საათს ხარჯავს აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე, თუმცა, გენდერული სხვაობა საკმაოდ დიდია. ყველა ტიპის დასახლებაში კაცები ამ აქტივობებზე დღეში 0.7 საათს ხარჯავენ, ხოლო ქალების მიერ დახარჯული დრო 5-ჯერ მეტია სოფლებში (3.6 საათი დღეში) და 4.7- ჯერ მეტია თბილისსა და სხვა ქალაქებში (3.2 საათი დღეში). სრული დროით დასაქმებული ქალები აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე ხარჯავენ დღეში 2.7 საათს. ეს მაჩვენებელი 5-ჯერ აღემატება სრული დროით დასაქმებული კაცების შესაბამის მაჩვენებელს (0.5 საათი დღეში). ყველა ტიპის დასახლებაში ქალების მიერ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე დახარჯული დრო იზრდება ასაკის მატებასთან ერთად 64 წლამდე და შემდეგ იწყებს კლებას. ისეთი საოჯახო მოწყობილობები, როგორებიცაა სარეცხი მანქანა, მიკროტალღური ღუმელი და ჭურჭლის სარეცხი მანქანა, არ ცვლის აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე კაცების მიერ დახარჯულ დროს, მაგრამ ამცირებს ქალებისათვის.

აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობაში ჩართულია ქალების 31.0 პროცენტი, რაც ორჯერ და მეტად აღემატება, კაცების ამავე მაჩვენებელს (14.5 პროცენტი). ორივე სქესისთვის მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალია 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში და მცირდება ასაკის მატებასთან ერთად. აუნაზღაურებელი ზრუნვის აქტივობებზე საქართველოს მოსახლეობა დღეში საშუალოდ 0.6 საათს ხარჯავს. ქალების მიერ დახარჯული დრო (0.9 საათი დღეში) 4.5-ჯერ აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს. უმუშევარი ქალები აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობაზე ხარჯავენ დღეში 1.4 საათს, ხოლო სრული დროით დასაქმებული ქალები - 0.6 საათს. სრული დროით დასაქმებული ქალების შემთხვევაშიც კი, მათ მიერ აუნაზღაურებელი ზრუნვის აქტივობებზე დახარჯული დრო (0.6 საათი დღეში) სამჯერ აღემატება სრული დროით დასაქმებული კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (0.2 საათი დღეში). განათლების უფრო მაღალი დონის მქონე ქალები აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობაზე მეტ დროს ხარჯავენ (0.9-1.1 საათი დღეში) განათლების უფრო დაბალი დონის მქონე ქალებთან შედარებით (0.4-0.7 საათი დღეში). აუნაზღაურებელი ზრუნვის აქტივობებზე დახარჯული დროის მიხედვით ყველაზე დიდი განსხვავება ქალებსა და კაცებს შორის 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება.

აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო საქმიანობებზე ქალების მიერ დახარჯული დროის წილი 17.8 პროცენტს შეადგენს, რაც 4.8-ჯერ აღემატება კაცების შესაბამის მაჩვენებელს (3.7 პროცენტი). გენდერული თანაფარდობა თბილისსა და სოფლებში მსგავსია (4.6 და 4.5, შესაბამისად), ყველაზე მაღალი კი, სხვა ქალაქებშია და 5.1-ს შეადგენს. დასახლების ტიპის მიუხედავად, ყველა ასაკობრივ ჯგუფში, აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო საქმიანობებზე ქალების მიერ დახარჯული დრო კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს ბევრად აღემატება, ამასთან, ყველაზე მაღალი 25-44 წლის ქალებშია. ¡ მოხალისეობრივ და სხვა სახის აუნაზღაურებელ საქმიანობებზე საქართველოს მოსახლეობა ძალიან ცოტა დროს ხარჯავს (0.1 საათი დღეში). ამ აქტივობებში ჩართულია მოსახლეობის მხოლოდ 2.6 პროცენტი. ამასთან, კაცების მონაწილეობის დონე (3.0 პროცენტი) უფრო მაღალია, ვიდრე ქალების (2.3 პროცენტი). ¡ სოციალიზაციასთან დაკავშირებულ აქტივობებში მოსახლეობის 59.0 პროცენტია ჩართული. ამასთან, ქალებისა და კაცების მონაწილეობის დონე მსგავსია. დასახლების ტიპის მიხედვით, მონაწილეობის დონე უფრო მაღალია თბილისსა და სხვა ქალაქებში, ვიდრე სოფლებში. ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება ამ აქტივობებში ჩართულობის დონე - 74.2 პროცენტიდან 53.3 პროცენტამდე. სამივე ტიპის დასახლებაში ამ აქტივობებს კაცები უფრო მეტ დროს უთმობენ (2.8 საათი დღეში), ვიდრე ქალები (2.1 საათი დღეში).

დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე საქართველოს მოსახლეობა დღეში საშუალოდ 4.2 საათს ხარჯავს. კაცები საშუალოდ 4.7 საათს ხარჯავენ, რაც 0.8 საათით აღემატება

ქალების ამავე მაჩვენებელს (3.9 საათი დღეში). ყველა ტიპის დასახლებაში, ყველა ასაკობრივ ჯგუფში ამ აქტივობებზე კაცები უფრო მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე ქალები.

საკუთარ თავზე ზრუნვასთან დაკავშირებული აქტივობებიდან ყველაზე მეტი დრო ძილზე იხარჯება. საშუალოდ, საქართველოს მოსახლეობა დღეში-ღამეში ძილს 9.1 საათს უთმობს, ჭამას და სმას - 1.5 საათს, ხოლო პირად ჰიგიენას და თავის მოვლას - 1.0 საათს. დასახლების ტიპის და სქესის მიხედვით, ამ მაჩვენებლების მნიშვნელობებს შორის მკვეთრი განსხვავება არ შეინიშნება. ¦ აქტივობების განაწილების ტენდენციები 24 საათის განმავლობაში გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობა დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართულია დილის 6 საათიდან და ღამის 12 საათამდე, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობა 9 საათიდან 6 საათამდე მუშაობს. აუნაზღაურებელი ზრუნვის და საოჯახო საქმიანობები დილიდან იწყება, თუმცა პიკს 11 საათზე აღწევს და დღის ბოლომდე გრძელდება. მოსახლეობა სოციალიზაციასთან და დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებში 12 საათიდან ერთვება, თუმცა მათი დიდი ნაწილი (40-50 პროცენტი) ამ აქტივობებში ჩართულია საღამოს საათებში (20:30 – 22:30)11.

ლიტერატურა

1. (GeoStat, n.d.)
2. (SURVEY, n.d.)
3. (EUROSTAT, n.d.)

Lia Charekishvili
Professor
European University

How We Use Time - About Some Indicators of Time Use in Georgia

SUMMARY

GeoStat implemented Georgia's first-ever Time Use Survey 2020-2021. The survey aimed at generating statistically reliable and internationally comparable time use data in Georgia, improving gender statistics, estimating indicators for the Sustainable Development Goals (SDGs) and informing policies focused on gender equality.

The survey included persons from the age of 15 and above who, in their time use diaries, described the activities they conducted over 10-minute intervals for two preassigned full days.

Goal 5 of the 2030 Agenda for Sustainable Development aims to "achieve gender equality and empower all women and girls". The indicator recommended for monitoring progress in achieving this target is SDG indicator 5.4.1, defined as the "proportion of time spent on unpaid domestic and care work, by sex, age and location". The overall proportion of time spent by women on unpaid domestic and caregiving work is 17.8 percent, which is about 4.8 times that of men's time (3.7 percent). The gender ratio in Tbilisi is 4.6, in other urban areas – 5.1 and in rural areas – 4.5. In all types of settlements and in all age groups, the time spent by women on unpaid domestic and caregiving work is significantly higher than that of men. The indicator is the highest among women aged 25-44 and is 23.0 percent.

Key words (Time Use, Employment, Statistics).

11 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/783/drois-gamoqenebis-gamokvleva

ანა ჩეჩელაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა, შიდა აუდიტის დირექტორი

შიდა აუდიტის როლი და მნიშვნელობა პოსტპანდემიურ პერიოდში

თემა: შიდა აუდიტის წინაშე პოსტპანდემიურ პერიოდში არსებული გამოწვევები, შიდა აუდიტის პრიორიტეტული მიმართულებები, მაღალ პროფესიულ დონეზე მათი ჩატარების მნიშვნელობა და ხოლო წარმოქმნილი რისკების აღქმასა და სწორი პოზიციის ჩამოყალიბებაში.

მიზანი და ამოცანები: საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შიდა აუდიტის ფუნქციის ახალი ხედობისათვის მოხგება პოსტპანდემიურ პერიოდში.

მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში გამოყენებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით შემოთავაზებული მასალები, სამეცნიერო სტატიები,"დიდი ოთხეულის" აუდიტორული კომპანიების მიერ შემუშავებული მეთოდიკა ახალი ხედობისთვის.

შედეგები: ჩამოყალიბებულია შიდა აუდიტის ჩატარების შირითადი მიმართულებები და პოსტპანდემიურ პერიოდში მისი გამოყენების საპროგნოზო და უკვე დამდგარი შედეგები.

***საკვანძო სიტყვები:** პანდემიური და პოსტპანდემიური პერიოდი, დისტანციური აუდიტი, კიბერუსაფრთხოება, პერსონალის მენეჯმენტი, სოციალური დისტანცირება,*

კოვიდ 19 - ით გამოწვეულმა პანდემიამ განსხვავებული რაკურსით წარმოაჩინა საწარმოთა საქმიანობის პროცესში არსებული ტრდიციული და აქამდე უცნობი რისკები. აღნიშნულის შედეგად საწარმოები არაკომფორტულ მდგომარეობაში აღმოჩნდენენ, რისგან თავის დასაღწევადაც აუცილებელი გახდა ახალ ვითარებასთან ადაპტაცია და შესაბამისი მოქნილი ღონისძიებების შემუშავება.

პანდემიურმა ფონმა სრულიად ახალი რეალობის წინაშე დააყენა საწარმოები და სასწრაფოდ საჭირო გახდა ფოკუსირება კრიზისის მენეჯმენტზე, რომლის ფრგლებშიც გმოიკვეთა ისეთი გამოწვევები, როგორიცაა: ადგილობრივი და მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ვარდნა - შესაბამისად გართულებული წვდომა ფინანსური რესურსებზე, გადაადგილების დრამატული შეზღუდვა და შრომითი რესურსის სიმცირე ჯანმრთელობის პრობლემების, საწარმოების ან მათი ზოგიერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის შეწყვეტის ან დროებით შეჩერების გამო. განსაკუთრებული პრობლემები შეიქმნა იმ საწარმოებისათვის, რომლებიც რესურსებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული მომწოდებლებისგან მარაგდებოდნენ.

საწარმოები იძულებული გახდნენ ახალ რეალობას მორგებოდნენ და ბიზნესზე არსებული გარემოებების ნეგატიური გავლენა შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე დაეყვანათ. ამ ეტაპზე მათთვის უპირველესი ამოცანა მომხმარებლების და ბაზრების შენარჩუნება და დისტანციურ რეალობაზე მორგება იყო. ვინც ეს შეძლო, მათ უკვე რეაგირების ფაზიდან ახალი საოპერაციო მიდგომების და შიდა სტანდარტების დანერგვის ფაზაში გადაინაცვლეს. ამ კუთხით კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა შიდა აუდიტს.

შიდა აუდიტი პოსტპანდემიურ პერიოდში

შიდა აუდიტი, როგორც მოქმედი მექანიზმი, საწარმოს მწარმოებლურობის გაუმჯობესების შესაძლებლობების განსაზღვრასთან ერთად რისკების იდენტიფიცირების და მათი საწარმოსთვის მისაღებ დონემდე შემცირების შესაძლებლობების გამოვლენის გზით საწარმოს საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლების საშუალებას იძლევა.

შიდა აუდიტორების სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება რისკების მართვის თვალსაზრისით ახალ რეალობაში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი უნარი გახდა. საჭირო გახდა შიდა აუდიტის მიერ საკუთარი როლის გადასინჯვა და არსებულ რეალობაზე მორგება. მნიშ-

ვნელოვანი გახდა შიდა აუდიტის ფუნქციის პროაქტიურობის, პრაგმატულობის და მომენტალურად და დრამატულად შეცვლილი გარემოებებისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა.

კოვიდ -19-მა წარმოშვა რელური პრობლემები და პრაქტიკული სირთულეები, როგორც ფინანსური ანგარიშგების შედგენისას, ასევე აუდიტის ჩატარებისას. იზოლაციის შემდგომ პერიოდში რისკების შეფასების მეთოდიკა აუდიტის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავებულია მანამდე არსებულისაგან. პანდემიამდე შიდა აუდიტის ჩატარებისას წინა პერიოდთან შედარების კონცეფცია გამოიყენებოდა. კოვიდ -19- ით გამოწვეულმა მოვლენებმა კი შიდა აუდიტისადმი განსხვავებული მიდგომა მოიტანა. კერძოდ, საჭირო გახდა აუდიტის პროცესის აგება ისე, თითქოს ის პირველად ტარდება.

საჭირო გახდა საწარმოზე კოვიდ-19-ით გამოწვეული გავლენის გულდასმით გამოვლენა და რისკების შეფასებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე საწარმოს ინდუსტრიის რეგულირების სისტემის ცვლილების, პანდემიასთან ბრძოლის საქმეში შემუშავებული სქემების, სახელმწიფო სესხებთან და საქმიანობის იძულებით შეჩერებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის გზების, სწარმოს ფინანსური რესურსებისა და საბანკო ოპერაციების მდგომარეობის შესწავლა.

პოსტპანდემიურ პერიოდში აუცილებელი გახდა ახალი სტრატეგიის შემუშავება. შიდა აუდიტის მიზნად დასახულ იქნა საწარმოს გადარჩენისაკენ მიმართული მოკლევადიანი მიზნების გამოვლენა, მომავალი 2-3 წლისათვის საწარმოს სტრატეგიის გადასინჯვა და „ნორმალურ მდგომარეობამდე“ დაბრუნების შესაძლებლობის დადგენა. ასევე აუდიტის მიზნად იქცა იმის გამოვლენა პოსტპანდემიურ პერიოდში გადაისინჯა თუ არა ფინანსური, ბიზნესის მართვის და საინფორმაციო ტექნოლოგიების კონტროლის სისტემები. ეს სისტემები შეიცვალა პანდემიის სტადიის შეცვლის შესაბამისად: საწყისი იზოლაციები, იზოლაციის შემდგომი რეჟიმი და ბოლოს ოფისებში ფიზიკურად დაბრუნების რეჟიმი.

შიდა აუდიტის მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარების შედეგად შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული პანდემიით გამოწვეული იზოლაციისა და დისტანციური მუშაობის შედეგად წარმოქმნილი შეუსბამობები და თაღლითობის შემთხვევები. ამის შედეგად უნდა გაქრეს შექმნილი ილუზია, რომ დისტანციურად მომუშავე აუდიტორები ვერ შეამჩნევენ შეცდომებს და ხარვეზებს და ნაკლებად ეფექტურად მუშაობენ საგადასახადო ორგანოები.

შიდა აუდიტის პროცესში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კიბერუსაფრთხოება და მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა. ჯერ კიდევ პანდემიამდე პერიოდში არაერთხელ, საწარმოთა ციფრულ ტრანსფორმაციასა და ბიზნესში გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, შეიცვალა საწარმოთა სტრატეგია. საწარმოები სულ უფრო აქტიურად ცდილობენ ციფრული არხებით, ხელოვნული ინტელექტისა და მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენებით კომუნიკაციას მომხმარებლებთან და თანამშრომლებთან. კიბერუსაფრთხოება და მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა ისედაც იყო ერთ - ერთი მნიშვნელოვანი რისკი ციფრული ტრანსფორმაციის ერაში, თუმცა პანდემიამ კიდევ უფრო წინ წამოწია და მას მეტი მნიშვნელობა შესძინა. ზოგადად კიბერუსაფრთხოება პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანურ ფაქტორთან. როდესაც თანამშრომლები მუშაობდნენ დაცულ სამუშაო გარემოში, ყველას ჰქონდა შეგრძნება რომ შესაბამისი პირები ზრუნავდნენ კომპანიის კიბერუსაფრთხოებაზე. დისტანციური მუშაობის რეჟიმმა კი სიტუაცია რადიკალურად შეცვალა. შიდა აუდიტის ეფექტური პროგრამით ჩატარებისას შესაძლებელია გამოვლინდეს, თუ როგორ ჰქონდათ საწარმოს თანამშრომლებს წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე და შეეძლოთ თავიანთი მოვალეობების შესრულება, ისე, რომ ეს მონაცემები სრულად დაცული ყოფილიყო კიბერშეტევებისაგან.

ციფრული კომუნიკაცია და საწარმოს დისტანციურად მართვის პრაქტიკა სულ უფრო და უფრო იმკვიდრებს თავს. ინფორმაციის უსაფრთხო გაცვლა როგორც კრიზისის (მათ შორის პანდემიის) დროს ისე ახალ, პოსტ პანდემიურ პერიოდში მთავარი რისკი იქნება. დისტანციური მუშაობის დროს თანამშრომლებს კრიტიკულ ინფორმაციაზე და ინფრასტრუქტურაზე

წვდომა პერსონალური მოწყობილობების ან ღია ინტერნეტ კავშირების გავლით ჰქონდათ, რამაც უფრო მიმზიდველი და ხელმისაწვდომი გახადა საწარმოების ინფორმაცია კიბერშეტევებისთვის. საწარმოები კი ასეთი სცენარისათვის მზად არ იყვნენ.

კიბერუსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის რისკის განსაზღვრაში კრიტიკული ფაქტორია ადამიანური ქცევა. უსაფრთხო დისტანციური მუშაობის უზრუნველყოფა არ იყო ამ საკითხის მხოლოდ მოკლევადიანი გადაწყვეტა. აქ ჩნდებოდა კითხვა, რამდენად უღირდა საწარმოს ფინანსური და ადამიანური რესურსების ხარჯვა, თუ პანდემია უფრო სწრაფად დასრულდებოდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ჩაითვალა, რომ ამ ხარჯების გაწევა აუცილებელი იყო. იმ საწარმოებმა, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი დისტანციურ რეჟიმს, მოახდინეს შემოსავლების აკუმულირება, კლიენტებისა და თანამშრომლების შენარჩუნება, სასურველია მუშაობის ეს სტილი პოსტპანდემიურ პერიოდშიც გამოიყენონ. ამის გათვალისწინებით შესაძლებელია ოფისის იჯარის, კომუნალური ხარჯების და სხვათა მნიშვნელოვანი დაზოგვა და თანამშრომელთა გარკვეული ფენის კეთილგანწყობის მოპოვება.

პოსტპანდემიურ პერიოდში შიდა აუდიტის მიერ უნდა შეფასდეს არსებული კონტროლის გარემო და მან გადამწყვეტი როლი შეასრულოს ტექნოლოგიური განვითარების შედეგად წარმოქმნილი რისკების აღქმასა და სწორი პოზიციის ჩამოყალიბებაში. კიბერუსაფრთხოების რისკის ანალიზისას შიდა აუდიტორთა მიერ აუცილებელია შემდეგი გარემოებების გათვალისწინება:

შესაბამისობა საერთაშორისო პრაქტიკასთან და ადგილობრივ კანონმდებლობასთან. ბევრ ქვეყანაში აღნიშნული რისკის მართვის საბაზისო საფეხურები რეგულირდება საკანონმდებლო დონეზე. ეს განსაკუთრებით სენსიტიური ინფორმაციის მფლობელ საწარმოებს ეხება, როგორიცაა ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო კომპანიები და სამედიცინო კორპორაციები;

მესამე მხარეებთან ურთიერთობა: შეფასება და შერჩევა, მათი უსაფრთხოების სტანდარტების მონიტორინგი (security plans) და აშ;

წვდომების მართვა: პრივილეგირებული წვდომების მქონე მომხმარებელთა სიის გადახედვა/გადაფასება, დაუცველი არხებიდან წვდომების კონტროლი;

ფიზიკური და ინფორმაციული აქტივების უსაფრთხოება: მონაცემთა კლასიფიკაცია და აღრიცხვა, მონაცემთა კრიპტაცია და დამახინჯება, ჩანაწერების წარმოება, ფიზიკური უსაფრთხოება და ქურდობის ან დაკარგვის პრევენცია ;

კიბერუსაფრთხოების შესახებ თანამშრომელთა ცნობადობა: რა ღონისძიებები ტარდება ცნობადობის ასამაღლებლად, ხდება თუ არა ტრენინგების მასალების განახლება, ტრენინგებზე დასწრების და ტესტირების უზრუნველყოფა, თანამშრომლებისთვის ფიშინგის ელფოსტის სიმულაცია პერიოდულად. შემოწმება იმისა ხდება თუ არა თანამშრომლების მხრიდან პროცესის გამარტივების და დროის დაზოგვის მიზნით შემოღებული წესების გვერდის ავლა;

საფრთხეების და სისუსტეების მენეჯმენტი: შეღწევადობის ტესტირება, საფრთხეების მოდელირება და მართვა, ინციდენტებზე პასუხი და მოკვლევა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა;

ცვლილებების მენეჯმენტი კომპანიის მასშტაბით, ნებისმიერ პროცესთან მიმართებაში: რისკების შეფასება, თანხვედრა სხვა პროცესებთან.

განთავისუფლებული (დათხოვნილი) თანამშრომლებისა და ჩანაცვლებული კონტრაქტორების მიერ გამოწვეული მიზანმიმართული ან გაუცნობიერებელი ინსაიდერული ქმედებების რისკის მართვის ეფექტურობა

პანდემიამ ნათლად წარმოაჩინა, რომ კრიზისი შეიძლება შეეხოს საწარმოს საქმიანობის ნებისმიერ ასპექტს. უპირველეს ყოვლისა მან გავლენა მოახდინა საქმიანობის უწყვეტობაზე. პანდემიამდე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საწარმოს მდგრადობისა და უწყვეტად ფუნქციონირების უზრუნველყოფას. საწარმოთა უმრავლესობას შემუშავებული

ჰქონდა კრიტიკული სიტუაციებიდან გამოსვლის გეგმა. ამ სიტუაციებში იგულისხმებოდა ძირითადად ბუნებრივი კატასტროფები, ტექნიკური გაუმართაობები და ა.შ. ასეთ სიტუაციებთან შეხება საწარმოებს ძირითადად ჰქონდათ და მათგან გამოსვლის საუკეთესო პრაქტიკა არსებობდა, რაც რეალურად გულისხმობდა ყველაზე ფასეული აქტივების, სერვისების და პროცესების იდენტიფიცირებას და ზრუნვას მათი სხვადასხვა საფრთხეებისაგან დასაცავდ. პოსტპანდემიურ პერიოდში უკვე ცნობილ და შეწავლილ მოვლენებთან ერთად აუდიტის ობიექტად იქცა ისეთი გლობალური მოვლენები, როგორიცაა პანდემიისა და საერთაშორისო კრიზისის გამოწვევის პოტენციალის მქონე სხვა მოვლენების გავლენა საწარმოს საქმიანობაზე.

შიდა აუდიტის მიერ უნდა შემოწმდეს თუ რამდენად შეესაბამება ბიზნესის უწყვეტობის გეგმა რეალურ სიტუაციას, რამდენად შესრულდა გეგმით გათვალისწინებული ქმედებები და საჭიროებს თუ არა გეგმა განახლებას. თუმცა ეს შედარებით უფრო სტანდარტული მიდგომაა.

საყურადღებოა საზოგადოებასთან კომუნიკაციის კომპონენტი. პანდემიის და პოსტპანდემიურ პერიოდში მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელმა კომპანიებმა, როგორიცაა ბანკები, სატრანსპორტო კომპანიები, კომუნალური სერვისების მომწოდებელი და საწვავის მიმწოდებელი კომპანიები, დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ რეპუტაციას და შესაბამისად მომხმარებლებთან დ აქციონერებთან ურთიერთობას. პანდემიის შედეგად მიღებული გამოცდილების ფონზე შესაძლებელია შიდა აუდიტით შემოწმდეს რამდენად მზადაა საწარმო კრიზისის დროს საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის და ვინ არის ამ ფუნქციაზე პასუხისმგებელი, ვის აქვს სოციალურ მედიასა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებზე წვდომა და რა კონტროლის მექანიზმებია დანერგილი ამ პროცესის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. განყენებულად კრიზისის მართვა არასაკმარისია. აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს ეფექტური კომუნიკაცია, რაც ხშირ შემთხვევაში გარდამტეხია კომპანიის რეპუტაციის აღდგენისა და ბრენდისადმი ნდობის ამაღლების მიმართულებით.

სრულიად გასაგებია რომ საწარმოები ასეთი სცენარისათვის მზად არ იყვნენ, მაგრამ პანდემია გახდა მათთვის ბიზნესის მდგრადობის არსებული შეფასების გადასინჯვის კარგი შესაძლებლობა რეალური ვითარებიდან გამომდინარე. აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია შეფასებების შეცვლა, რათა ბიზნესი გახდეს უფრო ადაპტირებადი გარემოს ცვლილებების მიმართ და აქედან გამოწვეული ზარალი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

დისტანციური მუშაობის დასრულების შემდეგ, საწარმოები დადგნენ არჩევანის წინაშე: შეეთავაზებინათ პერსონალისთვის ოფისებში დაბრუნება შეზღუდული რაოდენობით რათა უზრუნველეყოთ სოციალური დისტანცირების პრინციპი, თუ გაეგრძელებინათ დისტანციური მუშაობა ხანგრძლივად.

სამსახური თანამედროვე პერიოდში მხოლოდ შესასრულებელი საქმე როდია. კანდიდატები გადაწყვეტილებას იღებენ არა მხოლოდ საკომპენსაციო სქემის მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებსაც, როგორიცაა: კეთილმოწყობილი ოფისი, ორგანიზაციული კულტურა, სოციალური აქტივობები, დასაქმებული ადამიანები და აშ. ამ გარემოებების გათვალისწინებით შესაძლებელია გასაუბრებები, ახალი თანამშრომლების მიღება და ტრენინგები ისევ იყოს ოფისებში. ეს რამდენიმე ფაზა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ადამიანური კაპიტალის მართვაში, ვინაიდან მათი დისტანციურად ჩატარებისას შეიძლება დაიკარგოს პერსონალის ერთიანობის, საერთო მიზნების და ზოგადად კორპორატიული კუთვნილების შეგრძნება.

ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც კომპანიის ბიზნეს ინტერესები, ასევე პერსონალის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა(ხანგრძლივი დროით იზოლაცია საზოგადოებისგან შესაძლოა დრამატულად აისახოს პიროვნების ემოციურ მდგომარეობაზე).

კომპანიის წარმატების ერთ ერთი განმაპირობებელი ფაქტორი სწორედ კვალიფიცირებული და მოტივირებული კადრებია. მათ მიმართ კრიტიკულ დროს გამოჩენილი მზრუნველობა და თანაგრძნობა აუცილებლად დადებითად აისახება როგორც შედეგებზე, ისე კადრების

შენარჩუნების მაჩვენებელზე. და ეს ცხადია გავლენას იქონიებს დადებით საზოგადოებრივ გამოხმაურებასა და რეპუტაციაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ პერსონალის მენეჯმენტი (ანუ პერსონალის მართვის სისტემა) თანხვედრაში უნდა იყოს საწარმოს სტრატეგიასთან, შიდა აუდიტმა უნდა მოიპოვოს იმის მტკიცებულება, რომ ბიზნესს აქვს გაცნობიერებული მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში საწარმოს წარმატებების უზრუნველსაყოფად საჭირო უნარები და კომპეტენციები. აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ფლობს თუ არა საწარმოს პერსონალი შესაბამის ცოდნას მომავალში ინოვაციური პროექტების შესასრულებლად. აუდიტის არეალში უნდა მოხვდეს ასევე კადრების მიმართ მიუკერძოებელი და სამართლიანი დამოკიდებულების შესახებ რწმუნების გაცემა, ასევე ორგანიზაციული კულტურის შესწავლა, თუ რამდენად შეესაბამება პერსონალის ქცევა საწარმოს აღიარებულ ღირებულებებს და ხელს უწყობს დასახული მიზნების მიღწევას. აღნიშნულის მნიშვნელობა ცხადია ვლინდება დისტანციური მუშაობის პირობებში, როდესაც კადრებთან ყოველდღური უშუალო კონაქტი მინიმუმამდეა დაყვანილი და იზრდება დემოტივირების, ღირებულებების უგულებელყოფის და კორპორატიული კუთვნილების შეგრძნების დაკარგვის რისკი.

გარდა კომპანიის საკადრო პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული საკითხებისა, შიდა აუდიტის ფუნქცია დადგა გამოწვევის წინაშე: რამდენად შეესაბამება კადრების კვალიფიკაცია და არის თუ არა შესაძლებელი ჩატარდეს დისტანციური აუდიტები პანდემიის ფონზე გაზრდილი უსაფრთხოების, ბიზნესის უწყვეტობის და ლიკვიდურობის და სხვა რისკების მართვის კუთხით. როგორ იქნება უზრუნველყოფილი ხარისხი, მოპოვებული მტკიცებულებების სანდოობა.

პანდემიის პირობებში არსებული შეზღუდვების შედეგად შეცვლილმა მომხმარებელთა ქცევამ მნიშვნელოვნად შეამცირა მრავალი საწარმოს შემოსავალი და მოგება. საწარმოები თავდაპირველი „დარტყმის“ დროს, ცხადია მზად არ იყვნენ ასეთი გლობალური კრიზისისთვის. მათი უპირველესი ამოცანა იყო ჯანმრთელობის უზრუნველყოფა და კიბერუსაფრთხოების რისკების მართვა. თუმცა, პირველი შოკის გასვლის შემდგომ, ერთ ერთი უპირველესი ამოცანა საწარმოს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა და ლიკვიდურობის რისკის მართვა გახდა.

ასეთ დროს საწარმოს მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს კომპანიის დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, მარაგები, ფული და მისი ეკვივალენტები. უნდა შეფასდეს საბრუნავი კაპიტალის ხარჯი, მარჟები და და ნაკლებად რენტაბელური ბიზნეს მიმართულებები (პროდუქცია, სერვისი). მსოფლიოს უმსხვილესი კორპორაციების მმართველების ნაწილის მოსაზრებით, საოპერაციო ეფექტურობის გაუმჯობესება იქნება საუკეთესო პასუხი პანდემიის გამოწვევებზე.

დასკვნა:

პოსტპანდემიურ პერიოდში საწარმოთა საქმიანობის გაუმჯობესებისა და პანდემიით გამოწვეული ნეგატიური გავლენის აღმოფხვრის მიზნით, შიდა აუდიტის მიერ უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

ახალი სტრატეგიის შემუშავება, საწარმოს გადარჩენისა და „ნორმალურ მდგომარეობამდე“ დაბრუნებისაკენ მიმართული ფინანსური, ბიზნესის მართვის და საინფორმაციო ტექნოლოგიების კონტროლის სისტემების გადასინჯვა;

ბიზნესის უწყვეტობის, კიბერუსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება;

საწარმოს საქმიანობაზე პანდემიისა და საერთაშორისო კრიზისის გამოწვევის პოტენციალის მქონე სხვა მოვლენების გავლენის დადგენა;

მომხმარებლებთან და აქციონერებთან ურთიერთობის, საწარმოს რეპუტაციის აღდგენისა და ბრენდისადმი ნდობის ამაღლების კომპონენტის გამოკვლევა;

ადამიანური კაპიტალის მართვის მიზნით საწარმოს საქმიანობის გარკვეული უბნების დისტანციური მუშაობის ოპტიმალურად შენარჩუნება, ისე, რომ არ დაიკარგოს პერსონალის ერთიანობის, საერთო მიზნების და ზოგადად კორპორატიული კუთვნილების შეგრძნება.

ლიტერატურა

1. https://assets.kpmg.com/content/dam/kpmg/ie/pdf/2022/11/ie-internal-audit-key-thematic-areas.pdf
2. https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/uk/Documents/financial-services/deloitte-uk-deloitte-itia-hot-topic-report-digital.pdf
   https://www.pwc.com/us/en/library/covid-19/internal-audit.html
3. https://assets.kpmg/content/dam/kpmg/cy/pdf/2020/04/impact-of-the-covid-19-crisis-on-internal-audit-functions-of-financial-institutions.pdf
4. https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/uk/Documents/audit/deloitte-uk-internal-audit-response-to-covid-19.pdf
5. https://www.cpajournal.com/2020/07/29/the-impact-of-covid-19-on-internal-audit/
6. https://atasu.journals.ekb.eg/article_181073_2dba0b060035186f1c7da7470a4d676a.pdf

Ana Chechelashvili
PhD in Business Administration
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The role and significance of Internal Audit function in post COVID-19 pandemic period

SUMMARY

The article presents role of audit during and post COVID-19 pandemic. New priorities for the risks affected by changed reality. Top issues, such as cyber security and data security, human capital, business continuity are analyzed. The importance of the internal audit function in reducing risks to an acceptable level for enterprises is emphasized.

Keywords: COVID-19 pandemic and post pandemic period, online/remote audit, cybersecurity, human capital management, social distance.

მიხეილ ჩიკვილაძე
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კოვიდ - 19 პოსტ-პანდემიური პერიოდის ეკონომიკის აღდგენის (ფაქტორები) პერსპექტივები

2021 წლის დასაწყისიდან მკაფიო გახდა ეკონომიკის აღდგენის გაცილებით სწრაფი ტენდენცია, მიუხედავად ამისა, პანდემიის დაწყებიდან დღემდე მაღალი რჩება გაურკვევლობა გლობალური ეკონომიკის აღდგენის პერსპექტივებზე. ამ ეტაპისათვის ეკონომიკის აღდგენის ტემპი, სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზეა დამოკიდებული, მათ შორის, რამდენად ეფექტიანად განხორციელდება სამედიცინო ღონისძიებები ვირუსის გავრცელების შესაზღუდად, რამდენად წარმატებული იქნება ეკონომიკის მხარდასაჭერი ღონისძიებები ხანგრძლივი დაზიანების აღმოსაფხვრელად და სხვ.

საკვანძო სიტყვები: *კოვიდ - 19 პანდემია, ბიუჯეტი, დივერსიფიკაცია, დეფიციტი, ინფრასტრუქტურა*

კოვიდ-19 პანდემიამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე. ვირუსმა სრულიად შეცვალა საქართველოს ეკონომიკის მართვის დღის წესრიგი, გამოიწვია ქვეყნის მასშტაბით მიწოდების გლობალური ჯაჭვის რღვევა, შემცირდა მიწოდება, გაიზარდა ინფლაცია და გაუფასურდა ქვეყნის ვალუტა. მიწოდების შემცირების გამოწვევის ძირითადი მიზეზი დახურული საწარმოები და დარჩენილი დაუსაქმებელი მუშა ხელი აღმოჩნდა, რომელსაც თან ახლდა გაურკვევლობა და მომავლის შიში, მიუხედავად ამისა, 2021 წლის ბოლოს ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების იმედი გამოჩნდა, ეტაპობრივად დაიწყო წარმოება-დაწესებულებების ამუშავება, აღდგა მიწოდების გლობალური ჯაჭვი, საქართველო უბრუნდებოდა პანდემიამდელ მდგომარეობას, რა დროსაც 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ჯარების შეჭრამ უკრაინის ტერიტორიაზე კვლავ პრობლემები შეუქმნა საქართველოს ეკონომიკას, შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია რუსეთიდან ემიგრაციის ზრდა, რასაც მოყვა კაპიტალის შემოდინება, ბიზნესის გადმოტანა, ქონებაზე მოთხოვნის ზრდა, რაც აისახა ქართული ლარის გაცვლით კურსზე და ზოგადად საქართველოს მთლიან ეკონომიკაზე ქრონოლოგიურად წლების მიხედვით ეკონომიკა სხვადასხვაგვარი ტენდენციებით ხასიათდებოდა:

კორონა ვირუსის პანდემიამ 2020 წელს, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე და შედეგად, რეალური ეკონომიკის შემცირებამ 6.8 % შეადგინა. ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებმა, საქართველომაც ეკონომიკური რეცესია განიცადა, ეკონომიკურმა ვარდნამ გამოიწვია შემოსავლების შემცირება და ამავდროულად პანდემიაზე საჭირო გახდა დამატებითი ხარჯების გაწევა, შედეგად, 2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის ვალი და მშპ-ს 60 %-ს გადააჭარბა, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ს 9.3 % შეადგინა.

საქართველოს მთავრობამ განახორციელა ფისკალური დახმარების მრავალი ღონისძიება, კოვიდ პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შესამსუბუქებლად.

2020 წელს პანდემიის საპასუხოდ ფიზიკური პირებისა და ბიზნესისათვის გაწეულმა ფისკალურმა დახმარებამ 1.86 მლრდ. ლარი შეადგინა (მშპ - ს 3.8 %).

2021 წლის მარტი-აპრილიდან უკვე მკაფიო გახდა ეკონომიკის აღდგენის გაცილებით სწრაფი ტემპი.

კოვიდ რეგულირების ფონზე, 2021 წლის დასაწყისში პირველი კვარტალის ეკონომიკურმა ზრდამ - 4,5 % შეადგინა, მიუხედავად ამისა, 2021 წლის მეორე კვარტალის დასაწყისიდან ქვეყანამ სწრაფი აღდგენა დაიწყო და ეკონომიკა 29,9 %-ით გაიზარდა, ეკონომიკური ზრდის ტენდენცია დასტაბილურდა, მაგრამ მაინც მაღალი ნიშნული შეინარჩუნა, შედეგად, პირველი სამი კვარტალის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ -11,3 % შეადგინა.

როგორც უკვე აღინიშნა ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიამ უარყოფითი გავლენა მოახდინა, ტურისტული მომსახურების ექსპორტის კლებამ და მობილობის შემცირებამ შეაფერხა სამომხმარებლო პროდუქტების მიწოდების არხები, რამაც პანდემიის გავრცელების საწყის ეტაპზე ინფლაციის ზრდა გამოიწვია, შედეგად, 2021 წელს მაღალი ინფლაცია დაფიქსირდა. მაღალი ინფლაცია (12.5 %) ძირითადად განპირობებული იყო სურსათის პროდუქტებისა და ტრანსპორტირების ფასების ზრდით, რაც ძირითადში მსოფლიო ბაზარზე სურსათისა და ნავთობის ფასების ზრდით იყო განპირობებული.

მთავრობის მიერ, 2021 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტთან თანდართული სცენარების დოკუმენტში წარმოდგენილი იყო შემდეგი რისკ ფაქტორები:

- პანდემიის გამწვავება - ფაქტობრივად ეს რისკი ნაწილობრივ მატერიალიზდა, 2021 წლის აგვისტოს საშუალო დღიური შემთხვევების რაოდენობამ 4202 შეადგინა. გარდაცვლილთა დღიური რაოდენობა გაუტოლდა 51-ს რამაც ურყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ აქტივობაზე;
- 2021 წლის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, ირკვევა, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი აღემატება 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელს 45,6 %-ით, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების დონემ, 2019 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 31,1 % შეადგინა. 2021 წლისათვის ფიქსირდებოდა, როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური ტენდენციები, ერთი მხრივ გაზრდილია სავაჭრო ბრუნვა, ხოლო მეორე მხრივ ადგილი აქვს მიწოდების გაზრდილ დანახარჯებს, რაც განისაზღვრება მომატებულ ინფლაციურ ტენდენციებში;
- 2021 წლის მეორე ნახევარში შეინიშნებოდა ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა, რაც ამცირებდა ამ რისკ ფაქტორის მატერიალიზირების შეფასებას;
- საგულისხმოა, რომ აღნიშნული რისკ ფაქტორების მატერიალიზაციის ნიშნები 2021 წლის ბოლოს არ გამოიკვეთა, უფრო მეტიც, მთელ მსოფლიოში გაზრდილია, როგორც საგარეო, აგრეთვე შიდა მოთხოვნა, თუმცა ყურადღებას იქცევს ის, რომ საქართველოს ეკონომიკის ზრდა, ძირითადად მოხმარების აღდგენის ხარჯზე მიმდინარეობდა;
- წარმოების სწრაფი აღდგენის ტენდენციამ, აღნიშნულ პერიოდში გაზარდა საგადასახადო შემოსავლები და ბიუჯეტის რესურსი, შესაბამისად გაზრდილი რესურსის ნაწილი მიმართული იქნა კონსოლიდაციის პროცესის დაჩქარებისკენ, ხოლო ნაწილი მოხმარდა ჯანდაცვას, კაპიტალურ ხარჯებს, სოფლის მეურნეობისა და მწარმოებლური სექტორების ხელშეწყობას, რასაც თან უნდა მოჰყოლოდა კაპიტალური ხარჯების ზრდა და ჩამორჩენილი დარგების აღდგენის პროცესის დაჩქარება;
- 2021 წელს საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლები 16.9 მლრდ. ლარით განისაზღვრა, რაც 2020 წლის ბიუჯეტთან შედარებით 1.6 მლრდ ლარით ნაკლებია.

პანდემიამდელ პერიოდში ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის პროცესები ეტაპობრივად მძიმდებოდა რეგიონში და მათი მატერიალიზაცია პანდემიის გარეშეც იყო მოსალოდნელი, თუმცა პანდემიის შემდეგ მათი რეალიზაციის ალბათობა იზრდება, რაც ძირითადად შემდეგი გარემოებებითაა განპირობებული:

- მთელი რიგი ქვეყნების მაღალი დამოკიდებულება ნავთობისა და სხვა ნედლეულის პროდუქტებზე;
- ეკონომიკის დივერსიფიკაციის დაბალი დონე;
- შიდა პოლიტიკური პრობლემები და არამდგრადობა;
- სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორებისათვის; სანქციების დაწესების საშიშროება;
- გაყინული კონფლიქტები;
- პოლიტიკური არასტაბილურობა და სხვ.

რეგიონებიდან მომავალი რისკები კვლავ რჩება საქართველოს ეკონომიკის მთავარ პრობლემად. 2021 წელს კოვიდ-19-ით შექმნილ პრობლემებს ემატება საქართველოს მოქალაქეთა შრომითი და სოციალური პრობლემებიც. უნდა საქართველოს მოქალაქეების დიდმა ნაწილმა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებად გადინებას მიმართა - საქართველოში დარჩენილ ოჯახების წევრთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით. 2021 წელს ემიგრაციაში წასულ პირთა რაოდენობა 900 000 - ს (24 %) აღემატებოდა. ქართველ ემიგრანტთა უმეტესობა რეგიონში არსებულ ქვეყნებში ამჯობინებენ გადასვლას, მიგრირებულთა რაოდენობის (0,5 მლნ.) მიხედვით, პირველ ადგილზე რუსეთია. მიგრირებულთა (ძირითადი ნაწილის) საქმიანობა მეწარმეობასთანაა დაკავშირებული. რუსეთს წამყვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე, ფულადი გზავნილების მოცულობის სიდიდითაც. საქართველოდან ემიგრირებულთა მხრივ, რიგით მეორე ქვეყანა საბერძნეთია, რომელშიც ემიგრანტთა ძირითად ნაწილს ქალბატონები შეადგენენ და საოჯახო მომსახურების სერვისის ნაწილში არიან დასაქმებულნი. საბერძნეთზე გაზრდილი მიმართვიანობის მიზეზად დასაქმების შესაძლებლობა, ადვილი საემიგრაციო პროცესი და მისაღები ანაზღაურება სახელდება.

2010 -2020 წლებში ემიგრანტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აშშ-ს მიმართულებითაა გაზრდილი (80 %), გაზრდილია ემიგრანტთა რიცხვი იტალიის მიმართულებითაც (60 %), იტალიამ გარდა საქართველოდან ემიგრანტთა რაოდენობრივი ზრდისა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა გზავნილების მოცულობაშიც და სტაბილურად ისევ მეორე პოზიციაზეა, მესამე ადგილზე კი, ემიგრანტთა ზრდით - აშშ-ია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტერესი გზავნილების მოცულობის მიმართ გამოწვეულია ძირითადად სავალუტო ბაზარსა და ეკონომიკაზე ვალუტის კურსის გავლენით. მნიშვნელოვან ყურადღებას საჭიროებს სავაჭრო სალდოს უარყოფითი მაჩვენებელი, ვინაიდან, იმპორტირებულ პროდუქციაში საქართველო გაცილებით მეტს იხდის ვიდრე ექსპორტზე გატანილი პროდუქციიდან მიღებული შემოსავალია, აქ კი, ერთგვარ დამაკომპენსირებლად გზავნილებსა და სხვა სავალუტო შემოსავლებს უდიდესი როლი ენიჭება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი ძალზე უმნიშვნელოა.

2020 – 2023 წლების სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზიდან იკვეთება, რომ ომის ეფექტი და მისი გავლენა ეკონომიკაზე თითქოს ყველაფრის ახსნაა, თუმცა მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორების ანალიზიც, კერძოდ, გზავნილები უკრაინიდან, რუსეთიდან და ბელორუსიიდან ერთადერთი საშუალება ნამდვილად არ არის, აღნიშნული ქვეყნებიდან აქტიურად ხდება თანხის შემოტანა, კრიპტოვალუტის დახმარებითაც, ამ მეთოდს ძირითადად რუსეთის მოქალაქეები იყენებენ, მიზეზი კი, რუსეთის მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვებია, რომელიც ქვეყნიდან ვალუტის თავისუფლად გატანას ეხება, დიდია სანქციების ეფექტიც, რომელის საბანკო გადარიცხვების შეზღუდვას იწვევს.

2021 წელს მობილიზებულმა ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა 19,4 ლარი შეადგინა (100,8 %), მათ შორის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სახით მობილიზებულია 17,4 მლრდ ლარი (100,2 %). ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების შესრულებამ შეადგინა 23,1 მლრდ ლარი (100,2 %), მათ შორის, კაპიტალურმა ხარჯებმა 6,0 მლრდ. ლარს გადააჭარბა (100 %).

2022 წლის ბოლოს საქართველოში გზავნილების ჯამურმა მოცულობამ 3,315 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როდესაც 2021 წლის ჯამური შედეგია 2.348 მლრდ. აშშ დოლარი. ანალიზი ცხადჰყოფს, რომ მოკლე ვადიან პერიოდში აღნიშნული შემოსავალი ლარის სტაბილურობას უწყობს ხელს, ქმნის მოკლევადიან ეფექტს, რაც მოსახლეობაშიც პოზიტიურ მოლოდინებს აჩენს.

2022 წელს ინფლაცია გამოწვევა იყო ეკონომიკის მთელი რიგი დარგებისათვის, მათ შორის, სარესტორნო ბაზრებისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის შემდეგ ამ სფეროს წარმომადგენლებმა მომხმარებელი დაიბრუნეს, გაძვირდა კერძებისათვის საჭირო ინგრედიენტები, წლის განმავლობაში მკვეთრი ცვლილებებით ხასიათდებოდა ფასები, წლიური

ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებლის მიუხედავად, ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკა არ გამკაცრებულა. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2022 წლის ბოლოს, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ლარის კურსმა მკვეთრი გამყარება დაიწყო. საქსტატის ცნობით ქვეყნის ეკონომიკამ დაიწყო ზარდა და 2022 წლის დეკემბრის წინასწარი მონაცემებით წლის მესამე კვარტალში ქვეყნის რეალურმა შიდა პროსუქტმა 9,8 %-ით იმატა და 19,3 მლრდ. ლარი შეადგინა, აქედან 50 %-ზე მეტი მხოლოდ დღგ-ზე მოდის. 2022 წელს ეკონომიკაზე გადამწყვეტი გავლენა საგარეო ნაკადებმა იქონია, რაშიც მოიაზრება უცხოური ინვესტიციების ექსპორტის მაჩვენებელი, ტურიზმის აღდგენა და რათქმაუნდა მიგრანტთა დიდი ნაკადი. 2022 წლის ბოლოს რუსეთიდან 121,454 მოქალაქე შემოვიდა.

2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები შესრულებულია 23, 7 მლრდ ლარით, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 101,1 %-ია.

უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის თავდაპირველი ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი განსაზღვრული იყო 4,4 %-ით მშპ-სთან მიმართებით, თუმცა წლის განმავლობაში ბიუჯეტის დეფიციტი ეტაპობრივად იქნა შემცირებული და 3,1 % შეადგინა, წლის ბოლოსათვის 9,8 %-მდეა შემცირებული აგრეთვე ინფლაციის მაჩვენებელი.

2022 წელს მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა შესაძლებელი გახადა დაგეგმილთან შედარებით 700,0 მლნ ლარით შემცირებულიყო ვალის აღება, შედეგად ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა მშპ-ს 3,2 %-მდე, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი ჩამოცდა მშპ-ს 40 %-ს რამაც შესაძლებელი გახადა ვალის მაჩვენებლის პანდემიამდელ დონეზე შემცირება.

2023 წლისათვის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კვლავ რეალობიდან გამომდინარეა დაგეგმილი, კერძოდ:

- რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5 %-ის ფარგლებში
- მშპს-ს დეფლატორის პროგნოზი ასევე 5 %-ს შეადგენს
- ნომინალური მშპ-ს პროგნოზი განსაზღვრულია 79,6 მლრდ ლარით
- ერთ სულ მოსახლეზე მშპ თითქმის 7500 დოლარს უტოლდება

2023 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 5 %-იან ეკონომიკურ ზრდაზე, ნომინალური მშპ 79 მლრდ 685 მლნ ლარს შეადგენს, ბიუჯეტის დეფიციტი 2.8 %-ია, რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, სახელმწიფო ბიუჯეტის ასგინებების მოცულობა 2023 წელს 2,0 მლრდ ლარით გაიზრდება.

2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად შეადგენს 24, 3 მლრდ. ლარია, რაც საშუალებას იძლევა ბიუჯეტმა სრულყოფილად უპასუხოს ქვეყნის ძირითად გამოწვევებს, კერძოდ, 2023 წლის ბუჯეტში გათვალისწინებული ასიგნებებიდან გამოვყოფდი სოციალური მიმართულებით დაფინანსებას, კერძოდ, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 700,მლნ ლარზე მეტით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 290,0 მლნ ლარით, გარდა ამისა, ბოლო 5 წლიან პერიოდში 2022 წელს, საჯარო სექტორში პირველად განხორციელდა ხელფასების მატება და საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასის ზრდამ 10 % შეადგინა. 2023 წელს მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად, ჯამში ნაერთი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიემართება 6 მლრდ ლარზე მეტი და სხვ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ პანდემიის დაწყებიდან დღემდე კვლავ მაღალი რჩება გაურკვევლობა გლობალური ეკონომიკის აღდგენის პერსპექტივებზე, ეკონომიკის აღდგენის ტემპი განსხვავებულია ეკონომიკური სექტორების მიხედვით და განპირობებულია ერთი მხრივ პანდემიით გამოწვეული დაზიანების ხარისხით, მეორე მხრივ კი ეკონომიკის საპასუხო მხარდამჭერი ღონისძიებებით. ამ ეტაპისათვის ეკონომიკის აღდგენის ტემპი სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზეა დამოკიდებული, მათ შორის, რამდენად ეფექტიანად განხორციელდება სამედიცინო ღონისძიებები ვირუსის გავრცელების შესაზღუდად, რამდე-

ნად წარმატებული იქნება ეკონომიკის მხარდასაჭერი ღონისძიებები ხანგრძლივი დაზიანების აღმოსაფხვრელად და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ სწრაფად ცვალებად და მაღალი მერყეობის ეკონომიკაში აღნიშნული პროცესების ოპერატიულად გაანალიზება და სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვა გადამწყვეტი იქნება, ამისათვის კი, საჭიროა პოტენციური რისკების სწორი განჭვრეტა და მათზე დროული ღონისძიებების გატარება.

ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება. თბილისი: გამომცემლობა „სიახლე“, 2009.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე. თბილისი, 2007.
3. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ., გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი, 2011.
4. ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე რ., საჯარო ფინანსები. თბილისი, 2007.
5. პაპავა. ვ., არატრადიციული ეკონომიქსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა. თბილისი, თსუ 2020.
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო https:mof.ge, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები, საქართველოს 2020, 2021, 2022, 2023 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი.
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი. 2010.
9. Chikviladze, M. (2018) The Share in Percentage of Taxes in GDP. Ecoforum Journal. Volume 7, Issue 1 (14).
10. Atanelishvili, T., Chikviladze, M., Silagadze, N. (2017). About State Financial Control. Ecoforum Journal. Volume 6, Issue 1 (10).
11. Bedianashvili, G (2017) Benchmarking ASL research methhod for obtaining system knowledge of the state intitutional development. J. information models and analyses volume 6, number 1. pp. 84-89
12. Gaganidze. G (2018), forign trade of Georgia, Moldova and Ukraine with the European union after signg the Association agreement, Ekoforum journal, 7, issue 1 (14).
13. Kopaleishvili, T., Chikviladze, M. (2011). Taxes and Taxation. Tbilisi.
14. Silagadze, A., Atanelishvili, T., Silagadze, N. (2019). Economic Doctrines: The Origins. Published by Nova Science Publishers, Inc. New York.
15. Silagadze, A., Zuniashvili, T. (2016). Georgia`s Economy against the Background of the Associate Agreement with the European Union. International Journal of Business and Management Studies, 59, 2: 533-540. (USA).
16. Zubiashvili, T., Chikviladze, M., Silagadze, N. (2018). Some Aspects of state External Debt. Ecoforum Journal 7 (2).

Mikheil Chikviladze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Prospects (factors) for Post-Pandemic Period Economic Recovery

SUMMARY

Since the beginning of 2021, a much faster trend of economic recovery has become clear, despite this from the beginning of the pandemic, uncertainty about the global economic recovery trends remains high.

At this point, the pace of economic recovery depends on various important factors, including how effectively medical measures will be implemented to limit the spread of the virus, how successful economic support measures will be in eliminating long-term damage, and more.

მალხაზ ჩიქობავა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მზარდი სახელმწიფო ვალი, როგორც მოსალოდნელი გლობალური რეცესიის მთავარი ფაქტორი

ნაშრომში განხილული აშშ-ის ფედერალური მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის დინამიკა და მასზე მოქმედი ფაქტორები. ნაჩვენებია, რომ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მზარდი სუვერენული ვალის პრობლემა საფრთხეს უქმნის არა მარტო ამ ქვეყნებს, არამედ გლობალურ ეკონომიკურ სტაბილურობასა და უსაფრთოებას.

ნაშრომში, აშშ-ის ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია უცხოელი ფინანსური ინვესტორების მხრიდან ამერიკის სახაზინო ფასიანი ქაღალდებით დაინტერესების კლების მიზეზები.

აშშ-ის ხაზინის ინფორმაციით, რომელიც 2022 წლის ოქტომბრის ბოლოს განეკუთვნება, აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების უცხოელ მფლობელებზე მოდიოდა 7,19 ტრილ დოლარი, ამასთან, სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკზე - 3,65 ტრილ დოლარი, ანუ, დაახლოებით ნახევარი. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე აშშ-ის ვალის მარაგი უცხოელების მიერ 6 პროცენტით, ანუ 459 მილიარდი დოლარით შემცირდა. წლიური გაანგარიშებით, ამერიკული ფასიანი ქაღალდების უცხოური პორტფელის ასეთი მასშტაბური შემცირება ადრე არ დაფიქსირებულა. აღნიშნული შემცირება ხდებოდა 2022 წლის მარტში დაწყებული აშშ-ის ფედ-ის საკვანძო განაკვეთის ამაღლების ფონზე, რაც ნიშნავდა საპროცენტო განაკვეთების ამაღლებას აშშ-ის სახაზინო ფასიან ქაღალდებზეც. გასული წლის გაზაფხულზე ვარაუდობდნენ, რომ ამერიკული ფინანსური ინსტრუმენტებზე გაზრდილი შემოსავლიანობის წყალობით დამატებით მოხდებოდა უცხოური კაპიტალის მოდინება ამერიკაში, თუმცა აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდები ვერ გახდა უცხოელი ფინანსური ინვესტორებისთვის მიმზიდველი.

საკვანძო ტერმინები: *სახელმწიფო ვალი, სახაზინო ვალდებულებები, ბიუჯეტის დეფიციტი, ვალის ჭერი, ტექნიკური დეფოლტი, გლობალური რეცესია.*

XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ის სახელმწიფო ვალი მხოლოდ რამდენიმე მილიარდ დოლარს შეადგენდა. მაგალითად, 1910 წელს ის უდრიდა 2,7 მლრდ დოლარს, ანუ, მაშინდელი მთლიანი გამოშვების 8,0%-ს. პირველმა მსოფლიო ომმა სახელმწიფო ვალი საკმაოდ მკვეთრად გაზარდა, ხოლო დიდი დეპრესიის დაწყებიდან, ფრანკლინ დელანო რუზველტის მიერ „ახალი კურსის“ პოლიტიკის გატარებითა და აშშ-ის მეორე მსოფლიო ომში ჩართვით, ომისშემდგომ პირველ წლებში სახელმწიფო ვალის უწყვეტი ზრდის პროცესი გამოიკვეთა (იხ. ცხრილი 1):

ცხრილი 1.

წლები	სახელმწიფო ვალი (მლრდ დოლარი)	წილი GDP-სთან მიმართებაში (%)
1930	16	17
1940	43	49
1950	257	86

წყარო: https://www.thebalancemoney.com/national-debt-by-year-compared-to-gdp-and-major-events-3306287

სხვათა შორის, ბოლო დრომდე სახელმწიფო ვალის რეკორდული შეფარდებითი მაჩვენებელი იყო 1946 წლის მაჩვენებელი, GDP-ის 121,2%-ს. 1950-იან წლებში და შემდგომ ვალების აბსოლუტური ოდენობა გაიზარდა, საკმაოდ ზომიერი ტემპით, მაგრამ სახელმწიფო ვალის შეფარდებითმა მაჩვენებელმა კლება დაიწყო. 1960 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა GDP-ის 54,3%-მდე; 1970 წელს - 36,3%-მდე, ხოლო 1980 წელს – 32,5%-მდე.

1980-იან წლებში სახელმწიფო ვალის დაგროვება აბსოლუტურ მაჩვენებლებში დაჩქარდა და გამოიკვეთა ვალის შეფარდებითი დონის ზრდის ტენდენცია. 1981 წელს სახელმწიფო

ვალმა გადააჭარბა 1 ტრლნ დოლარს. მომდევნო ათწლეულებისათვიამ მაჩვენებელმა შეადგინა (იხ. ცხრილი 2):

ცხრილი 2.

წლები	სახელმწიფო ვალი (ტრლნ დოლარი)
1990	3,21
2000	5,63
2010	13,53
2020	26,0

წყარო: https://www.thebalancemoney.com/national-debt-by-year-compared-to-gdp-and-major-events-3306287

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო ვალი 1981-2020 წლებში 26-ჯერ გაიზარდა!

ასევ შთამბეჭდავია ვალის შეფარდებითი მაჩვენებლის დინამიკაც (წილი GDP-ში): 1990 წელი - 54,2; 2000 - 55,5; 2010 - 91,4; 2020 - 116. როგორც ვხედავთ, 2020 წელს სახელმწიფო ვალის შეფარდებითი მაჩვენებელი 1946 წლის რეკორდულ მაჩვენებელს მიუახლოვდა.

- - - - -

2022 წლის 1 თებერვალს ვალმა 30 ტრილიონ დოლარს მიაღწია, უახლესი რეკორდი დაფიქსირდა 2022 წლის 5 ოქტომბერს, როდესაც აშშ-ის სახელმწიფო ვალმა 31 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. გასული 2022 წლის შედეგების მიხედვით კი, ვალის შეფარდებითმა მაჩვენებელმა GDP-ის 133,77% შეადგინა.

აშშ-ის სახელმწიფო ვალი მიუახლოვდა მჭიდროდ იმ ზღვარს, რომელიც აშშ-ის კონგრესის მიერ 2021 წლის ბოლოს დაწესდა 31,4 ტრილიონი დოლარის ოდენობით. თუ კონგრესი არ გაზრდის ჭერს, მაშინ ბიუჯეტის თითქმის მთელი ხარჯები დაიბლოკება, რაც არაერთხელ მომხდარა ამერიკის უახლეს ისტორიაში.

აშშ-ის მთავრობის მთლიანი ვალი 31,12 ტრილიონი დოლარის ოდენობით იყოფა ორ ნაწილად: 6,82 ტრლნ დოლარი აშშ-ის შიდა ვალია (სამთავრობო უწყებების მიერ ვალის შესყიდვები); 24,29 ტრლნ დოლარი - საზოგადოებრივი ვალი (აშშ-ისა და სხვა ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირების, სხვა ქვეყნების მონეტარული ხელისუფლებების მიერ ვალის ყიდვა).

მიუხედავად იმისა, რომ ბაიდენმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს პირობა დადო ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე და სახელმწიფო ვალის ოდენობის გაყინვაზე, მან წარმატებას ვერ მიაღწია. მისი პრეზიდენტობის ორი წლის მანძილზე ვალი თითქმის 5 ტრლნ დოლარით გაიზარდა.

New York Times-მა 31 ტრლნ დოლარის სახელმწიფო ვალის თამასის გადაკვეთას სავალალო ფინანსური ეტაპი უწოდა, რადგან ეს „რეკორდი“აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ფედერალური ფონდების განაკვეთების ზრდის კამპანიის ფონზე დაფიქსირდა. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთები აშშ-ის ხაზინის სავალო ფასიან ქაღალდებზე გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გაიზრდება საბიუჯეტო ხარჯები ვალის მომსახურებაზეც (The New Yourk Times, 2022).

2022 წლის შედეგებით საპროცენტო დანახარჯების სიდიდემ 400 მლრდ დოლარს გადააჭარბა. პეტერსონის ფონდის შეფასებით, უახლოეს ათ წელიწადში საბიუჯეტო ხარჯებმა სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე შეიძლება გადააჭარბოს 8 ტრლნ დოლარს. 2022 ფინანსურ წელს, აშშ-ის კონგრესის საბიუჯეტო ოფისის წინასწარი შეფასებით, ფედერალურმა მთავრობამ პროცენტების გადახდაზე მეტი დახარჯა, ვიდრე ისეთ საბიუჯეტო მიმართულებაზე, როგორიცაა შეღავათები ვეტერანებზე, ტრანსპორტსა და განათლებაზე. 2023 წელს პროცენტებზე დანახარჯები უფრო მეტი იქნება, ვიდრე სავალდებულო დანახარჯები გარანტირებული შემოსავლების პროგრამებზე (პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია დაბალშემოსავლიან ამერიკელებზე, აგრეთვე უმუშევრობაზე შემწეობების გადახდებზე). 2026 წლის ფინან-

სურ წელს პროცენტული გადახდები გადააჭარბებს თანხას, რომელსაც ფედერალური მთავრობა ხარჯავს ჯანდაცვის ძირითად პროგრამებზე. 2029 წლის ფინანსურ წელს კი ფედერალური მთავრობა პროცენტებზე დახარჯავს უფრო მეტს, ვიდრე ჯანდაცვაზე (Peter G. Peterson Foundation, 2022).

ამერიკელების წინასაახალწლო განწყობა კიდევ უფრო დაჩრდილა The Wall Street Journal-ში (WSJ) გასული წლის 20 დეკემბერს გამოქვეყნებულმა სტატიამ. მისი ავტორი ვინს კოლბერია (Vince Kolber). სტატიის სათაურია: „How Much Washington Really Owes: $100 Trillion" (რამდენი აქვს ვაშინგტონს ვალი რეალურად: $100 ტრილიონი). სტატიის ქვესათაურია: „ამერიკის შეერთებული შტატების დაუფინანსებელი ვალდებულებები (unfunded entitlements) ორჯერ აღემატება ქვეყნის ოფიციალურ სახელმწიფო ვალს. პრობლემა მხოლოდ იზრდება" (Kolber V., 2022).

სტატიაში ნათქვამია, რომ აშშ-ის ხაზინა განსაზღვრავს სახელმწიფო ვალს, როგორც სახელმწიფო ვალდებულებების მთლიან ოდენობას ფასიან ქაღალდებზე (სახაზინო ობლიგაციებზე და სხვა), რომლებსაც ფინანსურ ბაზარზე სხვადასხვა ინვესტორები ყიდულობენ. მათ შეიძლება ეწოდოს ფინანსური, ანუ, ფონდირებული (funded) ვალდებულებები. სხვათა შორის, ფინანსთა სამინისტრო, ჩვეულებრივ, ასახელებს ციფრებს დაფინანსებულ ვალდებულებებზე წმინდა პოზიციის შესახებ. ანუ, განსხვავებსა მთლიან (ანუ, ერთობლივ) ვალდებულებებსა და აქტივებს შორის, რომელსაც ფლობს მთავრობა. ამრიგად, 2021 ფისკალური წლის ბოლოს (დასრულდა 2021 წლის 30 სექტემბერს) მთლიანი ვალდებულებების მოცულობამ 34,8 ტრლნ დოლარი შეადგინა. ხაზინის ინფორმაციით, აქტივების მოცულობამ 4,9 ტრლნ დოლარი შეადგინა. მარტივი არითმეტიკა გვეუბნება, რომ წმინდა პოზიცია შეადგენს $29.9 ტრლნ დოლარს მინუს ნიშნით. სწორედ ამდენით აჭარბებს აშშ-ის მთავრობის ვალი მისსავე აქტივებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავრობის მთლიანი ვალდებულებები მისი აქტივების მხოლოდ 14%-ითაა უზრუნველყოფილი. საეჭვოა ოდესმე შეძლოს ამერიკის სახელმწიფომ დავალიანების ძირითადი თანხის დაფარვა. მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც მას შეუძლია ინვესტორების მიმართ, ესაა ვალის რეგულარულად მომსახურება, ანუ პროცენტების გადახდა (Катасонов В., 2023).

ამრიგად, მიმდინარე დაფინანსებული აშშ-ის მთავრობის წმინდა ვალი მხოლოდ ვალის აისბერგის მწვერვალია. ამერიკის მთავრობას აქვს ისეთი ვალდებულებები, რომლებიც არ არის გამოშვებული ფასიანი ქაღალდების სახით, მაგრამ გაწერილია სხვადასხვა სახის ფედერალურ კანონებში. პირველ რიგში, ეს არის სხვადასხვა სოციალური ვალდებულებები, განსაკუთრებით სამედიცინო დახმარების პროგრამები. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება Medicare და Medicaid პროგრამებს. ისინი ადამიანებს, რომლებმაც მიიღეს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისები, ჰპირდებიან სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას მომდევნო ათწლეულების განმავლობაში, ჯანდაცვის პოლისის მფლობელის სიცოცხლის ბოლომდე. შეგვიძლია გამოვთვალოთ, დაახლოებით რამდენი იქნება ეს სამედიცინო მომსახურება თანხობრივად. ასევე შესაძლებელია გამოთვალოთ, რამდენი თანხაა ჩადებული ამ ვალდებულებების შესასრულებლად. ირკვევა, რომ ვალდებულება რამდენიმეჯერ აჭარბებს ფულად უზრუნველყოფას, ხოლო სხვაობა სამედიცინო და სხვა სოციალური ვალდებულებების ოდენობასა და მათ შესასრულებლად არსებულ შემოსავლებს შორის არის სახელმწიფო ვალი. ამას შეიძლება სოციალური ვალი ეწოდოს. WSJ-ში სტატიის ავტორი ეყრდნობა აშშ-ის ხაზინის 2021 ფისკალური წლის შედეგებზე ანგარიშს, სადაც მითითებულია სახელმწიფო ვალის ოდენობა არაუზრუნველყოფილი სოციალური ვალდებულებების სახით - 71 ტრლნ დოლარი. მაშასადამე, 2021 ფისკალური წლის ბოლოსათვის მთავრობის წმინდა ფინანსური ვალდებულება 29,9 ტრლნ დოლარს აღწევდა. თუ ამას დავუმატებთ 71 ტრლნ დოლარის სოციალურ ვალდებულებებს, მაშინ მთლიანმა სახელმწიფო ვალმა პირველად ამერიკის ისტორიაში გადააჭარბა 100 ტრლნ დოლარს.

როგორც WSJ-ის სტატიის ავტორი წერს, მთავრობის არაუზრუნველყოფილი სოციალური ვალდებულებების სახელმწიფო ვალად აღიარების ოპონენტები „ამტკიცებენ, რომ სოციალური უზრუნველყოფის გაუსაძლისი ვალდებულებები ნამდვილად არ არის ვალი, რადგან კონგრესს აქვს უფლება შეამციროს ისინი კანონის შეცვლით. მართალია, კანონმდებლები თითქმის ორმოცი წელია ამას ვერ ახერხებენ და მანამ, სანამ ისინი ამას არ გააკეთებენ, არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები შემდგომაც ჩვენს კისერზე იქნება ჩამოკიდებული, რაც რეალურ ეკონომიკურ რისკებს შექმნის“.

აღსანიშნავია, რომ თუ ავტორი ფინანსური (ფონდირებული) სახელმწიფო ვალის ზრდის მთავარ დამნაშავედ აშშ-ის ხაზინის ჩინოვნიკებს ასახელებს, სოციალური სახელმწიფო ვალის სწრაფი ზრდის მთავარ პასუხისმგებლობას კონგრესმენებსა და სენატორებს აკისრებს. ამომრჩეველთა ხმების მოპოვების მიზნით, „ხალხის წარმომადგენლები“ იღებენ კანონებს, რომელთა განხორციელება შემდგომში შეუძლებელია. „ვალების ჭერი ისე უნდა იყოს კორექტირებული, რომ მოიცავდეს ვალდებულებების მთლიან ოდენობას და არა „სილამაზისთვის“ შემცირებულ და ბოსებისთვის მოსახერხებელ ვარიანტს. აშშ-ის ხაზინამ უნდა აკონტროლოს ფედერალური მთავრობის ვალის რეალური რაოდენობა. შესაძლოა, ფინანსური გამჭვირვალობის პრინციპებმა კონგრესს თვალები აუხილოს. სულ მცირე, ამომრჩევლები უნდა გააფრთხილონ ფედერალურ დონეზე საგანგაშო მასშტაბის მფლანგველობის შესახებ, რათა ჩვენში გაჩნდეს პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა მსხვილ მხარჯავებზე კონგრესიდან. თანამდებობის პირებთან ერთად, რომლებიც ადვილად ანაწილებენ სხვადასხვა სოციალურ გასაცემლებსა და გრანტებს, სწორედ კონგრესმენები არიან პასუხისმგებელი ინფლაციაზე“, - ასკვნის ვინს კოლბერი.

აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტმა 2019 წელს 1,2 ტრლნ დოლარი შეადგინა, 2020 წელს - 3,13 ტრლნ (რაც ამერიკის მთელი ისტორიის მანძილზე რეკორდული მაჩვენებელია), 2021 წელს - 2,77 ტრლნ, 2022 წელს - 1,38 ტრლნ. ბიუჯეტის ჯამურმა დეფიციტმა ოთხი წლის მანძილზე 8,3 ტრლნ დოლარი შეადგინა. სწორედ ამ სიდიდით გაიზარდა აშშ-ის სახელმწიფო ვალი მითითებულ პერიოდში. 2023 ფისკალური წლის დასაწყისში კი, (რომელიც გასული წლის 1 ოქტომბერს დაიწყო), ჯამურმა სახელმწიფო ვალმა ასტრონომიულ სიდიდეს - 31 ტრლნ დოლარს მიაღწია, ანუ GDP-ის 133,77%-ს, რომელიც ასევე რეკორდული მაჩვენებელია ყველა დაკვირვებადი წლისათვის.

სახელმწიფო ვალს ამერიკა ფარავს ფინანსთა სამინისტროს (ამერიკის ხაზინის) ობლიგაციებისა და სხვა სავალო ვალდებულებების ემისიით. ამერიკული სახელმწიფო ვალის ძირითადი მყიდველების კატეგორიას მიეკუთვნება:

ფედერალური ხელისუფლების ორგანიზაციები (ფედერალური სააგენტოები და ფონდები), რომლებიც განკარგავენ თავისუფალ ფულად რესურსებს (მათ შორის ყველაზე მსხვილი სოციალური დაზღვევის ფონდია);

აშშ-ის შტატები და ადგილობრივი ხელისუფლებები;

აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა;

ამერიკული არასახელმწიფო ინვესტორები - საპაიო საინვესტიცო ფონდები (პირველ რიგში, ორმხრივი საინვესტიციო ფონდები), ბანკები და სხვა საკრედიტო საფინანსო ინსიტუტები (საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ.), აშშ-ის ჩვეულებრივი მოქალაქეები;

უცხოელი ინვესტორები (უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური ბანკები).

სახელმწიფო ვალის საერთო თანხიდან, რომელიც 31,12 ტრლნ დოლარის ტოლია (2022 წლის ოქტომბრის ბოლოსათვის), ვალის მფლობელთა პირველ კატეგორიაზე მოდიოდა 6,82 ტრლნ დოლარი (21,9%). ვალის დანარჩენმა ნაწილმა 24,30 ტრლნ დოლარი შეადგინა (79,1%), ის იმყოფებოდა ე.წ. საზოგადოებრივ მფლობელთა (public holders) ხელში (Катасонов В., 2023).

შტატებსა და ადგილობრივ ხელისუფლებებზე მოდიოდა 1,45 ტრლნ დოლარი. აშშ-ის ფედ-ი თავის პორთფელში ფლობდა 5,46 ტრლნ დოლარის სახელმწიფო სავალო ფასიან ქა-

ღალდებს. ამერიკულ არასახელმწიფო ინვესტორებს შორის სახელმწიფო სავალო ვალდებულებების ყველაზე მსხვილი მფლობელი იყვნენ (ტრლნ დოლარი): ორმხრივი საინვესტიციო ფონდები (mutual funds) – 3,26; სადეპოზიტო-საკრედიტო ორგანიზაციები (ბანკები) – 1,75; საპენსიო ფონდები - 1,32; სადაზღვევო კომპანიები - 0,37.

საბოლოოდ, უცხოელ ინვესტორებზე მოდიოდა 7,19 ტრლნ დოლარი. ამგვარად, ვალის მფლობელთა ბოლო ჯგუფი ამჟამად წარმოადგენს ყველაზე მსხვილ მფლობელს. ანუ, სხვა ქვეყნები ძალიან ეხმარებიან ამერიკას აშშ-ის სახაზინო სავალო ფასიანი ქაღალდების ყიდვით, ისინი ფარავენ აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტს.

თუმცა, უწინ აშშ-ის სახელმწიფო ვალის წილი, რომელიც უცხოელ მფლობელებზე მოდიოდა, არსებითად უფრო მაღალი იყო. მაგალითად, 2014 წლის ოქტომბერში მათზე მოდიოდა 6,0 ტრლნ დოლარი სახელმწიფო ვალის 17,8 ტრლნ დოლარის საერთო თანხიდან (33,7% ახლანდელ 23,1%-თან შედარებით). დამატებითი სავალო ტვირთის თავის თავზე აღება უწევდა ფედერალურ სარეზერვო სისტემას (Катасонов В., 2023).

აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო ყოველთვიურად აქვეყნებს მონაცემებს ამერიკული სახაზინო ფასიანი ქაღალდების უცხოელ მფლობელებზე. ბოლო მონაცემები - 2022 წლის ოქტომბრის ბოლოს განეკუთვნება. როგორც უკვე ითქვა, ამ მფლობელებზე მოდიოდა 7,19 ტრლნ დოლარი, ამასთან, სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკზე - 3,65 ტრლნ დოლარი, ანუ, დაახლოებით ნახევარი. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე აშშ-ის ვალის მარაგი უცხოელების მიერ 6 პროცენტით, ანუ 459 მილიარდი დოლარით შემცირდა. წლიური გაანგარიშებით, ამერიკული ფასიანი ქაღალდების უცხოური პორტფელის ასეთი მასშტაბური შემცირება ადრე არ დაფიქსირებულა. შემცირება ხდებოდა 2022 წლის მარტში დაწყებული აშშ-ის ფედ-ის საკვანძო განაკვეთის ამაღლების ფონზე, რაც ნიშნავდა საპროცენტო განაკვეთების ამაღლებას აშშ-ის სახაზინო ფასიან ქაღალდებზეც. გასული წლის გაზაფხულზე ვარაუდობდნენ, რომ ამერიკული ფინანსური ინსტრუმენტებზე გაზრდილი შემოსავლიანობის წყალობით დამატებით მოხდებოდა უცხოური კაპიტალის მოდინება ამერიკაში, თუმცა აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდები ვერ გახდა უცხოელი ფინანსური ინვესტორებისთვის მიმზიდველი (წყარო: https://ticdata.treasury.gov/Publish/mfh.txt.

საკმაოდ ხანგრძლივად აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების უცხოელი მფლობელი იყო ჩინეთი (მისი ცენტრალური ბანკი - ჩინეთის სახალხო ბანკი), მაგრამ, 2010 წელს მან ლიდერობა დაუთმო იაპონიას. ტრამპის პრეზიდენტობის დროს ჩინეთმა შეაჩერა ამერიკის ხაზინის ფასიანი ქაღალდების პორტფელის გაფართოვება და პერიოდულად მცირედ შემცირებასაც კი ახორციელებდა. იაპონია კი, როგორც აშშ-ის ერთგული მოკავშირე, აგრძელებდა ამერიკის მთავარი უცხოელი კრედიტორის როლის შესრულებას, ნელ-ნელა ყიდულობდა ახალ ქაღალდებს.

მაგრამ, როგორც აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ბოლო მონაცემები მოწმობენ, ამერიკული ფასიანი ქაღალდების უცხოური პორტფელის საერთო შემცირებაში ძირითადი წვლილი იაპონიამ შეიტანა. ერთი წლის განმავლობაში მან ამგვარი ფასიანი ქაღალდების საკუთარი პორტფელი 18 პროცენტით შეამცირა, ანუ 236,7 მლრდ დოლარით. 2022 წლის ოქტომბრის ბოლოსათვის ამერიკული ფასიანი ქაღალდების იაპონურმა პორტფელმა 1.078,2 მლრდ დოლარი შეადგინა (წყარო: https://ticdata.treasury.gov/Publish/mfh.txt).

ჩინეთმა, რა თქმა უნდა, ასევე შეამცირა ამერიკული ფასიანი ქაღალდების პორტფელი, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე იაპონიამ. შემცირებამ 15 პროცენტი, ანუ 161,5 მლრდ დოლარი შეადგინა. 2022 წლის ოქტომბრის ბოლოს, ჩინეთის ამერიკული ფასიანი ქაღალდების პორტფელი 909,6 მლრდ დოლარი გახდა (წყარო: https://ticdata.treasury.gov/Publish/mfh.txt).

სხვა ქვეყნებს შორის, რომლებიც აშშ-ის ვალის მსხვილი მფლობელები არიან და რომლებშიც წლის განმავლობაში დაფიქსირდა აშშ-ის ხაზინის ფასიანი ქაღალდების პორტფელის მნიშვნელოვანი შემცირება, შემდეგი სურათი იხატება (%-ში): ირლანდია - 26; ჰონგ კონ-

გი - 20; ტაივანი - 11; შვეიცარია - 9; საფრანგეთი - 9; ბრაზილია - 9; სინგაპური - 6; ლუქსემბურგი - 6.

ამერიკული დანაკარგების ნაწილობრივი კომპენსირება მოახდინეს შემდეგმა ქვეყნებმა, რომლებმაც წლის განმავლობაში გაზარდეს თავიანთი დაბანდებები აშშ-ის სავალო ფასიან ქაღალდებში (%): ბელგია - 45; დიდი ბრიტანეთი - 10; კაიმანის კუნძულები - 9; კანადა - 7.

2022 წლის ოქტომბრის ბოლოს, აშშ-ის სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფლობის ზომით ტოპ 10-ში შედის (მლრდ დოლარი): იაპონია - 1.078.2; ჩინეთი - 909,6; დიდი ბრიტანეთი - 638,5; ბელგია - 327,3; კაიმანის კუნძულები - 296,6; ლუქსემბურგი - 295,7; შვეიცარია - 262,9; ირლანდია - 239,0; ბრაზილია - 224,8; საფრანგეთი - 218,4 (წყარო: https://ticdata.treasury.gov/Publish/mfh.txt).

გარდა იმისა, რომ აშშ-ს მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფო ვალი აქვს, ის მსოფლიოში ამ ვალის ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩევა. 2000 წელს სახელმწიფო ვალის სიდიდე უტოლდებოდა 5,6 ტრლნ დოლარს, ხოლო 2022 წლის ოქტომრის დასაწყისში მან 31 ტრლნ დოლარს გადააჭარბა.

რეიგანის პრეზიდენტობის წლებში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ვალის მკვეთრ ნახტომს (1980 წელს არსებული 834 მლრდ დოლარიდან 1525 მლრდ დოლარამდე 1986 წლისათვის), რამაც კონგრესი აიძულა მიეღო 1985 წელს კანონი დაბალანსებულ ბიუჯეტსა და საგანგებო სიტუაციებში დეფიციტის კონტროლზე (გრემ-რუდმან-ჰოლინგსის აქტი). კანონი ითვალისწინებდა დეფიციტის შემცირებისა და 1991 წლისათვის დაბალნსებული ბიუჯეტის მიღწევის ყოველწლიურ ღონისძიებებს. შემდეგ ეს ვადა რამდენჯერმე იქნა გადავადებული, თუმცა წარმატება ამას არ მოჰყოლია. ბიუჯეტის პროფიციტის მიღწევა მოხერხდა მხოლოდ 1998-2001 წლებში, შემდეგ ყველაფერი კვლავ უწინდებურად შეიცვალა. აშშ-ის ხელისუფლებამ კი თავდაცვის უკანასკნელ საშუალებას მიმართა - სახელმწიფო ვალის ლიმიტის დაწესებას.

სახელმწიფო ვალის ჭერი პირველად საკანონმდებლო დონეზე 1917 წელს დაწესდა. ვალის ჭერის დაწესება ხელს უშლის აშშ-ის ხაზინას გამოუშვას ახალი სახელმწიფო სესხის ობლიგაციები მთავრობის საქმიანობის დასაფინანსებლად. აშშ-ის ხაზინის მონაცემებით, სახელმწიფო ვალის ჭერი 1960 წლიდან 2021 წლამდე 78-ჯერ შეიცვალ და ყოველ ჯერზე, ჭერის ამაღლებამ აშშ დეფოლტისგან იხსნა.

სახელმწიფო ვალის ჭერი ბოლოს, სამოცდამეცხრამეტედ, 2021 წლის დეკემბერში 2,5 ტრლნ დოლარით ამაღლდა, რამაც 31,4 ტრლნ დოლარს მიაღწია. აშშ-ის უახლესი ფედერალური ბიუჯეტი (2023 ფისკალური წლისათვის), 665 მლრდ დოლარიანი დეფიციტით დამტკიცდა. 2023 ფინანსური წლის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე (ის 2023 წლის 30 სექტემბერს დასრულდება) ვალის ლიმიტი ამოიწურება, რამაც შესაძლოა გაართულოს, ან, სულაც დაბლოკოს აუცილებელი საბიუჯეტო ხარჯები.

ხაზინის მდივანმა ჯანეტ იელენმა ვალის ლიმიტის ამოწურვის საბედისწერო თარიღად 19 იანვარიც კი დაასახელა. ეს ასეც მოხდა სინამდვილეში. 20 იანვარს მან განაცხადა, რომ საბედისწერო თარიღი დადგა და რომ აშშ-ის ხაზინა საგანგებო ღონისძიებების გატარებას იწყებს. კერძოდ, 19 იანვრიდან 5 ივნისის ჩათვლით, უწყება აჩერებს გადარიცხვებს სპეციალური სახაზინო ვალდებულებების სახით ორ სოციალურ ფონდში, რომლებიც ემსახურება საბიუჯეტო სფეროს თანამშრომლებს. ესენია: საპენსიო სამოქალაქო სამსახურის ფონდი და საფოსტო სამსახურის პენსიონერთა სამედიცინო შეღავათების ფონდი (Катасонов В., 2023).

ჯანეტ იელენმა პირობა დადო, რომ შეჩერება არ შეეხებოდა ფონდების ბენეფიციარებისთვის გადახდებს. ხაზინა იმედოვნებს, რომ სრულად აანაზღაურებს ნახსენები ფონდების მიერ მიუღებელ სახსრებს სახელმწიფო ვალის ჭერის მორიგი ამაღლების შემდეგ. ექსპერტების აზრით, ფინანსთა სამინისტროს გააჩნია გარკვეული რეზერვი (დაახლოებით 400 მლრდ დოლარი), რომლითაც მას შეუძლია მიმდინარე წლის ზაფხულამდე მანევრირება (მიმდინარე ბიუჯეტის შემოსავლების გადამისამართება ზემოთ აღნიშნული ორი ფონდის შევსებიდან ბიუჯეტის ძირითადი მუხლების ხარჯების დასაფარად).

XX საუკუნეში ლიმიტის ამაღლება რუტინული პროცედურა იყო, მაგრამ ამჟამად ეს საკითხი სულ უფრო ხდება საბაბი პოლიტიკური დაპირისპირებისათვის. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სიტუაცია შეიქმნა 2011 წელს, როცა 16 მაისს აშშ-ის ხაზინის მდივანმა ტიმოთი გაიტნერმა აუწყა კონგრესს, რომ ქვეყნის სახელმწიფო ვალმა ჭერს მიაღწია, რომლის დონე კანონითაა დაწესებული. იმავე წლის 15 ივლისს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ, თუკი 16 ივლისის დილისათვის კონგრესი არ გაზრდიდა სახელმწიფო ვალის ლიმიტს, აშშ იძულებული გახდებოდა გამოეცხადებინა ტექნიკური დეფოლტი. 2 აგვისტოს, დეფოლტის შესაძლო გამოცხადებამდე 12 საათით ადრე აშშ-ის სენატმა მაინც მისცა ხმა სახელმწიფო ვალის ზრდას 2,1 ტრლნ დოლარის ოდენობით - 16,4 ტრლნ-მდე, ხოლო პრეზიდენტმა მოასწრო მიღებულ კანონზე ხელის მოწერა. იმავე დღეს, 2011 წლის 2 აგვისტოს დაიწყო აშშ-ის ახალი სახელმწიფო ობლიგაციების განთავსება რამდენიმე ასეული მლრდ დოლარის ოდენობის. ბეწვზე დაკიდებული სიტუაცია ორთვენახევარი გაგრძელდა, რამაც ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა კიდევ უფრო გაამწვავა. მაგალითად, აშშ-ის სახაზინო ფასიან ქაღალდებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა ოქროს ფასი, როგორც უფრო საიმედო საინვესტიციო ობიექტისა. სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული პრობლემებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მზარდი დეფიციტის ფონზე, აშშ-ის საკრედიტო რეიტინგი პირველად S&P-მ მაქსიმალური „AAA“-დან „AA+“-მდე შეამცირა „უარყოფითი“ პერსპექტივით.

ამჟამად, რესპუბლიკელების ნაწილი (პარტიას აქვს უმრავლესობა წარმომადგენელთა პალატაში, ხოლო დემოკრატები აკონტროლებენ სენატს) დაჟინებით მოითხოვს ფედერალური ხარჯების შემცირებას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსებას. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ჭერის სწრაფი ზრდა მოსალოდნელი არ არის. უახლოეს კვირებში, დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის დაპირისპირება გარდაუვალია. არ არის გამორიცხული 2011 წლის დრამატული სცენარის გამეორება.

დასკვნა

ამერიკის ბიუჯეტი და ამერიკის ფინანსური უწყება ტურბულენტობის ზონაში შედის, რომელშიც ყოფნა შეიძლება ექვს თვემდე გაგრძელდეს. ზოგიერთი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ხაზინა ძველი ვალის ჭერით შემოდგომამდე გაუძლებს შექმნილ ვითარებას. დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის ეროვნული ვალის საკითხზე დავა პირველად როდი ხდება. თუმცა, ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ მიუხედავად რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის დამქანცველი „ნერვების ომისა“, ბოლო მომენტში დეფოლტის თავიდან აცილება მაინც მოხდება. თუმცა, არსებობს ერთი ფრიად არასასურველი გარემოება. ვალის ჭერის პრობლემით გამოწვეული „ტურბულენტობა“ რეალურად დაწყებულ ეკონომიკურ რეცესიას კიდევ უფრო დაამძიმებს. მისი შეკავება, ჯონ კეინზის რეცეპტების სულისკვეთებით, დამატებითი საბიუჯეტო ხარჯებით შესაძლებელია, თუნდაც ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის ზრდისა და დავალიანების დაგროვების ფასად. ასე იყო როგორც 1930-იანი წლების დიდი რეცესიისა და მეორე მსოფლიო ომის დროს, ისე ომის შემდგომ ათწლეულებშიც. ფინანსური წლის შუა რიცხვებში შესაძლებელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ფედერალურ კანონში ცვლილებების მიღება, რაც დამატებითი ხარჯების ლეგალიზებას ახდენდა. ასევე, ავტომატურად იზრდებოდა სახელმწიფო ვალის ზღვარი და ხორციელდებოდა სახაზინო ობლიგაციების დამატებითი ემისია. თუმცა დღეს კრიზისზე რეაგირების ასეთი მექანიზმი ვერ იმოქმედებს. ვალის არსებული ჭერი, რომელიც დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში შენარჩუნდება, არ იძლევა რეცესიაში შესული ეკონომიკის საბიუჯეტო მხარდაჭერის ზრდის შანსს. „სახელმწიფო ვალის ჭერი სერიოზულ საფრთხედ იქცა ოპტიმისტური შეხედულებისათვის იმაზე, რომ ჩვენ (აშშ) შევძლებთ

რეცესიის თავიდან არიდებას ამ წელს“ - განაცხადა Moody’s Analytics-ის მთავარმა ეკონომისტმა მარკ ზანდიმ (Iacurci, 2023).

ამრიგად, რადგანაც შეერთებული შტატების უახლესი ეკონომიკური პროგნოზები უარყოფითია და ექსპერტთა მცირე ჯგუფი (როგორიცაა კეტრინ ოსტინ ფიტსი) თვლის, რომ ფულის მფლობელები (აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის მთავარი აქციონერები) დაინტერესებულნი არიან კრიზისის პროვოცირებითა, რომელიც რაც შეიძლება ღრმა უნდა იყოს, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატებიც და რესპუბლიკელებიც მაქსიმალურად გააჭიანურებენ დროს ვალის ჭერის აწევით.

ლიტერატურა

1. https://ticdata.treasury.gov/Publish/mfh.txt
2. https://www.thebalancemoney.com/national-debt-by-year-compared-to-gdp-and-major-events-3306287
3. Iacurci Greg, (2023). A debt ceiling standoff may trigger ‘serious’ fallout for Americans, warns economist. Here’s what it means for you. January 18, 2023. https://www.cnbc.com/2023/01/18/what-the-debt-ceiling-is-and-how-a-standoff-may-affect-consumers.html
4. IMF Seminar: CBDCs for Financial Inclusion: Risks and Rewards. October 14, 2022. https://meetings.imf.org/en/2022/Annual/Schedule/2022/10/14/imf-seminar-cbdcs-for-financial-inclusion-risks-and-rewards
5. Kolber Vince, (2022). How Much Washington Really Owes: $100 Trillion. Unfunded entitlements are more than twice as large as the official national debt. The problem is growing. Dec. 20, 2022. https://www.wsj.com/articles/how-much-washington-really-owes-100-trillion-debt-social-insurance-expenditure-medicare-medicaid-treasury-11671571955?mod=opinion_major_pos4
6. Peter G. Peterson Foundation, (2022). What Is The National Debt Costing Us? June 9, 2022. https://www.pgpf.org/blog/2022/06/what-is-the-national-debt-costing-us
7. The New Yourk Times, (2022). US National Debt Tops $31 Trilion for First Tima. https://www.nytimes.com/2022/10/04/business/national-debt.html
8. Катасонов В., (2023). Госдолг США упёрся в потолок, экономика опускается на дно. https://www.fondsk.ru/news/2023/01/21/gosdolg-us-upersja-v-potolok-ekonomika-opuskaetsja-na-dno-58273.html
9. Катасонов В., (2023). Мир теряет интерес к покупке американских токсичных бумаг. 1.08.2023. https://www.fondsk.ru/news/2023/01/08/mir-terjaet-interes-k-pokupke-amerikanskih-toksichnyh-bumag-58163.html
10. Катасонов В., (2023). Тайны Минфина СШАю Суммарный государственный долг впервые в истории Америки превысил 100 трлн долларов. 1.05.2023. https://www.fondsk.ru/news/2023/01/05/tajny-minfina-us-58146.html

Malkhaz Chikobava
PhD in Economics, Associate professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Growing Public Debt as the Main Factor in the Expected Global Recession

SUMMARY

The article discusses the dynamics of the budget deficit and public debt of the US federal government and the factors influencing them. It is shown that the growing problem of the sovereign debt of industrialized countries poses a threat not only to these countries, but also to global economic stability and security.

Based on data from the US Treasury, the article analyzes the reasons for the decline in the interest of foreign financial investors in US treasury securities.

According to the US Department of the Treasury, which refers to the end of October 2022, foreign holders of US Treasury securities accounted for $7.19 trillion, and the central banks of other countries - $3.65 trillion, that is, about half. It is worth noting that from October 2021 to October 2022, the amount of US debt held by foreigners decreased by 6 percent, or $459 billion. On an annualized basis, such a large-scale reduction in the foreign portfolio of US securities has not been observed before. This decrease occurred against the backdrop of an increase in the key rate of the US Federal Reserve starting from March 2022, which also meant an increase in interest rates on US Treasury securities. In the spring of last year, it was assumed that due to the increase in the yield of US financial instruments, there would be an additional influx of foreign capital into America, but US Treasury securities failed to become attractive to foreign financial investors.

Key terms: public debt, treasury bills, budget deficit, debt ceiling, technical default, global recession.

მურმან ცარციძე
ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნათელა ლაცაბიძე
აკადემიური დოქტორი,
პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შრომის ბაზარი და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ცვლილების ტენდენციები საქართველოში თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე საქართველოში უმუშევრობის, სიღარიბის დაძლევა და ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად რჩება. ბოლო პერიოდში გატარებული რეფორმებისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით გარკვეული პოზიტიური ძვრების მიუხედავად, დასაქმების სფეროში დღემდე არსებობს მთელი რიგი სირთულეები, რომელიც ერთი მხრივ, უკავშირდება ქვეყნის მასშტაბით სამუშაო ადგილების სიმცირეს, ხოლო მეორე მხრივ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტს. შესამჩნევია ცალკეული პროფესიებისა და სპეციალობების მიხედვით საჭირო ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე კადრების ნაკლებობა. აღნიშნული გარკვეულწილად განაპირობებს საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებულ დისბალანსს. პრობლემას კიდევ უფრო აამწვავებს და ამწვავებს თანამედროვე გლობალური ტენდენციები, რომლებიც დაკავშირებულია მიმდინარე დემოგრაფიულ, ორგანიზაციულ, სტრუქტურულ ცვლილებებთან, მასშტაბურ შრომით ემიგრაციასთან, დასაქმების ახალი არასტანდარტული ფორმების გამოყენებასთან, ტექნოლოგიურ სიახლეებთან და სხვა ინოვაციებთან. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ბაზრის სისტემატურ კვლევას, განსაკუთრებით სამუშაო ძალაზე არსებული ხელური მოთხოვნის შესწავლის მიმართულებით, რათა ქვეყანაში არსებული უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემა სწორად იყოს ორიენტირებული შესაბამისი პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებაზე, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს დამსაქმებელთა მოთხოვნებს სამუშაო ძალაზე და მინიმუმამდე შეამცირებს შრომის ბაზარზე არსებულ დისბალანსს.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს შრომის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, გამოკვეთილია ამ სფეროში არსებული ძირითადი პრობლემები, გამოწვევები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბოლო წლებში საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე არსებული მოთხოვნის ცვლილების ტენდენციების სიღრმისეულ კვლევას.

საკვანძო სიტყვები: *შრომის ბაზარი, კონიუნქტურა, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა, უმუშევრობა, დასაქმება.*

თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ეპოქაში საქართველოში სიღარიბის, მასობრივი უმუშევრობის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბოლო წლებში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით გარკვეული პოზიტიური ძვრები განხორციელდა, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის მნიშვნელოვნად შემცირება მაინც ვერ მოხერხდა. აღნიშნული პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება თანამედროვე ცივილიზებული საბაზრო გარემოსა და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფორმირების გარეშე. ამ სისტემაში კი წამყვანი ადგილი შრომის ბაზარს განეკუთვნება. შრომის ბაზარი საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური (მათ შორის იურიდიული) ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე-სამუშაო ძალის ნორმალური აღწარმოების, განაწილების, გაცვლისა და გამოყენების უწყვეტ პროცესს, შრომის ეფექტიან გამოყენებას და მიმდინარე პერიოდში შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის ინტერესთა ბალანსის მიღწევას, სამუშაო ძალის ღირებულებისა და დასაქმების, შრო-

მის არსებით პირობებთან დაკავშირებით. ანუ ფართო გაგებით შრომის ბაზარი მოსახლეობის დასაქმებისა და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროს ორგანიზაციის საბაზრო ფორმაა. პრობლემის კვლევის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ სწორედ შრომის ბაზარი უნდა გახდეს ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების, შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის, სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის მოქნილი სისტემების შექმნის, შრომითი ცხოვრების ხარისხის და საბოლოო ჯამში ცხოვრების დონის გაუმჯობესების საფუძველი. ნორმალურად ფუნქციონირებადი შრომის ბაზარი სწრაფად და მოქნილად რეაგირებს ეკონომიკური განვითარების დინამიკაზე და ეფექტიანად ახორციელებს თავისი ძირითადი ფუნქციების რეალიზაციას. კერძოდ, უზრუნველყოფს: სამუშაო ძალის ნორმალურ აღწარმოებას, გაცვლას, განაწილებასა და გამოყენებას ეკონომიკის სფეროებისა და დარგების, საქმიანობის სახეების მიხედვით; იცავს შრომითი მოტივაციის ნორმებსა და მოთხოვნებს; მოთხოვნასა და მიწოდებას შორის სწრაფი და ოპტიმალური შესაბამისობის მიღწევას; დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის ურთიერთობების რეგულირებას, მათი ინტერესების შეთანაწყობას; შრომის ბაზარზე კონკურენციას და სხვა. სამწუხაროდ, დღეს ქვეყანაში ფუნქციონირებადი შრომის ბაზარი განუვითარებლობის გამო ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ფუნქციების სათანადო რეალიზაციას. „მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბოლო პერიოდში გატარდა ფუნდამენტური ეკონომიკური რეფორმები, კვლავაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ეკონომიკის სტრუქტურული პრობლემები და შრომის ბაზრის არასაკმარისი განვითარება, რაც, თავის მხრივ, ისეთ პრობლემებს უკავშირდება, როგორიცაა უმუშევრობა, სიღარიბე, უთანასწორობა, არალეგალური შრომითი მიგრაცია (დადგენილება N662, 2019). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შრომისა და დასაქმების ეროვნული სტრატეგიის მიზანს შრომის ბაზრის განვითარება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

შრომის ბაზრი საქართველოში, პრობლემები, ძირითადი გამოწვევები

განვითარებულ ქვეყნებში შრომის ბაზრის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების შედეგად ხორციელდება მდგრადი ეკონომიკური განვითარების ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა: სტრუქტურული გარდაქმნები ეკონომიკაში, მატერიალურ-ტექნიკური ფაქტორების განვითარება, ინოვაციების დანერგვა; ადამიანური კაპიტალის განვითარება, საზოგადოების წევრთა საერთო და პროფესიული ცოდნის დონის, კულტურის, შემოქმედებითი შესაძლებლობების, მორალური ღირებულებების განვითარება; საზოგადოებრივი ურთიერთობების, განსაკუთრებით კი სოციალურ-შრომითი ურთიერთობების განვითარება. სამწუხაროდ, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ ასეთი შრომის ბაზარი საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს. სახეზეა ფორმირების სტადიაში მყოფი შრომის ბაზარი, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებებით, რომელთაგან უნდა გამოვყოთ: უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე და მასშტაბები; არაეფექტიანი დასაქმება, ე. წ. „ღარიბი დასაქმებულების“ არსებობა და ეროვნული მეურნეობის რიგ დარგებში შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე; მოთხოვნის ზრდა სხვადასხვა პროფესიისა და სპეციალობის მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, განსაკუთრებით კი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებზე; ფარული უმუშევრობისა და არაფორმალური დასაქმების მაღალი დონე; ადამიანური კაპიტალის განვითარების დაბალი დონე და ხარისხი; მასობრივი შრომითი ემიგრაცია; შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის პრობლემები, ხელფასის დაბალი დონე და მისი ძირითადი ფუნქციების შესუსტება; შემოსავლების დიფერენციაციის მაღალი დონე; ქვეყანაში სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის სისტემის განუვითარებლობა; შრომის ბაზრის ერთიანი ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო სისტემის განუვითარებლობა და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების მიმდინარე ეტაპზე საქართველოში მასობრივი, ქრონიკული უმუშევრობის დაძლევა და შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა კვლავ სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად რჩება. ეს მაშინ, როცა ქვეყანა თანამედროვე გლობალიზაციისა და საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების განვითარების პირობებში აქტიურადაა ჩართული ევროინტეგრაციის პროცესში. უმუშევრობა მთელ მსოფლიოში განიხილება, როგორც ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ფენომენი, საქართველოში კი განსაკუთრებით ბოლო 20-25 წლის განმავლობაში უმუშევრობა არის სიღარიბის გამოწვევი უმთავრესი ფაქტორი. უმუშევრობის მაღალი დონე და მასშტაბები, ქრონიკული უმუშევრობა, არსებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ოფიციალური მონაცემებით 2000-2019 წლებში მისი დონე ქვეყანაში 10.3%-დან (2000 წელი) 11.6%-მდე მერყეობდა (2019 წელი), ხოლო მაქსიმალურ დონეს-16.9%-ს - 2009 წელს მიაღწია (იხ. ცხრილი-1).

ცხრილი-1

15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით საქართველოში 2000-2022 წლებში

მაჩვენებლები	2000	2009	2015	2020	2021	2022
1.სულ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	2049.2	1991.8	2021.5	1523.7	1533.6	1551.5
1.1.დასაქმებული	1837.2	1656.1	1779.9	1241.8	1217.4	1269.9
1.1.1.დაქირავებული	683.9	596.0	753.4	845.3	829.4	867.9
1.1.2.თვითდასაქმებული	1041.2	1059.0	1018.1	395.9	387.1	401.2
1.1.3.გაურკვეველი	112.1	1.2	8,4	0.7	0.9	0.8
1.2.უმუშევარი	212.0	335.6	241.6	281.9	316.2	281.6
2.მოსახლ. სამუშაო ძალის გარეთ	1092.3	1139.3	958.3	1494.8	1476.7	1458.9
უმუშევრობის დონე	10.3%	16.9%	12.0%	18.5%	20.6%	18.1
აქტიურობის დონე	65.2%	63.6%	67.8%	50.5%	50.9%	51.5
დასაქმების დონე	58.5%	52.9%	59.7%	41.1%	40.4%	42.2

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. დასაქმება და უმუშევრობა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge).

რაც შეეხება 2020-2022 წლებს, აღნიშნული პერიოდიდან საქართველოში საფუძვლიანად იცვლება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, უმუშევრობისა და დასაქმების სტრუქტურა, რადგან 2020 წლის 28 დეკემბრიდან ქვეყანაში სამუშაო ძალის აღრიცხვის სრულყოფის მიზნით ძალაში შევიდა შსო-ის მიერ შემუშავებული ახალი სტანდარტები, რომელიც დამტკიცდა და დაინერგა შრომის სტატისტიკოსთა მე-20 საერთაშორისო კონფერენციის მიერ. კერძოდ, კორექტირებული იქნა ბოლო 10 წლის მაჩვენებლები (2010 წლიდან 2019 წლის ჩათვლით) (ცარციძე მ., 2022:20-39). თვითდასაქმებულთა კატეგორიის გადაკვალიფიცირებისა და მათი რაოდენობის დადგენასთან ერთად, ავტომატურად შეიცვალა სამუშაო ძალის სხვა ინდიკატორები. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით 2020, 2021 და 2022 წლებში უმუშევრობის დონე არაერთგვაროვანი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, თუ იგი 2021 წელს წინა წელთან შედარებით 2.1%-ით გაიზარდა და 20.6% შეადგინა, 2022 წლის მეორე კვარტალის მონაცემებით იგი 18.1%-მდე, ანუ 2.5%-ით შემცირდა. რაც შეეხება დასაქმების დონეს, აღნიშნულ პერიოდში იგი 41.1%-დან 40.4%-მდე, ანუ 0.7%-ით შემცირდა, ხოლო შემდეგ 42.2%-მდე გაიზარდა (geostat.ge). მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ჯერ კიდევ საგრძნობლად ვერ უმჯო-

ბესდება დასაქმების ხარისხობრივი მაჩვენებლები და ეფექტიანობა, შესაბამისად ქვეყნის ცალკეულ დარგებში ძალზე დაბალია შრომის მწარმოებლურობა, პროდუქტიულობა. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით საგრძნობია, ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა სოფლის მეურნეობაში. სწორედ იგი ითვლება ყველაზე დაბალმწარმოებლური დარგად ქვეყანაში. ასე მაგალითად, 1990 წლის ჩათვლით საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 695,0 ათასი კაცი (საერთო დასაქმებულთა–25.2%) დარგი აწარმოებდა მშპ-ის 29.8%-ს, რაც შეადგენდა 4454.0 მლნ. მანეთს. 2021 წელს კი მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებული 1217.4 ათასი კაციდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 230.3 ათასი კაცი, ანუ 18.92%, რომელმაც აწარმოა მსპ-ის მხოლოდ 7.0%. მაშასადამე, თუ 2021 წელს, 1990 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა 25.2%-დან 18.9%-მდე, ანუ მხოლოდ 6.3%-ით შემცირდა მსპ-ის მთლიან მოცულობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა 29.8%-დან 7.0%-მდე, ანუ 22.8%-ით შემცირდა (Царцидзе М. Лацабидзе Н. 2020:158-159).

ქვეყანაში შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობამ, არაეფექტიანმა დასაქმებამ და უმუშევრობის მაღალმა დონემ სერიოზული გავლენა იქონია მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, სიღარიბის სიღრმესა და მასშტაბებზე, შეაფერხა ქვეყნის წინსვლა და მასთან ერთად სხვა უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა წარმოშვა. ჯერ კიდევ 2005 წელს ქვეყნის მოსახლეობის 54.9% სიღარიბის ოფიციალურად დადგენილ ზღვარზე დაბლა ცხოვრობდა (Tsartsidze M., 2016). შემდეგ პერიოდში, 2010 წლიდან 2021 წლის ჩათვლით ქვეყნის მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებლები მედიანური მოხმარების 60%-ისა და 40%–ის მიმართ, შესაბამისად, საშუალოდ 22.1%-სა და 9.1%–ს შეადგენდა (ფარდობითი სიღარიბე) (იხ. სქემა-1).

სქემა-1

სიღარიბის დონის მახასიათებელი მაჩვენებლები საქართველოში 2010-2021 წლებში



წყარო: შედგენილია ავტორების მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge).

2021 წელს სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი, ანუ საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის (587524 კაცი) წილი მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 15.8%-ს მიაღწია (geostat.ge). მართლაც აშკარაა, რომ ბოლო წლებში ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდის ტემპებმა ვერ უზრუნველყო სიღარიბის დონის მნიშვნელოვანი შემცირება.

მიმდინარე ინოვაციური განვითარების ეპოქაში ადამიანური კაპიტალის განვი-თარება, განათლების ხარისხი და კვალიფიციური კადრების არსებობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში ინვესტიციების ზრდასა და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობას. ასევე "საყოველთაოდ ცნობილია, რომ რესურსების სახეობებს შორის ადამიანურ რესურსებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება" (ტუღუში მ., 2019:97). ადამიანური კაპიტალის განვითარების დონეს კარგად ახასიათებს საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული მაჩვენებელი-ადამიანური პოტენციალის განვითრების ინდექსი (აპგი HDI=(LEI*EI*II)1/3), რომელიც ასევე გამოხატავს მოცემული ქვეყნის რეიტინგს მსოფლიოში. ასე მაგალითად, 2010 წლიდან საქართველო აღნიშნული ინდექსის დონის მიხედვით (0.751) განვითარების მაღალი დონის ქვეყნებს მიეკუთვნებოდა და მსოფლიოს გაეროს წევრი 187 ქვეყნიდან 75-ე ადგილზე იმყოფებოდა (იხ. სქემა-2).

სქემა-2

ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი (აპგი) საქართველოში 2000–2021 წლებში და ქვეყნის რეიტინგი



წყარო: შედგენილია ავტორების მიერ სხვადასხვა ელექტრონული რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე. (undp.org); (live.com).

როგორც ვხედავთ, 2018-2021 წლებში, წინა წლებთან შედარებით, ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის მნიშვნელობა საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 0.812-ს - საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. შედეგად 189 ქვეყანას შორის საქართველო 64-ე ადგილს იკავებს. აღნიშნულის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის (HDI) მნიშვნელობა საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით და იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზოგი-

ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მაჩვენებლებსაც კი. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში HDI–0.824-ს მნიშვნელობით, 52-ე ადგილს იკავებს; ყაზახეთი HDI–0.825, 51-ე ადგილზეა. ბალტიისპირეთის ქვეყნებში აპგი-ის დონე კიდევ უფრო მაღალია და იგი რეიტინგის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ესტონეთი 0.892 (29-ე ადგილი); ლიეტუვა 0.882 (34 ადგილი) და ლატვია 0.865 (37 ადგილი) (HDI.https://en.wikipedia.org). ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის (HDI) დაბალი მნიშვნელობა და რეიტინგი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით (64-ე ადგილი 189 ქვეყანას შორის) ძირითადად განპირობებულია საქართველოს განათლების სისტემაში (ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი) არსებული მდგომარეობით, პრობლემებით. დაბალი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების თანამედროვე მეთოდის დანერგვა. აღნიშნული პრობლემები სერიოზულ ბარიერებს ქმნის სამუშაოს მაძიებლებისათვის დასაქმების პერსპექტივის თვალსაზრისით. საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში დასაქმების უმთავრესი ბარიერებია: სამუშაო გამოცდილების სიმწირე; ცოდნისა და უნარების გაღრმავების შესაძლებლობების არარსებობა; ინგლისური ენის არცოდნა; სამუშაო ადგილების სიმწირე; დაბალი ანაზღაურება. ამას ემატება ისიც, რომ ბოლო პერიოდის (2022 წელი) კვლევების მონაცემების მიხედვით12 როგორც სპეციალისტების, ისე სხვა კატეგორიის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, იქაც კი სადაც ამის აუცილებლობა არ არსებობს, დამსაქმებლები მხოლოდ უმაღლეს განათლებას უთითებენ13. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ ისევ დაბალია პროფესიული განათლების პრესტიჟი. ეს უკანასკნელი კი აშკარად ხდება პროფესიული განათლების სასწავლებლების კურსდამთავრებულების დასაქმების ხელისშემშლელი ფაქტორი.

საქართველოშ შრომის ბაზარზე ადამიანური კაპიტალის განვითარების დონე და ხარისხი პირდაპირ აისახება სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დონესა და მასშტაბებზე. სხვადასხვა ორგანიზაციების, კერძო სტრუქტურებისა და ცალკეული ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ მიმდინარე ეტაპზე საქართველოში საკმაოდ მაღალია მოთხოვნა ცალკეული პროფესიების მიხედვით მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე. მართლაც აშკარაა, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე რეალურად არსებობს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის დეფიციტი. „შრომის ბაზარზე კვალიფიციური კადრების მოძიება რთულია, რადგან შრომის ბაზარზე კომპეტენტური კადრების დეფიციტია“.14 აღნიშნულს ადასტურებს ასევე 2022 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგებიც15. ასე მაგალითად, 2020-2021 წლებში დასაქმების კერძო სააგენტოს - HR.GE ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ვაკანსიების საერთო რაოდენობიდან (დაახლოებით 69643), უმრავლესობა ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტების პროფესიულ ჯგუფზე მოდის-22.9% (15974 ვაკანსია). ასევე მაღალია მოთხოვნა სპეციალისტებზე-19.3% (13433 ვაკანსია), მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალზე-22.6% (15735 ვაკანსია) და ოფისის დამხმარე პერსონალზე-13.6% (9484 ვაკანსია) (იხ. ცხრილი-2). ტექნიკოსებსა და დამხმარე სპეციალისტების პროფესიული ჯგუფებიდან (ბიზნესის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ჯანდაცვის, სამეცნიერო და სამართლის დამხმარე სპეციალისტები) მაღა-

12 იხ. დეტალურად, ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“, ივლისი 2022 წელი. პროფესიული განათლებით დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა - Google Drive;

13 იხ. დეტალურად, ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“ (2022), „პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევა“. პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევა - Google Drive.

14 იხ. დეტალურად, საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისობის ანალიზი (თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე). https://www.researchgate.net/ publication/357420479.

152022 საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=6d62d354-2f42-4614-9038-fdaea4c0d13d;

ლი საკვალიფიკაციო მოთხოვნაა (იგულისხმება გამოცდილება და მაღალი დონის უნარები) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებზე, ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტებზე (74%). მათგან უნდა გამოვყოთ: კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები (53%), საკრედიტო და სესხის ოფიცრები (17%) და ოფისის ზედამხედველები (12%). ვაკანსიების დ გარკვეული რაოდენობა ფიქსირდება ასევე სადაზღვევო წარმომადგენლების (5%), უძრავი ქონების აგენტების (5%), შემსყიდველებისა (4%) და საბუღალტრო სფეროს სპეციალისტების (3%) პროფესიული ჯგუფების მიხედვით. მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურების სფეროებში დასაქ-მებული პერსონალის ძირითად პროფესიულ ჯგუფში გამოცხადებული ვაკანსიების 57.5% გაყიდვების

ცხრილი-2

HR.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 2020 და 2021 წელს საქართველოში (კაცი)

	ვაკანსიების დასახელება	2020		2021	
		რაო-ბა	%	რაო-ბა	%
	მენეჯერები	1042	2.5%	1718	2.5%
	სპეციალისტები	8854	21.1%	13433	19.3%
	ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	10082	24.1%	15974	22.9%
	ოფისის დამხმარე პერსონალი	5542	13.2%	9484	13.6%
	მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები	8278	19.8%	15735	22.6%
	სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები	160	0.4%	170	0.2%
	ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშაკები	2911	6.9%	4248	6.1%
	სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები	2381	5.7%	4197	6.1%
	დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი	2635	6.3%	4684	6.7%
	სულ	41885	100%	69643	100%

სფეროში დასაქმებულ პირებზე მოდის (მარკეტების გაყიდვების ასისტენტები, მოლა-რეები, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, მზარეულები, მიმტანები, ბარმენები, შინამოსამსახურეები და პირადი მომსახურებები). მათგან ძირითადია მარკეტების კონსულ-ტანტ-გამყიდვლები და მოლარე-ოპერატორები, პირადი მომსახურების სპეციალისტები. ამ უკანასკნელზე მოდის გამოცხადებულ ვაკანსიათა 26.8% (მზარეულები, მიმტანები, სტილის-ტები და ა.შ.). ოფისის დამხმარე პერსონალის ჯგუფში ძირითადი მოთხოვნა ქოლ-ცენტრის ოპერატორებსა და ბანკის მოლარეებზე დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელთან შედარებით აღნიშნული ჯგუფის ვაკანსიების მიხედვით მიმდინარე პერიოდში მოთხოვნა 2.8%-ითაა გაზრდილი. რაც შეეხება მენეჯერებს, გამოქვეყნებული ვაკანსიების 51.5% ადმის-ტრაციულ და კომერციულ მენეჯერებზე (ფინანსური მენეჯერები, გაყიდვებისა და მარკე-ტინგის მენეჯერები და სხვა) მოდის. სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის

სფეროს სპეციალისტები ერთადერთი ქვეჯგუფია, სადაც სხვა ჯგუფებთან შედარებით სპეციალისტებზე მოთხოვნა საგრძნობლად დაბალია.

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 2018 წლის დასაწყისში საქართველოში შესაბამისი სამთავრობო დადგენილებით განისაზღვრა შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხა და შემსრულებელთა შრომის ანაზღაურების წესი (დადგენილება N68, 2018), რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ყველაზე დეფიციტური და მაღალანაზღაურებადი პროფესიების ხუთი ძირითადი ჯგუფი: 1. საინფორმაციო სისტემებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სფერო; 2.ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის სფერო; 3.სამოქალაქო ავიაციის სფერო; 4.საზღვაო სფერო და 5. ჰიდროგრაფიული სფერო. აღნიშნულ სპეციალობებზე საქართველოს შრომის ბაზარზე მიმდინარე პერიოდშიც საკმაოდ დიდი მოთხოვნა არსებობს, ამიტომ ბუნებრივია, რომ მათი შრომის ანაზღაურება სხვა პროფესიებთან შედარებით გაცილებით მაღალია.

საქართველოში განხორციელებული კვლევებიდან აშკარაა, რომ საწარმოს განვითარებისა და გაფართოების მიზნით, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით ყველაზე მეტად შესამჩნევია მენეჯერებსა (22.1%) და სხვადასხვა დონის სპეციალისტთა პროფესიულ ჯგუფებზე (18.1%).16 გამოცდების ეროვნული ცენტრში არსებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოში ყველაზე მაღალი მოთხოვნით გამოირჩევა შემდეგი ხუთი ძირითადი სფერსოს სპეციალობები: ბიზნესი; სამართალი; საერთაშორისო ურთიერთობები; სოციალური მეცნიერებები და ტურიზმი17. ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში „ილიაუნი ბიზნეს რევიუს“ (IBR) მიერ მომზადებული კვლევის – „საქართველოს ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები და ტოპ 30 დამსაქმებელი კომპანია“ შედეგების მიხედვით18 ყველაზე მაღალი მოთხოვნა აღმოჩნდა გაყიდვის მენეჯერებზე, ბუღალტერ/ფინანსისტებსა და დისტრიბუტორებზე19. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, სადაც განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს პრაქტიკაზე ორიენტირებულმა სწავლებამ და ამ მიმართულებით სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებამ, საწარმოებთან უფრო აქტიური თანამშრომლობის გზით. 2021 წლის დეკემბერში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორების, მეცნიერ-მკვლევარების მიერ ჩატარებული ძალზე მნიშვნელოვანი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დასაქმებული კურსდამთავრებულთა უმრავლესობის შეფასებით, „დასაქმებულთა სამსახურებრივი პოზიცია უმეტესწილად შეესაბამება უნივერსიტეტში მიღებულ კვალიფიკაციას“, თუმცა უნივერსიტეტში მიღებული განათლება მეტნაკლებად, ან არ სჭირდება სამუშაო ადგილზე. გამოკითხულთა თითქმის მესამედი თვლის, რომ სასწავლო პროგრამა აცდენილია პრაქტიკულ საჭიროებებს20.

საქართველოში ცივილიზებული შრომის ბაზრის დამკვიდრებისათვის აუცილებელია მისი ბუნების ადექვატური ინფრასტრუქტურის შექმნა. მისი ფუნქციონირების მთავარი კრიტერიუმი უნდა გახდეს სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ოპტიმალური შესაბამისობის მიღწევა და თავისი ძირითადი ფუნქციების ეფექტიანად შესრულება. აღნიშნული ფუნქციების წარმატებით რეალზაცია მოითხოვს სოციალური პარტნიორობის პრინ-

16 იხ. დეტალურად, უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2020. GetFile.ashx (lmis.gov.ge);

17 იხ. დეტალურად, 5 ყველაზე მოთხოვნადი პროფესია საქართველოში | Ambebi.GE;

18 კვლევა განხორციელდა– www.jobs.ge და www.HR.com.ge ვებ გვერდების ინფორმაციის გამოყენებით;

19 იხ. დეტალურად, საქართველოს ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (iliauni.edu.ge).

20 საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისობის ანალიზი (თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე). https://www.researchgate. net/publication/357420479.

ციპულად ახალი სისტემის ფორმირებასა და კოლექტიური მოლაპარაკებების სისტემის დამ-კვიდრებას სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სუბიექტებს შორის.

ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი. საქართველოს შრომის ბაზრის წონასწორობის შეფასების ეკონომეტრიკული მოდელი. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. Microsoft Word - ????????????? ??????? 2022-4444.doc (tsu.ge);
2. აბესაძე ნ., გელაშვილი ს., მინდორაშვილი მ., ძებისაური ლ., დასაქმების სტატისტიკა საქართველოს ბიზნეს სექტორში პანდემიური შოკების ფონზე. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. Microsoft Word - ????????????? ??????? 2022-4444.doc (tsu.ge);
3. ბედიანაშვილი გ., ბიჭია ქ., ნაცვლიშვილი ე. სამეწარმეო აქტიურობის განვითარება, შრომის ბაზარი და უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები. გლობალიზაცია და ბიზნესი. 12, 21-31*. 2021. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.002. gb-N12.pdf (eugb.ge);
4. კაკულია ნ., ლაზარაშვილი თ. ინსტიტუციური ტრანსფორმაცია და მისი გამოწვევები საქართველოში. Institutional transformation and its challenges in Georgia.pdf (tsu.ge);
5. ლობჟანიძე მ. კოვიდ-19 პანდემიის გავლენა სასწავლო მიგრაციაზე. IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია-საქართველოს პოსტპანდემიური ეკონომიკა: გამოწვევები, პრობლემები, გადაჭრის გზები, 2020;
6. ლობჟანიძე მ. უმუშევრობა ახალგაზრდებში და პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელობა. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. Microsoft Word - ????????????? ??????? 2022-4444.doc (tsu.ge);
7. პაპავა ვ., ჭარაია ვ. კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. ექსპერტის აზრი. N136. საქართველოს სტარტეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. 2020 წელი. (gfsis.org);
8. პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2015 წელი;
9. ტუხაშვილი მ. საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის კვლევის სტრატეგიის შესახებ. ჟურნალი „მიგრაცია“, N7. თსუ გამომცემლობა, 2017 წელი;
10. ტუხაშვილი მ. “აუცილებელია საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციის კომპლექსური შესწავლა”, მიგრაცია N2, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, “უნივერსალი”, თბ., 2008, გვ. 11.
11. ტყემალაძე ი. დისტანციური დასაქმების როლი COVID-19-ის პანდემიის უარყო-ფითი შედეგების შემცირებაში. თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენცია „თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური პრობლემები“. თბილისი, 2020 წელი;
12. ტუღუში მ. ადამიანური რესურსების მართვის ზოგიერთი საკითხი საქართველოს საჯარო სამსახურში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Ekonomics and Business”, N3, 2019წ. ISSN 1987-5789. გვ. 97. http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng= ge&adgi=878&title;
13. ღაღანიძე გ. მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XII, N2, 2020 წელი. http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge;
14. ცარციძე მ. დისტანციური დასაქმების განვითარების პერსპექტივები საქართველოში კორონომიკის პირობებში. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N10, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი 2020წ. ISSN 2449-2396. eugb.ge;
15. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. შრომის ბაზარი და არაფორმალური დასაქმების თავისებურებები გლობალური პანდემიის პირობებში. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N12, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 2021 წელი. ISSN 2449-2396. (eugb.ge);
16. ცარციძე მ. ლაცაბიძე ნ. შრომით ემიგრაციის თავისებურებები საქართველოში მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში. ჟურნალი „მიგრაცია“, N10, თსუ გამომცემლობა, თბილისი 2021წ. გვ.111-132. ISSN 2449-252.
17. ცარციძე მ. უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. მონოგრაფია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 2022 წელი;
18. ცარციძე მ., ტყემალაძე ი. დასაქმების ფორმების ტრანსფორმაცია გლობალური პანდემიის პირობებში. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „COVID 19 პანდემია და

ეკონომიკა“, 08.02.2022წ. შრომების კრებული. გვ. 396-406. https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20konferencia.pdf;
19. ცარციძე მ. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა და ახალგაზრდების დასაქმების თავისებურებები საქართველოში. თსუ, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Ekonomics and Business” ტომი XI, N2, 2019წ. ISSN 1987-5789. გვ. 16-37. http://eb.tsu.ge/?cat=arq&leng=ge&adgi= 800&title
20. Kharaishvili E., Natsvlishvili I. Impact of International Educational Migration In The Contexst Of Globalization Of Higner Education (Case Of Georgia). https://iated.org/concrete3/paper_detail.php?paper_id=73405. 2019. ISBN: 978-84-09-12031-4.
21. Shelia M. Employers demand on labour force in Georgia ’s big cities.book:"Interdisciplinary Perspectives on Social Sciences “Cambridge Scholars Publishing, UK, 2014, p.113-118. http://www. cambridgescholars.com/interdisciplinary-perspectives-on-social-sciences
22. Shelia M. Reproductive Behavior of Students in Georgia. Демографія та соціальна економіка, 2018. № 2(33). P. 94-102;
23. Tukhashvili M. Georgian Labour Market in the condition of Political and Economic Crisis. In the book:Youth Employment: Challenges and Opportunites. Timisoara.Eurostampa, 2012;
24. Tukhasvhili Mirian, Latsabidze Natela, Lobzhanidze Manana, Shelia Mzia. Emigration Intentions Of Students Of Higner Education Institutions Of Georgia (Examples From Ivane Javakhishvili Tbilisi State University). European Journal of Humanities and Social Sciences. Scientific journal. Vienna. Premier Pubishing. №3 2018. P.132-140. ISSN 2414-2344. https://ppublishing.org/journals/769/;
25. Tukhashvili M. Shelia M. New Trends of Student Migration in Georgia.Humanities & Social Sciences Review. December, 2019. p. 444-456;
26. Tsartsidze M. Poverty and the Economic Development Factors in Georgia. «European Journal of Humanities and Social Sciences», Scientific journal, №1, vienna 2016.
27. Tsartsidze M. Unemployment and the effective employment problems in Georgia under the modern globalization terms. Institute of Researches and International Symposiums IRIS–ALKONA. Latvia. Journal of International Economic Research. ISSN 2500-9656. Volume 4 (2018) No.1. p.92. http://irissymposium. wixsite.com/website.
28. United Nations Development Programme. Human Development Report 2020. Georgia. GEO.pdf (undp.org) HDR21-22_Statistical_Annex_HDI_Table.xlsx (live.com).m
29. Царцидзе М. Лацабидзе Н. Структурные и отраслевые особенности рынка труда и занятости населения в Грузии. Structural and sectoral features of the labor market and employment in the Georgia. Social and labor research. 2020;38(1):153-163. DOI: 10.34022/2658-3712-2020-38-1-153-163. “Социально-трудовые исследования”. Научно-практический журнал. страница 153-163. https://www.vcot.info/magazine.

საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“, ქ.თბილისი 2019 წლის 30 დეკემბერი (matsne.gov.ge);
2. საქართველოს შრომის კოდექსი. კანონი N4113. 17 დეკემბერი 2010 წელი. (matsne.gov.ge);
3. საქართველოს კანონი N6819-სრ „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, ქ. თბილისი, 2020 წლის 14 ივლისი (matsne.gov.ge);
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება N68 „შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხის განსაზღვრისა და საჯარო დაწესებულებაში ამ ფუნქციების შემსრულებელთა შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“, 2018 წლის 7 თებერვალი.

კვლევები:

1. უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2020. GetFile.ashx (lmis.gov.ge);
2. ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“, ივლისი 2022 წელი. პროფესიული განათლებით დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა - Google Drive;
3. ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“ (2022), „პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევა“. პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევა - Google Drive;
4. საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კურსდამთავრებულთა კვალიფი-კაციის შესაბამისობის ანალიზი (თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე).https://www.researchgate.net/ publication/357420479.

5. 2022 საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადიგანვითარებისსამინისტრო.http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx? Type=UserReport&ID=6d62d354-2f42-4614-9038-fdaea4c0d13d.

Murman Tsartsidze
Associate Professor
Doctor of Economic Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Natela Latsabidze
Academic Doctor
Head of personnel management department
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Labour Market and Trends Labour Demand Changes in Georgia in the Conditions of the Modern Global Crisis

SUMMARY

At the current stage of socio-economic development of the country, overcoming unemployment, poverty and providing effective employment in Georgia remains the main task of macroeconomic policy. Despite the recent reforms and some positive changes in the direction of economic development, there are still a number of difficulties in the field of employment, which firstly are connected to the shortage of jobs across the country, and on the other hand, the shortage of highly qualified workforce is a very acute problem. At the same time, there is a noticeable lack of personnel with the necessary knowledge, skills and experience according to certain professions and specialties. This confirms the existence of a certain disbalance between the demand and supply of labour force in the labour market of Georgia. The problem is further exposed and aggravated by modern global trends related to current demographic, organizational, structural changes, large-scale labour emigration, use of new non-standard forms of employment, development of technologies and innovations. According to the mentioned situation, the systematic study of the labour market is of great importance especially in the direction of studying the actual demand for labour force, that the system of higher and professional education in the country to be properly focused on the training of personnel with relevant professions and qualifications, which will fully meet the requirements of employers for the workforce and finally eliminate the existing imbalance in the labour market.

In the paper is presented an analysis of current condition of Georgian labour market, accordingly, the main problems and challenges in this field are highlighted. Special attention is paid to the depth research of trends in labour demand in the labour market of Georgia in recent years.

Key words: Labour market; conjuncture; demand of labour; unemployment; employment.

იზოლდა ჭილაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში საწარმოთა ფინანსური რისკების ტენდენციები Covid 19-ის შემდგომ პერიოდში

კვლევის მიზანია საწარმოთა ფინანსური რისკების თავისებურებების გამოვლენა პანდემიის შემდეგ პერიოდში, საანალიზო საწარმოების მაგალითზე. კვლევის საგანია კაპიტალისა და პროცენტის ლევერიჯის მაჩვენებლების ტენდენციები.

შრომაში გამოკვლეულია ათი სხვადასხვა დარგის, თხუთმეტი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია. ჩატარებულ იქნა ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზი, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები თუ რა გზებით შეუძლიათ საწარმოებს დაფარონ ვალები, რათა შეარბილონ ფინანსური რისკები პოსტპანდემიის პერიოდში.

დღეს საწარმოთა ფინანსური სტაბილურობა აგრეთვე გულისხმობს და მოითხოვს პანდემიით გამოწვეულ ბიზნეს-რისკებზე დაფუძნებულ მართვას და კონტროლს, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საწარმოთა რისკების ანალიზის სრულყოფის საკითხების კვლევას.

საკვანძო სიტყვები: *პანდემია, ფინანსური რისკები, ლევერიჯი,*

რისკი არის საწარმოთა საქმიანობის შემადგენელი ნაწილი და მსოფლიოში, სადაც უდიდესი მოცულობის ინფორმაცია სულ უფრო სწრაფი ტემპებით მუშავდება, რისკების იდენტიფიცირება და შეფასება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. შესაძლოა მიმდინარე წელს რისკის საფრთხე არ ჩანდეს, მაგრამ მომავალ წელს საწარმოს ფინანსური შედეგები გაუარესდეს და მენეჯმენტი მას მოუმზადებელი შეხვდეს. ასეთი მოვლენების მიზეზი არის ის, რომ საწარმოთა მმართველები რისკების მაჩვენებლებს რეგულარულად არ აკონტროლებენ და არ მართავენ იმ მოტივით, რომ რისკების გაზომვა ხშირად შეუძლებელია. მაგრამ, საწარმოს საქმიანობაზე დამოკიდებული შიდა რისკების გაზომვა ალბათობის, სტატისტიკური მეთოდებისა და გარკვეული მაჩვენებლების გამოყენებით, შესაძლებელია.

დღეს საწარმოთა ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ბიზნესის მართვას რისკებზე დაფუძნებული პრინციპების საფუძველზე. რისკები მრავალი სახის არსებობს, რომელთა გაუთვალისწინებლობა იწვევს დიდ მატერიალურ და ადამიანურ დანაკარგებს. ამიტომაც, მსოფლიოში შეიქმნა მრავალი ორგანიზაცია, რომლებიც საწამოებს რისკებისაგან მოსალოდნელი საფრთხეების მონიტორინგის მიმართულებით ეხმარებიან. მათ შორის, ყველაზე კომპეტენტური გახდა სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაცია - ISO (International Organization for Standart). ამ ოგანიზაციაში შედიან სხვადასხვა სახელმწიფოთა ეროვნული სტანდარტების ორგანიზაციის წარმომადგენლები. მისი წევრების და ექსპერტების მეშვეობით ISO ნებაყოფლობითი კონსენსუსის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს. მან 2009 წელს გამოსცა რისკების მენეჯმენტის სტანდარტი ISO31000-„რისკ მენეჯმენტი“, რომელიც შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი ტიპის, ზომის და დარგის საწარმოთა მენეჯმენტმა და ყველა დაინტერესებულმა პირმა, ვინც მართავს რისკებს.

ISO31000 საწარმოებს ეხმარება რისკის მართვის ისეთი სტარტეგიის შემუშავებაში, რის შედეგადაც მიიღწევა რისკების იდენტიფიცირება, ეფექტიანი მართვა, შერბილება. სწორედ ამით იზრდება მათი მიზნების მიღწევის ალბათობა და მათი აქტივების დაცვის ხარისხი. ISO31000 სტანდარტების დანერგვა კომპანიებს ეხმარებათ დაინახონ რისკების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. იყვნენ უფრო მეტად ინფორმირებულნი, რათა შესაძლებელი იყოს საწარმოს მართვის გაუმჯობესება.

ISO31000-ის გადამოწმებული ვერსია გამოქვეყნდა 2018 წელს, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო ბაზრის ევოლუცია და ახალი გამოწვევები, რაც 2009 წლის შემდეგ წარმოიშვა. ერთ-ერთი მიზეზია ეკონომიკის სისტემის სირთულეების ზრდა და ახალი რისკფაქტორის წარმოშობა, როგორიცაა ახალი ციფრული ვალუტა და ბუნებრივი კატაკლიზმებიც კი. რაც საწარმოებისათვის წარმოშობს სრულიად ახალ რისკებს საერთაშორისო მასშტაბით.

2018 წლის ISO31000 უფრო სტრატეგიული ხასიათისაა და აქცენტს უფრო მეტად აკეთებს მენეჯმენტის მეტ ჩართულობაზე რისკების მართვაში.

რისკების მართვის ყველაზე მოხერხებული და ეფექტური მიმართულებაა ეკონომიკური მაჩვენებლების მეშვეობით საწარმოს საქმიანობაში არსებული რისკების გაზომვა და ანალიზი. სტანდარტები არის გზა, რომელითაც მსოფლიოს შეუძლია შეაჩეროს და შეცვალოს ბუნების დანაკარგები, განაცხადეს ბიომრავალფეროვნებისა და სტანდარტიზაციის წამყვანი ექსპერტების გაეროს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის (COP15) გვერდით ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართა მონრეალში (კანადა), 2022 წლის 14 დეკემბერს.

დასმული საკითხის პრობლემატურობას ის გარემოებაც აძლიერებს, რომ საწარმოში რისკით გამოწვეული დანაკარგების ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა და აღრიცხვა შეუძლებელია.

წინამდებარე შრომის მიზანია, საქართველოში საწარმოთა ფინანსური პოზიციების და რისკების შეფასების მაჩვენებლების შესწავლა პანდემიის დასრულების შემდგომ პერიოდში. გამოკვლულ იქნეს თუ რა არის არსებული ფინანსური სირთულეების მიზეზები, რათა შემუშავებულ იქნეს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების რეკომენდაციები.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- სათანადო მაჩვენებლების შერჩევა,
- საანალიზო კომპანიების შერჩევა,
- ფინანსური რისკების მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზის ჩატარება და საჭირო რეკომენდაციების შემუშავება, რათა შერბილებულ იქნეს ფინანსრი რისკების ნეგატიური გავლენები.

1. ლევერიჯის მაჩვენებლების არსი და ფაქტორული მოდელები

დაფინანსების წყაროების სტრუქტურის ოპტიმიზაციას მოგების გადიდების მიზნით, ფინანსური ლევერიჯის კონცეფციას უწოდებენ. ფინანსური ლევერიჯი იკვლევს საწარმოს სესხებისა და სააქციო კაპიტალის თანაფარდობის კავშირს მოგების ცვლილებასთან.

თანამედროვე კონკურენტულ გარემოში აუცილებელი გახდა ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების დანეგვა წარმოებისა და მომსახურების სფეროში, რაც გარკვეულ ფინანსებს მოითხოვს და რომელიც მოგებიდან უნდა დაიფაროს. ამიტომ, მხოლოდ აქციონერების ფინანსური ინტერესების დაკმაყოფილება საკმარისი არაა. კომპანიის წმინდა მოგებიდან უნდა შეიქმნას რეზერვები ბიზნესის განვითარებისათვის, რისკების შერბილებისათის, პერსონალის სტიმულირებისათვის და ა.შ. ჩვენი აზრით, დღეს ბიზნესის სტაბილურობის ერთ-ერთი ინდიკატორია რეინვესტირებული მოგების წილი წმინდა მოგებაში.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტებს ორ ჯგუფად ყოფენ. ესენია: კაპიტალის ლევერიჯი და პროცენტის ლევერიჯი. ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია ფინანსური ლევერიჯის (ფლ) მრავალი კოეფიციენტი (Charles, H. G. 2009). ესენია (იხ.ცხრილი 1.1.):

ცხრილი 1.1. ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები

მაჩვენებლები	
1. ფლ1 (აქტივები / საკუთარი კაპიტალი)	კაპიტალის ლევერიჯი
2. ფლ2 (აქტივები / (საკ.კაპ.- პრივილეგ. სააქციო კაპიტალი)	კაპიტალის ლევერიჯი
3. ფლ3 (საოპერაციო მოგება / წლიური მოგება)	მოგების ლევერიჯი
4. ფლ4 (ვალდებულებები / საკუთარი კაპიტალი)	კაპიტალის ლევერიჯი
5. ფლ5(ვალდებულებები+პრივილეგ.სააქც.კაპიტალი) / /(საკ.კაპ)	კაპიტალის ლევერიჯი
6. ფლ6 (პრივილეგ.აქციის დივ. + სა-% ხარჯი) / საოპ.მოგება)	პროცენტის საერთო ლევერიჯი
7. ფლ7 (საოპერაციო მოგება / წმინდა მოგება)	წმინდა მოგების ლევერიჯი

ფინანსური ლევერიჯის (კერძოდ, მოგების ლევერიჯის) ფაქტორული მოდელი (ჭილაძე ი. 2019) შემუშავებულია ჩვენს მიერ, როგორიცაა:

$$DFL = \boldsymbol{OP}/\boldsymbol{NP} = \boldsymbol{O}P/\boldsymbol{S} * \boldsymbol{S}/\boldsymbol{PS} * \boldsymbol{PS}/\boldsymbol{A} * \boldsymbol{A}/\boldsymbol{OwC} * \boldsymbol{Ow}\square\square/\boldsymbol{P} * \boldsymbol{P}/\boldsymbol{NP};$$

DFL - არის ფინანსური ლევერიჯის დონე;

OP/NP – არის საოპერაციო და წმინდა მოგების ფარდობა. თუ საოპერაციო მოგება უფრო მაღალი ხარისხით გაიზრდება, ვიდრე წმინდა მოგება, მაშასადამე იზრდება ფინანსური და საგადასახადო რისკები;

OP/S – არის საოპერაცი მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთნ. რაც უფრო მაღალია ეს კოფიციენტი, ნიშნავს, რომ იზრდება გაყიდვების რისკები.

S/PS – არის შემოსავლების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთან. მისი ზრდა საწარმოო დანახარჯების ნაკლებ ეფეტიანად გამოყენების რისკებზე მიანიშნებს. ანუ იზრდება საოპერაციო რისკი.

PS/A – რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა აქტივების საშუალო წლიურ ჯამთან. იგი აქტივების ნაკლებ ეფექტიანად გამოყენების რისკებზე მიუთითებს.

A/OwC – აქტივების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან. მისი ზრდა საკრედიტო და საპროცენტო რისკების ზრდაზე მიუთითებს.

OwC/P – საკუთარი კაპიტალის ფარდობა წლიურ მოგებასთან, რომლის ზრდა ნიშნავს რომ საკუთარი კაპიტალი უფრო მეტად იზრდება, ვიდრე მოგება. ამდენად, წარმოიქმენა კაპიტალის უკუგების შემცირების რისკები.

P/NP - მისი ზრდა ნიშნავს, რომ იზრდება გადასახადების წილი წლიურ მოგებაში, რაც ამ-ცირებს წმინდა მოგებას და მაშასადამე, იზრდება დივიდენდის დაფარვის რისკები ე.ი. შესაძლოა წმინდა მოგება საკმარისი არ აღმოჩნდეს დივიდენდების დასაფარავად.

დავუშვათ, წლიური მოგება 1000ლ და მოგების გადასახადი 200 ლარია. წმინდა მოგების რისკი იქნება 1.25 (1000/800). თუ მოგების გადასახდი გახდება 400 ლარი, მაშინ წმინდა მოგების რისკი 1.67 გახდება (1000/400). ამდენად, დივიდენდების დაფარვის (გაცემის) რისკი გაიზარდა. რაც უფრო მაღალი იქნება მოტანილი ფაქტორ-მაჩვენებლები, საწარმოს ფინანსური რისკები მით უფრო გაიზრდება. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ საწარმოთა ფინანურ რისკებზე თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში სერიოზულ გავლენას ახდენს ფულის ღირებულების ცვლილება დროში და აქტივების შეფასების მეთოდები. მაგრამ, ეს კვლევის ცალკე მიმართულებაა და მათ აქ არ ვეხებით.

გარდა ამისა, ჩვენი აზრით, გამომდინარე იქედან, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ლევერიჯის კოეფიციენტებს უწოდებენ ისეთ მაჩვენებლებსაც, რომელთა შემცირება იწვევს

ფინანსური რისკის ზრდას. მართებულად მიგვაჩნია, რომ ლევერიჯის კოეიციენტი ეწოდოს ისეთ კოეფიციენტებს, რომლის ზრდა რისკის ზრდას აჩვენებს (Chiladze I. 2019). მაგლითად, შევადაროთ ასეთი მაჩვენებლები:

1. აქტივების ფარდობა ვალდებულებებთან
2. ვალდებულებების ფარდობა აქტივებთან

ზოგიერთი ავტორი ორივე ტიპის მაჩვენებელს ლევერიჯის მავენებლებად თვლის. ეს ჩვენი აზრით დაბნეულობას იწვევს. მაგალითად, პირველი მაჩვენებლის ზრდა ნიშნავს, რომ აქტივები უფრო მაღალი ტემპით იზრდება ვიდრე ვალდებულებები, რაც რისკებს ამცირებს. ხოლო, მეორე მაჩვენებლის, ვალდებულებების ფარდობა აქტივებთან თუ გაიზრდება, რისკებიც იზრდება. ჩვენი აზრით, რისკიც მაჩვენებლებად უნდა ჩაითვაოს ის მაჩვენებლები, რომელთა ზრდა იწვევს რისკების ზრდას.

ამჯერად, აგრეთვე შევადგინეთ კაპიტალის ლევერიჯის კიდევ ერთი მაჩვენებლის - ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ფარდობის (L/Ow.C) - ფაქტორული მოდელი, რომელიც აჩვენებს, რომ თუ აქტივების დაფინანსების წყაროებში, ვალდებულებების ზრდის ტემპი გადააჭარბებს საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპს, მაშასადამე, ფინანსური რისკები იზრდება. მაჩვენებელი: L/Ow.C - შემდეგი ექვსი ფაქტორის ნამრავლის სახით წარმოვადგინეთ:

$$L / Ow. C = L/S * S /P \text{ of } S * P \text{ of } S/OP.P * OP.P/P * P /NP * NP/Ow.C$$

L - არის ვალდებულებები
Ow. C - საკუთარი კაპიტალი
L /S - ვალდებულებების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან,
S/PofS - შემოსავლის ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთან,
PofS/OP.P - რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა საოპერაციო მოგებასთან,
OP.P/P - საოპერაციო მოგების ფარდობა წლიურ მოგებასთან,
P / NP - წლიური მოგების ფარდობა წმინდა მოგებასთან,
NP/Ow.C - წმინდა მოგების ფარდობა საკუთარ კაპიტათან.

მაშასადამე, ამ ფაქტორული მოდელის საფუძველზე შესაძლებელია, აბსოლუტური სხავობის ხერხის გამოყენებით გაიზომოს ფინანსური რისკების გადახრაზე მოქმედი ექვსი მთავარი ფაქტორის გავლენა.

2. ფინანსური ლევერიჯის ცვლილების ტენდენციები საანალიზო საწარმოებში პანდემიის და პოსტ-პანდემიის პერიოდში

ლევერიჯის ზემოთ განხილული მაჩვენებელი - ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა საქართველოში მოქმედი რამდენიმე კომპანიის მაგალითზე (იხ.ცხრილი 2.1).

ცხრილ 2.1. კაპიტალის ლევერიჯის მაჩვენებლები საანალიზო საწარმოებში 2017-2021 წლებში (ვალდებ. / საკუთ.კაპიტალი)

კომპანიები	2017	2018	2019	2020	2021
1.სს თელიანი ველი *	0.19	0.20	1.05	1.37	1.12
2. სს კოკა-კოლა *	1.51	1.33	1.47	1.31	0.93
3. სს საქართველოს რკინიგზა *	1.30	3.45	3.44	5.65	(2.498)*
4. თელასი *	1.08	0.89	0.85	2.0	1.192
5.სოკარი *	(2.86)	(2.64)	(2.13)	(2.45)	0.1075
6.საფონდო ბირჟა	0.03	0.06	0.18	0.14	0.048
7.იმედი ელ *	3.87	1.75	1.89	1.52	1.393 *
8.გუდვილი *	(2.57)	(2.04)	(3.07)	(2.61)	2.497 *
9.ნიკორა	1.16	0.58	0.56	11.28	6.807 *
10.იფქლი დიღომი (კარფური)	0.18	0.37	0.43	0.27	0.282
11.სანტე	0.27	0.21	0.26	0.19	0.255
12.პსპ *	0.467	0.475	0.92	1.144	0.895
13.ავერსი	0.948	0.917	0.899	0.857	1.479 *
14. წისქვილ ჯგუფი(რესტორანი) *	0.44	1.43	2.74	(10.91)	
15. გუდაური სქი რესორტი * (სასტუმრო)	8.33	7.20	2.46	3.50	1.841 *

მოცემული ცხრილის ინფორმაციიდან სჩანს, რომ საანალიზო კომპანიებიდან, პანდემიის პერიოდში, მხოლოდ ოთხ კომანიაში არის დაბალი რისკები. დანარჩენ კომპანიაში ფინსნური რისკები მაღალია და ზრდის ტენდენციით ხასიათდება (ამ კომპანიის სახელწოდება ცხრილში წეტილებითაა აღნიშნული). ხოლო, პოსტ პანდემიის პერიოდში, 2021 წელს (2022 წლის ფინანსური ანგარიშგება ჯერ გამოქვეყნებული არაა) მაღალი რისკები დარჩა რკინაგზაში, გუდვილსა და რესტორან „წისქვილ ჯგუფში“ (ეს კომაპნიები 2021 წლის სვეტში, წერტილებითაა აღნიშნული). ავერსის აფთიაქში, კი პანდემიის პერიოდში რისკი არ არსებობდა, მაგრამ წარმოიშვა 2021 წელს. მთელ საანალიზო პერიოდში ფინანსური რისკები არ არსებობდა ოთხ კომპანიაში. ესენია: თელასი, სანტე, პსპ და იფქლი დიღომი (კარფური).

პოსტკოვიდურ პერიოდში, 2021 წელს კვლავ მაღალი რისკებია წისქვილ ჯგუფში (რესტორანი), სასტუმრო გუდაურში, გუდვილში. აღსანიშნავია, რომ ნიკორაში ფინანსური რისკი თითქმის განახევრდა, წინა წელთან შედარებით (6.87), ამის მიზეზების გამოსავლენად გამოვიყენეთ ფაქტორული ანალიზის მეთოდი (იხ. ცხრილი 2.2).

ცხრილი 2.2. შპს ნიკორას ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელზე მოქმედი ფაქტორები

მაჩვენებლები	2020	2021	გადახრა	ფაქტორთა გავლენა
ა	1	2	3	4
ფინანსური ლევერიჯი (ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან)	11.2848	6.8036	- 4.4773	-4.4773
ლევერიჯის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების ცვლილების გავლენა:				
1. ვალდებ. / შემოსავალი რეალიზაციიდან	0.3504	0.3356	-0.0148	-0.4766
2. შემოს. რეალიზაციიდან/	6.3850	6.5283	+0.1433	+ 0.2426
მოგება რეალიზაციიდან	2.8743	2.4865	-0.3878	- 1.4909
3. მოგება რეალიზაციიდან / საოპერაციო მოგება	4,9045	1.2162	-3.6883	- 7.1883
4. საოპაერაციო მოგება/წლიური მოგება	1	5.3849	+4.3849	+ 10.2761
5. წლიური მოგება / წმინდა მოგება	0.3578	0.1907	-0.1671	- 5.9588
6. წმინდა მოგება / საკუთარი კაპიტალი				

ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა (იხ. ცხრილი 2.2., სვეტი 4), რომ ოთხმა ფაქტორმა ფინანსური რისკები შეამცირა, ხოლო ორი ფაქტორის ზეგავლენით რისკები გაიზარდა. ესენია მეორე და მეხუთე ფაქტორები. კერძოდ, შემოსავალი რეალიზაციიდან უფრო მაღალი ტემპით გაიზარდა, ვიდრე მოგება რეალიზაციიდან. ე.ი. მოგების მარჟა წინა წელთან შედარებით შემცირდა. ასევე, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი წლიური მოგებისა და წმინდა მოგების ფარდობის კოეფიციენტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მაღალი იყო გადასახადების ტვირთი, რის შედეგადაც წლიური მოგების ზრდის ტემპი აღემატებოდა წმინდა მოგების ზრდის ტემპს წინა წელთან შედარებით.

დასკვნა

ამრიგად, ანალიზმა აჩვენა, რომ პანდემიით გამოწვეული ფინანუსრი რისკები ჯერ კიდევ მაღალია საქართველოში მოქმედ საწარმოთა უმრავლესობაში. აგრეთვე კვლევის შედეგად აღმოჩნდა რომ, არცერთ საწარმოში ადგილი არა აქვს მოგების რეინვესტირებას, რაც არაპირდაპირ, ნეგატიურ გავლენას ახდენს თვით ამ კომპანიების ფინანსურ სტაბილურობაზე.

ჩვენი აზრით, დღეს ბიზნესის სტაბილურობის ერთ-ერთი ინდიკატორია რეინვესტირებული მოგების წილი წმინდა მოგებაში, რასაც მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საწარმოთმა ხელმძღვანელობამ.

საწარმოები აგრეთვე საჭიროებს გარკვეულ ფინანსურ დახმარებას ხელისუფლების მხრიდან, რათა დაძლიონ არსებული კრიზისი და შედეგად გააქტიურდება სახელმწიფო ბიუჯეტში საწარმოების მიერ გადასახადების გადახდის პოლიტიკაც.

აგრეთვე, ვფიქრობთ საჭიროა გაუმჯობესდეს თვით საწამოთა მენეჯმენტისა და კონტროლის ხარისხი.

ლიტერატურა

1. ჭილაძე იზოლდა, საწარმოთა ლევერიჯის ანალიზის მეთოდიკის სრულყოფის საკითხები, მონოგრაფია. თბილისი, 2019 https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/leverij.pdf
2. იზოლდა ჭილაძე, თამარ თორია (2022), საქართველოში საწარმოთა ფინანსური შედეგების და რისკების ცვლილებები პანდემიის შემდეგ. გვ: 413-422. თბ.2022
3. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა, შრომების კრებული, 2022 წ. გვ: 413-422
4. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაჰოვიჩი უმცრ. (2008). კორპორციული ფინანსები. მე-12
5. გამოცემა. თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი.
6. Chiladze I. (2019). Factorial Analysis of the Financial Leverage of the Enterprise . Journal Aplied Finance and Accounting. Vol. 5, No.1, February. pp: 42-48
7. https://ideas.repec.org/a/rfa/afajnl/v5y2019i1p42-48.html
8. Dilip K. Ghosh, Arun J. Prakash, Dipasri Ghosh (2010). Leverage and Asset Allocation Under
9. Capital Market Distortion. International Journal of Business, 15(4). pp: 459-471.
10. http://www.craig.csufresno.edu/ijb/Volumes/Volume%2015/V154-7.pdf
11. http://www.afajof.org/SpringboardWebApp/userfiles/afa/file/Free%20Textbooks/Welch-ed1.pdf
12. Ivo, W. (2014).Corporate Finance (3td Edition), Prentice Hall.

Izolda Chiladze
Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Trends in Financial Risks of Enterprises in Georgia in the Post-Covid 19 Period

SUMMARY

The analysis showed that the financial risks caused by the pandemic are still high in the majority of enterprises operating in Georgia.

In our opinion, one of the indicators of business stability today is the share of reinvested profit in net profit, which should be paid more attention by the enterprise management.

Enterprises also need some financial assistance from the government in order to overcome the current crisis, and as a result, the policy of paying taxes by enterprises in the state budget will be activated.

Also, we think it is necessary to improve the quality of the management and control of the torture itself.

Keywords: pandemic, financial risks, leveradge.

ლალი ხიხაძე
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოსტპანდემიური პერიოდის გამოწვევები და თანმდევი გლობალური რეცესიის ფონზე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები

სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილია, როგორც პოსტპანდემიური პერიოდის გამოწვევები, ასევე თანმდევი გლობალური რეცესიის პრობლემები და სირთულეები. წარმოჩენილია COVID-19 პანდემით გამოწვეული ეკონომიკური ზიანი,რომელიც წარმოადგენს ყველაზე დიდ ეკონომიკურ შოკს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკამ და გლობალურმა ბიზნესმა ბოლო ათწლეულების განმავლობაში განიცადა.

პოსტპანდემიურ ეტაპზე 2021-2022 წლებში მსოფლიო ეკონომიკა ახალი მძიმე გამოწვევების წინაშე დადგა, რადგანაც COVID-19 პანდემიით განპირობებულ ეკონომიკურ სტაგნაციასა და დეპრესიას 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყება დაემატა. მსოფლიო ცივილიზებულმა თანამეგობრობამ რუსეთის წინააღმდეგ აგრესიის შეკავების მიზნით მკაცრი სანქციები დააწესა, რაც იმავდროულად, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკისთვის სირთულეები კიდევ მეტად გაამწვავა და კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. ამასთან ერთად პოსტპანდემიურ გამოწვევებს გლობალური რეცესიის მახასიათებელი პრობლემებიც დაემატა- ფასებისა და ინფლაციის დონის ზრდა, ინვესტიციების შემცირება, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ვარდნა, უმუშევრობა, ენერგეტიკული კრიზისი, უძრავი ქონების გაძვირება, მოსახლეობის მოწყვლადობის ზრდა და სხვა პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: *გლობალური რეცესია; პოსტპანდემიური გამოწვევები; ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა; საერთაშორისო სავალუტო ფონდი; მსოფლიო ბანკის ჯგუფი.*

კორონავირუსი, რომელიც 2019 წლის დეკემბრის თვეში დაფიქსირდა ჩინეთის ქალაქ ჰუბანში, გლობალური მასშტაბით გავრცელდა მთელ მსოფლიოში. 2020 წლის 30 იანვარს, გაეროს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი 2019-2020 წწ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მსოფლიო საფრთხედ გამოაცხადა, 2020 წლის 11 მარტს კი -გლობალურ პანდემიად შეაფასა. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობებმა კორონავირუსის გავრცელების შესაჩერებლად მიმართეს გადამწყვეტ ზომებს-ქვეყნების ტერიტორიული საზღვრების ჩაკეტვას, 24 სთ-იანი კარანტინის შემოღებას, მგზავრთა გადაადგილების შეზღუდვებს, სანიტარიული ნორმების დაწესებას და სხვა, რამაც მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ეკონომიკური დეპრესია და კრიზისი განაპირობა.

COVID-19-ის პანდემია გლობალური კრიზისის განვითარების თვალსაზრისით მსოფლიოსათვის ისტორიული და უპრეცენდენტო მოვლენაა. COVID-19 პანდემიამ მწვავე ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკასა და გლობალურ ბიზნესს, მათ შორის საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს, როგორიცაა ევროკავშირი, აშშ, აზერბაიჯანი, თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი, უკრაინა, და სხვ. COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ზიანმა(დღეისათვის შეუფასებელი, დაუთვლელია ზარალის ოდენობა და დანახარჯები), როგორც გლობალურ ეკონომიკაში, ასევე საქართველოში ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი შენელება და ბოლო წლების პოზიტიური შედეგების მინიმუმადე შემცირება გამოიწვია. [ლ.ხიხაძე,(2022), „გლობალური ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები Covid-19 პანდემიის კრიზისის შესამცირებლად"].

COVID-19 პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკურ ზარალთან ერთად, რუსეთის უკრაინაში შეჭრამ გლობალური ბიზნესისა და მსოფლიო ეკონომიკის ზრდის პერსპექტივები მნიშვნელოვნად გააურესა. ამას თან ერთვის მაღალინფლაციური გარემო, რის საპასუხოდაც მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა მონეტარული პოლიტიკა

გაამკაცრეს და კიდევ მეტადაა შეზღუდვები მოსალოდნელი. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების ფონზე სტაგფლაციური რისკებიც გაიზარდა. გლობალურად ფინანსური პირობების გამკაცრება განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ეკონომიკური ზრდის შეზღუდვებისა და დამატებითი ინფლაციური წნეხის რისკებს აჩენს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სირთულეებს ემატება კვლავ არსებული მწვავე შეფერხებები გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვის მიმართულებით, რის ფონზეც მსოფლიო მასშტაბით ინფლაციის მაჩვენებლები უპრეცედენტოდ გაიზარდა და ინფლაციის მოლოდინების თანმდევ გაუარესებას პასუხად მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების რესტრიქციული მონეტარული პოლიტიკა წარმოადგენს.

1. პოსტპანდემიური პერიოდის გამოწვევების მიმდინარეობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში

2022 წლის გაზაფხულიდან პანდემია თითქმის დასრულდა და მსოფლიოს უმრავლესმა ქვეყნებმა ბიუჯეტიდან კოვიდ 19-ის წინააღმდეგ მიმართული ხარჯები მნიშვნელოვნად შეამცირა. 2022 წლის თებერვლის თვეში მთავარი მოულოდნელობა რუსეთ-უკრაინის ომი იყო. ომმა მსოფლიო ეკონომიკაში ბევრი გაურკვევლობა და განუსაზღვრელი რისკები წარმოშვა. პოლიტიკურ კრიზისთან ერთად რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ გლობალურად ენერგორესურსებისა და საერთაშორისო ბარზებზე სასურსათო პროდუქტების მკვეთრი გაძვირება გამოიწვია, რადგანაც ომამდე რუსეთი და უკრაინა ძირითადი ნედლეულის (ბუნებრივი აირის, სანავთობო რესურსების, მარცვლეულის და ა.შ.) ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყნები იყვნენ. ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დაწესებულმა სანქციებმა და უკრაინაში მიმდინარე ომმა, ამ ქვეყნებიდან სასაქონლო პროდუქტების მიწოდება შეზღუდა და საერთაშორისო ბაზრებზე ენერგორესურსებისა და სასურსათო პროდუქტების ფასების ზრდა გამოიწვია. თუმცა 2022 წლის მეორე ნახევრიდან საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე მიწოდების ჯაჭვების აღდგენის კვალდაკვალ ფასების შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა. აღნიშნული პოზიტიური დინამიკა ამერიკასა და რუსეთში წარმოების პერსპექტივების გაუმჯობესებამ და უკრაინიდან შავი ზღვის პორტებში ექსპორტის აღდგენამ განაპირობა.

საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციები ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველია, თუმცა საყურადღებოა ინფლაციური რისკებიც და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციების მაღალი გაურკვევლობაც. მიმდინარე ომს სხვადასხვა ქვეყნებზე განსხვავებული გავლენა აქვს. საქართველოში, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, საგარეო მოთხოვნა მოსალოდნელზე მეტად გაიზარდა. რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მოქალაქეების დიდი რაოდენობით შემოდინებები და ტურიზმის ეტაპობრივი აღდგენა ეკონომიკურ აქტივობაზე პოზიტიურად აისახა. ასევე, ეკონომიკის პოტენციალი მოსალოდნელზე უფრო სწრაფი აღდგენის ნიშნებს ავლენს, რასაც მზარდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც ასტიმულირებს. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2022 წელს 10.0%-მდე გაიზარდა. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა მის პოტენციურ დონეს აჭარბებს. თუმცა, საკრედიტო აქტივობის ზრდა გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკისა და ბოლო პერიოდში ამოქმედებული მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების შედეგად შენელდა. ასევე აღსანიშნავია ევროპის ცენტრალური ბანკისა და ფედერალური სარეზერვო სისტემის გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკებს უცხოური ვალუტის დაკრედიტებაზე პოლიტიკის გამკაცრების ეფექტი აქვს. მცირდება ფისკალური სტიმულიც. ამ ტენდენციების გათვალისწინებით. მიწოდების მძლავრი შოკების პირობებში, ინფლაციური მოლოდინების დაბალ დონეზე შენარჩუნება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რადგან ერთმანეთის მიმყოლი შოკების შედეგად ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს დიდი ხანია აღემატება, ეს კი ე.წ „მეორე რაუნდის“ ეფექ-

ტის და საშუალოვადიანი ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკებს წარმოქმნის. [საქართველოს ეროვნული ბანკი ,, მონეტარული პოლიტიკის ანგარიში '' ოქტომბერი 2022].

2022 წლის მესამე კვარტალში მაღალი ინფლაციური გარემო შენარჩუნდა როგორც განვითარებულ ასევე მზარდ განვითარებად ქვეყნებში. აღნიშნული, ძირითადად განპირობებულია უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე არსებული გამოწვევებით და საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე პროდუქციის მაღალი ფასებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ნავთობის ფასებს ისევე, როგორც საკვები პროდუქტების ფასებს, შემცირების ტენდენცია გააჩნია.

2022 წლის მესამე კვარტალში, ეკონომიკური აქტივობის ტემპი შენელდა აშშ-ში, აღნიშნულის მიზეზი მკვეთრად გაზრდილი სამომხმარებლო ფასები და გამკაცრებული ფინანსური გარემოა. ამასთან, ექსპორტის მოცულობა მცირედ გაუარესდა, ხოლო სასაქონლო მარაგები შემცირდა. რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად, აშშ-ს მთავრობა აგრძელებს სანქციების დაწესებას რუსეთის წინააღმდეგ, რაც ქვეყნისთვის დამატებითი გამოწვევაა. საკმაოდ მაღალი რჩება ინფლაციის წლიური დონე, რომელმაც 2022 წლის სექტემბერში 8.2% შეადგინა. ინფლაციის გაზრდილი მოლოდინების პასუხად, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ფედერალური ფონდების საპროცენტო განაკვეთი 3-3.25%-იან შუალედამდე გაზარდა.

საერთაშორისო სავა;ლუტო ფონდის 2022 წლის ოქტომბრის თვის შეფასებით, რეალური ეკონომიკური ზრდა აშშ-ში 1.6%-ით განისაზღვრა, რაც წინა პროგნოზთან შედარებით6 0.7 პპ-ით ნაკლები მაჩვენებელია, 2023 წელს კი 1% პროგნოზირებული. რაც შეეხება ინფლაციას, მისი საპროგნოზო მაჩვენებელი 2022 წელს 8.1% შეადგენს ხოლო 2023 წელს - 3.5%-ს.

2022 წლის ბოლოს ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესების ტემპი შენელდა ევროკავშირის ზონაშიც. აღნიშნული განპირობებულია რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე არსებული გამოწვევებით. ეკონომიკური სანქციების გამო, ევროკავშირის უმრავლეს ქვეყნებში არსებობს ენერგეტიკული კრიზისის მოლოდინიც, რის შედეგად, სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობები გაუარესდა. ასევე, ბოლო პერიოდში გაუფასურდა ევრო, რის ფონზეც კვლავ მაღალია ინფლაციის წლიური მაჩვენებელი, რომელმაც სექტემბერში 10% შეადგინა, რაც რეკორდულად მაღალიმაჩვენებელია ევროკავშირის არსებობის ისტორიაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებმა დააწესეს ეკონომიკური სანქციების რამდენიმე პაკეტი რუსეთის წინააღმდეგ, მასზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით, რაც დამატებითი წნეხია ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკურ აქტივობაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, 2022 წელს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი ევროკავშირისათვის 3.1%-ია, რაც წინა პროგნოზთან შედარებით 0.5 პპ-ით გაუმჯობესებული მაჩვენებელია და ძირითადად წლის პირველ ნახევარში მოსალოდნელზე მაღალი ზრდის მაჩვენებლებით აიხსნება. 2023 წელს კი ზრდა 0.5% იქნება. პროგნოზირებული ინფლაციის მაჩვენებელი 2022 წელს 8.3%-ია, ხოლო 2023 წელს კი - 5.7%-ს შეადგენს.

2022 წლის მესამე კვარტალში, თურქეთში ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესება ნელი ტემპით გაგრძელდა. სამომხმარებლო განწყობები და მოხმარება სუსტი რჩება, რაც, ძირითადად, განპირობებულია ბოლო პერიოდში თურქული ლირის რეკორდული გაუფასურებით. გაუფასურების ფონზე ინფლაციური წნეხი კიდევ უფრო გაიზარდა და წლიურმა ინფლაციამ 2022 წლის სექტემბერში 83.5% შეადგინა, თუმცა, იმავდროულად, ექსპორტიც გაიზარდა.

სსფ-ს ოქტომბრის შეფასებით, 2022 წელს თურქეთის რეალური ეკონომიკური ზრდამ 5% შეადგინა, რაც წინა პროგნოზთან შედარებით 2.3 პპ-ით გაუმჯობესებული მაჩვენებელია, 2023 წელს კი 3%-იანი ზრდაა პროგნოზირებული. რაც შეეხება ინფლაციას, მისი მაჩვენებელი 2022 წლისთვის 73.1%-ია, ხოლო 2023 წელს 51.2% ნავარაუდევი.

საერთაშორისო თანამეგობრობის (აშშ, ევროკავშირი) მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების გამო, 2022 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკური აქტივობა რუსეთში გაუარესდა. შემცირდა ინვესტიციები, სამომხმარებლო დანახარჯები და საცალო გაყიდვები.

დაწესებული სანქციების ფონზე, რუსეთის ფედერაციაში გაუარესდა ბიზნეს გარემოც. ომის დაწყებიდან მალევე, რუსული რუბლის რეკორდულად გაუფასურების ფონზე, მიუხედავად მისი შემდგომი გამყარებისა, საგრძნობლად გაიზარდა წლიური ინფლაციის მაჩვენებელი, რომელმაც სექტემბერში 13.7% შეადგინა. პარალელურად გაზრდილ მოლოდინებზე საპასუხოდ, თებერვალში, რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 20%-მდე გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც, ეტაპობრივად, სექტემბერში 7.5%-მდე ისევ შემცირდა. ასევე აღსანიშნავია, რომ, მარტის ბოლოდან, კაპიტალის კონტროლის აქტიური გამოყენების შედეგად რუბლის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან დასტაბილურდა.

სსფ-ის საპროგნოზო შეფასებით, რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური ზრდა 2022 წელს 3.4%-ით განისაზღვრა, რაც 2021 წლის პროგნოზთან შედარებით 2.6 პპ-ით გაუმჯობესებული მაჩვენებელია, 2023 წელს კი 2.3%-იანი ვარდნაა მოსალოდნელი. პროგნოზირებული ინფლაციის დონე საშუალოდ 2022 წელს 13.8%-ს , ხოლო 2023 წელს კი 5%-ს გაუტოლდება.

რუსეთის მიერ წარმოებული ომის პირობებში, უკრაინაში პოსტპანდემიურ გამოწვევები საომარი მოქმედებებებით განპირობებული შოკებით კიდევ მეტად გაუარესდა. ყოველდღიურად იზრდება გარდაცვლილთა რაოდენობა, ხოლო დაახლოებით 8 მილიონზე მეტმა უკრაინელმა კი ქვეყანა უკვე დატოვა. ომის შედეგად განადგურებულია ისეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტები, როგორიცაა გზები, ხიდები, პორტები, აეროპორტები და საწვავის შემნახველი საწყობები. ასევე საცხოვრებელი სახლები, სავადმყოფოები, რაც ბიზნეს-გარემოსა და ეკონომიკის პოტენციალს ანადგურებს.

სსფ-ს შეფასებით, უკრაინის რეალური ეკონომიკა 2022 წელს 35%-ით შემცირდა, ხოლო ინფლაციის მოსალოდნელი დონე კი 20.6%-ია. მნიშვნელოვანია, დამანგრეველი ომის საწინააღმდეგოდ, მსოფლიოს ცივილიზებული ნაწილი, მათ შორის საქართველოც, მხარს უჭერს უკრაინას და ასევე ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს.

2022 წლის ბოლოს მაღალი ეკონომიკური აქტივობა იყო სომხეთში. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია რუსეთის მოქალაქეების მაღალი შემოდინებით ქვეყანაში, რის ფონზეც გაჯანსაღდა ბიზნეს გარემო და მომსახურების სექტორი. თუმცა დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარება და სამხედრო დაპირისპირება აზერბაიჯანთან უარყოფით გავლენას ახდენს სომხეთის ეკონომიკურ აქტივობაზე. ასევე მაღალია ინფლაციის წლიური მაჩვენებელიც, რომელმაც 2022 წლის სექტემბერში 9.9% შეადგინა.

სომხეთის ეკონომიკური ზრდა 2022 წელს 7%-ია , რაც წინა პროგნოზთან შედარებით 5.5 პპ-ით გაუმჯობესებული მაჩვენებელია, 2023 წელს კი 3.5%-ია პროგნოზირებული. რაც შეეხება პროგნოზირებულ ინფლაციას, 2022 წელს ის საშუალოდ 8.5%-ს, ხოლო 2023 წელს - 7%-ს გაუტოლდება.

2022 წელს აზერბაიჯანის, როგორც სანავთობო, ასევე არასანავთობო სექტორში ზრდის ტემპების გაუმჯობესება გაგრძელდა. აღნიშნულს დიდწილად ხელი შეუწყო ნავთობის მაღალმა ფასებმა საერთაშორისო ბაზარზე და სამრეწველო სექტორის გაუმჯობესებამ, ასევე გაიზარდა ინვესტიციების მოცულობაც. ამის ფონზე, საგარეო სექტორიც გაჯანსაღდა. თუმცა, იმავდროულად, ინფლაციის წლიური მაჩვენებელი მაღალი შენარჩუნდა და სექტემბერში 15.6% შეადგინა და გაცვლითი კურსი აზერბაიჯანული მანათის აშშ დოლართან დასტაბილურდა.

2022 წელს აზერბაიჯანში ეკონომიკურმა ზრდამ 3.7% შეადგინა, რაც წინა პროგნოზთან შედარებით 0.9 პპ-ით გაუმჯობესებული მაჩვენებელია, 2023 წელს კი პროგნოზირებული მაჩვენებელი 2.5% იქნება. რაც შეეხება ინფლაციას, 2022 წლის პროგნოზით 12.2% შეადგინა, ხოლო 2023 წლის - 10.8%-ია ნავარაუდევი.

2.პოსტპანდემიური გამოწვევები და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

საქართველო, როგორც მცირე ზომის ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, გლობალურად მიმდინარე მოვლენების მიმართ საკმარისად მგრძნობიარეა, შესაბამისად არსებული მაღალ-ინფლაციური გარემოს პირობებში, ეროვნული ბანკი ინფლაციის შემცირებაზე ფოკუსირებული რჩება და გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას ინარჩუნებს.

საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ცენტრა-ლური ბანკების ნაწილმა 2022 წლის მესამე კვარტალში, კიდევ უფრო გაზრდილი ინფლაციური წნეხისა და მოლოდინების საპასუხოდ, მონეტარული პოლიტიკის დამატებითი გამკაცრება მოუწია. კერძოდ, აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ფედერალური ფონდების განაკვეთი, სექტემბერში, 3-3.25%-იან შუალედამდე გაზარდა, ხოლო ევროპის ცენტრალურმა ბანკმა, სექტემბერში, რეფინანსირების განაკვეთი კიდევ ერთხელ, 1.25%-მდე გაზარდა.

საქართველოში პოსტპანდემიური პერიოდის მთავარი გამოწვევად მაღალი ინფლაციის ტემპი ითვლება, რაც, სამწუხაროდ, ახდა და ფასების სწრაფად ზრდა 2022 წელსაც გაგრძელდა. ფასების 10-15%-ზე მეტად ზრდამ არ მისცა ეროვნულ ბანკს საშუალება, მკაცრი მონეტარული პოლიტიკა შეემცირებინა და პირიქით, რეფინანსირების განაკვეთი 9 %-დან 11%-მდე გაზარდა.

2022 წელი მოსალოდნელზე პოზიტიური აღმოჩნდა პანდემიის დასრულების მხრივ. გაზაფხულიდან პანდემია თითქმის დასრულდა, რამაც ტურიზმის სექტორს სრულად მოუხსნა მკაცრი რეგულაციები და შეზღუდვები, ქვეყნის ბიუჯეტიდან კოვიდ 19-ის წინააღმდეგ მი-მართული ხარჯები კი მნიშვნელოვნად შეამცირა.

2022 წლის მთავარი მოულოდნელობა რუსეთ-უკრაინის ომი იყო. ომმა ეკონომიკაში ბევრი გაურკვევლობა წარმოშვა. მოლოდინი იყო, რომ ეკონომიკურად საქართველოც საგრძნობლად დაზარალდებოდა, თუმცა პირიქით მოხდა. რუსეთის მოქალაქეების საქართველოში მიგრაციამ საქართველოს ეკონომიკის ზრდა დააჩქარა და ლარის კურსი გაამყარა. ლარის გამყარებამ და მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ სახელმწიფო ვალის ტვირთი შეამსუბუქა, რაც 2020 წლის ბოლოს კრიტიკულ ზღვარს, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 60%-ს გადასცდა.

2022 წლისთვის საქართველოს მთავრობა ეკონომიკის 6%-ით ზრდას პროგნოზირებდა. ომის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკის განვითარების მომავალი ბუნდოვანი გახდა. მარტ-აპრილში საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 3%-მდე შეამცირეს. ამ პერიოდში საქართველოს მთავრობას პროგნოზი არ შეუცვლია და შემოდგომამდე 6% დატოვა. ნოემბერში კი 2022 წლის მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 10%-მდე გაზარდა.

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები (2014-2022 წწ.)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

საომარმა მოქმედებებმა საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი კი არ შეანელა, პირიქით, დააჩქარა. ამის მთავარი მიზეზი რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელარუსიდან საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული 500 ათასამდე მიგრანტია. პირველ რიგში, მიგრაცია უძრავი ქონების სექტორს დაეტყო, გაიზარდა საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და ქირაობაზე მოთხოვნა. იანვარ-ნოემბერში საქართველომ რუსი ვიზიტორებისგან (მათ შორის, მიგრანტებისგან) და რუსეთიდან ფულადი გზავნილებით 2.5 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო. ამას თუ დავუმატებთ ხელზე შემოტანილ ფულს, ეს თანხა, სავარაუდოდ, 3,5 მილიარდ დოლარამდე იქნება. მაღალ ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 2022 წელს 32%-ით გაზრდილმა ექსპორტმაც. 2022 წლის 11 თვეში ექსპორტით საქართველომ 1.2 მილიარდი დოლარით მეტი შემოსავალი მიიღო, ვიდრე 2021 წლის 11 თვეში.

2022 წლის იანვარ სექტემბერში ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა შემდეგ დარგებში დაფიქსირდა: ელექტროენერგიის მიწოდება – 52%, ინფორმაცია და კომუნიკაცია – 45%, ტრანსპორტი – 29%, სამთომოპოვებითი მრეწველობა – 22% და სასტუმროები და რესტორნები – 21%. ჯანდაცვის სექტორი 4.7%-ით შემცირდა.

საქართველოში წლიური ინფლაციის დონემ 2022 წლის იანვარ-ნოემბერში 10.4% შეადგინა. კიდევ უფრო მაღალი იყო წლის დასაწყისში – 13.9%, რაც ბოლო 10 წლის რეკორდული მაჩვენებელია. მაღალი ინფლაცია მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ იყო, მან მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა. გლობალურ დონეზე ინფლაციის მთავარი მიზეზი პანდემიის გამო გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტების დეფიციტი და შემსუბუქებული მონეტარული პოლიტიკა იყო. გარკვეულწილად სიტუაცია ლოგისტიკურმა სირთულეებმაც გაამძაფრა. თუმცა მაღალი ინფლაცია 2021 წელს დაიწყო და 2022 წელს მსოფლიო ინფლაციის ტემპის შემცირებას ელოდებოდა. ასე არ მოხდა, რადგან უკრაინაში ომის დაწყებამ ნავთობის, გაზისა და სხვა პროდუქტების ფასი მნიშვნელოვნად გაზარდა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებლები საქართველოში(2014-2022წწ)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

2022 წლის იანვრის თვეში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.08 იყო. თებერვლის შუა რიცხვებში 2.95-მდე გამყარდა, ომის დაწყების შემდეგ კი სწრაფად გაუფასურდა და 10 მარტს კი მაქსიმუმს 3.40-ს მიაღწია. ამის შემდეგ ლარმა გამყარება დაიწყო და მაისის მეორე ნახევარში 3 ლარს ჩამოსცდა. ლარის გამყარება დეკემბრამდე გაგრძელდა და 20 დეკემბრისთვის 2.65 ლარი შეადგინა. ასეთი დაბალი ლარის კურსი 2019 წლის შემდეგ აღარ ყოფილა. ლარის კურსის ასეთი გამყარება ქვეყანაში დოლარის შემომავალი ნაკადების ზრდამ განაპირობა. ამ ნაკადებში ყველაზე დიდი წვლილი გაზრდილ ფულად გზავნილებს მიუძღვის. შემდეგ მოდის ტურიზმი და ინვესტიციები. მართალია, ექსპორტიც გაიზარდა, მაგ-

რამ იმპორტის მოცულობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა და ქვეყნის მიმდინარე სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა სალდომ ლარის კურსზე ნეგატიური გავლენა მოახდინა.

3. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ჯგუფის 2020- 2022 წლის ანგარიშების შეფასება

ზემოთ განხილული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შეფასების საფუძველზე საყურადღებოა აღვნიშნოთ მსოფლიო ეკონომიკური ზრდისა და გლობალური ინფლაციური მაჩვენებლების დონე და საპროგნოზო ვარაუდები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) 2022 წლის ოქტომბრის ანგარიშების მიხედვით, 2022 წლის გლობალური ეკონომიკური ზრდა წინა პროგნოზის მსგავსად 3.2% შეადგენს, ხოლო 2023 წელს კი 2.7% მოსალოდნელი, რაც 0.2 პროცენტულ პუნქტიანი (პპ) გაუარესებაა. ამასთან, გაზრდილი ინფლაციური წნეხის ფონზე, გლობალური ინფლაციის მოსალოდნელი დონე 2022 წელს 8.8%, 2023 წელს კი 6.5%-ია. [International Monetary Fund. (2022).World Economic Outlook: Countering the Cost-of-Living Crisis. Washington, (WEO, October 2022)].

რაც შეეხება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს, მათი რეალური ზრდის პროგნოზი 2022 წელს, ისევე როგორც 2023-ში, 3.7%-ს უტოლდება, რაც წინა პროგნოზთან შედარებით 0.1 პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. რაც შეეხება ინფლაციას, 2022 წლის პროგნოზი 9.9%-ია, ხოლო 2023 წელს კი 8.1%-ია მოსალოდნელი. [International Monetary Fund. (2022).World Economic Outlook: Countering the Cost-of-Living Crisis. Washington, (WEO, October 2022)].

ასევე საყურადღებოა 2020 წლის ივნისში მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად — „გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები“, რომელშიც გაანალიზებულია, რომ მიუხედავად მსოფლიო მასშტაბით უპრეცედენტო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისა, რომელსაც ახორციელებენ, როგორც განვითარებული ასევე განვითარებად ქვეყნის მთავრობები და მათ ბიუჯეტიდან გამოიყოფა სოლიდური ფინანსური სახსრები გლობალური პანდემიის ზარალის შესამცირებლად, პოსტპანდემიური პერიოდის გამოწვევები ასევე გართულებული იქნება გლობალური რეცესიული სირთულეების მიმდინარეობით. მსოფლიო ბანკის ჯგუფის შეფასებითა და პროგნოზით , ეს იქნება მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით ყველაზე ღრმა გლობალური რეცესია ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

დასკვნა

პოსტპანდემიურ ეტაპზე 2021-2022 წლებში მსოფლიო ეკონომიკა ახალი მძიმე გამოწვევების წინაშე დადგა, რადგანაც COVID-19 პანდემიით განპირობებულ ეკონომიკურ სტაგნაციასა და დეპრესიას 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყება დაემატა. მსოფლიო ცივილიზებულმა თანამეგობრობამ რუსეთის წინააღმდეგ აგრესიის შეკავების მიზნით მკაცრი სანქციები დააწესა, რაც იმავდროულად, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკისთვის სირთულეები კიდევ მეტად გაამწვავა და კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. ამასთან ერთად პოსტპანდემიურ გამოწვევებს გლობალური რეცესიის მახასიათებელი პრობლემებიც დაემატა- ფასებისა და ინფლაციის დონის ზრდა, ინვესტიციების შემცირება, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ვარდნა და არასტაბილურობა, უმუშევრობა, ენერგეტიკული კრიზისი, უძრავი ქონების გაძვირება, მოსახლეობის მოწყვლადობის ზრდა და სხვა პრობლემები.

ასევე გლობალური რეცესია მნიშვნელოვნად იმოქმედებს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების შემცირებაზე, ეკონომიკურ ზრდაზე და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

განსაკუთრებით პოსტპანდემიის შედეგები მძიმედ აისახება იმ ქვეყნებზე, რომლებსაც სუსტი ჯანდაცვის სისტემა აქვთ და უპირატესად საქონლითა და მომსახურებით იმპორტზე, ტურიზმზე და უცხოურ ფულად გზავნილებზე არიან დამოკიდებულნი.

თანამედროვე ეტაპზე პოსტპანდემიურ გამოწვევებს მნიშვნელოვნად აღრმავებს რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებები, რაც განსაკუთრებით მწვავედ ასახვას პოვებს, როგორც განვითარებულ ასევე მოწყვლადი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე.

თუკი პოსტპანდემიური გამოწვევები და რუსეთ-უკრანის ომი ხანგრძლივად გაგრძელდება, მის დამარცხებას დიდი დრო და მილიარდობით ფინანსების მობილიზება დასჭირდება, რაც შესაბამისად მეტად გაამწვავებს გლობალური რეცესიის პროცესს, ამასთან მსოფლიო ფინანსური კრიზისი და დეპრესია ეჭვის ქვეშ დააყენებს ქვეყნების გადახდისუნარიანობასა და შედეგად მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნები ფინანსური კრიზისა და დეფოლტის საფრთხის წინაშეც კი დადგნენ.

ლიტერატურა

1. ლ. ხიხაძე.(2022),გლობალური ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები Covid-19 პანდემიის კრიზისის შესამცირებლად, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში'' სამეცნიერო შრომების კრებულში, გვ.,464-472, 4-5 ნოემბერი;
2. International Monetary Fund. (2022).World Economic Outlook: Countering the Cost-of-Living Crisis. Washington, (WEO, October 2022)].
3. საქართველოს ეროვნული ბანკი „მონეტარული პოლიტიკის ანგარიში'',ოქტომბერი 2022;
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის მასალები 2014-2022 წწ.

ინტერნეტრესურსები:

1. www.WB.org
2. www.IMF.org
3. www. geostat.ge
   https://nbg.gov.ge

Lali Khikhadze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Challenges of the Post-Pandemic Period and the Development Trends of the World Economy against the Background of the Accompanying Global Recession

SUMMARY

The scientific work presents both the challenges of the post-pandemic period, as well as the problems and difficulties of the accompanying global recession. It shows the economic damage caused by the COVID-19 pandemic, which represents the biggest economic shock the world economy and global business has experienced in decades. In the post-pandemic stage of 2021-2022, the world

economy faced new severe challenges, as the economic stagnation and depression caused by the COVID-19 pandemic was added to the start of hostilities in Ukraine by the Russian Federation on February 24, 2022. The world civilized community imposed strict sanctions against Russia in order to deter aggression. At the same time, the difficulties for the economy of many countries of the world have worsened and reached a critical point. At the same time, the post-pandemic challenges were also accompanied by the problems characteristic of the global recession - the increase in prices and inflation levels, the decrease in investments, the fall in the exchange rate of the national currency, unemployment, the energy crisis, the increase in the price of real estate, the increase in the vulnerability of the population and other problems.

Global recession will also significantly affect per capita income reduction, economic growth and other macroeconomic indicators. The post-pandemic consequences are particularly hard on those countries that have a weak healthcare system and are mainly dependent on imports of goods and services, tourism and foreign remittances.

If the post-pandemic challenges and the Russia-Ukraine war continue for a long time, its defeat will require a long time and the mobilization of billions of funds, which will accordingly exacerbate the global recession process, while the world financial crisis and depression will doubt the solvency of countries, and as a result, most countries in the world will be at risk of financial crisis.

მერაბ ხმალაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია გიორგობიანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქეთევან ჩიტალაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოსტსაბჭოთა საქართველოს თვითუზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის პროდუქციით

სოფლის მეურნეობა ქვეყნის სტრატეგიული საქმიანობის სახეა: თვითონ ქართველები უძველესი მიწათმოქმედი ხალხია, თუმცა დღევანდელი საქართველოს სოფლის მეურნეობა არ შეიძლება წარმატებულ დარგად მივიჩნიოთ. 2020 წლისათვის მასზე მოდის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 7,3% და დასაქმებულთა 19,8%. შესაბამისად მწვავედ დგას ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციით თვითუზრუნველყოფის საკითხი. ამ მიზნით ჩვენს მიერ განხილულია მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში, სოფლის მეურნეობის იმპორტდამოკიდებულების საკითხი, გაანალიზებულია ქვეყნის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციის სახეების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, თვითუზრუნველყოფა, პოსტსაბჭოთა, სოფლის მეურნეობის პროდუქცია.*

მსოფლიო მოსახლეობა ყოველწლიურად იზრდება და 2020 წლისთვის მიაღწია 7,753 მლრდ-ს. მხოლოდ 2019-2020 წლებში მსოფლიოს მოსახლეობა 79 მლნ-ით გაიზარდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2020 წელს მოსახლეობის 59,5% ცხოვრობდა აზიაში, 17,2% - აფრიკაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტებით და სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა აღნიშნული კონტინენტების მრავალ ქვეყანაში დგას. გაეროს ექსპერტების პროგნოზით, 2050 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა მიაღწევს 9,7 მლრდ. მცხოვრებს. მზარდ მოსახლეობას სჭირდება უზრუნველყოფა ასევე მზარდი მოცულობის სოფლის მეურნეობის პროდუქციით. უკანასკნელის ზრდა შესაძლებელია ექსტენციური გზით - დამუშავებული მიწების ფართობის გადიდებით და მეორე - ინტენსიური გზით - მოსავლიანობის ზრდით. დასამუშავებელი მიწების ფართობი შეზღუდულია. ცხადია, პერსპექტიულია მეორე გზა. მწვანე რევოლუციამ თავის დროზე მსოფლიოს მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის საქმეში თავისი როლი შეასრულა, დღეს ისევ მწვავედ დგას მსოფლიოს მოსახლეობის საკმაო ნაწილის კვების უკმარისობის და თვით შიმშილობის პრობლემა. შესაბამისად, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების დონე გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი წილის ცხოვრებაზე. (Paresashvili & Damenia, 2019) მაშინ როდესაც საქართველო განიხილება ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ გამოვლენილ 200 გლობალურ ეკორეგიონს შორის, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყნის ამ უნიკალური პოტენციალის გამოყენება. (Okruashvili & Paresashvili, 2018) საჭვოა გენური ინჟინერიით ან ნანოტექნოლოგიებით მიღებული სურსათით მოცემული პრობლემის გადაწყვეტა. დღეს მსოფლიო ალაპარაკდა ახალი მწვანე „ბიოორგანული რევოლუციის“ აუცილებლობაზე, რომლის არსიც მდგომარეობს პლანეტაზე შიმშილის დამარცხების შესაძლებლობაზე ამ საკითხის მიმართ აზროვნების შეცვლის საშუალებით. (გახოკიძე, 2013)

აღნიშნული პრობლემა მწვავედ დგას საქართველოს წინაშეც. ქართველი აგრარიკოს-ეკონომისტების აზრით, საქართველოს სოფლის მეურნეობა მოწინავე ქვეყნებისას დაახლოებით ერთი ტექნოლოგიური ეპოქით ჩამორჩება. სოფლის მეურნეობაში შედარებით მაღა-

ლი წილი უკავია სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების (ხილი, ციტრუსები, ყურძენი) წარმოებას, როდესაც ქვეყანას სჭირდება თვითუზრუნველყოფის შედარებით მაღალი დონე მარცვლეულის და ხორცის წარმოების მიხედით. (კოღუაშვილი, არჩვაძე, 2020)

ცხადია, ქვეყანა ვერ იქნება რეალურად დამოუკიდებელი, თუ ის იმპორტდამოკიდებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. ამ შემთხვევაში ქვეყნის სასურსათო (და საერთოდ) უსაფრთხოება დაბალ დონეზეა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? როგორც ქართველი ეკონომისტების კვლევებიდან დგინდება, საქართველოს სასურსათო ბაზარზე მოსახლეობის მიერ მოხმარებული ეროვნული სასურსათო პროდუქტების მოცულობა 49,0%-ით ნაკლებია ფიზიოლოგიურ ნორმებთან შედარებით. (ხარაიშვილი, 5. ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები, 2013) შესაბამისად, ნაკლებობა უნდა შეივსოს იმპორტით. საქართველოს სასურსათო კალათაში იმპორტირებული პროდუქტების ხვედრი წილი 80,0% შეადგენს, რაც 4-ჯერ აღემატება ეროვნულ წარმოებას. ამის შედეგად სურსათის იმპორტი ხელს უწყობს იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკის და არა საქართველოს სურსათის წარმოების სტიმულირებას, რადგან იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა გაედინება საზღვარგარეთ, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას. (პაპავა, 2018), (ერქომაიშვილი, 2020) ასეთ ნეგატიურ ვითარებას იწვევს ის გარემოებაც, რომ საქართველოს ეკონომიკა უფრო მოხმარებაზეა ორიენტირებული, ვიდრე წარმოებაზე და ამასთან კონკურენციის გაწევა ყველაზე რთულია აგროსასურსათო სექტორში. (ხარაიშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე, 2020)

საბჭოთა პერიოდი

ისტორიული სტატისტიკის მონაცემებით, რომელიც გაგვაჩნია მეცხოველეობაში 1913 წლიდან, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებამ საჭოთა საქართველოში პიკს მიაღწია 1985-1990 წლებში. ჩვენი გამოთვლებით, აღნიშნულ წლებში, ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით იწარმოებოდა 32,4 კგ. ხორცი, რომელიც 2003-2008 წლებში შემცირდა 19,8 კგ-მდე, ე.ი. 1,6-ჯერ. მარცვლეულის წარმოებამ საქართველოში პიკს მიაღწია 1951-1955 წლებში, როდესაც იწარმოა 3865,9 ათასი ტონა მარცვლეული, რამაც ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით საშუალოდ წლიურად შეადგინა 1050 კგ. აქედან დაწყებული, მარცვლეულის წარმოება საქართველოში სისტემატურად მცირდებოდა და საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ხუთ წელიწადში, 1986-1990 წლებში, მისი წარმოება 3095,6 ათას ტონამდე დაეცა, (ხმალაძე, 2015) ე.ი. 1951-1955 წლებთან შედარებით შემცირდა 770,3 ათასი ტონით, ხოლო ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით შემცირდა 579 კგ-მდე, ე.ი. 1951-1955 წელთან შედარებით 471 კილოგრამით.

პოსტსაბჭოთა პერიოდი

პოსტსაბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში, მარცვლეულის წარმოება განაგრძობდა შემცირებას და მინიმუმს მიაღწია 1991-1995 წლებში, როდესაც მისი წარმოება შემცირდა 2484,4 ათას ტონამდე, რაც ერთ მცხორებზე გაანგარიშებით შეადგენდა 485 კგ. ე.ი. 1951-1955 წლებთან შედარებით 2,2-ჯერ ნაკლებს.

როგორც წესი, საზოგადოება ყოველთვის რეაგირებს შექმნილ სიტუაციაზე. 1996-2000 წლებში მარცვლეულის წარმოება გაიზარდა და მიაღწია 3352,9 ათას ტონას, რაც 1,3-ჯერ აღემატება 1991-1995 წლების მაჩვენებელს, ხოლო 2001-2005 წლებში მიაღწია 3522,1 ათას ტონას, (საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული,, 2006-2007), რაც 1996-2000 წლების მაჩვენებელს აღემატება 1,05-ჯერ, ხოლო 1991-1995 წლების მაჩვენებელს 1,4-ჯერ. 1990-იანი წლების შემდეგ მარცვლეულის წარმოების ზრდა იყო ასე ვთქვათ, „იძულებითი ღონისძიება“, რამდენადაც რუსეთიდან მარცვლეულის შემოტანის შეწყვეტამ და ამის შედეგად წარმოშობილმა უკიდურესმა გაჭირვებამ აიძულა საქართველოს მოსახლეობა ნაწილობრივ

ამოეძირკვა მრავალწლიანი ნარგავები, მათ შორის საკულტო მცენარე ვაზი და მის ადგილზე შიმშილისაგან თავის დასაღწევად დაეთესა მარცვლეული კულტურები. ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი საქართველოს დამოუკიდებლობის 1918-1921 წლებში, როდესაც რუსეთმა შეწყვიტა საქართველოში მარცვლეულის შემოტანა. ისტორია განმეორდა.

2005 წლის შემდეგ მარცვლეულის წარმოების დინამიკა შემდეგნაირია: 2006-2010 წლებში 2001-2005 წლებთან შედარებით, მარცვლეულის წარმოება 3522,1 ათასი ტონიდან შემცირდა 1773,2 ათას ტონამდე. 2011-2015 წლებში გვაქვს ზრდა 2148,0 ათას ტონამდე, ხოლო 2016-2020 წლებში - ისევ შემცირება 1845,0 ათას ტონამდე. მარცვლეულის მოსავლის ასეთი არათანმიმდევრული დინამიკა სტატისტიკურად გვიჩვენებს პოსტსაბჭოთა საქართველოში მარცვლეულის წარმოების თანმიმდევრული, მიზანმიმართული პოლიტიკის არარსებობას. როგორც ჩანს, ეს პოლიტიკაა პოლიტიკის არარსებობა, რის შედეგსაც მოგვიანებით განვიხილავთ.

არანაკლებ ნეგატიური მდგომარეობაა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში. 2020 წელს საქართველოში იწარმოა 69,4 ათასი ტონა ხორცი. ამდენივე ხორცი იწარმოებოდა საქართველოში 1955 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 10 წლის შემდეგ, ხოლო 1976 წელს - იწარმოა 140,8 ათასი ტონა ხორცი, ე.ი. 2-ჯერ მეტი 2020 წელთან შედარებით.

ცხრილი 1

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება საქართველოში 1990-2020 წლებში (ათასი ტონა)

	1990	1991	2000	2020	%% 2020/1990-თან
ხორცი (ყველა სახის)	170,3	137,2	107,9	69,4	40,8
რძე (მლნ ლიტრა)	659,4	562,3	618,9	569,0	86,3
კვერცხი (მლნ. ცალი)	769,4	638,1	361,4	674,0	87,6
მატყლი	6,2	4,7	1,9	1,9	30,6

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012 წელს. თბ., 2013, გვ. 60-61. GEOSTAT GE

ცხადია, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოს საყოველთაო კრიზისმა მკვეთრად, უკვე 1990-1994 წლებში შეამცირა მეცხოველეობის ყველა სახის პროდუქციის წარმოება და თუ მხედველობაში არ მივიღებთ რძის წარმოების ზრდას 1991-2000 წლებში და კვერცხის წარმოების ზრდას 2000-2020 წლებში, მთლიანად, პოსტსაბჭოთა საქართველო მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობაშია. ამ დარგში არ ჩანს სახელმწიფო პოლიტიკა, მიმართული მეცხოველეობის პროდუქციის ზრდის მიმართულებით. საკმარისია ვუჩვენოთ, რომ 1990-2020 წლებში ყველა სახეობის ხორცის წარმოება შემცირდა 2,5-ჯერ, ხოლო კვერცხის წარმოება - 3,3-ჯერ.

ჩავარდნა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში აისახება მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციით თვითუზრუნველყოფაზე. საკითხის დასახასიათებლად საქსტატის მიერ 1995 წლიდან დგება სასურსათო ბალანსები, სადაც აისახება რესურსები (ადგილობრივი და იმპორტული) და მათი გამოყენება. საქსტატი ითვლის აგრეთვე პროდუქციით მოსახლეობის თვითუზურნველყოფის კოეფიციენტს, რომელიც მიიღება ადგილობრივად წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფარდებით ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებასთან.

ცხრილი 2

თვითუზურუნველყოფის კოეფიციეინტები საქართველში სოფლ მეურნეობის ძირითადი პროდუქციის სახეების მიხედვით 1995-2020 წლებში (%)

	1995	2000	2005	2010	2015	2020
ხორბალი	8	10	21	6	17	15
სიმინდი	100	100	97	96	77	68
კარტოფილი	114	102	101	103	90	92
ბოსტნეული	101	100	95	77	66	63
ყურძენი	109	111	113	133	121	145
ხორცი (ყველანაირი)	83	84	76	48	48	49
მსხვილი რქოსანი პირუტყვის ხორცი	96	96	87	77	79	77
ღორის ხორცი	95	96	84	49	47	51
ცხვრისა და თხის ხორცი	100	100	99	98	75	102
ფრინველის ხორცი	33	45	46	22	30	34
რძე და რძის პროდუქტები	68	64	74	93	87	81
კვერცხი	51	55	71	98	102	97

წყარო: GEOSTAT GE

1995 წელს რიგი სახეობის პროდუქცია სრულიად ან საკმაოდ მიახლოებით, 95-96 პროცენტით აკმაყოფილებდა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას და ასეთი იყო ზემოთ ჩამოთვლილი 12 სახეობის პროდუქციიდან - 7. 2020 წლისათვის ასეთი პროდუქცია დარჩა ორი: ყურძენი, რომელიც მთელი 145,0%-ით (ე.ი. 45%-თ მეტით) აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას და ცხვრისა და თხის ხორცი (102%), რომელიც 2020 წელს მოხმარებული ხორცის (158,1 ათასი ტონა) მხოლოდ 3,2%-ს, 5,0 ტონას შეადგენს და ამინდს არ ცვლის. ცხადია, დანიის სამეფოში ვერ არის საქმე კარგად. ამასთან, თუ გავითვალსიწინებთ დისპროპორციას 2020 წელს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში დასაქმებულებს (19,8%) და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხვედრით წილს შორის მთლიან შიდა პროდუქტში (7,3%), ცხადი გახდება, რომ საქართველოშიც ვერ არის საქმე კარგად.

ლიტერატურა

1. გახოკიძე რამაზ, შ. პ.-1. (2013).
2. Okruashvili, N., & Paresashvili, N. (2018). Production of Organic Products-Important Condition of Growth of Georgia's Export Potential. Journal of Management Policy & Practice, 2.
3. Paresashvili, N., & Damenia, N. (2019). The Mechanisms of State Management in Agricultural Sector of Georgia. Intellectual Economics, 105-116.
4. გახოკიძე, რ. (2013). შიმშილის პრობლემა და ახალი მწვანე რევოლუცია. იხ: ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება (pp. 101-104). თბილისი: თსუ.
5. ერქომაიშვილი, გ. (2020). აგრარული პოლიტიკის განხორციელების შედეგები და პრობლემები საქართველოში პოსტკრიზისულ პერიოდში. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში (p. 170). თბილისი: თსუ.
6. კოღუაშვილი, არჩვაძე. (2020). 3. კოღუაშვილი პაატა, საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე. p. 57.
7. პაპავა, ვ. (2018). საქართველოს ეკონომიკური მოდელი "სამომხმარებლო პარადოქსი" და "ტურისტუ ხაფანქი". გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში (pp. 291-292). თბილისი: თსუ.
8. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული,. (2006-2007).

9. ხარაიშვილი, ე. (2013). 5. ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები. ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგარდი განვითარება (p. 568). თბილის: თსუ.
10. ხარაიშვილი, ე. (2020). გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების გავლენა სასურსათო ბაზრის განვი¬თარებაზე. იხ.: გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში (p. 527). თბილისი: თსუ.
11. ხარაიშვილი, ე. (2020). საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში (p. 527). თბილისი: თსუ.
12. ხმალაძე. (2015). სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. (p. 261). თბილისი: თსუ.

Merab Khmaladze
Doctor of Economical Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Maia Giorgobiani
Doctor of Economical Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ketevan Chitaladze
Academic Doctor of Economics, Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Self-sufficiency of Post-Soviet Georgia with Agricultural Products

SUMMARY

Agriculture is a form of the country's strategic activity: the Georgians themselves are an ancient agricultural people, although today's agriculture in Georgia cannot be considered a successful industry. By 2020, it accounts for 7.3% of Sakrtvelo's gross domestic product and 19.8% of employees. Accordingly, the issue of self-sufficiency in agricultural products of the country is acute. For this, the dynamics of horticulture and livestock production in Soviet and post-Soviet Georgia, the issue of import dependence of agriculture, the country's self-sufficiency ratios by types of main agricultural products are analyzed.

Key words: Georgia, self-sufficiency, post-Soviet, agricultural products.

ნიკო ხუციშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტურიზმის ინდუსტრია საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში

ტურიზმი მსოფლიოს ეთეთი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა. იგი მოიცავს ეკონომიკის მრავალ სფეროს, რომელთა განვითარება ეკონომიკის განვითარების წინაპირობაა. ტურიზმის ინდუსტრიაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ეთეთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის მთავრობის მიერ დაწესებული რეგულაციები. 2020 წლის პირველ ნახევარში Covid-19-ის პანდემიის გამო, მსოფლიო მთავრობების უმრავლესობას, მოუწია ისეთი რეგულაციების დაწესება, რომლებიც უარყოფითად მოქმედებდა ეკონომიკის ამ მიმართულებაზე.

ნაშრომში განხილულია ტურიზმის მდგომარეობა როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში. იმ ქვეყნებში, რომელთა შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ტურიზმი წარმოადგენს, საკმაოდ მაღალი იყო ეკონომიკის ვარდნა. ვაქცინაციის პროცესმა და სამედიცინო სფეროს მხრიდან დაავადებასთან ბრძოლის სწორი სტრატეგის შემუშავებამ, შესაძლებელი გახადა რეგულაციების გაუქმება და ტურიზმის ინდუსტრიის თითქმის სრული აღდგენა. საქართველოში დღეის მდგომარეობით ტურიზმი შეიძლება ითქვას რომ დაუბრუნდა 2019 წელს არსებულ მდგომარეობას.

სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შედეგად მიღებულია დასკვნები და რეკომენდაციები, რისთვისაც გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის და სხვა ორგანიზაციების მონაცემები.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი, ტურიზმის ინდუსტრია, Covid-19, პოსტპანდემიური პერიოდი.*

ტურიზმი ერთ-ერთი ყველა სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა მსოფლიოში, რომელიც არა მხოლოდ ერთ სფეროს მოიცავს, არამედ სხვა მრავალ აქტივობას, როგორიცაა: ტრანსპორტი, სასტუმრო მომსახურება, კვება, გართობა, საინფორმაციო მომსახურება და სხვ. ყველა ამ სფეროს ერთობლივი განვითარება საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას (Erkomaishvili, et al., 2014). ტურიზმის განვითარება ყველაზე მეტად იმ ქვეყნებისთვისაა მნიშვნელოვანი, რომელთა ეკონომიკაშიც აღნიშნული სფეროს შემოსავლებს დიდი წილი უჭირავს.

ტურიზმის განვითარებისთვის ქვეყნებმა გარკვეული პირობები უნდა შეასრულონ. პირველ რიგში მთავარია ქვეყანას შესაბამისი ინფრასტრუქტურა ქონდეს ტურისტების მისაღებად, რადგან კვლევების თანახმად იგი ტურიზმის განვითარებაზე დადებით გავლენას ახდენს (Seetanah, et al., 2017). გარდა ამისა საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი პირობები და ადამიანური რესურსი. ასევე მნიშვნელოვანია კრიმინოგენული სიტუაცია და პოლიტიკური სტაბილურობა. ზემოაღნიშნული პირობების არასათანადო მდგომარეობა, უარყოფით გავლენას ახდენს ტურიზმზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ტურიზმის განვითარებაზე ახდენს გავლენას - რეგულაციებია. რეგულაციებს ქვეყნის მთავრობები საკუთარი შეხედულებისამებრ აწესებენ, თუმცა არის მომენტები, როდესაც რეგულაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მეორეხარისხოვანი ხდება ეკონომიკური განვითარება.

ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა მსოფლიო 2020 წლიდან. ბოლო პერიოდში რამდენიმე საშიშ ვირუსთან ქონდა მედიცინას შეხება, როგორებიცაა SARS, ებოლა, H1N1, თუმცა Covid-19 მათ შორის ყველაზე მომაკვდინებელ ვირუსად შეიძლება ჩაითვალოს.მან არა მხოლოდ სამედიცინო სექტორში შექმნა პრობლემები, არამედ გამოიწვია ფინანსური და ეკონომიკური კრიზისები, რომელიც Covid-19-ის რეცესიის სახელითაა ცნობილი (Fotiadis , Polyzos, & Huan, 2020) . Covid-19-ის პირველი შემთხვევა 2019 წლის ნოემბერში ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში, ქალაქ ვუჰანში დაფიქსირდა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ვირუსის გავრცელება და ადამიანიდან ადამიანზე გადასვლა ამ პერიოდამდე დაწყებულიყო (Hu, et al., 2021). მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებმა საზღვრები ჩაკეტეს ვირუსის გავრცელება მაინც მოხდა.

პირველი ქვეყანა ჩრდილოეთ კორეა იყო (O'CONNOR, 2020). საქართველოში პირველი შემთხვევა 2020 წლის თებერვალში დაფიქსირდა (ონ.გე, 2020), ხოლო იმავე წლის 30 მარტიდან საყოველთაო კარანტინი და კომენდანტის საათი გამოცხადდა (პუბლიკა, 2020).

საბოლოო ჯამში პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნების ეკონომიკაზე. ტურიზმი ამ კუთხით ყველაზე მეტად დაზარალდა. მოგზაურობაზე დაწესებული შეზღუდვები და ინფექციის შიში, მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო რამაც საერთაშორისო და შიდა მოგზაურთა რაოდენობა მკვეთრად შეამცირა. ამან ტურისტული სერვისების მოთხოვნა თითქმის გააქრო. ბევრი ტურისტული ობიექტი იძულებული გახდა დაეხურა ან შეემცირებინა საქმიანობა.

ვაქცინის შექმნამ დააჩქარა რეგულაციების გაუქმების პროცესი. 2020 წლის ზაფხულიდან ევროპის ქვეყნებმა დაიწყეს საზღვრების გახსნა, თუმცა მოგზაურობისას დაწესებული რეგულაციები, კვლავ რთულ ვითარებაში აყენებდა ტურისტებს (Financial Time, 2020).

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 2020 წლის პირველსავე კვარტალში 22%-ით შემცირდა, ხოლო მთლიანი წლის განმავლობაში 80%-მდე. აღნიშნული დანაკარგი ფინანსებში 910 მილიარდი დოლარიდან - 1.2 ტრილიონ დოლარამდე მერყეობს (UNWTO, 2023).

ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგია

ნაშრომი ეფუძნება სტატისტიკურ და თეორიულ ანალიზს. მასში განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემები. ასევე ნაშრომში განხილულია ქართველი და უცხოელი მეცნიერების სტატიები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გამოტანილია დასკვნები და რეკომენდაციები.

ტურიზმის გამოწვევები პანდემიის პერიოდში

კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ამ კუთხით პატარა კუნძულოვან სახელმწიფოებს (მალდივის კუნძულები - 60%; სეიშელის კუნძულები 32.5%;პალაუ 48.4%) და განვითარებად ქვეყნებს(მონტენეგრო 21.8%; საქართველო 16%; სომხეთი 10%) შეეხო (UNWTO, 2023). ისეთი ქვეყნები სადაც უცხოური ვალუტის შემოდინების ძირითადი წყარო, უცხოელი ტურისტები არიან, ფისკალური წნეხის ქვეშ აღმოჩდნენ (International Monetary Fund, 2021).

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემების მიხედვით, საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით, 2019 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელთან შედარებით, 85%-ით შემცირდა 2020 წლის პირველ ნახევარში (UNWTO, 2020), ხოლო მოთხოვნა საერთაშორისო ტურიზმზე იგივე პერიოდების გათვალისწინებით 80%-ით შემცირდა (UNCTAD, 2020). ტურიზმის ვარდნამ სერიოზული გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკაზე, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მრავალი ქვეყნის ძირითადი შემოსავალი ტურიზმის სფეროდანაა. მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს (WTTC) მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, მსოფლიოში მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში დასაქმებულია 330 მილიონ ადამიანზე მეტი, ხოლო მათ მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტი და მომსახურება მსოფლიოს მშპ-ს თითქმის 10%-ია (WTTC, 2020).

კიდევ ერთი ფაქტორი რამაც ტურიზმზე გავლენა იქონია, იყო საზღვრების ჩაკეტვა და მთავრობების მიერ დაწესებული შეზღუდვები. საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის (IATA) კვლევის მიხედვით, საზღვრების დაკეტვამ და მოგზაურობის შეზღუდვამ, დიდი გავლენა იქონია ავიახაზების ინდუსტრიაზე (დიაგრამა N1). 2020 წლის პირველ

კვარტალში 70%-ით შემცირდა მოთხოვნა ავიაბილეთებზე 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (IATA, 2020). ამავე ასოციაციის მონაცემებზე დაყრდნობით:

1. ავიაციასთან დაკავშირებული სამუშაო ადგილების რაოდენობა პოტენციურად შემცირდა საშუალოდ 41,7 მილიონით (-52,5%-იანი კლება).

2. პირდაპირი საავიაციო სამუშაოები (ავიაკომპანიებში, აეროპორტებში, მწარმოებლებსა და საჰაერო მოძრაობის მენეჯმენტში) მცირდა დაახლოებით 4,8 მილიონით (43%-ით შემცირება).



დიაგრამა N1 (Our World in Data, 2023); (Finances Online, 2023)

გარდა ამისა, პანდემიამ გავლენა იქონია ტურისტების ქცევაზე და მათ გადაწყვეტილებებზე. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) კვლევის თანახმად, პანდემიამ გამოიწვია ტურისტული მოთხოვნის შეცვლა შიდა მოგზაურობისკენ, ბევრი ტურისტი ირჩევს მოგზაურობას საკუთარ ქვეყანაში და არა საზღვარგარეთ (UNWTO, 2023). კვლევამ ასევე დაადგინა, რომ ტურისტები უფრო მეტად ირჩევდნენ ქვეყნებს სამოგზაუროდ, რომლებიც უსაფრთხოდ ითვლებოდა და ახორციელებენ ქმედით ზომებს COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

პანდემიის შემდეგ ტურისტული ინდუსტრიის აღდგენა სავარაუდოდ ნელი და ეტაპობრივი უნდა ყოფილიყო. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) კვლევის მიხედვით, ტურიზმის ინდუსტრიის აღდგენა მჭიდრო კავშირშია გლობალური ეკონომიკის აღდგენასთან და მოსალოდნელი იყო რომ ინდუსტრია არ დაუბრუნდებოდა პანდემიამდელ დონეს მინიმუმ 2023 წლამდე (UNWTO, 2020). ასევე თვლიდნენ რომ ტურიზმის აღდგენა დიდწილად ვაქცინის შექმნასა და მის გამოყენებაზე იყო დამოკიდებული. ეს ვარაუდები დიდწილად სწორი აღმოჩნდა.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც გავლენა მოაახდინა ტურიზმის აღდგენაზე, არის ვაქცინაციის დაჩქარებული ტემბპები. რაც უფრო მეტი ადამიანი ხდება ვაქცინირებული, COVID-19-ის გადაცემის რისკი მცირდება რაც უსაფრთხოს ხდის მოგზაურობას. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ვაქცინაციის მაღალი დაფარვის მქონე ქვეყნებს ტურიზმის სექტორის უფრო სწრაფი აღდგენა აქვთ (UNWTO, 2023).



დიაგრამა N2 (Gössling, 2022)

მსოფლიოს მასშტაბით ტურიზმის აღდგენის ხელშეწყობის სტრატეგიები მოიცავს მიზნობრივ მარკეტინგულ კამპანიებს და წახალისებებს მოგზაურთათვის. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მიზნობრივი მარკეტინგული კამპანიები, როგორიცაა შიდა ტურიზმზე ან ბაზრის კონკრეტულ სეგმენტებზე ფოკუსირებული, შეიძლება ეფექტური იყოს მოგზაურების მოზიდვაში (Gössling, 2022). გარდა ამისა, წახალისების შეთავაზებამ, როგორიცაა ფასდაკლებები ან ვაუჩერები, ასევე შეიძლება წაახალისოს ადამიანები მოგზაურობისკენ. გერმანიის მაგალითზე ვხედავთ რომ პანდემიის საწყის ეტაპზე, მთავრობის მხრიდან უამრავი რეგულაცია და შეზღუდვა დაწესდა (დიაგრამა N2). ამასთან 2020 წლის დასაწყისში და 2020 წლის ბოლოდან 2021 წლის მაისის ჩათვლით, აკრძალული იყო სასტუმრო მომსახურება. სიტუაცია მხოლოდ მოსახლეობის დიდი ნაწილის ვაქცინაციის შემდეგ დაუბრუნდა ძველ მაჩვენებელს.ასევე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ შიდა ტურიზმი, უფრო სწრაფად აღდგა, ვიდრე საერთაშორისო ტურიზმი, რადგან შიდა მოგზაურებს ნაკლებად აწუხებთ მოგზაურობის შეზღუდვები და საკარანტინო ზომები, ასევე უფრო კარგად იცნობენ დანიშნულების ადგილს და მის უსაფრთხოების ზომებს. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ ბუნებაზე დაფუძნებულ მიმართულებებს შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა ურბანულ მიმართულებებთან შედარებით.

ტურიზმის დინამიკა საქართველოში პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში

საქართველო ერთერთია იმ ქვეყნებს შორის, რომლის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს საერთაშორისიო ტურისტებისგან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს(დიაგრამა N3). 2020 წლამდე აღნიშნული შემოსავლები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების და ეკონომიკური აქტივობის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2021).

დიაგრამა N3 (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2021)

ამასთან გარე ტურიზმს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში და 2020 წლამდე ეს მაჩვენებელი 8%-დან 12%-მდე მერყეობდა, ხოლო 2020 წელს 2%-მდე დაეცა. რაც შეეხება შიდა ტურიზმს, აღნიშნული მაჩვენებელი სტაბილურად 2.3%-დან 3%-მდე მერყეობდა (დიაგრამა N4).



დიაგრამა N4 (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2021)

2019 წლის ჩათვლით საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა და მათ მიერ დახარჯული თანხები მკვეთრად გაიზარდა. პანდემიის დაწყებამდე ქვეყანაში 7.7 მილიონი საერთაშორისო ტურისტი (დიაგრამა N3) შემოვიდა და მათგან მიღებულმა შემოსავალმა 7.7 მლნ. დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 18.7%-ს შეადგენდა. პანდემიამ აღნიშნული პოზიტიური დინამიკა სრულად შეცვალა. ამასთან 2020 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებთ, მშპ-ს კლებამ 6.8% შეადგინა, რაც დიდწილად სწორედ ტურიზმის შესუსტებით იყო გამოწვეული (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

2020 წლის მარტიდან 2021 წლის აგვისტოს ჩათვლით, მუდმივად სხვადასხვა სახის რეგულაციების დაწესება ხდებოდა მთავრობის მიერ. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მკვეთრად შემცირდა. რადგან საქართველო ტურიზმზე დამოკიდებული ქვეყანაა, ეს ფაქტი მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. 2022 წლიდან თითქმის სრულად მოიხსნა რეგულაციები. საქართველოს ყველაზე მაღალი წლიური შემოსავალი ტურიზმიდან 2019 წელს ქონდა. თუ 2022 წლის იანვარი-აგვისტოს მონაცემს შევადარებთ ანალოგიური პერიოდის 2019 წლის მონაცემს, ვნახავთ რომ ჩამორჩენა მხოლოდ 5.5% არის. შეგვიძლია ვთქვათ რომ შემოსავალი ტურიზმიდან 95%-ით აღდგა.

თუ მხოლოდ ზაფხულის პერიოდს შევადარებთ, როდესაც ყველაზე აქტიურია ტურისტების მობილობა, ვნახავთ რომ 2022 წლის მონაცემი, 2019 წლის მონაცემს 26%-ით აღემატება. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ტურიზმი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე დაუბრუნდა საწყის მდგომარეობას.

	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოე	დეკ	იან-აგვ
2015	101	91	115	127	151	182	246	295	202	161	132	135	1,307
2016	101	105	136	144	173	181	273	298	243	174	139	145	1,410
2017	125	124	176	179	196	255	378	394	307	216	168	187	1,827
2018	157	162	232	239	246	325	432	443	335	254	191	206	2,236
2019	164	169	245	267	270	340	395	413	319	267	202	217	2,264
2020	193	161	74	8	9	11	12	15	16	15	13	15	483
2021	10	14	30	50	74	122	205	199	162	142	111	126	704
2022	114	105	174	189	259	302	476	523					2,142

ცხრილი N1 (საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების სტატისტიკა 2015-2022 წლებში მლნ. დოლარი) (დემურია, 2022)

ფრედერიკ ბასტია საკუთარ წიგნში „ის რაც ჩანს და ის რაც არ ჩანს“, აღწერს ეკონომიკის ფარულ მხარეს. ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ სტატისტიკას რომელიც არის

მოცემულობა. მაგრამ რა იმალება ამ სტატისტიკის მიღმა? 2022 წელს 14 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში და დაიწყო ომი. ამის შემდეგ პერიოდულად რუსეთსსანქციები დაუწესა არაერთმა ქვეყანამ. ჩაიკეტა საზღვრები რუსეთის მოქალაქეებისთვის. საქართველოს აღ-ნიშნული გადაწყვეტილება არ მიუღია. რუსეთის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც სურდათ სანქციებისთვის თავის არიდება, სამხედრო სამსახურისგან გაქცევა, საქართველო იქცა ოაზისად. გარდა ამისა, საქართველო მათთვის იქცა ზაფხულში სამოგზაურო მთავარ ობიექ-ტად, რადგან ევროპის ქვეყნების დიდმა ნაწილმა უარი თქვა რუსი ტურისტების მიღებაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2022 წლის განმავლობაში საქართველოს საზღვარი რუსეთის 1,459,546-მა მოქალაქემ გადმოკვეთა (დიაგრამა N5). მათი 96% ქვეყანაში მას შემდეგ შემოვიდა, რაც რუსეთმა უკრაინაში ომი დაიწყო (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2023).



დიაგრამა N5 (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2023)

ამასთან საქართველოში მოქმედებს ტურიზმის მხარდაჭერის პროგრამები. სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს აქვს ტურიზმის განვითარების პროგრამა, რომლის მიზანია ქვეყნის ტურიზმის და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სერვისების განვითარება და ფინანსური ხელშეწყობა. პროგრამას აქვს ოთხი მიმართულება:

1. თანადაფინანსების მექანიზმი - რომელიც გულისხმობს მეწარმე სუბიექტებისთვის ფინანსურ დახმარებას.
2. სასტუმრო/ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია;
3. ეკო და აგრო ტურისტული ინდუსტრია;
4. ტურისტული სერვისების ინდუსტრია;

პოსტპანდემიურ პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანია ქვეყანაში მსგავსი პროგრამების არსებობა, რათა უფრო სწრაფად მოხდეს ტურიზმის ინდუსტრიის აღდგენა. ფინანსური დახმარება და შეღავათები საკმაოდ მნიშვნელოვანი ელემენტია ტურიზმის მიმართულებით მომუშავე მეწარმეებისთვის, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც რეფინანსირების განაკვეთი 11%-ს შეადგენს.

საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის აღდგენასთან ერთად საქართველოში აღდგა ეკონომიკაც. 2021 წელს რეალურმა ზრდამ 10.5% შეადგინა ხოლო 2022 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებით, საშუალო ზრდა 10.6%-მდე იქნება.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. Covid-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა ტურიზმის ინდუსტრიაზე. ყველაზე მეტად ის ქვყენები დაზარალდნენ, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ტურიზმზე.

2. საქართველოში პანდემიის პერიოდში დაწესებულმა რეგულაციებმა, საგარეო ტურიზმი წილი 12.1%-დან, 2%-მდე დაწია. ამიტომ მნიშვნელოვანია გვესმოდეს თუ რა საფრხეს წარმოადგენს რეგულაციები ეკონომიკისთვის და აუცილებელი საჭიროების გარეშე, თავი შევიკავოთ მათი დაწესებისგან.

3. საქართველოში ტურიზმის აღდგენაზე მსჯელობა ხდება სტატისტიკური მონაცემებით, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია რუსეთის მოქალაქეების ჭარბი შემოდინება, მათთვის სანქციების დაწესების გამო. შესაბამისად აუცილებელია მხოლოდ წლევანდელ შედეგს არ მიექცეს ყურადღება და მომდევნო წლებში კვლავ გაგრძელდეს ტურიზმის მიმართულების ხელშეწყობა.

4. ქვეყანამ უნდა ცადოს არ იყოს დამოკიდებული ეკონომიკის ერთ კონკრეტულ დარგზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ იმ შედეგს რა შედეგიც დადგა 2020 წელს. აუცილებელია ყურადღება მიექცეს მეწარმეობას.

ლიტერატურა

1. Erkomaishvili, G., Gvelesiani, R., Kharaishvili, E., & Chavleishvili, M. (2014). Policy of Tourism and Opportunities of Development. *World Academy of Science, Engineering and Technology Vol:8, No:1, 2014*, გვ. 171-175.
2. Finances Online. (2023 წლის 23 January). *Number of Flights Worldwide in 2022/2023: Passenger Traffic, Behaviors, and Revenue*. მოპოვებული FinancesOnline: https://financesonline.com/number-of-flights-worldwide/#:~:text=The%20number%20of%20domestic%20and,2021%20(IATA%2C%202021). -დან
3. Financial Time. (2020 წლის April). *Britain's open borders make it a global outlier in coronavirus fight*. მოპოვებული Financial Time: https://www.ft.com/-დან
4. Fotiadis , A., Polyzos, S., & Huan, T.-C. (2020 წლის 13 December). The good, the bad and the ugly on COVID-19 tourism recovery. *Annals of Tourism Research*, გვ. 1-14.
5. Gössling, S. (2022 წლის 19 January). Two years of COVID-19 and tourism: what we learned, and what we should have learned. *Journal of Sustainable Tourism, Volume 30*, გვ. 915-931.
6. Hu, B., Gou , H., Zhou, P., & Shi, Z. (2021 წლის March). Characteristics of SARS-CoV-2 and COVID-19. *Nature Reviews. Microbiology. 19 (3)*, გვ. 141–154.
7. IATA. (2020). *COVID-19: Impact on the Airline Industry. International Air Transport Association.* მოპოვებული IATA: IATA.ORG-დან
8. International Monetary Fund. (2021 წლის 26 February). *Tourism in a Post-Pandemic World*. მოპოვებული International Monetary Fund: https://www.imf.org/en/News/Articles/2021/02/24/na022521-how-to-save-travel-and-tourism-in-a-post-pandemic-world-დან
9. O'CONNOR, T. (2020). China's Neighbors Close Borders As Country's Coronavirus Cases Surpass Last Major Outbreak. *Newsweek*.
10. Our World in Data. (2023 წლის 23 01). *Coronavirus (COVID-19) Cases*. მოპოვებული Ourworldindata: https://ourworldindata.org/covid-cases-დან
11. Seetanah, B., Juwaheer, D., Lamport, J., Rojid, S., Sannassee, R., & Subadar Agathee, U. (2017). Does Infrastructure Matter In Tourism Development? *UNIVERSITY OF MAURITIUS RESEARCH JOURNAL – Volume 17*, გვ. 89-108.
12. UNCTAD. (2020). *Tourism and COVID-19: Economic Impact and Recovery. United Nations Conference on Trade and Development.* მოპოვებული UNCTAD: UNCTAD.org-დან
13. UNWTO. (2020 წლის 22 July). *IMPACT OF COVID-19 ON TOURISM.* მოპოვებული World Tourism Organisation: https://www.unwto.org-დან
14. UNWTO. (2023 წლის 24 January). *List of Countries by Tourism Income*. მოპოვებული Atlasbig: https://www.atlasbig.com/en-us/countries-tourism-income-დან
15. UNWTO. (2023 წლის 21 January). *UNWTO TOURISM DATA DASHBOARD.* მოპოვებული World Tourism Organisation: https://www.unwto.org/tourism-data/unwto-tourism-dashboard-დან
16. UNWTO. (2023 წლის 23 Jenuary). *UNWTO Tourism Recovery Tracker*. მოპოვებული UNWTO: https://www.unwto.org/tourism-data/unwto-tourism-recovery-tracker-დან

17. WTTC. (2020). *Economic Impact Reports.* მოპოვებული WTTC: https://wttc.org/research/economic-impact/economic-impact-research-დან
18. დემურია, ვ. (2022 წლის 17 October). *ტუჩიზმის აღდგენა დადებითია, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები თითქმის 95%-ით აღდგა.* მოპოვებული Factcheck: https://factcheck.ge/-დან
19. on.ge. (2020 წლის 26 თებერვალი). *საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა.* მოპოვებული on.ge: https://on.ge-დან
20. პუბლიკა. (2020 წლის 30 მარტი). *რა აიკრძალა "ფაქტობრივად საყოველთაო კარანტინით".* მოპოვებული Publika.ge: https://publika.ge/ra-aikrdzala-faqtobrivad-sayoeltao-karantinit/-დან
21. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2021). *მონეტარული პოლიტიკის ანგარიში.* თბილისი: საქართველოს ეროვნული ბანკი.
22. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023 წლის 25 January). *მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ).* მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp-დან
23. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. (2023 წლის 25 January). *საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემები.* მოპოვებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: https://info.police.ge/page?id=625&parent_id=94-დან

Tourism Industry in Georgia in the Post-pandemic Period

Niko Khutsishvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Tourism is one of the world's fastest growing industries. In 2020, due to the Covid-19 pandemic, governments had to impose regulations that negatively affected tourism. The article discusses the state of tourism in Georgia and the world in the post-pandemic period. The vaccination process and the development of a proper disease control strategy by the medical field made it possible for the regulations to be lifted and the tourism industry to almost fully recover. Today, tourism in Georgia has almost completely recovered. As a result of the processing of statistical data, conclusions and recommendations were obtained, for which the data of the National Bank of Georgia, the Ministry of Internal Affairs of Georgia, the World Tourism Organization and other organizations were used.

ჩარიტა ჯაში
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკატერინე ულოტაძე
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიდი მონაცემების განვითარების ტენდენციები თანამედროვე ინდუსტრიებში

დიდი მონაცემები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი რესურსია მსოფლიოში, არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების თუნდაც ერთი სფერო, რომელიც დამოკიდებული არ იყოს მონაცემთა სწრაფ და საიმედო გადაცემაზე. დიდი მონაცემების განზომილება მრავალ ასპექტს მოიცავს, დაწყებული ტექნოლოგიური ბაზიდან ეკონომიკური და ბიზნეს მოდელების კომპლექტამდე. დიდ მონაცემთა პოტენციალი მარკეტინგის სფეროში კოლოსალურია, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება კომპანიებს საშუალებას აძლევს, გაანალიზონ მომხმარებელთა ქცევა, განსაზღვრონ რომელი მარკეტინგული ძალისხმევაა წარმატებული ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიის განსახორციელებლად. დიდი მონაცემები და ანალიტიკა ასევე ცვლის სხვადასხვა ინდუსტრიის ლანდშაფტს. უამრავი კვლევა და პუბლიკაცია არის დაბეჭდილი მსოფლიოში ამ მეტად აქტუალურ თემაზე. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დიდი მონაცემების განვითარების პროცესების მომიხილვა, მონაცემთა შესახებ არსებული ზოგიერთი შეხედულებების ანალიზი, მისი ახალი როლის წარმოჩენა სხვადასხვა ინდუსტრიებში, რაც ემყარება მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომებს, ელექტრონულ რესურსებს. ნაშრომში ასევე განხილულია დიდი მონაცემების სპეციფიკური როლი Covid-19-ის პანდემიის მართვის პროცესებში.

საკვანძო სიტყვები: *დიდი მონაცემები, მონაცემზე ორიენტირებული მარკეტინგი, მონაცემთა ინტეგრაცია ინდუსტრიებში, COVID-19-ის რისკების მართვა.*

2015 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) წარმოადგინა, რომელიც მიმართულია გარემოს მდგრადობის, ეკონომიკური ზრდისა და სოციალურ პროგრესის უზრუნველსაყოფად. დიდი მონაცემები, ახალი ტექნოლოგიებითა და ანალიტიკური მიდგომებით, საშუალებას იძლევა, უფრო ეფექტიანად გაიზომოს პროგრესი მდგრადი განვითარების მიზნების მიმართულებით. (Paoli & Addeo, 2020; Hassani et al., 2021). დიდი მონაცემების ეკონომიკური და ბიზნესშესაძლებლობები განუზომელია მსოფლიოს უკეთესი და მდგრადი მომავლის მისაღწევად (Francesco, 2015). ციფრულმა ტრანსფორმაციამ დიდი მონაცემების გამოყენების აუცილებელობა დაამტკიცა ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა ჯანდაცვა, საცალო ვაჭრობა, ფინანსები, ბანკები, განათლება, ტრანსპორტი, ლოჯისტიკა, ტელეკომუნიკაციები და სხვა (Data Analytics Insights, 2022).

დიდი მონაცემების განვითარების პროცესები

დიდი მონაცემების წარმოშობის შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნება მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს შორის, რომელშიც დომინირებს ორი მოსაზრება: ადრეული და თანამედროვე. დიდი მონაცემების ფორმალურ მინიშნებად მიჩნეულია ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 300 წელს არსებული მონაცემები, რომელიც ეხებოდა სამხედრო სტატისტიკას რომის იმპერიაში, კერძოდ, ჯარების ოპტიმალურ განაწილებას. 1663 წელს ჯონ გრაუნტმა (J. Graunt) პირველად წარმოადგინა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ჩანაწერების კოლექცია, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი შავი ჭირის ეპიდემიის დროს. 1865 წელს რიჩარდ მილარ დევენსმა (R. M. Devens) დაასახელა ტერმინი „ბიზნესინტელექტი“, თავის ე.წ. კომერციული და ბიზნეს ანეკდოტების კრებულში.

1926 წელს ნიკოლა ტესლამ (N.Tesla), სერბიული წარმოშობის ამერიკელმა გამომგონებელმა, გამოთქვა ვარაუდი, რომ მომავალში ადამიანებს ექნებათ წვდომა მონაცემთა დიდ ნაწილზე იმ ხელსაწყოს საშუალებით, რომელიც შეიძლება მოთავსდეს „ჟილეტის ჯიბეში“. ტესლამ შეძლო წინასწარმეტყველება სმარტფონებისა და სხვა მოწყობილობების შესახებ: „როდესაც უკაბელო სადენები სრულყოფილად იქნება გამოყენებული, მთელი დედამიწა გადაიქცევა უზარმაზარ ტვინად, საგნები რეალური და რიტმული მთლიანობის ნაწილაკებია. ადამიანები შეძლებენ ერთმანეთთან მყისიერ კომუნიკაციას, განურჩევლად მანძილისა“. 1959 წელს არტურ სამუელმა (A. Samuel), IBM-ის პროგრამისტმა და ხელოვნური ინტელექტის პიონერმა, გამოიგონა ტერმინი მანქანური სწავლება (Van Es, & Masson, 2018; Batistic & Laken, 2018).

მეორე შეხედულების მიხედვით დიდი მონაცემები უკავშირდება რადიკალურ ტექნოლოგიურ გარდაქმნებს. ახალი ინტერნეტის ეპოქა დიდ მონაცემთა ფართოდ გავრცელებითა და ხელმისაწვდომის ზრდით დაიწყო. 1990-იან წლებში ბრიტანელმა მეცნიერებმა ტიმ ბერნერს-ლიმ და რობერტ კაილაუსმა (T. Berners-Lee & R. Caillau) შექმნეს მსოფლიო ქსელი ((World Wide Web) და განავითარეს HTML, URL და HTTP. 1996 წლისათვის ციფრული მონაცემების შენახვა ბევრად უფრო ეკონომიური გახდა, ვიდრე ინფორმაციის გადატანა ქაღალდზე. ექსპერტთა აზრით, ტერმინის - დიდი მონაცემების- გამოყენება უკავშირდება ამერიკელ მეცნიერს კომპიუტერების დარგში ჯონ მეშის (John R. Mashey) სახელს, რომელიც ითვლება „დიდი მონაცემების მამად“. ასევე როჯერ მუგალასის (Rojer Magoulas) სახელი და მისი თანამშრომლობა O'Reilly Media ჯგუფთან მიჩნეულია დიდ მონაცემთა დასაწყისად (Magoulas, 2010). 2006 წელს ჰამბიმ, ბრიტანელმა მათემატიკოსმა (Clive Robert Humby) დიდი მონაცემები შეადარა ახალ ნავთობს. მისი აზრით, დიდი მონაცემები თანამედროვე ეკონომიკაში ყველაზე ღირებული საქონელი გახდა. მაიკლ პალმერმა კიდევ უფრო განავრცო აღნიშნული მოსაზრება და დაამატა ანალიტიკის მნიშვნელობა: „ნავთობის მსგავსად, დიდი მონაცემები ღირებულია, მაგრამ თუ არარაფინირებულია, მისი გამოყენება ნამდვილად შეუძლებელია. იგი უნდა შეიცვალოს გაზად, პლასტმასად, ქიმიკატად და ა.შ, რათა შეიქმნას ღირებული ერთეული, რომელიც მართავს მომგებიან საქმიანობას. ასე რომ, მონაცემები უნდა დაიშალოს და გაანალიზდეს, რათა მას ჰქონდეს ფასეულობა“ (Palmer, 2006). ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, მაიერ შონბერგერმა (Mayer-Schönberger) და ჟურნალ „ეკონომისტის“ მიმოხილველმა, თომას რეიმჯმა (T. Ramge) თავიანთ ერთობლივ წიგნში ყურადღება გაამახვილეს დიდ მონაცემთა ახალ მახასიათებელზე: „მონაცემები ცვლის ფულს, როგორც ბაზრის ქცევის მამოძრავებელს. მსხვილ ფინანსებს და დიდ კომპანიებს ჩაანაცვლებენ მცირე ჯგუფები და ინდივიდუალური აქტორები, რომლებიც ქმნიან ბაზრებს, აწარმოებენ რამეს: იფიქრეთ Uber-ზე Ford-ის ნაცვლად ან Airbnb-ზე Hyatt-ის ნაცვლად“. დიდი მონაცემები უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებაზე (Mayer-Schönberger & Cukier, 2013; Mayer-Schönberger & Ramge, 2018). პიტერ დრუკერის (P. Druker) ცნობილი ციტატა „თქვენ ვერ შეძლებთ მართოთ ის, რასაც ვერ გაზომავთ“ გამოყენებული აქვს მსოფლიო ბანკის ექსპერტს ჰარი პატრინოს (H.Patrinos), როდესაც ის აქცენტს აკეთებს დიდი მონაცემების მნიშვნელობაზე მენეჯმენტში (Patrinos, 2019). დიდი მონაცემების გამოყენება ხელს უწყობს კონსოლიდირებული და ინტეგრირებული ფირმის მენეჯმენტში ზუსტი პროგნოზების გაკეთებას და ოპერაციების სტაბილურობას (Akter & Wamba, 2019; Piccarozzi &Aquilani, 2022). ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ნავთობი და დიდი მონაცემები არსებითი საწვავია მსოფლიო ეკონომიკისათვის (Marchesin, 2021). 2000-იანი წლების დასაწყისიდან ინტერნეტი გვთავაზობს მონაცემთა შეგროვებისა და მონაცემთა ანალიზის უნიკალურ შესაძლებლობებს. ვებტრაფიკის და ონლაინმაღაზიების გაფართოებასთან ერთად, კომპანიებმა, როგორიცაა Yahoo, Amazon და eBay, დაიწყეს მომხმარებელთა ქცევის ანალიზი დაწკაპუნების სიხშირის, IP-ის სპეციფიკური მდებარეობის მონაცემებისა და ძიების ჟურნალების ნახვით. ამან გახსნა შესაძლებლობების სრულიად ახალი სამყარო. 2005 წელს როჯერ მუგალასმა (R. Mugalas) დიდი მონაცემები მოიხსენია, როგორც მონაცემთა დიდი ნაკრები, რომლის მართვა

და დამუშავება ტრადიციული ბიზნესინსტრუმენტებით იმ დროისთვის თითქმის შეუძლებელი იყო. იმავე წელს შეიქმნა Hadoop, რომელსაც შეეძლო დიდი მონაცემების მართვა. Hadoop დაფუძნებული იყო ღია კოდირებულ პროგრამულ ჩარჩოზე, სახელწოდებით Nutch და გაერთიანდა Google-ის MapReduce-თან (Firican, 2020). უახლესი ტექნოლოგიების არნახულმა ზრდამ განაპირობა დიდი მონაცემების ინტეგრაცია სხვადასხვა ინდუსტრიაში (Naik & Joshi,2017). არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ცნობილ ბრიტანელ მარკეტოლოგს ნენსი ლის: „დიდი მონაცემები წარმოადგენს ახალ ტექნოლოგიურ პარადიგმას მონაცემებისთვის, რომლებიც წარმოიქმნება მაღალი სიჩქარით, მოცულობითა და მრავალფეროვნებით. დიდი მონაცემები განიხილება, როგორც თამაშის წესების შემცვლელი, რომელსაც შეუძლია რევოლუცია მოახდინოს ბიზნესის ფუნქციონირებაზე ბევრ ინდუსტრიაში“ (Lee, 2017). საინფორმაციო სისტემებისა და მარკეტინგის მკვლევარები გამოყოფენ რამდენიმე ფუნდამენტურ ფაქტორს, რომლებიც განაპირობებენ დიდი მონაცემების ეფექტიან გამოყენებას სხვადსხვა ინდუსტრიაში (Wamba et al., 2017; Lukosius & Hyman, 2018). დიდი მონაცემების საშუალებით ბევრად უფრო იოლია მომხმარებელთა მოთხოვნების გაგება და მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღება მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით (Todua & Jashi, 2013; Saidali et al., 2019; Jashi, 2020). დღეისათვის მრავალი კომპანია კარგად აცნობიერებს დიდი მონაცემების პოტენციალს კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად (Saura et al., 2021). მხოლოდ მონაცემები არ იძლევა ბევრ რამეს კონკურენტულ უპირატესობასთან დაკავშირებით. კომპანიებს ესაჭიროებათ ეფექტიანი სისტემა რამდენიმე ჰეტეროგენული წყაროდან მონაცემების შეგროვების, შენახვისა და ანალიზისთვის, რათა მათ გამოიტანონ და იმოქმედონ ღირებული შეხედულებებით (Bosch, 2016). დღევანდელ ბიზნესსამყაროში, მონაცემთა ანალიზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა მიმართულებით, რათა მოხდეს საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა. ე.წ. „მონაცემთა მაინინგი“ არის მონაცემთა ანალიზის კონკრეტული ტექნიკა, რომელიც უფრო მეტად ფოკუსირებულია არა აღწერილობით ანალიზზე, არამედ, რაც მთავარია, მონაცემთა მოდელირებასა და პროგნოზირებაზე (Kumar Kar & Dwived, 2020; Pinarbasia & Nur Canbolat, 2019). მონაცემთა დამუშავების შედეგად ხდება არსებული მონაცემების ტრანსფორმაცია, რათა მიღებული იქნეს მხოლოდ მნიშვნელოვანი, საჭირო ინფორმაცია. შემდგომში ინფორმაციები მიეწოდება კომპიუტერულ სისტემას პროგრამის დასამუშავებლად, რითაც იქმნება კონკრეტული პროდუქტი ანუ ინფორმაცია და დასკვნები (Batistic & Laken, 2018, Barutcu,2017). დიდი მონაცემები პირდაპირ გავლენას ახდენს ბიზნესკომპანიების მარკეტინგულ სტრატეგიაზე. დიდ მონაცემთან დაკავშირებული ყველა ტექნოლოგია უზრუნველყოფს ბიზნესის წარმატებას, მონაცემთა ბაზაზე ორიენტირებული ახალი სერვისებისა და პროდუქტების გენერირებასა და განვითარებას (KumarKar & Dwived, 2020; Todua & Gogitidze, 2021; Todua & Jashi, 2022). დიდი მონაცემების ანალიტიკური აპლიკაციები საშუალებას იძლევა, რომ კომპანიებმა შეიმუშაონ ახალი და გაუმჯობესებული გადაწყვეტილებები და პროდუქტები. ეს სარგებელი მოდის მომხმარებელთა მოთხოვნილებების იდენტიფიცირების, კმაყოფილების გაზომვისა და ცვლილებების შეტანის შესაძლებლობებიდან. იგი ასევე საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, აირიდონ ბრენდის განვითარებასთან დაკავშირებული არასწორი ვარაუდები(Matthews, 2020, Buhl et al., 2013; Giri& Lone, 2022).

დიდი მონაცემები და COVID-19-ის პანდემია

COVID-19-ის პანდემიამ დიდი საშიშროების წინაშე დააყენა მსოფლიო. კოროვირუსული შემთხვევების რაოდენობის ექსპონენციალური მატებასთან ერთად, დიდმა მონაცემებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს COVID-19-ის ეპიდემიის მართვის პროცესებში. ჯანდაცვის სექტორის მონაცემები მრავალფეროვანი და რთულად დასამუშავებელია. დიდი მონაცემების მეშვეობით განხორციელდა ინფიცირებულ ადამიანთა უზარმაზარი რაოდენობის

მონაცემების დამუშავება, რამაც გააიოლა ვირუსის გავრცელების ბუნების ახსნა და კრიზისების მართვის პროცესების აქტიურად წარმართვა (Bamidile et al., 2022, Bragazi at el., 2020). დიდი მონაცემები ეფექტიანდ გამოიყენება დაავადებების ახალი შემთხვევების იდენტიფიცირების, ადამიანთა სიკვდილიანობის შემცირებისა და გამოჯანმრთელებისათვის (Piccarozz & Aquilan, 2022). დიდი მონაცემების დანერგვამ გაამარტივა მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაციის მოპოვება და მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობა. მთავრობები უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის დიდი მონაცემების მართვას, რითაც პაციენტს, დაცული და უსაფრთხო აპლიკაციების მეშვეობით, საკუთარ მონაცემებზე სრული წვდომა ეძლევა (Mehta & Shukla 2022). მრავალფეროვანი წყაროებიდან მიღებული მონაცემების გაერთიანებით, გამოყენებული იქნა ალგორითმები ჯანმრთელობის ჩანაწერების გასაანალიზებლად და პაციენტების კონტაქტების ისტორიის დასადგენად. შეიქმნა ელეტროქტრონული აპლიკაციები ვირუსის გავრცელების ნიმუშების იდენტიფიცირებისათვის. აღსანიშნავია ხელოვნური ინტელექტის ტექნიკა, სახელწოდებით „ბუნებრივი ენის დამუშავებ“ (NLP). ტექსტისა და მეტყველების სახით რეგულარული ადამიანური ურთიერთქმედებების გაანალიზებით, NLP უზრუნველყოფს სათანადო კომუნიკაციას, რომელიც გამოიყენება სოციალური მედიის ბმულების და ონლაინ ახალი ამბების ანგარიშების სკანირებისთვის ექტრემალური ვითარების დროს. ბოლო წლების მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, ეს ტექნოლოგიები ჯერ კიდევ ახალია და მრავალი გამოწვევა ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება. მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ პანდემიის დროს დიდი მონაცემების გამოყენების უზარმაზარი პოტენციალი არსებობს ცხელი წერტილების პროგნოზირებისა და ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად. სოციალური მედიის მონაცემების მაინინგის საშუალებით უზრუნველყოფილი იქნა ფასეული ინფორმაცია საზოგადოებისთვის, ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი შეტყობინებების შემუშავებაში. ახალი CEDIL-ის მხარდაჭერილი სისტემატური რუკა აერთიანებს კვლევების უნიკალურ და ყოვლისმომცველ კოლექციას, რომელიც იყენებს დიდ მონაცემებს განვითარების შედეგების გასაზომად ან შესაფასებლად. დიდი მონაცემების ინტენსიურ გამოყენებას შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებული გამოწვევების გადაჭრაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქაღალდზე არსებული სამედიცინო ჩანაწერებიდან ჯანმრთელობის ელექტრონულ სისტემებზე გადასვლამ გამოიწვია დიდ მონაცემებებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და მისი დამუშავება (Austin & Kusumoto, 2016). საქართველოში ელექტრონულმა პლატფორმამ StopCov.ge-მ პოზიტიური როლი ითამაშა პანდემიის კრიზისული პროცესების ეფექტიანი მართვაში. აღნიშნული აპლიკაცია მრავალი რეკომენდაციის, გაიდლაინის, ელექტრონული სააპლიკაციო ფორმების თუ ფეიკნიუსებთან და მითებთან ბრძოლის რესურსების რეპოზიტორიუმად გადაიქცა (Geocases, Recommendations,2021). ძალიან მნიშვნელოვანი იყო დასახელებული პორტალის და ცხელი ხაზის დახმარებით პირველადი ჯანდაცვის რგოლის მიერ მოსახლეობის მხრიდან ეპიდემიის და საკუთარი მდგომარეობის შესახებ შეკითხვების მკვეთრად გაზრდილი მოცულობის წარმატებული მართვა (Jashi & Urotadze, 2020; Todua & Jashi, 2021; Todua, 2022). ჯანდაცვის მონაცემთა ანალიტიკა გამოყენებული იქნა პაციენტის შედეგების გასაუმჯობესებლად და უკეთესი გამოცდილების უზრუნველსაყოფად (How Big Data Is Transforming Industries in Big Ways, 2022). თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი მონაცემების გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა პანდემიის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლაში (Prevention of Coronavirus Spread in Georgia,2021).

დასკვნები

დიდი მონაცემები გლობალური ეკონომიკის ყველა სექტორის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ისეთივე მნიშვნელოვანი წარმოების ფაქტორია, როგორც ფიზიკური და ადამიანური კაპიტალი. მის გარეშე თანამედროვე ეკონომიკური საქმიანობების უმეტესობა,

უბრალოდ, ვერ შეძლებდა ფუნქციონირებას. დღეს ყველა ბიზნესკომპანია ცდილობს, მონაცემებზე ორიენტირებული მარკეტინგი გამოიყენოს. მრავალი ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენა, რომ დიდი მონაცემები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინოვაციებში, ქმნის კონკურენტულ უპირატესობას, ზრდის პროდუქტიულობას და ეხმარება მონაცემებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. დიდი მონაცემების ტექნოლოგია და მისი ღირებულების გამოყენების სტრატეგია მნიშვნელოვნად განვითარდა სხვადასხვა დარგებში. მარკეტინგულმა კლვევებმა დაამტკიცა, რომ დიდი მონაცემების გამოყენება ბევრ სარგებელს აძლევს სხვადასხვა ინდუსტრიას, განსაკუთრებით, ჯანდაცვას, რაც გამოვლინდა COVID-19-ის პანდემიის კრიზისის მართვის დროს. ამასთან, დიდი მონაცემების გამოყენებასთან არსებობს გამოწვევები, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს. განსაკუთრებული ყურადღება აუნდა მიექცეს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ჯანმრთელობის მონაცემების უსაფრთხოება, ბიზნესორგანიზაციებში მონაცემთა გაზიარების პრობლემები, კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება, სტიმულირების მექანიზმი და ინტეგრაცია, მონაცემთა უზარმაზარი ნაკრების ანალიტიკა. დიდი მონაცემების ანალიზისა და ანალიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოითხოვს სიღრმისეულ გაანალიზებასა და შესწავლას, რაც აკადემიური სფეროს წარმომადგენელების ძალისხმევით უნდა განხორციელდეს.

ლიტერატურა

1. Akter, S., & Wamba, S. F. (2019). Big data and disast er management: a systematic review and agenda for future research. Annals of Operations Research, 283(1), 939-959.
2. Austin C., Kusumoto F. (2016) The application of big data in medicine: current implications and future directions. J. Intervent. Card. Electrophysiol. 47(1),51–59.
3. Bamidele A., Emmanuel., Adeniy,A., Kolawole, O.& Ogundokun,R. (2022). Application of big data in COVID-19. Data Science for COVID-19. Volume 2: Societal and Medical Perspectives, pp: 141-149
4. Barutcu M. (2017). Data Analytics for Marketing Revolution, Journal of Media Critiques , 3(11), 163-171.
5. Batistic,,S& Laken, P. (2018) The History, Evolution, and Future of Big Data and its Relationship to Performance in Organizations, Academy of Management Annual Meeting Proceedings 2018(1), pp163 -167.
6. Bosch,V. (2016). Big Data in Market Research: Why More Data Does Not Automatically Mean Better Information", GfK Marketing Intelligence Review, Vol. 8, No. 2 (November), pp. 56-63.
7. Bragazzi, N. L., Dai, H., Damiani, G., Behzadifar, M., Martini, M., & Wu, J. (2020). How big data and artificial intelligence can help better manage the COVID-19 pandemic. International journal of environmental research and public health, 17(9)
8. Buhl, P., Roglinger, D., Moser, D., & Heidemann, D. (2013). Big Data. Business &Information Systems Engineering, 5 (2),pp: 65-69
9. Data Analytics Insight,(2022) How Big Data Is Transforming Industries in Big Ways, https://www.3pillarglobal.com
10. Francesco,R. (2015) Big Data Economics, Big Data Economics Seminar, European Commission/DG Connect/Data Economy Unit,At: Luxembourg.
11. Firican, G. (2020). The History of Big Data, Available from: https://www.lightsondata.com/the-history-of-big-data/ (Accessed January 27, 2023).
12. Geocases Recommendations (2021). Available from: https://www.geocase.ge (Accessed January 27, 2023).
13. Giri, K. J., & Lone, T. A. (2014). Big data-overview and challenges. International Journal of Advanced Research in Computer Science and Software Engineering, 4(6), 525-529.
14. Hassani, H., Huang, X., MacFeely, S., & Entezarian, M. R. (2021). Big data and the united nations sustainable development goals (UN SDGs) at a glance. Big Data and Cognitive Computing, 5(3), 28.
15. How Big Data Is Transforming Industries in Big Ways, 2022. Available from: https://www.3pillarglobal.com/insights/how-big-data-is-transforming-industries-in-big-ways/ (Accessed January 27, 2023).
16. Jashi, Ch. (2020). The New Context of Marketing in Social Media (Conceptual review). Economics and Business , 1, pp: 152-164.
17. Jashi, Ch., & Urotadze, E. (2020). Marketing Aspect of COVID-19 Epoch. In Proceedings of the 5th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business“, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp. 397-405.
18. Kar, A. K., & Dwivedi, Y. K. (2020). Theory building with big data-driven research–Moving away from the “What” towards the “Why”. International Journal of Information Management, 54, 102205.

19. Lee, I. (2017). Big data: Dimensions, evolution, impacts, and challenges. Business horizons, 60(3), 293-303.
20. Lukosius, V., & Hyman, M. R. (2019). Marketing theory and big data. The Journal of Developing Areas, 53(4), 217-228.
21. Magoulas, R. (2010) Big Data - Radar - O'Reilly. Available from: http://radar.oreilly.com/2010/01/roger-magoulas-on-big-data.html (Accessed January 27, 2023).
22. Marchesin, A. (2021). The Economics of Big Data: Why, How and What. Available from: https://medium.com/analytics-vidhya/the-economics-of-big-data-why-how-and-what-alessandro-marchesin-a57a68606fd6 (Accessed January 27, 2023).
23. Matthews, D. (2020). The Role of Big d Data in Economic Development. Available from: https://www.crayondata.com/big-data-role-economic-development/ (Accessed January 27, 2023).
24. Mayer-Schönberger,V., & Cukier, K. (2013). Big Data: A Revolution That Will Transform How We Live,Work and Think. London: John Murray.
25. Mayer-Schönberger,V., & Ramge,T. (2018). Reinventing capitalism in the age of big data, Hachette UK.
26. Mehta, N., & Shukla, S. (2022). Pandemic analytics: how countries are leveraging big data analytics and artificial intelligence to fight COVID-19?. SN Computer Science, 3(1),1-20.
27. Naik, K., & Joshi, A. (2017, February). Role of Big Data in various sectors. In 2017 International Conference on I-SMAC (IoT in Social, Mobile, Analytics and Cloud)(I-SMAC) (pp. 117-122). IEEE.
28. Palmer, M. (2006). Data is New Oil? Ana Marketing Maestros. Available from: https://ana.blogs.com/maestros/2006/11/data_is_the_new.html (Accessed January 27, 2023).
29. Paoli, A.& Addeo, F. (2020). Big Data to Support Sustainable Development Goals (SDGs), in book: New Metropolitan Perspectives, pp: 738-748
30. Patrinos, H. (2019). World Bank Education Sector. Available from: https://www.worldbank.org (Accessed January 27, 2023).
31. Piccarozzi, M., & Aquilani, B. (2022). The role of Big Data in the business challenge of Covid-19: a systematic literature review in managerial studies. Procedia Computer Science, 200, pp:1746-1755.
32. Pinarbasi, F., & Canbolat, Z. N. (2019). Big data in marketing literature: a Bibliometric Analysis. International Journal of Business Ecosystem & Strategy (2687-2293), 1(2), 15-24.
33. Prevention of Coronavirus Spread in Georgia (2021). Available from: htpp:// www.stopcov.ge (Accessed January 27, 2023).
34. Saidali, J., Rahich, H., Tabaa, Y., & Medouri, A. (2019). The combination between big data and marketing strategies to gain valuable business insights for better production success. Procedia Manufacturing, 32,pp: 1017-1023.
35. Saura, J. R. (2021). Using data sciences in digita l marketing: Framework, methods, and performancemetrics. Journal of Innovation & Knowledge, 6(2), 92-102.
36. Todua, N. (2022). Impact of the COVID-19 Pandemic on Social Media Marketing. In Proceedings of the International Scientific Conference „Covid-19 Pandemic and Economics“, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp. 155-160.
37. Todua, N., & Gogitidze, N. (2021). Features of the Use of Digital Marketing in the Banking Sector. The New Economist,16 (3/4), 7-15.
38. Todua, N., & Jashi, Ch. (2021). Paradoxes of Social Marketing in Healthcare (In the Context of COVID-19 Pandemic). In Proceedings of the 6th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business“, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp:163-168.
39. Todua, N., & Jashi, Ch. (2013). Challenges of Social Marketing. TSU Science, 5, 59-62.
40. Todua,N., &Jashi, Ch. (2022) Opportunities and Challenges of Big Data in Digital Marketing. In Proceedings of the 7th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business“, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp:203-211.
41. Van, Es,K. &Masson E. (2018). Big Data Histories: An Introduction. Journal for Media History, 21(2), 1-6.
42. Wamba, S. F., Gunasekaran, A., Akter, S., Ren, S. J. F., Dubey, R., & Childe, S. J. (2017). Big data analytics and firm performance: Effects of dynamic capabilities. Journal of Business Research, 70, 356-365.

Charita Jashi
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ekaterine Urotadze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Development Trends of Big Data in Modern Industries

SUMMARY

Today Big Data is an important and valuable resource worldwide. It is difficult to find a single area of public life that does not depend on fast and reliable data transfer. The dimension of big data covers many aspects, starting from the technological base to the set of economic and business models. The potential of big data in the field of marketing is tremendous, the usage of electronic technologies allows companies to analyze consumer behavior, clearly determine which marketing efforts are successful in order to implement an effective marketing strategy. Many researches approved, that Big data and analytics changing the landscape of various industries. Numerous studies and publications have been provided on this highly relevant issue. The aim of the paper is to discuss the development stages of big data, to explore some views of professionals and Big Data`s specific in many industries. The article is based on numerous scientific works and electronic resources. The paper also discusses regarding managing of Covid-19 pandemic and its consequences.

Key words: Big data, data-driven marketing, data integration in industries, managing the risks of COVID-19.

მარიამ ჯიბუტი
ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიული ქეშელაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტექნოლოგიური შესაძლებლობები: წარსული გამოცდილება და მიმდინარე გამოწვევები

კვლევა მოიცავს ძველ და ახალ ტექნოლოგიურ მიდგომებს ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა: მდგრადი მშენებლობა, მცენარეული მელიცინა და ტყის არამეცნიერული პროდუქტები, წყლით თვითუზრუნველყოფა და წვიმის წყლის შეგროვების ტექნიკა, სოფლის მეურნეობის მართვა ქალაქის ტიპის დასახლებებში და ენერგოეფექტური სისტემების დანერგვა. ნაშრომში წარმოდგენილი მიდგომების გამოყენება ხელს შეუწყობს ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას ეკონომიკის განვითარების დაგეგმვისას და ლოდაქალაქზე ნაკლებად დამოკიდებული ენერგიონების ჩამოყალიბებას. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ძველი და თანამედროვე ტექნოლოგიების ჰარმონიული შერწყმით მდგრადი განვითარების შესაძლებლობების ჩვენება.

საკვანძო სიტყვები: *ტექნოლოგიური განვითარება; ენერგოეფექტური მიდგომები; ეკოლოგია.*

Introduction. The overall sustainability of a city is encouraged and marked by its relation to its roads, harmony with nature and its structural organization. Tbilisi continues to inwardly expand centrally, why, we must ask are the high-rise multi-story buildings continuing to be built, in close proximity to each other, with placement all around existing multi-story living apartments? When it can be observed that there is a large traffic congestion of the inner cities network of roads. And that there is a continual overflow of traffic from the main roads being overwhelmed. Then there must be conscious well thought out implementation to alleviate this problem. This is due in part to bad long-term planning, as well as continual apartment projects placed in already overcrowded areas with narrow roads and minimal parking. This perpetual trend only causes more and more stagnation and less space for traffic flow for economic growth. The more time spent in traffic contributes to the overall slowdown of productivity and much wasted time and money. This stagnation causes also depression and decreased work ethic among those daily affected by this overcrowding. Also, the air is polluted more and more with the increased density and slowing traffic.

Research Findings. A city needs to breathe, it needs to have an ebb and flow, so that it is not clogged up and progress halted; if a city cannot breathe when the signals of ossification abound all around, and there is little interest in developing its outer rings and expanding its natural order, then already the inner rings will start to whither and decay, with the stress and strain of the central core no longer able to keep up with the growing demand and commute. Christopher Alexander writes “The purpose of all architecture is to encourage and support life-giving activity, dreams, and playfulness. But in recent decades, while our buildings are technically better--more sturdy, more waterproof, more energy efficient-- they have also become progressively more sterile, rarely providing the kind of environment in which people are emotionally nourished, genuinely happy, and deeply contented” (Alexander, 2005). It is shown how the environment affects a people, for people can be too far removed from nature and environment of green and land that they mentally are exhausted, weighed down in the overbearing concrete walls with less and less of green and fresh air. Ancient Rome was laid out in patterns, this old technology of geometrical design can help alleviate our cities today. To allow nature to expand within the current framework, by planting trees where possible, and encouraging more green spaces to align with the ever-expanding concrete structures. The Roman roads were lined with trees and beautiful artworks which gave a calm soothing ambience to the passersby. What mosaic landscape

do developers and city councils for regional development consider when approaching this topic of natural harmony? The Romans integrated in their design an architecture of strength and enduringness to last centuries, for the people were stronger than those of today, and had more time to admire and be at unity with the beauty they created. We can learn from their approach.

Not only can this be seen in the traffic systems and architectural framework of the city of the leaving behind of the natural landscape but also in the agricultural and horticultural occupations and endeavors of the countryside. In the urge to build is the devastation of the natural order and a schism between nature and city when the two should be interlaced. With each succeeding generation, the young adults get further and further into modern technology but leave behind the old ways of agricultural knowledge and living in harmonious interaction with nature. How long can this persist without dire consequences which reach all facets of society. And so here we are staring into this space, there are implementations to consider such as geometrical layout of new green eco villages, natural architecture, sustainable energy, herbalism, rainwater catchment systems, vertical gardening, water purification etc.

Rainwater catchment systems provide an important benefit for resource conservation. Tbilisi faces ever increasing water disruptions in multiple zones of the city. This is due in part to old pipes breaking down in need of disrepair, which is bound to occur more and more in the coming years, as well as new development and a continual overcrowding of the existing old systems. The questions must be asked what if there were ever water shortages here for extended periods of time? Or in other cities throughout Georgia, this problem exists not only in the city but also in the countryside as many rivers have overtime been diverted and dams built for energy projects like up in Svaneti. In Australia and New Zealand many people have these water catchment systems in place. Research would need to be conducted to see how much rainfall occurs in what parts of the country. This would help alleviate the strain on house to house or flat to flat consumption. Rainwater catchment systems have been in place for thousands of years in Asia, the Middle East, China and India. The Romans were masters at harvesting and storing water and their towns and villas reflect this. Thousands of large cisterns for rainwater storage have been in existence for many centuries around the Mediterranean and North Africa, some are still in use today in Egypt. Turkey also has many of the largest cisterns in the world for holding water. In western Europe, records show that in Venice and other cities rooftop collection and storage of rainwater was the main source of water for 1300 years up to the sixteenth century. “The rapid expansion in use of rainwater catchment systems technology worldwide has coincided with a period of growing interest in community-based, grassroots, self-help development.” (Gould, D., Nissen-Petersen E., 1999).

Because there is less and less water available in the ever-global market it is wise to develop this ancient technology of harvesting and collecting water for personal use. Not only should we encourage the production and development projects with these systems put in place but also the returning of communities and villages back to independent wells with a better communal understanding of water purification and how to cleanse and maintain their individual systems. The main municipal water systems are overburdened and over chemically treated in the increasingly over populated cities of the modern world. When water is carried so far by pipes that it picks up many metals along its route and systemic system leaks overtime and metal decay and or plastic leakage. Jobs must be created in an organic context from the countryside, so that the outflow of population to the big cities is not so constant and to put a cap on the number of inhabitants within a city’s inner dwellings. This allows for other regions to develop and smaller villages to not die out from low population counts. But does this water contain the life energy of the water in nature or is it dead water without the pure oxygen? As overpopulation in the city has a tendency to overflow to all aspects of the society, burdening the environment, it is better to develop out than overwhelm the interior; to instead revive the outer

villages and countryside so there is an organic link between countryside and city, between farm and market.

Water purification is even more important than the water storage itself. Because if the water is not usable it is unfit for storage. There are ancient ways much healthier than many of the chemically treated methods in which water is “purified” today. Water is the giver of life and must be protected for the adequate nourishment and health of humanity. In the ancient Sanskrit medical texts of the Ayura Veda, “it is directed to heat foul water by boiling and exposing to sunlight and by dipping seven times into a piece of hot copper, then to filter and cool in an earthen vessel”. (Baker. 1981) Also the keeping of water in copper vessels is recorded as well as filtering through charcoal and various types of sand and gravel. Copper was regarded as a disinfecting agent in ancient India. There has been research coming forward that the harmful chemicals found in water and for water treatment are a major source of disease and cancer. The older methods of water purification and storage can give us renewed health and vigor.

Ancient technology of building materials and usage of green energy can help with expensive housing costs in both city and rural villages for both natural and modern design and also for better environmental outcomes. Earth materials can be used to build housing using raw materials like straw-bale, rammed earth, adobe and clay. We must ask all of this over processing of building materials is it really necessary? When nature provides so much in many places of the world. The caves of Vardzia were vast living spaces of ecological thought etched into the rock. Here high up in the cliffs people lived in the mountain itself, providing a very nourishing environment. Not only here but also in Turkey, China, and many other places of the world there are remains of caves and natural dwellings built into the landscape both of stone and earth. In Iran there are many cities that were built almost entirely of earth such as Yazd. On the Iranian plateau lies the city of Yazd, it lies close to the ancient Silk Road. The way this ancient city was constructed is of earthen architecture is a living witness to the use of limited resources for building materials. Re-education in the use of these types of building with earth and clay and natural green elements will provide not only new jobs but new elemental landscapes to various regions of the world with expensive housing. Traditional adobe houses are made from the earthen bricks that have dried in the sun and are laid in courses to form walls. Both adobe and rammed earth are made from soil and are therefore truly sustainable and provide cheaper alternatives than the expenses of mainstream modern building materials.

In Iran wind catchers were also used to cool down the inner dwellings by means of high towers with windows where the wind could flow down to the corridors below. Such means of air conditioning is environmental and works in harmony with nature than against it. Also, ancient civilizations and even in modern times used root cellars to store their vegetables and food without the need for refrigerators. Surely there are much more efficient ways of keeping food cold, washing clothes, clothes drying, and electric or gas cooking. Solar cooking has been around for centuries, using the rays of the sun to cook food. Also, the use of solar dehydrators for food preservation throughout winter or famines. There could be vast areas of food by the planting of trees and orchards throughout the country, creating free food on the sides of the road, wherever people travel. If apartments and flats had more integrated green houses and areas for growing vegetables, fruits, herbs, and plants, this creates more connection to the land. This brings forth much more abundance, than importing food from far away countries using large amounts of fuel and energy, instead of sourcing local production and or free food areas. As for nature also needs to be returned to its proper place as the healer instead of the pharmacy alone. The pharmacies of old were using vast amounts of natural plants and herbs to heal people. Whereas today much of these chemicals contain harmful substances and use quite energy consumption in their manufacturing process. When instead vast fields of herbs and flowers could be cultivated for the healing of the sick and the health of the nations.

Conclusion. People and children in education should be inspired to create their own home herbs and vegetable gardens, to plant trees, to live sustainably in order to preserve the society in which they live. They are custodians of the future, by the example set before them, much can be done in these areas for improvement. We have before us an open door to change our societies for the betterment of human development and health by the technologies and innovations we use from daily use. We can learn from the ancients in their craftsmanship and skill, earth architecture, solar designs, housing, medicines, agricultural and handicrafts. Not everything should be shipped on a boat and imported from far away, when you can get right in your local market or countryside village. We are at a crossroads; we cannot sustain this current trend of consumption with pollution unchecked. We must change course and consciously think about these things more intently with vision because there is devastating consequences if we do not. This is a call to return to nature to have cities and societies that are built in a green ecological way with ancient technology and clean living. This is a pathway we should strive to go down. With every tree planted, with every breathe taken let us renew the way we see the greenery around us as living within nature than nature outside us.

References

1. Alexander, C., Ishikawa S., Silverstein M., (1997). A Pattern Language: Towns, Buildings, Construction, Oxford University Press, New York
2. Allen, W.E.D., (1971). A History of the Georgian People, Barnes & Noble; Reprint edition
3. Bajer, M.N., (1981). The Quest for Pure Water, American Water Works Association,
4. Bonsall W., (2015). Will Bonsall's Essential Guide to Radical, Self-Reliant Gardening: Innovative Techniques for Growing Vegetables, Grains, and Perennial Food Crops with Minimal Fossil Fuel and Animal Inputs, Chelsea Green Publishing
5. Bragg P.C., Bragg P., (2014). Water, Health Science, California
6. Bubel, M., Bubel N., (1991). Root Cellaring Natural Cold Storage of Fruits and Vegetables, Storey Publishing, Massachusetts
7. Buhner, S. H., (2002). The Lost Language of Plants the Ecological Importance of Plant Medicines to Life on Earth, Chelsea Green Publishing, Vermont
8. Cornell, T., Matthews J., (1982). Atlas of Roman World, Checkmark Books
9. Fell, D., (2011). Vertical Gardening Grow Up, Not Out, For more Vegetables and Flowers in much less Space, Rodale Inc., New York
10. Fukuoka, M., (2009). The One-Straw Revolution: An Introduction to Natural Farming, NYRB Classics
11. Gould, D., Nissen-Petersen E., (1999). Rainwater Catchment Systems for Domestic Supply, Intermediate Technology Publications, London
12. Fritchey, P. (2004). Practical Herbalism Ordinary Plants and Extraordinary Powers, Whitman Publications, Indiana
13. Johnson, D., Gibson, S. (2008) Green from the Ground Up Sustainable, Healthy, and Energy-Efficient Home Construction, Taunton Press, Inc., Connecticut
14. Keshelashvili G., Jibuti M, (2022) Technological Opportunities for Sustainable Development of Regions, Conference Proceedings, VI International Conference, Strategic Imperatives of Modern Management, 21 October, p.256-259.
15. Keshelashvili G., Jibuti M. (2017) Role of NATO in the Development of the Education and Scientific Infrastructure in Georgia, Subchapter, Processes of Integration and Disintegration in the European and Eurazian Space: The Geographical Context, Poznan, p. 155-160.
16. McRaven C., (1997). Stonework: Techniques and Projects, Storey Publishing, LLC; 11th Printing edition
17. Smith, S. (2000) Greenhouse Gardener’s Companion Growing Food and Flowers in Your Greenhouse or Sunspace, Fulcrum Publishing, Colorado
18. Stone, C., (2015). The Urban Farmer: Growing Food for Profit on Leased and Borrowed Land, New Society Publishers

Mariam Jibuti
Doctor of Economics, Invited Lecturer
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Giuli Keshelashvili
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Technological Opportunities: Past Experiences and Current Challenges

SUMMARY

Research covers study of old technologies and approaches towards sustainable building, plant/tree medicines and non-timber forest products, ways of maintaining water purity and harvesting rainwater, urban farming and energy efficient lifestyle. Implementing these techniques into the framework of our society, will cause an economic awakening. A shifting to new realizations that the current stream contains much waste and unproductivity, which can change by harmonizing old and new technologies. Knowing how to apply these in modern life, is essential for the ecological economic growth of the future. It is a way of thinking, within all sectors, to enhance not only peoples' daily lives and atmosphere, but the self-reliance and health of the nation itself.

Keywords: Technological development; energy-efficient approaches; ecology

JEL: Classification Code: Q01, Q55, Q56

მერაბ ჯიქია
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცალკეული სტატისტიკური მეთოდის გამოყენების ნაკლოვანებები და უპირატესობები მმართველობით აღრიცხვაში

როგორც ცნობილია, ბიუჯეტის შედგენა ხდება პროგნოზის საფუძველზე. პროგნოზი შესაძლოა მომზადდეს წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობისათვის, რეალიზაციიდან შემოსავლისათვის, დანახარჯებისათვის და სხვა. პროგნოზირების დანიშნულებაა საბიუჯეტო პროცესის დროს რეალისტური დაშვებების ჩამოყალიბება დაგეგმარებისათვის.

პროგნოზი შესაძლოა დაფუძნებული იყოს მარტივ დაშვებებზე, როგორიცაა მაგალითად, რეალიზაციის მოცულობისა და რეალიზაციიდან შემოსავლების X%-იანი ზრდის პროგნოზი. მეორე მხრივ, პროგნოზის მომზადება შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა საპროგნოზო მოდელის, მეთოდისა ან ტექნიკის გამოყენებით, რომლებიც ითვლიან წინა წლების ტენდენციას და ცვალებადობას. ამ მოდელებისა და ტექნიკების გამოყენების ძირითადი მიზანია უფრო ზუსტი და სანდო პროგნოზის წარდგენა.

მმართველობით აღრიცხვაში რამდენიმე ცვლადს შორის წრფივი დამოკიდებულების პროგნოზირებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რეგრესიული ანალიზი. ჩვენ განვიხილავთ წრფივ დამოკიდებულებას მხოლოდ ორ ცვლად შორის. არსებობს რამდენიმე მეთოდი ამ დამოკიდებულების იდენტიფიცირებისათვის: მინი-მაქსის, განფენილი წერტილებისა და უმცირეს კვადრატთა რეგრესიული ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: *რეგრესიული ანალიზი, დანახარჯთა ფუნქცია, დამოუკიდებელი ცვლადი, დამოკიდებული ცვლადი, გადამკვეთი პარამეტრი, დახრილობის პარამეტრი, მინი-მაქსის მეთოდი, განფენილ წერტილთა მეთოდი, უმცირეს კვადრატთა მეთოდი, ინტერპოლაცია, ექსტრაპოლაცია.*

ცვლადი დანახარჯის განმარტება უშვებს წრფივ დამოკიდებულებას საქმიანობაზე დანახარჯსა და მასთან დაკავშირებულ მატარებელს შორის. ეკონომისტები ხშირად ამტკიცებენ, რომ ცვლადი დანახარჯი კლებადი განაკვეთით იზრდება რაღაც გარკვეულ მოცულობამდე, რომლის შემდეგაც იწყებს მზარდი განაკვეთით ზრდას. მაშასადამე, დამოკიდებულება არაწრფივია. იბადება კითხვა, როგორ მოვიქცეთ, თუკი არაწრფივი დამოკიდებულება უფრო აკურატულად გვიჩვენებს რეალურ სურათს? ერთი გზაა ფაქტიური დანახარჯის ფუნქციის დადგენა. მაგრამ ყოველ საქმიანობას შეიძლება დანახარჯთა განსხვავებული ფუნქცია გააჩნდეს და ეს საქმიანობა დროისა და თანხების დიდ რაოდენობას მოითხოვდეს (თუკი საერთოდ შესაძლებელი იქნება ამის გაკეთება). გაცილებით მარტივია წრფივი დამოკიდებულების დაშვება.

თუ ხდება წრფივი დამოკიდებულების დაშვება, მაშინ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენად ახლოსაა ეს დაშვება დანახარჯთა არსებულ ფუნქციასთან. მისაღებ დიაპაზონად ჩაითვლება გამოშვების ის შუალედი, რომელშიც დასაბუთებულია დანახარჯთა ურთიერთკავშირის დაშვებული ფუნქცია. ამჯერად დასაბუთებულობა ეყრდნობა იმას, თუ რამდენად მჭიდროდ გვაახლოვებს დანახარჯთა წრფივი დამოკიდებულების დაშვება დანახარჯთა არსებულ ფუნქციასთან. შევნიშნოთ, რომ საქმიანობის მატარებელთა X1-ის გარეთ მყოფი რაოდენობისათვის, მიახლოება უაზრობა ხდება.

გრაფიკი 1



წრფივი დამოკიდებულების განტოლება შემდეგი სახისაა:
ჯამური დანახარჯი = მუდმივი დანახარჯი + (ცვლადი დანახარჯის განაკვეთი x გამოშვება)

აღნიშნული განტოლება წარმოადგენს დანახარჯთა ფორმულას, რომელშიც დამოკიდებული ცვლადი წარმოადგენს დანახარჯს, რომლის განსაზღვრასაც ვცდილობთ, ანუ „ჯამურ დანახარჯს“. განტოლებაში იგი დამოკიდებულია მხოლოდ ერთ ცვლადზე - „გამოშვებაზე“, რომელიც წარმოადგენს საქმიანობის საზომს, გამოშვება დამოუკიდებელი ცვლადია. „მუდმივი დანახარჯი“ გადამკვეთი პარამეტრია და წარმოადგენს ჯამურ დანახარჯში მუდმივი დანახარჯის წილს. და ბოლოს, „ცვლადი დანახარჯის განაკვეთი“ წარმოადგენს საქმიანობის ერთეულზე დანახარჯს, მას ასევე დახრილობის პარამეტრსაც უწოდებენ.

გრაფიკი 2



დამოკიდებული ცვლადი არის ცვლადი, რომლის მოცულობაც დამოკიდებულია სხვა ცვლადის მოცულობაზე. ადვილი დასანახია, რომ ვცდილობთ ვიპოვოთ „ჯამური დანახარჯი“ - და რომ მისი მოცულობა დამოკიდებულია ფორმულის მარჯვენა მხარეს განთავსებული პარამეტრებისა და ცვლადის მოცულობაზე. დამოუკიდებელი ცვლადი წარმოადგენს იმ

ცვლადს, რომელიც ზომავს გამოშვებას და ხსნის დანახარჯებში ცვლილებას. ეს არის საქმიანობის მატარებელი. დამოუკიდებელი ცვლადის შერჩევა დაკავშირებულია მის ეკონომიკურად გამართებულობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მმართველი შეეცდება იპოვოს ისეთი დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც იწვევს ან მჭიდროდაა დაკავშირებული დამოკიდებულ ცვლადთან. გადამკვეთი პარამეტრი შეესაბამება მუდმივ დანახარჯს. გრაფიკულად, გადამკვეთი პარამეტრი წარმოადგენს იმ წერტილს, რომელშიც შერეული დანახარჯის (ცვლადის და მუდმივის) მრუდი კვეთს დანახარჯთა (ვერტიკალურ) ღერძს. დახრილობის პარამეტრი შეესაბამება საქმიანობის ერთეულზე ცვლად დანახარჯს. გრაფიკულად იგი წარმოადგენს შერეული დანახარჯის მრუდის დახრილობას.

რამდენადაც ბუღალტრული ჩანაწერები გვიჩვენებს მხოლოდ საქმიანობის გამოშვების მოცულობასა და ჯამურ დანახარჯს, საჭიროა ამ მოცულობების გამოყენება მუდმივი დანახარჯისა და ერთეულზე ცვლადი დანახარჯის განაკვეთის დასადგენად. ამისათვის განვიხილავთ სამ მეთოდს. სამივე მეთოდისათვის გამოვიყენებთ ერთსა და იმავე მონაცემებს. ბოლო ხუთი თვის მონაცემები პროდუქციის მოცულობისა და წარმოების დანახარჯების შესახებ მოცემულია N1 ცხრილში.

ცხრილი N1

თვე	პროდუქციის მოცულობა	წარმოების დანახარჯები
იანვარი	1 000	10 000
თებერვალი	2 000	12 500
მარტი	3 000	22 500
აპრილი	4 000	25 000
მაისი	5 000	37 500

მინი-მაქსის მეთოდი

ელემენტარული გეომეტრიიდან გვახსოვს, რომ წრფის განსაზღვრისათვის საჭიროა ორი წერტილის პოვნა. თუ გვეცოდინება წრფეზე ორი წერტილი, შეგვიძლია მისი განტოლების დადგენა. ორი წერტილის მოცემით, შესაძლებელია გადაკვეთის პარამეტრისა (მუდმივი დანახარჯის) და დახრილობის (ცვლადი დანახარჯის განაკვეთის) დადგენა. მინი-მაქსის მეთოდი წარმოადგენს წრფის განტოლების დადგენის მეთოდს, ორი წერტილის (უმაღლესი და უმდაბლესი წერტილების) წინასწარი შერჩევით, რომელიც გამოყენებული იქნება გადაკვეთისა და დახრილობის პარამეტრების დასადგენად.

მინი-მაქსის მეთოდის მიდგომა შედგება შემდეგი საფეხურებისაგან:

I-ლი საფეხური

შეარჩიეთ საქმიანობის მაქსიმალური და მინიმალური დონეები და მასთან დაკავშირებილი დანახარჯები.

5000 ერთეული 37 500 ლარი
1000 ერთეული 10 000 ლარი

მე-2 საფეხური

იპოვეთ ცვლადი დანახარჯი ერთეულზე.

ცვლადი დანახაჯი ერთეულზე=(საქმიანობის მაქსიმალურ დონეზე გაწეულ დანახარჯს - საქმიანობის მინიმალურ დონეზე გაწეული დანახარჯი)/(მაქსიმალურ საქმიანობას - მინიმალური საქმიანობა).

Y = a + bx

b = (37 500 – 10 000)/(5 000 – 1 000) = 6,875 ლარი;

მე-3 საფეხური

იპოვეთ მუდმივი დანახარჯი საქმიანობის მაქსიმალური ან მინიმალური დონეების გამოყენებით.

მუდმივი დანახარჯი = საქმიანობის დონეზე გაწეულ მთლიან დანახარჯს - მთლიანი ცვლადი დანახარჯი.

a = 37 500 – 6,875 * 5 000= 3 125 ლარი;

მე-4 საფეხური

გამოიყენეთ ცვლადი და მუდმივი დანახარჯი საქმიანობის გარკვეულ დონეზე გამხორციელებული მთლიანი დანახარჯის პროგნოზირებისთვის.

Y = 3 125 + 6,875*X

მინი-მაქსის მეთოდის უპირატესობები

- მინი-მაქსის მეთოდი სარგებლობს ობიექტურობის უპირატესობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ორი ადამიანი, რომელიც კონკრეტული მონაცემებისათვის გამოიყენებს მინი-მაქსის მეთოდს, აუცილებლად ერთსა და იმავე პასუხს მიიღებს. ამასთან, მინი-მაქსის მეთოდი საშუალებას აძლევს მმართველებს სწრაფად მიაღწიონ წარმატებას დანახარჯთა ურთიერთკავშირის დადგენისას, მხოლოდ ორი წერტილის მონაცემის წყალობით;
- მარტივია როგორც მისი გაგება და გაანალიზება, ასევე გამოყენება.

მინი-მაქსის მეთოდის ნაკლოვანებები

- ეს მეთოდი ეყრდობა დაშვებას, რომ დანახარჯებზე მოქმედებს მხოლოდ ერთი ფაქტორი - საქმიანობა;
- ეს მეთოდი ასევე ეყრდნობა დაშვებას, რომ წარსულ მონაცემებს შეუძლია საიმედოდ განსაზღვროს მომავალი დანახარჯების მოცულობა;
- იგი იყენებს მხოლოდ ორ მნიშვნელობას, მაქსიმალურს და მინიმალურს, შესაბამისად, შედეგები შესაძლოა დამახინჯდეს მონაცემების შემთხვევითი ცვლილებების შედეგად.

განფენილი წერტილების მეთოდი

განფენილი წერტილების მეთოდი წარმოადგენს წრფის განტოლების დადგენის მეთოდს - მონაცემების გრაფიკზე გადატანით. პირველი ნაბიჯია მონაცემთა წერტილების იმგვარად გადატანა, რომ ჩანდეს წარმოების დანახარჯსა და საქმიანობის დონეს შორის ურთიერთკავშირი. განფენის გრაფიკი ნაჩვენებია N3 გრაფიკზე. ვერტიკალური ღერძი წარმოადგენს წარმოების ჯამურ დანახარჯს, ხოლო ჰორიზონტალური ღერძი გამოშვებული პროდუქციის მოცულობას. გრაფიკის გამოკვლევა გვეხმარება დავრწმუნდეთ, რომ წარმოების დანახარჯებსა და წარმოების მოცულობას შორის წრფივი დამოკიდებულების დაშვება გონივრულია საქმიანობის დადგენილი დიაპაზონისათვის. ამასთან, გამოკვლევამ შეიძლება წარმოაჩინოს რამდენიმე წერტილი, რომელიც ალბათ არ მოთავსდება ქცევის ზოგად მოდელში. გამოკვლევის შედეგად შესაძლოა აღმოვაჩინოთ, რომ ეს წერტილები (ამოვარდნები) გამოწვეულია რაიმე არა დამახასიათებელი შემთხვევების გამო. ამის ცოდნა შესაძლოა დაგვეხმაროს მათ აღმოფხვრაში და დანახარჯთა ფუნქციის უკეთ შეფასებაში.

განფენის გრაფიკს შეუძლია დაგვეხმაროს ნათელი მოვფინოთ დანახარჯსა და საქმიანობების მოხმარებას შორის ურთიერთკავშირს. მართლაც, განფენის გრაფიკი საშუალებას იძლევა გავავლოთ ვიზუალური მრუდი გრაფიკზე დატანილ წერტილებზე. ამ დროს, შერჩეული მრუდი უნდა იყოს ის, რომელიც საუკეთესოდ აერთებს წერტილებს. ამ არჩევანისას, დანახარჯთა ანალიტიკოსი თავისუფალია გამოიყენოს დანახარჯთა ერთეულების შესახებ წარსული გამოცდილება, რაც შესაძლოა იძლეოდეს კარგ ინტუიტიურ მინიშნებას, თუ როგორ იქცევა წარმოების დანახარჯი. წერტილებზე მრუდის ამგვარად გავლება წარმოადგენს იმის ჩვენებას, თუ როგორ მუშაობს განფენილი წერტილების მეთოდი.

გრაფიკი 3



გრაფიკზე მოცემული ინფორმაციის საფუძველზე როგორ გავავლებდით ამ წერტილებზე მრუდს? დავუშვათ გადავწყვიტეთ, რომ წერტილ 1-სა და წერტილ 3-ზე გავლებული მრუდი საუკეთესო წრფეა. თუ ეს ასეა, მაშინ როგორ გამოვიყენოთ ეს გადაწყვეტილება მუდმივი დანახარჯისა ცვლადი დანახარჯის განაკვეთის გაანგარიშებისათვის?

თუ ჩვენს არჩევანს ჩავთვლით საუკეთესო წრფედ, მაშინ ერთეულზე ცვლადი დანახარჯის განაკვეთი შესაძლებელია გაანგარიშებულ იქნეს შემდეგნაირად: პირველად გამოვსახოთ წერტილი 1 როგორც (1000; 10 000 ლარი), ხოლო წერტილი 3 როგორც (3000; 22 500 ლარი). შემდეგ გამოვიყენოთ ეს ორი წერტილი დახრილობის გასანგარიშებლად:

ცვლადი დანახარჯის განაკვეთი = (22 500 – 10 000)/(3 000 -1 000) = 6,25 ლარი;

ერთეულზე ცვლადი დანახარჯის გაგების შემდეგ, საბოლოო ნაბიჯია მუდმივი დანახარჯების კომპონენტის გაანგარიშება. თუ გამოვიყენებთ წერტილ 3-ს, ქვემოთ მოყვანილი განტოლების მიხედვით მივიღებთ:

მუდმივი დანახარჯი = 22 500 ლარი - 6,25*3 000 = 3 750 ლარი;

მაშასადამე, დანახარჯთა ფუნქციის ფორმულას შემდეგი სახე ექნება:

$$Y= 3\,750+6{,}25*X$$

წარმოების დანახარჯისათვის დანახარჯთა ფუნქციის ფორმულა მიღებულ იქნა წერტილი 1-ისა და წერტილი 3-ის შეერთებით. ამ მრუდის შეჩევისას გამოყენებული იყო გარკვეული მსჯელობა. იმ დროს, როდესაც ერთი თვლის, რომ საუკეთესო წრფეს წარმოადგენს წერტილ 1-სა და წერტილ 3-ზე გამავალი მრუდი, სხვამ, რომელიც სხვა კრიტერიუმებით მსჯელობს შეიძლება ჩათვალოს, რომ მრუდმა უნდა გაიაროს წერტილ 2-სა და წერტილ 4-ზე, ანდაც წერტილ 1-სა და წერტილ 5-ზე.

განფენილი წერტილების მეთოდის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მონაცემები. ამ მეთოდის სუსტ წერტილს წარმოადგენს ის, რომ შესაძლებელია საუკეთესო წრფის სუბიექტურად შერჩევა. დანახარჯთა ფორმულის ხარისხი დამოკიდებულია ანალიტიკოსის სუბიექტური მსჯელობის ხარისხზე. მინი-მაქსის მეთოდი დაივანება საუკეთესო წრფის სუბიექტურად შერჩევამდე. იმაზე დამოკიდებულებით, თუ ვინ გამოიყენებს მეთოდს, მიიღება შესაბამისი ხაზი.

ქვემოთ N2 ცხრილში მოცემულია მინი-მაქსისა და განფენილი წერტილების მეთოდით მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზი (ლარში).

ცხრილი N2

მაჩვენებლები	მუდმივი დანახარჯი	ერთეულზე ცვლადი დანახარჯის განაკვეთი	დანახარჯი 3 500 ერთეულისათვის
მინი-მაქსის მეთოდით	3 125	6,875	27 187,5
განფენილი წერტილების მეთოდით	3 750	6,250	25 625

მუდმივი დანახარჯის კომპონენტსა და ცვლადი დანახარჯის განაკვეთს შორის დიდი განსხვავებაა. წარმოების მოცულობის 3 500 ერთეულისათვის წინასწარ გამოანგარისებული ჯამური დანახარჯი 25 625 ლარია განფენილი წერტილების მეთოდის მიხედვით და 27 187,

5 ლარია მინი-მაქსის მეთოდის მიხედვით. რომელია „სწორი" ციფრი? იქიდან გამომდინარე, რომ ორ მეთოდს შეუძლია მოგვცეს მნიშვნელოვნად განსხვავებული დანახარჯთა ფორმულები, ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რომელი მეთოდია საუკეთესო. იდეაში, საჭიროა მეთოდი, რომელიც ობიექტურია და ამავე დროს იძლევა საუკეთესო წრფეს. უმცირესი კვადრატის მეთოდი განმარტავს საუკეთესო წრფეს და იმავდროულად ობიექტურიცაა იმ თვალსაზრისით, რომ მოცემული მონაცემების ბადისათვის ამ მეთოდის გამოყენება ეყრდნობა დანახარჯთა იგივე ფორმულას.

უმცირესი კვადრატის მეთოდი

აქამდე ვეყრდნობოდით იმ წრფის იდეას, რომელიც საუკეთესოდ აერთებდა განფენის გრაფიკზე ნაჩვენებ წერტილებს. რას ვგულისხმობთ საუკეთესო წრფეში? ინტუიტიურად, ეს არის მრუდი, რომელთანაც მოცემული წერტილები ყველაზე ახლოსაა განთავსებული. მაგრამ რა იგულისხმება სიახლოვეში?

გავიხსენოთ, რომ ვეძებთ წრფეს, რომელიც წარმოადგენს რაიმე საქმიანობაზე გაწეული ჯამური დანახარჯის საუკეთესო პროგნოზისტს. ამისათვის განვიხილოთ მე-4 გრაფიკი, რომელშიც თვინებურადაა გავლებული მრუდი. ხაზთან თითოეული წერტილის სიახლოვე შესაძლებელია გაიზომოს წერტილიდან ხაზამდე დაშვებული ვერტიკალური მანძილის მიხედვით. ეს ვერტიკალური მანძილი წარმოადგენს განსხვავებას ფაქტობრივ დანახარჯსა და ხაზის მიხედვით ნავარაუდებ დანახარჯს შორის. წერტილი 5-ისთვის

ნავარაუდევი დანახარჯია 5* და გადახრას წარმოადგენს მანძილი ამ წერტილებს შორის (ანუ მანძილი წერტილიდან ხაზამდე).

მე-4 გრაფიკი



ვერტიკალური მანძილი ზომავს ცალკეული წერტილის ხაზთან სიახლოვეს, მაგრამ ჩვენ გვჭირდება იმის საზომი, თუ რამდენად ახლოს არის ყველა წერტილი ხაზთან. ერთ-ერთი საშუალებაა გაიზომოს ყველა წერტილის გადახრა ხაზიდან და დაემატოს ერთმანეთს, რათა მიღებულ იქნეს ჯამური საზომი. თუმცა, ეს ჯამური საზომი შესაძლოა შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს. მაგალითად, მცირე დადებითი გადახრების ჯამი შესაძლოა იძლეოდეს უფრო მეტ ჯამურ სიდიდეს, ვიდრე დიდი დადებითი და დიდი უარყოფითი გადახრების შეკრებით მიღებული ჯამური სიდიდეა, რადგანაც ამ შემთხვევაში დადებითი და უარყოფითი გადახრები ერთმანეთს აბათილებენ. ამ პრობლემის დასაკორექტირებლად გამოიყენება უმცირესი კვადრატის მეთოდი, რომელიც პირველ რიგში პოულობს ყოველი ცალკეული გადახრის კვადრატულ სიდიდეს და შემდეგ კრებს მათ, რათა მიიღოს ჯამური სიახლოვის საზომი. გადახრების კვადრატში აყვანა თავიდან გვაცილებს დადებითი და უარყოფითი გადახრების მიერ ერთმანეთის სიდიდეების გაბათილების პრობლემას.

ამ კონცეფციის საილუსტრაციოდ, გავიანგარიშოთ სიახლოვის საზომი - განფენილი წერტილების მეთოდით მიღებული დანახარჯთა ფორმულისათვის.

ცხრილი N3

ფაქტობრივი დანახარჯი (ლარი)	პროგნოზული დანახარჯი (ლარი)	გადახრა	კვადრატული გადახრა
10 000	10 000	-	-
12 500	16 250	-3 750	14 625 500
22 500	22 500	-	-
25 000	28 750	-3 750	14 625 500
37 500	35 000	2 500	6 250 000
სიახლოვის ჯამური	საზომი	-	35 501 ათასი ლარი

შენიშვნები:

ა) პროგნოზული დანახარჯი = 3750+6.25*X, სადაც X წარმოადგენს ფაქტობრივად გაწეულ საქმიანობაზე დანახარჯთან დაკავშირებული საქმიანობის ფაქტობრივ მოხმარებას;

ბ) გადახრა = ფაქტობრივ დანახარჯს - პროგნოზული დანახარჯი.

რამდენადაც სიახლოვის საზომი წარმოადგენს წერტილებიდან ხაზამდე გადახრების კვადრატების ჯამს, რაც უფრო მცირე იქნება ეს საზომი, მით უკეთესად აერთებს მრუდი წერტილებს. მაგალითად, განფენილი წერტილების მეთოდის მიხედვით სიახლოვის საზომია 35 501. მსგავსი გაანგარიშებები მინი-მაქსის მეთოდისათვის გვაძლევს 52 343,75 -ის ტოლ სიახლოვის საზომს. ამრიგად, განფენილი წერტილების მეთოდი უკეთესად აერთებს წერტილებს, ვიდრე მინი-მაქსის მეთოდი. ეს შედეგი მხარს უჭერს წინა მტკიცებას, რომ განფენილი წერტილების მეთოდისას გამოყენებული მსჯელობა უკეთესია მინი-მაქსის მეთოდთან შედარებით.

პრინციპში, სიახლოვის საზომების შედარებამ შესაძლოა მოგვცეს ყველა მრუდის რანჟირების შესაძლებლობა საუკეთესოდან უარესამდე. ის მრუდი, რომელიც წერტილებს აერთებს უკეთესად ვიდრე რომელიმე სხვა მრუდი, იწოდება საუკეთესო წრფედ. ეს არის კვადრატული გადახრების უმცირესი ჯამის მქონე მრუდი. უმცირესი კვადრატის მეთოდი ადგენს საუკეთესო წრფეს, რომლის მისაღებად სტატისტიკური თეორიის მიერ შემოთავაზებულ ფორმულას, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$b = \frac{\sum xy - \sum x \sum y / n}{\sum x^2 - (\sum x)^2 / n}$$

$$a = \frac{\sum y}{n} - b\left(\frac{\sum x}{n}\right)$$

a და b სიდიდეების გასაანგარიშებლად საჭიროა ხუთი მონაცემი: n, Σx , ΣY, Σxy , Σx2, პირველი მონაცემი n ყველაზე ადვილი გასაანგარიშებელია: უბრალოდ ვითვლით მონაცემთა ცხრილში (იხ. ცხრილი N4) მონაცემების რაოდენობას, სხვა მონაცემი შემდეგნაირად გაიანგარიშება:

ცხრილი N4

ΣX	ΣY	ΣX*Y	ΣX2
1 000	10 000	10 000 000	1 000 000
2 000	12 500	25 000 000	4 000 000
3 000	22 500	67 500 000	9 000 000
4 000	25 000	100 000 000	16 000 000
5 000	37 500	187 500 000	25 000 000
15 000	107 500	390 000 000	55 000 000

$$b = \frac{390\,000\,000 - (15\,000 \times 107\,500)/5}{55\,000\,000 - (15\,000)^2/5} = 6{,}75 \text{ ლარი;}$$

$$a = \frac{107\,500}{5} - 6{,}75\left(\frac{15\,000}{5}\right) = 1250 \text{ ლარი}$$

ამრიგად, უმცირესი კვადრატის მეთოდით დანახარჯთა ფუნქციის ფორმულა შესაძლებელია გამოისახოს შემდეგი სახით:

Y = 1250 + 6,75 * X

რამდენადაც დანახარჯთა ეს ფორმულა საუკეთესო წრფეს წარმოადგენს, ის ყველაზე უკეთ განჭვრიტავს საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. საქმიანობის 3500 ერთეულისათვის, უმცირესი კვადრატის მეთოდით პროგნოზული დანახარჯის სიდიდე იქნება - 24 875 ლარი (1 250 + 6.75*3 500), რომელიც შედგება 1 250 ლარი მუდმივი და 23 625 ლარი

ცვლადი შემადგენლისაგან. ამ წინასწარმეტყველების, როგორც სტანდარტის გამოყენებით, განფენილი წერტილების მეთოდი უფრო ახლოსაა უმცირესი კვადრატის მეთოდთან.

მაშასადამე, რეგრესიული ანალიზის გამოყენება შესაძლებელია პროგნოზირებისათვის მაშინ, როდესაც ორ ცვლადს შორის იგულისხმება წრფივი დამოკიდებულება და ანალიზისათვის ხელმისაწვდომია ისტორიული მონაცემები. ამასთან, რეგრესიული ტოლობის გამოყენება შესაძლებელია Y ცვლადის პროგნოზისათვის X ცვლადით, თუ:

ა) X ცვლადი თავსდება მონაცემთა ცნობილი დიაპაზონის ფარგლებში. ასეთ პროგნოზს ინტერპოლაციას უწოდებენ;

ბ) X ცვლადი თავსდება მონაცემთა ცნობილი დიაპაზონის გარეთ. ასეთ პროგნოზს ექსტრაპოლაციას უწოდებენ.

ზოგადად, ინტერპოლაცია უფრო სანდოა, ვიდრე ექსტრაპოლაცია.

რეზიუმე

მარტივი წრფივი რეგრესიული ანალიზის უპირატესობებია:

- მარტივია გამოყენებაში;
- განიხილავს ძირითად დამოკიდებულებას მონაცემთა ორ სიმრავლეს შორის;
- შესაძლებელია გამოყენებული იყოს პროგნოზისა და ბიუჯეტების მოსამზადებლად;
- ამარტივებს ბიუჯეტის შედგენის პროცესს.

მარტივი წრფივი რეგრესიული ანალიზის შეზღუდებია:

- ხდება დაშვება იმისა, რომ ცვლადებს შორის არსებობს წრფივი დამოკიდებულება;
- ხდება დამოკიდებულების შეფასება მხოლოდ ორ ცვლადს შორის. რეალობაში დამოკიდებულ ცვლადზე გავლენას ახდენს სხვა მრავალი დამოუკიდებელი ცვლადი;
- ტენდენციურად მხოლოდ ინტერპოლაციური პროგნოზებია საიმედო. ტოლობა არ უნდა იყოს გამოყენებული ექსტრაპოლაციისათვის;
- რეგრესიული ანალიზი ახდენს დაშვებას, რომ მონაცემების ისტორიული ქცევა წარსულში გაგრძელდება უახლოეს მომავალშიც;
- ინტერპოლაციური პროგნოზი საიმედოა მონაცემთა შორის, მხოლოდ ძლიერი კორელაციის შემთხვევაში.

Merab Jikia
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Disadvantages and Advantages of using a Separate Statistical Method in Management Accounting

SUMMARY

Advantages of simple linear regression analysis are as follows:

- Easy to use;
- Considers the main relationship between two sets of data;
- Can be used to prepare forecasts and budgets;
- Simplifies the budgeting process.

Limitations of simple linear regression analysis are as follows:

- It assumes that there is a linear relationship between the variables;
- The relationship between only two variables is evaluated. In fact, the dependent variable is influenced by many other independent variables;
- Tendonously, only interpolation predictions are reliable. Equation should not be used for extrapolation;
- Regression analysis assumes that the historical behavior of data in the past will continue in the near future too;
- Interpolation forecast is reliable between data, only in case of strong correlation.

ქრისტინა ჯღანჯღავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, მოწვეული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოსტკოვიდ-19 პანდემიის გლობალური ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე

კორონა ვირუსული დაავადება (Covid-19), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) 2020 წლის 11 მარტს პანდემიად გამოაცხადა. Covid-19-მა საზოგადოების ჯამრთელობაზე, იმოქმედა არა მხოლოდ სოციალურად, არამედ ასევე მკვეთრი ეკონომიკური ზეგავლენა იქონია. მთელს მსოფლიოში არსებითად შემცირდა შემოსავლები და ეკონომიკური სიმდიდრე, გაიზარდა უმუშევრობა. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია პრე- და პოსტ-Covid-19-ის ეფექტების სხვადასხვა ასპექტები მთელ მსოფლიოში სოციალურ და ეკონომიკურ ფაზებზე. შეჯამებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონაცემები საფრთხეების, სოციალური გავლენის, სტრესისა და ადაპტაციის შესახებ Covid-19-მდე და შემდგომ პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: *პოსტპანდემია, სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა, უსაფრთხოების ზომები.*

კორონავირუსის (Covid-19) მსოფლიო პანდემია წარმოიშვა 2019 წლის დეკემბერში ჩინეთში, ქალაქ ვუჰანში, ჰუბეის პროვინციაში. პანდემიის გავრცელებამ უმეტესად იმოქმედა ადამიანის ჯამრთელობაზე და გამოცხადდა მთელს მსოფლიოში სიკვდილიანობის გაზრდის სერიოზულ მიზეზად. პანდემიამ დანერგა არა მხოლოდ შფოთი ადამიანებში, არამედ ინფიცირებულ ქვეყნებში გამოიწვია ფინანსური და პოლიტიკური საგანგებო სიტუაციები. Covid-19 გარდა იმისა, რომ არის საფრთხე მსოფლიოსთვის, ასევე აღიარებულია, როგორც სოციალური პროცესის უთანასწორობის ძირითადი მიზეზი. [Hung C., Wang Y., et al,2020].

სახელი Covid-19 წარმოიშვა, როგორც „Co“ ნიშნავს „გვირგვინს“, „VI“ „ინფექციას“, „D“ „ავადმყოფობას“ და 19 წარმოადგენს ინფექციის გამოჩენის წელს (2019). კორონავირუსი ეს არის ვირუსი, რომლის ზომა მერყეობს 80-120 ნმ (1ნმ=0,000001მმ) და ამ ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობა სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) კორონავირუსი 2020 წლის 11 მარტს პანდემიად გამოაცხადა. ასევე, ვირუსების ტაქსონომიის გლობალურმა კომიტეტმა (ICTV) აღიარა, რომ ინფექცია ამ ვირუსიდან იდენტიფიცირებულია, როგორც SARS-COV-2 (მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი). [Gorbalenya A.E., Baker,R., et .al, 2020].

2020 წლის 30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, Covid-19 გამოაცხადა, როგორც მსოფლიო კრიზისი, რომელმაც სერიოზულად დააზარალა ადამიანები. ვირუსის საერთო გავრცელებამ გამოიწვია უთვალავი რაოდენობის სიკვდილიანობა, ავადმყოფობა და მილიარდობით დოლარის ზარალი. [Allocati, N., Petrucci, A.G., et al, 2021]. Covid-19-ის შედეგებმა, სერიოზულად იმოქმედა ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაზე და გლობალურ ეკონომიკაზე. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია Covid-19-ის სხვადასხვა ეფექტებზე, ჯამრთელობის მდგომარეობასა და მის პოსტ-პანდემიურ შედეგებზე.

პანდემიის გავრცელების ეფექტი და ზეგავლენა

ჩინეთმა და ჩინეთის მსგავსად სხვა მრავალმა ქვეყანამ, ვირუსის გავრცელების მართვისას, უპირველეს ყოვლისა, შეძლეს ინფიცირებული პირების სწრაფად აღმოჩენა, რასაც მოჰყვა მათი ახლობლების იზოლაციის პირობებში მოქცევა, რათა ხელი შეწყობოდა საზოგადოებისთვის აუცილებელ ნორმალიზებულ მდგომარეობის უზრუნველყოფას. მაგალითად, ჩინეთში, სახელმწიფო საბჭოს ერთობლივი პრევენციის და კონტროლის მექანიზმი

მოეწყო, ეპიდემიის გავრცელების, კლინიკური გადარჩენის, ლოგიკური კვლევებისა და მსოფლიოს მონაწილეობის გასაკონტროლებლად. [Huang, C., Wang, X., et al, 2019].

ქვეყნებმა, მათ შორის, ინდოეთმა, აშშ-მ, საფრანგეთმა, იტალიამ, რუსეთმა და სხვებმა გამოიყენეს ეს სტრატეგიები, ასევე ინფექციის გავრცელების შესამცირებლად მიმართეს რამდენიმე სხვა სტრატეგიას. გარდა ამისა, ცალკეული ქვეყნების მარეგულირებელი სააგენტოების მიერ გამოიყო კლინიკური ექსპერტები, ექიმები და ექთნები, რათა განეხორციელებინათ კრიზისული რეაქციები, როგორიცაა, კლინიკური განკურნება, ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები და გარემოს გაწმენდა. [Wise, T., Zbozinek, T.D., et al,2021]

Covid-19-მა გავლენა მოახდინა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე და გახდა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი. პანდემიამ მთელ მსოფლიოში ზეგავლენა მოახდინა ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული ინფექცია გავრცელდა მსოფლიოს თითქმის 213 ქვეყანაში. ბევრმა სახელმწიფომ ინფექციის თავიდან ასაცილებლად ჩაკეტა ობიექტები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამრეწველო სექტორები, ბაზრები და სხვა. [Jin, Y.H., Cai, L., et al,2019] სერიოზულად დაზარალდა ტურისტული სექტორი. აიკრძალა სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებები, დაიხურა კაფეტერიები, რესტორნები, მაღაზიები, დასასვენებელი ცენტრები, სპორტული დარბაზები და ა.შ

Covid-19 და გლობალური ეკონომიკა

Covid-19-ის წარმოშობამ ჩინეთიდან, რასაც მოჰყვა მისი გლობალური გავრცელება, გამოიწვია მნიშვნელოვანი სამედიცინო პრობლემები. გადაცემის ყველაზე გავრცელებული ფორმაა - ადამიანთა მჭიდრო კონტაქტები. ინფექციური სიმპტომების დასაძლევად, ჩვეულებრივ გამოიყენება სადეზინფექციო საშუალებები, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანის ორგანიზმში შეღწევა. Covid-19 პანდემია არის სასუნთქი გზების დაავადება, რომელიც - უმეტესად აზიანებს ფილტვების უჯრედებს/ქსოვილებს, მაგრამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სხვა სასუნთქ ორგანოებსა და ქსოვილებზე, უფრო მეტიც, ვირუსის გავრცელება ძალიან ხშირია შრატში ან პლაზმაში სასუნთქი გზების ინფექციის დროს. [Sharma, S., Basu, S., et al,2020] პანდემიის შედეგად, სიცოცხლის დაკარგვა იწვევს მნიშვნელოვან ზარალს ფართო საზოგადოებაში. Covid-19--ის პანდემიამ უკიდურესად იმოქმედა გლობალურ ეკონომიკაზე. აუცილებელია საზოგადოებაში ინფექციის შემდგომი გავრცელების შეზღუდვა და ამისთვის სახელმწიფოების უმრავლესობამ მიიღო ჩაკეტვის მკაცრი გადაწყვეტილება. ამ გარემოებებმა მძიმედ იმოქმედა სხვადასხვა ქვეყნის ბიზნეს ტრანსპორტირებაზე და გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი. სავაჭრო სფერო, რომელიც მთლიანად არის დამოკიდებული სატრანსპორტო სისტემებზე, პანდემიისგან ყველაზე მეტად დაზარალდა. ინფიცირებულთა შემთხვევების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის გამო დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა შემცირდა, რამაც დიდი გავლენა იქონია ინდუსტრიის სექტორებზე. ამჟამად, სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკა განიცდის გაზრდილი უმუშევრობის პრობლემასა და პროდუქტიულობის ნაკლებობას. [Wang, M.,Cao, R., et al,2020.] ჩაკეტვებმა იმოქმედა თითოეული ქვეყნის მშპ-ზე. ბოლო დროს, რამდენიმე აზიური, ევროპული და სამხრეთ ამერიკული ქვეყნების მშპ შემცირდა და აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში დამანგრეველი შედეგები. ამ ქვეყნების მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა პოსტ-პანდემიურმა მდგომარეობამ. აღნიშნული ქვეყნების მთავრობებმა და სხვა მარეგულირებელმა უწყებებმა უნდა მიიღონ მკაცრი ზომები დამოუკიდებლად ან ურთიერთშეთანხმებითა და დისკუსიებით.

Covid-19 პანდემიის ეკონომიკურ-ფინანსური და შრომის ბაზრის პერსპექტივები

კორონავირუსის გავრცელების შეკავების მცდელობები აუცილებელია არა მხოლოდ ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად, არამედ ჯანდაცვის სერვისების კოლაფსის თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის შეკავება იყო მკაცრად საჭირო, აღნიშნულმა ზომებმა გამოიწვია ბევრ საქონელსა და მომსახურებაზე წარმოების შეფერხებები და საერთო მოთხოვნის შემცირება, რაც აიძულებს კომპანიებს მთელ მსოფლიოში შეინარჩუნონ ან შეამცირონ თავიანთი ოპერაციები, აღნიშნული კი დიდ გავლენას ახდენს მუშაკებსა და მთლიანად ეკონომიკაზე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემებით, ბიზნესის მთლიანი ან ნაწილობრივი დახურვის ღონისძიებები შეეხო თითქმის 2,7 მლრდ მუშაკს, ეს კი წარმოადგენს სამუშაო ძალის დაახლოებით 80%-ს. [Fana,M., Torrejon, P., et al, 2020].

მაღალი არასტაბილური დასაქმების მქონე ქვეყნებში (მაგალითად, აზია და ლათინური ამერიკა), არალეგალური მუშაკები, განთავისუფლებულნი სოციალური დაცვის სერვისებიდან, იძულებულნი გახდნენ მიეღოთ მკაცრი გადაწყვეტილება: არ დამორჩილებოდნენ საკარანტინო და სოციალურ ი შეზღუდვების წესებს, რათა შეძლებოდათ მუშაობა და მიეღოთ ხელფასი ან პირიქით ემორჩილებოდნენ წესებს, რჩებოდნენ სოციალურ იზოლაციაში და შიმშილობდნენ.[Monitor ILO, 2021]

ზოგადად, 2020 წლის მეორე ნახევრისთვის, სამუშაო საათების რაოდენობა საშუალოდ შემცირდა 6 %-ით და გაუტოლდა სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა მიერ ნამუშევარ 195 მლნ საათს.[Susskind, D& Vines, D., 2020]. ამ მიმართულებით განსაკუთრებით დაზარალდა ბიზნესი, რომელიც დაკავშირებულია ტურიზმთან, კვების სერვისებთან, საცალო ვაჭრობასთან და წარმოების სექტორებთან. ამ სფეროებიდან განთავისუფლებული მუშახელის დიდი ნაწილი კვლავ დაუცველია. მზარდი უმუშევრობის დომინოს ეფექტი აძლიერებს დაძაბულობას ქვეყნებში და მოსალოდნელია, რომ გამოიწვიოს გლობალური რეცესია. [Fernandes, N.,2020]. რეცესია გავლენას მოახდენს მსოფლიოს შშპ-ზე. აქედან გამომდინარე შრომის ბაზრის პოლიტიკას და პროგრამებს დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსური, ეკონომიკური და შრომის ბაზრის დაცემის დროს. აღნიშული პოლიტიკა, რომელიც ხშირად ხორციელდება საჯარო დასაქმების სამსახურების მეშვეობით, ხელს უწყობს თანამდებობიდან განთავისუფლების შემცირებას, სამუშაო ადგილების შენარჩუნებას, ძირითად პროდუქტების წარმოებას, სერვისებში დასაქმების ხელშეწყობას და შრომის ბაზარზე მყოფი ადამიანების შენარჩუნებას. [Rothan,h&Byrareddy, S.N., 2021]. თუმცა ამ მოკლევადიანი ზომების მიუხედავად, მოსალოდნელია გრძელვადიანი გავლენა სამუშაო ბაზარზე, რაც მნიშვნელოვნად ართულებს დამსაქმებელის და მუშაკების ნავიგაციას შრომის ბაზარზე მომდევნო რეცესიის დროს, განსაკუთრებით ეკონომიკებში რომლებსაც აქვთ დიდი არაფორმალური ბაზრები.[Monitor ILD, 2020]

საჯარო პოლიტიკის ღონისძიებებს შორის უფრო მჭიდრო კავშირი ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად შეიძლება დაეხმაროს მთავრობებს, თავიდან აიცილონ მეტი ადამიანის სიღარიბე და უმუშევრობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს სამუშაო ადგილების შექმნის ზომებზე, ბიზნესის მხარდაჭერა აუცილებელია დაკავშირებული იყოს პროდუქტიულობის, დასაქმებისა და შემოსავლების შენარჩუნებასთან.[Global Economy, 2021]. ანალოგიურად, არსებობს რისკ ჯგუფები, რომლებიც აწყდებიან განსაკუთრებით არახელსაყრელ პოზიციებს მიმდინარე პანდემიის პირობებში - ქალები, ახალგაზრდები, მიგრანტები, და ხანდაზმული მუშები. ამდენად, კონკრეტული ინტერვენციები შრომის ბაზარზე და უფრო ფართო ხელმისაწვდომობა საჯარო დასაქმების სერვისებზე აუცილებელია ამ ჯგუფების დასაქმების და სამუშაო მზადყოფნის შესანარჩუნებლად. ამრიგად, ინკლუზიურ და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებს შეუძლია დააჩქაროს ეკონომიკის აღდგენითი პროცესი და ხელი შეუწყოს შრომის ბაზარზე მონაწილეობას. ბევრი შეზღუდვა აფერხებს ეკონომიკის აღდგენას

და სამუშაო ადგილების შექმნას. უმუშევრობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის მოქალაქეების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯამრთელობის მდგომარეობაზე. შემოთავაზებულია სტრატეგია, რომელსაც შეუძლია შეამციროს covid-19 პანდემიის ეკონომიკური ზემოქმედების შედეგად მიღებული ხარჯები. [Hensher, M.,2020].

1. უპირველეს ყოვლისა, დასაქმების სახელმწიფო პროგრამები, რომელიც ფინანსდება საზოგადოებრივი სამუშაოების და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობით;

2. მეორე, უნივერსალური საბაზისო შემოსავალი, რომელიც ამცირებს ეკონომიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ტრამვას სოციალური დახმარებით, აღნიშნული საშუალებას აძლევს ყველაზე დაუცველ ოჯახებს გაუძლონ გადარჩენისთვის საჭირო ხარჯებს. მაგალითად, ფინეთმა საბაზისო შემოსავალი 2000 ადამიანზე განახორციელა კარგი შედეგებით, ხოლო 2020 წელს ესპანეთმა დაამტკიცა ძირითადი სასიცოცხლო შემოსავალი, საიდანაც დღემდე 850 000-მა ოჯახმა ისარგებლა.

მსოფლიო პანდემიამ ღრმა კვალი დატოვა ადამიანთა ჯამრთელობაზე და ხაზი გაუსვა მთელი რიგი კითხვების სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურას, რომელიც მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ მიიღო ბოლო 40 წლის განმავლობაში და ზეგავლენა მოახდინა ყველა დონეზე. დღეისთვის შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომელიც ხაზს უსვამს სამუშაოს გარკვეულ ხაზებს, რათა ვირუსის მომავალი ტალღების შემთხვევაში, ან სხვა პანდემიის საგანგებო მოვლენის შემთხვევაში, მთავრობების რეაგირება და ეფექტურობა დარჩეს შესაბამისი.

- ადრეული გამოვლენისა და სწრაფი რეაგირებისთვის საზოგადოებრივი ჯამრთელობის ზედამხედველობის სისტემის დანერგვა.

აღნიშნული მოითხოვს უნარს, რათა შესაძლებელი გახდეს ყველა შემთხვევის ადრეული გამოვლენა და პრევენციული ზომების მიღება. თუმცა უმეტეს განვითარებად ქვეყნებში ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული შესაძლებლობები სუსტი რჩება და საჭიროებს გაძლიერებას. დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში პირველი რიგის კლინიკური პერსონალის ზოგადი დეფიციტი covid-19-ის საეჭვო შემთხვევების სამკურნალოდ (ექიმები, ექთნები და ასისტენტები) და მათი სამუშაო პირობები ხშირად არასტაბილურია. მათ არ გააჩნიათ ძირითადი ბიოუსაფრთხოების აღჭურვილობა. (ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ვენესუელამ დააფიქსირა ხელთათმანების და სახის ნიღბების ხელახალი გამოყენება სამედიცინო პერსონალში).

რისკის კომუნიკაცია და საზოგადოების მონაწილეობა

მედიის როლი არსებითია იმისთვის, რომ ჯანდაცვის ღონისძიებები ეფექტიანად განხორციელდეს. ინდივიდებს სჭირდება დროული, ზუსტი და ადვილად გასაგები ინფორმაცია. ეს ხელს შეუწყობს დეზინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას, რომელიც სხვაგვარად გამოიწვევს პანიკას ან ისტერიას. აუცილებელია რისკების კომუნიკაციის ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც ეთიკური და სასარგებლოა ადგილობრივ კონტექსტში. [Shigemura, J., Ursano, R.J., et al. 2020].ეს სტრატეგია უნდა შემუშავდეს სოციალურ მეცნიერებთან და რისკის კომუნიკაციის ექსპერტებთან თანამშრომლობით. ასევე დადასტურებულია პანდემიის ფსიქოლოგიური გავლენა [Idrvo, A.J., Fernandes, J.A., et al,2021]. როგორც ადგილობრივები, ისე ეროვნული მმართველები უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი და იცოდნენ, რომ მათმა მოსაზრებებმა სამეცნიერო ცოდნის მიღმა შეიძლება გამოიწვიოს დეზინფორმაცია.

საზოგადოებაში დაუცველთა დაცვა

არსებობს კონსესუსი, რომ დაავადება გავლენას ახდენს ყველა ასაკობრივ ჯგუფზე, მაგრამ არაპროპორციულად მძიმეა ხანდაზმულებში და მათ შორის, რომლებსაც აქვთ ძირითადი დაავადებები, როგორიცაა ჰიპერტენზია, გულ-სისძარღვთა დაავადება და დიაბეტი. აქედან გამომდინარე, არსებობს მკაფიო გზავნილი, რომ მოხუცები და თანმხლები დაავადებების მქონე ადამიანები დაცული უნდა იყვნენ საზოგადოებაში. გერიატრიულმა ცენტრებმა აქტიურად უნდა აკონტროლონ, როგორც მოხუცები, ასევე მუშაკები და გარანტირებული უნდა იყოს, სატესტო ნიმუშების აღება, აუცილებელია შედეგების დროული მიწოდება და შესაბამისი მკურნალობა.

დასკვნა

Covid-19 აქვს ძლიერი პირდაპირი მწვავე გავლენა მოსახლეობის ჯამრთელობაზე, არა მხოლოდ ფიზიოლოგიის დონეზე, არამედ ფსიქოლოგიურ დონეზეც. სოციალურ დონეზე ეკონომიკური ზემოქმედება ყველაზე დაუცველ ოჯახებზე მოხდა, რაც რთულ კონტექსტს უქმნის საჯარო დაწესებულებებს. ჩვენ ვდგავართ სოციალური ჩარევის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევის წინაშე, რომელიც მოითხოვს სწრაფ, ეფექტურ და კარგად კოორდინირებულ რეაგირებას საჯარო დაწესებულებების, კერძო სექტორისა და და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რათა მოემსახურონ უიმედო მოსახლეობას მზარდი გადაუდებელი საჭიროებებით. აუცილებელია გრძელვადიანი კანონმდებლობა დაუცველობის შესამცირებლად, ამავე დროს საზოგადოების პასუხის გასაანალიზებლად, რათა გაუმჯობესდეს სოციალური ორგანიზაციის არსებული რესურსების მართვა.

ლიტერატურა

1. Allocati, A.G. Petrucci, P. Di Giovanni, M. Masulli, C. Di Ilio, V. De Laurenzi1 Bat–man disease transmission: zoonotic pathogens from wildlife reservoirs to human populations Cell Death Discov. (2016), pp. 1-8;
2. Fana, M.; Torrejón Pérez, S.; Fernández-Macías, E. Employment impact of Covid-19 crisis: From short term effects to long terms prospects. Econ. Polit. Ind. 2020, 47, 391–410. [Google Scholar] [CrossRef];
3. Global Economy. Credit-Suisse.com. Available online: https://www.credit-suisse.com/microsites/investment-outlook/en/global-economy.html (accessed on 11 January 2021).
4. Huang, C., Wang,Y., Ren,Li, X.,L. Zhao,J., Y. Hu, L. Zhang, G. Fan, J. Xu, X. Gu, Z. Cheng., Clinical features of patients infected with 2019 novel corona virus in Wuhan, China Lancet (2020), pp. 497-506;
5. Monitor ILO. COVID-19 and the World of Work. Updated Estimates and Analysis. 2020. Available online: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@dgreports/@dcomm/documents/briefingnote/wcms_767028.pdf (accessed on 15 May 2021);
6. Sharma, S., Basu, S., Shetti, N.P., Aminabhavi Current treatment protocol for COVID-19 in India Sensors Int (2020), p. 10013
7. Shigemura, J.; Ursano, R.J.; Morganstein, J.C.; Kurosawa, M.; Benedek, D.M. Public responses to the novel 2019 coronavirus (2019-nCoV) in Japan: Mental health consequences and target populations. Psychiatry Clin. Neurosci. 2020, 74, 281–282;
8. Wang,M., Cao, R.,L, Zhang, X. Yang, J. Liu, M. Xu, S. Zhengli, H. Zhihong, W. Zhong, X. Gengfu Remdesivir and chloroquine effectively inhibit the recently emerged novel coronavirus (2019-nCoV) in vitro, Cell Res. (2020), pp. 269-271;
9. Wise, t., Zbozinek, T.D., G. Michelini, C.C. Hagan, D. Mobbs Changes in risk perception and protective behavior during the first week of the COVID-19 pandemic in the United States.

Kristina Jganjgava
Doctor of Business Administration, Visiting Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Global Impact of the Post-Covid-19 Pandemic on socio-Economic Outcomes

SUMMARY

Covid-19 has a strong direct acute impact on population health, not only at the physiological level but also at the psychological level for those who suffer it, those close to them, and the general population, who suffer the social consequences of the pandemic. In this line, the economic recession increased, even more so, the social pressure. At the social level, the economic impact hit the most vulnerable families, creating a difficult context for public institutions to address. We are facing one of the greatest challenges of social intervention, which requires fast, effective, and well-coordinated responses from public institutions, the private sector, and non-governmental organizations to serve an increasingly hopeless population with increasingly urgent needs. Long-term legislation is necessary to reduce the vulnerability of the less fortunate, as well as to analyse the societal response to improve the social organization management of available resources.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნათია დვალი და ლელა წიკლაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა

2023

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0128
Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278
https://www.tsu.ge/ka/publishing-house

6 თებერვალი, 2023

თბილისი, საქართველო

უნივერსიტეტის
გამომცემლობა